ნინო კლდიაშვილი
ლევან კლდიაშვილი
როლანდ ქართველი

# საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი

(მეორე, შევსებული და გასწორებული გამოცემა)

საერო
სასკოლო
გამოცემა

პს „იმედი“
თბილისი

წინამდებარე ლექსიკონი შეიცავს ზეპირ და წერით მეტყველებაში ყველაზე უფრო ხშირად ხმარებულ 5000 საერთაშორისო სიტყვას. ძველ სიტყვებთან ერთად მის შემადგენლობაში შეტანილია ახალი სიტყვები, რომლებიც ხმარებაში შემოვიდა უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში საზოგადოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების რადიკალური გარდაქმნის შედეგად.

სალექსიკონო სტატია შეიცავს სიტყვის ეტიმოლოგიასა და განმარტებას, სიტყვის გრამატიკულ მახასიათებელს, მეტყველებაში მათი ხმარების მაგალითებს, სიტყვათწარმოქმნის ბუდეს.

ლექსიკონი განკუთვნილია, უწინარეს ყოვლისა, მოსწავლეებისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, მისით დაინტერესდება ფართო საზოგადოება.

ლექსიკონს დართული აქვს ლათინური სიბრძნე.

რედაქტორი **ავთანდილ ნარიმანიძე**

გამომცემელი და
ტექნიკური რედაქტორი **ოთარ ჩხაიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნატა ნარიმანიძისა**

ISBN 978-9941-0-1586-1

© ნ. კლდიაშვილი, ლ. კლდიაშვილი, რ. ქართველი თბილისი, 2010 წ.

# წინასიტყვაობა

**იუზა კლდიაშვილის** – ტრაგიკულად
დაღუპული პაპის – ნათელ ხსოვნას
ეძღვნება ეს წიგნი.
**ნინო** და **ლევან კლდიაშვილები**

განსაზღვრეთ სიტყვის მნიშვნელობა
და თქვენ დაიხსნით კაცობრიობას
მისი შეცდომების ნახევრისაგან.
**რენე დეკარტი**

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფადცვალებად ენობრივ კონტექსტში. საერთაშორისო სიტყვების ის მძლავრი ნაკადი, რომელიც მოედინება ჟურნალ-გაზეთებიდან, გაჟღერებული რადიო- და ტელე-ეთერში, და რომელმაც შეაღწია ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში და თავისუფალ დროში, განპირობებულია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში მკვეთრი, რადიკალური ცვლილებების შედეგად. ამასთან მრავალი საერთაშორისო სიტყვის მნიშვნელობა კვლავ გაუგებარი რჩება მკითხველისა და მსმენელისათვის, ხოლო არსებული ლექსიკონები ყოველთვის ვერ პასუხობენ მზარდ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ საჭიროა ლექსიკონი, რომელშიც ახალი სიტყვების მნიშვნელობა განმარტებული იქნება საკმარისად მარტივად და გასაგებად.

წინამდებარე ლექსიკონში შევეცადეთ, ერთის მხრივ პასუხი გაგვეცა ფართო წრის მკითხველთა მზარდი მოთხოვნისათვის, მეორეს მხრივ კი – თანამედროვე მოსწავლეთათვის ლექსიკონის ასეთმა ორიენტაციამ განაპირობა სიტყვების როგორც შერჩევა, ასევე შინაარსი, სალექსიკონო სტატიის სტრუქტურა და თვით ლექსიკონის სახელწოდებაც კი. არსებული ანალოგიური ლექსიკონებისგან განსხვავებით, ჩვენი ლექსიკონი წარმოადგენს რიგ დამატებით ცნობებს საერთაშორისო სიტყვების შესახებ: გრამატიკულ დახასიათებას, და ბოლოს, სიტყვებს ერთძირიანი ფუძე სიტყვებით, რომლებიც სიტყვათწარმოქმნის ბუდეს შეადგენენ.

საერთაშორისო სიტყვა ეწოდება ყველა იმ სიტყვას, რომლებსაც უცხო სიტყვათა ძირი აქვთ და ყველა წერილობით ენაზე ერთნაირად გამოითქმის.

ლექსიკონის შემადგენლობაში შევიდა არამარტო უახლესი საერთაშორისო სიტყვები (სეკვესტრი,დენომინაცია,ვაუჩერი,დაიჯესტი და სხვ.), არამედ ძველი სიტყვებიც, რომლებიც რეალურად ფუნქციონირებენ ქართულ ენაში (იდეა, ანარქია, ვირუსი, დიალექტიკა და სხვ.), ასევე სიტყვები, რომელთაც „მეორე" სიცოცხლე შეიძინეს (ანათემა, ანალოი, იკონოსტასი, ალილუია და სხვ.).

ლექსიკონის საფუძველია საყოველთაოდ ხმარებული შემდეგი თემატიკური ჯგუფების ლექსიკა:

**1**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკა (დიასპორა,დოქტორინა, გენოციდი, ასიმილაცია, ავტორიტარული, დემოკრატია, ინაუგურაცია და ა.შ.);

**2**. ეკონომიკური ლექსიკა (დევალვაცია,დოტაცია,ჰიპერინფლაცია, ბიუჯეტი. ბროკერი, დისტრიბუტორი და ა.შ);

**3**. კულტურის დ ხელოვნების სფეროს ლექსიკა (ანდეგრაუნდი, აკმეიზმი, ალეგორია, ამპირი და ა.შ);

**4**. საკულტო ლექსიკა (ალტარი, ავტოკეფალიის, დოგმატი და ა.შ);

**5**. სპორტული ლექსიკა (ბოდიბილდინგი, კარატე, ძიუდო და ა.შ);

**6**. საყოველთაოდ ხმარებული სამეცნიერო ტერმინოლოგია (ადაპტაცია, ვიბრაცია, გრადაცია, ინდექცია, ადეკვატური და ა.შ).

გარდა ამისა,ლექსიკონში ჩართულია პროდუქციული საერთაშორისო სიტყვათა თავსართები ან რთული სიტყვების პირველი ნაწილი (ა..., დე..., დევ..., ინტერ..., ბი..., და სხვ.),რაც მნიშვნელოვნად აფართოებს სიტყვების ახსნა-განმარტებას და გაგების შესაძლებლობას.

დაბოლოს, ლექსიკონი დაზღვეული არ არის შეცდომების და ცალკეული ხარვეზებისგან, ამდენად ავტორები დიდი მადლიერებით მიიღებენ მათ და გაითვალისწინებენ ლექსიკონის შემდგომი გამოცემისას.

## ლექსიკონის აგებულება

## სალექსიკონო სტატიის სტრუქტურა და შინაარსი

ლექსიკონში სიტყვები ანბანთრიგზეა გაწყობილი, სალექსიკონო სტატია შეიცავს:

**1**. ფუძე სიტყვას;

**2**. სიტყვის ფორმებს და გრამატიკულ მახასიათებელს;
**3**. ეტიმოლოგიურ ცნობას;
**4**. განმარტებას;
**5**. მეტყველებაში ხმარების ილუსტრაციას;
**6**. სიტყვათწარმოშობის ბუდეს.

უკანასკნელი ორი განყოფილება წარმოადგენს ფაკულტატურს, ე.ი. წარმოდგენილია არა ყველა სალექსიკო სტატიაში.

## ფუძე სიტყვა

ფუძე სიტყვა გამოყოფილია ასომთავრულით და შავი შრიფტით, მახვილის ჩვენებით.

თუ ლექსიკონში არსებობს ერთძირიანი ზედსართავი სახელი, ზმნა ან არსებითი სახელი, ფუძე სიტყვის სახით გამოტანილია ის, რომელიც განმარტებას ადვილად ექვემდებარება, დანარჩენები მოცემულია სიტყვათწარმოქმნის ბუდეში შესაბამისი ნიშნით.

მაგალითად:

**ინვესტი́ცია**

◎ ინვესტიციის. ინვესტორი. ინვესტირება.

**დები́უტი**

◎ დებიუტანტი. დებიუტირება

თუ სიტყვები მნიშვნელობით შორდებიან ერთმანეთს, ეძლევა ორი ფუძე სიტყვა.

მაგალითად:

**ი́ნდექს**-ი. **1**. მაჩვენებელი, სია, ნუსხა, მაგ., საქონლის ინდექსი; **2**. ციფრობრივი მაჩვენებელი, მაგ., საფოსტო ინდექსი.

**ინდექსა́ცია**. ინფლიაციის პერიოდში შემოსავლების სიდიდის შენარჩუნების ხერხი.

## სიტყვის გრამატიკული მახასიათებელი

სასათაურო სიტყვას მოსდევს მისი გრამატიკული მახასიათებელი. არსებითი სახელებისათვის მისი დაბოლოება მხ. რიცხვში.

მაგალითად: **ბა́ით**-ი; **ინსტი́ტუტ**-ი.

## ეტიმოლოგიური ცნობა

გრამატიკული მახასიათებელის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში ლატინიცას მოსდევს ენა-წყაროს სიტყვა და მისი თარგმანი.
მაგალითად:
**კონსორციუმ**-ი [ლათ. consortium თანამონაწილეობა].

## განმარტება

მრავალმნიშვნელოვან სიტყვებში განმარტებას ექვემდებარება სიტყვის აქტუალური მნიშვნელობა.
მაგალითად:
**დეზავუირება** [ფრ. desavouer უარყოფა] – ადრე გამონათქვამის (წარმოთქმულის) საჯაროდ უარყოფა.
**კალეიდოსკოპ**-ი [ფრ. kaleidoscope < ბერძ. kalos ლამაზი + eidos სახე + skopeö ვხედავ, ვათვალიერებ] – რაიმეს სწრაფი ცვლა, მაგ., მოვლენათა კალეიდოსკოპი.

## სიტყვის ხმარების ილუსტრაცია

თუ სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია ან მისმა სიტყვათგამოყენებამ შეიძლება სიძნელეები გამოიწვიოს, სალექსიკონო სტატიაში მოცემულია ილუსტრაცია სიტყვათშეწყობის სახით.
მაგალითად:

**აბსოლუტურ**-ი [ლათ. absolutus] – **1**. უთუო, უდავო, უცილობელი, უპირობო, მაგ., აბსოლუტური მონარქია. **2**. სრული, სრულყოფილი, უნაკლო, სრულქმნილი, მაგ., აბსოლუტური სმენა, აბსოლუტური უმრავლესობა.

**კანონ**-ი [ბერძ. kanön წესი, რიგი, დანიშნულება, დანაწესი, მითითება] – **1**. ტრადიციული, საყოველთაოდ მიღებული წესი, დებულება, მაგ., დაწესებულ კანონთა მიდევნა, მიყოლა. **2**. დოგმატი, წეს-ჩვეულება, წესი, რომელიც ეკლესიამ დაადგინა, მაგ., ეკლესიის კანონი. **3**. მართლმადიდებელთა: საგუნდო გალობა რომელიმე წმინდანის საპატივსაცემოდ.

**რ. ქართველი**

# შემოკლებათა სია

**არაბ**. – არაბული
**არს**. – არსებითი სახელი
**ბერძ**. – ბერძნული
**ბოტან**. – ბოტანიკური
**გადატ**. – გადატანითი მნიშვნელობა
**გერმ**. – გერმანული
**გვ**. – გვერდი
**დას**. – დასაშვებია
**ებრ**. – ებრაული
**ეგვიპტ**. – ეგვიპტური
**ენათმეცნ**. – ენათმეცნიერული
**ესპ**. – ესპანური
**ესპერ**. – ესპერანტო
**ზმნ**. – ზმნიზედა
**თურქ**. – თურქული
**იაპ**. – იაპონური
**ინგლ**. – ინგლისური
**ირ**. – ირონიულად
**ისტ**. – ისტორიული
**იტალ**. – იტალიური
**იხ**. – იხილეთ
**კელტ**. – კელტური
**ლათ**. – ლათინური
**ლიტ**. – ლიტერატურული
**მაგ**. – მაგალითად
**მათ**. – მათემატიკური
**მალ**. – მალაიზური
**მამრ**. – მამრობითი
**მდედრ**. – მდედრობითი
**მოძვ**. – მოძველებული
**მრ**. – მრავლობითი
**მხ**. – მხოლობითი
**ნორვეგ**. – ნორვეგიული
**პოლ**. – პოლინეზიური
**პოლონ**. – პოლონური
**პორტ**. – პორტუგალიური
**საკ. სახ**. – საკუთარი სახელი
**სამართ**. – სამართლის
**სანსკრ**. – სანსკრიტი
**საპირისპ**. – საპირისპირო
**საუკ**. – საუკუნე
**სინონ**. – სინონიმი
**სიტ**. – სიტყვა – სიტყვითი
**სკანდინ**. – სკანდინავიური
**სპარს**. – სპარსული
**ტ**. – ტომი
**ტექნ**. – ტექნიკური
**ფიზ**. – ფიზიკური
**ფრანგ**. – ფრანგული
**ქართ**. – ქართული
**შდრ**. – შეადარე
**შემოკლ**. – შემოკლებული
**ჩინ**. – ჩინური
**ძვ.ებრ**. – ძველ ებრაული
**ძვ.სკანდინ**. – ძველი სკანდინავიური
**ძვ.სპარს**. – ძველი სპარსული
**წ**. – წელი
**წიგნ**. – წიგნიერი
**წ.წ**. – წლებში
**ჰოლანდ**. – ჰოლანდიური
⊙ – პრაქტიკული მაგალითები
○ – **შცდ**. შეცდომაა
◎ – ზედსართავი სახელი, ნათეს. ბრუნვა.
< – გულისხმობს სიტყვებს: „მომდინარეობს ..., მიღებულია ..., -იდან“,

# ლათინური ანბანი

| ასო | ქართ. შესატყვისი | სახელ-წოდება | ასო | ქართ. შესატყვისი | სახელ-წოდება |
|---|---|---|---|---|---|
| Aa | ა | ა | Oo | ო | ო |
| Bb | ბ | ბე | Pp | პ | პე |
| Cc | ც,კ | ცე | Qq | კ | კუ |
| Dd | დ | დე | Rr | რ | ერ |
| Ee | ე | ე | Ss | ს | ეს |
| Ff | ფ | ეფ | Tt | ტ | ტე |
| Gg | გ | გე | Uu | უ | უ |
| Hh | ჰ | ჰა | Vv | ვ | ვე |
| Ii | ი | ი | Xx | ქს | იქს |
| Jj | ჲ | ჲოტ | Yy | ი | იფსილონ |
| Kk | კ | კა | | | (იგრეკ) |
| Ll | ლ | ელ | - | - | - |
| Mm | მ | ემ | Zz | ზ | ზეტა |
| Nn | ნ | ენ | | | (ზეტ) |

**შენიშვნები**:

1. **ხმოვნები – a, e, i, o, u, y**;
2. **დიფთონგები – au** – აუ, **eu** – ეუ, **ae** – ე, **oe** – ინგლისური [ɜ:].
3. **ასოთა შეხამება**:

**ch** – ხ
**ph** – ფ
**rh** – რ
**th** – ტ

**ti** – ხმოვნის წინ გამოითქმის როგორც – **ci**, მაგრამ **sti, zti, tti** – ti;

**ngu** – ხმოვნის წინ გამოითქმის როგორც – **ngv**;

**c** – **1**. **e, i, y, ae, oe** – ს წინ გამოითქმის როგორც – **c**;

**2**. სხვა შემთხვევებში, ე.ი. **a, o, u** – ს, ყველა თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოს – **k**;

**s** – ხმოვნებს შორის – **z**, სხვა ყველა შემთხვევაში – **s**;

**q** – **u** -სთან ერთად ხმოვნის წინ – **kv**.

# ა

**ა...** [ბერძ. a..., an... არ, არა; არც; ნუ; ვერ; უ-ო(დ), უ-ად; ... გარეშე] – უარყოფის გამომხატველი სიტყვის თავსართი, რომელიც ახლავს უმთავრესად ბერძნული წარმოშობის სიტყვებს და ხარისხის არსებობას ან უარყოფას გამოხატავს.
⊙ **ამორფული, ასიმეტრია.**

**აბაჟურ**-ი [ფრ. abatjour] – საფარველი, რომელიც ლამპას უკეთდება მხედველობის დასაცავად, შუქის ერთი ადგილისაკენ მისამართავად, შუქფარი ...

**აბატ**-ი [ლათ. abbus (ნათ. abbatis)] – **1**. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი. **2**. საფრანგეთში: კათოლიკე მღვდელი.
**სააბატო** – კათოლიკური მონასტერი და მისი ადგილ-მამული.

**აბატისა** [ლათ. abatissa] – კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი.

**აბელ**-ი [ძვ. ებრ. Hével] – **1**. ადამისა და ევას ვაჟიშვილი, რომელიც ძმამ – კაენმა მოკლა,
**2**. უდანაშაული მსხვერპლი.
◎ **აბელის, აბელს.**

**აბერაცია** [ლათ. aberratio გადახრა] – **1**. (ფიზ.) გამოსახულების გაბუნდოვნება ან დამახინჯება.
**2**. (ასტრ.) ვარსკვლავების მოჩვენებითი გადახრა ცაზე, რაც გამოწვეულია დედამიწის მოძრაობით.
**3**. (გადატ. წიგნ.) ცდომილება, ჭეშმარიტებიდან გადაცდენა.

**აბზაც**-ი [გერმ. absatz] – **1**. ტექსტის პირობითად გამოყოფილი ნაწილი, რომლის პირველი სტრიქონი ცოტათი შეწეულია.
⊙ **პირველი ა.**
**2**. თვით შეწეული სტრიქონი
⊙ **წერის დაწყება ა.-ით.**
◎ უარყ. **უაბზაცო.**
⊙ **უ. ტექსტი.**

**აბიტურიენტ**-ი [ლათ. abituriens (ნათ. abiturientis) ვინც უნდა წავიდეს] – **1**. მოსწავლე, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ამთავრებს.
**2**. პირი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად ემზადება.
◎ **აბიტურიენტის.**
⊙ **აბითურიენტი, აბიტურენტი, აბითურენტი შცდ.**

**აბოლიცია** [ლათ. abolitio გაუქმება, მოსპობა] – (სამართ.)

**1.** კანონის გადაწყვეტილების გაუქმება.
**2.** თანამდებობის გაუქმება; თანამდებობიდან გადადგომა ან გადაყენება. **3.** სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ისეთ სტადიაში, როდესაც ბრალდება ჯერ იურიდიულად დადგენილი არ არის.

**აბოლიციონიზმ**-ი [ლათ. abolitio გაუქმება, მოსპობა] – საზოგადოებრივი მოძრაობა აშშ-ში მე-18 ს. ბოლოს და მე-19 ს. პირველ ნახევარში მიზნად ისახავდა ზანგების მონობის გუქმებას.

**აბონემენტ**-ი [ფრ. abonement] – საბუთი, რომელიც რაიმეთი სარგებლობის, რაიმეზე დასწრების უფლებებს იძლევა.
⊙ **თეატრის ა; მკითხველის ა.**
◎ **სააბონემენტო;**
⊙ **ს. განყოფილება (ბიბლიოთეკები);**
○ **აბონიმენტი, სააბონიმენტო შცდ.**

**აბონენტ**-ი [გერმ. abonnent.ფრ.] – **1.** აბონემენტის მქონე პირი ან დაწესებულება.
**2.** პირი ან დაწესებულება, რომელსაც ტელეფონი აქვს.
⊙ **აბონირება.**
◎ **აბონენტის, სააბონენტო**

**აბორიგენები** [მხ. აბორიგენი, ლათ. aborigenes ab origine დასაბამიდან, თავიდან] – ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, თავდაპირველი, ძველისძველი ბინადარი რომელიმე ქვეყნისა ან ადგილისა. (ჩვეულებრივ ისეთი ტერიტორიისა, რომლებიც აღმოაჩინეს ევროპელებმა).
⊙ **ავსტრალიელი ა.-ები.**

**აბრაკადაბრა** [ფრ. abraca-dabra] – **1.** უაზრო სიტყვა,რომელსაც აწერენ ამულეტზე: ძველი ებრაელებისა და ბერძნების რწმენით მაგიური ძალა ჰქონდა.
**2.** უაზრო სიტყვების ნაკრები, აბდაუბდა.

**აბორტ**-ი [ლათ. abortus] – ორსულობისნაადრევი შეწყვეტა; მუცლის მოშლა, მუცლის მოწყვეტა.

**აბრევიატურა** [იტ. abreviatura ლათ. brevis მოკლე: abrevie ვამოკლებ] – **1.** სიტყვა-კომპოზიტი, რომელიც შედგება ორი ან მეტი სიტყვის შემოკლებისგან. მაგ: გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია).
**2.** სიტყვათა პირობითი შემოკლება წერისას მაგ: ე. ი (-ესე იგი).
**3.** (მუს.) სანოტო წერაში მიღებული შემოკლება.

**აბსენტ**-ი [ფრ. absinjhe] – აბზინ-

დის (აბზინდა – მცენარეა) არაყი.

**აბსენტიზმ**-ი [ლათ. absens (absenjis) ვინც არ ესწრება] – 1. მასობრივი თავის აცილება არჩევნებში მონაწილეობისაგან.
2. კოლეგიალური ორგანოების წევრთა სისტემატური დაუსწრებლობა სხდომაზე.

**აბსოლაცია** [ლათ. absolatio განთავისუფლება] – 1. (სამარ.) სასამართლოს დადგენილება, რომლითაცბრალდებულსათავისუფლებენ სასჯელისგან.
2. კათოლიკურ ეკლესიაში: ცოდვათა მიტევება.

**აბსოლუტ**-ი [ლათ. absolutus თავისთავადი, უთუო] – იდეალისტურ ფილოსოფიაში: სამყაროს უსასრულო პირველი მიზეზი, საწყისი (აბსოლუტური სული,აბსოლუტური იდეა): ღვთაების სინონიმია.

**აბსოლუტიზმ**-ი [ფრ. absolutisme < ლათ. absolutus თავისთავადი; უთუო] – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად და განუყოფელად ეკუთვნის ერთ პირს, მონარქს; მეფის შეუზღუდავი მონარქია, თვითმპყრობელობა.
◎ **აბსოლუტისტური.**
⊙ **ხელისუფლების ა. ფორმა.**

**აბსოლუტურ**-ი [ლათ. absolutus თავისთავადი; უთუო] – 1. უთუო.
⊙ **ა. მონარქია.**
2. სრული, სრულყოფილი, უნაკლო, სრულქმნილი.
⊙ **ა. სიწყნარე. ა. უმრავლესობა, ა. სმენა.**

**აბსოლუტური ნული (ნოლი)** – (ფიზ.) თეორიულად დასაშვები ყველაზე დაბალი ტემპერატურა; – 273°, 16° C.

**აბსორბცია** [ლათ. absorbtio შთანთქმა] და **აბსორბირება** – (ფიზ. ქიმ.). შთანთქმა, შეწოვა, შესრუტვა.
⊙ **სინათლის ა., ბგერის ა., აირის ა.**
○ **აბსორფცია შცდ.**

**აბსტინენცია** [ლათ. abstilentia] – 1. მაგარი სასმელების სმისგან თავშეკავება. 2. სქესობრივი თავშეკავება.

**აბსტრაქტული** – აბსტრაქციის გზით მიღებული; განყენებული, არაკონკრეტული (საპირისპ. კონკრეტული).
⊙ **ა. ცნება.**

**აბსტრაქცია** [ლათ. abstactio მოცილება, მოშორება] და აბსტრაჰირება [გერმ. abstrahieren ლათ. abstratire] განყენება, განზოგადება; საგნის ამა თუ იმ მხარის, თვისება ან კავშირების აზრით განყენება.

მაგ: მეცნიერული აბსტრაქცია – შემეცნების პროცესში განხილული მხარის განყენება, მის მნიშვნელოვნად დამახასიათებელი თვისებების წამოჩენის მიზნით.

⊙ **აბსტრაგირება შცდ.**

**აბსტრაქციონიზმ**-ი [ფრ. abstractionnisme ლათ. abstractus განყენებული, არაკონკრეტული] – ფორმალისტური მიმართულება მე-20 ს.-ის. სახვით ხელოვნებაში (მხატვრობა, ქანდაკება), რომლისთვისაც დამახასიათებელია რეალური საგნების და მოვლენების გამოსახვის უარყოფა.

⊙ **აბსტრაქციონისტი, აბსტრაქტული**

**აბსურდ**-ი [ლათ. absurdus უაზრო, უთავბოლო] – შეუსაბამობა, უაზრობა, აბსურდული.

○ **ა. მსჯელობა.**

**აბსცეს**-ი [ლათ. abscissus] – (მედიც). ჩირქის დაგროვება რამე ორგანოში ან ქსოვილში (ჩირქგროვა).

**აბსცისა** [ლათ. absissus მოკვეთილი] – (მათემ.) ჰორიზონტალური კოორდინატი კოორდინატთა სწორკუთხა ბრტყელ სისტემაში.

◎ **აბსცისისა.**

○ **აბსცისასი შცდ.**

**აბულია** [ბერძ. abulia უნებარყოფობა] – (მედიც.). ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე.

**აგავა** [ბერძ. agauos საოცარი, დიდებული] – მცენარე, რომელსაც აქვს გრძელი ხორცოვანი ფოთლები და მრავალყვავილიანი მტევანი, ყვავის მხოლოდ ერთხელ (6-15 წლის) და ნაყოფის მომწიფების შემდეგ კვდება. მისი სამშობლოა მექსიკა; ჩვენში აშენებენ შავი ზღვის სანაპიროზე.

**აგამია** [ბერძ. agamia შეუღლებლობა]. **1.** დაუქორწინება. **2.** (ბიოლ.) სქესის უქონლობა.

**აგენტ**-ი [ლათ. agens (agentis) მოქმედი] – **1.** ვისიმე, რისამე წარმომადგენელი, რწმუნებული.

⊙ **დაზღვევის ა.**

**2.** ამა თუ იმ სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი; ჯაშუში, რომელიც აწყობს დაზვერვას, დივერსიებსა და სხვ.

◎ **სააგენტო** – ზოგი ცენტრალური დაწესებულების განყოფილების ან დამოუკიდებელი დაწესებულების სახელწოდება.

⊙ **აეროფლოტის ს., დეპეშათა ს.**

**აგენტურა** [ბერძ. agentur] – აგენტთა ერთობლიობა; აგენტები

(იხ. **აგენტი**, მნიშვ. 2).

◎ **აგენტურული, სააგენტურო, აგენტურისა.**

⊙ **ა. (ს.) დაზღვევა, ა. (ს.) ცნობები.**

○ **აგენტურასი შცდ.**

**აგიტაცია** [ლათ. agitatio აღძვრა, ამოძრავება] – **1.** პოლიტიკური მოღვაწეობა, რომლის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს ფართო მასების შეგნებასა და განწყობილებაზედარაზმოსისინი გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად.

⊙ **წინასაარჩევნო ა.**

**2.** მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს რაიმეში დარწმუნებას.

◎ **აგიტაციური, სააგიტაციო, აგიტირება, აგიტატორი.**

⊙ **ა. (ს.) მუშაობა., ს. ფურცელი.**

**აგნი** [სანსკრ. agni ცეცხლი] – ინდურ მითოლოგიაში: ღვთაება.

**აგნოსტიციზმ**-ი [ბერძ. a (უარყ. ნაწილაკის და gnosis შემეცნება; gnostos შეუმეცნებელი] – იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ობიექტური გარესამყაროს შეცნობა.

**აგონია** [ბერძ. agőnia ბრძოლა] – სიკვდილის წინა მდგომარეობა ორგანიზმისა.

**აგონოფობია** [ბერძ. agona მოედანი და phobos შიში] – (მედიც.) ავადმყოფური მდგომარეობა – სივრცის შიში, რომლის დროსაც ადამიანი ვერ ახერხებს სხვის დაუხმარებლად გადაიაროს მოედანი, დიდი დარბაზი და სხვ.

**აგრარულ**-ი [ლათ. agrarius მიწისა, მინდვრისა] – მიწათმოქმედებასთან, მიწათმფლობელებთან დაკავშირებული; სამიწათმოქმედო.

⊙ **ა. საკითხი, ა. რეფორმა.**

**აგრაფია** [ბერძ. a (უარყ. ნაწილაკი და grapho ვწერ] – (მედიც.) წერის უნარის დაკარგვა სრულიად ან ნაწილობრივ (თავის ტვინის დაავადების გამო).

**აგრეგატ**-ი [ლათ. aggregatus შეერთებული] – რთული მანქანა, რომელიც შედგება ერთმანეთთან შეერთებული სხვადასხვა ტიპის მანქანისგან.

⊙ **მოსავლის ასაღები ა.**

**აგრეგატულ**-ი: ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა – (ფიზ.) ნივთიერების ერთ-ერთი ფიზიკური მდგომარეობა (მყარი, თხევადი და გაზისებური).

**აგრესია** [ლათ. aggressia თავდასხმა] – ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე (ქვეყნებზე).
◎ **აგრესიული.**
⊙ **ა. პოლიტიკა.**

**აგრესორ**-ი – აგრესიის მომხდენი, თავდამსხმელი, დაპყრობითი ომის გამჩაღებელი.

**აგრო...** [ბერძ. agros მინდორი] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი.
⊙ **აგროტექნიკა, აგროკომპლექსი.**

**აგრონომ**-ი – აგრონომიის სპეციალისტი.

**აგრონომია** [ბერძ. sgronomia, agros მინდორი და nomos კანონი] – მეცნიერება მიწათმოქმედების და კულტურული მემცენარეობის შესახებ: სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული საფუძვლები.
◎ **აგრონომიული, სააგრონომიო.**
⊙ **ა. (ს) განათლება. ა. (ს) ფაკულტეტი, ა. (ს) დარგი.**

**აგროტექნიკა** – აგრონომიული ტექნიკა; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დამუშავების ხერხების სისტემა; მიზნად ისახავს საუკეთესო მოსავლის მიღებას შრომისა და წარმოების საშუალებათა მინიმუმის დახარჯვით.

**აგუტ**-ი – კუზიანი კურდღელი; ბინადრობს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში.

**ადაპტაცია** [ლათ. adaptatio შეგუება] და ადაპტირება [გერმ. adaptieren] – **1.** ორგანიზმის ან ფსიქიკის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად.
**2.** გრძნობის ორგანის შეჩვევა გარემოსთან მაგ: თვალის (მხედველობის) ადაპტაცია;
**ტექსტის ადაპტაცია** – რაიმე ტექსტის შემოკლება-გადაკეთება, გამარტივება უცხო ენის შემსწავლელთათვის.

**ადაჯო** [იტ. adagio] – (მუს.) **1.** მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი გაბმული ტემპი.
**2.** ასეთი ტემპით შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი.
⊙ **ბეთჰოვენის „მთვარის სონატის“ ა.**
○ **ა დაჯიო, ა დაჟიო შცდ.**

**ადეკვატური** [ლათ. adequatus] – (წიგნ.), რაც სავსებით შეესაბამება რასმე.
⊙ **ა. ცნებები, ა. ტექსტი.**
○ **ადექვატური შცდ.**

**ადეპტ**-ი [ლათ. adeptus მიღწეული]

– (წიგნ.). რაიმე მოძღვრების მომხრე, დამცველი.

**ადვენტისტები**-ი [ლათ. adventus მოსვლა] – ერთ–ერთი ქრისტიანული სექტის წევრები, რომელთაც სწამთ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა ახლო მომავალში.

**ადვოკატ**-ი [გერმ. advokat, ლათ advocatus advocane დახმარების ძახილი] – იურისტი,რომელიც გამოდის ბრალდებულის დამცველად ან აწარმოებს ვისიმე საქმეს სასამართლოში (მოძვ. და საუბ. ვექილი).

◎ **ადვოკატური** და **საადვოკატო.**

⊙ **ა. (ს.) საქმიანობა, ა. (ს.) პრაქტიკა.**

**ადიულტერ**-ი [ფრ. adultére ლათ adulterare პატივის ახდა] – მეუღლის მოტყუება, ღალატი.

**ადიუტანტ**-ი [გერმ. adiutant ლათ. adjutans (adjutantis) დამხმარე] – (სამხ) მეთაურთან,სარდალთან ან შტაბში დანიშნული ოფიცერი, რომელიც ასრულებს სხვადასხვა სამსახურეობრივ დავალებას ან საშტაბო სამუშაოს.

**ადმინისტრატორ**-ი [ლათ. administrator მმართველი] – ზოგ დაწესებულებაში: პასუხისმგებელი განმკარგულებელი; რისმე მომწყობი.

⊙ **თეატრის ა.**

◎ **ადმინისტრატორული.**

⊙ **ა. ნიჭი.**

**ადმინისტრაცია** [ლათ. administratio მართვა-გამგეობა] – **1.** აღმსრულებელი ხელისუფლების ორგანოები.

⊙ **პრეზიდენტის ა; აშშ-ის ა.**

**2.** რაიმე დაწესებულების, საწარმოს მმართველობა, ხელმძღვანელობა; ქვეყნის ცალკეული ნაწილების მმართველობა.

⊙ **ქარხნის ა., ქალაქის ა.**

◎ **ადმინისტრაციული, საადმინისტრაციო, ადმინისტრაციის, ადმინისტრირება.**

⊙ **ა. (ს.) თანამდებობა, ა. სასჯელი.**

○ **ადმინისტრატიული შცდ.**

**ადმირალ**-ი [ჰოლანდ. admiral. არაბ. amir al-bahr ზღვაზე მბრძანებელი] – მეთაურთა შემადგენლობის უმაღლესი სამხედრო წოდება სამხედრო – საზღვაო ფლოტში [ძვ. სინონ. ამირბარი (მაგ;„ ვეფხისტყაოსანში“)].

◎ **საადმირალო** – (ისტ.) ინგლისსა და რუსეთში: საზღვაო უწყება.

**ადრეს**-ი [ფრ. adresse] – **1.** წერილებითი მისალმება ცნობილი მოღვაწის ან რაიმე ორგანიზაციისადმი მის იუბი-

ლესთან (ან სხვ. რამ მოვლენასთან) დაკავშირებით.

**2**. (მოძვ.) მისამართი.

**ადრესანტ**-ი [გერმ. adressant ფრ.] – პირი, რომელიც გზავნის წერილს, დეპეშას.

**ადრესატ**-ი [გერმ. adressat ფრ.] – **1**. პირი, რომელსაც წერილი, დეპეშა ეგზავნება.

**2**. პირი, ვის სახელზეც ადრესია შედგენილი.

**აერო**... [ბერძ. aër ჰაერი] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი მნიშვნელობით – „საჰაერო“, „საავიაციო“.

⊙ **აეროფლოტი, აეროდინამიკა, აეროპორტი.**

**აერობიკა** [ინგლ. aerobics ბერძ. aër ჰაერი და bios სიცოცხლე] – მე-20 ს. 80-იან წლებში შეიქმნა ფრიად გავრცელებული სისტემა გამაჯანსაღებელი ვარჯიშებისა (რითმული ტანვარჯიში);

◎ **აერობიკისა.**

○ **აერობიკასი შცდ.**

**აეროდრომ**-ი [ფრ. aérodrome ბერძ. dromos სირბილი, რბენა] – თვითმფრინავების სადგომად და ასაფრენ-დასაფრენად მოწყობილი მოედანი, ასევე ნაგებობების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითმფრინავების საფრენოსნო (ფრენის) სამსახურს.

⊙ **სამხედრო ა., სოხუმის ა.**

○ **ჰაეროდრომი შცდ.**

**აეროვაგზალ**-ი – საჰაერო ტრანსპორტის მგზავრთა მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა აეროპორტებში.

○ **ჰაეროვაგზალი შცდ.**

**აეროპორტ**-ი იხ. აერო...] – დიდი აეროდრომი, რომელიც მოწყობილია აუცილებელი საშუალებებით მგზავრთა, ტვირთის, ფოსტის მისაღებად და გასაგზავნად: საჰაერო პორტი.

⊙ **თბილისის ა., საერთაშორისო ა.**

○ **ჰაეროპორტი შცდ.**

**აეროსტატ**-ი [ბერძ. aër ჰაერი და statos მდგომარე] – ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი – აირით (ჩვეულებრივ, წყალბადით ან ჰელიუმით) გავსებული ბურთი (ქართ. სინონ. ჰაერბურთი);

○ **ჰაეროსტატი შცდ.**

**ავანგარდ**-ი [ფრ. avant-garde arant- წინ, წინაშე, garde დაცვა] – **1**. (სამხ.). ჯარის (ან ფლოტის) ნაწილი, რომელიც მიდის მთავარი ძალების წინ სალაშქრო მოძრაობის ან თავდასხმის დროს. (საპირის. არიერგარდი).

**2**. (გადატ.) რაიმე საზოგადოების, ჯგუფის კლასის, მოწინავე

ნაწილი.
◎ **ავანგარდული.**
⊙. **ა. ბრძოლები**

**ᲐᲕᲐᲜᲒᲐ́ᲠᲓᲘᲖᲛ**-ი [ფრ. avant-gardisme] – მე-20 ს.-ის 20-იანი წლების ხელოვნებათა რიგი მიმდინარეობის დასახელება, რომლისთვისაც დამახასიათებელია რეალიზმისაგან მოწყვეტა, გამოსახავს შინაარსისა და საშუალებების ძიება.
◎ **ავანგარდისტი, ავანგარდული.**

**Ა́ᲕᲐᲜᲡ**-ი [ფრ. avance] – მისაღები ფულადი თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან ვისმე შესასრულებელ სამუშაოს ანგარიშში.
◎ **საავანსო.**
⊙ **ს. ანგარიში.**

**ᲐᲕᲐ́ᲜᲡᲪᲔᲜᲐ** [ფრ. avant – წინ, წინაშე და scéne სცენა] – სცენის ღია ნაწილი, რომელიც ფარდის წინ არის გამოწეული.

**ᲐᲕᲐᲜᲢᲘ́ᲣᲠᲐ** [ფრ. aventuren] – უპერსპექტივოდ, რეალური ძალებისა და პირობების გაუთვალისწინებლად წამოწყებული საქმე.
◎ **ავანტიურული;**
⊙ **ა. წამოწყება;**
○ **ავანტურა, ავანტურული შცდ.**

**ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣ́ᲠᲘᲖᲛ**-ი – ავანტიურისადმი მიდრეკილება.
◎ **ავანტიურისტული.**
⊙. **ა. პოლიტიკა.**
○ **ავანტურიზმი, ავანტურისტული შცდ.**

**ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣ́ᲠᲘᲡᲢ**-ი – ავანტიურის წამომწყები ან მონაწილე.
◎ **ავანტიურისტული.**
⊙ **ა. მოქმედება.**
○ **ავანტურისტი, ავანტურისტული შცდ.**

**ᲐᲕᲐ́ᲠᲘᲐ** [იტ. avaria] – **1.** მანქანის, თვითმფრინავის, გემის (ხომალდის) მწყობრიდან (უცაბედად) გამოსვლა.
**2.** უბედური შემთხვევა.
⊙ **თვითმფრინავის ა.**
◎ **ავარიული, საავარიო.**
⊙ **ა. მდგომარეობა. ს. სამსახური, ს. ავტომობილი.**

**ᲐᲕᲔ́ᲜᲘᲣ** [ფრ. avenue] – საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, აშშ და ზოგი სხვა ქვეყნის ქალაქებში: ფართო ქუჩა – პროსპექტი (გამზირი), რომლის ორივე მხარეს ჩვეულებრივ ხეებია დარგული.

**ᲐᲕᲗᲔᲜᲢᲘ́ᲙᲣᲠᲘ** და **ᲐᲣᲗᲔᲜᲢᲘ́ᲙᲣᲠᲘ** [ბერძ. authentilcos თვითმყოფი] – (წიგნ.) პირველ წყაროზე დამყარებული დედნის შესაბამისი; ნამდვილი, სარწმუნო.
○ **ავთენტური, აუთენტური, ავტენტიკური, აუტენტიკური შცდ.**

**ავია...** [ლათ. avis ფრინველი] – რთული სიტყვების პირველი ნაწილია.

⊙ **ავიატექნიკა, ავიაფოსტა, ავიახაზი, ავიატრანსპორტი.**

**ავიაბილეთ**-ი – თვითმფრინავის ბილეთი.

**ავიაკომპანია** – საავიაციო კომპანია (იხ. **კომპანია**, მნიშვ. 1).

○ **ავიოკომპანია, ავიაკამპანია, ავიოკამპანია შცდ.**

**ავიალაინერ**-ი – იგივეა, რაც ლაინერი (მნიშვ. 2).

○ **ავიოლაინერი შცდ.**

**ავიამოდელიზმ**-ი – თვითმფრინავის, პლანერისა და მისთ. მოქმედი მოდელების აღება და გაშვება, ჩვეულებრივ მოყვარულთა მიერ.

○ **ავიომოდელიზმი შცდ.**

**ავიარეის**-ი – საავიაციო რეისი, საავიაციო მარშრუტი.

○ **ავიორეისი შცდ.**

**ავიაცია** [ფრ. aviation < ლათ. avis ფრინველი] – **1.** ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატების (თვითმფრინავებისა და სხვ.) მოძრაობა (ფრენა): ასეთი მოძრაობის თეორია და პრაქტიკა.

**2.** საფრენი აპარატების ერთობლიობა: საჰაერო ფლოტი.

⊙ **სამოქალაქო ა; სამხედრო ა.**

◎ **საავიაციო**

⊙ **ს. მრეწველობა, ს. ბენზინი.**

**ავიზო** [იტ. avviso შეტყობინება] – (ფინანს.) უწყება,რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას.

**ავიტამინოზ**-ი [ბერძ. a უარყოფითი ნაწილი და ლათ. vita სიცოცხლე] – ავადმყოფობა, გამოწვეული ორგანიზმში ვიტამინების ნაკლებობით.

**ავრალ**-ი [ინგლ. over all! ზევით (ადით) ყველანი!] – **1.** (ზღვ.). გემზე მუშაობა, რომელშიც მთელი ეკიპაჟი მონაწილეობს.

**2.** (გადატ.) მთელი კოლექტივის მობილიზაცია სასწავლო,არაგეგმური დავალების შესასრულებლად.

**ავრორა** [ლათ. aurora] – **1.** ძველ რომაულ მითოლოგიაში: ცისკრის, განთიადის ქალღმერთი;

**2.** ძველბერძნულში - **ეოსი**;

**3.** პოეზიაში: ცისკარი, განთიადი.

**ავტო** [ფრ. qud] – ავტომობილის შემოკლებული ჩვეულებრივი სახელწოდებაა.

**ავტო...** [ბერძ. autos თვითონ] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი;

⊙ **ავტოინჟინერი, ავტოპორტრეტი, ავტობაზა.**

**ავტობან**-ი [გერმ. autobahn ავტომობილი და Bahn გზა] – ფართო ავტომაგისტრალი, ავტომობილების ჩქაროსნული მოძრაობისათვის.

**ავტობიოგრაფია** [ფრ. autobiographi – **1.** ბერძ. autos თვითონ, ბერძ. bios სიცოცხლე, ცხოვრება და grapho ვწერ] – საკუთარი ბიოგრაფია; ვისიმე მიერ თავისი ცხოვრების აღწერა.

◎ **ავტოგრაფიული.**

⊙ **ა. რომანი.**

**ავტობუს**-ი [გერმ. autobus ფრ. automobile ავტომობილი და ლათ.(omni) სულ ყველასათვის] – მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი, რომელიც გამოიყენება საქალაქო, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ტრანსპორტზე განსაზღვრული მარშრუტით მოძრაობისთვის.

◎ **საავტობუსო.**

⊙ **ს. მიმოსვლა, ს. მარშრუტი.**

**ავტოგრაფ**-ი [autographos თვით, ბერძ. grapho ვწერ.] – **1.** რაიმე ნაწარმოების ხელმოწერა თვით ავტორის ხელით შესრულებული.

⊙ **„დათა თუთაშხიას“ ა.**

**2.** საკუთარი ხელით გაკეთებული წარწერა სურათზე, წიგნზე და სხვ. საკუთარი ხელმოწერა.

**ავტოდრომ**-ი [ფრ. autodrome, ბერძ. dromos სარბენი ადგილი, რბენა] – სპეციალური მოედანი, სადაც ხდება ავტომობილებუს გამოცდა ან შეჯიბრება.

**ავტოვაგზალ**-ი – საქალაქთაშორისო სამგზავრო-საავტობუსო ტრანსპორტი (მგზავრთა) მომსახურებისთვის განკუთვნილი შენობა დიდ ქალაქებში.

⊙ **თბილისის ა.**

◎ **ავტოვაგზლის**

○ **ავტოვაგზალისა, შცდ.**

**ავტოკარ**-ი [ბერძ. autos თვით და ინგლ. car საზიდავი, ურიკა] – თვითურიკა ტვირთის მოკლე მანძილზე გადასატანად.

**ავტოკეფალია** [ბერძ. autos თვით და phalë თავი] – თვითმართვადი მართლმადიდებელი ეკლესია; ეკლესიის იურიდიული დამოუკიდებლობა.

⊙ **საქართველოს ეკლესიის ა.-ის 1500 წელი.**

◎ **ავტოკეფალიური.**

⊙ **ა. ეკლესია.**

○ **ავტოკეფალური შცდ.**

**ავტოკრატია** [ბერძ. autos თვით და kratos ხელისუფლება] – მართვის სისტემა, ფორმა- ერთი პირის (შეუზღუდავი) უკონტროლო სრულხელისუფლებიანობა, თვითმპყრობელობა, აბსოლუტიზმი.

**ავტომატ**-ი [ბერძ. automatos

თვითმოქმედი, თავისით მოქმედი] – **1**. აპარატი, მანქანა, ხელსაწყო, რომელიც ამოქმედების შემდეგ რაიმე სამუშაოს ასრულებს თავისით, ადამიანის ჩაურევლად.
**2**. ცეცხლასროლი ავტომატური იარაღი.
◎ **ავტომატური.**
⊙ **ა. მუხრუჭები, ა. სატელეფონო სადგური**
○ **ავტომატიური შცდ.**
◎ **მეავტომატე, ავტომატიკა; ავტომატის, ავტომატიზირება; ავტომატური, ავტომატიზირებული.**

**ავტომატიკა** – **1.** ტექნიკის დარგი, რომელიც გამოიმუშავებს წარმოების ავტომატიზაციის მეთოდებს.
**2**. ავტომატურად მოქმედი მექანიზმების მოწყობილობათა ერთობლიობა.

**ავტომობილ**-ი [ფრ. automobile, გერმ. automobil. ბერძ. autos თვით და ლათ. mobolis მოძრავი] – ადამიანთა გადასაყვანი ან ტვირთის გადასატანი მანქანა, რომელიც მოძრაობს ურელსო გზებზე; მოქმედებაში მოდის მის ჩარჩოზე დაყენებული შიგაწვის ძრავის მეშვეობით; იშვიათად ორთქლის ან ელექტროძრავის დახმარებით. (საუბ. სინონ. **მანქანა, ავტომანქანა**).
◎ **საავტომობილო.**
⊙ **ს. ქარხანა. ს. მრეწველობა, ს. გზები.**

**ავტომობილიზმ**-ი [ფრ. automobilisme] – საავტომობილო სპორტი.

**ავტომობილისტ**-ი [ფრ. automobiliste] – საავტომობილო სპორტის მოყვარული.

**ავტონიმ**-ი [ბერძ. autos თვით და onome (ან onyma) სახელი] – ნამდვილი სახელი ავტორისა, რომელიც ფსევდონიმით წერს.

**ავტონომია** [ბერძ. autonomia, autos თვით და nomos კანონი] – **1**. თვითმმართველობა.
**2**. ეროვნულ-ტერიტორიული ა.; სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი; საშინაო საკითხებს წყვეტს დამოუკიდებლად.
◎ **ავტონომიური.**
⊙ **ა. რესპუბლიკა, აფხაზეთის ა. რესპუბლიკა, აჭარის ა. რესპუბლიკა, შიდა ქართლის ა. ოლქი.**

**ავტოპილოტ**-ი – მოწყობილობა საფრენი აპარატის (თვითმფრინავის) ავტომატური მართვისათვის.

**ავტოპლასტიკა** – (მედიც.) ქსოვილების გადანერგვა სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე რაიმე დეფექტის გამოსასწორებლად.

**ავტოპორტრეტ**-ი – მხატვრის

მიერ დახატული თავისი პორ-ტრეტი.

**ავტორ**-ი [ლათ. au (c) tor შემ-ქმნელი, შემოქმედი] – პირი, რომელიც ქმნის მხატვრულ, მეცნიერულ (სამეცნიერო), ტექნიკურ და ა.შ. ნაწარმოებს (გამოგონება, პროექტი, წიგნი).

⊙ **რომანის ა, პროექტის ა., სამეცნიერო შრომის ა.**

◎ **საავტორო.**

⊙ **ს. უფლება, წიგნის ს. ცა-ლი.**

**ავტორიზებულ**-ი [ფრ. autorizer ნების დართვა] – ავტორისაგან უფლებამოსილების მიცემა, ნებართვა ნაწარმოების თარ-გმნაზე.

⊙ **ა. თარგმანი.**

**ავტორიტარულ**-ი [ფრ. autoritare ლათ. au (c) toritas მბრძანებლუ-რი] – 1. დიქტატორული, და-ფუძნებული (დამყარებული) ავტორიტეტისადმი, ხელისუფ-ლებისადმი უსიტყვო მორჩი-ლებაზე.

⊙ **ა. რეჟიმი.**

2. დამახასიათებელი თვისება იმისი, ვინც ცდილობს თავისი ძალაუფლების დამტკიცებას (დამკვიდრებას).

⊙ **ხელმძღვანელობის ა. სტი-ლი.**

**ავტორიტეტ**-ი [გერმ. autorität < ლათ. au (c) toritas ღირსება, ძალა] – 1. საყოველთაოდ აღიარებული გავლენა, მნიშ-ვნელობა. 2. პირი, რომელსაც ასეთი გავლენა აქვს მო-პოვებული.

⊙ **დიდი ა. აქვს მოპოვებული.**

◎ **ავტორიტეტიანი, ავტორიტე-ტული.**

⊙ **ა. მეცნიერი, ა. დასკვნა.**

**ავტოსტრადა** [იტ. autostrada ქუჩა] – საგანგებოდ ნაშენები გზატკეცილი ავტომობილების შეუფერხებელ, სწრაფი მოძ-რაობისათვის.

**ავტოფსია** [ბერძ. autos თვით და opsis შეხედვა, თვალის მიპყრობა.] – (მედიც.) გვამის გაკვეთა სიკვდილის მიზეზე-ბის დასადგენად.

**ავუარ**-ი [ფრ. avoir ქონება] – (ფინანს.) ცალკე პიროვნების ან დაწესებულების ანაბარი საზღვარგარეთის ბანკში.

**აზარტ**-ი [ფრ. lazard შემთხვევა, რისკი არაბ. as-sar კამათელი] – ძლიერი გატაცება რამეთი.

⊙ **ა.-ით ნადირობა.**

◎ **აზარტული.**

⊙ **ა .თამაში.**

○ **აზარტიული შცდ.**

**აზბესტ**-ი [ბერძ. asbestos უძრობი] – თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, რომელიც არ ატარებს სით-ბოსა და ელექტრობას; ცეცხ-ლგამძლე მასალა; ფართოდ

იყენებენ ტექნიკაში, როგორც ცეცხლგამძლე მასალას, საიზოლაციო საშუალებას და სხვ. (ქართ. სინონ. **ქანსელი**).

**აზიმუტ**-ი [ფრ. azimut არაბ. as-sumūt, მრ. samt გზა] – **1.** (ასტ.) კუთხე რომელსაც ქმნის დედამიწის რომელიმე წერტილის მერიდიანის ჰორიზონტალური და ამ წერტილსა და ცის მნათობზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე.

**2.**(სამხ.) კუთხე რომელიც იქმნება მოცემულ მიმართულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის.

**3.** (სამხ.) დედამიწის ზედაპირზე პირდაპირი მიმართულება.

**4.** მაგნიტური ა. – კუთხე, რომელიც იქმნება ნებისმიერ მიმართულებასა და ადგილის მაგნიტური მერიდიანის სიბრტყეებს შორის.

⊙ **ა.-ით სვლა** – მოცემული მიმართულებით სვლა კომპასით და გამოთვლილი კუთხით (აზიმუტით).

**აზოტ**-ი [ფრ. azote ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და zōos ცოცხალი] – ქიმიური ელემენტი, უფერული გაზი, რომელსაც არა აქვს სუნი და გემო და ხელს არ უწყობს წვას; ჰაერის ძირითადი შემადგენელი ნაწილი.

⊙ **ა. სასუქები**.

**ათეიზმ**-ი [ფრ. athéisme ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და atheos ღმერთი] – ღვთის არსებობისა და ყოველგვარი რელიგიის უარყოფა.

**ათეისტ**-ი – ათეიზმის მიმდევარი; პირი, რომელსაც ღმერთი არა სწამს.

◎ **ათეისტური**.

⊙ **ა. პროპაგანდა**.

**ათენა** [ბერძ. attçna] – ბერძნულ მითოლოგიაში: სიბრძნის, ხელოვნებისა და ომის ქალღმერთი, რომელიც დაიბადა ზევსის თავიდან.

**ათეროსკლეროზ**-ი [ბერძ. sklēros მშრალი, მყარი afhērē თხელი და ფაფა (მედიც.) გულისა და სისხლძარღვების სისტემის დაავადება; ყველაზე გავრცელებული ფორმა არტერიოსკლეროზისა.

**ათლეტ**-ი [ბერძ. athlētēs მოჭიდავე] – **1.** სპორტსმენი,რომელიც ათლეტიკას (ჩვეულებრივ, ძალოსნობას) მისდევს.

**2.** ღონიერი კაცი.

◎ **ათლეტური**.

⊙ ა. **აგებულების ახალგაზრდა**.

○ **ატლეტი, ათლეტიური, ატლეტიური შცდ**.

**ათლეტიკა** [ბერძ. athlesis ჭიდაობა] – სხვადასხვა ფიზი-

კური ვარჯიში, რომლებიც ავითარებს ძალას, ამტანობას.
◎ **ათლეტიკური.**
⊙ **ა. ვარჯიშები.**

**ᲐᲘᲐᲖᲛᲐ** [ბერძ. agiassmos კურთხევა] – (ეკლ.) ნაკურთხი წყალი.

**ᲐᲘᲐᲗᲝᲚᲐ** [სპარს.] – ირანში: შიიტური სექტის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული.

**ᲐᲘᲡᲑᲔᲠᲒ**-ი [ინგლ. iceberg შვედ. iseberg] – ზღვაში მცურავი ყინულის მთა. პოლარული მყინვარის მონატეხი.

**ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ** [ლათ. academia საკ. ბერძ. academia სახელწოდება ათენთან ახლოს მდებარე ბაღისა, სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი] –
**1.** უმაღლესი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულება.
⊙ **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული ა.**
**2.** ზოგიერთი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი.
⊙ **სამხატვრო ა.**
◎ **აკადემიური** – **1.** სასწავლო;
⊙ **ა. წელი, ა. საათი, ა. წარმატება.**
**2.** ძირითადად წყაროებთან შეჯერებული, სრული, საუკეთესო (მეცნიერული გამოცემა).
⊙ **„ვეფხისტყაოსანის“** ა. გამოცემა.
**3.** საუკეთესო. სანიმუშო (თეატრი, ანსამბლი).
⊙ **თბილისის რუსთაველის სახელობის ა. თეატრი., საქართველოს ხალხური ცეკვის ა. ანსამბლი.**

**ᲐᲙᲕᲐᲚᲐᲜᲒ**-ი [ინგლ. aqualung ლათ. aqua წყალი და ინგლ. lung ფილტვი] – აპარატი (შეკუმშული ჰაერით გავსებული ერთი ან რამდენიმე ბალონი), რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს ისუნთქოს წყალქვეშ (გამოიგონა ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა და მოღვაწემ ჟაკ ივ კუსტომ 1943 წ.).
○ **აქვალანგი შცდ.**

**ᲐᲙᲕᲐᲚᲐᲜᲒᲘᲡᲢ**-ი – პირი, რომელიც აკვალანგით აღჭურვილი დაცურავს წყალქვეშ.
○ **აქვალანგისტი შცდ.**

**ᲐᲙᲕᲐᲠᲔᲚ**-ი [ფრ. aquarelie, იტ. acquarello, ლათ. aqua წყალი] –
**1.** წყალში გახსნილი საღებავი: ჩვეულებრივ შერეული აქვს მცენარეული წებო (ქართ. სინონ. წყალსაღებავი)
⊙ **ა.-ით ხატვა.**
**2.** ფერწერა;ასეთი საღებავით ხატვა.
**3.** ასეთი საღებავით შესრულებული ნახატი.
○ **აქვარელი შცდ.**

**ᲐᲙᲕᲐᲠᲘᲣᲛ**-ი [ლათ. aquariu წყალსაცავი] – წყლით სავსე მიწის

ყუთი ან ხელოვნური წყალსაცავი, სადაც აშენებენ თევზებს, წყლის ცხოველებსა და წყალმცენარეებს.

○ **აქვარიუმი შცდ.**

**აკვატორია** [ლათ. aquatorium] _ (ზღვ) ნავსადგურის (პორტის) საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე, ნებისმიერი წყალსაცავის ფართობი.

⊙ **შავი ზღვის ა.**

○ **აქვატორია შცდ.**

**აკვედუკ**-ი [ლათ. aquveductus წყალსადენი] – ხიდი, რომლითაც გადაყვანილია წყალსადენი მილი, სარწყავი ან ჰიდროენერგეტიკული არხი ხევზე, ხეობაზე, რკინიგზაზე, გზატკეცილზე და სხვ. (ქართ. სინონ. ბელღარი).

○ **აქვედუკი შცდ.**

**აკლიმატიზაცია** [გერმ. akklimatisation]– და აკლიმატიზება – **1.** მცენარის ან ცხოველის შეგუება ახალი, უჩვეულო კლიმატის პირობებთან.
**2.** უჩვეულო ან ახალ კლიმატურ პირობებთან ადამიანის ორგანიზმის აქტიური შეგუების (ადაფტაციის) პროცესი.

**აკმე** [ბერძ. akmç მწვერვალი] – (მედიც). ავადმყოფის განვითარების უმაღლესი წერტილი.

**აკომპანემენტ**-ი [ფრ. akkompanemente] – მუსიკა რომელიც თან ახლავს და ჰარმონიულად ავსებს სოლო პარტიას; მუსიკალური თანხლება; აგრეთვე ძირითადი თემის მუსიკალური ნაწარმოების მელოდიის თანმხლები მუსიკა.

⊙ **სიმღერა როიალის ა.-ით.**

◎ **აკომპანირება.**

○ **აკომპანიმენტი, აკომპონიმენტი შცდ.**

**აკომპანიატორ**-ი [ფრ. compagnateur] – აკომპანემენტის შემსრულებელი (ჩვეულებრივ პიანისტი).

○ **აკომპონიატონი შცდ.**

**აკომპანირება** – აკომპანემენტის შესრულება.

○ **აკომპონირება შცდ.**

**აკორდ**-ი [ფრ. accorol, იტ. accordo] – (მუს.) ტერციებზე განლაგებული სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება.

⊙ **ბოლო ა.**

**აკორდეონ**-ი [ფრ. accordeon] – გარმონის ტიპის საკრავი, რომელსაც მარჯვენა ხელისთვის აქვს ფორტეპიანოსებური კლავიატურა.

**აკრედიტებული** [ლათ. accreob ვენდობი] – **1.** (დიპლ.) ვინც დანიშნულია წარმომადგენლად (ელჩად, დესპანად) უცხო სახელმწიფოს მთავრო-

ზასთან.

**2.** ჟურნალისტი, რომელიც დაშვებულია რაიმე (საერთაშორისო) კონფერენციაზე, სპორტულ შეჯიბრებებზე, ფესტივალზე და მისთ.

⊙ **აკრედიტება. აკრედიტაცია.**

○ **აკრედიტირებული შცდ.**

**აკრედიტივ**-ი [გერმ. akkreditiv, ლათ. accredo, ფრ. accreditif ვენდობი] – **1.** საკრედიტო დაწესებულების (ბანკის, შემნახველი სალაროს) მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ბრძანებით ავალებს სხვა ასეთივე დაწესებულებებს მისცეს წარმომადგენლს გარკვეული თანხა.

**2.** (დიპლ.) რწმუნების სიგელი; დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დიპლომატიურ წარმომადგენლის რწმუნებებს.

**აკრობატ**-ი [ფრ. acckobate<ბერძ. akrobatēs ზევით ამსვლელი] – ცირკის ტანმოვარჯიშე ან მსახიობი, რომელიც აკრობატიკას მისდევს.

**აკრობატიკა** [< ბერძ. akrobatēo ფეხის წვერებზე დავდივარ] – საცირკო ხალოვნებისა და ტანვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც მოიცავს ხტომებს, ყირას, ბრუნს და მისთ; ასრულებენ ერთეულები, წყვილები, სამეულები, ოთხეულები.

◎ **აკრობტიკული** და (დასაშვებია) **აკრობატული.**

⊙ **ა. ნომრები, ა. ნახტომი.**

○ **აკრობატიული შცდ.**

**აკროპოლის**-ი და აკროპოლ-ი [ბერძ. akropolis] – ძველი საბერძნეთის ქალაქების ცენტრალური გამაგრებული ნაწილი, მაღლობზე, გორაკზე გაშენებული.

⊙ **ათენის ა.**

**აკროსტიქ**-ი [ბერძ. akrostichis] – ლეგასი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებიდან გამოდის სახელი სიტყვა, ან ფრაზა.

○ **აკროსტიხი შცდ.**

**აკუმულატორ**-ი [ლათ. accumulator შემკრები] – მოწყობილობა, რომელშიც ხდება ელექტრობის დაგროვება შემდგომში მის თანდათანობით დასახარჯავად.

⊙ **ავტომობილის ა.**

○ **აკუმულიატორი შცდ.**

**აკუმულაცია** [ლათ. accumulatio] და **აკუმულირება** – **1.** (ფიზ. ტექ.) რისამე (მაგ., ენერგიის) დაგროვება,

**2.** (გეოლ.). ორგანული და მინერალურ ნივთიერებათა დაგროვება დედამიწის ზედაპირზე, წყლის ფსკერზე –ქარის, წყლის, ვულკანის და სხვ.

მოქმედების შედეგად.
◎ **აკუმულაციური.**
⊙ **ენის ა. ფუნქცია.**

**აკუპუნქტურა** [ლათ. acus ნემსი და punqtio ჩხვლეტა] – ჩინური ხალხური კლასიკური მედიცინის მეთოდი – ნემსის ჩხვლეტით მკურნალობა.

**აკუსტიკა** [ბერძ. acusticos სმენის] – **1**. ფიზიკის დარგი, რომელიც ბგერით რხევას სწავლობს.
**2**. სმენადობის პირობები რაიმე შენობაში, სადგომში.
⊙ **საკონცერტო დარბაზის ა.**
◎ **აკუსტიკური.**
⊙ **ა. აპარატურა, ა. შთაბეჭდილება.**

**ალაჰ**-ი [არაბ. alláh] – მაჰმადიანთა (მუსულმანთა) და არაბულენოვანი ქრისტიანების ღმერთი.
○ **ალახი შცდ.**

**ალბატროს**-ი [ფრ. albatros] – ზღვის დიდი ფრინველი; აქვს წაგრძელებული ნისკარტი და გრძელი და წვრილი ფრთები; ცხოვრობს უმთავრესად დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში.

**ალბიონ**-ი [კელტ. albion] – ბრიტანეთის კუნძულების, ინგლისის უძველესი სახელწოდება.
⊙ **ღრუბლიანი ა.**

**ალბომ**-ი [ფრ. album] – **1.** მაგარი ყდის მქონე რვეული ლექსების ჩასაწერად, ფოტოსურათების, მარკების ჩასაკრავად.
**2**. ერთად აკინძული სურათების, ნახაზების და სხვ. კრებული.
⊙ **თბილისის ხედების ა.**

**ალგებრა** [ლათ. algebra არაბ. aldЉabr წილადის შეკვეცა] – მათემატიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიდიდეებზე მოქმედებათა ზოგად კანონებს ამ სიდიდეების რიცხობრივი მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად.
◎ **ალგებრული.**
⊙ **ა. რიცხვები., ა. განტოლება. ა. გამოსახულება.**
○ **ალგებრაული შცდ.**

**ალგოლ**-ი [ინგლ. algorithmic language] – პროგრამირების ერთ-ერთი სამუშაო ენა.

**ალგორითმ**-ი [ფრ. algorithme] – (მათემ.) რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მოქმედებათა მიმდევრობა.
○ **ალგორიტმი შცდ.**

**ალებარდა** [ფრ. hallegarde] – ძველებური ცივი იარაღი – შუბი, რომელსაც ბოლოზე წამოცმული ჰქონდა ნაჯახის მაგვარი პირი; ბრძოლაში იყენებდნენ შვეიცარიელები და გერმანელები (ქართ. სინონ.

აფთი).
◎ **ალებარდისა.**
○ **ალებარდასი შცდ.**

**ალეგორია** [ბერძ. allēgoria] – არაპირდაპირი ხერხით, იგავურად, ქარაგმულად გამოხატვა აზრისა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში.
◎ **ალეგორიული; ალეგორიისა.**
⊙ **ა. ჟანრი, ა. სურათი.**
○ **ალეგორასი შცდ.**

**ალერგია** [ბერძ. allos სხვა და engon მოქმედება] – (მედიც.) **1.** ორგანიზმის მგრძნობიარობის შეცვლა მიკრობების ან უცხო ცილების განმეორებითი ზემოქმედების მიმართ.
⊙ **ა. მარწყვზე.**
**2**. (გადატ.) რაიმეს ზიზღი.
⊙ **ა. კომპლიმენტებით.**
◎ **ალერგიული.**

**ალეია** [ფრ. allée] – გზა, ხეივანი ორივე მხრით ხეებით დარგული: საცალფეხო ბილიკი პარკში ან ბაღში.

**ალია** [ებრ. alia] – ისრაელში სხვადასხვა ქვეყნიდან ებრაელთა გადმოსახლების, ემიგრაციის პროცესი.
◎ **ალიისა.**
○ **ალიასი შცდ.**

**ალიანს**-ი [ფრ. alliance] – საერთაშორისო კავშირი, გაერთიანება.
⊙ **კოპერატიული ა.**

**ალიაფურშეტ**-ი [ფრ. alafourchette ჩანგალი] – ვახშამი, ფეხზე მდგომარე საუზმე.
⊙ **ბანკეტი – ფურშეტი.**

**ალიბი** [ლათ. alibi სხვა ადგილას, სხვაგან] – (სამართ.) ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება; დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულის სხვაგან ყოფნა, როგორც მტკიცება მისი უდანაშაულობისა.
⊙ **ა.-ის დამტკიცება.**
◎ **ალიბიმ.**
○ **ალიბმა შცდ.**

**ალიგატორ**-ი [ინგლ. alligator ეც el lagarto ხვლიკი] – ნიანგის სახეობა.
⊙ **ჩინური ა., მისისიპის ა.**

**ალილუია** ძვ. ებრ. halleluja, hallelüjäh ადიდეთ ღმერთი] – ღმერთის მიმართ სახოტბო მიმართვა ქრისტიანულ და იუდეურ ღვთისმეტყველებაში.

**ალიმენტ**-ი [ლათ. alimentum საზრდო] – ფულადი სახსრები, საკვები რომელსაც, ოჯახს მოშორებული პირი კანონის ძალით უხდის შრომისუნარმოკლებულ ოჯახის წევრებს (შვილებს,მშობლებს. მეუღლეს).

**ალიტერაცია** [alliteratio, al ad და litera] – პოეტური, მხატვრული

ხერხი – ლექსის ტაეპში ერთი და იმავე თანხმოვნის რამდენჯერმე ბგერითი გამეორება განწყობილების შესაქმნელად.

⊙ **ა. კლასიკური ნიმუშია**: კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ ჩავაკარაბაკე (რუსთაველი).

**ალკაზარ**-ი [ეც. alcazar არაბ.] – ესპანეთში: ციხე-სიმაგრე ან მეფის სასახლე.

**ალკალდ**-ი [ესპ. alcalde არაბ. alquadi ყადი, მოსამართლე] – ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში: თემის მეთაური და მოსამართლე.

**ალმა-მატერი** [ლათ. alma mater მწოვარი დედა] – ასე უწოდებენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტს, რომელიც სულიერ საზრდოს აძლევს ადამიანს.

**ალმანახ**-ი [გერმ. Almanach ლათ, almanachs არაბ. კალენდარი] – არაპერიოდული კრებული, რომელშიც მოთავსებულია თანამედროვე ავტორთა ლიტერატურული ნაწარმოებები.

⊙ **ახალგაზრდა მწერალთა ა.**

**ალო**! [ინგლ. hullo] – სიტყვა (შორისდებული), რომელსაც იყენებენ ტელეფონით ლაპარაკის დროს: ნიშნავს: გისმენთ! გისმენთ!

○ **ალიო!, ალლო! შცდ.**

**ალოგიზმ**-ი [ბერძ. ა უარყოფითი ნაწილაკი და logisms განსჯა, მსჯელობა] – ლოგიკის საწინააღმდეგო, ლოგიკის კანონების შეუსაბამო რამ; ლოგიკის, ლოგიკური განსჯის, მსვლელობის დარღვევა; შეუსაბამობა.

◎ **ალოგიკური.**

**ალოე** [ბერძ. aloe] – (ბოტან.), მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე: აქვს ხორციანი მოგრძო კიდე ეკლიანი ფოთლები; მის წვენს იყენებენ მედიცინაში.

◎ **ალოესი.**

○ **ალოისა შცდ.**

**ალონიმ**-ი [ბერძ. allos სხვა, მეორე და onoma სახელი] – ვისიმე ნამდვილი სახელი, ფსევდონიმად გამოყენებული.

**ალპინიადა** – ალპინისტების მასობრივი ასვლა მაღალ მთებზე.

⊙ **ახალგაზრდული ა.**

**ალპინიზმ**-ი [ფრ. alpinizme „ალპები“-დან] – სპორტის სახეობა – ასვლა ძნელმისადგომ მთის მწვერვალებზე (ქართ. სინონ. მთამსვლელობა).

○ **მთასვლელობა შცდ.**

◎ **ალპინისტური.**

⊙ **ა. სეზონი, ა. ბანაკი.**

**ალპინისტ**-ი – ალპინიზმის

მიმდევარი – მთის ტურისტი (ქართ. სინონ. მთამსვლელი).

○ **მთასვლელი შცდ.**

**ალპური** – ალპებთან და, საერთოდ, მაღალ მთებთან დაკავშირებული (ქართ. სინონ. მაღალმთიანი).

⊙ **ა. საძოვრები, ა. მცენარეულობა.**

○ **ალპიური შცდ.**

**ალტარ**-ი [ლათ. altaria – altus მაღალი] – **1.** ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან დაშორებულია კანკელით.

**2.** (გადატ.). მეცნიერების ალტარზე რაიმეს მიტანა – რაიმეს მსხვერპლად შეწირვა: მიყვანა (მისვლა) ალტასთან – საეკლესიო ქორწინებაზე.

**ალტერნატივა** [ფრ. alternatife – ლათ. alter – ერთ-ერთი ორიდან; შდრ. tertus gáudens მესამე მოხარულია] – ორი ან რამდენიმე ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა: მესამე შესაძლებლობის არარსებობა.

◎ **ალტერნატიული.**

⊙ **ა. გადაწყვეტილება, ა. პროექტი, ა. არჩევნები.**

○ **ალტერნატივული, ალტერნეტული შცდ.**

**ალტიტუდა** [ლათ. altituolo სიმაღლე] – ადგილმდებარეობის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან.

**ალტრუიზმ**-ი [ფრ. altruisme ლათ. alter და სხვ.] – უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის, მზადყოფნა შესწიროს თავისი პირადი ინტერესები.

◎ **ალტრუისტული.**

⊙ **ა. ქმედება, ა. საქციელი.**

**ალუზია** [ფრ. allussion გადაკრული სიტყვა] – (ლიტ.) რიტორიკული ხერხი – გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოების.

**ალურ**-ი [ფრ. allune] – ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა (ნაბიჯით, თოხარიკით, ოთხით და სხვა).

**ალუმინ**-ი [ლათ. alumen (aluminus) შაბი] – ქიმიური ელემენტი Al, რიგითი ნომერი – 13, ატ. წონა 26,97; მოვერცხლისფერო–თეთრი მსუბუქი ჭედადი ლითონი.

⊙ **ა. ფინჯანი.**

○ **ალიუმინი შცდ.**

**ალფაბეტ**-ი [ბერძ. alphabētos ბერძნული პირველი ორი ასოს – α-ს (ალფა) და β-ს

(ბეტა) სახელის მიხედვით] – ანბანი.

◎ **ალფაბეტური.** (ქართ. სინონ. **ანბანი, ანბანური.)**

⊙ **ა. კატალოგი.**

○ **ალფავიტი, ალფავიტური შცდ.**

**ᲐᲚᲤᲝᲜᲡ**-ი – კაცი, რომელიც საყვარლის ხარჯზე ცხოვრობს [ალექსანდრე დიუმას (შვილი) ერთ-ერთი პიესის მთავარი გმირის სახელის მიხედვით].

**ᲐᲚᲥᲘᲛᲘᲐ** [ლათ. alchymia არაბ. alkimiya] – შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება (მიმართულება): ეძიებდა ბუნებაში არარსებულ ე.წ. „ფილოსოფიურ ქვას“, რომლის საშუალებითაც უბრალო ლითონები უნდა გადაექცია ოქროდ და ვერცხლად,განეკურნა ყველა ავადმყოფი და სხვა.

○ **ალხიმია შცდ.**

**ᲐᲛᲐ́ᲖᲝᲜ**-ი [ბერზ. amazôn (amazone), a უარყოფითი მაწილაკი და mazos ამორძალი (მეომარი ქალი), დვრილი ძუძუს თავი, კერტი] – **1.** ცხენოსანი ქალი.

**2.** ქალის გრძელი საცხენოსნო კაბა.

◎ ამაზონის. (ძველი ბერძნული თქმულებით, ა.-ები მარჯვენა ძუძუს იკვეთდნენ მშვილდისრიდან მოხერხებული სროლისათვის, ა.-ები შავი ზღვის პირზე ცხოვრობდნენ, საიდანაც თავს ესხმოდნენ მეზობელ ქვეყნებს).

**ᲐᲛᲐ́ᲚᲒᲐᲛᲐ** [ფრ. amalgame არაბ.] – რაიმე ლითონის შენადნობი ვერცხლის წყალთან.

**ᲐᲛᲑᲘ́ᲝᲜ**-ი [< ბერძ. ambôn – ამაღლება] – მართლმადიდებულ ეკლესიაში: საკურთხევლის წინ ამაღლებული ადგილი, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ.

**ᲐᲛᲑᲘ́ᲪᲘᲐ** [ფრ. ambition ლათ. ambitio] – **1.** გადაჭარბებული თავმოყვარეობა; პატივმოყვარეობა.

**2.** პრეტენზია რაიმეზე.

⊙ **გაუმართლებელი ა.-ები.**

◎ **ამბიციური.**

**ᲐᲛᲑᲠᲐ́ᲖᲣᲠᲐ** [ფრ. embrazure] – **1.** (სამხ). ნამსხვრევი რაიმე თავდაცვის ნაგებობაში ქვემეხის, ნაღმსატყორცნის ან ტყვიამფრქვევი სასროლი (ქართ. სინონ. **სათოფური**).

**2.** კედელში დატოვებული ღიობი ფანჯრის ან კარისათვის.

◎ **ამბრაზურისა.**

○ **ამბრაზურასი შცდ.**

**ᲐᲛᲑᲠᲝ́ᲡᲘᲐ** [ბერძ. ambrosia] – ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების საჭმელი, რომელსაც უკვდავების, მარადიულ სიახალგაზრდავეს და

სილამაზეს ანიჭებს მათ (იხ. აგრეთვე **ნექტარი**).

**ამბულატორია** [ლათ. ambulatorius მოსიარულე, მოძრავი] – სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევს იქ მიმსვლელ ან სახლში მყოფ ავადმყოფს.
◎ **ამბულატორიული.**
⊙ **ა. მკურნალობა.**
○ **ამბულატორული შცდ.**

**ამება** [ბერძ. amoibe ცვლილება] – უმარტივესი,მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი. რომელსაც არა აქვს მუდმივი ფორმა. ცხოვრობს წყალში.
◎ **ამებისა.**
○ **ამებასი შცდ.**

**ამებიაზ**-ი – (მედიც.) დაავადება, რომელსაც იწვევს ამება.

**ამეთვისტო** [ბერძ. amjhystos თრობის საწინააღმდეგო] – ნახევრად ძვირფასი ქვა იისფერი ან ლურჯი: გამჭვირვალე, იისფერი; კვარცის ნაირსახეობა.

**ამენორეა** [ბერძ. α უარყოფითი ნაწილაკი, men თვე და rbeô მივედინები] – მენსტრუაციის არქონა ქალის სქესობრივი მწიფობის ასაკში.

**ამიმია** – (მედიც.) სახის მიმიკის შესუსტება ან სრული მოშლა ნერვული სისტემის დაავადების შედეგად.

**ამინ** [ბერძ. amen, ჭეშმარიტად] – ამ სიტყვით მთავრდება ქრისტიანული ლოცვები.

**ამნეზია** [ბერძ. α უარყოფითი ნაწილაკია და mnesis გახსენება] – მეხსიერების შესუსტება ან სრული დაკარგვა.
◎ **ამნეზიის.**
○ **აგნეზიასი შცდ.**

**ამნისტია** [ბერძ. amnēstia (დანაშაულის) დავიწყება, პატიება] – **1.** სასამართლოს მიერ სასჯელის სრული მოხსნა ან შემსუბუქება უმაღლესი ხელისუფლების დადგენილებით გარკვეული კატეგორიის მსჯავრდადებულთათვის. არსებობს საერთო და კერძო ა. **2.** საერთოდ პატიება, შეწყალება.
○ **ამინისტია შცდ.**

**ამორალიზმ**-ი – მორალის, ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფა, ზნეობრივი პრინციპების უარყოფა; ამორალურობა.

**ამორალური** [ბერძ. α უარყოფითი ნაწილაკი და ლათ. moralis მორალური,ზნეობრივი] – (წიგნ.) **1.** მორალის, ზნეობრივი ნორმების უგულებელმყოფელი. (ქართ. სინონ. უზნეო.).
⊙ **ა. ადამიანი.**

**2.** ასეთი ადამიანის დამახასიათებელი.
⊙ **ა. საქციელი.**

**ამორტიზატორ**-ი – ამორტიზაციისათვის (მნიშვ. 2) საჭირო მოწყობილობა.
⊙ **ავტომობილის ა.**

**ამორტიზაცია** [ლათ. amortizatio შესუსტება] და **ამორტიზება** [გერმ. amostisieren] – **1.** მანქანა-მოწყობილობათა, ნაგებობათა ღირებულების თანდათანობითი შემცირება მათი გაცვეთის შემდეგ.
**2.** ბიძგების, დარტყმების შებრძოლება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით.
◎ **საამორტიზაციო.**
⊙ **ს. მოწყობილობა** – ამორტიზატორი.
○ **ამორტიზირება შცდ.**

**ამორფულ**-ი [ბერძ. amorphos] – **1.** (მინ,ქიმ.) რასაც კრისტალური აგებულება არა აქვს (მაგ. ქარვა, ფისი, მინა.).
**2.** უფორმო.
⊙ **ა. სხეული.**
○ **ამორფიული შცდ.**

**ამპერ**-ი – ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული [ფრ. ფიზიკოსის ampése-ის (1775-1836) გვარის მიხედვით].

**ამპლიტუდა** [ლათ. amplituoto სიდიდე, სიფართოვე] – **1.** (ფიზ.) სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; გაქანების სიდიდე.
⊙ **გაქანების ა.**
**2.** სხვაობა ბარომეტრის ან თერმომეტრის ორ სიმაღლეს შორის.
◎ **ამპლიტუდისა.**
○ **ამპლიტუდასი, ამპლიტუდი შცდ.**

**ამპლუა** [ფრ. emploi] – **1.** გარკვეული ხასიათის როლები, რომლებიც შეეფერება მსახიობის თავისებურებებს, მის სასცენო მონაცემებს.
⊙ **კომიკოსის ა.**
**2.** (გადატ.). როლი, ვინმეს მდგომარეობა.
⊙ **ის თავის ა.-შია.**
◎ **ამპლუისა.**
○ **ამპლუასი შცდ.**

**ამპულა** [ლათ. ampulla] – ჰერმეტულად დახურული მინის პატარა ჭურჭელი, რომელშიც წამალია.

**ამპუტაცია** [ლათ. amputatio მოკვეთა] – ქირურგიული ოპერაცია – სხეულის დაავადებული პერიფერიული ნაწილის (მაგ. კიდურის) სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა.
⊙ **ფილტვის ა., კიდურის ა.**
◎ **ამპუტირება.**

**ამულეტ**-ი [ლათ. amuletum არაბ.] – რაიმე პატარა ნივთი,

რომელსაც მორწმუნეები თან ატარებენ, ვითომდა ავადმყოფობის „ავი თვალის“ ან რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად (ასაცდენად). (ქართ. სინონ. ავგაროზი, თილისმა, შანა).

**ამუნიცია** [პოლონ. amnicya ლათ.] – **1.** სამხედრო აღკაზმულობა (გარდა იარაღისა და ტანსაცმლისა): სალაშქრო ჩანთა, სარტყელი, მათარა, საქამრე, საზეთე და სხვა.
**2.** ცხენის აღკაზმულობა (უნაგირი, მოსართავები და სხვა).

**ამურ**-ი [ფრ. amour ლათ. amor სიყვარული] – რომაულ მითოლოგიაში: სიყვარულის ღმერთი – ღმერთქალ ვენერას ვაჟი, რომელიც წარმოდგენილი ჰყავთ მშვილდისრიანი ფრთოსანი ყმაწვილის (ჭაბუკის) სახით. მეორე სახელწოდება – კუპიდონი. ბერძნულ მითოლოგიაში: ეროტი.

**ამფი... ამფო...** [< ბერძ. amphibios ირგვლივ, გარშემო, ორივე მხარეს; amphō ორივე] – თავსართი, რომელიც აღნიშნავს: გარემოცვას, გარშემორტყმას, მოცვას, ან ორი საგნის დამოკიდებულებას: ორმაგს, ორმხრივს.
⊙ **ამფითეატრი, ამფიბია.**

**ამფიბია** [ბერძ. amphibios ორგვარად მცხოვრები] – **1.** ხერხემლიანი ცხოველი, რომელიც განვითარების პირველ სტადიაზე სუნთქავს ლაყუჩებით, წყალხმელეთა ცხოველი. (მაგ., წყალხმელეთა ბაყაყი, სალამანდრა).
**2.** მცენარე, რომელიც ხარობს როგორც წყალში, ისე ხმელეთზე.
**3.** ავტომობილი, ტანკი, თვითმფრინავი და მისთ. რომლებსაც შეუძლიათ წყლის დაბრკოლებათა გადალახვა ცურვით.

**ამფითეატრ**-ი [ბერძ. amphiteatron-amphi ორივე მხრივ, ირგვლივ და theatron სანახაობის ადგილი] – **1.** თანამედროვე თეატრში: პარტერის უკან თანდათანობით ამაღლებული დასაჯდომი ადგილები.
**2.** ძველ საბერძნეთსა და რომში: წრიული ან ნახევრად წრიული უსახურავო ნაგებობა თანდათანობით ამაღლებული ადგილებით, სადაც იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა.

**ამფიტრიტე** [ბერძ. amphitritç] – ბერძნულ მითოლოგიაში: ზღვის ქალღმერთი, პოსეიდონის ცოლი.

**ამფორა** [amphora – ბერძ.] – ძველ საბერძნეთსა და რომში: თიხის ვიწროყელიანი ორყურა დიდი

ჭურჭელი ღვინის, ზეთის და სხვა სითხის შესანახად.

**ანაბაპტიზმ**-ი [ბერძ. anabaptizô ხელახლა ვნათლავ] – რელიგიურ-სექტანტური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს საეკლესიო იერარქიას, მოითხოვს, რომ ადამიანი მოინათლოს მოწიფულობის ასაკში.

**ანაბიოზ**-ი [ბერძ. anabiôsis გაცოცხლება, აღორძინება] – (ბიოლ.) ზოგ ორგანიზმში: სასიცოცხლო პროცესის დროებითი შენელება ან შეწყვეტა გარე პირობების შეცვლასთან (მაგ., ტემპერატურის ძალიან დაწევა, უწყლოობა) დაკავშირებით; ხელსაყრელი პირობების დადგომასთან ერთად აღდგება ორგანიზმის ცხოველმოქმედება.

**ანაბოლიზმ**-ი [ბერძ. anabolç აღმავლობა] – (ბიოლ.) ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის იმ ქიმიურ პროცესთა ერთობლიობა, რომელთა დროსაც უჯრედებისა და ქსოვილების შემადგენელი ნაწილები წარმოიქმნება; შეესატყვისება ასიმილაციას; საპირისპ. **კატაბოლიზმი.**

**ანაგრამა** [ბერძ. ana გადა..., პირუკუ, უკან, საწინააღმდეგო და gramma ასო] – სიტყვაში ასოების გადაჯგუფება, გადაადგილება, ახალი სიტყვის წარმოქმნის მიზნით.

⊙ **ნორმა** – რომანი.

**ანათემა** – [ბერძ. anathema დაკისრებული] – (ეკლ.) ეკლესიიდან განდევნა; შეჩვენება, დაწყევლა.

⊙ **ა-ზე გადაცემა.**

**ანაკონდა** [ესპ. anaconda] – ყველაზე მსხვილი მახრჩობელა გველი (6-დან 11 მ-დე სიგრძის).

**ანაკრეონტულ**-ი პოეზია – პოეზია, რომელიც უმღეროდა მხიარულ ცხოვრებას, სიყვარულს, ღვინოს; საქართველოში არაკრეონტულ ლექსებს წერდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი [ძველი ბერძენი პოეტის ანაკრეონტის სახელიდან].

**ანალგია** და **ანალგეზია** [ბერძ. analgesia] – (მედიც.) ტკივილის შეგრძნების დაკარგვა.

**ანალიზ**-ი [ბერძ. analysis დაშლა] – **1.** მეცნიერებაში კვლევის მეთოდი.

**2.** რისმე შესწავლა ნაწილებად დაშლის გზით; რაიმე ნივთიერების შედგენილობისა და თვისებების გარკვევა (საპირ. სინთეზი, მნიშ. 1).

⊙ **ქიმიური ა., სისხლის ა.**

**3.** რისამე ყოველმხრივი გან-

ხილვა, გარჩევა.
⊙ **მოთხრობის ა.**
**მათემატიკური ანალიზი** – იხ. **მათემატიკური.**
◎ **ანალიზური.**
⊙ **ა. ქიმია.**
◎ **საანალიზო.**
⊙ **ს. მასალა, ს. ჩაი.**
○ **ანალიტიკური, ანალიტიური შცდ.**

**ანა́ლოგ**-ი [ბერძ. analogos შესაბამისი, შესატყვისი, თანაზომიერი, შეფარდებითი] – რაღაც მსგავსი, თანაბარი საგნებისა, მოვლენებისა და ცნებებისა.

**ანალო́გია** [ბერძ. analogia შესატყვისობა] – მსგავსება საგნებსა, მოვლენებსა და ცნებებს შორის.
◎ **ანალოგიური, ანალოგიისა.**
○ **ანალოგიასი შცდ.**

**ანა́ლოე** [ბერძ. analogeion წიგნების ქვესადგამი] – მართლმადიდებელთა ეკლესიაში: მაგიდა, რომელზედაც საღმრთო წიგნებს დებენ ლოცვის დროს.

**ანა́ლურ**-ი [ფრ. anal – ლათ. anus ყითა ნაწლავი] – (ანატ). ყითა ნაწლავთან დაკავშირებული.
⊙ **ა. ხვრელი.**

**ანა́მნეზ**-ი [ბერძ. anamnesis მოგონება] – (მედიც.) ცნობები. ავადმყოფის ცხოვრების პირობათა შესახებ დაავადებამდე და ავადმყოფობის განვითარების ისტორია; ადგენს ექიმი ავადმყოფის ან მისი ახლობლების ჩვენებათა მიხედვით.

**ანა́ნას**-ი [ესპ. ananas, anana - გურანის (ბრაზილია) ენიდან nana] – მრავალწლოვანი ბალახოვანი ტროპიკული მცენარე ბრომელიების ოჯახიდან; ისხავს სურნელოვან ნაყოფს; ამ მცენარის ნაყოფი.

**ანა́რქია** [ბერძ. anarchia უმთავრობობა, არეულობა] – **1.** ხელისუფლების, მართვა-გამგეობის არარსებობა.
⊙ **იქ ა. სუფევს.**
**2.** (გადატ.) სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი, სტიქიურობა.
⊙ **ა. ეკონომიკაში.**
◎ **ანარქიული.**
⊙ **ა. მდგომარეობა.**
○ **ანარხია, ანარხიული შცდ.**

**ანა́რქიზმ**-ი – ერთ-ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა.
⊙ **ანარხიზმი შცდ.**

**ანა́რქისტ**-ი – ანარქიზმის მიმდევარი.
◎ **ანარქისტული**
⊙ **ა. შეხედულებანი.**
○ **ანარხისტი, ანარხისტული შცდ.**

**ანატომია** [ბერძ. anatomē გაკვეთა] – **1.** მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას.
**2.** რაიმე ორგანიზმის ცალკეული ან ორგანოს აგებულება.
⊙ **ტვინის ა., ადამიანის ა., თვალის ა.**
**3.** (გადატ.). რაიმეს აგებულება.
⊙ **სიყვარულის ა.**
◎ **ანატომიური, ანატომი, ანატომირება.**
⊙ **ა. ატლასი, ა. გამოკვლევა.**

**ანატომიური თეატრი** – სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაში საგანგებოდ მოწყობილი სადგომი, სადაც კვეთენ გვამებს.
○ **ანატომური შცდ.**

**ანატომირება** – გვამის გაკვეთა გამოკვლევის მიზნით.
⊙ **ანატომი.**

**ანაფორა** [ბერძ. anaphora ზევით აწევა, გამოყოფა] – **1.** (ლიტ.). პოეტური და ორატორული ხერხი – ერთი და იმავე სიტყვის (წინადადების, ბგერის) გამეორება რამდენიმე ტაეპის (ფრაზის) დასაწყისში.
**2.** მღვდლის ზედა ფართო და გრძელი სამოსი.

**ანაქრონიზმ**-ი < [ფრ. anachronisme < ბერძ. ana უკან და chronos დრო] – **1.** ქრონოლოგიური შეუსაბამობა; ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის შეცდომით მიკუთვნება სხვა დროისთვის, ეპოქისათვის.
⊙ **ა.-ები ისტორიულ რომანში.**
**2.** ძველი დროის გადმონაშთი, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების პირობებს: მოძველებული შეხედულება ან ჩვეულება.
◎ **ანაქრონისტული.**
⊙ **ა. შეხედულება.**
○ **ანახრონიზმი, ანახრონისტული შცდ.**

**ანგარ**-ი [ფრ. hangar] – სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და მისთ. სადგომად და მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად.

**ანგინა** [ლათ. angina] – სახის ლორწოვანი გარსის, ნუშისებური ჯირკვლების მწვავე ანთება.

**ანგიოლოგია** [ბერძ. angeion სისხლძარღვი და logos მოძღვრება] – ანატომიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სისხლძარღვებსა და ლიმფურ სისტემებს.

**ანგლიკანური**: ანგლიკანური ეკლესია – ინგლისის სახელმწიფო ეკლესია: პროტესტანტიზმის ნაირსახეობა.

**ანგლოსაქსებ**-ი – ძველი გერმანული ტომები (ანგლები და

საქსები), რომლებიც მე-5 ს.-ში გადასახლდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე და დაიპყრეს ინგლისი.

**ანდროგინია** [ბერძ. andtogynos ორსქესოვანი aner (andros) კაცი და gynç ქალი] – (ბიოლ.). მდედრობითი სქესის არსებისათვის მამრობითი სქესის ნიშნების ქონა და პირიქით.

**ანდროფობია** [ბერძ. ançr (andros) მამაკაცი და phobos შიში, სიძულვილი] – მამაკაცების სიძულვილი.

**ანემია** [ბერძ. animia – an უარყოფითი ნაწილაკი და haima სისხლი] – (მედიც.). სისხლნაკლებობა

**ანესთეზია** [ბერძ. anaisthçsia უგრძნობლობა] – (მედიც.). მგრძნობელობის დაკარგვა ან შესუსტება; გაუტკივარება ოპერაციის გასაკეთებლად.

⊙ **საერთოა., ადგილობრივი ა.**

○ **ანესტეზია შცდ.**

**ანეკდოტ**-ი – [ფრ. anecdote – ბერძ. anecdotos გამოქვეყნებული] – გონებამახვილური ამბავი სასაცილო დაბოლოებით.

◎ **ანეკდოტური**

⊙ **ა. შემთხვევა.**

◎ **საანეკდოტო.**

⊙ **ს. ჟანრი.**

○ **ანეგდოტი, ანეგდოტური, საანეგდოტო შცდ.**

**ანექსია** [ლათ. anne x io შეერთება] – ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ან მისი ტერიტორიის თავის ტერიტორიისგან ძალით შეერთება: დაპყრობა.

**ანთოლოგია** [ბერძ. anthologia, anthos ყვავილი და legö ვკრებ – ძველ ბერძ. ეპიგრამათა კრებულების სახელწოდება] – რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორის კრებული, რჩეული მხატვრული თხზულებანი, უპირატესად ლექსები.

⊙ **ქართული პოეზიის ა.**

**ანთრაქ**-ი [ბერძ. anthrax (anthrakos) ნახშირი] – ძვირფასი თვალი.

**ანთრაციტ**-ი [ბერძ. anthrax ნახშირი] – საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი შავი ფერისა; მკვრივია და ლითონისებრ პრიალა.

○ **ანტრაციტი შცდ.**

**ანთროპოგენეზ**-ი [ბერძ. anthrôpos ადამიანი და genesis დაბადება, წარმოშობა] – ანთროპოლიგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი – მოძღვრება ადამიანის წარმოშობის შესახებ.

**ანთროპოიდ**-ი [ბერძ. anthropoeidçs] – ადამიანის მსგავსი

მაიმუნი (გორილა, შიმპანზე, ორანგუტანი, გიბონი და სხვ.).

**ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** [ბერძ. antrô-pos ადამიანი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის წარმოშობას, რასებს, ევოლუციას, ბიოლოგიურ ბუნებას, ცვლილებებს მის აგებულებაში.

◎ **ანთროპოლოგიური** და **საანთროპოლოგიო.**

⊙ **ა. (ს.) კვლევა-ძიება, ა. (ს.) მუზეუმი.**

○ **ანტროპოლოგია, ანტროპოლოგიური, საანტროპოლოგიო შცდ.**

**ᲐᲜᲢᲠᲝᲞᲝᲡᲝ́ᲤᲘᲐ** [ბერძ. anthrô-pōs ადამიანი და sophia სიბრძნე] – თეოსოფიის სახეობა, რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელიც ღვთის ადგილას გაღმერთებულ ადამიანს აყენებს.

**ᲐᲜᲢᲠᲝᲞᲝᲤᲐ́ᲒᲘᲐ** [ბერძ. anthrô-phagia < anthrôpōs ადამიანი და phagomai ვჭამ] – კაციჭამიობა, კანიბალიზმი.

**ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲪᲔ́ᲜᲢᲠᲘᲖᲛᲘ** [ბერძ. anthrôpos ადამიანი და ლათ. centrum ცენტრი] – რელიგიური შეხედულება, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის უმაღლესი არსება, ღვთის მიერ შექმნილი: იგი წარმოადგენს სამყაროს ცენტრსა და საბოლოო მიზანს.

**ᲐᲜᲘᲛᲐ́ᲚᲘᲡᲢ**-ი [ლათ. animal ცხოველი] – მხატვარი ან მოქანდაკე, რომელიც თავის ნამუშევრებში უმთავრესად ცხოველებს ასახავს.

◎ **ანიმალისტური.**

⊙ **ა. ფერწერა, ა. ჟანრი.**

**ᲐᲜᲘᲛᲐ́ᲚᲣᲠ**-ი [ლათ. animal ცხოველი] – ცხოველური: ცხოველთან დაკავშირებული.

**ᲐᲜᲘ́ᲛᲘᲖᲛ**-ი – [< ლათ. anima სული] – პირველყოფილ ხალხთა რწმენა, რომ ყველა საგანს აქვს სული.

**Ა́ᲜᲙᲔᲢᲐ** [ფრ. anquêtteê] – **1.** ფურცელი, რომელზედაც ჩამოწერილია სხვადასხვა კითხვა გარკვეული ცნობების შესაგროვებლად.

⊙ **ა.-ის შევსება.**

**2.** ასეთი ფურცლების საშუალებით ცნობების შეგროვება.

⊙ **ა.-ის მოწყობა** (ჩატარება).

◎ **ანკეტური** და **საანკეტო.**

⊙ **ა. (ს.) გამოკითხვა, ა. (ს.) მონაცემები, ს. ფურცლები.**

**Ა́ᲜᲙᲚᲐᲕ**-ი [ფრ. enclave] – ერთი სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია სხვა სა-

ხელმწიფოს სამფლობელოებით და, რომელსაც არა აქვს ზღვაზე გასასვლელი.

**ᲐᲜᲝᲓ**-ი [ბერძ. anodos ზევით სვლა] – დადებითად დამუხტული ელექტრული (საპირისპ. კათოდი).

**ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲐ** [ბერძ. anōmalia უსწორმასწორობა] – კანონზომიერების დარღვევა, საერთო წესისაგან, ნორმისგან გადახვევა.

◎ **ანომალიური.**

⊙ **ა. მოვლენა.**

○ **ანომალური შცდ.**

**ᲐᲜᲝᲜᲘᲛ**-ი [ბერძ. anônymos უსახელო] – წერილის ან თხზულების ავტორი, რომლის ვინაობა უცნობია.

◎ **ანონიმური** – ხელმოუწერელი, უსახელო (წერილი, თხზულება).

○ **ანონიმიური შცდ.**

**ᲐᲜᲝᲜᲡ**-ი [ბერძ. annonce] – მოკლე წინასწარი განცხადება მომავალი წარმატების, კონცერტის, გასტროლების და მისთ. შესახებ.

◎ **ანონსირება.**

**ᲐᲜᲝᲡᲛᲘᲐ** [ბერძ. უარყოფითი ნაწილაკი და osmç სუნი] – (მედიც.). ყნოსვის უქონლობა, მოშლა.

**ᲐᲜᲝᲢᲐᲪᲘᲐ** [ლათ. annotatio შენიშვნა] – წიგნისა, სტატიის და მისთ. შინაარსის მოკლედ გადმოცემა, ზოგჯერ შეფასების დართვით.

**ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚ**-ი [ფრ. ensamble ერთად, მთლიანობა] – **1.** რაიმე მთელის ყველა ნაწილის შეთანხმებულობა, ერთიანობა. (მაგ., შენობათა, ნაგებობათა კომპლექსი)

⊙ **არქიტექტურული ა.**

**2**. მომღერალთა, დამკვრელთა, მოცეკვავეთა ჯგუფი.

⊙ **საესტრადო ა., სიმღერისა** და **ცეკვის ა.**

◎ **ანსამბლური.**

⊙ **ქუჩების ა. განაშენიანება.**

**ᲐᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲖᲛ**-ი [< ბერძ. antagōnisma კამათი, ბრძოლა] – შეურიგებელი წინააღმდეგობა, ინტერესთა შეურიგებელი დაპირისპირება.

⊙ **პოლიტიკური ა., ფსიქოლოგიური ა., რასობრივი ა.**

◎ **ანტაგონისტური.**

⊙ **ა. წინააღმდეგობანი.**

**ᲐᲜᲢᲐᲠᲥᲢᲘᲙᲐ** [ბერძ. ant (i) წინააღმდეგ და arktikos ჩრდილოეთისა] – დედამიწის სამხრეთპოლარული მხარე: მოიცავს ანტარქტიდას, ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების მიმდებარე ტერიტორიებს (უბნებს).

◎ **ანტარქტიკული.**

⊙ **ა. ექსპედიცია.**

◎ **ანტარქტიკისა.**
○ **ანაქტარტიკასი; ანკტარკტიკა შცდ.**

**ანტენა** [ლათ. antenna ანძა] – გამტარი ან გამტართა სისტემა, რომლითაც ხორციელდება რადიოტალღებისგამოსხივება (გადაცემისას) ან მათი დაჭერა (მიღებისას).
⊙ **სატელევიზიო ა.**
◎ **ანტენისა**
○ **ანტენასი შცდ.**

**ანტი...** [ბერძ. anti... წინააღმდეგ] – თავსართი (წინსართი), რომელიც აღნიშნავს რაიმეს საპირისპიროს, რაიმე მიმართულების საწინააღმდეგოს.
⊙ **ანტიჰუმანური აქტი, ანტიმეცნიერული მიდგომა.**

**ანტიბიოტიკებ-**ი [ბერძ. anti წინააღმდეგ და biotikos ცოცხალი] – **1.** მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ნივთიერებანი, რომლებიც თრგუნავენ ბაქტერიებისა და სხვა მიკრობების ზრდას და სპობენ კიდევაც მათ.
**2.** ბიოლოგიური ნივთიერებები, რომელიც მედიცინაში გამოიყენება ვირუსების სიცოცხლის უნარიანობის დასათრგუნავად (ჩასახშობად, ჩასაქრობად).

**ანტიდოტებ-**ი [ბერძ. antidoton (მხ).] – შხამსაწინააღმდეგო სამკურნალო ნივთიერებანი, რომლებიც იხმარება მოწამვლის დროს.

**ანტივირუსი** [ბერძ. anti წინააღმდეგ და ლათ. virus შხამი] – **1.** ვაქცინა ვირუსის წინააღმდეგ.
**2.** სპეციალური საკომპიუტერო პროგრამა, რომელიც კომპიუტერულ მეხსიერებაში პოულობს და სპობს მავნებელ პროგრამებს (ვირუსებს).

**ანტითეზა** [< ბერძ. antithesis დაპირისპირება] – (ლიტ.) სტილისტიკური ხერხი, რაც მდგომარეობს საწინააღმდეგო ცნებების შეპირისპირებაში.

**ანტითეზის-**ი [< ბერძ. antithesis დაპირისპირება] – დიალექტიკაში: ამოსავალი დებულების (თეზისის) საწინააღმდეგო დებულება, განსჯა.

**ანტიკვარ-**ი [ლათ. antiquarius] – პირი, რომელიც ვაჭრობს ანტიკვარული ნივთებით ან აგროვებს და სწავლობს მათ.
○ **ანტიქვარი შცდ.**

**ანტიკვარული** – ძველებური და ძვირფასი.
⊙ **ა. წიგნი, ა. ლარნაკი, ა. სურათი.**

**ანტიკვარული მაღაზია** – ანტიკვარული ნივთების მაღაზია: ანტიკვარიატი.

○ **ანტიკვარიული, ანტიქვარიული შცდ.**

**ანტიკურ**-ი [< ლათ. antiquus ძველი] – 1. ძველი ბერძნული ან რომაული (კულტურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი წყობა და სხვ.).
2. რაც სილამაზითა და მოხდენილობით ანტიკურ ქანდაკებებს მოგვაგონებს. (მაგ., სახის ან სხეულის ნაკვთები).
⊙ **ა. ფილოსოფია, ა. ხელოვნება, ა. თეატრი.**
○ **ანტიური შცდ.**

**ანტილოპები** [ფრ. antilope (მხ.)] – წყვილჩლიქიანი მცოხნავი ძუძუმწოვრები ღრურქიანთა ოჯახისა (არჩვები, ქურციკები ანუ ჯეირნები და მისთ.).
⊙ მხ. **ანტილოპა.**
◎ **ანტილოპისა.**
○ **ანტილოპასი შცდ.**

**ანტიპათია** [ბერძ. antipatheia] – არაკეთილგანწყობილება, სიძულვილი ვისამე მიმართ (საპირისპ. სიმპათია).
◎ **ანტიპათიური.**
⊙ **ა. პიროვნება.**
○ **ანტიპატია, ანტიპატიური შცდ.**

**ანტიპოდ**-ი [ბერძ. antipodes (მრ.) ერთმანეთისკენ ფეხებით მიქცეულნი] – 1. (წიგნ.). დედამიწის ორ მოპირდაპირე წერტილად მცხოვრებნი ერთმანეთის მიმართ.
2. (გადატ.) ვისიმე ან ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის, თვისებითა, მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები.
⊙ **ჩვენი საზოგადოების ა. – ები.**

**ანტისანიტარია** – სანიტარიის მოთხოვნილებებთან შეუთავსებელი; უსუფთაობა, სიბინძურე.
◎ **ანტისანიტარიული.**
⊙ **ა. პირობები.**
○ **ანტისანიტარული შცდ.**

**ანტისეისმურ**-ი – მიწისძვრის საწინააღმდეგო (იხ. სეისმური.).
⊙ **ა. ღონისძიებები.**
○ **ანტისეისმიური შცდ.**

**ანტისემიტ**-ი – პირი, რომელიც ებრაელებთან მტრულადაა დამოკიდებული (განწყობილი); სხვაგვარად – იუდოფობი.

**ანტისემიტიზმი**-ი (სხვაგვარად იუდოფობი) – ებრაელების სიძულვილი.
◎ **ანტისემიტური.**
⊙ **ა. განწყობილება, ა. გამოხტომები, ა. გამოსვლები.**
○ **ანტისემიტიური შცდ.**

**ანტიფაშისტ**-ი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი.
◎ **ანტიფაშისტური.**

⊙ **ა. ორგანიზაცია, ა. მოძრაობა.**

**ანტიფრიზ**-ი [ინგლ. antifreeze – ბერძ. anti წინააღმდეგ და ინგლ. freeze გაყინვა] – სითხე, რომელსაც გაყინვის დაბალი ტემპერატურა აქვს.

**ანტიქრისტე** [< ბერძ. antichristos] – ქრისტიანულ სარწმუნოებაში: ქრისტეს მთავარი მოწინააღმდეგე.

**ანტონიმ**-ი [ფრ. antonyme < ბერძ. anti წინააღმდეგ და onomo სახელი] – (ლინგვ.). სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. (მაგ., კარგი – ცუდი, დიდი – პატარა).

◎ **ანტონიმური.**

○ **ანტონიმიური შცდ.**

**ანტრაქტ**-ი [ფრ. antracte (entre შუა, შორის)] – **1.** შესვენება სათეატრო ორ მოქმედებას, ან კონცერტის, საღამოსა მისთ ორ განყოფილებას შორის.

**2.** მუსიკალური ნომერი (ინტერმედია), ოპერის ორ მოქმედებას შორის სრულდება.

○ **ანტრაკტი შცდ.**

**ანტრაშა** [ფრ. entrechat] – საბალეტო ცეკვებში: მსუბუქი შეხტომა, რომლის დროსაც მოცეკვავის ფეხები რამდენჯერმე სწრაფად ეხება ერთმანეთს.

**ანტრე** [ფრ. entrée] – **1.** ცირკში: კლოუნების ნომერი – კომედიური სცენა (ლაპარაკი ან პანტომიმა).

**2.** ბალეტში: ერთი ან რამდენიმე შემსრულებლის გამოსვლა ცეკვით.

**ანტრეკოტ**-ი [ფრ. antrecôte] – **1.** ნეკნებს შორის ამონაჭერი ხორცი, ჩვეულებრივ ძროხის (მიირთმევენ შემწვარს.

**2.** ასეთი ხორცის მწვადი.

**ანტრეპრენიორ**-ი [ფრ. entrepreneur] – სათეატრო, საცირკო წარმოდგენები, კონცერტების მომწყობი კერძო პირი.

**2.** ასეთი ხორცის მწვადი.

**ანტრესოლ**-ი [ფრ. entresol] – **1.** სახლის ზედა ნახევარსართული.

**2.** მაღალ ოთახში გაკეთებული ნახევარიარუსი აივნებით.

**ანტურაჟ**-ი [ფრ. entourage] – (საუბ.). გარემომცველი პირობათა ერთობლიობა: გარემო.

⊙ **თეატრალური ა.**

**ანუ** – შუმერულ მითოლოგიაში: ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება. ქალაქ ურუქის მფარველი.

**ანულირება** [ლათ. annularet განადგურება, გაუქმება] – რაიმეს არანამდვილად გამოცხადება, გაუქმება.

⊙ **ხელშეკრულების, დაკვეთის, ა.**
◎ **ანულირებული.**

**ანურია** [ბერძ. an უარყოფითი ნაწილაკი და uron შარდი] – (მედიც.). თირკმელების მიერ შარდის გამოყოფის სრული შეწყვეტა.

**ანფას**-ი [გერმ. enface პირისახეში] – პირსახე წინიდან, პირდაპირ.

**ანშლაგ**-ი [გერმ. anschlag] – თეატრში, კინოში და მისთ. გამოკრული განცხადება, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია.

**ანჩოუს**-ი [ინგლ. anchovies (მრ.). – ესპ.] – ზღვის წვრილი თევზი: ხამსა, ქაფშია.

**აორტა** [ბერძ. aurtē] – (ანატ.). მთავარი, ყველაზე მსხვილი არტერია, რომელიც გულთან სისხლს აწვდის სხვა არტერიებს და ორგანოებს ფილტვის გარდა.

**აპათია** [ბერძ. apatheia უგრძნობლობა, სრული გულგრილობა.
◎ **აპათიური.**
⊙ **ა. მდგომარეობა.**
○ **აპატია, აპატიური შცდ.**

**აპარატ**-ი [ლათ. apparatus მოწყობილობა] – **1**. ხელსაწყო, რომელიც მექანიკურად ასრულებს რაიმე სამუშაოს.
⊙ **ტელეფონის ა; რენტგენის ა.**
**2**. დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ემსახურებიან მმართველობას ან მეურნეობის რაიმე დარგს.
⊙ **სახელმწიფო ა. ავტოტრანსპორტის ა.**
**3**. დაწესებულების, ორგანიზაციის თანამშრომელთა ერთობლიობა.
⊙ **სამინისტროს ა.**
**4**. (ფიზიოლ.). ორგანოები, რომლებიც ერთ რაიმე ფუნქციას ასრულებენ.
⊙ **სამეტყველო ა., მხედველობის ა.**
◎ **სააპარატო** – სადგომი, სადაც აპარატები (მნიშვ. 1) არის მოთავსებული.

**აპარატურა** – (მნიშ. 1) ერთობლიობა; აპარატები.
⊙ **ქიმიური ა., ელექტრული ა.**

**აპართეიდ**-ი [აფრ. apartheid ცალცალკე ცხოვრება] – რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა, ქვეყანაში მოსახლეობის ძალმომრეობით გაყოფის პოლიტიკა, რომელიც, დაფუძნებულია რასობრივ დისკრიმინაციაზე.
○ **აპარტეიდი, აპარტჰეიდი შცდ.**

**აპარტამენტ**-ი [ფრ. appartement ოთახი, ბინა] – დიდი, მდიდრული ბინა.

**აპატრიდ**-ი [ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და patris სამშობლო] – (სამართ.). პირი, რომელიც არ

ითვლება არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ (ქვეშევრდომად). იგივეა რაც აპოლიდი.

**აპელაცია** [ლათ. appellatio მიმართვა, საჩივარი] – (სამართ.). სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ინსტანციაში.

◎ **სააპელაციო.**

⊙ **ს. საჩივარი, ს. ვად.**

**აპენდიქს**-ი [ლათ. appendix დანამატი] – (ანატ.) ბრმა ნაწლავის დანამატი – ჭიანაწლავი.

**აპენდიციტ**-ი (მედიც.). აპენდიქსის ანთება.

**აპერიტივ**-ი [ფრ. apéritif] – სუსტი სპირტიანი სასმელი, რომელსაც მადის აღსაძვრელად (მოსაყვანად) სვამენ.

**აპექს**-ი [ლათ. apex მწვერვალი] – (ასტრ.). **1.** წერტილი ცის თავზე, რომლის მიმართულებითაც მოძრაობს დედამიწა მოცემულ მომენტში.

**2.** ცის წერტილი, რომლისკენაც მოძრაობს მზის სისტემა.

**აპლაზია** [ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და plasis წარმოქმნა] – (ბიოლ.). თანდაყოლილი არ ქონა სხეულის რაიმე ნაწილისა ან ორგანოსი.

**აპლიკატურა** [ლათ. applico მივადებ, მოვარგებ] – თითების განლაგება მუსიკალური საკრავის დაკვრისას; მისი აღნიშვნა ნოტებზე.

**აპლიკაცია** [applicatio მიდება, მორგება] – ნახატის, ორნამენტის შექმნა სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით (და კერებით).

**აპლოდისმენტ**-ი [ფრ. applaudissement] – (წიგნ.). ტაშის კვრა, ტაში რისამე მოწონების ნიშნად ან მისალმების გამოსახატავად.

⊙ **დარბაზში გაისმა ა.**

○ **აპლოდისმენტები (მრ.) შცდ.**

**აპლომბ**-ი [ფრ. aplomb შვეული მდგომარეობა, შვეული] – საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, რიხი, რაც ჩანას ლაპარაკში ან ქცევაში.

⊙ **ა.-ით დამკვიდრება.**

**აპოგეა** [ბერძ. apogeion მიწიდან დაშორებული – apo გარეშე და ge მიწა] – **1.** (ასტრ.). მთვარის (ან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის) ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული დედამიწას.

**2.** გადატ. (წიგნ.). რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი; აყვავება, გაფურჩქვნა.

◎ **აპოგეისა**

○ **აპოგეასი, აპოგეია შცდ.**

**აპოლიქტიკურ**-ი [ბერძ. apodeiktikos დამამტკიცებელი] – სარწმუნო, უეჭველი, ლოგიკურად აუცილებელი.

**აპოთეოზ**-ი [ბერძ. apthēosis გაღმერთება] – **1**. (წიგნ.). რაიმე მოვლენის, ამბის, ან პიროვნების განდიდება.
⊙ **თბილისის 1500 წლის იუბილის ა.**
**2**. (თეატ.) სპექტაკლის ან საზეიმო კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა და სხვ.
**3**. (ისტ.). ძველ საბერძნეთსა და რომში: რომელიმე გმირის ან მეფის განდიდება.

**აპოკალიფს**-ი [ბერძ. apokolypsis გამოცხადება] – „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთი წიგნი: ქრისტიანული-საეკლესიო წიგნი, ბოლოს დართული, რომელიც შეიცავს მისტიკურ წინასწარმეტყველებას „ქვეყნის დასასრულზე“.
⊙ **ა. დადგომა.**
◎ **აპოკალიფსისი** დასაშვებია.
○ **აპოკალიპს[ისი] შცდ.**

**აპოკრიფ**-ი [ბერძ. apokryphos დაფარული, საიდუმლო] – ისეთი ბიბლიური თხზულება, რომელსაც არ სცნობს ეკლესია და ამიტომ არ შედის საღმრთო წერილში.

**აპოლოგეტ**-ი [ბერძ. apologêtikos დაცვითი] – დამცველი რომელიმე იდეის, მოძღვრებისა და ა.შ.
⊙ **საბაზრო ეკონომიკის ა, შარლ დეგოლის პოლიტიკის ა.** –ალექს მოსკოვიჩი.
◎ **აპოლოგია.**

**აპოლოგეტიკა** [ბერძ. apologētikos დამცველი] – **1**. ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ქრისტიანული რელიგიის დაცვას.
**2**. გადატ. (წიგნ.). რისმე თავგამოდებითი დაცვა, ქება – დიდება.

**აპოლოგია** [ბერძ. apologia დაცვა,დასაცავი,სიტყვა] – (წიგნ.). ვისამე ან რისამე დაცვა, გამართლება, შექება (ზეპირად ან წერილობით).

**აპოლონ**-ი [ბერძ. apollôn] – ბერძნულ მითოლოგიაში: სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი,ზევსის შვილი.

**აპოპლექსია** [ბერძ. apoqlçxia ვარტყამ, ვარეტიანებ] – (მედიც.). უეცარი დადამბლავება, დამბლის დაცემა, რაც გამოწვეულია ცხვირში სისხლის ჩაქცევით ან ტვინის

სისხლძარღვის დაცობით.
◎ **აპოპლექსიური.**
⊙ **ა. დამბლა.**
○ **აპოპლექსური შცდ.**

**ᲐᲞᲝᲡᲢᲐ́ᲡᲘᲐ** [ბერძ. apostasia] – (წიგნ.). ძველი რწმენისგან განდგომა.

**ᲐᲞᲝ́ᲡᲢᲝᲚ**-ი [ბერძ. apostolos დესპანი, მოციქული] – **1.** იესო ქრისტეს ყოველ 12 მოციქულთაგანი, მისი მოძღვრების გამავრცელებლები.
**2.** (გადატ.). თავგამოდებული გამავრცელებელი რაიმე იდეისა, მოძღვრების.

**ᲐᲞᲝ́ᲡᲢᲠᲝᲤ**-ი [ფრ. apostrophe- ბერძ. aposrophos გვერდზე ან უკან მოქცეული] – მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშანი, რომელიც ისმება გამოტოვებული ხმოვნის ადგილას.
⊙ ფრ. **Jeanne d'Arc** (ნაცვლად de arc -ისა) და აქედან ქართულშიც: **ჟანა დ'არკი, დ'არტანიანი** (დე არტანიანის ნაცვლად).

**ᲐᲞᲠᲘ́ᲝᲠ**-ი [< ლათ. a priori დასაბამიდან, წარსულიდან] – წინასწარ, ცდამდე,
⊙ **ა. დამტკიცება, მტკიცება.**
◎ **აპრიორული** – ცდისგან დამოუკიდებელი, იმთავიდანვე არსებული.

**ᲐᲞᲠᲝᲑᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. aprobatio მოწონება] – **1.** ოფიციალურად გამოხატული მოწონება, დადასტურება გამოცდის, შემოწმების შედეგად,
⊙ **ახალი მეთოდის ა.**
**2.** სასოფლო – სამეურნეო კულტურათა ნათესების გამოკვლევა საუკეთესო თესლის შესარჩევად.
◎ **აპრობირება**

**Ა́ᲯᲘᲝ** [იტ. aggio] – (ფინანს.). ფულის ნიშნების და სხვ. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა (საპირის. დიზაჟიო).

**ᲐᲯᲘᲝᲢᲐᲟ**-ი [ფრ. agiotage] – დიდი აღელვება, აურზაური რაიმე ამბის გამო.
⊙ **ატყდა ა. ა. ბირჟაზე.**

**ᲐᲯᲘᲢᲐ́ᲪᲘᲐ** [ფრ. agitation] – (წიგნ.). ძლიერი მღელვარება, აღგზნებული მდგომარეობა.

**ᲐᲟᲣᲠᲣᲚᲘ** [ფრ. a jour გამჭოლი, სინათლის გამტარი] – გამჭვირვალე (ქსოვილი, ნაქარგი, საოქრომჭედლო ნაკეთობა და სხვ.).
⊙ **ა. ხელთათმანი.**

**Ა́Რ**-ი [ფრ. are – ლათ. area ფართობი, ზედაპირი] – მიწის ფართობის საზომი: უდრის 100კვ. მ –ს (ჰექტარის 1/100).

**ᲐᲠᲐ́ᲑᲔᲡᲙ**-ი [იხ. არაბესკები] – კლასიკურ საბალეტო ცეკვაში: მოძრაობა რომლის დროსაც სხეული ეყრდნობა ერთ

ფეხს, მეორე ფეხი კი გაშ-
ვერილია უკან.

**არაბესკები** [ფრ. arabesquos – ესპ., იტ. arabesco არაბული] – 1. რთული ორნამენტი, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურებისაგან, სტილიზებული ფოთლებისა და მისთ. (ევროპაში შევიდა არაბეთიდან).
2. პატარ-პატარა ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოებთა კრებული.
⊙ **ამ მნიშვნელობით მხ. არ იხმარება.**

**არანჟირება** [< ფრ. arranger წესრიგში მოყვანა] – (მუს.). ერთი წყება საკრავებისათვის (ან ხმებისათვის) დაწერილი მუსიკალური ნაწარმოების გადაკეთება სხვა საკრავებისათვის (ან ხმებისათვის).

**არარა** და **არა** [ამერ. ] – დიდი, უქოჩრო გრძელ ბოლოიანი თუთიყუში: მწვანე და წითელი შეფერილობით, გავრცელებულია ამერიკაში.

**არაქის**-ი [ბერძ. arachion აბლაბუდა] – ერთწლოვანი ზეთოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა, ზევიდან პარკს აქვს ძარღვების აბლაბუდისებრი ქსელი; ნაყოფი იჭმება. (ქართ. სახელი: მიწის თხილი).
⊙ **მოხალული ა.**
○ **არახისი შცდ.**

**არბიტრ**-ი [ფრ. arbitre – ლათ. arbiter] – მსაჯი სპორტის ზოგ სახეობაში.
⊙ **ცხენოსნობის ა., ჭიდაობის ა.**

**არბიტრაჟ**-ი [ფრ. arbitrage] – სადაო საკითხების გადაწყვეტა არბიტრების საშუალებით; სამედიატორო სასამართლო.

**არგო** [ფრ. argot ჟარგონი] – (ლინგვ.). პირობითი ენა რომელიმე სოციალური ან პროფესიული ჯგუფისა.
⊙ **ქურდული ა.**
◎ **არგოტიზმი, არგოტიკული.**

**არგუმენტ**-ი [ლათ. argumentum მტკიცება] – 1. (წიგნ.). ლოგიკური მოსაზრება, საბუთი, რომელიც მოჰყავთ რისმე დასამტკიცებლად.
2. (მათემ.). დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე, რომლის ცვლილებაც არის დამოკიდებული მეორე სიდიდის (ფუნქციის) ცვლილებაზე.
⊙ **დამაჯერებელი ა.**
◎ **არგუმენტირებული.**
⊙ **ა. მსჯელობა.**

**არგუმენტაცია** [ლათ. argumentatio] – 1. არგუმენტების მოყვანა.
⊙ **დებულების ა. სჭირდებოდა.**
2. არგუმენტების ერთობლიობა.
⊙ **მეცნიერული ა.**

**არგუმენტირება** – იგივეა, რაც არგუმენტაცია (მნიშ.1).

**არეალ**-ი [ლათ. arealis – area მოედანი, სივრცე] – **1.** ამა თუ იმ მოვლენის, მცენარის ან ცხოველის ცალკეული სახეობა, წიაღისეული დ ა.შ. გაავრცელებს არე დედამიწაზე.

**2.** (ლინგვ.) ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გავრცელების არე.

**არენა** [ლათ. arena. ქვიშა.] – **1.** მოედანი ქვიშით მოყრილი, ძველ რომაულ ამფითეატრში, სადაც გლადიატორების და ა. შ. ბრძოლა იმართებოდა.

**2.** ცირკის მრგვალი ნახერხდაყრილი მოედანი.

**3.** (გადატ.) მოღვაწეობის დარგი, სარბიელი, ასპარეზი.

⊙ **ა.-ზე არიან კლოუნები.**

◎ **არენისა.**

○ **არენასი შცდ.**

⊙ **პოლიტიკური ბრძოლის ა.**

**არენდა** [პოლონ. arenda.] – **1.** უძრავი ქონების დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; იჯარა.

**2.** გადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით.

**არეოპაგ**-ი [ლათ. Areopagus – ბერძ. Araios pagos არესის ბორცვი] – **1.** (ისტ.) ძველი ათენის უმაღლესი სასამართლო, რომლის სხდომებიც ომის ღმერთის არესისათვის მიკუთვნებულ ბორცვზე იმართებოდა.

**2.** (გადატ., ზოგჯერ ირონ.). ავტორიტეტული ადამიანების შეკრება რაიმე საკითხის გადასაწყვეტად.

**3.** თანამედროვე საბერძნეთში: უმაღლესი სასამართლო.

**არეს**-ი [ბერძ. Arçs] – ბერძნულ მითოლოგიაში: ომის ღმერთი, ზევსისა და ჰერას შვილი.

**ართრიტ**-ი [ბერძ. arthron სახსარი] – (მედიც) სახსრების ანთებითი დაავადება.

**არია** [იტ. aria] – (მუს.). ერთი ხმისათვის შესასრულებელი ვოკალური ნომერი, ჩვეულებრივ ოპერაში, ორატორიაში, კანტატაში.

◎ **არიასი შცდ.**

**არიელებ**-ი [სანსკრ. arias] – ინდოირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომებისა და ხალხების (ინდოელებს, ირანელებს...) საერთო სახელწოდება; მე-19 ს.-იდან მოყოლებული იხმარებოდა, საერთოდ, ინდო ევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების აღსანიშნავად; ფაშისტურ გერმანიაში ამ სიტყვას მიენიჭა ტენდენციური და ანტიმეცნიერული მნიშვნელობა [უძველეს ძეგლებში ინდოირანული ხალხები

(მეზობელი ან დაპყრობილი ხალხებისაგან განსხვავებულად) თავის თავს უწოდებდნენ „არიელებს“,რაც ნიშნავს სრულუფლებიან ადამიანებს].

**არიერგარდ**-ი [ფრ. arriérre – garde, – arriérre ზურგიდან და garde დაცვა] – ჯარის (ან ფლოტის) ნაწილი, რომელიც მთავარ ძალებს ბოლოში მიჰყვება და იცავს მათ უკნიდან თავდასხმისაგან. (საპირისპ. ავანგარდი).

**არიერსცენა** – (თეატრ.) სცენის უკანა ნაწილი.

**არიეტა** [იტ. arietta] – (მუს.) მცირე არია.

**არითმეტიკა** [ბერძ. arithmetikē – arithmos რიცხვი] – მათემატიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს რიცხვთა თვისებებს და მათზე მოქმედებას.

◎ **არითმეტიკული.**

⊙ **ა. ამოცანა, ოთხი ა. მოქმედება.**

**არითმია** [ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და rhythmos რითმი] – (მედიც.) გულის მოქმედების (მუშაობის) ნორმალური რიტმის დარღვევა.

**არიმან**-ი [ბერძ.] – ძველ სპარსულ რელიგიაში: ბოროტების ღვთაება (სპარსულად – ანჰრა – მაინიუ), შეურიგებელი მტერი თავისი ძმის – კეთილი ღვთაების, ორმუზდისა.

**არისტოკრატ**-ი [გერმ. Aristokrat ფრ. aristocrate] – **1.** ადამიანი, რომელიც მიეკუთვნება დიდგვაროვანთა წრეს; არისტოკრატიის წარმომადგენელი.

⊙ **წარმოშობით ა.**

**2.** ადამიანი, რომელიც მიეკუთვნება საზოგადოების პრივილეგიურ ნაწილს.

⊙ **ფინანსური ა.**

◎ **არისტოკრატული.**

⊙ **ა. მანერები.**

⊙ **არისტოკრატული** უნდა გავარჩიოთ **არისტოკრატიულისგან (**იხ. **არისტოკრატი).**

**არისტოკრატია** [ბერძ. aristokratia] – **1**. კლასობრივ საზოგადოებაში: უმაღლესი წოდება გაბატონებული კლასის პრივილიგირებული ფენა, დიდგვარიანები.

**2**. რომელიმე კლასის ან სოციალური ჯგუფის პრივილეგირებული ნაწილი, ზედა ფენა.

**3**. (ისტ.) სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც ძალაუფლება დიდებულთა მცირერიცხოვანი კლასის ხელშია (მაგ., ძველ საბერძნეთსა და რომში).

◎ **არისტოკრატიული.**

⊙ **ა. ზედა ფენა, ა. სალონი.**

⊙ **არისტოკრატიული უნდა გავარჩიოთ არისტოკრატულისგან (იხ. არისტოკრატი).**

**არკებუზ**-ი [ფრ. arquebuze]– ძველებური პატრუქიანი თოფი, რომელიც ლულიდან იტენებოდა (ხმარობდნენ მე – 14 – 16 ს.-ებში).

**არმაგედონ**-ი [ებრ. harim giddin „ქალაქი მეგიდას მთასთან“, სადაც ხშირად ხდებოდა საბრძოლო შეტაკებები]– ადგილი ჩრდ. პალესტინაში სადაც ღვთის მეტყველი იოანის გამოცხადების მიხედვით უნდა მოხდეს საბოლოო შეტაკება ღვთიურ და სატანურ ძალებს შორის. და სადაც სატანა ძლეული იქნება მიქაელ მთავარანგელოზის მიერ (იესო ქრისტეს მიერ).

**არმადა** [ესპ. armada ფლოტი] – სამხედრო გემების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი შენაერთი.

**არმია** [ფრ. armée – armer შეიარაღება] – **1.** სახელმწიფოს მთელი შეიარაღებული (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) ძალათა ერთობლიობა.

⊙ **ა.-ში გაწვევა.**

**2.** კერძოდ სახმელეთო შეიარაღებული ძალები (ქართ. სინონ. ჯარი).

**3**. ჯარის შენაერთი, რომელიც შედგება რამდენიმე კორპუსის ან დივიზიისგან.

⊙ **საჰაერო ა., სადესანტო ა. მოქმედი არმია** – ფრონტზე მყოფი ჯარები.

**4**. გადატ. (წიგნ.). რაიმე ნიშნის მიხედვით გაერთიანებული ადამიანთა დიდი რაოდენობა.

⊙ **ავტომობილისტთა ა; უმუშევართა ა.**

◎ **საარმიო.**

⊙ **ს. დივიზია.**

**არომატ**-ი [ფრ. aromate < ბერძ. aröma (arōmatos) სურნელოვანი ნივთიერება] – სასიამოვნო სუნი; კეთილსურნელება (სურნელება).

◎ **არომატული** და **არომატიანი.**

⊙ **ა. ჩაი.**

○**არომატიული შცდ.**

**არსენალ**-ი [ფრ. arsenal – არაბ.] – **1.** იარაღისა და საჭურვილის საწყობი.

**2.** გადატ. რისმე დიდი რაოდენობა.

⊙ **ცოდნის ა.**

**არტეზიული** [ფრ. artésien < საფრანგეთის პროვინცია არტუა-ს (Artois) სახელიდან] – რაც დაკავშირებულია მიწისქვეშა წყლებთან, რომლებიც განიცდიან ბუნებრივ წნევას.

**არტეზიული** წყლები – მიწისქვეშა წყლები [ბერძ. Artemis (Artemidos)] – ბერძნულ მითოლოგიაში: აპოლონის და; ცხოველებისა და ნადირობის (შემდეგ – ქალწულობისა და მშობიარობის) მფარველი ქალღმერთი.

**არტემიდა** [ბერძ. Artemis (Artemidos)] – ბერძნულ მითოლოგიაში: აპოლონის და; ცხოველებისა და ნადირობის (შემდეგ – ქალწულობისა და მშობიარობის) მფარველი ქალღმერთი.

**არტერია** [ბერძ. artēria] – **1.** (ანტ.) სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის ყველა ორგანოს და ქსოვილის (შდრ. ვენა).
**2.** (გადატ.) (წიგნ.) იტყვიან მიმოსვლის გზებზე (რკინიგზაზე, სანაოსნო მდინარეზე, ასეთსავე არხზე და მისთ).
◎ **არტერიული.**
⊙ **ა. სისხლი.**
○ **არტერიალური შცდ.**

**არტიკლ**-ი [ფრ. < article – ლათ. articulus] – ზოგიერთ ენაში: დამხმარე სიტყვა, რომელიც წინ უძღვის არსებით სახელს და გამოხატავს მის განსაზღვრულობას ან განუსაზღვრელობას, ხშირად, აგრეთვე, სქესს, ბრუნვას, რიცხვს,
⊙ **განსაზღვრული ა., განუსაზღვრელი ა.**

**არტიკულაცია** [ლათ. articalatio] – (ლინგვ.) სამეტყველო ორგანოების მოქმედება ან მდგომარეობა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას.

**არტილერია** [ფრ. artillerie] – **1.** სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის (ქვემეხების, ჰაუბიცების, ნაღმტყორცნების და მისთ.) საერთო სახელწოდება.
⊙ **ტანკსაწინააღმდეგო ა., საზენიტო ა., სანაპირო ა.**
**2.** ასეთი შეიარაღების მქონე ჯარის გვარეობა.
⊙ **ა.-ში მსახურობის, ა.-ის მზვერვი, ა.-ის დივიზიონის მზვერავი ოცეული.**
◎ **საარტილერიო.**
⊙ **ს. ცეცხლი, ს. სასწავლებელი.**
**3.** სამხედრო მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ყოველგვარ ცეცხლსასროლ იარაღს და მის გამოყენებას ბრძოლაში.

**არტისტ**-ი [ფრ. artiste] – (ინგლ.). მსახიობი.
◎ **არტისტული** და **საარტისტო**
⊙ **ა. ნიჭი, ა. (ს) მონაცემები.**

**არტისტიზმ**-ი – (წიგნ.). დიდი და ნატიფი ოსტატობა ხელოვნებაში; ვირტუოზულობა.

⊙ **პიანისტის ა., მხატვრული კითხვის ა.**

**არფა** [გერმ. harfe] – უძველესი დროიდან ცნობილი სიმებიანი საკრავი.

**არქაიზმ**-ი [ფრ. archaisme – ბერძ. archaios ძველი] – **1.** მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი.

**2.** (ენათმ.) მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა, გამოთქმა ან გარამატიკული ფორმა.

○ **არხაიზმი შცდ.**

**არქაულ**-ი [ბერძ. archaois] – რაც შორეულ წარსულს განეკუთვნება; ძველი, უძველესი, ძველებური.

⊙ **ა. სტილი.**

○ **არხაული შცდ.**

**არქეო**... [ბერძ. archaios ძველი, ძველებური] – რთულ სიტყვებში უჩვენებს ამ სიტყვების დამოკიდებულებას სიძველესთან.

◎ **არქეოლოგი.**

**არქეოლოგია** [ბერძ. archaios ძველი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც ძველი ხალხების კულტურასა და ყოფაცხოვრებას სწავლობს შემონახული ნივთიერი ძეგლების მიხედვით; ასეთი ძეგლების მოსაპოვებლად არქეოლოგები გათხრებს აწარმოებენ.

◎ **არქეოლოგიური** და **საარქეოლოგიო.**

⊙ **ა. (ს.) აქსპედიცია, ა. (ს.) გათხრები,**

○ **არხეოლოგია, არხეოლოგიური, საარხეოლოგიო შცდ.**

**არქეოპტერიქს**-ი [ბერძ. archaios ძველი და pteryx ფრთა] – (პალეონტ.) განათხარი ფრინველი; ფრინველთა კლასის ერთ-ერთი ყველაზე ძველი წარმომადგენელი.

**არქეტიპ**-ი [ბერძ. archetypon] – (წიგნ.). რისამე პირველი სახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა.

**არქეულ**-ი **ერა** [ბერძ. archaios ძველი] – უძველესი ერა დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში.

**არქი**... [ბერძ. archi უფროსი, მთავარი] – **1.** თავსართი (წინსართი). რომელიც, ნიშანთვისების უმაღლეს ხარისხს აღნიშნავს.

⊙ **არქიძნელი.**

**2.** რთული სიტყვების პირველი ნაწილი, რომელიც საეკლესიო ცოდნას და იერარქიას აღნიშნავს.

⊙ **არქიეპისკოპოსი, არქიმანდრიტი.**

**არქიელ**-ი [ბერძ. archiereus მღვდელმთავარი] – მღვდელმთავართა (ეპისკოპოსისა და

მიტროპოლიტის) ზოგადი სახელი.

**არქიეპისკოპოს**-ი [ბერძ. archiepiskopos] – მღვდელმთავარი, ხარისხით ეპისკოპოსზე მაღალი და მიტროპოლიტზე დაბალი; მთავარეპისკოპოსი.

**არქივ**-ი [ლათ. archivum –ბერძ. archaios ძველი, უძველესი] – **1**. დაწესებულება,სადაც ინახება ძველი წერილობითი ძეგლები და საბუთები.

⊙ **სახელმწიფო ა.**

**2**. რაიმე დაწესებულების განყოფილება, სადაც ინახება ძველი საბუთები, დამთავრებული საქმეები და მისთ.

**3**. დაწესებულების ან ცალკე პირის წერილების, ხელნაწერების, ფოტოსურათების და მისთ. კრებული.

⊙ **ივ. ჯავახიშვილის ა.**

◎ **საარქივო.**

⊙ **ს. მასალები.**

○ **არხივი, საარხივო შცდ.**

**არქივარიუს**-ი – არქივის გამგე; არქივის მცველი.

**არქიმანდრიტ**-ი [ბერძ. archimandritēs – archō წინ მივდივარ და mandra ფარეხი] – **1**. მართლმადიდებელი ეკლესიის ბერთა უმაღლესი საეკლესიო წოდება.

**2**. დიდი მონასტრის წინამძღვრის საპატიო ტიტული.

**არქიპელაგ**-ი [ბერძ. archi თავსართი; ნიშნავს: დასაწყისს, მთავარს, უფროსს და pelagos ზღვა] – ერთმანეთთან ახლოს მდებარე ცალკეული კუნძულების ჯგუფი ზღვაში.

⊙ **ჰავაის ა.**

○ **არხიპელაგი შცდ.**

**არქიტექტონიკა** [ბერძ. architektonikç სამშენებლო (ხელოვნება)] – **1**. ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ცალკეული ნაწილების თანაზომიერი განლაგება, რაც ქმნის მთლიანობის და დამთავრებულობის შთაბეჭდილებას; კომპოზიციას.

**2**. (გეოლ.). ამა თუ იმ ადგილას გეოლოგიური აგებულობის სურათი.

**არქიტექტორ**-ი – არქიტექტურის სპეციალისტი (ქართ. სინონ. ხუროთმოძღვარი).

◎ **არქიტექტორული, საარქიტექტორო.**

⊙ **ა. ნიჭი., ს. ფაკულტეტი, ს. სახელოსნო.**

○ **არხიტექტორი, არხიტექტორული, საარხიტექტორო შცდ.**

⊙ **არქიტექტურული, საარქიტექტურო.** სხვაა (იხ. **არქიტექტურა**).

**არქიტექტურა** [ლათ. architectura – ბერძ. architektura] – **1**.

ნაგებობის დაპროექტება, აშენება და მხატვრული გაფორმება;

**2**. ნაგებობის სტილი (ქართ. სინონ. ხუროთმოძღვრება).

⊙ **ძველი ქართული ა., გოტიკური ა.**

◎ **არქიტექტურული, საარქიტექტურო.**

⊙ **ა. ანსამბლი. ა. ძეგლი; პროექტის ს. გადაწყვეტა.**

○ **არხიტექტურა, არხიტექტურული, საარხიტექტურო შცდ.**

**ᲐᲠᲥᲝᲜᲢ**-ი [ბერძ. archôn(archōntos) მმართველი, უფროსი] – (ისტ.). უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში, ათენში.

**ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲐ** < [ლათ. arcticus ბერძ. arktikos ჩრდილოეთისა] – დედამიწის ჩრდილო-პოლარული მხარე, რომელიც გარს ეკვრის პოლუსს.

◎ **არქტიკული.**

⊙ **ა. ექსპედიცია, ა. ყინული, ა. ჰავა.**

◎ **არქტიკისა.**

○ **არქტიკასი, არკტიკა შცდ.**

**ᲐᲠᲮᲐᲠ**-ი [თურქ.] – ველური ცხვარი; გავრცელებულია სამხრეთ ციმბირის, შუა და ცენტრალური აზიის მთებში.

**ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲐᲟ**-ი [ფრ. assamblage] – ზვრის სხვადასხვა განაკვეთზე დაკრული ერთი ან რამდენიმე ყურძნისაგან მიღებულ ახალ ღვინის მარკების ურთიერთშერევა ცქრიალა ღვინოების დასამზადებლად; აადვილებს შემდგომ ტექნოლოგიურ ოპერაციას – კეპაჟს.

**ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐ** [ფრ. assenbliée კრება] – რაიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა კრება.

⊙ **გაეროს გენერალური ა.**

◎ **ასამბლეის.**

○ **ასამბლეასი, ასამბლეია შცდ.**

**ᲐᲡᲔᲛᲑᲚᲔᲠ**-ი [ინგლ. assembler] – დამხმარე პროგრამა ოპერაციულ სისტემის შემადგენლობაში; პროგრამირების ენა.

**ᲐᲡᲔᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ** [ფრ. assainissenent გაჯანსაღება] – სიბინძურის გატანის ღონისძიებათა სისტემა: რაიმე ადგილას ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

◎ **საასენიზაციო.**

⊙ **ს. ა/მანქანა, ს. სამუშაოები.**

**ᲐᲡᲔᲞᲢᲘᲙᲐ** [ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და sçphikos ლპობის გამომცვევი] – (მედიც.). საოპერაციო იარაღების და მარლების გამოხარშვა ორთქლში გატარება.

**ᲐᲡᲗᲔᲜᲘᲐ** [ბერძ. astheneia] – (მედიც.) ფიზიკური და ნერვული

მედიც. სისუსტე, უღონობა.

**ასთმა** [ბერძ. asthma] – გამოწვეულია გულის ან გრძნობების დაავადებით.

**ას**-ი [< ფრ. as. კიკო, ტუზი] – **1.** სახელგანთქმული მფრინავი-გამანადგურებელი, საჰაერო ბრძოლების ვირტუოზი, რომელმაც გარკვეული რაოდენობის მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო.
**2.** საუკეთესო სპორტსმენზედაც იტყვიან.

**ასიგნაცია** [ფრ. assignation] – (მოძ.) ქაღალდის ფული.

**ასიმეტრია** [ბერძ. asymmetria] – სიმეტრიის უქონლობა ან დარღვევა.
◎ **ასიმეტრიული.**
⊙ **ა. ფიგურა.**
○ **ასიმეტრიული შცდ.**

**ასიმილაცია** [< ლათ. assimilatio მსგავსება, დამსგავსება, მიმსგავსება] და **ასიმილირება** [გერ. assimilleren] – **1.** (წიგნ.) რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურებების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში.
**2.** (ბიოლ.) ორგანიზმის მიერ გარეშე ნივთიერების შეთვისების პროცესი.
**3.** (ლინგვ.) ერთი ბგერის სრული ან ნაწილობრივი დამსგავსება მეორე, მეზობელ ბგერასთან.
○ **ასიმილიაცია შცდ.**

**ასისტენტ**-ი [ლათ. assistens (assistentis) დამხმარე, დამსწრე] – **1.** პირი, რომელიც ეხმარება სპეციალისტს მუშაობაში (მაგ. ექიმის თანაშემწე ლექციაზე ან გამოცდაზე და სხვა.).
⊙ **პროფესორის ა.**
**2.** უმცროსი მასწავლებლის თანამდებობა უმაღლეს სასწავლებელში.
⊙ **კათედრის ა.**

**ასკეტ**-ი [ბერძ. ascētē რამეში მოვარჯიშე] – ასკეპტიზმის მიმდევარი.

**ასკეტიზმ**-ი [გერმ. Asketismus ბერძ. askētēs] – **1.** რელიგიური მოძღვრებარომელიც ქადაგებს უკიდურეს თავშეკავებას, სხეულის დათრგუნვას და ამ გზით ზნეობრივი სასუფევლის მიღწევას.
**2.** უკიდურესი თავშეკავება, უარის თქმა ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.
◎ **ასკეტური.**
⊙ **ა. ცხოვრება.**

**ასორტ**-ი [ფრ. assorti შერჩეული რაიმე სპეციალურად შერჩეული ნარევი.
⊙ **შოკოლადის ა.**

**ასორტიმენტ**-ი [ფრ. assortiment] – სხვადასხვა საქონელი (ნაწარმი).

⊙ **მდიდარი ა. ავტომობილის ა.**

**ᲐᲡᲞᲔᲥᲢ**-ი [ლათ. aspectus შეხედულება, სახე] – **1**. (წიგნ.). ასეთი ან ისეთი შესრულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს და სხვ.

⊙ **საკითხის განხილვა სხვადასხვა ა.-ით.**

**2**. (გრამატ.) ზმნის კატეგორია; აჩვენებს დასრულებულია თუ არა მოქმედება.(ქართ. სინონ. სახე).

⊙ **სრული ა., უსრულო ა.**

○ **ასპექტი შცდ.**

**ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ** [ლათ. assotiotio ვუერთებ, შეერთება] – **1**. ადამიანთა ან ორგანიზაციათა გაერთიანება, კავშირი, ამხანაგობა.

⊙ **მეცნიერ მუშაკთა ა.**

**2**. რისამე ჯგუფი, შენაერთი.

⊙ **მოლეკულათა ა:**

**3**. (ფსიქ.). ისეთი კავშირი, წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთს მეორის გამოწვევა შეუძლია.

⊙ **ა. მსგავსების მიხედვით.**

◎ **ასოციაციური.**

⊙ **ა. კავშირი.**

**ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ** [გერმ. assozieren ასოციაციის წევრად გახდომა]: ასოცირებული წევრი – არასრულუფლებიანი წევრი რაიმე საერთაშორისო ორგანიზაციისა (ქვეყანა, რომელიმე ქვეყნის ორგანიზაცია).

**ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢ**-ი [ლათ. aspirans (aspirantis) ვინც ესწრაფვის რასმე] – პირი,რომელიც სამეცნიერო – კვლევითი ან პედაგოგიურ მოღვაწეობისათვის ემზადება (უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებაში).

◎ **საასპირანტო.**

⊙ **ს. გამოცდები.**

**ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐ** [გერმ. aspirantus – ლათ.] – ასპირანტების მომზადების სისტემა.

⊙ **დასწრებული ა.**

**ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲪᲘᲐ** [ლათ. aspiratio ამოსუნთქვა] – (მედიც.). რაიმე დაავადების შედეგად სხეულის ღრუში დაგროვებული სითხის ან ჰაერის ამოსრუტვა (შპრიცით ან უფრო რთული ხელსაწყოთი).

**ᲐᲡᲢᲐᲠᲢᲔ** [ბერძ. Astartç – ძვ. ებრ.] – სირიელთა და ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი, მიწის, ნაყოფიერებისა და სიყვარულის მფარველი, ასტარტის კულტმა გავლენა მოახდინა საბერძნეთის კულტზე – აფროდიტისა.

**ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲔᲑ**-ი [ბერძ. astēr ვარსკვლავი და eidos სახე] – (ასტრ.). მცირე პლანეტები, რომლებიც ბრუნავენ მზის

გარშემო, უმთავრესად მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის.

**ასტრა** [ბერძ. astro ვარსკვლავი] – ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; აქვს იისფერი, წითელი და თეთრი უსუნო ყვავილი.

**ასტრალურ**-ი [ლათ. astralis] – ვარსკვლავისებური: ვარსკვლავისა: ცის სხეულებთან, მნათობებთან მისტიკურად დაკავშირებული.

**ასტრო**...[ბერძ.astron ვარსკვლავი] – რთულ სიტყვებში აღნიშნავს „ვარსკვლავური, ვარსკვლავისა", რომელიც დაკავშირებულია ვარსკვლავებთან.

⊙ **ასტრონომია.**

**ასტროლოგია** [გერმ. astrologia] – მეცნიერება, რომელიც ცდილობს იწინასწარმეტყველოს ადამიანის მომავალი ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით (ქართ. სინონ. ვარსკვლავთმცოდნეობა).

◎ **ასტროლოგიური.**

⊙ **ა. პროგნოზი.**

**ასტრომეტრია** [ბერძ. astron ვარსკვლავი და metreô ვზომავ] – ასტრონომიის ერთ – ერთი მთავარი ნაწილი; მოძღვრება ასტრონომიულ გაზომვათა მეთოდების შესახებ (ცის მნათობთა ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა, დროის გაზომვა და სხვ.).

**ასტრონავტ**-ი – იგივეა, რაც კოსმონავტი.

⊙ **ამერიკელი ა.-ები.**

**ასტრონავტიკა** [ბერძ. astron ვარსკვლავები და nautikē ზღვაოსნობა] – იგივეა, რაც კოსმონავტიკა.

**ასტრონომია** [ბერძ. astronomia – astron ვარსკვლავი და nomos კანონი] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცის სხეულებს, მათ აგებულებას, წარმოშობას,მოძრაობის კანონებს და სხვ.

◎ **ასტრონომიული.**

⊙ **ა. დაკვირვება, ა. წელი.**

**ასტრონომიული** რიცხვები – ითქმის ძალიან დიდ, მრავალნიშნა რიცხვებზე.

**ასტროფიზიკა** – ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ცის სხეულებს ფიზიკურ თვისებებს და ქიმიურ შემადგენლობას.

◎ **ასტროფიზიკური.**

⊙ **აბასთუმნის ა. ობსერვატორია.**

**ასფიქსია** [ბერძ. asphyxia, უარყოფითი ნაწილი და sphzô ვძგერ] – (მედიც.). სულის ხუთვა (ჟანგბადის ნაკლებობის გამო).

**ატავიზმ**-ი [< ლათ. atavus პაპის, პაპის მამა, შორეული წინაპარი] – **1.** (ბიოლ.). ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლენა, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრებისათვის.
**2.** (გადატ.). საერთოდ რისამე გადმონაშთი.

**ატაშე** [ფრ. attaché] – **1.** დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მყოფი თანამდებობის პირი, რომელიც რაიმე დარგის სპეციალისტ-კონსულტანტია.
⊙ **სამხედრო ა.**
**2.** დაბალი დიპლომატიური რანგი საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებაში.
◎ **ატაშესი.**
○ **ატაშისა შცდ.**

**ატაშე–კეის**-ი [ინგლ. attaché-case ფრ.] – პატარა ბრტყელი ჩემოდანი დოკუმენტების გადასატანად; ე. წ. „დიპლომატი“.

**ატელიე** [ფრ. atelier] – **1.** მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო.
**2.** სპეციალურად მოწყობილი სადგომი ფოტო-, კინო- ან ტელეგადაღებისათვის.
⊙ **სატელევიზიო ა.**
**მოდების ატელიე** – სამკერვალო.
◎ **ატელიესი.**
○ **ატელიისა შცდ.**

**ატესტატ**-ი [ლათ. attestos ვამოწმებ, ვამტკიცებ] – **1.** ოფიციალური საბუთი სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
**სიმწიფის ატესტატი** – საბჭოთა კავშირში ასე ეწოდებოდა საშუალო განათლების ატესტატს 1962 - 1994 წლებში.
**2.** მოწმობა სამეცნიერო ან რაიმე სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.
⊙ **პროფესორის ა.**
**3.** საბუთი,რომლის მიხედვითაც სამხედრო მოსამსახურის ხელფასის გარკვეულ ნაწილს იღებს მისი ოჯახის რომელიმე წევრი.

**ატესტაცია** [ლათ. attestatio მოწმობა] – ვისიმე საქმიანი კვალიფიკაციის, ცოდნის დონის განსაძღვრა.
⊙ **დაწესებულების თანამშრომელთა ა.**
◎ **საატესტაციო.**
⊙ **ს. კომისია.**

**ატლანტ**-ი [ბერძ. atlas (Attlantis)] – ძვ. ბერძ. მითის მიხედვით, ტიტანი, რომელსაც ზღვის ბრძანებით მხრებზე ეკიდა ცის თაღი (კამარა).

**ატლას**-ი – **1.** გეოგრაფიული რუკების კრებული.
⊙ **საქართველოს ა., მსოფლი-**

**ოს ა.**

**2.** ტაბულების, ნახაზების, ნახატების და მისთ. კრებული.

⊙ **ანატომიური ა.**

[მითოლოგიური ატლანტის – ბერძ. Atlas (ნათ. Atlantis) – სახელის მიხედვით, რომელიც გამოსახული იყო პირველ ამგვარ კრებულზე].

**ატმოსფერო** [ლათ. atmos. ანაორთქლი და sphaira სფერო,ბირთვი] – **1.** დედამიწის ან სხვა ციური სხეულის (პლანეტის) აირისებრი გარსი.

⊙ **ა.-ს ზედა ფენები.**

**2.** გადატ. (წიგნ.). გარემო პირობები; გარემოცვა

⊙ **მეგობრული ა.**

**3.** აირისებრი სხეულების წნევის საზომი ერთეული.

◎ **ატმოსფერული.** (მნიშვ. 1, 3-ისათვის).

⊙ **ა. ნალექები, ა. წნევა.**

○ **ატმოსფერა შცდ.**

**ატოლ**-ი [ინგლ. atoll < მალდივიურიდან atolu] – რგოლისებური მარჯნის კუნძული (რომლის შუაშიც მოქცეულია ლაგუნა).

**ატომ**-ი [ბერძ. atomos განუყოფელი] – ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი,რომელიც შედგება ატომგულისა და ელექტრონებისაგან; მე-20 ს.მდე მიაჩნდათ ნივთიერების განუყოფელ ნაწილაკად (აქედან სახელწოდება).

⊙ **ნიშანდებული ა. – ები.**

◎ **ატომური (**ქართ. სინონ. **ბირთვული).**

⊙ **ა. ყინულმჭრელი, ა. იარაღი.**

**ატრაქციონ**-ი [ფრ. attraction] – **1.** ეფექტური საცურაო ან საესტრადო ნომერი.

**2.** სახალხო სეირნობის ადგილებში (პარკებში) მოწყობილი გასართობი: კარუსელი, საქანელა, ტირი და მისთ.

**ატრიბუტ**-ი [ლათ. attributum თვისება, კუთვნილება] – **1.** (ფილოს.) საგნის ან მოვლენის ძირითადი არსებითი თვისება.

**2.** (წიგნ.). რისამე დამახასიათებელი ნიშანი.

**აუდიენცია** [ლათ. audientia მოსმენა] – ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ.

⊙ **ელჩის ა. პრეზიდენტთან.**

○ **აუდენცია შცდ.**

**აუდიოვიზუალურ**-ი [ლათ. audire სმენა და visualis მხედველობით] – მხედველობისა და სმენის ერთდროულ აღქმაზე დაფუძნებული.

⊙ **ენების შესწავლის ა. ვ. –რი მეთოდი.**

**აუდიტ**-ი [ინგლ. audit] – ორგანიზაციის, ფირმის დაწე-

სებულების ფინანსური მოღვაწეობის ფორმა.

**აუდიტორია** [ლათ. auditorium] – **1**. დიდი ოთახი ან დარბაზი, სადაც კითხულობენ ლექსებს, მოხსენებებს და მისთ.

⊙ **უნივერსიტეტის ა. – ები. ა. N 100**.

**2**. ლექციის, მოხსენების მსმენელთა ერთობლიობა.

⊙ **მრავალრიცხოვანი ა.**

**აულ**-ი [თურქ. aui] – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების (აგრეთვე შუა აზიის ზოგი ხალხის) სოფელი.

**აურა** [ბერძ. aura ნიავის ქროლა] – **1**. (მედიც.). ეპილეფსიის ან ისტერიის დროს – სიმპტომები, რომლებიც წინ უსწრებს დაავადების შეცვლას: ხშირად გამოხატულია ნიავის ქროლის შეგრძნებით.

**2**. ადამიანის სულის გამოვლინება, ხილული შეიძლება იყოს შარავანდედის სახით.

**აუტოდაფე** [პორტ. auto da fe სარწმუნოების აქტი] – ერეტიკოსთა და მათ თხზულებათა საჭირო დაწვა ინკვიზიციის განაჩენის მიხედვით.

**აუტსაიდერ**-ი [ინგლ. autsider] – **1**. (სპ.). რაიმე შეჯიბრებაში ერთ-ერთი ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი ან სპორტსმენი.

**2**. დოღში: ცხენი, რომელსაც გამარჯვების შანსი არა აქვს.

**აუქციონ**-ი [გერმ. auktion < ლათ. auctio (ლათ. auctionis) ზრდა;] – საჯარო ვაჭრობით,ვაჭრობა, რაიმე ქონების, ნივთების გაყიდვა, როდესაც ეს ქონება (ნივთი) რჩება ყველაზე მეტ საფასურის გადამხდელს.

⊙ **წიგნების ა., ცხენების ა., ავტომობილების ა.**

◎ **აუქციონისტი, სააუქციონო.**

⊙ **ს. ვაჭრობა, ს. დარბაზი, ს. მოედანი.**

**აფერა** [ფრ. affaire] – სახიფათო, ბნელი რამ წამოწყებით ფულის მოგების მიზნით; ფულის შოვნა მოტყუებით (სინონ. ყალთაბანდობა, თაღლითობა).

◎ **აფერისა.**

○ **აფერასი, აფიორა შცდ.**

**აფერისტ**-ი – პირი, რომელიც აფერას სჩადის (თაღლითობს); თაღლითი.

**აფექტ**-ი [ლათ. affecfus სულიერი მღელვარება, ვნება] – ძლიერი განცდის (განრისხების, აღტაცების, სასოწარკვეთილების) გამოვლენა.

**აფიქს**-ი [ლათ. affixus მიმაგრებული] – (ლინგვ.) სიტყვის ნაწილი, რომელსაც აქვს გრამატიკული (და არა საგნობრივი) მნიშვნელობა. მაგ. სიტყვაში – **ა-შენ-ებ-ს – ა-,**

**-ებ-** და **-ს** აფიქსებია.

**აფიშა** [ფრ. afficke განცხადება] – მსხვილი ასოებით დაწერილი ან დაბეჭდილი განცხადება წარმოდგენის, კონცერტის, ლექციისა და მისთ. შესახებ: გამოაკრავენ ხოლმე ხალხის თავშეყრის ადგილებში.

**აფიშირება** [ფრ. afficta] – საჯაროდ, საქვეყნოდ გატანა, ფართოდ გახმაურება რისამე.

**აფონია** [ბერძ. aphônia სიმუნჯე] – ხმის დაკარგვა სახმო სიმების ან ნერვული სისტემის დაავადების შედეგად.

**აფორიზმ**-ი [ბერძ. aphorismon გამონათქვამი, განსაზღვრა] – დახვეწილი, ლაკონიური გამოთქმა, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან აზრს, სიბრძნეს.

⊙ **რუსთველის ა.-ები.**

◎ **აფორიზმული.**

⊙ **ა. სტილი.**

**აფროდიტე** [ბერძ. Aphroditē] – ბერძნულ მითოლოგიაში: სიყვარულსა და სილამაზის ღმერთი, რომელიც დაიბადა ზღვის ქაფიდან.

**ათერშოკ**-ი [ინდ. attershock] – ძლიერი მიწისძვრის მომდევნო სუსტი ბიძგი მთავარი კერის მახლობლად.

**აქატ**-ი [ბერძ. achatçs] – მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; აყიყი.

**აქერონტ**-ი [ბერძ. Acheron (acherontos)] – ბერძნულ მითოლოგიაში: მდინარე მიწისქვეშა სამეფოში.

**აქსელბანდ**-ი [გერმ. Achselband] – ზოგი ქვეყნის არმიაში: გენერლის, შტაბის ოფიცრის, ადიუტანტის, საპარადო ფორმის (მუნდირის) ნაწილი – ბუნიკებიანი წნული სამხრე ზონარი ოქრომკედისა ან სირმისა.

⊙ **აქსელბანტი შცდ.**

**აქსელერატორ**-ი [< ლათ. accelero ავაჩქარებ] და **აქცელერატორ**-ი **1.** მოწყობილობა, რომელიც აწესრიგებს საწვავი ნარევის მიწოდება კარბურატორიდან შიგაწვის ძრავას ცილინდრებში ბრუნვათა რაოდენობის შესაცვლელად.
**2.** პედალი, რომელიც ამოქმედებს ამ მოწყობილობა.

**აქსელერაცია** და **აქცელერაცია** [ლათ. acceleratio] – ბავშვთა, მოზარდთა სქესობრივი მომწიფების და სიმაღლის მომატების (აგრეთვე გონებრივი განვითარების) აჩქარება; აჩქარებული ზრდა – განვითარება.

**აქსესუარ**-ი [ფრ. accessoire] და

მრ. **აქსესუარები** – **1**. (თეატრ.). წვრილწვრილი სასცენო ნივთები.

**2**. გადატ. (წიგნ.) მეორეხარისხოვანი, დამატებითი რამ, რაც ახლავს მთავრის ძირითადს.

**3**. რისამე კუთვნილება.

**აქსიომა** [ბერძ. axiôma საყოველთაოდ მიღებული, მნიშვნელოვანი, პატივისცემის ღირსი, უეჭვო, უდავო] – **1**. ამა თუ იმ მეცნიერებაში ამოსავლად მიღებული დებულება. რომელიც თვითონ არ არის დამტკიცებული, მაგრამ აუცილებელია სხვა დებულების დასამტკიცებლად.

⊙ **გეომეტრიული ა.**

**2**. გადატ. (წიგნ.). თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას.

◎ **აქსიომური.**

⊙ **ა. ჭეშმარიტება.**

○ **აქსიომატური შცდ.**

**აქსონომეტრია** [ბერძ. axôn ღერძი და metreô ვზომავ] – ნახაზზე საგნის გამოსახვის წესი.

**აქტ**-ი [ლათ. actus] – **1.** რაიმე ცალკეული მოქმედება.

⊙ **კეთილი ნების ა.**

**2**. რისმე დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი.

⊙ **სამოქალაქო მდგომარეობის ა.**

**3**. თეატრალური წარმოდგენის ნაწილი.

⊙ **მესამე ა.**

**4**. საზეიმო კრება სასწავლო დაწესებულებაში.

◎ **სააქტო** (მნიშვნ. 2, 3-ისათვის).

⊙ **ს. ფურცელი.**

**სააქტო დარბაზი** – სხდომათა დარბაზი.

... **აქტიანი** (მნიშვნ. 3-ისათვის).

⊙ **ერთაქტიანი ბალეტი, ორაქტიანი წარმოდგენა.**

**აქტივ**-ი [ლათ. activus მოქმედი] – **1**. რაიმე ორგანიზაციის, კოლექტივის ყველაზე მოწინავე, ინიციატივიანი და მოქმედი ნაწილი.

**2**. (ბუხჰალტ.). წარმოების ბალანსის ნაწილი, რომელშიც შედის ყველა სახის მატერიალური ფასეულობა (ფული, საქონელი და სხვ.) და მოთხოვნები საპირისპ. პასივი).

**3**. (გრამ.) ზმნის მოქმედებითი გვარი.

◎ **აქტიური** – ენერგიული, დაუცხრომელი (საპირისპ. **პასიური**).

⊙ **ა. ადამიანი, ა. მონაწილეობა.**

**აქტუალურ**-ი [ლათ. actualis] – დიდად მნიშვნელოვანი თა-

ნამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი; საჭირბოროტო.

**აქცენტ**-ი [ლათ. accentus] – **1.** თავისებური წარმოთქმა, რაც შეიძლება ახასიათებდეს არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს.

**2.** (ლინგვ.) ხმის აწევა სიტყვის რომელიმე მარცვალზე; მახვილი.

**3.** (გადატ.). ხაზგასმა (მხატვრულ ნაწარმოებებში, სტატიაში, სიტყვაში და ა. შ.).

**4.** (მუს.) ცალკე ბგერის (რიტმული გაგრძელება, ტემბრის შეცვალა და სხვა); რიტმული მახვილი.

**აქცია**[1] [ფრ. action] – ფარანი ქაღალდი, როლიც მის მფლობელს აძლევს სააქციო საზოგადოების კაპიტალს მოგებიდან გარკვეულ ნაწილის (წილის, დივიდენდის) მიღების უფლებას.

◎ **სააქციო.**

⊙ **ს. კაპიტალი, ს. საზოგადოება, ს. კომპანია.**

**აქცია**[2] [ლათ. actio მოქმედება] – (წიგნ.) რაიმე მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება.

⊙ **დიპლომატიური ა., პოლიტიკური ა.**

**აქციზ**-ი [ფრ. accise] – არაპირდაპირი გადასახადი ფართო მოხმარების საგნებზე, როგორიცაა ჩაი, შაქარი, თამბაქო და სხვ.

**აქციონერ**-ი [ფრ. actionnaire] – აქციების (იხ. აქცია 1) მფლობელი, სააქციო წამოწყების მონაწილე.

⊙ **სააქციო.**

○ **სააქციონერო შცდ.**

**აღაპ**-ი [ბერძ. agapamo - დიდი პატივით მიღება ან გაცილება] – მოსახსენებელი, ქრისტეს უკანასკნელი სერობის მოსაგონებელი საღამო. წირვის დროს მღვდელი იხსენებს განსვენებულებს, რომლებიც რვეულში უწერია. ჩვენში გაიგივებულია ქელეხთან.

**აშუღ**-ი [თურქ. āsik. arab. āsiq მიჯნური] – უპირატესად მუსლიმანურ ქვეყნებში: მგოსანი, რომელიც უკრავს თარს, საზს ან ქამანჩას ან სხვა საკრავს და ზედ ამღერებს საკუთარ ლექსებს.

**აშქენაზ**-ი [ებრ. atkenazi] – ევროპელი ებრაელები.

**აცეტონ**-ი [ლათ. acetum ძმარი] – ორგანული ნაერთი, უფერო სითხე; დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში.

**აცტეკებ**-ი – მექსიკის ინდიელები, რომლებმაც შექმნეს დიდად განვითარებული კულტურა,

იეროგლიფური დამწერლობა; მე-18 ს.-ში ა.-ების სახელმწიფო დაიპყრეს ესპანელებმა.

**ახუნდ**-ი [სპარს. âchûnd მასწავლებელი] – მაჰმადიანებში: სჯულის მცოდნე.

## ბ

**ბაალ**-ი [ბერძ. baal < ძვ. ებრ.] – ძველი სემიტების (ფინიკიელების,ებრაელებისა და სხვ.) ნაყოფიერების წარმართული ღვთაება.

**ბაბილონის გოდოლი** – ითქმის არეულ-დარეულობაზე, შფოთზე, აურზაურზე [ბიბლიური გადმოცემით მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანები ცდილობდნენ აეშენებინათ ბაბილონის ცათამბჯენი კოშკი. ამით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათი ენები, ამიტომ ერთმანეთისა აღარ ესმოდათ-რა და გაიფანტნენ მთელი დედამიწის ზურგზე]

**ბაგაჟ**-ი [ფრ. bagage] – მგზავრის ბარგი, შეფუთული ნივთები მატარებლით, გემით, თვითმფრინავით და მისთ. გადასატანად.

◎ **საბაგაჟო.**

○ **ს. განყოფილება** (სადგურში), **ს. ვაგონი.**

**ბაგეტ**-ი [ფრ. baguette] – მხატვრულად გაფორმებული (შეღებილი, მოოქროვილი) ხის თამასა ჩარჩოებისთვის (სურათებისა, პორტრეტებისა) და კარნიზებისათვის (ლავგარდანი). ბაგეტი აგრეთვე გამოიყენება ბინის ჭერისა და კედლების მოსახატავად.

**ბადმინტონ**-ი [ინგლ. badminton < ინგლისის ერთ-ერთი ქალაქის სახელიდან] – ჩოგბურთის მსგავსი თამაში; მაღლა გაჭიმული ბადის თავზე ჩოგნით (რაკეტით) ისვრიან კორპის ან პლასტმასის ძაბრისებურ ბურთს – ვოლანს.

○ **ბადმინგტონი შცდ.**

**ბაზა** [ფრ. base < ბერძნ. basis საფუძველი] – **1.** (წიგნ.) საფუძველი, საყრდენი რისამე.

⊙ **მატერიალური ბ., სოციალური ბ.**

**2.** თავმოსაყრელი ან დასაყრდენი პუნქტი რაიმე მოქმედებისათვის.

⊙ **ტურისტულ-საექსკურსიო ბ.**

**3.** მთავარი საწყობი.

⊙ **სასურსათო ბ., სამშენებლო მასალების ბ.**

**4.** რისამე არსებობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობათა, პირობათა ერ-

თობლიობა.

⊙ **ნედლეულის ბ. მსუბუქი მრეწველობისათვის, მესაქონლეობის საკვები ბ.**

**5**. ქვეყნის შეიარაღებული ძალების საყრდენი პუნქტი თავის ან სხვის ტერიტორიაზე.

⊙ **საავიაციო ბ., სამხედრო-საზღვაო ბ.**

**6**. მანძილი ავტომობილის ღერძებს (ხიდებს) შორის.

⊙ **ავტომობილ „კოლხიდის“ ბ.**

**7**. მონაცემების ბაზა – მონაცემების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია შენახვის, დაგროვებისა და დამუშავებისათვის კომპიუტერის მეშვეობით.

◎ **საბაზო** (მნიშვ. 1, 2, 3-ისათვის).

⊙ **ს. საწყობი.**

**ბაზალტ**-ი [ლათ. bazaltes] – ვულკანური წარმოშობის ქანი, ჩვეულებრივ, შავი ფერის; იყენებენ სამშენებლო საქმეში, კერამიკულ და მინის მრეწველობაში.

**ბაზილიკ**-ა [ლათ. basilica < ბერძნ. basilikê მეფის სახლი] – წაგრძელებული, სწორკუთხა, უგუმბათო ტაძარი, გავრცელებული იყო გვიანდელ ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში.

⊙ **ურბნისის ბ.**

◎ **ბაზილიკისა.**

○ **ბაზილიკასი შცდ.**

**ბაზის**-ი [ბერძ. basis საფუძველი] – **1**. ფუნდამენტი, რისამე საფუძველი.

⊙ **ბ. რეფორმებისათვის.**

**2**. საზოგადოების ეკონომიკური წყობილება, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა; ყოველ ბაზისს აქვს თავისი შესაფერისი ზედნაშენი (პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი).

**ბათისკაფ**-ი [ბერძ. bathos სიღრმე და skaphos გემი] – ზღვის სიღრმის გამოსაკვლევი აპარატი (ჭურვი).

○ **ბატისკაფი შცდ.**

**ბაიადერ**-ი [ფრ. bayadére < პორტ.] – ინდოეთში: საკულტო ტაძრის მოცეკვავე ქალი, აგრეთვე მოხეტიალე მოცეკვავე ქალი.

⊙ **ბაიადერისა**

○ **ბაიადერასი შცდ.**

**ბაიდარ**-ი [< რუს. Байдарка] – ვიწრო და მსუბუქი სპორტული ერთ- ან ორადგილიანი ნავი; მართავენ ორლაპოტიანი ნიჩბით.

⊙ **ბაიდარისა.**

⊙ **ბაიდარკა, ბაიდარასი შცდ.**

⊙ **ბაიადერი** სხვაა (იხ.).

**ბაირამ**-ი [თურქ. bayram დღესასწაული] – მუსლიმანთა ორი მთავარი დღესასწაულის სახელწოდება („დიდი ბაირამი“ და „მცირე ბაირამი“).

**ბაიტ**-ი [ინგლ. byte] – ინფორმაციის საზომი ერთეული, 8 ბიტის ტოლი. გამოთვლით ტექნიკაში მანქანური სიტყვის ნაწილი, რომელსაც კომპიუტერი ამუშავებს როგორც მთლიანობას.

**ბაიხ**-ი [ჩინ.] – ბაიხის ჩაი – ფხვიერი ჩაი (დაწნეხილი ჩაისგან, ფილა ჩაისაგან განსხვავებით)

⊙ **ბაიხაო, ბაიხაოს ჩაი შცდ.**

**ბაკ**-ი [ფრ. bac < ჰოლანდ. bak გობი, ვარცლი] – **1**. ლითონის სათავსი სითხის შესანახად (სინონ. ავზი). **2**. ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება გემზე საკვების (საჭმლის) დასარიგებლად.

⊙ **წყლის ბ., ბენზინის ბ.**

**ბაკალავრ**-ი [ლათ. baccalavreus] – **1**. დასავლეთი ევროპის ბევრ ქვეყანაში უდაბლესი სამეცნიერო აკადემიური ხარისხი. **2**. უმაღლეს სასწავლებელში: ორსაფეხურიანი სწავლების პირველი საფეხურის კურსდამთავრებული.

**ბაკალეა** [რუს. Бакалея < არაბ. bakkãl სუნელ-სანელებლებით მოვაჭრე] – **1**. საერთო სახელწოდება ისეთი სასურსათო საქონლისა, როგორიცაა ჩაი, შაქარი, ყავა, ფქვილი, ბურღული, მაკარონის ნაწარმი და სხვ.

**2**. მაღაზია ან მაღაზიის სექცია, სადაც ეს საქონელი იყიდება.

◎ **საბაკალეო.**

⊙ **ს. საქონელი, ს. განყოფილება** (მაღაზიაში).

⊙ ძველ ქართულში იხმარებოდა: **საბაყლო; ბაყალი** – ასეთი საქონლით მოვაჭრე.

◎ **ბაკალეისა.**

⊙ **ბაკალეასი, ბაკალეია, საბაკალეიო შცდ.**

**ბაკარა** [ფრ. baccarat < გეოგრ. სახ.] – საუკეთესო ხარისხის ბროლი.

**ბაკენბარდ**-ი [გერმ. Backenbart] – ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე გამოპარსული წვერი.

◎ **ბაკენბარდებიანი.**

⊙ **ბ. კაცი.**

**ბაკქანალია** [ლათ. bacchanalia < Bacchus ბახუსი] – **1**. ძველ საბერძნეთსა და რომში: ღვინისა და ლხინის ღმერთის დღესასწაული. **2**. (გადატ.) თავაშვებული დროსტარება, ორგია.

**ბალ**-ი[1] [ფრ. balle ბურთი] – ბუნების რაიმე მოვლენის (ქარის, ზღვის ღელვის, მიწისძვრის...) ძალის საზომი ერთეული.

⊙ **ღელვა რვა ბ.-ს აღწევდა.**

◎ **... ბალიანი.**

⊙ **ოთხ ბ. მიწისძვრა.**

**ბალ**-ი[2] [ფრ. ball] – დიდი საცეკვაო საღამო (სინონ. **მეჯლისი**).

◎ **საბალო.**

⊙ **ს. ცეკვები, ს. კაბა.**

**ბალა́ბან**-ი [რუს. Балаган < სპარს. ბალახანი – აივანი] – **1.** სახელდახელო, დროებითი ნაგებობა თეატრალური და საცირკო სანახაობისათვის; თვით ასეთი სანახაობა, ასეთ ნაგებობაში გამართული (იცოდნენ ძველად ბაზრობებზე, სახალხო სეირნობაზე)

**2.** გადატ. (საუბ.) უხამსი სანახაობა

◎ **ბალაგანისა.**

○ **ბალაგნისა, ბალაგნური, შცდ.**

**ბალადა** [ფრ. ballade] – **1.** მცირე ზომის სატრფიალო ლექსი ზღაპრული, ლეგენდარული ან ისტორიული შინაარსისა.

⊙ **ქართული-ხალხური ბ. „მოყმე და ვეფხვი“, ფრ. შილერის ბ.-ები.**

◎ **ბალადისა.**

○ **ბალადასი შცდ.**

**2.** (მუს.) ვოკალური ან ინსტრუმენტული ნაწარმოები თხრობითი ხასიათისა.

**ბალანს**-ი [ფრ. balance] – შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ნუსხა.

⊙ **წლიური ბ., პასიური ბ., აქტიური ბ., ბ.-ის შედგენა.**

◎ **საბალანსო.**

⊙ **ს. ანგარიში, ს. აღრიცხვა.**

**ბალანსი́რება** [ფრ. balancer] – წონასწორობის დაცვა.

⊙ **თოკზე ბ.**

**ბალა́ნსირ**-ი [გერმ. balancier (slange) < ფრ. balancier მხარული, უღელი] – **1.** მთავარი რეგულატორი (მრგვალი საპირწონის სახით) ჯიბის და ზღვის საათებში, ქანქარის შემცვლელი.

**2.** მხრული, უღელი, ორმხრივი ბერკეტი მანქანებში, რომელიც რგოლებს გადასცემს უკუქცევით მოძრაობას; გამოიყენება სასწორებში, საზომ ხელსაწყოებში და მისთ.

**ბალასტ**-ი [ინგლ. ballast] – **1.** ტვირთი აეროსტატის ჰაერში ასვლის მოსაწესრიგებლად ან გემის წონასწორობის გასამტკიცებლად (ქართ. სინონ. სიმძიმე).

⊙ **ბ.-ის გადაყრა.**

**2.** რკინიგზის ვაკისზე დაყრილი ხვინჭა და ღორღი შპა-

ლებისათვის მდგრადობის მისაცემად.

**3.** გადატ. (წიგნ.) ზედმეტი, უსარგებლო რამ.

**ბალდახინ**-ი [იტ. baldacchino ფარდა, კარავი, ფარდული] – (მოძვ.) **1.** მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ჩარდახი სვეტებზე.

**2.** მიცვალებულის გასასვენებელი ჩარდახიანი ეტლი (სინონ. **კატაფალკი**).

**ბალერინა** [იტ. ballerina] – ბალეტის მსახიობი მოცეკვავე ქალი.

◎ **ბალერინისა.**

⊙ **ბალერინასი შცდ.**

**ბალეტ**-ი [ფრ. ballet, იტ. balleto] – **1.** სათეატრო ცეკვის ხელოვნება.

⊙ **ქართული ბ.; ბ.-ის ოსტატები.**

**2.** ცეკვითა და მიმიკით გადმოცემული თეატრალური წარმოდგენა, რომელსაც ახლავს მუსიკა.

⊙ **ადანის ბ. „ჟიზელი“**

◎ **საბალეტო.**

⊙ **ს. მუსიკა, ს. ცეკვა, ს. ქვედატანი.**

**ბალეტმაისტერ**-ი [გერმ. balletmeister] – ბალეტის დამდგმელი რეჟისორი, ქორეოგრაფი.

◎ **ბალეტმაისტერისა.**

⊙ **ბალეტმაისტრისა, ბალეტმეისტერი შცდ.**

**ბალზამ**-ი [ბერძნ. balsamor] – ზოგი მცენარის სქელი წვენი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფისსა და ეთეროვან ზეთებს; იყენებენ მედიცინასა და ტექნიკაში.

**დაბალზამება** – (გვამის) გაჟღენთა ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც იცავენ გახრწნისაგან [სინონ. (ძვ.) შემურვა]

**ბალისტა** [ლათ. ballista < ბერძნ. ballô გადავისვრი] – ძველად: ლოდსატყორცნი მანქანა; იყენებდნენ ციხე-სიმაგრის კედლების დასანგრევად.

**ბალისტიკა** [გერმ. ballistik < ბერძნ. ballô გადავისვრი] – **1.** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გასროლილი საარტილერიო ჭურვის, ტყვიის, ნაღმისა და მისთ. მოძრაობის კანონებს.

**2.** თეორიული მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს ჰორიზონტის მიმართ გარკვეული კუთხით გასროლილი მძიმე სხეულის მოძრაობის კანონებს.

◎ **ბალისტიკური.**

⊙ **ბ. ტრაექტორია.**

○ **ბალისტიური შცდ.**

**ბალისტიკური რაკეტა** – რაკეტა, რომელიც ფრენაში ძრავის მუშაობის დამთავ-

რების შემდეგ ეცემა თავისუფლად ვარდნილი სხეულის ტრაექტორიით.

**ბᲐᲚᲙᲝᲜ**-ი [ფრ. balcon] – მაყურებელთა ადგილები თეატრის შუა და ზედა იარუსებზე (ძველად სულ ზედა იარუსის ბალკონს, სადაც იაფფასიანი ადგილები იყო, ქანდარა ეწოდებოდა).

⊙ **მესამე იარუსის ბ., ბ.-ის პირველი რიგი, ბ.-ის ბილეთი.**

○ **აივანი შცდ.**

**ბᲐᲚ-ᲛᲐᲡᲙᲐᲠᲐᲓ**-ი – ბალი² და მასკარადი.

**ბᲐᲚᲜᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ** [ლათ. balneum აბანო და ბერძნ. logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მინერალური წყლებისა და ტალახის სამკურნალო გამოყენების მეთოდებს.

◎ **ბალნეოლოგიური, საბალნეოლოგიო.**

⊙ **ბ. (ს.) კურორტი.**

**ბᲐᲚᲝᲜ**-ი [ფრ. ballon ღრუ სფერო] – მიწის, ლითონის, რეზინის ან სხვ. მასალის დახურული ჭურჭელი სითხეებისა და აირებისათვის.

⊙ **ჟანგბადის ბ., გოგირდმჟავას ბ.**

**ბᲐᲚᲣᲡᲢᲠᲐᲓᲐ** [ფრ. balustrada < იტ.] – რიკულებიანი მოაჯირი.

⊙ **ტერასის ბ., კიბის ბ.**

◎ **ბალუსტრადისა.**

○ **ბალიუსტრადა, ბალუსტრადასი შცდ.**

**ბᲐᲛბᲣᲙ**-ი [ფრ. bambou<მალაიური bambu] – ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; აქვს დამუხლული მაგარი ღრუ ღერო.

⊙ **ბ.-ის ჯოხი, ბ.-ის სკამი.**

**ბᲐᲛᲞᲔᲠ**-ი [ინგლ. bumper ძლიერი დარტყმა] – ავტომობილის მოწყობილობა (ნაწილი), რომელიც ამცირებს ავარიული დარტყმის (დაჯახების ძალას.

**ბᲐᲜᲐᲚᲣᲠᲘ** [<ფრ. banal] – სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული.

⊙ **ბ. მსჯელობა, ბ. ხუმრობა.**

**ბᲐᲜᲐᲜ**-ი [ესპ. banano] – **1.** ტროპიკული ბალახოვანი მცენარე; აქვს მსხვილი, მოგრძო ფოთლები და მოგრძო ფქვილოვანი ტკბილი ნაყოფი.

**2.** ერთ-ერთი ჯიშის ვაშლი.

**ბᲐᲜᲓᲔᲠᲘᲚᲘᲐ** [ესპ. banderrila] – ბაფთებით შემკული პატარა შუბი, რომელსაც იყენებენ ხარების ბრძოლაში (კორიდაში).

**ბᲐᲜᲓᲔᲠᲘᲚᲘᲔᲠᲝ** [ესპ. banderillero] – ესპანეთში ხარებთან ქვეითად მებრძოლი, რომელიც შეიარაღებულია ბანდერილიით.

**ბანდეროლ**-ი [ფრ. banderolle] – **1**. საფოსტო გზავნილზე შემოკრული ქაღალდი, რომელსაც აწერია მისამართი; ამ წესით შეფუთული გზავნილი.

⊙ **წიგნის გაგზავნა ბ.-ით.**

**2**. ქაღალდის ლენტი, შემოკრული სავაჭრო საქონელზე (ხელუხლებლობის ნიშნად).

**ბანკ**-ი [ფრ. banque] – **1**. მსხვილი საკრედიტო დაწესებულება.

⊙ **სახელმწიფო ბ., კომერციული ბ., შემნახველი ბ.**

**2**. გადატ. სხვადასხვა დაცული, შენახული ინფორმაციის ერთობლიობა.

⊙ **კომპიუტერული მონაცემების ბ.**

◎ **საბანკო** (მნიშვ. 1-სათვის).

⊙ **ს. საქმე, ს. ბილეთი, ს. ოპერაციები.**

**ბანკეტ**-ი [ფრ. banquet] – საზეიმო წვეულება,რომელიც იმართება ვისიმე პატივსაცემად ან რაიმე მოვლენის აღსანიშნავად.

◎ **საბანკეტო.**

⊙ **ს. დარბაზი.**

**ბანკირ**-ი [გერმ. Bankier < ფრ. banquier] – ბანკის პატრონი ან მსხვილი აქციონერი.

**ბანკნოტ**-ი [ინგლ. bank-note] – საბანკო ბილეთი, რომელიც ოქროს მონეტის მაგივრობას ეწევა.

**ბანკო** [იტ. banco ბანკი] – ფასი ან კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას.

**ბანკროტ**-ი [ფრ. banqueroutier, გერმ. Bankerott < იტ. bancerotte გატეხილი ბანკი] – **1**. ვალის გადახდის უნარმოკლებული, ვალაუვალი, გაკოტრებული პირი, წარმოება-დაწესებულება ან ბანკი.

**2**. გადატ. ის, ვინც სრული მარცხი განიცადა, აღმოჩნდა უუნარო.

⊙ **ზნეობრივი ბ.**

**ბაობაბ**-ი [ეთიოპ.] – გიგანტური ხე – „მაიმუნის ხე“; ისხამს კიტრის მსგავს დიდ ნაყოფს; ხარობს ტროპიკულ აფრიკაში.

**ბაპტიზმ**-ი [ბერძნ. baptizô ვნათლავ] – პროტესტანტული ქრისტიანული მიმდინარეობა; წარმოიშვა XVII საუკუნეში. გავრცელებულია ძირითადად აშშ-ში; უარყოფს ბევრ საეკლესიო წესს; მიაჩნია, რომ მხოლოდ მოზრდილი ადამიანების მონათვლაა დასაშვები.

**ბაპტისტ**-ი – ბაპტიზმის მიმდევარი.

**ბარ**-ი[1] [ინგლ. bar] – პატარა კაფე, სადაც, ჩვეულებრივ, დგომელა

შეექცევიან საჭმელს და სასმელს, ძირითადად ალკოჰოლს.

⊙ **ბარმენი.**

**ბარ**-ი² [ბერძ. barus სიმძიმე] – ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

**ბარაკ**-ი [ბერძ. baraque] – დროებითი მსუბუქი საცხოვრებელი ნაგებობა.

**ბარაჟირება** – თვითმფრინავების პატრულირება ჰაერში მტრის ავიაციის თავდასხმისაგან ობიექტების დასაცავად.

**ბარბარიზმ**-ი [ბერძ. barbaros უცხო] – ამა თუ იმ ბუნებისათვის შეუფერებელი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც შექმნილია სხვა ენის ნორმების მიხედვით; უცხოური ენიდან საჭიროების გარეშე შემოსული სიტყვა.

**ბარბაროს**-ი [ბერძ. barbaros] – **1.** უკულტურო, ველური ადამიანი. **2.** (ისტ.) ძველი ბერძნებისა და რომაელების სიტყვახმარებაში: უცხოური (არაბერძენი, არარომაელი).

◎ **ბარბაროსული.**

⊙ **ბ. საქციელი.**

**ბარელ**-ი [ინგლ. barrel პატარა კასრი] – ინგლისში, აშშ-ში და ზოგ სხვა ქვეყანაში: ტევადობის და მოცულობის საზომი (დაახლოებით 115,5-დან 163,5 ლ-მდე).

**ბარელიეფ**-ი [ფრ. bar-relief დაბალი რელიეფი] – სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ოდნავ არის ამობურცულ ბრტყელ ზედაპირზე თავისი სავარაუდო მოცულობის ნახევარზე ნაკლებად (შდრ. **ჰორელიეფი**).

**ბარიერ**-ი [ფრ. barriere] – **1.** ზღუდე, დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახონ (მაგ. მორბენლებმა, ცხენოსნებმა და სხვ.); (ქართ. სინონ. **თარჯი**).

⊙ **ცხენმა ბ. გადალახა** (დაძლია).

**2.** დაბალი ტიხარი, მოაჯირი. **3.** გადატ. რისამე, რაიმე მოქმედების შემაფერხებელი გარემოება.

**ბარიკადა** [ფრ. barricade] – თავდასაცავი ჩახერგილი დიდი საგნები (მიწით სავსე ტომრები, მორები და სხვ.) ქუჩის ბრძოლების დროს.

⊙ **ბ.-ის აგება, ბ-ზე ბრძოლა.**

○ **ბარიკადი შცდ.**

**ბარიტონ**-ი [იტ. baritono < ბერძ. barytonos უხეშხმიანი] – **1.** მამაკაცის ხმა, საშუალო ტენორსა და ბასს შორის. **2.** ასეთი ხმის მქონე მომღერალი. **3.** საშუალო ზომის სპილენ-

ძის ჩასაბერი საკრავი; შედის სასულე ორკესტრის შემადგენლობაში.

**ბარკაროლა** [< იტ. barkarola < barka ნავი] – **1.** ვენეციელი მენავეების (გონდოლიერების) სიმღერა. **2.** ასეთი სიმღერის სტილი ინსტრუმენტული ან ვოკალური ნაწარმოები.

⊙ **ჩაიკოვსკის ბ.**

◎ **ბარკაროლისა.**

○ **ბარკაროლასი შცდ.**

**ბარკას**-ი [ჰოლანდ. barkas] – **1.** დიდი მრავალნიჩბიანი ნავი. **2.** პატარა დამხმარე გემი; იყენებენ ნავსადგურებში გემების საბუქსირედ, წვრილმანი გადაზიდვებისათვის (ქართ. სინონ. **კარაპა**).

⊙ **სახანძრო ბ.**

**ბარო**... [ბერძ. baros სიმძიმე და camera ოთახი] – რთულ სიტყვებში უჩვენებს მოცემული სიტყვების დამოკიდებულებას სიმძიმესთან, წნევასთან.

⊙ **ბარომეტრი.**

**ბაროკამერა** [ბერძ. baros სიმძიმე და camera ოთახი] – ჰერმეტული კამერა, რომელშიც ქმნიან ატმოსფეროზე დაბალ (ან მაღალ) წნევას; იყენებენ საფრენი აპარატების ხელსაწყოთა გამოსაცდელად, მფრინავებისა და კოსმონავტების საწვრთნელად და სხვ.

**ბაროკო** [იტ. barocco იჩხიბი, ღვლარჭნილი < პორტ. baroco არასწორი (მარგალიტის ფორმაზე)] – მე-16-18 სს.-ის მხატვრული სტილი ევროპულ ხელოვნებაში (განსაკუთრებით არქიტექტურაში); დამახასიათებელია გრანდიოზულობა, ღვლარჭნილობა, დეკორატიული წვრილმანების საჭარბე.

◎ **ბაროკული.**

⊙ **ბ. სტილი.**

**ბარომეტრ**-ი [ბერძ. baros სიმძიმე და metreo ვზომავ] – ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; იყენებენ ამინდის ცვლილების პროგნოზისათვის.

⊙ **ვერცხლისწყლის ბ.**

**ბარონ**-ი [ბერძ. baron < ძვ. გერმ. baro თავისუფალი] – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავადაზნაურული ტიტული, გრაფზე დაბალი.

**ბარონესა** [ინგლ. baroness < ფრ.] – ბარონის ცოლი ან ქალიშვილი.

◎**ბარონესისა**

○**ბარონესასი შცდ.**

**ბარჟა** [ფრ. barge] – სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს (ქართ. სინონ. კარჭაპი).

◎ **ბარჟისა.**

○ **ბარჟასი შცდ.**

**ბᲐᲠᲢᲔᲠ**-ი [ინგლ. barter გაცვლა-გამოცვლა, საქონელგაცვლა] – საგარეო ვაჭრობაში: გაწონასწორებული ვაჭრობა, რომლის დროსაც ვალუტის გადახდა არ არის საჭირო და თანაბრად შეფასებული საქონელი იცვლება ერთმანეთში.

◎ **ბარტერული** და **საბარტერო**

⊙ **ბ. (ს.) გარიგება, საქონლის ბ. (ს.) გაცვლა.**

**ბᲐᲡ**-ი [იტ. basso] – **1.** მამაკაცის ყველაზე დაბალი ხმა; ბანი, დვრინი.

**2.** ასეთი ხმის მქონე მომღერალი, ბანი.

**3.** დაბალი რეგისტრის სიმებიანი ან სასულე მუსიკალური საკრავი.

**ბᲐᲡᲢᲘᲚᲘᲐ** [ფრ. bastille] – ციხე-სიმაგრე და სახელმწიფო საპყრობილე პარიზში მე-14-18 სს; საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისში 1789 წლის 14 ივლისს აიღეს აჯანყებულებმა; ეს დღე ითვლება საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულად.

**ბᲐᲡᲢᲘᲝᲜ**-ი [ფრ. bastion] – **1.** ციხე-სიმაგრის გალავანის კუთხეებში დატანებული ხუთკუთხედის ფორმის ნაგებობა, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ შემოსეულ მტერს.

**2.** გადატ. ზურჯი, დასაყრდენი.

**ბᲐᲢᲐᲚᲘᲐ** [ფრ. batalle] – (წიგნ.) ბრძოლა.

**ბᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜ**-ი [ფრ. bataillon] – საჯარო ქვეგანაყოფი, რომელიც 3-4 ასეულისაგან შედგება (ქართ. სინონ. **ათასეული**).

⊙ **მსროლელი ბ., სატანკო ბ.**

○ **ბათალიონი შცდ.**

**ბᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘ** [<ფრ. bataille ბრძოლა] – ომის, ბრძოლის სცენების ამსახველი.

⊙ **ბ. ფერწერა, ბ. ჟანრი ხელოვნებაში.**

**ბᲐᲢᲐᲠᲔᲐ** [ფრ. batterie] – **1.** რამდენიმე ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო ქვედანაყოფი (შედის საარტილერიო დივიზიონში).

⊙ **საზენიტო ბ., ბ.-ის ცეცხლი.**

**2.** გამაგრებული ადგილი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ქვემეხის პოზიციას.

⊙ **საცეცხლე ბ.**

**3.** მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან შეერთებულ რამდენიმე სავსებით ერთგვარ ნაწილს, ელემენტს.

⊙ **გალვანური ბ., ორთქლით გათბობის ბ.**

◎ **ბატარეისა.**

○ **ბატარია, ბატარიასი, ბატარეია, შცდ.**

**ბატერფლაი** [ინგლ. butterfly პეპელა] – სპორტული ცურვის ხერხი; ბრასის ნაირსახეობა.

**ბატისფერო** [ბერძ. bathos სიღრმე და sphaira სფერო] – **1.** ზღვის სიღრმე; **2.** ფოლადის სფერული კამერა, რომლითაც ჩადიან ზღვაში სიღრმეების გამოსაკვლევად.

**ბატონ**-ი [ფრ. batôn ჯოხი] – **1.** გრძელი, მრგვალი ან წაგრძელებული ფორმის პური; საკონდიტრო ნაწარმი პატარა ჯოხის ფორმის.

⊙ **შოკოლადის ბ., ნაყინის ბ.**

◎ ქართ. **ბატონი** სხვა წარმოშობისაა. იგი მოდის ლათ. **patronus**-იდან, რაც „მფარველს" ნიშნავს. აღსანიშნავია,რომ ეს სიტყვა თითქმის უცვლელად არის შემოსული როგორც ფორმით, ისე შინაარსით: **პატრონი**.

**ბატუტ**-ი და **ბატუდ**-ი [ფრ. batoud] – ჰორიზონტალურად გაჭიმული ბადე,რომელზედაც ხტომებს ასრულებენ ტანმოვარჯიშეები, აკრობატები და სხვ.

**ბაქტერია** [ბერძ. bakteria ჩხირი] – ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, მიკრობის სახეობა.

◎ **ბაქტერიული.**

⊙ **ბ. დაავადება.**

○ **ბაქტერიალური შცდ.**

**ბაქტერიოლოგია** [ბერძ. baqteria ბაქტერია და logos მოძღვრება] – მეცნიერება, მიკრობიოლოგიის ნაწილი,რომელიც შეისწავლის ბაქტერიებს.

◎ **ბაქტერიოლოგიური.**

⊙ **ბ. ლაბორატორია.**

○ **ბაქტეოროლოგია, ბაქტეოროლოგიური შცდ.**

**ბაქტერიოფაგ**-ი [ბერძ. baqteria ბაქტერია და plagein, plagos მჭამელი, მშთანთქმელი] – ვირუსი, რომელსაც შეუძლია დაშალოს და მოსპოს ბაქტერიები.

**ბაქტრიან**-ი [თურქ.] – ორკუზიანი აქლემი.

○ **ბაქტრინი შცდ.**

**ბაცილა** [ლათ. bacillum ჩხირი] – ჩხირისებრი ბაქტერია

⊙ **ტუბერკულოზის ბ.**

◎ **ბაცილისა.**

○ **ბაცილასი შცდ.**

**ბახუს**-ი [ლათ. bacchusi < ბერძ. bakchos] – რომაული მითოლოგიაში: ღვინის, დროსტარების, მხიარულების ღმერთი.

**ბეგ**-ი [თურქ.] – თურქეთში და აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში: მემამულე, ფეოდალი, ბატონი („ბატონის" მნიშვნელობით იხმარება სახელის შემდეგ) იგივეა რაც ბეი.

⊙ **დავით-ბ.**

**ბედუინ**-ი [გერმ. beduine < არაბ. badawin] – მომთაბარე არაბი.

**ბეზე** [< ფრ. belser კოცნა] – ათქვეფილი ცილისა და შაქრისგან დამზადებული მსუბუქი ნამცხვარი.

◎ **ბეზესი.**

○ **ბეზისა შცდ.**

**ბეისბოლ**-ი [ინგლ. baseball] – ბურთის სპორტული თამაში ჩოგნით ცხრა-ცხრა კაცისგან შემდგარ ორ გუნდს შორის; კეტბურთი; ბაზბურთი; გავრცელებულია აშშ-ში და ინგლისში.

**ბეისიკ**-ი [ინგლ. გერმ. basic] – პროგრამების ერთ-ერთი ძირითადი ტექნიკური ენა სასწავლო მიზნებისათვის.

**ბეკარ**-ი [ფრ. becarre] – (მუს) სანოტო ნიშანი, რომელიც აუქმებს წინა დიეზს ან ბემოლს და აღადგენს ნოტის პირვანდელ სიმაღლეს.

**ბეკონ**-ი [ინგლ. bacon] – საგანგებოდ გამოყვანილი დამარილებული ან შებოლილი ღორის ხორცი.

**ბელადონა** [< იტ. belladonna საუცხოო დამა, მზეთუნახავი] – შხამიანი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე; მის ფოთლებსა და ფესვებს ფართოდ იყენებენ მედიცინაში (ტკივილების გასაყუჩებელ საშუალებად და სხვ.); შმაგა.

**ბელეტაჟ**-ი [რუს. бельэтаж < ფრ. bel კარგი, ლამაზი და elage სართული] – **1.** მეორე, საუკეთესო სართული,რომელზედაც შედარებით მაღალი ოთახები და დარბაზებია (მე-19 ს.-ში და მე-20 ს.-ის დასაწყისში აშენებულ ცალკე სახლებში, სასახლეებში).
**2.** თეატრში პირველი იარუსი, ამფითეატრსა და ბენუარს შორის.

⊙ **ბ.-ის ლოჟა.**

**ბელეტრისტ**-ი – მწერალი ბელეტრისტიკული ნაწარმოებთა ავტორი (სინონ. **პროზაიკოსი**).

**ბელეტრისტიკა** [< ფრ. belles-letres სიტყვაკაზმული მწერლობა]– მხატვრულ თხრობითი ლიტერატურა (მოთხრობები, ნოველები, რომანები) (სინონ. პროზა).

◎ **ბელეტრისტიკული** და (დასაშვებია) **ბელეტრისტული.**

⊙ **ბ. ნაწარმოები.**

**ბელზებელ**-ი [ბერძ. beelsebul < ებრ.] – ავი სული, ეშმაკი.

**ბელკანტო** [იტ. bel canto მშვენიერი სიმღერა] – (მუს.) სიმღერის შესრულების ტრადიციული იტალიური მანერა; დამახასიათებელია ხმის ყველა რეგისტ-

რის თავისუფალი ფლობა, ბგერის სიმსუბუქე და სილამაზე.

**ბემოლ**-ი [იტ. bemolle] – (მუს.)
**1.** ბგერის ნახევარტონიანი დადაბლების ნიშანი.
**2.** ნოტის სახელწოდების შემდეგ ნიშნავს: ნახევარტონით დაბლა.
⊙ **სი ბემოლი**

**ბენგალური ცეცხლი** – პიროტექნიკური ნარევი, რომელიც იწვის კაშკაშა ალით (ინდოეთის ისტორიული ოლქის – ბენგალის სახელის მიხედვით).
⊙ **ბენგალიური შცდ.**

**ბენეფის**-ი [ფრ. benefice მოგება სარგებლობა] – წარმოდგენა, გამართული მის ერთ-ერთი მონაწილე მსახიობის პატივსაცემად, რომლის შემოსავალი გადაეცემა მას (ასეთ ღონისძიებას ზოგჯერ ჰქვია შემოქმედებითი საღამო).
◎ **საბენეფისო.**
⊙ **ს. წარმოდგენა, ს. კონცერტი, ს. საღამო.**

**ბენზინ**-ი [იტ. benzina < ლათ. benzoe] – (ტექ.) უფერო, აორთქლებადი სითხე, რომელიც შედგება ნახშირწყალბადისაგან, დამახასიათებელი სუნით, ადვილად აალებადია; ბენზინი მიიღება ნავთობის გამოხდის შედეგად (იხ. კრეკინგი) ან მყარი მინერალური საწვავისაგან; გამოიყენება: როგორც საწვავი შიგაწვის ძრავებისათვის, როგორც გამხსნელი რეზინის მრეწველობაში, ძვლებისაგან – ცხიმის მისაღებად, ზეთისა ზეთოვანი თესლებისაგან, მედიცინაში და სხვ.

**ბენზოლ**-ი [ფრ. bensol] – უფერო საწვავი სითხე, რომელსაც იღებენ ქვანახშირის ან ნავთობის გამოხდით; იყენებენ საღებრების, ფეთქებად ნივთიერებათა და სხვ. წარმოებაში.

**ბენუარ**-ი [ფრ. baignoire] – თეატრში: პირველი იარუსის ლოჟები პარტერის დონეზე.
⊙ **ბ.-ის ლოჟა.**

**ბერდან**-ი [< საკუთ. სახ. ამერიკული გამომგონებლის გვარიდან] – ძველებური ერთსატენიანი შაშხანა.
⊙ **ბერდანკა, ბერდენკა, ბერდანა შცდ.**

**ბესტსელერ**-ი [ინგლ. bestseller < best საუკეთესო და sell გაყიდვა] – ყველაზე უფრო გასავლიანი წიგნი, რომელიც გამოცემულია დიდი ტირაჟით.

**ბეტა** [ბერძ. beta] – ბერძნული ანბანის მეორე ასოს სახელი.

**ბეტა-გამოსხივება** – ელექ-

ტრონების ნაკადი.

**ბეტა-ვერსია** – კომპიუტერული პროგრამის წინასწარი სა-სინჯი ვერსია, რომელსაც მწარმოებელი შეზღუდული რაოდენობით ყიდის მასში არსებული შეცდომების და საბოლოო გამართვის მიზ-ნით.

**ბეტონ**-ი [ფრ. beton < ლათ. be-tumen ბიტუმი] – საშენი მა-სალა – წყალში არეული ცემენტის, სილის, ღორღის, ხრეშისა და მისთ. ნარევი რომელიც გაშრობისთანავე ძალიან მყარი ხდება.

⊙ **ბ.-ის ქარხანა, ბ.-ის ფილე-ბი.**

**რკინაბეტონი** – ბეტონი,რო-მელშიც ჩართულია რკინის (ფოლადის) არმატურა.

**ბეჰემოთ**-ი – [ძვ. ებრ. behēmoth (მრ.)] – დიდი ტანის სქელ-ტყავიანი ძუძუმწოვარი; ბი-ნადრობს ტროპიკული აფ-რიკის მტკნარ წყლებში (სხვანაირად: ჰიპოპოტამი).

○ **ბეგემოტი, ბეჰემოტი შცდ.**

**ბი**... [ლათ. bi... ორმაგი < bis ორჯერ] – თავსართი (წინ-სართი), რთულ სიტყვებში აღ-ნიშნავს „ორი ნაწილისაგან შემდგარი“ ან „აქვს ორი ნიშანი“.

⊙ **ბილინგვიზმი, ბინომი.**

**ბიათლონ**-ი [ლათ. bis ორჯერ და ბერძ. athlon ასპარეზობა] – (სპ.) ზამთრის თანამედროვე ორჭიდი – თხილამურებით რბოლა 20 კმ-ზე შაშხანის მიზანში სროლითურთ.

**ბიანდრია** [ლათ. bis ორჯერ და ბერძ. othēr (andros) ქმარი] – ორქმრიანობა.

**ბიბლია** [ბერძ. biblia (მრ. სი-ტყვისა და biblion წიგნი] – წიგნი ძეგლთა-ძეგლი, რო-მელიც შეიცავს ებრაული და ქრისტიანული რელიგიის საფუძვლებს (ებრაელთა და ქრისტიანთა საღმრთო წიგ-ნების კრებული – ძველი აღ-თქმა და ახალი აღთქმა).

◎ **ბიბლიური, ბიბლიის.**

○ **ბიბლიასი შცდ.**

**ბიბლიოგრაფია** [< ბერძ. bib-lion წიგნი და ბერძ. grapho ვწერ] – **1.** მეცნიერული სის-ტემატიზებული აღნუსხვა და აღწერა წიგნებისა და სხვა გამოცემებისა.

⊙ **„ვეფხისტყაოსნის“ ბ.**

**2.** ცოდნის დარგი ასეთი აღწერ-აღნუსხისა შედგენის ხერხთა და მეთოდთა შესახებ.

**3.** რაიმე საგნის, საკითხის შე-სახებ არსებული ლიტერატუ-რის სია.

⊙ **მონოგრაფიას დართული ჰქონდა ბ.**

◎ **ბიბლიოგრაფიული** და **საბიბლიოგრაფიო**

⊙ **ბ. (ს) განყოფილება, ბ. (ს.) საძიებელი.**

**ბიბლიოგრაფიული იშვიათობა** – იშვიათი წიგნი, გამოცემა (წიგნი, გამოცემა, რომელიც იშვიათობად იქცა)

**ბიბლიოთეკა** [ბერძ. bibliotheke] – **1.** დაწესებულება სადაც თავს უყრიან და ინახავენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს საზოგადოებრივი სარგებლობისთვის

⊙ **საჯარო ბ., ეროვნული ბ., უნივერსიტეტის ბ.** (ქართ. სინონ. **წიგნთსაცავი**).

**2.** ვისიმე კუთვნილ წიგნთა ერთობლიობა.

⊙ **სტუდენტს მდიდარი** (რიგიანი) **ბ. ჰქონდა.**

**3.** წიგნების სერია, გაერთიანებული რაიმე ნიშნის მიხედვით და გამოცემული ერთნაირად.

⊙ **მოსწავლის ბ.**

◎ **ბიბლიოთეკური** და **საბიბლიოთეკო.**

⊙ **ს. კატალოგი, ს. საქმე.**

**ბიბლიოთეკარი** – ბიბლიოთეკის (წიგნთსაცავის) მუშაკი.

**ბიბლოთეკური ხელი** – ზედმიწევნით გაკრული, ბეჭდურს მიმსგავსებული ხელი (ნაწერი).

○ **ბიბლიოტეკა, ბიბლიოტეკური, საბიბლიოტეკო შცდ.**

**ბიგამია** [ლათ. bis ორჯერ და ბერძ. gamos ქორწინება] – ორცოლიანობა ან ორქმრიანობა.

**ბიგუდ**-ი [ფრ. bigoudi] – თმის დასახვევი პატარა მილაკი (ტყავისა, ქსოვილისა და სხვ.); პაპილოტი.

**ბიდე** [ფრ. bidet] – ქალთა პერსონალის ჭურჭელი, ბაკანი სხეულის ზოგიერთი ნაწილის ჩასაბანად.

**ბიდონ**-ი [ფრ. bidon] – სარქვლიანი ჭურჭელი ცილინდრულ ფორმისა სითხეებისათვის.

⊙ **რძის ბ., ნავთის ბ.** (სანივთე)

○ **ბიტონი შცდ.**

**ბიენალე** [< ფრ. bienale (მდედრ.) ორწლიანი] – საერთაშორისო გამოფენა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება

**ბიზნეს**-ი [ინგლ. business საქმიანი, დასაქმებული] – ეკონომიკური ან სამრეწველო საქმიანობა, კომერცია, რომელიც მოგებას იძლევა.

**ბიზნესმენ**-ი [ინგლ. businessman] – პირი, რომელიც ბიზნესს მისდევს.

**ბიზონ**-ი [ლათ. bison] – გარეული ხარი; გავრცელებულია ჩრდი-

ლოეთ ამერიკაში.

**ბითუმად** – ერთად, მთლიანად (გაყიდვა ან ყიდვა საქონლისა).

**ბიკინ**-ი [ინგლ. bikini < გეოგრ. სახ.] – ქალის ორნაწილიანი საბანაო კოსტუმი, რომელიც ოდნავ ფარავს სხეულის ზოგიერთ ნაწილს.

**ბიკფორდის ზონარი** [< საკ. სახ. bikford-ის (1774-1834) ინგლისური გამომგონებლის გვარის მიხედვით] – ცეცხლგამტარი ზონარი – ნელწვადი პატრუქი,რომელშიც მოთავსებულია დენთი; იყენებენ სხვადასხვა ფეთქებადი ნივთიერებათა ასაფეთქებლად ხმელეთზე და წყალქვეშ.

**ბილეთ**-ი [ფრ. billet] – **1.** საბუთი (ქაღალდის ან მუყაოს პატარა ნაჭერი), რომელიც ადასტურებს რამეთი სარგებლობის უფლებას.

⊙ **თეატრის ბ., თვითმფრინავის ბ., უფასო ბ.**

**2.** საბუთი (ჩვეულებრივ პატარა წიგნაკი), რომელიც ადასტურებს რომ მისი მფლობელი ეკუთვნის რაიმე ორგანიზაციას, პარტიას, აქვს გარკვეული ვალდებულება.

⊙ **სამხედრო ბ., სტუდენტის ბ., მოსწავლის ბ.**

**3.** ბარათი რაიმე ტექსტით.

⊙ **მოსაწვევი ბ., ლატარიის ბ., საგამოცდო ბ.**

◎ **საბილეთო.**

⊙ **ს. სალარო.**

**ბილინგვა** [ლათ. bilingua] – (ფილოლ.) – ორენოვანი (ორ ენაზე შედგენილი) ტექსტი.

**ბინოკლ**-ი [ფრ. binocle <ლათ. bini ორი და oculus თვალი] – ხელში დასაჭერი ორმილიანი ოპტიკური ხელსაწყო შორი საგნების კარგად დასანახავად. (ქართ. სინონ. **დურბინდი**).

⊙ **საველე ბ., თეატრალური (სათეატრო) ბ.**

**ბინომ**-ი [ლათ. bis ორჯერ და ბერძ. nomos ნაწილი, წევრი] – (მათემ.) ორი ალგებრული აგამოსახულების (წევრის) ჯამი ან სხვაობა. (ქართ. სინონ. **ორწევრიანი**)

**ბიო**...[ბერძ.bios სიცოცხლე,ცხოვრება] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი (თავსართი, წინსართი), რომელიც აღნიშნავს „სიცოცხლე"-ს და „ბიოლოგიურ"-ს.

⊙ **ბიოგრაფია, ბიოლოგია, ბიოადაპტაცია.**

**ბიოგრაფია** [ბერძ. bios სიცოცხლე, ცხოვრება და grapho ვწერ] – ვისიმე ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა; ვისამე ცხოვრება, ცხოვრების გზა.

⊙ **ი. ჭავჭავაძის ბ.**

◎ **ბიოგრაფიული** და **საბიოგრაფიო.**

⊙ **ბ. (ს) ცნობები.**

**ბიოლოგია** [ბერძ. bios სიცოცხლე და logos მოძღვრება] – მეცნიერებათა კომპლექსი, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ბუნებას, მისი განვითარების კანონზომიერებებს.

◎ **ბიოლოგიური.**

⊙ **ბ. მეცნიერებანი, ბ. სადგური, ბ. ფაკულტეტი.**

**ბიონიკა** [< ბერძ. bion „სიცოცხლის ელემენტი"] – მეცნიერება, კიბერნეტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ბიოლოგიური პროცესების გამოყენებას საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად.

⊙ **ბიონიკისა.**

○ **ბიონიკასი შცდ.**

**ბიოსინთეზ**-ი [ბერძ. bios სიცოცხლე და synthesis შეერთება] – სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების წარმოქმნა ცხოველის ან მცენარეულ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის შედეგად.

◎ **ბიოსინთეზური.**

**ბიოსფერო** [ბერძ. bios სიცოცხლე და sphaira სფერო] – სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე.

○ **ბიოსფერა შცდ.**

**ბიოფიზიკა** – ბიოლოგიური ფიზიკა; ბიოლოგიის ნაწილი – ფიზიკის განყოფილება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმში მოქმედ ფიზიკურ კანონზომიერებებს.

**ბიოქიმია** – ბიოლოგიური ქიმიის განყოფილება, რომელიც სწავლობს ცოცხალი მატერიის დამახასიათებელ ქიმიურ პროცესებს, ცოცხალ ორგანიზმში მოქმედ ქიმიურ კანონზომიერებებს.

◎ **ბიოქიმიური.**

⊙ **ბ. ლაბორატორია, ბ. კვლევა.**

**ბიპოლიდ**-ი [ლათ. bis ორჯერ და ბერძ. polis ქალაქი, სახელმწიფო] – (სამართ.) პირი რომელსაც ორი ან (მეტი) სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვს; **ბიპატრიდი.**

**ბიჟუტერია** [< ფრ. bijouterie საიუველირო ნაწარმით ვაჭრობა] – ქალის მოსართავი არაძვირფასი ქვებისა და მეტალისა (საიუველირო ნაწარმისგან განსხვავებით) – მძივები, ბეჭდები, საყურეები და მისთ.

**ბირჟა** [გერმ. borse < ლათ. bousa საფულე] – **1.** დაწესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებანი.

⊙ **საფონდო ბ., სასაქონლო ბ., ბ.-ის მაკლერი**

2. (ძვ.) დასაქირავებელი ეტლების სადგომი ქალაქებში.

**შრომის ბირჟა** – მუშახელს დასაქირავებელ შუამავალი დაწესებულება.

◎ **საბირჟო** (მნიშ. 1-თვის)

⊙ **ს. გარიგება, ს. ციებ-ცხელება.**

**ბის**! [ლათ. bis ორჯერ] – მაყურებელთა შეძახილი თეატრში, კონცერტზე, გამოხატავს რისამე, რაიმე ნომრის გამეორების თხოვნას (სინონ. ერთხელ კიდევ, განმეორებით).

⊙ **პიანისტმა ბის-ზე დაუკრა.**

**ბისექსუალურ**-ი [ლათ. bis ორჯერ და sexualis სასქესო, სექსუალური] – ორსქესიანი, ორივესქესიანი

**ბისექტრისა** [ფრ. bissectrico < ლათ. bissectrix (bissectricis) ორად გამპობი, მომკვეთი] – (მათემ.) სწორი ხაზი,რომელიც გადის კუთხის წვეროზე და კუთხეს ყოფს შუაზე.

◎ **ბისექტრისისა.**

○ **ბისექტრისასი, ბისეკტრისა შცდ.**

**ბისკვიტ**-ი [ფრ. biscuit] – **1.** მსუბუქი ნამცხვარი ერთგვარი; მზადდება ათქვეფილ კვერცხის, ფქვილის და შაქრისგან; ნამცხვარის სახეობა.

2. მოუჭიქავი ფაიფური; იყენებენ ქანდაკებაში.

**ბიტ**-ი [ინგლ. bi(nary) თხრობითი და (digi)t ნიშანი, ციფრი] – ინფორმაციის რაოდენობის ორობითი საზომი ერთეული (იხ. ბაიტი).

**ბიტუმ**-ი [ლათ. bitumen მთის ფისი] – ფისოვან ნივთიერებათა (ასფალტის, გუდრონის, ნავთობის და მისთ.) საერთო სახელწოდება.

◎ **ბიტუმოვანი.**

⊙ **ბ. ქანები.**

⊙ **ბითუმი** სხვაა, თურქული წარმოშობისა,მაგრამ ამჟამად უცხო სიტყვად არ ითვლება; ვაჭრობის (კომერციული) ტერმინი.

**ბიუვეტ**-ი [ფრ. buvette] – მინერალურ წყაროზე მოწყობილ ნაგებობა,საიდანაც უშუალოდ იღებენ მინერალურ წყალს;

**ბიულეტენ**-ი [ფრ. bulletin] – **1.** მოკლე ოფიციალური ცნობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე რაიმე მოვლენის შესახებ.

⊙ **საინფორმაციო ბ., ამინდის ბ.**

2. (საუბ.) დროებითი შრომის უუნარობის ფურცელი (ოფიციალურად ჰქვია: საავადმყოფო ფურცელი).

⊙ **ექიმმა ბ. მისცა, ბ. დახურეს, ბ. გაუნაღდეს.**

**3.** საარჩევნო ფურცელი.

⊙ **ბ. ჩააგდო საარჩევნო ყუთში.**

○ **ბიულეტინი შცდ.**

**ბიურო** [ფრ. bureau] – **1.** ზოგი ორგანოს ხელმძღვანელი ნაწილის სახელწოდება.

**2.** ზოგი დაწესებულის, განყოფილების, კანტორის და მისთ. სახელწოდება.

⊙ **საკონსტრუქტორო ბ., ამინდის ბ., ცნობათა ბ.**

**3.** გამოსაწევ სახურავიანი საწერი მაგიდა ერთგვარი; ჩვეულებრივი აქვს თაროები, უჯრედები.

**ბიუროკრატ**-ი [ფრ. bureacrate < ფრ. buream ბიური და ბერძ. kratos ხელისუფლება, სიძლიერე (კანცელარიის ხელისუფლება)] – თანამდებობის პირი, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებისას ფორმალურ მხარეს აქცევს მთავარ ყურადღებას (საქმის საზიანოდ).

◎ **ბიუროკრატიული.**

⊙ **ბ. თვისებები.**

**ბიუროკრატია** [ფრ. bureacratie] –**1.** იგივეა,რაც ბიუროკრატიზმი (მნიშ. 1).

**2.** ბიუროკრატები.

⊙ **ბ.-ის უსულგულობა**

◎ **ბიუროკრატიული**

⊙ **ბ. აპარატი, საქმისადმი ბ. მიდგომა.**

⊙ ამ გაგებით **ბიუროკრატული** **შცდ.**

**ბიუროკრატიზმ**-ი – **1.** სახელმწიფო მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავენ ხალხს მოწყვეტილი მოხელეები.

**2.** საქმის არსის უგულებელყოფა ფორმალობის დაცვის გულისათვის.

**ბიუსტ**-ი [ფრ. buste] – **1.** ქანდაკება, რომელსაც გამოსახავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს (თავსა და გულმკერდს)

⊙ **აკაკი წერეთლის ბ., ზვიად გამსახურდიას ბ.**

**2.** ქალის გულმკერდი.

**ბიუსტჰალტერ**-ი [გერმ. bustehalter] – ქალის ლიფი, გულმკერდზე ჩასაცმელი.

**ბიუჯეტ**-ი [ფრ. budget < ინგლ.] – **1.** სახელმწიფოს, დაწესებულებებს, საწარმოს შემოსავალ-გასავალს ნუსხა დროის გარკვეული მონაკვეთში, ხარჯთ-აღრიცხვა.

⊙ **საქართველოს სახელმწიფო ბ.**

**2.** გადატ. (საუბ.) ვისიმე პირადი შემოსავალი და ხარჯები.

⊙ **ოჯახის ბ.**

◎ **საბიუჯეტო** (მნიშ. 1-ისათვის).

⊙ **ს. პერიოდი, ს. გეგმა.**

**ბიცეფს**-ი [ლათ. biceps ორთავა] – კუნთი მხარსა და იდაყვს შორს, რომელიც ხრის ხელს იდაყვის სახსარში (ქართ. სინონ. **ორთავა კუნთი**).

○ **ბიცეპსი შცდ.**

**ბლანკ**-ი [ფრ. blanc თეთრი] – **1.** ქაღალდის ფურცელი, რომლის თავშიც დაბეჭდილია დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის სახელწოდება; იყენებენ ოფიციალური მიწერ-მოწერისათვის ან რაიმე დოკუმენტის შესადგენად.

⊙ **ბ.-ზე დაბეჭდილი შუამდგომლობა.**

**2.** ნაბეჭდი ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც დატოვებულია თავისუფალი ადგილები შესავსებლად.

⊙ **ბ.-ის შევსება.**

**ბლამანჟე** [ფრ. blancmangor] – ნაღების ან ნუშის რძის ჟელე.

◎ **ბლამანჟესი.**

○ **ბლამანჟისა, ბლომანჟე შცდ.**

⊙ **ბლამანჟუე** დასაშვებია.

**ბლეიზერ**-ი [ინგლ. blazer] – **1.** სხვადასხვა ფერის პიჯაკისა და შარვლისგან შედგენილი კოსტუმი

**2.** ღია ფერის მსუბუქი სპორტული პიჯაკი.

**ბლეფ**-ი [ინგლ. bluff] – რისამე მოგონება, შეთხზვა ვისამე მოტყუების,დაშინების მიზნით („თვალებში ნაცრის შეყრა").

**ბლინდაჟ**-ი [ფრ. blindage] – (სამხ.) მტკიცე ნაგებობა, რომელიც იცავს მეომრებს არტილერიის ცეცხლისგან.

**ბლიც**-ი [გერმ. blitz ელვა] – **1.** ელექტრომოწყობილობა (ლამპა), რომელიც შეერთებულია ფოტოაპარატთან – გადასაღები ობიექტის მეყსეული ძლიერი განათებისათვის.

**2.** (საუბ.) სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის (შაშის) პარტია.

⊙ **ბ. ტურნირი** (ჭადრაკში).

**ბლიცკრიგ**-ი [გერმ. blitzkrig] – ელვისებური ომი.

**ბლიცტურნირ**-ი [გერმ. blitzturnier] – ელვისებური ტურნირი (ჭადრაკში).

**ბლოკ**-ი[1] [ფრ. block გერმ. block ინგ block] – სიმძიმის ასაწევი უმარტივესი მოწყობილობა – ღარიანი მბრუნავი გორგოლაჭი, რომელზე გადაგდებულია თოკი,ბაგირი ან ჯაჭვი (ქართ. სინონ. **ჭოჭონაქი**).

**ბლოკ**-ი[2] [ფრ. bloc] – **1.** სახელმწიფოების, პარტიების, ორგანიზაციების კავშირი ერთობლივი მოქმედებისათვის.

**2.** (ტექნ.) რაიმე ნაგებობის ნაწილი, რომელიც თავის მხრივ

შედგება სხვადასხვა ელემენტებისგან, დეტალებისგან (სინონ. **სექცია**).
**⊙ ფანჯრის ბ., ცილინდრების ბ.**
**3**. საშენი მასალა-ბეტონის დიდი ზომის ხელოვნური ქვა აგურის ფორმისა.
**⊙ ბ.-ით ნაშენი სახლი.**

**ბლოკადა** [ინგლ. blokade] – **1**. (სამხ). ქალაქის სიმაგრის, არმიის და სხვ. გარემოცვა მტრის ჯარებს მიერ.
**⊙ ბ.-ის მოხსნა.**
**2**. მტრული ქვეყნების მიერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია მასზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით.
**⊙ ეკონომიკური ბ.**
**3**. (მედიც.) რომელიმე ორგანოს ან სისტემის ფუნქციის გამოთიშვა.
**◎ ბლოკადური.**
**⊙ ბ. ალყა.**

**ბლოკირება** [ინგლ. to block] – **1**. ბლოკადის მოწყობა.
**2**. (რკ.-გზ.) სასიგნალო მოწყობილობათა სისტემა მატარებელთა მიმოსვლის რეგულირებისათვის;
**3**. მოძრაობის წინააღმდეგობა.

**ბლუზ**-ი [ინგლ. blues მელანქოლია, სევდა, ნაღველი] – ზანგური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა ლირიკული და სევდიანი ხასიათისა; ცეკვა, რომელიც ასეთი მუსიკის თანხლებით სრულდება.

**ბოა** [ფრ. boa < ლათ. boa გველი] – მსხვილი მახრჩობელა გველი 4 მეტრამდე სიგრძისა; გავრცელებულია ტროპიკულ ამერიკაში.

**ბობინა** [< ფრ. bobine კოჭა] – **1**. სხვადასხვა მანქანაში: კოჭა, დოლი ან ლილვი, რომელზედაც ეხვევა მავთული, ძაფი, ქსოვილი და სხვ.
**2**. მრგვალი კოლოფი, რომელშიც იდება გორგოლაჭზე დახვეული კინოფილმი.
**3**. მაგნიტოფონის გორგოლაჭი, რომელზედაც ეხვევა ფირი.
**4**. ელექტრო მოწყობილობა – ანთების კოჭა, რომელიც გამოიყენება ავტომობილებში. (მისი არსია ავტოტრანსფორმატური).
**◎ ბობინისა.**
**○ ბობინასი, ბაბინა შცდ.**

**ბობსლეი** [ინგლ. bobsleigh, bob sled მხტომარე, მარხილი] – **1**. (სპ.) შეჯიბრება მთიდან სწრაფად დაშვებაში ყინულოვან-თოვლიან გზაზე სპეციალური (2-4 კაციანი სამართავი (საჭიანი) მარხილებით.
**2**. თვით მარხილი ასეთი შეჯიბრებისთვის

**ბოგდიხანი**-ი [მონღ. bogdohan] – (ისტ.) ჩინეთის იმპერატორების ტიტული.

**ბოდიბილდინგი**-ი [ინგლ. body-building სხეულმშენებლობა] – ფიზიკური ვარჯიშების სისტემა; ათლეტიზმი (იხ. აგრეთვე კულტურიზმი); იგივეა, რაც კულტურიზმი.

**ბოიკოტი**-ი [ინგლ. boycott საკ. სახ. (პირველად გამოიყენეს 1879 წ., როდესაც ირლანდიელმა არენდატორებმა ჩ. ბოიკოტს უარი უთხრეს დამორჩილებაზე)] – **1**. პოლიტიკურ ან ეკონომიკური ბრძოლის ხერხი – ცალკეულ პირებთან, ორგანიზაციებთან, სახელმწიფოებთან ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა.
**2**. უარის თქმა სახელმწიფოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობაზე.
⊙ **ბ.-ის გამოცხადება.**

**ბოილერი**-ი [ინგლ. boiler] – (ტექნ.) ქვაბი, რომელშიც წყალი ცხელდება სპეციალურ მილებში გატარებული ორთქლის საშუალებით; იყენებენ უპირატესად თბოელექტრო ცენტრალებში და სხვა. ცხელი წყლის მისაღებად, რომელიც მისი გამოყენების ადგილზე მიედინება.

**ბოისკაუტი**-ი [ინგლ. boyscout < boy ბიჭი და scout მზვერავი] – ევროპისა და ამერიკის ზოგ ქვეყანაში: საბავშვო და ახალგაზრდობის სპორტული ორგანიზაციის წევრი.

**ბოკალი**-ი [ფრ. bocal] – მოზრდილი ფეხიანი ღვინის სასმისი.

**ბოლერო** [ესპ. bolero] – **1.** წყვილთა ესპანური ცეკვა სიმღერისა და კასტანიეტების აყოლებით; მუსიკა ამ ცეკვისათვის.
**2**. მუსიკალური ნაწარმოები (ინსტრუმენტული, ვოკალური) ამ ცეკვის რიტმით
**3**. ქალის მოკლე, უსახელო ზედა ტანსაცმელი

**ბოლიდი**-ი [< ბერძ. bolis (bolidos) სატყორცნი შუბი] – (ასტრ.) დიდი მეტისმეტად კაშკაშა მეტეორი.

**ბომბი**-ი [ფრ. bombe] – ფეთქებადი ნივთიერებით გატენილი სასროლი ყუმბარა (ჭურვი).
⊙ **საავიაციო ბ., ცეცხლგამჩენი ბ.**

**ბომბარდირი**-ი [გერმ. bombardier] – (გადატ.) ფეხბურთელი, რომელსაც მოცემულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი (გოლი) აქვს გატანილი.

**ბომბარდირება** – ზარბაზნების (ქვემეხების) დაშენა ან თვითმფრინავიდან ბომბების ჩამოყ-

რა; დაბომბვა.

⊙ **მტრის პოზიციების ბ.**

**ბᲝᲜᲐ** [ფრ. bonne] – ბავშვების აღმზრდელი ქალი.

**ბᲝᲛბᲝᲜᲘᲔᲠ**-ი [ფრ. bonbonniere] – კანფეტის ან პარფიუმერიის ლამაზი კოლოფი.

○ **ბამბანიერკა, ბანბანერკა შცდ.**

**ბᲝᲜᲖᲐ** [ფრ. bonze < იაპ busso ღვთის მოურავი] – იაპონიაში, ჩინეთსა და აზიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში: ბუდისტების მღვდელი ან მონაზონი.

◎ **ბონზისა**

○ **ბონზასი შცდ.**

**ბᲝᲠ**-ი[1] [ლათ. bor(ax) < არაბ. buraq ბორაკი, გვარჯილა] – ქიმიური ელემენტი, რომელიც შედის ბევრი მინერალის შემადგენლობაში.

**ბᲝᲠ**-ი[2] [გერმ. bobrer ბურღი] – ფოლადის ბურღი, რომელსაც იყენებენ კბილის საექიმო საქმეში.

**ბᲝᲠᲓᲘᲣᲠ**-ი [ფრ. bordure] – **1.** ქსოვილის, ხალიჩის, შპალერის და მისთ. კიდეებზე შემოვლებული ზოლი. (ქართ. სინონ. არშია).

**2.** ქვის ფილების ზოლი ქუჩის ან გზის ნაპირების გასწვრივ ტროტუარებს გაზონების და მისთ. გამოსაყოფად.

⊙ **ტროტუარის ბ.**

**3.** (პოლიგ.) სამკაული ტექსტის გარშემო.

○ **ბორდური შცდ.**

**ბᲝᲠᲓᲝ** [გეოგრ. სახ.] – **1.** წითელი ღვინო ერთგვარი.

**2.** ღვინისფერი, შინდისფერი.

⊙ **ბ. კოსტუმი.**

**ბᲝᲠᲢ**-ი [ფრ. bord გერმ. bord] – **1.** გემის გვერდის კედელი; ამ კედლის ზედა კიდე.

⊙ **გემის ბ.-ებს ტალღები ეხეთქებოდა, ბ.-თან მდგარი ტურისტები.**

**2.** სატვირთო ავტომობილის, ღია სატვირთო ვაგონის და მისთ. ძარის კედელი.

⊙ **გადახსნილი ბ.-ები.**

**3.** პალტოს,პიჯაკის მარჯვენა ან მარცხენა ნაპირი (ღილებით ან კილოებიანი).

**გემის ბორტზე** – გემზე; **თვითმფრინავის ბორტზე** – თვითმფრინავში; **კოსმოსური ხომალდის ბორტზე** – კოსმოსურ ხომალდში.

⊙ **ქიმი** (1 მნიშ.-ით) **შცდ.**

**ბᲝᲡ**-ი [ინგლ. boss ჰოლანდ baas პატრონი, მეპატრონე, მფლობელი] – **1.** წარმოების დირექტორი.

**2.** (არაოფიც.) მთავარი, ხელმძღვანელი, უფროსი.

**ბᲝᲡᲢᲝᲜ**-ი [ინგლ. boston < გეოგრ.] – ცეკვა ერთგვარი – ნელი ვალსის სახეობა (სხვა-

ნაირად: ვალს-ბოსტონი).

**2**. შალის ძვირფასი საკოსტიუმე ქსოვილი.

**3.** ბანქოს თამაში ერთგვარი.

**ბოტანიკა** [< ბერძ. botane მცენარე] – მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება.

⊙ **ბ.-ის ხელმძღვანელი.**

◎ **ბოტანიკური.**

⊙ **ბ. გეოგრაფია.**

**ბოტანიკური ბაღი** – ბაღი და დაწესებულება, სადაც საჩვენებლად და სასწავლო-სამეცნიერო მიზნებით გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის მცენარე.

**ბოტულიზმ**-ი [< ლათ. botulus ძეხვი] – (მედიც.) მძიმე მოწამვლა ძეხვეულით, თევზით, ხორცით ან ბოსტნეულის კონსერვით.

**ბოტფორტებ**-ი [ფრ. bottesfortes] – მაღალი ჩექმები ერთგვარი, რომლებსაც ყელი გაფართოებული აქვს მუხლს ზემოთ; იცვამდნენ ძველად კავალერისტები.

⊙ მხ. **ბოტფორტი.**

**ბოულინგ**-ი [ინგლ. bouling] – კეგლის სპორტული სახესხვაობა.

**ბოცმან**-ი [ჰოლანდ. bootsman<bad ნავი man ადამიანი] – საზღვაო ფლოტში: უმცროსი მეთაური (ზემდეგი), რომელსაც ევალება სამეურნეო სამუშაოების ხელმძღვანელობა გემზე (წესრიგის დამყარება, სახომალდო სამუშაოების ხელმძღვანელობა და სხვ.).

**ბოჰემა** [ფრ. boheme – ციგნური, ციგნურობა] – მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, რომელთაც არა აქვთ არსებობისათვის საჭირო მუდმივი შემოსავალი და უთავბოლო ცხოვრებას ეწევიან.

◎ **ბოჰემური.**

⊙ **ბ. ყოფა.**

○ **ბოგემა, ბოგემური შცდ.**

**ბრა** [ფრ. bras ხელი] – **1.** კედელზე დამაგრებული სანათი, ელექტროლამპა.

**2.** კედლის შანდალი.

⊙ **ბრისა.**

○ **ბრასი შცდ.**

**ბრავო**! [იტ. bravo ფრიადზე] – მოწონების, აღტაცების გამომხატველი შეძახილი.

**ბრადიკარდია** [ბერძ. bradys ნელი და kardia გული] – (მედიც.) გულისცემის შენელდება (შდრ. **ტაქიკარდია**).

**ბრაილის შრიფტი** – ამობურცულ-წერტილოვანი შრიფტი უსინათლოთათვის [ფრანგი პედაგოგის ლ. ბრაილის (braille, 1809-1852) გვარის მიხედვით].

**ბრაკონიერ**-ი [ფრ. braconnier]

– პირი, რომელიც ნადირობს (თევზაობს) აკრძალულ ადგილებში, აკრძალულ ვადებში ან აკრძალული საშუალებებით, პირი რომელიც უნებართვოდ ჩეხს ტყეს.

○ **ბრაკონერი შცდ.**

**ბრანდმაი́სტერ-**ი [გერმ. brandmeister] – (მოძვ.) სახანძრო რაზმის უფოსი.

⊙ **ბრანდმეისტერი შცდ.**

**ბრანდმა́უერ-**ი [გერმ. brandmauer] – კაპიტალური ხანძართსაწინააღმდეგო (ცეცხლგამძლე) კედელი შენობებს შორის (ქართ. სინონ. **ცეცხლამრიდი**).

**ბრა́ს-**ი [ფრ. brasse] – სპორტული ცურვის ერთერთი გავრცელებული სახეობა; ხელებს და ფეხებს ვუსვამთ სიმეტრიულად და ერთდროულად შიგნიდან განზე.

**ბრაუ́ნინგ-**ი [ინგლ. Browning საკუთ. სახ. – კონსტრუქტორი] – ერთ-ერთი სისტემის პისტოლეტი.

**ბრა́შპილ-**ი [ჰოლანდ. braad spil] – (ზღვ.) გემზე ღუზის ამოსაზიდი ჯალამბარი.

**ბრა́ჰმა** [სანსკრ. brahma] – (მით.) ინდუიზმის სამების უმთავრესი ღვთაება, რომელიც მიაჩნიათ სამყაროს და ყველა არსების შემქმნელად.

**ბრა́ჰმან-**ი – ინდოეთში უმაღლესი კასტის წოდების წარმომადგენელი; ძველად – ბრაჰმანიზმის ქურუმი.

**ბრე́ვე** [ლათ. breve] – რომის პაპის მოკლე ეპისტოლე.

**ბრეზენტ-**ი [რუს. брезент < ჰოლანდ. presenning] – ხეშეში, მკვრივი (წყალგაუვალი) წყალგაუმტარი ქსოვილი.

**ბრეი́კ-და́ნს-**ი [ინგლ. breakdance < break ტეხა, მტვრევა და dance ცეკვა] – სწრაფი ტემპის თანამედროვე ცეკვა, რომელიც სპორტულ ელემენტებს შეიცავს.

⊙ შემოკლებით – ბრეიკი.

**ბრე́ნდ-**ი [ინგლ. brandy < დან] – თეთრი ღვინისგან გამოხდილი და მუხის კასრებში დავარგებული ალკოჰოლიანი სასმელი (დაბალი ხარისხის კონიაკი): ამზადებენ ხილისგანაც (ვაშლისგან, ალუბლისგან).

**ბრიო́ლინ-**ი – თმაზე წასასმელი კრემი ერთგვარი.

**ბრე́ტელ-**ი [ფრ. bretelle] – ქალის პერანგზე, ლიფზე და მისთ. დაკერებული ქსოვილის ზონარი ან ბაფთა, რომელიც მხარზე გადადის.

**ბრი́გადა** [ფრ. brigade] – **1.** საჯარისო შენაერთი, პოლკზე

დიდი, მაგრამ დივიზიაზე მცირე.
⊙ **სატანკო ბ.**
**2**. ერთი ტიპის სამხედრო ხომალდების შენაერთი.
⊙ **სატორპედო კატერების ბ.**
**3**. კოლექტივი, რომელიც ასრულებს გარკვეულ საწარმოო დავალებას.
⊙ **ზეინკალთა ბ., მეჩაიეთა ბ.**
**4**. მატარებლის მომსახურე პერსონალი.
⊙ **გამყოლების ბ.**

**ბრიგა́დირ**-ი [გერმ. brigadier < ფრ.] – ბრიგადის (მნიშ. 3, 4) ხელმძღვანელი.

**ბრიგა́ნტინ**-ი [ფრ. brigantire < იტ. brigantino] – ძველებური ორანძიანი იალქნიანი ხომალდი ერთგვარი.
⊙ **ბრიგანტინა შცდ.**

**ბრი́ზ**-ი [ფრ. brise] – სუსტი სანაპირო ქარი, რომელიც ღამით ხმელეთიდან ზღვისკენ ქრის, ხოლო დღისით ზღვიდან ხმელეთისკენ (ზღვის ბრიზი)]

**ბრი́კეტ**-ი [ფრ. briquette] – ჩვეულებრივ გურის სახით დაწნეხილი რაიმე ფხვიერი მასალა.
⊙ **ნახერხის ბ., ჩაის ბ., ნაყინის ბ.**

**ბრილი́ანტ**-ი [ფრ. brilliant] – განსაკუთრებული წესით დაწახნაგებული ალმასი.

**ბრი́ნზა** [რუმინ. brinza] – განსაკუთრებულ წესით ამოყვანილი ცხვრის ყველი (შდრ. გუდის ყველი)

**ბრი́ტებ**-ი – კელტური ტომები, ბრიტანეთის კუნძულების ძირითადი მოსახლეობა ძვ. წელთ. მე-8 ს.-დან ახ. წელთაღ. მე-5-6 სს.-მდე; მათი ნაწილი გაანადგურეს ანგლოსაქსებმა, ნაწილი გადსახლდა უელსსა და შოტლანდიაში, აგრეთვე ბრეტაში (კონტინენტზე).

**ბრი́ფინგ**-ი [ინგლ. briefing მოკლედ გადმოცემა] – ხანმოკლე თათბირი ან პრესკონფერენცია ჟურნალისტთა ვიწრო წრისათვის.

**ბრი́ჯ**-ი [ინგლ. bridge] – ქაღალდის ერთგვარი თამაში, გავრცელებულია ინგლისსა და ამერიკაში.

**ბრი́ჯი** [ინგლ. breeches (მრ.)] – შარვალი, ერთგვარი, მუხლებს ქვემოთ ვიწრო, ჩექმებში ჩასატანებელი; ძველად იყენებდნენ ცხენოსნობისთვის.

**ბროი́ლერ**-ი [ინგლ. broil შეწვა] – მსხვილ მეფრინველეობის მეურნეობაში გარკვეული წესით გამოზრდილი სახორცე ქათამი.

**ბრო́კერ**-ი [< ინგლ. broker] – მაკლერი, შუამავალი ვაჭრობაში,

სხვადასხვა გარიგებაში.
⊙ **ბ.-თა სკოლა.**
◎ **საბროკერო.**
⊙ **ს. ფირმა, ს. კანტორა.**

**ბრონქები** [ბერძ. bronchos (მხ.) სასუნთქი მილი] – ტრაქეის განშტოებანი, რომლებითაც ჰაერი ჩადის ფილტვებში:
◎ **ბრონქული.**
⊙ **ბ. ჯირკვლები.**
○ **ბრონხები, ბრონხული, ბრონქალური, ბრონხიალური შცდ.**

**ბრონქიტ**-ი – (მედიც.) ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება.
⊙ **ბრონხიტი შცდ.**

**ბროშ**-ი [ფრ. broche] – გულზე დასაბნევი სამკაული.
⊙ **ოქროს ბ.**
○ **ბროშკა შცდ.**

**ბროშურა** [ფრ. brochure] – პატარა წიგნი, ჩვეულებრივ რბილი გარეკანის მქონე.
⊙ **პოპულარული ბ.**

**ბრუდერშაფტ**-ი [გერმ. bruderschaft ძმობა] ბრუდერშაფტის დალევა – ძველებური სურვილ-ჩვეულება – ორნი სვამენ ღვინოს ერთდროულად და ამით უმეგობრდებიან ერთმანეთს (გადადიან შენობით ლაპარაკზე) (ქართ. სინონ. **ვახტანგური**).

**ბრუტო** [იტ. brutto უხეში] – (ვაჭრ.) საქონლის საერთო წონა (ჭურჭლიანად, შეფუთვიანად). საპირისპ. **ნეტო.**

**ბრუცელოზ**-ი [< საკუთ. სახ.] – საქონლის (თხის, ცხვრის, ძროხის, ღორის) გადამდები დაავადება; საქონლიდან ადამიანზე გადადის [ინგლისელი ექიმის Bruce-ის მიხედვით, რომელმაც აღმოაჩინა ამ დაავადების მიკრობი].
⊙ **ბრუცილიოზი, ბრუცელოზა შცდ.**

**ბუდა** [სანსკრ. buddha – განათლებული] – ბუდისტური რელიგიაში ადამიანი, რომელმაც მიაღწია სულიერ სრულყოფილების უმაღლეს დონეს და თავი დააღწია ხელახალ განხორციელებათა უსასრულო ჯაჭვს; ზოგადად თვით ამ რელიგიის დამაარსებელი: **საკია მუნა ბუდა** – პრინცი გაუტამა.
◎ **ბუდასი.**
○ **ბუდისა შცდ.**

**ბუდიზმ**-ი – მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული რელიგია (ქრისტიანობასა და ისლამთან ერთად) რომელიც წარმოიშვა ძვ. წელთაღრ. მე-6 საუკუნეში ჩრდილოეთ ინდოეთში და გავრცელდა ჩინეთში, ტიბეტში, კორეაში, იაპონიაში და აღმოსავლეთის ზოგ სხვა ქვეყანაში; მისი დამაარსებელია – **საკია მუნა**

**ბუდა** – პრინცი გაუტამა.
◎ **ბუდისტური.**
⊙ **ბ. რელიგია, ბ. ტაძარი.**

**ბუდისტ**-ი – ბუდიზმის მიმდევარი.

**ბუდუარ**-ი [ფრ. boudoir] – ძველად მდიდართა სახლებში: ქალის ლამაზად მოწყობილი სასტუმრო ოთახი ახლობლების მისაღებად.

**ბუერ**-ი [ჰოლანდ. boeir] – ყინულზე სასრიალო იალქნიანი საჭიანი მსუბუქი ნავი ან პლათფორმა,რომელსაც ძირზე ფიგურები აქვს გაკეთებული.
◎ **საბუერო.**
⊙ **ს. სპორტი.**

**ბუზმენტ**-ი [გერმ. posament, < ფრ. passament არშია] – ოქრომკედის ან სირმის ფართო არშია, ტანსაცმელზე მოვლებული.

**ბუი** [ჰოლანდ. boei] – წყლის ზედაპირზე მცურავი მსხვილი სასიგნალო ტივტივა.

**ბუკეტ**-ი [ფრ. boquet] – **1.** (მოძვ.) თაიგული.
**2.** რისამე გემოს ან სურნელების ერთობლიობა.
⊙ **ჩაის ბ.**

**ბუკინისტ**-ი [ფრ. bouquiniste] – ნახმარი ან ძველად გამოცემულ წიგნებით მოვაჭრე.

**ბუკინისტური** – ნახმარი ან ძველად გამოცემული, იშვიათი წიგნებით ვაჭრობასთან დაკავშირებული.
⊙ **ბ. მაღაზია.**

**ბუკლე** [ფრ. boucles კულულები] – შალის ან ბამბის ქსოვილი ერთგვარი, მსხვილი ნაქსოვი.
◎ **ბუკლესი.**
○ **ბუკლისა შცდ.**

**ბუკლეტ**-ი [ინგლ. booklet წიგნაკი, ბროშურა] – მხატვრულად გაფორმებული მეგზური, რეკლამა, პროსპექტი (იხ. **პროსპექტი**[2]) და მისთ. რომელიც რამდენიმე გვერდად არის დაკეცილი და ერთ მთლიან ფურცლად იშლება.
⊙ **გამოფენის ბ., ქალაქის ხედებიანი ბ.**

**ბუკმეკერ**-ი [< ინგლ. bookmaker წიგნის შემდგენელი] – დოღში სანაძლეოს მოთავე (აგროვებს და იწერს სანაძლეოდ დადებულ თანხას).

**ბუკოლიკა** და **ბუკოლიკური პოეზია** [ბერძ. bukolika მწყემსური პოეზია] – პოეზიის ჟანრი, რომელშიც გაიდეალებულია მწყემსური, საერთოდ სოფლური ცხოვრება; პასტორალი.

**ბულა** [ლათ. bulla] – **1.** რომის პაპის მბრძანებულება, წერილი ან სიგელი.
**2.** ბეჭედი, რომელიც ასეთ დო-

კუმენტს აზის.
◎ **ბულისა.**
⊙ **ბულასი შცდ.**

**ბულა́ნჟუე** [< ფრ. საკუთ. სახ.] – წკაპზე დატოვებული, მრგვლად შეკრეჭილი (შემოკვერცხილი) წვერი.
◎ **ბულანჟესი.**
○ **ბულანჟისა, ბლანჟე შცდ.**

**ბუ́ლდოგ**-ი [ინგლ. bulldog] – ერთგვარი ძაღლი; აქვს ბრტყელი დრუნჩიანი მოკლე დიდი თავი მსხვილი თათები და ფართო მკერდი.

**ბულდო́ზერ**-ი [ინგლ. bulldozer] – მოწყობილობა, რომელიც წინ უკეთდება მუხლუხა ტრაქტორს მიწის სამუშაოების შესასრულებლად; თვით ტრაქტორი ასეთი მოწყობილობით.

**ბუ́ლვარ**-ი [ფრ. boulevard პირველად – საქალაქო (ქალაქის) ღერძი < გერმ. bollwerk] – ფართო ხეივანი ქალაქის ქუჩების გაყოლებით (ჩვეულებრივ შუაზე).

**ბულვა́რული** [< ფრ. იხ. ბულვარი] – რაც ნავარაუდევია, რაც გამიზნულია ობივატელების, მეშჩანებისათვის, უხამსი გემოვნებისათვის;
⊙ **ბ. რომანი; ბ. პრესა.**

**ბუ́ლიტ**-ი [ინგლ. bullet] – (სპ.) ჰოკეიში: საჯარიმო შაიბა, რომელსაც ცენტრიდან მიატარებენ მოწინააღმდეგის კარში შესაგდებად.

**ბუ́მ**-ი [ინგლ. boom] – **1.** წარმოებისა და ვაჭრობის აჩქარებული ზრდა.
**2**. (გადატ.) აურზაური, სენსაცია.

**ბუმერა́ნგ**-ი [ინგლ. boomerang < ავსტრალიელ აბორიგენთა ენიდან] – ავსტრალიელი ტომებისა და ზოგ სხვათა სატყორცნი იარაღი – ერთგვარი მოხრილი (ჯოხი), კომბალი, რომელიც გატყორცნის შემდეგ (თუ მიზანს ვერ მოხვდა) უკან ბრუნდება.

**ბუ́ნგალო** და **ბე́ნგალო** [ინგლ. bungalow < ინდ.] – **1**. ინდოეთში: მსუბუქი ვერანდებიანი შენობა ქალაქგარეთ.
**2.** ინგლისში: ერთსართულიანი კოტეჯი.

**ბუ́ნკერ**-ი [ინგლ. bunker] – **1.** თვითგანტვირთვადი სათავსი ფხვიერი და ნატეხი მასალებისათვის (ქართ. სინონ. ხვიმირი).
⊙ **ქვანახშირის ბ., კომბაინის ბ.**
**2.** სპეციალურად მოწყობილი რკინა-ბეტონის მიწისქვეშა თავშესაფარი.

**ბუ́რგ**-ი [გერმ. burg] – შუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში:

გამაგრებული კოშკი; ციხე სიმაგრე.

**ბურიმე** [ფრ. boust-rimes (მრ.)] – ლიტერატურული თამაში წინასწარ მოცემულ რითმებით იუმორისტული ლექსების შემთხზველი.

◎ **ბურიმესი.**

○ **ბურიმისა შცდ.**

**ბურლესკ**-ი [ფრ. burlesque] – კომიკური, პაროდიული პოეზიის ჟანრი.

**ბურჟუა** [ფრ. bourgeois] – ბურჟუაზიის წარმომადგენელი.

◎ **ბურჟუისა.**

○ **ბურჟუასი შცდ.**

**ბურჟუაზია** [ფრ. bourgeoisie] – კლასი, რომლის ხელშიც არის სამუშაო და საწარმოო საშუალებანი.

⊙ **მსხვილი ბ.**

◎ **ბურჟუაზიული.**

⊙ **ბ. წყობილება, ბ. პარტიები.**

**ბუტაფორ**-ი [იტ. buttafuori] – თეატრის თანამშრომელი, რომელსაც აბარია ბუტაფორია.

**ბუტაფორია** [< იტ.] – თეატრალური წარმოდგენისათვის საჭირო საგნები (ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, იარაღი და სხვ.) ნამდვილს მიმსგავსებული.

◎ **ბუტაფორიული.**

⊙ **ბ. პისტოლეტი.**

○ **ბუტაფორული შცდ.**

**ბუტერბროდ**-ი [გერმ. butterbrod პური კარაქით] – პურის ნაჭერი, რომელზეც დადებულია ყველის, ძეხვის, ლორის... თხელი ნაჭერი ან წასმულია კარაქი და სხვ.

○ **ბუტერბროტი შცდ.**

**ბუფერ**-ი [ინგლ. buffer] – ზამბარიანი მოწყობილობა ლოკომოტივზე, ვაგონზე – დაჯახების, დარტყმის მისაღებად.

**ბუფერულ**-ი სახელმწიფო – (პოლიტ.) პატარა სახელმწიფო, მოქცეული ორ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან თითოეული ცდილობს მის გამოყენებას მეორის საწინააღმდეგოდ.

**ბუფეტ**-ი [ფრ. buffet] – **1.** სუფრის ჭურჭლეულის, საუზმეულისა და სასმელების შესანახი კარადა.

⊙ **მოხარატებული ბ.**

**2.** სასადილოებსა და რესტორნებში: მაგიდა ან დახლი, სადაც ყიდიან საუზმეულსა და სასმელებს; პატარა სასაუზმე.

⊙ **სკოლის ბ., ვაგზლის ბ.**

**მებუფეტე** – ბუფეტში (მნიშ. 2 მომუშავე.

◎ **მებუფეტისა.**

○ **მებუფეტესი შცდ.**

**ბუქსირ**-ი [< ჰოლანდ. boegseeren ბუქსირება] – **1.** გემი,რომელიც განკუთვნილია მასზე გამობმული არათვითმავალი გემების, კარჭაპების, ტივების და მისთ. გასაწევად.
**2**. ბაგირი, რომელითაც გემი ეწევა მასზე გამობმულ სხვა გემებს და მისთ.
◎ **საბუქსირო.**
⊙ **ს. გემი.**

**ბუშელ**-ი [ინგლ. bushel] – ფხვიერი სხეულების საწყაო ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგ სხვა ქვეყანაში; უდრის დაახლოებით 35,2 -36,4 ლ-ს.

**ბუც**-ი [ინგლ. boots (მრ.)] – სპეციალური ფეხსაცმელი ფეხბურთის სათამაშოდ

**ბუხჰალტერ**-ი [გერმ. buchhalter] – ბუხჰალტერიის სპეციალისტი.
⊙ **მთავარი ბ., უფროსი ბ.**
◎ **ბუხჰალტრული.**
⊙ **ბ. ნიჭი.**
◎ **საბუღალტრო.**
⊙ **ს. კურსები.**

**ბუხჰალტერია** – **1**. ანგარიშსწორებასა და აღრიცხვის თეორია და პრაქტიკა;
**2**. ანგარიშსწორების განყოფილება საწარმოში; დაწესებულებაში.
◎ **საბუღალტერიო.**
⊙ **ს. დავთარი.**

## გ

**გაბარდინ**-ი [ფრ. gabardine] – შალის ქსოვილი, რომლითაც უმთავრესად წყალგაუმტარ პალტოს კერავენ.

**გაბარიტ**-ი [ფრ. gabarit] – ზღვრული გარშემოხაზულობა საგნებისა.
⊙ **ავტომობილის გ., გემის გ., თვითმფრინავის გ.**

**გაზ**-ი [ფრ. gaz] – **1.** ფიზიკური სხეული, ნივთიერება, რომელიც მიისწრაფის გავრცელდეს და თანაბრად მოიცვას სივრცე ქართ. სინონ. **აირი**).
⊙ **მახრჩობელა გ., მგვრგვინავი გ., ცრემლსადენი გ.**
**2**. გაზისებური (აირისებური) საწვავი; იყენებენ სათბობად (ზოგჯერ გასანათებლადაც).
⊙ **ბუნებრივი გ., თხევადი გ., დაჭირხნილი გ., ნავთობის გ.**
◎ **გაზიანი.**
⊙ **გ. წყალი.**
⊙ 1 მნიშვნელობით უპირატესად იხმარება **აირი.**

**გაზიფიკაცია** [ფრ. gazeification] გაზიფიცირება – გაზის (მნიშ. 2) ენერგიით მომარაგებაზე გადაყვანა
⊙ **ქალაქის გ., ბინების გ.**

**გაზოლინ**-ი [ფრ. gazoline] – **1.** საწვავი სითხე, რომელიც მიიღება ნავთობის გამოხდით (კრეკინგის პროცესი, მისგან შემდეგ იღებენ ბენზინს).
**2.** ბენზინის სახელწოდება აშშ-ში.

**გაზონ**-ი [ფრ. gazon] – ბაღებში, ქუჩებში და სხვა.: დეკორაციული მიზნით დათესილი ბალახი, ჩვეულებრივ, მოკლედ და თანაბრად შეკრეჭილი; ფართობი, რომელზედაც ასეთი ბალახია დათესილი.

**გალა** [ფრ. gala] – **1.** ითქმის დიდ საზეიმო სანახაობაზე (გალა-კონცერტი, საღამო გალა და მისთ.)
**2.** მე 17-18 სს-ში: დიდი ზეიმი მეფის სასახლეში.

**გალანტერეა** [ფრ. galanterie] – ტუალეტისა (მნიშვ. 1) და პირადი მოხმარებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის ნივთები (ძაფები, ლენტები, ქინძისთავები, სავარცხლები, ღილები, ხელთათმანები, ჰალსტუხები და სხვ.), როგორც გასაყიდი საქონელი.
◎ **საგალანტერეო.**
⊙ **ს. მაღაზია, ს. ფაბრიკა, ს. საქონელი.**
◎ **გალანტერეისა.**
○ **გალანტერეასი, გალანტერია, საგალანტერიო,გალანტერეია, საგალანტერეიო, შცდ.**

**გალანტურ**-ი [ფრ. galant] – დიდად თავაზიანი, ზრდილობიანი ადამიანი.

**გალაქტიკა** [< ბერძ. galantikos რძიანი] – ვარსკვლავთა ერთიანი სისტემა
⊙ **ჩვენი გ.** (ვარსკვლავთა სისტემა, რომელშიც შედის მზე და მაშასადამე, დედამიწაც)
⊙ **სხვა გ.-ები.**
◎ **გალაქტიკური.**
⊙ **გ. ნისლეული.**
○ ჩვენი გალაქტიკის ქართული სინონიმებია **ირმის ნახტომი** და **ცის იკანკლედი.**

**გალები** – იმ კელტების რომაული სახელწოდება,რომლებიც ცხოვრობდნენ გალიაში (თანამედროვე საფრანგეთის ჩრდ. იტალიისა და ბელგიის ტერიტორიაზე) მე-7-1 სს. ძვ. წელთაღ.

**გალერა** [იტ. galera] – ძველად (მე-18-ს.-მდე) დასავლეთ ევროპაში: მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო ხომალდი, რომელზეც მენიჩბეებად უმეტესწილად იყვნენ კატორღა-მისჯილი დამნაშავეები, ტყვეები, მონები.
◎ გალერისა.
○ **გალერასი შცდ.**

**გალერეა** [იტ. galleria] – **1.** გრძელი დახურული დერეფანი,რო-

მელიც აერთიანებს შენობის სხვადასხვა ნაწილს.
**2.** (საუბ.) შუშაბანდი.
**3.** მიწისქვეშა გრძელი და ვიწრო გასასვლელი (სამთო სამუშაოებში, სამხედრო ნაგებობებში).
⊙ **გ.-ის გაყვანა.**
**4.** გადატ. (წიგნ.) დიდი წყება რიგი (ტიპების, პორტრეტებისა).
⊙ **ლიტერატურული გმირების გ.**
**5.** (მოძვ.) თეატრში, ცირკში: ზედა იარუსი (იაფფასიანი ადგილებით). ქართ. სინონ. **ქანდარა.**
**სურათების გალერეა** – სპეციალური სადგომი სამხატვრო ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენისათვის.
⊙ **გალერეისა.**
○ **გალერეასი, გალერია, გალერეია შცდ.**

**გა́ლეტ**-ი [ფრ. galette] – პატარა ზომის ნამცხვარი ერთგვარი.

**გალვანიზა́ცია** – მუდმივი ელექტრული დენის გამოყენება სამკურნალო ან ტექნიკური მიზნებისთვის

**გალვანი́ზება** – **1.** ელექტრული დენის გატარება რამეში.
**2.** რაიმე საგნის ზედაპირის ლითონით დაფარვა ელექტროლიზის საშუალებით.

**გალვანომეტრ**-ი [galvano ბერძნ. metreô ვზომავ] – სუსტი ელექტრული დენის საზომი ხელსაწყო.

**გალვა́ნური** – ქიმიურ რეაქციის შედეგად მიღებული (ელექტრული დენი).
**გალვა́ნური ელე́მენტი** – ხელსაწყო, რომელშიც ქიმიური რეაქციის შედეგად მიიღება ელექტრული დენი.
**გალვა́ნური ბატა́რეა** – ერთმანეთთან შეერთებული გალვანური ელემენტი [იტალიელი მეცნიერის Galvani-ს (1737-1798) გვარის მიხედვით).

**გალი́ერა** [ესპ. gallera] სამხრეთ ამერიკის ზოგ ქვეყნებში: **1.** მამლების ჩხუბისათვის, როგორც სანახაობისათვის მოწყობილი ადგილი.
**2.** თვით მამლების ჩხუბი.

**გალი́პოტ**-ი [ფრ. galipot] – ფისი, რომელიც სდის წიწვოვანი ჯიშების მერქანს ჭრილობიდან; შეიცავს სკიპიდარს, კანიფოლსა და წყალს; იყენებენ ლაქების დასამზადებლად.

**გა́ლიფე** [აფრ. გენერლის Galliffet-ისგან, რომელიც ცნობილი იყო პარიზის კომუნარებისადმი 1871 წ. თავისი სიმკაცრით] – სამხედრო

შარვალი, მუხლების ქვევით ვიწროდ შემოჭერილი, ხოლო ზემოთ ძალიან განიერი, გაფართოებული.

⊙ **გალიფესი.**

○ **გალიფისა შცდ.**

**გალიციზმ**-ი [ფრ. gallicisme] – ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა; ფრანგულ ყაიდაზე აგებული გამოთქმა ამა თუ იმ ენაში.

**გალონ**-ი [ფრ. gallon] – ინგლისში, აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყანაში თხევადი და ფხვიერი სხეულების საწყაო სხვადასხვა ტევადობის (3,5 -დან 4,5 ლ-მდე).

**გამა** [ბერძ. gamma სახელწოდება γ (გ) ასოსი, რომლითაც შუა საუკუნეებში აღნიშნავდნენ სოლო ბგერას მუსიკაში] – **1**. ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობა ერთი ან რამდენიმე ოქტავის ფარგლებში.

⊙ **გ.-ების დაკვრა.**

**2**. გადატ. (წიგნ.) თანმიმდევრული წყობა ერთგვაროვანი, მაგრამ მრავალგვარად ცვლადი საგნებისა, მოვლენებისა.

⊙ **ფერთა გ.**

◎ **გამისა.**

○ **გამასი, გამმა შცდ**

**გამბიტ**-ი [ფრ. gambit] – ჭადრაკის პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით თეთრები სწირავენ ფიგურას ან პაიკს.

**გამბუზია** [ესპ. gambuxial] – წვრილი(47 სმ)ცოცხალმშობი თევზი, რომელიც ანადგურებს მალარიის კოღოს მატლებს.

**გამეტა** [ბერძ. gametςs მეუღლე (ქმარი), gametς მეუღლე (ცოლი)] – (ბიოლ.) ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის სასქესო უჯრედი; განაყოფიერების დროს საპირისპირო სქესების ორი გ. შეირწყმება.

**განგრენა** [ბერძ. gangraina] – ცოცხალი ორგანიზმის რომელიმე ქსოვილს, ორგანოს ან სხეულის ნაწილის კვდომა სისხლის მიმოქცევის დარღვევის შედეგად.

**განგსტერ**-ი [ინგლ. gangster ბრბო, ბანდა, ხროვა] – ბანდიტი, მძარცველი

◎ **განგსტერული.**

**გარანტია** [ფრ. garantie] – პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რასმე (ქართ. სინონ. **საწინდარი**).

◎ **საგარანტიო.**

⊙ **ს. ვადა, ს. წერილი.**

**გარაჟ**-ი [ფრ. garage] – გადახურული ადგილი, შენობა ავტომობილების სადგომად და

შესაკეთებლად.
**○ ფარეხი შცდ.**
**გარდერობ**-ი [ფრ. garderobe] –
1. ტანსაცმლის კარადა;
2. მიმსვლელთა ზედა ტანსაცმლის (პალსტუხისა და მისთ.) შესანახი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.
**⊙ თეატრის გ.**
3. ერთი ადამიანის მთელი ტანსაცმელი.
**⊙ მსახიობის გ.**
**მეგარდერობე** – გარდერობში (მნიშ. 2) მომუშავე.
**საგარდერობო** – იგივეა რაც გარდერობი (მნიშვ. 2).
**◎ მეგარდერობის.**
**○ მეგარდერობესი შცდ.**
**გარნიზონ**-ი [ფრ. garnizon] – სამხედრო ნაწილები, რომლებიც განლაგებულნი არიან დასახლებულ პუნქტებში გამაგრებულ რაიონში.
**⊙ თბილისის გ.**
**◎ საგარნიზონო.**
**⊙ ს. სამსახური.**
**გარნირ**-ი [ფრ. garnir მორთვა, შეკაზმვა] – ხორცის ან თევზისგან მომზადებული კერძის საკაზმი (ბოსტნეული, კარტოფილი, მაკარონი და სხვ.).
**⊙ კარტოფილის გ.**
**◎ გარნირიანი.**
**⊙ გ. კატლეტი.**
**გარნიტურ**-ი [ფრ. garniture] – ერთი დანიშნულების მქონე საგნების (მაგ. ავეჯის, თეთრეულის) სრული კომპლექტი.
2. (პოლიგრ.) სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთნაირი მოხაზულობისა და ხასიათის შრიფტის კომპლექტი.
**გასტროლები** [გერმ. Gastrolle < Gast სტუმარი და Role როლი] – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან სადმე ჩასული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის გამოსვლები.
**⊙ ანსამბლ "რუსთავის" გ. საზღვარგარეთ.**
**◎ საგასტროლო.**
**⊙ სპექტაკლი, ს. მოგზაურობა, ს. რეპერტუარი.**
**გასტროლიორ**-ი [< გერმ.] – მსახიობი, რომელიც გასტროლებს მართავს
**გასტრონომ**-ი [ფრ. gastronome < ბერძ. gastēr (gastros) კუჭი და nomos კანონი] – გასტრონომიული მაღაზია (წინათ ასე ეძახდნენ გემრიელ საჭმელების მცოდნეს და მოყვარულს).
**გასტრონომია** [ფრ. gastronomie] – საკვები პროდუქტები, უპირატესად საუზმეული, როგორც სავაჭრო საქონელი.
**◎ გასტრონომიული.**
**⊙ გ. მაღაზია.**
**გაუდეამუს**-ი [ლათ. gaudeamus

მოვილხინოთ] – ძველებური სტუდენტური სიმღერა ლათინურ ენაზე.

**გაუჩო** [ესპ. gaucho] – **1.** არგენტინასა და ურუგვაიში: ეთნიკური ჯგუფი, რომელიც წარმოიქმნა მე-16-17 სს.-ში. ესპანელთა შეუღლება ინდოელ ქალებთან: პამპაში (იხ. პამპა) მცხოვრები მწყემსი, ქოვ ბოი;
**2.** ფართოფარფლიანი ჩალის ქუდი ერთგვარი.

**გეა** [ბერძ. Gς და Gaia] – ბერძნულ მითოლოგიაში: მიწისა და მიწისქვეშეთის, ქვესკნელის ქალღმერთი: მისგან წარმოიშვა ყველაფერი, მათ შორის ღმერთები და ადამიანები.

**გეენა** [ბერძ. გეენა, ებრ. გეჰინომ ჰინომის ველი] – ჯოჯოხეთის ცეცხლი.

**გეიზერ**-ი [ისლანდ. geyser<გერმ. heiβ სხეული] – ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად ამოიფრქვევა წყლისა და ორთქლის შადრევანი.
⊙ **ჰეიზერი შცდ.**

**გეიმ**-ი [ინგლ. game თამაში] – სპორტული თამაშების (მაგ. ჩოგბურთის პარტიის) ნაწილი, რომელიც ტაიმებისგან განსხვავებით დგინდება მიღწეული ქულებისა და არა დროის მიხედვით.

**გეიტინომაგია** [ბერძ. geiton მეზობელი და gamos ქორწინება] – (ბოსტნ.) მცენარეთა ერთი და იმავე ეგზემპლარის ყვავილებს მიერ ურთიერთდამტვერვა.

**გეიშა** [იაპ.] – იაპონიაში მსახიობი ქალი, რომლის მოვალეობაა მაყურებლების (მდიდართა სასახლეში სტუმრების) გართობა მახვილსიტყვაობით, სიმღერით, ცეკვით და ა. შ.
◎ **გეიშისა.**
○ **გეიშასი შცდ.**

**გელერტერ**-ი [გერმ. gelertehr სწავლული] – (წიგნ.) წიგნებით განსწავლული, მაგრამ ცხოვრებას, პრაქტიკულ საქმიანობასა და მოწინავე მეცნიერებას მოწყვეტილი ადამიანი.

**გემა** [ლათ. gemma] – ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია რაიმე წარწერა ან გამოსახულება.

**გენეალოგია** [ბერძ. genealogia] – **1.** გვარის ტომის ისტორია.
**2.** ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ცალკეული გვარების ისტორიასა და ადგენს საგვარეულო ნუსხებს
**3.** (ბიოლ.) ცხოველთა ან მცენარეთა გვარების წარმოშობა.

◎ **გენიალოგიური.**
⊙ **გ. ტაბულა.**

**ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘ́ᲣᲠᲘ ᲮᲔ** – ოჯახის საგვარეულო ნუსხა რომელიც გარკვეულად არის წარმოდგენილი განშტოებული ხის სახით.
○ **გენიალოგია შცდ.**

**ᲒᲔᲜᲔ́ᲖᲘᲡ**-ი [ბერძ – genesis დაბადება, წარმოშობა, წყარო] – წარმოშობა, წარმოქმნა; ჩასახვის ისტორია.
◎ **გენეზისური.**
⊙ **მ. კავშირი.**
○ **გენეტური, გენეტიკური შცდ.** (იხ. **გენეტიკა**).

**ᲒᲔᲜᲔ́ᲠᲐᲚ**-ი [ფრ. général < ლათ. generalis საერთო, მთავარი] არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის წოდებულება.
**გენერალ-მაიორი** – გენერლის პირველი წოდებულება;
**გენერალ-ლეიტენანტი** – მეორე წოდებულება;
**გენერალ-პოლკოვნიკი** – მესამე წოდებულება;
**არმიის გენერალი** – გენერლის უმაღლესი წოდებულება;
**გენერალ-გუბერნატორ**-ი – **1.** რევოლუციამდელ რუსეთში: ერთი ან რამდენიმე **გუბერნიის უფროსი**.
**2.** ბრიტანეთის კოლონიებში, აგრეთვე ერთა თანამეგობრობის სახელმწიფოებში: დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დანიშნული სამეფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი.

**ᲡᲐᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐ́ᲢᲝᲠᲝ** – რევოლუციამდელ რუსეთში: მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც განაგებდა გენერალ-გუბერნატორი.
⊙ **გენერალ-გუბერნატორი,** მაგრამ **საგენერალგუბერნატორო.**

**ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐ́ᲪᲘᲐ** – **1.** კერძო მოვლენათა დაქვემდებარება რაიმე ზოგადი პრინციპისადმი; განზოგადება.
**2.** (მედიც.) ავადმყოფობის განთესვა მთელ ორგანიზმში.
**3.** კარტოგრაფიული გამოსახულება დამუშავების პროცესში, რომლის დროსაც რუკაზე გამოიყოფა მთავარი და ყურადღება არ ექცევა წვრილმანს.

**ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘ́ᲛᲣᲡ**-ი [ლათ. generalissimus ყველაზე მთავარი, უმაღლესი] – ზოგ ქვეყანაში: უმაღლესი სამხედრო წოდებულება, რომელსაც ანიჭებენ განსაკუთრებული სამხედრო დამსახურებისათვის; მსოფლიოში სულ 50-ზე მეტი გე-

ნერალისიმუსი იყო: რუსეთში გ.-ის წოდება ჰქონდა ა. სუვოროვს და კიდევ 3 სხვა მხედართმთავარს, ყოფილ საბჭოთა კავშირში – იოსებ სტალინს (1879-1953).

⊙ **აღსანიშნავია, რომ ხშირად გაიგონებთ თითქოს გენერალისიმუსებს წოდებას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაცია, რაც შცდ.**

⊙ **ასე მაგ., იოსებ სტალინს გენერალისიმუსობა მიანიჭა საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – უმაღლესმა საბჭომ 1945 წ. და პოტსდამის კონფერენციაზე ის წარსდგა ამ წოდებით.**

**ბენერალიტეტ**-ი [გერმ. generalitöt < ლათ. generalis საერთო, მთავარი] – არმიის უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობა; გენერლები.

**ბენერალურ**-ი ... [ლათ. generalis] – მთავარი, ძირითადი.

⊙ **გ. პროკურორი, ქალაქის გ. გეგმა** (შემოკ. **გენგეგმა), გ. ბრძოლა** (ომში).

**ბენერალური კონსული** – მთავარ ქალაქებში მყოფი კონსული.

**ბენერალური რეპეტიცია** – უკანასკნელი რეპეტიცია წარმოდგენის გამართვის წინ, დეკორაციებითკოსტიუმებითა და გრიმებით.

**ბენერალური შტაბი** – უმაღლესი სამხედრო მმართველობის ცენტრალური ორგანო.

**ბენერატორ**-ი [ლათ. generator მშობელი, მწარმოებელი, წარმომშობი] – მანქანა,რომელიც მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად.

⊙ **მუდმივი დენის გ.**

◎ **გენერატორული.**

⊙ **გ. დანადგარი.**

**ბენერაცია** [ლათ. generatio დაბადება] – **1.** ცხოველების,მცენარეების, მინერალების ერთი გვარის ან სახეობის ყველა წევრი.

**2.** წარმოშობა, გაჩენა. მაგ: ელექტროენერგიის გ.

**ბენეტიკა** [< ბერძ. genetikos წარმომშობი] – მეცნიერება ორგანიზმთა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონების შესახებ.

⊙ **ადამიანის გ., მცენარეთა გ. ცხოველთა გ.**

◎ **გენეტიკური.**

⊙ **გ. პრობლემები, გ. ანალიზი.**

○ **გენეტური შცდ.**

**ბენი** [ბერძ. genos ჯიში, გვარი] – მემკვიდრეობითობის მატერიალური საწყისი ცოცხალ ორგანიზმებში მემკვიდრეული

ინფორმაციის მატარებელ ქრომოსომაში – თითოეული გენი უზრუნველყოფს ამა თუ იმ თვისების მემკვიდრეობით გადაცემას ცოცხალ ორგანიზმებში.

**გენია** [ლათ. genius] – უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი.

⊙ **რუსთაველის გ.**

**გენიალური** – **1.** გენიით დაჯილდოებული.

⊙ **გ. პოეტები.**

**2.** გენიოსის დამახასიათებელი, შესაფერი.

⊙ **გ. ნაწარმოები.**

**გენიოს**-ი [ლათ. genius] – გენიით დაჯილდოებული პიროვნება.

⊙ **იესო ქრისტე** – კაცობრიობის გენიოსი, **გ. მხატვარი ფიროსმანი.**

**გენოციდ**-ი [ბერძ. genos გვარი, ტომი და caedo ვკლავ, ვხოცავ] – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, მთელი ხალხის გაჟლეტა რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური მოტივით, ითვლება უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე.

**გეო**... [ბერძ. gē მიწა] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი მნიშვნელობით „ეხება დედამიწას“.

⊙ **გეოგრაფია, გეოდეზია, გეოლოგია.**

**გეოგრაფია** [ბერძ. geōgraphia < gē დედამიწა და graphō ვწერ, აღვწერ] – **1.** იმ მეცნიერებათა კომპლექსი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მოიცავს ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას.

**ფიზიკური გეოგრაფია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანთა საზოგადოების მომცველ ბუნებრივ პირობებს (რელიეფს, კლიმატს, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ნიადაგებს და სხვა).

**ეკონომიკური გეოგრაფია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს წარმოების განლაგებას, მისი განვითარების პირობებსა და თავისებურებებს სხვადასხვა ქვეყანასა და რაიონებში.

**2.** დედამიწის ზედაპირზე რისამე გავრცელების შესწავლა.

⊙ **მცენარეთა გ., ცხოველთა გ., ნიადაგების გ.**

◎ **გეოგრაფიული და საგეოგრაფიო.**

⊙ **გ. (ს.) მეცნიერებანი, გ. აღწერა, გ. გარემო.**

**გეოდეზია** [ბერძ. geōdaisia დედამიწის დაყოფა < gē დედამიწა და daizō ვყოფ (ნაწილებად)] – მეცნიერება,

რომელიც სწავლობს დედამიწის ფორმებსა და ზომებს საერთოდ (უმაღლესი გეოდეზია) და ადგილზე იღებს ზომებს დედამიწის ზედაპირის ასასახავად რუკებსა და გეგმებზე (ტოპოგრაფია).

◎ **გეოდეზიური** და **საგეოდეზიო.**

⊙ **გ. ხელსაწყოები, გ. გადაღება, გ. აზომვები.**

**ᲒᲔᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** [ბერძ. gē დედამიწა და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს დედამიწის აგებულებასა და ელემენტებს, დედამიწის ქერქის ცვალებადობის ისტორიას, დედამიწაზე ორგანული სიცოცხლის ისტორიას და სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, ძიების მეთოდებს.

◎ **გეოლოგიური.**

⊙ **გ. ექსპედიცია** (ან: **აქცია); გ. რუკა** (და არა **რუქა), გ. ეპოქა, გ. პროცესები.**

**ᲒᲔᲝᲛᲔ́ᲢᲠᲘᲐ** [ბერძ. geometria მიწისმზომელი]– მათემატიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სხეულების სივრცით ფორმებსა და მათი გაზომვის მეთოდებს.

◎ **გეომეტრიული.**

⊙ **გ. ამოცანა, გ. აქსიომა, გ. მეთოდი.**

**ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘ́ᲢᲘᲙᲐ** – პოლიტიკური სტრატეგიის გეოგრაფიულ თვისებათა შესწავლა;

⊙ გ.-ის მთელი ფორმულაა: **გეოგრაფიული გარემო – ადამიანი – საშინაო და საგარეო პოლიტიკა.**

◎ **გეოპოლიტიკური.**

⊙ **გ. პრობლემები.**

**ᲒᲔᲝ́ᲠᲒᲘᲜ**-ი – ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; აქვს დიდი ხასხასა ყვავილი. [რუსი ბოტანიკოსის Георги-ს (1729-1802) გვარის მიხედვით].

◎ **გიორგინი შცდ.**

**ᲒᲔᲝᲤᲘ́ᲖᲘᲙᲐ** [ბერძ. gē დედამიწა და physikē ფიზიკა] – იმ მეცნიერებათა კომპლექსი, რომლებიც შეისწავლიან დედამიწის ფიზიკურ თვისებებსა და მასში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს.

◎ **გეოფიზიკური.**

⊙ **გ. ობსერვატორია.**

**ᲒᲔᲝᲥᲘ́ᲛᲘᲐ** – მეცნიერება დედამიწის ქიმიური შედგენილობისა და მასზე ქიმიური ელემენტების გავრცელება-განაწილების, შეერთებისა და გადაადგილების კანონების შესახებ.

**ᲒᲔ́ᲞᲐᲠᲓ**-ი [ფრ. guēpard] – დიდი მტაცებელი ცხოველი კატების ოჯახისა; აშინაურებენ და გეშავენ სანადიროდ (ქართ.

სინონ. **ავაზა**).

**გერანი**-ი [< ბერძ. geranos ღერო] – ბალახოვანი მცენარე; აქვს სურნელოვანი ფოთლები; ზოგი სახეობა დეკორატიულია, ზოგისგან იღებენ არომატულ ეთერზეთს (ქართ. სინონ. **ნემსიწვერა**).

**გერბ**-ი [რუს. герб < პოლონ. herb] – სახელმწიფოს, ქალაქის, თავადაზნაურული ან ბურჟუაზიული წოდების განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც გამოსახულია დროშებზე, ლითონის ფურცელზე, ბეჭდებზე და სხვ.

⊙ **საქართველოს სახელმწიფო გ., თბილისის გ., საგვარეულო გ.**

◎ **გერბიანი** და **საგერბო.**

⊙ **გ. (ს.) ბეჭედი.**

**გერბიანი ქაღალდი** – ქაღალდი, რომელსაც იყენებენ აქტებისა და საბუთებისათვის.

**გერბ. მარკა** – მარკა, რომელსაც იყენებენ როგორც ფულის გადახდის ნიშანს საბუთების გაფორმებისათვის.

○ **ღერბი, ღერბიანი, საღერბო შცდ.**

**გერმეტულ**-ი [ფრ. hermetique, ლათ. hermeticus] – მჭიდროდ დახურული, შეუღწევი, გაუმტარი.

⊙ **გ. შეფუთვა, გ. საფუთავი.**

○ **გერმეტიული შცდ.**

**გერონტოლოგია** [ბერძ. gerôn (gerontos) მოხუცი და logos მოძღვრება] – მეცნიერება სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ.

**გერუსია** [ბერძ. grusia] – ძველ საბერძნეთში: უხუცესთა საბჭო.

**გესტაპო** [გერმ. Gestapo (შემოკლ.) Geheime Staatpolizei] – ფაშისტურ გერმანიაში (1933-1945) საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია.

**გეტო** [იტ. ghetto] – ზოგ ქვეყანაში: დიდ ქალაქში საგანგებოდ გამოყოფილი უბანი, სადაც იძულებით იყო დასახლებული ადამიანთა გარკვეული რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი.

⊙ **ზანგთა გ., ებრაელთა გ.**

**გვარდია** [იტ. guardia] – ჯარის საუკეთესო რჩეული ნაწილი.

⊙ **საზღვაო გ., გ.-ის კაპიტანი.**

◎ **გვარდიული.**

⊙ **გ. ნაწილი.**

**გიაურ**-ი [თურქ. gâuri < არაბ.] – მუსულმანთა სამყაროში – საერთო სახელწოდება ყველა უცხოელისა.

**გიბონ**-ი [ინგლ. gibbon] – მაიმუნი, რომელსაც ძალიან გრძელი

წინა კიდურები აქვს.

**გიგა** – თავსართი, რომელიც საზომ ერთეულებთან მიერთებისას აღნიშნავს მათ მილიარდჯერ გაზრდას;

⊙ **გიგა ბაიტი = 1 მლრდ. ბაიტს.**

**გიგანტ**-ი [ბერძ. gigas (gigantis)] – **1**. ძალიან დიდი ტანის ადამიანი ან ცხოველი (მაგ. გოლიათი, ბუმბერაზი).

**2**. ძალიან დიდი, უზარმაზარი შენობა, ნაგებობა, წარმოება, მეურნეობა და სხვ.

◎ **გიგანტური.**

⊙ **გ. მშენებლობა, გ. ამოცანები.**

**გიდ**-ი [ფრ. guide] – ტურისტების გამყოლი (ქართ. სინონ. **ექსკურსიამძღოლი**).

**გილიოტინა** [ფრ. guillotine] – ადამიანის სიკვდილით დასასჯელი (თავის მოსაკვეთი) მანქანა, შემოიღეს საფრანგეთში 1792 წ. (საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს) დოქტორ გილიოტენის წინადადებით.

**გიმნაზია** [< ბერძ. gymnasion სატანვარჯიშო მოედანი, შემდეგ სკოლა, სადაც იკრიბებოდნენ ფილოსოფოსები, მეცნიერები] – გარკვეული ტიპის საშუალო სასწავლებელი.

**კლ. გიმნაზია** – გიმნაზია, რომელშიც რეალური სასწავლებლებისგან განსხვავებით, ასწავლიდნენ კლასიკურ ენებს (ძველ ბერძნულსა და ლათინურს).

**გინანდრი** – [ბერძ. gynς(ē) ქალი და anςr (andros) მამაკაცი] – ქალი, რომელსაც აქვს მამაკაცის მეორეული სასქესო ნიშნები (ვიწრო მენჯი, წვერი და სხვ.).

**გინგივიტ**-ი [< ლათ. gingine ღრძილი) – (მედიც.) ღრძილების ანთება.

**გინეკოლოგია** [ბერძ. gynς (gynaikos) ქალი და logos მოძღვრება] – მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ქალის ორგანიზმის თავისებურებებს, ქალის სასქესო ორგანოს დაავადებებს და მათი მკურნალობის მეთოდებს.

**გირლანდა** [ფრ. guirliande < იტ. girlanda] – **1**. ჯაჭვივით ერთმანეთში ჩაწნული ყვავილები, ფოთლები ტოტები. (ქართ. სინონ. **ყვავილწნული**).

**2**. ამ სახის ორნამენტი.

○ **გირლიანდა, გირლანდი შცდ.**

**გლაგოლიცა** [რუს. глаголица] – ძველი სლავური ერთ-ერთი ანბანი. (შდრ. **კირილიცა**).

**გლადიატორ**-ი [ლათ. gladiator]

– ძველ რომში: სპეციალურად გაწვრთნილი მონა ან ტყვე, რომელიც ცირკის არენაზე იარაღით ხელში ებრძოდა სხვა ასეთივე ადამიანს ან მხეცებს ამფითეატრში.

**გლანდები** [ფრ. glandes < ლათ. glans (glandis) რკო] – სასის ნუშისებური ჯირკვლები.

⊙ **შესივებული გ., გ-ების ამოკვეთა.**

**გლასე** [ფრ. glacé გაყინული] – ნაყინშერეული რძიანი ყავა.

⊙ **გლასისი.**

○ **გლასისა, გლეასე, გლიასე შცდ.**

**გლაუკომა** [ბერძ. glaukôma] – (მედიც.) თვალის მძიმე დაავადება, რაც მდგომარეობს თვალშიგნითა წნევის აწევაში; ხშირად იწვევს დაბრმავებას.

**გლეიკომეტრ**-ი [ბერძ. gleukos მაჭარი, ტკბილი ღვინო და metreo ვზომავ] – ხელსაწყო ღვინოში შაქრის რაოდენობის გასარკვევად (შესამოწმებლად).

**გლიტვაინ**-ი [გერმ. glükend wein ცხელი ღვინო] – მოდუღებული წითელი ღვინო, რომელშიც შეზავებულია შაქარი და სანელებლები; სვამენ ცხლად.

**გლისერ**-ი [ფრ. glisseur მოსრიალე, მოლივლივე] – სწრაფმავალი მატორიანი ნავი, ავითარებს დიდ სიჩქარეს, ამიტომ წყალში ღრმად არ ჯდება და მისრიალებს წყლის ზედაპირზე.

**გლობალურ**-ი [ფრ. global] – (წიგნ.) რაც მთელ მსოფლიოს, მთელ დედამიწას მოიცავს; საყოველთაო.

⊙ **გ. პოლიტიკა, გ. პრობლემები.**

**გლობუს**-ი [ლათ. globus სფერო] – დედამიწის მოდელი,რომელიც მაგრდება ვერტიკალურ საყრდენზე და ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო

**გლორია** [იტ. gloria ბრწყინვა, დიდება] – **1.** ოპტიკური მოვლენა, ატმოსფეროში ფერადი რგოლები, რომლებიც წარმოიქმნება საგნიდან ღრუბელზე ან სქელ ნისლზე დაცემული ჩრდილის გარშემო.
**2.** კათოლიკური მესის მეორე ნაწილი – ქებათა ქება.

**გლოსარიუმ**-ი [ლათ. glossanium] – (ფილოლ.) რაიმე (ჩვეულებრივ ძველი) ტექსტის ლექსიკონი, რომელშიც ახსნილია მოძველებული და გაუგებარი სიტყვები.

**გლოსიტ**-ი [< ბერძ. glossa ენა] – (მედიც.) ენის ანთება.

**გლუკოზა** [< ბერძ. glykys ტკბი-

ლი] – ყურძნის შაქარი. შედის სახამებელსა და ზოგი სხვ. ნივთიერებების შემადგენლობაში; იყენებენ მედიცინაში, საკონდიტრო წარმოებაში და საფეიქრო მრეწველობაში.

○ **გლიუკოზა შცდ.**

**ᲒᲜᲝᲛ**-ი [გერმ. gnom] – დასავლეთ ევროპულ მითოლოგიაში: მახინჯი ქონდრის კაცი, რომელიც იცავს მიწისქვეშეთის გრძნეულობას.

**ᲒᲜᲝᲡᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ** [< ბერძ. gnosis ცოდნა, შემეცნება და logos მოძღვრება] – შემეცნების თეორია, რომელიც სწავლობს შემეცნების შესაძლებლობებს, მის წყაროებს, ფორმებს და მეთოდებს.

◎ **გნოსეოლოგიური.**

**ᲒᲜᲝᲡᲢᲘᲪᲘᲖᲛ**-ი [< ბერძ. gnostikos შემეცნებითი] – ადრინდელი ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდევრობა; ცდილობდა შეექმნა მოძღვრება ღმერთის შესახებ, სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ ქრისტიანულ რელიგიურ დოგმატებზე, იდეალისტურ ფილოსოფიასა და იუდევლობაზე დაყრდნობით.

**ᲒᲜᲣ** [აფრ.] – მცოხნელი ძუძუმწოვარი ცხოველი ანტილოპის გვარისა, გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში.

**ᲒᲝᲑᲔᲚᲔᲜ**-ი [ფრ. gobelin] – ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა. რომელშიც ჩაქსოვილია რაიმე სურათი, გამოსახულება

**2.** სახეებიანი მკვრივი დეკორატიული ქსოვილი (ავეჯზე გადასაკრავად, ფარდებისთვის და სხვ.)

○ **გობელინი შცდ.**

**ᲒᲝᲚᲒᲝᲗᲐ** [არაბ. gûlgûethâ თავის ქალა] – **1.** გორაკი პალესტინაში, იერუსალიმის ახლოს, სადაც სიკვდილით სჯიდნენ და სადაც სახარების მიხედვით ჯვარს აცვეს **იესო ქრისტე.**

**2.** (გადატ.) სატანჯველი ადგილი, ტანჯვა ("გოლგოთაზე ასვლა").

**ᲒᲝᲚᲙᲘᲞᲔᲠ**-ი [ინგლ. goalkeeper] – (მოძვ.) მეკარე (ფეხბურთში, ჰოკეიში).

**ᲒᲝᲚᲝᲒᲠᲐᲛᲐ** [< ბერძ. holos წონა და gramma ასო, ჩანაწერი] – მოცულობითი გამოსახულება, რომელიც მიიღება სინათლის ტალღების დასმის (დადების) გზით

**ᲒᲝᲚᲤ**-ი [ინგლ. golf] – **1.** სპორტული თამაში – სპეციალური ჯოხის დარტყმით სხმული რეზინის ბურთს მიაგორებენ და ცდილობენ ჩააგდონ ფოსოში

(გავრცელებულია ინგლისსა და ა.შ.შ-ში).
**2.** მოკლე შარვალი, რომელსაც აქვს მანჟეტები მუხლს ქვემოთ შესაკრავად (შარვალი-გოლფი).
**3.** წინდა – მუხლამდე სიგრძის.

**გონადებ**-ი [< ბერძ. gonς თესლი] – სასქესო ჯირკვლები რომლებიც წარმოქმნიან სასქესო პროდუქტებს (კვერცხებს, სპერმატოზოიდებს).

**გონგ**-ი (ინგლ. gong < მალაიურიდან) – სარტყმელი მუსიკალური საკრავი – ბრინჯაოს თეფში, რომელსაც უკრავენ გრძელთავიანი ჯოხით; იყენებენ ასევე სიგნალის მისაცემად.

**გონდოლა** [იტ. gondola] – **1.** ერთნიჩბიანი გრძელი, ბრტყელძირა ვენეციური ნავი, რომელსაც აქვს აწეული ფიგურული ცხვირი და მაღალი კიჩო.
**2.** ჰაერბურთის კალათი მგზავრებისათვის; აეროსტატისა და დირიჟაბლის სათავსი ადამიანებისა და ხელსაწყო-მექანიზმებისათვის

**მეგონდოლე** – იგივეა, რაც გონდოლიერი.
◎ **გონდოლისა, მეგონდოლისა.**
○ **გონდოლასი, მეგონდოლესი შცდ.**

**გონდოლიერ**-ი [იტ. gondoliere] – გონდოლის (მნიშვ. **1.**) მენიჩბე (ქართ. სინონ. **მეგონდოლე**).
◎ **გონდოლიერისა.**
○ **გონდოლიერასი შცდ.**

**გონდოლიერა** [იტ. gondoliera] – ვენეციური გონდოლიერების სიმღერა

**გონორ**-ი [ლათ. honor პატივი] – ქედმაღლობა, ამპარტავნობა; დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

**გონორეა** [ბერძ. gonorrhoia, gonos თესლი და rheo მიმდინარეობა] – ვენერიული დაავადება – შარდსადენი მილის ჩირქოვანი დაავადება; ტრიპერი.

**გორდიას კვანძი** – (წიგნ.) ითქმის რთული, დახლართულ საქმის, ძნელი ამოცანის, გამოუვალი მდგომარეობის შესახებ [ძვ. ბერძნული ლეგენდის მიხედვით, ფრიგიის მეფემ გორდიამ (gordias) დახლართა კვანძი; ალექსანდრე მაკედონელმა გახსნის მაგიერ მახვილით გაკვეთა იგი].

**გორილა** [ინგლ. gorilla] – ადამიანის მსგავსი ყველაზე დიდი (2 მ-მდე სიმაღლის) მაიმუნი; ბინადრობს ცენტრალურ აფრიკაში.

**გორჟეტ**-ი [ფრ. gorgette] – მელიის ან სხვა ნადირის ბეწვის

საყელო, რომელსაც ქალები ატარებენ.

**გოტიკა** [ფრ. gothique, გერმ. Gotik] – ხუროთმოძღვრული სტილი გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში; დამახასიათებელია მაღალი და წვეტიანი ნაგებობით,ისრისებური თაღების, ჩუქურთმებისა და ვიტრაჟების სიუხვე და სხვ.

◎ **გოტიკური.**

⊙ **გ. სტილი, გ. არქიტექტურა, გ. ტაძარი, გ. თაღი.**

**გოტ. შრიფტი** – ლათინური შრიფტის ნაირსახეობა; გამოირჩევა წვეტიანი და ტეხილი მოხაზულობით; გავრცელებული იყო განსაკუთრებით გერმანიაში.

⊙ გოტიკურის მნიშ.-ით იხმარება აგრეთვე **გოთური.**

**გოფრირება** [ფრ. gaufrer] – ტალღისებური ნაკეცების გაკეთება ქსოვილზე, ქაღალდზე, თუნუქზე და მისთ.

**გრადაცია** [ლათ. gradatio თანდათანობით ამაღლება, გაძლიერება] – ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლა, თანდათანობა, თანმიმდევრობა.

**გრადუს**-ი [ლათ. gradus ნაბიჯი, საფეხური, ხარისხი] – (პირობითად აღინიშნება პაწაწინა წრით რიცხვის ზემოთ მარჯვენა მხარეს – 1°) – **1.** კუთხის ან რკალის საზომი ერთეული; უდრის წრეხაზის 1/360 ნაწილს.

**2.** ტემპერატურის საზომი ერთეული.

⊙ **20 გ. ყინვა, 5 გ. სითბო, ავადმყოფს სიცხე ჰქონდა 37,5 გ.**

**3.** სითხის სიმკვრივის საზომი ერთეული.

**4.** ალკოჰოლური სასმელის (სპირტის) სიმაგრის ერთეული.

◎ **... გრადუსიანი.**

⊙ **60-გ. კუთხე, 15-გ. ყინვა.**

**გრავიორი** [ფრ. graveur] – გრავირების სპეციალისტი (სინონ. **აქაქი**).

**გრავირება** [ფრ.graver]– ნახატის ან წარწერის ამოკვეთა რაიმე მაგარ მასალაზე.

**გრავიტაცია** [ლათ. gravitas სიმძიმე] – (სპეც.) მატერიის თვისება, რაც გამოიხატება სხეულთა ურთიერთმიზიდულობით; (ქართ. სინონ. **მსოფლიო მიზიდულობა**).

◎ **გრავიტაციული.**

⊙ **სხეულთა გ. თვისებები.**

**გრავიურა** [ფრ. gravure] – **1.** რაიმე მაგარი მასალის (ლითონის, ხის, ქვის, ძვლის, მინის და სხვ.) გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილი ან ამოჭრილი

ნახატი.

**2.** ასეთი ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე.

◎ **გრავიურისა.**

○ **გრავიურასი შცდ.**

**ბრა́მ**-ი [ფრ. gramme] – მასის ერთეული წონათა მეტრულ სისტემაში; უდრის ერთი კუბური სანტიმეტრი წყლის მასას.

**...ბრამა** [<ბერძ. gramma ჩანაწერი] – რთული სიტყვების დაბოლოებებში აღნიშნავს ამ სიტყვების დამოკიდებულებას რაიმე ჩანაწერისადმი, ჩანახაზისადმი.

⊙ **ტელეგრამა, ფონოგრამა.**

**ბრამა́ტიკა** [ბერძ. grammatikē] – ენათმეცნიერების ნაწილი,რომელიც შეისწავლის სიტყვასა და წინადადების აგებულებას (შედგება ორი ნაწილისგან: მორფოლოგია და სინტაქსი); მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ.

◎ **გრამატიკული.**

⊙ **გ. წესები, გ. შეცდომა.**

**ბრამო́ფონ**-ი [ბერძ. gramma ასო, ჩანაწერი და phone ბგერა, ხმა] – რუპორიანი აპარატი, რომელიც გადმოსცემს ფირფიტაზე მექანიკურად ჩაწერილი ხმას (მუსიკას, ლაპარაკს).

⊙ **ფირფიტები.**

○ **გრამაფონი შცდ.**

**ბრა́ნატა** [იტ. granata] – გასასკდომი საარტილერიო ჭურვი.

⊙ **ფუგასური გ. საარტილერიო გ. ხელის გ.**

◎ **გრანატისა.**

○ **გრანატასი, გრანატი შცდ.**

**ბრანდიო́ზული** [იტ. grandioso, ფრ. grandiose] – ძალიან დიდი, უზარმაზარი, ვეებერთელა, დიადი, დიდებული.

⊙ **გ. ნაგებობა, გ. დემონსტრაცია, გ. გეგმები.**

**ბრა́ნიტ**-ი [იტ. granite < ლათ. granum ხორბალი] – მაგარი კრისტალური ქანი, რომელიც შედგება კვარცის, მინდვრის შპატისა და ქარსისაგან; ძვირფასი საშენი მასალა.

⊙ **გ.-ის ძეგლი.**

**ბრა́ნტ**-ი [ინგლ. grant] – მიზნობრივი დახმარების შედეგად გამოყოფილი ფულადი თანხა, რომელზედაც არასაგადასახადო შეღავათები ვრცელდება.

**ბრა́ფ**-ი [გერმ. Graf] – დასავლეთ ევროპაში და რევოლუციამდელ რუსეთში: თავადაზნაურული მემკვიდრეობითი ტიტული, ბარონზე მეტი.

**საგრაფო** – მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ზოგ სხვა ქვეყნებში.

**გრაფა** [ბერძ. graphē ხაზი] – შუალედი ორ ვერტიკალურ ხაზს შორის (ტაბულებში, საკანტორო დავთრებში და სხვ.); სვეტი.
◎ **გრაფისა.**
○ **გრაფასი შცდ.**

...**გრაფ**-ი [< ბერძ. graphō ვწერ] – რთული სიტყვების დაბოლოებებში აღნიშნავს ამ სიტყვების დამოკიდებულებებს ჩამწერ პირთან ან ჩაწერილ საგანთან.
⊙ **სცენოგრაფი, ბაროგრაფი, ავტოგრაფი.**

**გრაფიკ**-ი [ბერძ. graphikos ხაზვითი, დახაზული] – **1.** ნახაზი, რომელზედაც მრუდეების საშუალებით ნაჩვენებია რისამე განვითარების ან მდგომარეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
⊙ **ატმოსფერული წნევის ცვალებადობის გ.**
**2.** წარმოებაში, ტრანსპორტზე: მუშაობას მიმდინარეობის, რისამე მოძრაობის დაწვრილებითი განრიგი (დღეების, საათებისა და წუთების მიხედვით).
⊙ **გ.-ის მიხედვით მუშაობა, ავტობუსის მიმოსვლის გ., მატარებელთა მოძრაობის გ.**
◎ **გრაფიკული.**
⊙ **ამოცანის გადაწყვეტის გ. მეთოდი.**

**გრაფიკა** [< ბერძ. graphikē ხაზვა, ხატვა] – **1.** ხაზებით შტრიხებით (უსაღებავოდ) ხატვის ხელოვნება; ასეთი ხელოვნების ნიმუშები.
⊙ **ფერწერა და გ., ქართული გ.-ის გამოცემა.**
**2.** (ლინგვ.) ხელნაწერი ან ნაბეჭდი ნიშნების მოხაზულობა; ცოცხალი მეტყველების (ბგერათა) გამოხატვა წერითი ნიშნებით (ასოებით).
◎ **გრაფიკული.**
⊙ **გ. ხელოვნება.**

**გრაფიკოს**-ი – გრაფიკის (იხ. **გრაფიკა**) სპეციალისტი მხატვარი.

**გრაფინია** [გერმ. gräfin] – გრაფის ცოლი ან ქალიშვილი.
◎ **გრაფინიასი.**
○ **გრაფინიისა შცდ.**

**გრაფიტ**-ი [< ბერძ. graphō ვწერ გერმ. Graphit] – **1.** მოშავო ან შავი მინერალი, ნახშირბადის ნაირსახეობა; იყენებენ ფანქრების, ცეცხლგამძლე ტიგელების, ელტექნიკური ნაწარმის, საპოხი მასალების და სხვ. დასამზადებლად.
**2.** ამ მინერალის ღერო ფანქარშია ჩასმული.

**გრაფოლოგია** [< ბერძ. graphō ვწერ და logos მოძღვრება] – თეორია, რომლის მიხედვითაც

შესაძლებელია ადამიანის ხელით (ნაწერით) მისი ხასიათის გაგება; ხელის შესწავლა ადამიანის ხასიათის გასარკვევად.

**ბრაფომანია** [< ბერძ. graphō ვწერ და mania მისწრაფება, სიგიჟე] – ავადმყოფური მისწრაფება წერისადმი, მთხზველობისადმი.

**ბრაციჰ** [ლათ. gratia მშვენიერება] – სინარნარე, მოხდენილობა მიხვრა-მოხვრაში, მოძრაობა.

◎ **გრაციისა.**

○ **გრაციასი შცდ.**

**ბრაციოზული** [იტ. grazioso] – გრაციით (იხ. **გრაცია**) აღსავსე, ნარნარი, მოხდენილი.

○ **გ. მოძრაობა, გ. ცეკვა.**

**ბრეიდერ**-ი [ინგლ. grader] – მიწის სათხრელი და სასწორებელი მანქანა. იყენებენ გზების, აეროდრომების და სხვ. მშენებლობაში.

**ბრეიპფრუტ**-ი [ინგლ. grapefruit] – ციტრუსოვანი ხეხილი ერთგვარი; ამ მცენარის ნაყოფი, არომატული და მომწაროტკბილი გემოთი.

⊙ **გრეიფრუტი** დასაშვებია.

**ბრიბორიანული**: გრიგორიანული კალენდარი, გრიგორიანული წელთაღრიცხვა [ლათ. Gregorianus] – წელთაღრიცხვის სისტემა („ახალი სტილი“); შემოღებული იქნა 1582 წელს რომის პაპის გრეგორ (Gregor) XIII-ის დროს იულიუსის კალენდრის („ძველი სტილის”) ნაცვლად.

**ბრილ**-ი [ინგლ. grille ფრ. < griller შეწვა] – სპეციალური კარადა (გაზის ან ელექტრო გენერატორის მქონე, რომელშიც მოწყობილია გისოსები ან მბრუნავი შამფურები ხორცის დიდი ნაჭრების შესაწვავად).

**ბრილაჟ**-ი [ფრ. grillage შეწვა, მოხალვა] – შოკოლადის კანფეტი ერთგვარი, რომელშიც ჩაფლულია მოხალული ნიგოზი, თხილი ან ნუში.

○ **გრილიაჟი შცდ.**

**ბრიმ**-ი [ფრ. grimes < იტ. grimo ნაოჭებიანი] – **1.** მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით, წვერის, ულვაშის დაწებებით და სხვ., რაც საჭიროა ამა თუ იმ როლის შესასრულებლად.

⊙ **გ-ით თამაში.**

**2.** სახის ასეთი შეცვლისათვის საჭირო ცხიმოვანი საღებავები (ფანქრების სახით) და სხვადასხვა დასაწებებელი.

⊙ **გ.ის გაკეთება, გ.-ის მოცილება.**

**ბრიმასა** [ფრ. grimaco] – სახის მანჭვა განზრახ ან უნებ-

ლიედ.
⊙ **გრიმასისა.**
○ **გრიმასასი შცდ.**

**ბრიმიორ**-ი [ფრ. grimeur] – თეატრის მუშაკი, რომელიც მსახიობებს გრიმს უკეთებს.
**საგრიმიორო** – თეატრში: ოთახი,სადაც გრიმს იკეთებენ ან უკეთებენ.

**ბრიპ**-ი [ფრ. grippe] – მწვავე ინფექციური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასუნთქი ორგანოების ანთება.
⊙ **ვირუსული გ.,**
◎ **გრიპიანი**
⊙ **გ. ავადმყოფი**
◎ **გრიპული** და **გრიპოზული.**
⊙ **გ. მოვლენები, ფილტვების გ. ანთება.**

**ბრიფ**-ი[1] [< ბერძ. gryps ლათ. gryphus]– ანტიკურ მითოლოგიაში ფანტასტიკური ცხოველი,აქვს ლომის ტანი,არწივის ფრთები და არწივის ან ლომის თავი (ქართ. სინონ. **ლომარწივი**).

**ბრიფ**-ი[2] [გერმ. Griff] – **1.** სიმებიანი საკრავის ყელი, რომელზედაც თითებს აჭერენ მის გაყოლებაზე დაჭიმული სიმების ხმის სიმაღლის შესაცვლელად.
⊙ **გიტარის გ.**

**ბრიფ**-ი[3] [ფრ. griffe] – **1.** ბეჭედი, შტემპელი, თანამდებობის პირის ხელმოწერა, ასეთი ხელმოწერის ანაბეჭდი.
**2.** რაიმე საბუთზე ან გამოცემაზე გაკეთებული წარწერა.
⊙ **წიგნს თავზე ქონდა მეცნიერებათა აკადემიის გ.**
◎ **გრიფიანი.**
⊙ **გ. გამოცემა.**

**ბრიფონ**-ი [ფრ. griffon] – იგივეა, რაც **გრიფი**[1].

**ბროგ**-ი [ინგლ. grog] – მაგარი სასმელი – შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი, კონიაკი ან არაყი.

**ბროსმაისტერ**-ი [გერმ. Grossmeister] – **1.** წოდებულება, რომელიც ენიჭებათ უმაღლესი კვალიფიკაციის მოჭადრაკეებს (ქართ. სინონ, **დიდოსტატი**).
**2.** შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: სასულიერო-რაინდული ორდენის მეთაური.
◎ **გროსმაისტერული.**
⊙ **გ. ყაიმი.**
◎ **გროსმაისტერისა.**
○ **გროსმაისტრისა, გროსმეისტერი შცდ.**

**ბროტ**-ი[1] [ფრ. grotte] – გამოქვაბული ზღვის ფლატოვან ნაპირზე, აგრეთვე გამოქვაბულის მსგავსი ხელოვნური ნაგებობა (ჩვეულებრივ ბაღებში, პარკებში, ქართ. სინონ. **ეხი**).

**ბროტ**-ი[2] [ჰოლანდ. groot] – სწორი იალქანი გროტ ანძაზე.

**გროტ-ანძა** – იალქნიანი გემის ყველაზე მაღალი (ცხვირიდან მეორე) ანძა.

**გროტესკ**-ი [ფრ. grotesque, იტ. grottesca] – ლიტერატურასა და ხელოვნებაში: ადამიანისა და საგნების გამოხატვა უცნაურ, ფანტასტიკურ გაზვიადებულ, დამახინჯებული კომიკური სახით. ასეთი ხერხით შექმნილი ნაწარმოები.

⊙ **გ.-ის ოსტატი.**

◎ **გროტესკული.**

⊙ **გ. სტილი გ. როლი.**

**გრუნტ**-ი [გერმ. grund] – **1.** მიწა; ნიადაგი.

⊙ **ქვიშის გ., გ-ის წყლები**

**2.** საღებავის პირველი ფენა ნახატის ტილოზე ან რამდენიმე ფერად შეღებილ საგანზე.

**გუაშ**-ი [ფრ. gouache] – **1.** წყალსა და წებოში გაქნილი საღებავი, რომელშიც შერეულია თეთრა.

**2.** ასეთი საღებავით დახატული სურათი.

**გუბერნატორ**-ი [ლათ. gubernator მესაჭე] – **1.** რუსეთში გუბერნიის მმართველი.

**2.** კოლონიებში: უმაღლესი თანამდებობის პირი.

**3.** ამერიკის შეერთებულ შტატებში: შტატის მმართველი.

**გუბერნია** [რუს. губерния < ლათ.] – რუსეთში ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

◎ **საგუბერნიო.**

⊙ **ს. მმართველობა.**

**საგუბერნიო ქალაქი** – გუბერნიის მთავარი ქალაქი.

**გუდრონ**-ი [ფრ. goudron] – შავი ფისოვანი ნივთიერება; იღებენ ნავთობის გამოხდის ნარჩენებისაგან (კრეკინგის პროცესი); იყენებენ საგზაო მშენებლობაში, სახურავის და საიზოლაციო მასალების წარმოებაში და სხვ.

**გუვერნანტ**-ი [ფრ. gouvernante] – ბავშვების აღმზრდელი ქალი (ჩვეულებრივ უცხოელი) თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ოჯახებში.

○ **გუვერნანტკა შცდ.**

**გუვერნიორ**-ი [ფრ. gouverneur] – ბავშვების აღმზრდელი კაცი (ჩვეულებრივ უცხოელი) თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ოჯახებში.

**გუთებ**-ი – ერთ-ერთი ძველი გერმანული ტომი.

◎ **გუთური.**

⊙ **გ. ენა.**

**გუთური შრიფტი** – იხილეთ გოტიკური: გოტიკური შრიფტი.

**გულიაშ**-ი [უნგრ. gulias] – უნგრული წარმოშობს კერძი – მოშუშული და შენელებული ხორცის წვრილი ნაჭრები, სოუსის დანამატით.
○ **გულაში შცდ.**

**გურმან**-ი [ფრ. gourmand] – კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული, პირის პატივის მოყვარული; გემოსმოყვარე.

**გუტაპერჩ**-ი [ინგლ. gutta-percha < მალაიურიდან] – ზოგიერთი წებოვანი მცენარის გამაგრებული წვენი, ტყავის მსგავსი; იყენებენ ტექნიკაში.
○ **გუტაპირჩი შცდ.**

**გუტაცია** [ლათ. gutta წვეთი] – წყლის გამოყოფა წვეთებად მცენარის ფოთლებიდან; გ.-ის დროს მცენარე გამოყოფს ზედმეტ მარილებს, ძირითადად კალციუმს.

## დ

**დაიჯესტ**-ი [ინგლ. digest] – **1**. რაიმეს მოკლე გადმოცემა. **2**. პირველი გამოცემა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი შემოკლებული ტექსტებით.

**დალაი-ლამა** – ტიბეტის უზენაესი მმართველი და რელიგიური წინამძღოლი ლამაიტებისა.
◎ **დალაი-ლამისა.**
○ **დალაი-ლამასი შცდ.**

**დალტონიზმ**-ი [< ინგლ. ფიზიკოსის Dalton-ის სახელიდან] – მხედველობის ნაკლი, რომლის დროსაც ადამიანი ვერ არჩევს ზოგიერთ ფერს, მეტწილად მწვანესა და წითელს.
◎ **დალტონიკი.**

**დამოკლეს მახვილი** – ითქმის მუდმივ საფრთხეზე [ძველი ბერძნული თქმულების მიხედვით სირაკუზელმა ტირანმა დიონისიოსმა ერთ-ერთ ნადიმზე თავისი ადგილი დაუთმო თავის მოშურნეს – დამოკლეს და მის თავზე ძუით დაკიდა მახვილი].

**დან**-ი [იაპ.] – იაპონიაში: ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი; ყოველ დანს შეესაბამება სხვადასხვა ფერის სარტყელი.

**დანაელთა საჩუქარი** – ითქმის მზაკვრულ საჩუქარზე [ჰომეროსის ეპოსის მიხედვით დანაელებმა (ბერძნებმა) ტროას ალყა მოხსნეს და მის მცხოვრებლებს საჩუქრად დაუტოვეს უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიც ისხდნენ შეიარაღებული მეომრები].

**დანაიდების შრომა** – ითქ-

მის დაუსრულებელ და უნაყოფო შრომაზე [ბერძნულ მითოლოგიაში: არგოსის მეფე დანარგს 50 ქალმა-დანაიდებმა (Danaides) მამის ბრძანებით ქორწილის ღამეს დახოცეს თავიანთი ქმრები; ამ დანაშაულისათვის ღმერთებმა მათ დააკისრეს უძირო კასრებით წყლის ავსება].

**დÁნსინგ**-ი [ინგლ. dancing-hall საცეკვაო დარბაზი] – საცეკვაო დარბაზი, (მოედანი) ჩვეულებრივ კაფეში, რესტორანში.

**დÁნტისტ**-ი [ფრ. dentiste < ლათ. dens (dentis) კბილი] – კბილის ექიმი; კბილის ტექნიკოსი.

**დაÓსიზმ**-ი [ჩინ.] – ძველი ჩინური რელიგია, რომელსაც საფუძვლად დაედო ბრძენი დაო-ძის მიერ დაწერილი წიგნი „დაო დე ძინი“. ბოლო დროს თითქმის მთლიანად შეავიწროვა ბუდიზმმა და სხვ. რელიგიებმა.

**დარვÍნიზმ**-ი – მოძღვრება ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების, მცენარეების და ცხოველების სახეობათა წარმოშობის შესახებ ბუნებრივი შერჩევის გზით [მე-19 ს. ინგლისელი ბუნების მეტყველის ჩარლზ დარვინის (Darwin, 1809-1882) სახელის მიხედვით].

**დÁუნინგ-სტრÍტი** [ინგლ. Downing Street] – **1.** ლონდონში: ქუჩა, რომელზედაც მოთავსებულია საგარეო საქმეთა სამინისტრო და პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია.

**2.** გადატანით ასე უწოდებენ ინგლისის მთავრობას.

**დაქტილო**... [< ბერძ. daktylos თითი] – რთულ სიტყვებში აღნიშნავს ამ სიტყვების დამოკიდებულებას თითებთან, მაგ: **დაქტილოსკოპია**.

**დაქტილოლÓგია** [ბერძ. daktylos თითი და logos სიტყვა] – ყრუ-მუნჯთა თითებით ლაპარაკის ხერხი: ხელის ანბანი.

**დაქტილოსკÓპია** [გერმ. Daktyloskopie < ბერძ. daktylos თითი და skopeo ვხედავ, ვუყურებ, ვათვალიერებ] – თითების ანაბეჭდის მიხედვით პიროვნების დადგენის მეთოდი.

**დÁცან**-ი – ბუდისტური სალოცავი (ლამაიტებისა).

**დე**... [ლათ. die...] – თავსართი, რომელიც აღნიშნავს: **1.** გამოყოფას,თავიდან მოცილებას, გაუქმებას და სხვ.

⊙ **დემობილიზაცია, დეცენტრალიზაცია.**

**2.** დაღმასვლა, დაქვეითება, დაცემა.

⊙ **დეგრადაცია.**

**დებარკადერ**-ი [ფრ. débarcadére] – მცურავი ნავმისადგომი, რომელიც ნაპირზეა დამაგრებული.

**დებატები** [ფრ. debats] – რაიმე საკითხის საჯარო განხილვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, პაექრობა.

⊙ **ცხარე დ. პარლამენტში.**

○ **მხ.-ში არ იხმარება.**

**დებეტ**-ი [< ლათ. débet მართებს] – (ბუხჰალტ.). საბუღალტრო ანგარიშების მარცხენა მხარე, სადაც შეაქვთ ყველა ღირებული ფასეულობა, აგრეთვე ამ ანგარიშზე რიცხული ვალი და გასავალი (საპირისპ. **კრედიტი**).

○ **დებიტი** სხვა (იხ.).

**დებიტ**-ი [< ფრ. débit გამოსავალი] – აირის ან წყლის, ნავთობის და სხვ. სითხის რაოდენობა, რასაც იძლევა წყარო დროის გარკვეულ ერთეულში.

⊙ **ნავთობის ჭაბურღილის დ., ბორჯომის წყლის დ., არტეზიული ჭის დ.**

○ **დებეტი** სხვაა (იხ.).

**დებიტორ**-ი [ლათ. debitor] – (ბუხჰალტ.). მოვალე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ვალი აქვს მოცემული საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციისა.

**დებიუტ**-ი [ფრ. début] – **1**. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; პირველი საჯარო გამოსვლა რაიმე სამოღვაწეო ასპარეზზე.

⊙ **ახალგაზრდა მწერლის დ.**

**2**. ჭადრაკის პარტიის საწყისი სტადია.

⊙ **ოთხი მხედრის დ., მოწინააღმდეგეებმა დ. სწრაფად გაითამაშეს.**

**დებიუტანტ**-ი [ფრ. débutant] – პირი, რომელსაც დებიუტი (მნიშვ. 1) აქვს.

**დებოშ**-ი [ფრ. débauche] – ჩხუბი, აყალმაყალი, ცემა-ტყეპა, აურზაური, უწესივრობა.

**დეგაზაცია** [იხ. აგრეთვე დე...] – მომწამვლელი ნივთიერებისგან გაწმენდა, გაუვნებლება (ადგილისა, ტანსაცმლისა...).

**დეგენერაცია** [ფრ. dégéné rafion] – **1**. ორგანიზმის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ნიშნების დაქვეითება, გაუარესება: გადაგვარება.

**2**. (ბიოლ.). ცოცხალი ორგანიზმის უჯრედების ან ორგანოების დაშლის პროცესი.

**დეგრადაცია** [ფრ. dégradation < ბერძ. ლათ. gradus საფეხური; იხ. აგრეთვე de...] – თანდათანობით გაუარესება რაიმე თვისებისა; დაქვეითება, დაცემა.

**დეგრესია** [< ლათ. degressio უკან დახევა] – **1**. თანდათანობით შემცირება, კლება.
**2**. (ფინანს.). გადასახადით პროპორციული დაბეგვრა-უფრო მცირე შემოსავალზე დაბეგვრის პროცენტის შემცირებით.

**დეგუსტატორ**-ი [< ლათ. degustare გემოზე გასინჯვა] – დეგუსტაციის სპეციალისტი.

**დეგუსტაცია** [ფრ. dégustatio] – რაიმე პროდუქციის გემოს გასინჯვა, სუნის, ფერის შემოწმება მისი დამზადების დროს; ღვინის დაჭაშნიკება.
⊙ **ჩაის დ; სუნამოს დ.**

**დედვეიტ**-ი [ინგლ. deadweight] – (ზღვ.). გემის სრული ტვირთმზიდაობა (ტვირთამწეობა) ყველა აუცილებელი მარაგის – სათბობის, წყლის და სხვ. ჩათვლით.

**დედუქცია** და **დედუქცირება** [< ლათ. deductio გამოყვანა] – ლოგიკაში: მსჯელობის ხერხი – ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა (საპირისპ. **ინდუქცია**).
◎ **დედუქციური.**
⊙ **დ. მეთოდი, დ. დასკვნა.**

**დეესკალაცია** – ესკალაციის საპირისპირო მოქმედება – აგრესიის, საომარი მოქმედების თანდათანობითი შენელება.

**დევალვაცია** [გერმ. Dvalvation] – ფულის რეფორმა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ გაუფასურებულ ფულის ნიშნებს იღებენ მიმოქცევიდან და ცვლიან სრულფასიანი საკრედიტო ბილეთებით (ე. წ. ღია დევალვაცია), ანდა ბრუნვაში მყოფი ფულის ნიშნების ოფიციალურ კურსს სწევენ დაბლა (ფარული დევალვაცია) ოქროსთან ან რომელიმე უცხო სახელმწიფოს ვალუტასთან შეფარდებით.

**დევიზ**-ი [ფრ. devise] – **1**. მოკლე გამონათქვამი, რომელიც ჩვეულებრივ გამოხატავს ვისიმე ქცევის ან მოქმედების სახელმძღვანელო აზრს, იდეას.
**2**. მოკლე გამონათქვამი ან სიტყვა, რომელსაც ავტორი აწერს კონკურსზე წარწერილ ნამუშევარს თავისი სახელისა და გვარის ნაცვლად.
⊙ **ძეგლის პროექტი წარდგენილი იყო დ.-ით „მერანი“.**
**3**. ჰერალდიკაში: მიკლე წარწერა გერბზე, ფარზე, ორდენზე და სხვ.

**დეზ**... [ფრ. dés-გან,-იდან] – თავსართი, რომელიც აღნიშნავს რისამე განადგურებას, მოცილებას და სხვ.
⊙ **დეზინფექცია.**

**დეზაბილიე** [ფრ. déshabillé] – საშინაო ჩაცმულობა; საშინაო ტანისამოსი.

**დეზავუირება** [ფრ. désavouer] – ვისიმე განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება თავისი წარმომადგენლის, რწმუნებულის მოქმედებას.

**დეზაქტივაცია** [ფრ. dés -გან, -იდან და ლათ, activus მოქმედი] – რადიოაქტიური ჭუჭყის მოცილება სხვადასხვა საგნის, ნაგებობის და მისთ. ზედაპირიდან (იხ. აგრეთვე აქტივაცია).

**დეზერტირ**-ი [ფრ. déserteus] – ადამიანი, რომელმაც თვითნებურად მიატოვა სამხედრო სამსახური ან თავი აარიდა ჯარში გაწვევას.

**დეზინტეგრაცია** [ფრ. dés და ლათ. integratio] – მთელის დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად, დაშლა.

⊙ **ეკონომიკური კავშირების დ.**

**დეზინფექცია** [ფრ. désinfectipn] – ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობთა მოსპობა სპეციალური საშუალებებით (ქართ. სინონ. **გაუსნებოვნება**).

**დეზინფორმაცია** [ფრ. dés-გან,-იდან და informer შეტყობინება] – ყალბი ცნობების გავრცელება გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით ადამიანების შესაცდენად.

◎ **დეზინფორმაციული** და **სადეზინფორმაციო.**

⊙ **დ. ცნობები, დ. (ს.) განცხადება.**

**დეზოდორანტ**-ი [ფრ. dés და ლათ. odor სუნი] – ადამიანისაგან, ბინიდან და სხვ. ცუდი სუნის მოცილების საშუალება.

◎ **დეზოდორირება.**

**დეზოდორაცია** [ფრ. dés-გან, -იდან და ლათ. odor სუნი] – (ცუდი) სუნის მოსპობა ან ჩახშობა ქიმიური საშუალებით.

**დეზორგანიზაცია** [ფრ. dés organisation] – საზოგადოებრივი წესრიგის, დისციპლინის დარღვევა; სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამეურნეო და სხვ. ორგანოების ნორმალური საქმიანობის (ფუნქციონირების) მოშლა.

**დეზორიენტაცია** [ფრ. désorientation] – შეცდენა, სწორი მიმართულების დაკარგვა ან წარმოდგენა რაიმეზე.

⊙ **ბოროტგანზრახული დ.**

**დეზოქსირიბონუკლეინმჟავა** (დნმ) – რთული ორგანული ნაერთი,ერთ-ერთი ნუკლეინმჟავა, რომელიც მოიპოვება ყოველ ცოცხალ უჯრედში,

უპირატესად მის ბირთვში: მთავარი როლის ასრულების ორგანიზმის ნიშან-თვისებათა მემკვიდრულ გადაცემაში.

**დეიზმ**-ი [< ლათ. deus ღმერთი] – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება (მე-17-18სს.); აღიარებდა ღვთის, როგორც სამყაროს პირველი მიზეზის არსებობის, მაგრამ უარყოფდა მის ჩარევას ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში.

**დე-იურე** [ლათ. dejaure] – ფორმალურად, იურიდიულად კანონის საფუძველზე (საპირისპ. **დე-ფაქტო**).

⊙ **დე-იურედ ცნობა.**

**დეკა**[1]... [ბერძ. deka ათი] – თავსართი, რომელიც საზომი ერთეულის სახელთან მიერთებისას აღნიშნავს მის ათჯერ გაზრდას: **1.** დეკალიტრი = 10 ლიტრს.

**დეკა**[2] [გერმ. Decke] – ზოგი სიმებიანი მუსიკალური საკრავის კორპუსის ნაწილი ხმის ასარეკლად და გასაძლიერებლად.

⊙ **გიტარის ზედა დ; პიანინოს დ.**

◎ **დეკისა**

○ **დეკასი შცდ.**

**დეკადა** [ფრ. décade < ბერძ. dekas (dekados) ათეული] – **1.** დროის ათდღიანი მონაკვეთი: ათი დღე.

⊙ **იანვრის პირველი დ.**

**2.** დროის ასეთი მონაკვეთი, საზოგადოებრივად რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილი.

⊙ **ქართული ხელოვნების დ.**

**დეკადანს**-ი [ფრ. décadance] – კულტურის დაქვეითება, დაცემა (იხ. დეკადენტობა).

**დეკადენტობა** [ფრ. décadent დაცემა, დაშლა, < ლათ. decadentia დაცემა] – მე-19 ს.-ის დასასრულისა და მე-20 ს.-ის დასაწყისის ხელოვნებასა და ლიტერატურაში: მიმდინარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია უიმედობა, მისტიციზმი, ფორმალიზმი.

◎ **დეკადენტური.**

⊙ **დ. ლექსები, დ. ნახატი.**

**დეკან**-ი [ლათ. decanus ათისთავი] – **1.** უმაღლეს სასწავლებელში: ფაკულტეტის ხელმძღვანელი პირი.

⊙ **პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ავტომექანიკური ფაკულტეტის დ.**

**2.** კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიაში: უფროსი მღვდელი, დეკანოზი.

**3.** ძველ რომში: ჯარის ათისთავი.

**4.** იგივეა, რაც დუაიენი.

**დეკანატ**-ი – უმაღლეს სასწავლებელში: ფაკულტეტის ხელმძღვანელობა დეკანის მეთაურობით.

**დეკვალიფიკაცია** [< ლათ. იხ. **დე**...] – კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების დაკარგვა.

**დეკლამატორ**-ი [ლათ. declamator] – მსახიობი, რომელიც დეკლამაციით გამოდის; მხატვრული კითხვის ოსტატი.

**დეკლამაცია** და **დეკლამირება** [< ლათ. declamatio ორატორულ გამოთქმაში ვარჯიში] – ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებით კითხვა: მხატვრული კითხვა.

**დეკლარაცია** [< ლათ. declaratio განცხადება] – **1.** ოფიციალური, საზეიმო გამოცხადება რაიმე აქტისა, კანონისა, ძირითადი პრინციპების მთავრობის სახელით: თვით დოკუმენტი,რომლითაც ასეთი აქტი, კანონი არის გამოცხადებული.

⊙ **მთავრობის დ.**

**2.** ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო პოლიტიკის რაიმე საკითხზე.

**3.** (ფინანს.). გადასახადის გადამხდელის განცხადება თავისი შემოსავლის, ქონების რაოდენობის შესახებ.

⊙ **სავაჭრო დ., საბაჟო დ.**

**4.** საფოსტო დოკუმენტი, რომელიც ახლავს საზღვარგარეთ გასაგზავნ ფულს ან ფასიან პაკეტს.

**5.** საბაჟოს დოკუმენტი, რომელშიც საზღვარგარეთ მიმავალი პირი აღნიშნავს, თუ რა ძვირფასეულობა მიაქვს თან.

**დეკლასირებულ**-ი [< ფრ. déclassé] – ვინც მოწყვეტილია თავის კლასს და საკუთარ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში: მორალურად დაქვეითებული და გახრწნილი. (მაგ.,ქურდები, ქუჩის ქალები, მათხოვრები, მაწანწალები).

⊙ **დ. ელემენტები.**

**დეკოდირება** [ლათ. de და ფრ. code] – გახსნა,პირობითი ბრძანებების, ჩანაწერების გაუქმება გამომთვლელ მანქანებში.

⊙ **დეკოდერი.**

**დეკოლონიზაცია** – კოლონიისათვის თავისუფლების მიცემა.

**დეკოლორიზაცია** [ლათ. decoloratio] – გაუფერულება.

**დეკოლტე** [ფრ. décolte] – **1.** ქალის ტანსაცმელი, კაბა, რომელსაც გული ღრმად აქვს ამოჭრილი და არ ფარავს

ყელს, მხრებს, მკერდსა და ზურგის ზედა ნაწილს.
**2**. თვით ამოჭრილი,ღია ნაწილი ასეთი კაბისა.

**ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲢᲘ́ᲣᲚ**-ი [ფრ. décoratif] – ადგილის დამამშვენებელი; ლამაზი, ეფექტური.
⊙ **დ. მცენარეები, დ. ვაზა, დ. დეტალები.**
○ **დეკორაციული** სხვაა (იხ. **დეკორაცია**).

**ᲓᲔᲙᲝᲠᲐ́ᲢᲝᲠ**-ი [ფრ. décorateur] –
**1**. დეკორაციების მხატვარი.
**2**. სადგომების (ბინების) ლამაზად მიწყობის, მორთვის სპეციალისტი.

**ᲓᲔᲙᲝᲠᲐ́ᲪᲘᲐ** [ფრ. décoration] – მოქმედების ადგილის გაფორმება სცენაზე ფერწერულად ან არქიტექტურულად: სცენის მოწყობილობა.
⊙ **პირველი მოქმედების დ.**
◎ **დეკორაციული** და **სადეკორაციო.**
⊙ **დ. (ს.) მხატვრობა, ს. სახელოსნო, სცენის დ. გაფორმება.**
○ **დეკორატიული** სხვაა (იხ.).

**ᲓᲔ́ᲙᲠᲔᲢ**-ი [ფრ. décret < ლათ. decretum] – უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება; ბრძანებულება, კანონი.
⊙ **დ. მშვიდობის შესახებ.**
◎ **დეკრეტული** და **სადეკრეტო.**
**სადეკრეტო** (ან **დეკრეტული**) შვებულება – შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო.

**ᲓᲔᲙᲠᲔ́ᲨᲔᲜᲓᲝ** [იტ. decrescendo] – (მუს.) ბგერის სიძლიერის თანდათან შემცირება, სულ უფრო და უფრო ხმადაბლა (საპირისპ. **კრეშენდო**).

**ᲓᲔᲚᲔ́ᲒᲐᲢ**-ი [ლათ. delegatus წარგზავნილი] – არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი რომელიმე ორგანიზაციისა, სახელმწიფოსი და სხვ.
⊙ **კონფერენციის დ., ყრილობის დ.**

**ᲓᲔᲚᲔᲒᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. delegatio გაგზავნა, დანიშნულება] – დელეგატების ჯგუფი, რომელიც წარმომადგენელია რომელიმე ორგანისაციისა, დაწესებულებისა, სახელმწიფოს და სხვ.

**ᲓᲔᲚᲘᲙᲐ́ᲢᲔᲡ**-ი [ფრ. délicattesse] – განსაკუთრებით გემრიელი, სანუკვარი საჭმელი. (ქართ. სინონ. **ნუგბარი**).

**ᲓᲔᲚᲘᲙᲐ́ᲢᲣᲠ**-ი [ფრ. délicat] – **1**. თავაზიანი, ზრდილობიანი
⊙ დ. ადამიანი
**2**. ისეთი, რაც ფრთხილ, წინდახედულ მოპყრობას მოითხოვს.
⊙ **დ. საკითხი**.

**დელიმიტა́ცია** [ლათ. delimitatio] – საერთაშორისო სამართალში: სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობისა და მიმართულების განსაზღვრა მოწინავე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით.

**დე́ლტა** [ბერძ. delta ბერძნული ანბანის მე-4 ასო Δ] – მდინარის შესართავთან წარმოქმნილი ნარიყი არე, რომელიც დასერილია ამ მდინარის ტოტებით [ბერძნული ასო delta-ს (Δ) სახელის მიხედვით].
⊙ **მდინარე ნილოსის დ.**
◎ **დელტისა.**
○ **დელტასი შცდ.**

**დელტა́პლან**-ი [ბერძ. delta (ბერძნული ანბანის მე-4 ასოს – Δ-ს. სახელი) და ლათ. planum სიბრტყე]– მარტივი სასპორტო საფრენი აპარატი; აქვს სამკუთხედის ფორმის მზიდი ზედაპირი (წარმოადგენს ფრანს): მის ქვეშ მოთავსდება სპორტსმენი და მოფრინავს როგორც პლანერით.
⊙ **დელტოპლანი შცდ.**

**დე́ლფინ**-ი [ბერძ. deiphis (delphinos)] – ზღვის ძუძუმწოვარი, ვეშაპის ნაირსახეობა.

**დელფინარი́უმ**-ი – ზღვის პირას მოწყობილი დიდი აკვარიუმი; მასში ჰყავთ დელფინები, რომლებსაც სწავლობენ, წვრთნიან და აჩვენებენ მაყურებელს (იხ. აგრეთვე **ოკეანარიუმი**).

**დემა́გოგ**-ი [ბერძ. démagōgos] – პოლიტიკანი, პირი, რომელიც დემაგოგიური ხერხებით იძენს პოპულარობას ხალხთა მასებში.

**დემაგო́გია** [ბერძ. dēmāgogia] –
**1.** მოტყუება ცრუ დაპირებებით, ფარისევლობითა და ფაქტების წინასწარგანზრახული დამახინჯებით რაიმე მიზნის მისაღწევად (ხალხთა მასების ნდობის მოსაპოვებლად).
**2.** საკითხის არამართებული გაშუქება შეგნებულად; ფაქტების დამახინჯება.
⊙ **კრებაზე მისი გამოსვლა იყო სრული დ.**
◎ **დემაგოგიური.**
⊙ **დ. დაპირება, დ. ხერხი.**

**დემარკაცია** [ფრ. dēmarcation] – **1.** სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენა ადგილზე (სპეციალური სასაზღვრო ნიშნების საშუალებით).
**2.** (მედიც.). ქსოვილის მკვდარი უბნების გამიჯვნა ჯანსაღისაგან.
◎ **სადემარკაციო: სადემარკაციო ხაზი** – **1.** ხაზი, რომელიც ყოფს ერთმანეთისაგან მეომარ მხარეთა ჯარებს დაზავების დროს.

**2**. დროებით სასაზღვრო ხაზი სადავო ტერიტორიაზე; ხაზი, რომელიც ყოფს დაპყრობილ ქვეყნის ტერიტორიას საოკუპაციო ზონებად.

**დემა́რშ**-ი [ფრ. dēmarche] – (დიპლ.). ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიმართვა მეორისადმი (ნოტა, მემორანდუმი, განცხადება და მისთ.)

⊙ **ელჩის დ.**

**დემე́რეჯ**-ი, **დემუ́რეჯ**-ი [ინგლ. demurrage] – (ზღვ.) გადასახადი, რომელსაც უხდის გემის პატრონს დამფრახტველი (იხ. **ფრახტი**) პორტში გემის გაცდენისათვის.

**დემე́ტრა** [ბერძ. Dēmētēr] – ბერძნულ მითოლოგიაში: მიწის, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთი (რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება **ცერერა**).

**დემილიტარიზა́ცია** და **დემილიტარი́ზება** [< ფრ. démilitarisation] – საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიმე სახელმწიფოსათვის აკრძალვა იმისა, რომ ჰქონდეს სამხედრო მრეწველობა და სიმაგრეები, ჰყავდეს დადგენილ რაოდენობაზე მეტი სამხედრო ძალები: განიარაღება.

**დემილიტარიზებუ́ლი**: დემილიტარიზებული ზონა – ტერიტორიის ასეთი ზოლი ორ სახელმწიფოს შორის, რომელშიც აკრძალულია სამხედრო ობიექტების ქონა და სამხედრო ძალების ყოლა.

**დემობილიზა́ცია** [ფრ. démobilisation] – და **დემობილი́ზება** – **1**. სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნა, განთავისუფლება.

**2**. შეიარაღებული ჯარებისა და სახალხო მეურნეობის გადაყვანა საომარი მდგომარეობიდან სამშვიდობოზე.

⊙ **არმიის დ., მრეწველობის დ.**

**დემოგრა́ფია** [ბერძ. dēmos ხალხი და graphō ვწერ] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის შემადგენლობას და მისი მოძრაობის (შობადობა-სიკვდილიანობის, მიგრაციის და სხვ.) კანონზომიერებას (ქართ. სინონ. **ხალხთაღწერილობა**).

◎ **დემოგრაფიული.**

⊙ **დ. გამოთვლა, დ. პოლიტიკა.**

**დემო́კრატ**-ი – **1**. დემოკრატიის მომხრე.

**2**. დემოკრატიული პარტიის წევრი.

⊙ **ამერიკელი დ.-ები.**

**დემოკრა́ტია** [ბერძ. demokratia

< dēmos ხალხი და kratos ხელისუფლება]– **1.** სახელმწიფო-პოლიტიკური მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის.

**2.** კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის პრინციპი, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია კოლექტივის ყველა წევრის თანასწორუფლებიანი მონაწილეობა.

◎ **დემოკრატიული.**

⊙ **დ. წყობილება, დ. რესპუბლიკა**

**დემოკრატიზაცია** – სახელმწიფოს, საზოგადოების, კანონის და მისთ. გარდაქმნა დემოკრატიის საფუძველზე (სინონ. **გადემოკრატიულება**).

**დემონ**-ი [ბერძ. daimōn] – ბოროტი სული, სატანა.

**დემონსტრანტ**-ი – დემონსტრაციის (მნიშვ. 1) მონაწილე.

**დემონსტრატორ**-ი – პირი, რომელიც რისამე დემონსტრირებას (მნიშვ. 2) ახდენს.

**დემონსტრაცია** [ლათ. demonstratio ჩვენება, დამტკიცება] – და დემონსტრირება [გერმ. Demonstrieren] – **1.** მასობრივი მსვლელობა რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობილების გამოსახატავად.

⊙ **საპროტესტო დ.**

**2.** საჯარო ჩვენება რისამე. (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **დემონსტრირება**).

⊙ **კინოფილმის დ., მოდების დ.**

**3.** რისამე საჯარო გამოხატულება.

⊙ **ერთიანობის დ.**

**4.** გამომწვევი მოქმედება, ქცევა.

◎ **სადემონსტრაციო.** (მნიშვ. 2-ისათვის).

⊙ **ს. დარბაზი, ს. გაფრენა.**

**დემონსტრაციული** – გამომწვევი, პროტესტის გამომხატველი.

⊙ **სხდომა დ.-ად დატოვა.**

**დემონტაჟ**-ი [ფრ. démontage] – მანქანის, აგრემატის, რაიმე მოწყობილობის და მისთ. ნაწილებად დაშლა (რემონტისათვის, სხვა ადგილას გადასატანად და სხვ.).

⊙ **ავტომობილის დ., ქარხნის დ.**

**დემორალიზაცია** [ფრ. dēmoralisation] და დემორალიზება – **1.** მორალური გახრწნა, ზნეობრივი დაცემა.

**2.** მოქმედების უნარის დაკარგვა, სულით დაცემა.

**დემოს**-ი [ბერძ. dēmos] – **1.** კლასობრივ საზოგადოებაში: მო-

სახლეობის არაპრივილეგირებული ფენები; ხალხი.
**2**. (იტ.) ძველ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში: თავისუფალი მოქალაქეები,ხალხის მასები; მონები დემოსში არ შედიოდნენ.

**დᲔ́ᲛᲞᲘᲜᲒ**-ი [ინგლ. dumping] – (ეკონ.). საქონლის გაყიდვა უცხოეთში შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც (კონკურენტების განდევნის მიზნით); სინონ. გადასაყარი ექსპორტი.

**ᲓᲔᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐ́ᲪᲘᲐ** და **ᲓᲔᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ́ᲖᲔᲑᲐ** [ფრ. dēnationalisation] – **1**. ეროვნული თავისებურებათა (ენის, კულტურის და მისთ.) დაკარგვა.
**2**. სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზებული (იხ. **ნაციონალიზაცია**) ქონების დაბრუნება უწინდელი პატრონებისათვის.

**ᲓᲔᲜᲐᲪᲘᲤᲘᲙᲐ́ᲪᲘᲐ** [< გერ. denazification გაუქმება, განადგურება] – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართული იყო ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ გერმანიაში ნაციზმის აღმოფხვრის, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის და მის მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციების განადგურების, ყოველგვარი ნაცისტური, მილიტარისტული მოღვაწეობის ან პროპაგანდის აღკვეთისა და გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე გარდაქმნის პირობების მომზადებისაკენ. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებს საერო დაწესებულებებში სამსახურს არ აძლევდნენ.

**ᲓᲔ́ᲜᲓᲘ** [ინგლ. dandy] – ნატიფად, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული მამაკაცი; ფრანტი.

**ᲓᲔᲜᲓᲠᲐᲠᲘ́ᲣᲛ**-ი [< ბერძ. dendron ხე] – სპეციალური ბაღი (დენდროლოგიური ბაღი), ან ბოტანიკური ბაღის კუთხე, სადაც დარგულია სხვადასხვა სახეობის ხეები, ბუჩქები და ლიანები, სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით.

**ᲓᲔᲜᲓᲠᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** [ბერძ. dendron ხე და logos მოძღვრება] – ბოტანიკის ნაწილი, რომელიც ხეებსა და ბუჩქებს სწავლობს.
◎ **დენდროლოგიური.**
⊙ **დ. ბაღი** (პარკი).

**ᲓᲔᲜᲝᲜᲡᲐ́ᲪᲘᲐ** და **ᲓᲔᲜᲝᲜᲡᲘ́ᲠᲔᲑᲐ** [ფრ. dēnonciation] – (დიპლ.). რომელიმე სახელმწიფოს

განცხადება საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

**დენომინაცია** [< ლათ. denominatio (de და ლათ. nominatis) ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულების დაცემა, ფულის გაუფასურება.

**დენტინ**-ი [ლათ. dens (dentis კბილი)] – ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი.

**დეპარტამენტ**-ი [ფრ. dēpartament] – **1**. საფრანგეთში: მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.
⊙ **ზღვისიქითა დ.-ები.**
**2**. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში: სამინისტრო.
**სახ. დეპარტამენტი** – ამერიკის შეერთებულ შტატებში: საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელწოდება.

**დეპეშა** [ფრ. dēpēche] – ტელეგრაფით ან რადიოთი გადაცემული სასწრაფო ცნობა (სინონ. **ტელეგრამა**).
⊙ **დ.-ის გაგზავნა, დ.-ის მიღება, დ.-ით გამოძახება.**

**დეპიგმენტაცია** [< ლათ. იხ. პიგმენტი] – (ბიოლ.) კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა; გამოწვეულია ეპიდერმისის უჯრედებში პიგმენტის გაქრობით (იხ. **პიგმენტაცია**).

**დეპო** [ფრ. dēpôt] – შენობა, სადაც დგანან ლოკომოტივები და მატარებლის (აგრეთვე ტრამვაის, მეტროპოლიტენის და სხვ.) ვაგონები და სადაც მათ უკეთებენ მიმდინარე რემონტს.
⊙ **საელმავლო დ.**
○ **ფარეხი შცდ.**

**დეპოზიტ**-ი [< ლათ. depozitum შესანახად მოცემული რამ] – (ფინანს.) თანხა ან ფასიანი ქაღალდები შეტანილი საკრედიტო დაწესებულებაში (ბანკში, შემნახველ სალაროში და მისთ.). კრედიტორისათვის გადასაცემად (ანდა შესანახად – თუ კრედიტორი უარს ამბობს მიღებაზე).

**დეპონენტ**-ი [< ლათ. deponens (deponentis)] – (ფინანს.) პირი, რომელსაც წარმოებისა ან დაწესებულებისაგან ერგება თანხა და რაიმე მიზეზით არ მიუღია გარკვეულ ვადაში.

**დეპოპულაცია** [ფრ. depopulation] – (სპეც.). მოსახლეობის შემცირება კლება.

**დეპორტაცია** [ლათ. deportatio] და **დეპორტირება** [გერმ. Deportieren] – ადამიანის გაძევება მისი მუდმივი ად-

გილსამყოფელიდან და სხვა ადგილას იძულებით დასახლება.

**დეპრესია** [ლათ. depressio დათრგუნვა, დაჩაგვრა] – **1.** (მედიც.). დათრგუნული, სულიერად დაძაბუნებული ფსიქიკური მდგომარეობა.

**2.** (ეკონ.) ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების შეფერხება, მოდუნება, დაქვეითება.

**დეპუტატ**-ი [ლათ. deputatus] – **1.** არჩევითი სახელმწიფო დაწესებულების წევრი; არჩეული წარმომადგენელი.

⊙ **პარლამენტის დ.**

**2.** არჩეული პირი, რომელმაც რაიმე დავალება უნდა შეასრულოს.

**დეპუტაცია** [ფრ. dēputation] – დეპუტატთა (მნიშვ. 2), დანიშნულ ან არჩეულ პირთა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების, კრების დავალებით.

⊙ **დ.-ის გაგზავნა, დ.-ის მიღება, დ.-ის შემადგენლობა.**

**დერბი** [ინგლ. derby საკ. სახ.] – სამ-და ოთხწლიანი ცხენების დოღი.

**დერმატინ**-ი [ბერძ. derma (dermatos) კანი, ტყავი] – ხელოვნური ტყავი, მუშამბის მსგავსი; იყენებენ ავეჯზე გადასაკრავად, წიგნის ყდისათვის და სხვ.

**დერმატო**... [< ბერძ. derma (dermatos) კანი]– რთულ სიტყვებში აჩვენებს ამ სიტყვების დამოკიდებულებას კანთან ან კანის დაავადებებთან.

**დერმატოლოგია** [ბერძ. derma კანი და logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც კანის დაავადებებს შეისწავლის.

**დერმატოლოგ**-ი კანის დაავადებების ექიმი, დერმატოლოგიის სპეციალისტი.

◎ **დერმატოლოგიური.**

⊙ **დ. კლინიკა.**

**დესანტ**-ი [ფრ. descente დაშვება, გადასხმა]– **1.** მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ბრძოლის საწარმოებლად (გემით, თვითმფრინავით და სხვ.) გადასხმული სპეციალურად მომზადებული ჯარის ნაწილები.

⊙ **საჰაერო დ, საზღვაო დ.**

**2.** ჯარების გადასხმა მტრის ტერიტორიაზე.

**მედესანტე** – სადესანტო ჯარების სამხედრო მოსამსახურე; დესანტის მონაწილე.

⊙ **მ. პარაშუტისტები.**

◎ **სადესანტო.**

⊙ **ს. ხომალდი, ს. პოლკი, ს. ოპერაცია.**

◎ **მედესანტისა.**
○ **მედესანტესი შცდ.**

**დესერტ**-ი [ფრ. dessert] – ხილი ან ტკბილეული, რომელსაც სადილის შემდეგ შეექცევიან (სინონ. **ჩაროზი**).
◎ **სადესერტო.**
⊙ **ს. ყურძენი.**
**სად. კოვზი** – კოვზი, რომელიც ზომით მეტია ჩაის კოვზზე და პატარაა სუფრისაზე.

**დესპოტ**-ი ბერძ. despotēs] – **1.** ძველ აღმოსავლეთის მონათმფლობელურ მონარქიებში: უმაღლესი მმართველი, რომლის ხელთ იყო განუსაზღვრელი უფლებები.
**2.** (გადატ.). თვითნება ადამიანი, რომელიც სხვებს აიძულებს მის ნებაზე იქცეოდნენ და სხვის სურვილს არაფრად აგდებს. (სინონ. ტირანი, მტარვალი).
◎ **დესპოტური.**
⊙ **დ. ხასიათი, დ. მმართველობა.**

**დესპოტიზმ**-ი – შეუზღუდავი ხელისუფლება; სისასტიკე, თვითნებობა.

**დესტაბილიზაცია** და **დესტაბილიზება** [ლათ. de (იხ. დე- და სტაბილიზაცია)] – სტაბილიზაციის მოშლა: მყარი მდგომარეობის არარსებობა.
⊙ **მდგომარეობის დ., სიტუაციის დ., საზოგადოების დ.**

**დესტრუქცია** [ლათ. destructio] – რაიმე ნორმალური სტრუქტურის მოშლა, დარღვევა.
**დესტრუქციული** – რაც ხელს უშლის შემდგომ მუშაობას, რაიმე შეთანხმების მიღწევას (საპირისპ. **კონსტრუქციული**).
⊙ **დ. წინადადება, დ. პოზიცია, დ. ძალები.**

**დეტალ**-ი [ფრ. dētail] – **1.** მექანიზმის, მანქანის, ხელსაწყოს ნაწილი.
⊙ **ავტომობილის დ.-ები.**
**2.** მთელის ნაწილი; წვრილმანი რამ.
⊙ **მხატვრული დ; მომხსენებელს დ.-ებზე ყურადღება არ გაუმახვილებია.**

**დეტალურ**-ი – დაწვრილებითი.
⊙ **დ. აღწერილობა, დ. გარჩევა, დ. ანალიზი.**

**დეტექტივ**-ი [ინგლ. detective < ლათ. detectio გახსნა] – **1.** ინგლისში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში: სამძებრო პოლიციის აგენტი (ქართ, სინონ. **მაძებარი**).
**2.** დეტექტიური ნაწარმოები (რომანი, მოთხრობა, კინოფილმი).

**დეტექტიურ**-ი – ასეთი ნაწარმოები, რომელიც შეიცავს

საიდუმლოებით მოცულ დანაშაულის გახსნას, გამოხატავს მაძებართა თავზე გადამხდარ ფათერაკებს.

⊙ **დ. რომანი, დ. ფილმი, არტურ კონან დოილის დ. მოთხრობები.**

○ **დეტექტივი, დეტექტიური შცდ.**

**ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠ**-ი [ინგლ. detector < ლათ. detector გამხსნელი, აღმომჩენი] – **1**. რადიომიმღებში: მოწყობილობა მაღალი სიხშირის რხევების დაბალი სიხშირის (სმენით აღსაქმელი) რხევებად გარდაქმნისათვის.

**2**. მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ რისამე (მაგ., სინათლის, სითბოს, ბირთვულ გამოსხივების) გამოსავლენად.

**ᲡᲘᲪᲠ. ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ** – სპეციალური მოწყობილობა, იმ პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესამოწმებლად,რომლის დაკითხვაც წარმოებს.

**ᲓᲔᲢᲝᲜᲐᲢᲝᲠ**-ი – **1**. ფეთქებადი ნივთიერება,რომელიც თავისი აფეთქებით იწვევს სხვა ფეთქებადი ნივთიერების დეტონაციას.

**2**. ფისტონი, ამნთები, რომელსაც იყენებენ რისამე ასაფეთქებლად.

**ᲓᲔᲢᲝᲜᲐᲪᲘᲐ** [< ლათ. detuo ვგრგვინავ] – ფეთქებადი ნივთიერების მეყსეული აალება, რაც გამოწვეულია სხვა ნივთიერების აფეთქებით ან შერყევით, დარტყმით.

**ᲓᲔ-ᲤᲐᲥᲢᲝ** [ლათ. de facto] – ფაქტობრივად, სინამდვილეში. (საპირისპ. **დე-იურე**).

**ᲓᲔᲤᲔᲥᲢ**-ი [გერმ. Dēfect ლათ. defectus] – ნაკლი,ნაკლოვანება, ზადი, ხარვეზი.

⊙ **პროექტის დ., წვრილმანი დ.-ები, დ.-ების აღმოფხვრა.**

◎ **დეფექტიანი.**

⊙ **დ. ავტომობილი, წიგნის დ. ეგზემპლარი.**

⊙ **დ. მეტყველება.**

○ **დეფექტიური შცდ.**

**ᲓᲔᲤᲘᲜᲘᲪᲘᲐ** [ლათ. definition] – ცნების ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით.

**ᲓᲔᲤᲘᲡ**-ი [რუს. Deфuc < ლათ. devisio გაყოფა] – პატარა,მოკლე ხაზი (-), რომელიც იხმარება სიტყვების შესაერთებლად, სიტყვის შემადგენელი ნაწილების გამოსაყოფად,აგრეთვე სიტყვის გადასატანად შემდეგ სტრიქონზე.

⊙ **დედ-მამა, სახლ-კარი.**

**ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢ**-ი [< ლათ. deficit აკლია] – **1**. გასავლის მეტობა შემოსავალზე; ზარალი, დანაკლისი.

⊙ **ბიუჯეტის დ.**

**2.** რაიმე საქონლის ნაკლებობა ბაზარზე (როდესაც მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდების).

⊙ **სათადარიგო ნაწილების დ.**

◎ **დეფიციტური.**

⊙ **დ. საქონელი, დ. ნედლეული.**

**ᲓᲔᲤᲚᲝᲠᲐ́ᲪᲘᲐ** [ინგლ. deflower < ლათ. dēflōrātio] – **1.** ყვავილების მოწყვეტა, გაფუჭება, დამახინჯება.

**2.** ქალწულობის, უმანკოების უბიწობის, დაკარგვა.

**ᲓᲔᲤᲝᲠᲛᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. deformatio] – და **ᲓᲔᲤᲝᲠᲛᲘ́ᲠᲔᲑᲐ** [გერმ. deformieren] – რისამე ფორმის შეცვლა.

⊙ **სხეულის დ., ხერხემლის დ.**

**ᲓᲔᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲐ́ᲪᲘᲐ** [ფრ. decentralisation] – და **ᲓᲔᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘ́ᲖᲔᲑᲐ** [გერმ. dezentralizieren] – **1.** თვითმმართველობის სისტემა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების ზოგი ფუნქცია გადაეცემა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

**2.** ცენტრალიზაციის გაუქმება ან შესუსტება.

⊙ **მმართველობის დ.**

**ᲓᲔᲪᲘᲛᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. decimus მეათე] – (ისტ.). ყოველი მეათე დამნაშავის სიკვდილით დასჯა წილისყრით; ყოველი მეათე ადამიანის დასჯა დამნაშავის მოუნახაობის შემთხვევაში.

**ᲓᲘ...** [ბერძ. di] – თავსართი მნიშვნელობით „ორმაგი“.

⊙ **დიფთონგი.**

**ᲓᲘᲐ́ᲑᲔᲢ**-ი [ლათ. diabētēa] – იმ სნეულებათა საერთო სახელწოდება, რომელთა დამახასიათებელია შარდის ჭარბად გამოყოფა.

**შ. დიაბეტი** – ავადმყოფობა, რომლის დროსაც შარდში გამოიყოფა შაქარი და სისხლში შაქრის რაოდენობა (შემცველობა) მატულობს; შაქრის ავადმყოფობა.

**უ. დიაბეტი** – ავადმყოფობა, რომლის დამახასიათებელია გაძლიერებული წყურვილი და უშაქრო შარდის ჭარბად გამოყოფა.

**ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖ**-ი [< ბერძ. diagnōsis გამოცნობა, განსაზღვრა] – ავადმყოფობის გამოცნობა, დადგენა ავადმყოფის ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად.

⊙ **სწორი დ., მცდარი დ., დ.-ის დასმა.**

**ᲓᲘᲐᲒᲜᲝ́ᲡᲢᲘᲙᲐ** [< ბერძ. diagnōstikos გამომცნობი] – **1.** მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს დაავადების ნიშნებს და დიაგნოზის დასმის მეთოდებს.

**2**. დიაგნოზის დასმა.
⊙ **დაავადების ადრეული დ.**

**დიაგონალ**-ი [ლათ. diagonalis < ბერძ. diagōnios კუთხიდან კუთხისკენ მავალი] – სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელიც აერთებს მრავალკუთხედის ორ არამომიჯნავე კუთხის წვეროებს.
◎ **დიაგონალური.**
⊙ **დ. მიმართულება.**

**დიაგრამა** [< ბერძ. diagramma ნახაზი] – **1**. ნახაზი, რომელიც თვალსაჩინოდ გამოხატავს რაიმე სიდიდეების შეფარდებას.
⊙ **პროდუქციის ზრდის დ.**
**2**. ჭადრაკის დაფაზე ფიგურების განლაგების გრაფიკული გამოსახულება.

**დიადემა** [ბერძ. didēma] – **1**. ძვირფასი თვლებით გაწყობილი თავსახვევი ან გვირგვინი – უზენაესი ქურუმების (მეფეების) ხელისუფლების ნიშანი.
**2**. ქალის ძვირფასი სამკაული – ღია (საშუბლე) გვირგვინი.
◎ **დიადემისა.**
○ **დიადემასი შცდ.**

**დიაკრიტიკულ**-ი [ბერძ. diakritikos განმასხვავებელი] – დიაკრიტიკული ნიშანი – (ენათმ.). დამატებითი ნიშანი ასოს თავზე ან მის ქვეშ; მიუთითებს, რომ უნდა წარმოითქვას სხვა ბგერა და არა ის, რომელიც ამ ასოთი უნიშნოდ გადმოიცემა.
მაგ.: **რუს ë, ფრ. ç, ჩეხ. š.**
○ **დიაკრიტიული შცდ.**

**დიალექტ**-ი [ბერძ. dialeqtos] – (ენათმ.). საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში (ქართ. სინონ. კილო, კილოკავი).
⊙ **გურული დ., ფშაური დ.**
◎ **დიალექტური.**
⊙ **დ. ლექსიკონი, დ. მეტყველება.**
⊙ **დიალექტიკური** სხვაა (იხ. **დიალექტიკა**).

**დიალექტიზმ**-ი – დიალექტის დამახასიათებელი (კუთხური) სიტყვა ან გამოთქმა სალიტერატურო ენაში.
⊙ **დ.-ები დავით კლდიაშვილის მოთხრობებში.**

**დიალექტიკა** [ბერძ. dialektikē საუბრის, კამათის მიმართვით] – მეცნიერება – ფილოსოფიური მოძღვრება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების ცვალებადობის, მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; ბუნებისა და საზოგადოების მარად მოძრავ და ცვალებად მოვლენათა შემეცნების მეც-

ნიერული თეორია და მეთოდი. (სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის მეცნიერული თეორია და მეთოდი).

◎ **დიალექტიკური.**

⊙ **დ. მეთოდი, დ. აზროვნება.**

⊙ **დიალექტური** სხვაა (იხ. **დიალექტი**).

○ **დიალექტიური შცდ.**

**ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** – ენათმეცნიერების დარგი,რომელიც დიალექტებს შეისწავლის.

◎ **დიალექტოლოგიური.**

⊙ **დ. ექსპედიცია, დ. ატლასი.**

**ᲓᲘᲐ́ᲚᲝᲒ**-ი [ბერძ. dialogos] – **1.** საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის (შდრ. მონოლოგი).

**2.** ლიტერატურული ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელიც დაწერილია საუბრის ფორმით.

**ᲓᲘᲐ́ᲛᲔᲢᲠ**-ი [< ბერძ. diametros განაკვეთი] – **1.** სწორი ხაზის მონაკვეთი,რომელიც აერთებს წრეხაზის ორ წერტილს და გადის მის ცენტრზე.

**2.** რაიმე მრგვალი სხეულის, სათავსის, სივრცის განაკვეთი.

⊙ **5 სმ დ.-ის დეტალი, ცირკის არენის დ. 15 მ-ია.**

**დიამეტრული** – **1.** დიამეტრის (განაკვეთის) ხაზის გაყოლებით რისამე შუაზე გამყოფი.

⊙ **დ. სიბრტყე.**

**2.** გადატ. (წიგნ.). სრული, უკიდურესი (წინააღმდეგობა, დაპირისპირებულობა და სხვ.).

○ **დიამეტრალური, დიამეტრიული შცდ.**

**ᲓᲘ́ᲐᲜᲐ** [ლათ. Diana] – რომაულ მითოლოგიაში: ნადირობის მფარველი ქალღმერთი.

**ᲓᲘᲐᲞᲐ́ᲖᲝᲜ**-ი [< ბერძ. diapasōn „ყველა სიმისა“] – **1.** (მუს.) სხვადასხვა სიმაღლის ყველა ბგერის ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავის ან მომღერლის ხმისათვის.

⊙ **დიდი დ.-ის ხმა.**

**2.** გადატ. (წიგნ.) ზომა, მოცულობა (ცოდნის, მოქმედებისა, ინტერესებისა და სხვ.).

⊙ **ფართო დ.-ის მოღვაწე.**

**ᲓᲘᲐᲞᲝᲖᲘ́ᲢᲘᲕ**-ი [ბერძ. dia გამჭოლი და ლათ. pozitivus დადებითი] – ფოტოგრაფიული სურათი მინაზე ან სხვა გამჭვირვალე მასალაზე; იყენებენ სადემონსტრაციოდ საპროექციო (იხ. **პროექცია**)მოწყობილობის საშუალებით.

⊙ **შავ-თეთრი დ., ფერადი დ.**

◎ **დიაპოზიტიური.**

⊙ **დ. ფირფიტა.**

○ **დიაპოზიტივური შცდ.**

**ᲓᲘᲐ́ᲡᲞᲝᲠᲐ** [< ბერძ. diaspora გაბნევა] – ხალხის (ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნა-

წილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
⊙ **ქართული დ. ამერიკაში.**

**დიასტოლა** [< ბერძ. diastolē გაგანიერება, გაჭიმვა] – (ანატ.) გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – მოშვება-მოდუნება, რომელიც მოსდევს მის შეკუმშვას (სისტოლას).

**დიაფრაგმა** [< ბერძ. diaphragma ტიხარი] – **1.** (ანატ.) კუნთ-მყესოვანი (კუნთოვანი) ძგიდე, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს გულმკერდისა და მუცლის ღრუებს (ქართ. სინონ. **შუასაძგიდი**).
**2.** ოპტიკურ ხელსაწყოებში: ობიექტივის ნაწილი – ნახვრეტიანი გაუმჭვირი ფირფიტა, რომელიც ზღუდავს ოპტიკურ სისტემაში გავლილ სხივთა კონას.
⊙ **ფოტოაპარატის დ.**

**დიაქრონია** [ბერძ. dia გავლით, გამჭოლი და chronos დრო] – (ლინგვ.). ენობრივ მოვლენათა განვითარების ისტორიული თანმიმდევრობა.

**დიდაქტიზმ**-ი [< ბერძ. didaktikos სამოძღვრო] – დამრიგებლობა, დამოძღვრა ლიტერატურულ ნაწარმოებში, თხზულებაში; დამოძღვრის მიდრეკილება; ჭკუის დამრიგებლობა,

**დიდაქტიკა** [< ბერძ. didaktikos სამოძღვრო] – **1.** პედაგოგიკის ნაწილი – მოძღვრება სწავლების შინაარსის, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ; სკოლაში სწავლების თეორია;
**2.** იგივეა, რაც დიდაქტივიზმი
◎ **დიდაქტიკური.**
⊙ **დ. პრინციპები.**
○ **დიდაქტიური შცდ.**

**დიელექტრიკ**-ი [ინგლ. dielectric] – (ფიზ.). ნივთიერება,რომელიც არ ატარებს ელექტრო დენს. (იხ. აგრეთვე **იზოლატორი**).
◎ **დიელექტრიკული.**
⊙ **დ. ანტენა, დ. გამაძლიერებელი, დ. შეღწევადობა.**
○ **დიელექტრული, დიელექტრიული შცდ.**

**დიეტა** [ბერძ. diaita ცხოვრების წესი] – კვების გარკვეული რეჟიმი.
⊙ **მკაცრი დ., დ.-ის დაცვა.**
◎ **დიეტური.**
⊙ **დ. საჭმელი, დ. სასადილო**
○ **დიეტიური შცდ.**

**დივერსანტ**-ი – დივერსიის ჩამდენი პირი.

**დივერსია** [< ლათ. diversio გადახრა, განრიდება] – **1.** სამხედრო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების დანგრევა, მოშლა მოწინააღმდეგის ზურგში;

ასეთი აქტების ჩადენა რომელიმე ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს აგენტების მიერ.
**2**. მცირე მაშტაბის სამხედრო ოპერაცია, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანა დარტყმის მთავარი მიმართულებიდან და სხვა მხარეს.
◎ **დივერსიული**.
⊙ **დ. აქტი, დ. ჯგუფი, დ. მოქმედება**.

**ᲓᲘᲕᲔᲠᲢᲘ́ᲡᲛᲔᲜᲢ**-ი [ფრ. divertissement გამხიარულება] – თეატრალური წარმოდგენა, რომელიც შედგება სხვადასხვა ნომრისაგან და იმართება ძირითადი წარმოდგენის შემდეგ.

**ᲓᲘᲕᲘ́ᲓᲔᲜᲓ**-ი [ლათ. dividendum გასაყოფი] – მოგების ნაწილი, რომელსაც იღებენ აქციონერები მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის პროპორციულად.

**ᲓᲘᲕᲘ́ᲖᲘᲐ** [ფრ. divizion] – მსხვილი საჯარისო შენაერთი, რომელიც შედგება რამდენიმე პოლკისა ან ბრიგადისაგან.
⊙ **მსროლელთა დ., სატანკო დ.**

**ᲓᲘᲕᲘᲖᲘ́ᲝᲜ**-ი [ფრ. division] – სამხედრო ქვეგანაყოფი სარაკეტო, საარტილერიო და ჯავშანსატანკო ნაწილებში (ძველად – კავალერიაშიც).

**ᲓᲘᲖᲐ́ᲘᲜ**-ი [ინგლ. design პროექტის შედგენა] – მხატვრული პროექტირება პროდუქციისა (საგნებისა), რომელსაც მრეწველობა უშვებს; მხატვრული კონსტრუირება.
◎ **დიზაინური** და **სადიზაინო**.
⊙ **დ. (ს.) მხატვრობა, ს. სამუშაოები**.

**ᲓᲘᲖᲐ́ᲘᲜᲔᲠ**-ი [ინგლ. designer] – მხატვარ-კონსტრუქტორი, ტექნიკური ესთეტიკის სპეციალისტი, რომელიც აპროექტებს თანამედროვე, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო ანსამბლებს, ინტერიერებს, ავეჯს, ყოველდღიურად სახმარ ნივთებს და ა.შ.
◎ **დიზაინერული** და **სადიზაინერო**.
⊙ **დ. (ს.) ლაბორატორია, დ. (ს.) ფირმა**.

**ᲓᲘᲖᲐ́ᲟᲘᲝ** [იტალ. disaggo] – (ფინანს.) ქაღალდის ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა (საპირისპ. **აჟიო**).

**ᲓᲘ́ᲖᲔᲚ**-ი [გერმ. Diesel < საკუთ. სახ. გერმანელი მეცნიერისა და ინჟინრის Alfred Diesel-იდან] – შიგაწვის ძრავა, რომელიც მძიმე თხევადი (დიზელის

საწვავი) საწვავით მუშაობს.

◎ **დიზელიანი.**

⊙ **დ. ავტომობილი.**

**ᲓᲘᲖᲔᲜᲢᲔᲠᲘᲐ** [ბერძ. dysenteria] – ნაწლავების მწვავე ინფექციური (გადამდები) დაავადება.

⊙ **დეზინტერია, დიზინტერია შცდ.**

**ᲓᲘᲗᲘᲠᲐᲛᲑ**-ი [ბერძ. dithyrambos] – **1.** ძველ საბერძნეთში: ჰიმნი, საზეიმო, საგუნდო სიმღერა ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს პატივსაცემად: მოგვიანებით: სახოტბო ლირიკული ლექსი.

**2.** გადაჭარბებული შექება, დიდება, ხოტბა.

**Დ. ᲣᲛᲦᲔᲠᲘᲡ** (უგალობს) – ზედმეტად აქებს.

○ **დიფირამბი შცდ.**

**ᲓᲘᲚᲔᲛᲐ** [ბერძ. dilēma < di ორი და lemma გზავნელი, წარმოდგენა] – **1.** (წიგნ.). (ლოგ.). მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია.

**2.** ისეთი ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა.

◎ **დილემისა.**

○ **დილემასი შცდ.**

**ᲓᲘᲚᲔᲠ**-ი [ინგლ. dealer < deal ვაჭრობა, ბიზნესის კეთება] – **1.** ფირმა ან პირი, რომელიც საქონლის ყიდვა-გაყიდვით არის დასაქმებული.

**2.** საფონდო ბიუროს წევრი, რომელიც ფასიან ქაღალდებს ყიდის.

**ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢ**-ი [ფრ. diletante < ლათ. delectare] – პირი, რომელიც მისდევს მეცნიერების ან ხელოვნების რომელიმე დარგს ისე, რომ არა აქვს საფუძვლიანი მომზადება; ზერელე მცოდნე, მოყვარული.

◎ **დილეტანტური.**

⊙ **დ. მსჯელობა.**

**ᲓᲘᲚᲝᲒᲘᲐ** [ბერძ. di (s) ორჯერ და logos სიტყვა] – **1.** ორგვარი მნიშვნელობა; ორაზროვნება.

**2.** ძველ ბერძნულ თეატრში: ორმოქმედებიანი დრამა.

**3.** ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული ორი რომანი ან ორი დრამატული ნაწარმოები.

**ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲖᲛ**-ი [ბერძ. dynamis ძალა] – იგივეა, რაც დინამიკა (მნიშვ. 2).

**ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ** [< ბერძ. dynamikos მოქმედი, ძლიერი] – **1.** მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს სხეულთა მოძრაობის კანონებს მათზე მოქმედ ძალებთან დაკავშირებით.

**2**. რისამე მოძრაობა, ცვალებადობა, განვითარება (საპირისპ. სტატიკა).

**3**. გადატ. (წიგნ.). მოძრაობის სიჭარბე.

◎ **დინამიკური.**

⊙ **დ. პიესა, დ. სიუჟეტი., მოვლენების დ.**

○ **დინამიური შცდ.**

**ᲓᲘᲜᲐ́ᲛᲘᲢ**-ი [< ბერძ. dynamis ძალა] – ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება,რომლის მთავარი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ნიტროგლიცერინი; იყენებენ სამხედრო და სამთო-საინჟინრო საქმეებში; გამოიგონა შვედმა ინჟინერმა და მეცნიერმა ალფრედ ნობელმა (1833-1895 წწ.).

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**... [ბერძ. dynamis ძალა] – რთული სიტყვების დასაწყისში აღნიშნავს ამ სიტყვების დამოკიდებულებას ძალასთან, ენერგიასთან.

⊙ **დინამომეტრია.**

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ́ᲛᲔᲢᲠ**-ი [ბერძ. dynamis ძალა და metrēo ვზომავ] – მექანიკური ძალის საზომი ხელსაწყო (ქართ. სინონ. **ძალის საზომი**).

**ᲓᲘᲜᲐ́ᲡᲢᲘᲐ** [ბერძ. dynasteia] – ერთი და იმავე გვარის მონარქები (მეფეები), რომლებიც თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს ტახტზე ნათესაობის და მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე.

⊙ **ბაგრატიონების დ. საქართველოში, ბურბონების დ. საფრანგეთში.**

◎ **დინასტიური** და **სადინასტიო.**

⊙ **დ. (ს.) ინტერესები.**

**ᲓᲘ́ᲜᲒᲝ** [ინგლ. dingo < ავსტრალ.] – ველური ძაღლი; გავრცელებულია ავსტრალიაში.

**ᲓᲘᲜᲝ́ᲖᲐᲕᲠ**-ი [ბერძ. deinos საშინელი და saura ხვლიკი] – გადაშენებული უზარმაზარი ქვეწარმავალი.

**ᲓᲘᲝ́ᲜᲘᲡᲔ** [ბერძ. Dionysos] – ბერძნულ მითოლოგიაში: ღვინისა და დროსტარების ღმერთი; ზევსისა და სემელეს შვილი (რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება **ბახუსი**).

**ᲓᲘᲝ́ᲠᲐᲛᲐ** [ბერძ. dia გამჭოლი და horoma ხედი, სანახაობა] –

**1**. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მკრთალ მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი, რომელიც საგანგებო განათების შედეგად გვეჩვენება მოცულობის მქონედ.

**2**. ნახატი, რომლის წინა პლანზე მოთავსებულია მოცულობის მქონე საგნები.

◎ **დიორამისა.**

○ **დიორამასი შცდ.**

**ᲓᲘᲝᲤᲘᲖᲘ́ᲢᲔᲑ**-ი [ბერძ. dyo ორი

და phisis ბუნება] – (ისტ.). ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები,რომლებიც აღიარებენ იესო ქრისტეს ორ ბუნებას – ადამიანურსა და ღვთიურს (საპირისპ. **მონოფიზიტები**).

**ᲓᲘᲞᲙᲣᲠᲘᲔᲠ**-ი – დიპლომატიური კურიერი (იხ. **დიპლომატიური**).

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛ**-ი [ფრ. diplôme < ბერძ. diplōma „ორად დაკეცილი (გაკეცილი) ფურცელი“] – **1**. მოწმობა სასწავლებლის დამთავრების, რაიმე წოდებულების ან სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნების შესახებ.

⊙ **უნივერსიტეტის დ., მეცნიერებათა დოქტორის დ.**

◎ **სადიპლომო.**

⊙ **ს. ნაშრომი, ს. პროექტი.**

**2**. მოწმობა, სიგელი, რომელიც ეძლევათ რაიმე კონკურსზე, ფესტივალზე წარმატებით გამოსვლისათვის, გამოფენილი ექსპონატების მაღალი ხარისხისათვის.

⊙ **ხარისხის დ.**

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲜᲢ**-ი – **1**. სტუდენტი, რომელიც სადიპლომო ნაშრომს ამზადებს.

**2**. პირი, რომელიც დიპლომით (მნიშვ.1) არის დაჯილდოებული.

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢ**-ი [ფრ. diplomete < ბერძ. diploma ფურცელი, დოკუმენტი (ორად გაკეცილი)] – **1**. თანამდებობის პირი, რომელიც დიპლომატიურ საქმიანობას ეწევა და მუშაობს უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის სფეროში.

**2**. (საუბ., გადატ..). ადამიანი, რომელიც მოხერხებულად იქცევა, მოქმედებს სხვებთან ურთიერთობაში.

◎ **დიპლომატური** და **სადიპლომატო.**

⊙ **დ. (ს.) ნიჭი.**

⊙ **დიპლომატიური, სადიპლომატიო** სხვაა (იხ. **დიპლომატია**).

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ** [ფრ. diplomatie] – **1**. მთავრობის ოფიციალური საქმიანობა სახელმწიფოს საგარეო, საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად.

**2**. იტყვიან მოხერხებული საქციელის, მოქმედების შესახებ სხვებთან ურთიერთობაში.

◎ **დიპლომატიური** და **სადიპლომატიო.**

⊙ **დ. (ს.) ურთიერთობის დამყარება, დ. (ს.) ფოსტა.**

**ᲓᲘᲞ. ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ** – ამა თუ იმ ქვეყანაში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენლები ერთობლივად.

**დიპლომატიური კურიერი** – თანამდებობის პირი,რომელსაც ამა თუ იმ უცხო ქვეყანაში მიაქვს დიპლომატიური ფოსტა.

**დიპლომატიური პროტოკოლი** – (იხ. **პროტოკოლი**).

⊙ **დიპლომატური** სხვაა (იხ. **დიპლომატი**).

**დიპლომატიკა** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ისტორიულ საბუთებს (ქართ. სინონ. სიგელთმცოდნეობა).

**დირექტივა** [ფრ. directive < ლათ. directio პირდაპირი მიმართულება] – ზემდგომ (უმაღლესი) ორგანოს სახელმძღვანელო მითითება,რომლის შესრულება აუცილებელია.

**დირექტორ**-ი [ლათ. director < dirigere გასწორება, წარმართვა] – საწარმოს, დაწესებულების ან სასწავლებლის ხელმძღვანელი.

⊙ **ავტოსატრანსპორტო საწარმოს დ., თეატრის დ., სკოლის დ.**

**დირექცია** [ლათ. directio მიმართულება] – საწარმოს, დაწესებულების ან სასწავლებლის ხელმძღვანელი ორგანო დირექტორის მეთაურობით.

**დირიჟაბლ**-ი [ფრ. dirigeable] – ჰაერზე უფრო მსუბუქი, საავიაციო ძრავის მქონე საჰაერო ხომალდი, რომლის კორპუსი აირით არის სავსე: მართული აეროსტატი.

**დირიჟორ**-ი [რუს. Дирижёр < ფრ. diriger მართვა] – მუსიკოსი, რომელიც ხელმძღვანელობს ორკესტრს, გუნდს, საოპერო ან საბალეტო სპექტაკლის.

◎ **სადირიჟორო ფაკულტეტი.**

⊙ **ს. პულტი, ს. (კონსერვატორიაში).**

**დის**... (ხმოვნების წინ **დიზ**...) [ლათ. dis < ბერძ. dys] – თავსართი მნიშვნელობით „გაყოფა, დაყოფა, გამოყოფა, უარყოფა".

⊙ **დისბალანსი, დისჰარმონია.**

**დისბალანს**-ი ფრ. disbalance] – (წიგნ.) ბალანსის, წონასწორობის დარღვევა.

**დისერტანტ**-ი [< ლათ. dissertans (dissertantis) მკვლევარი] – პირი, რომელიც დისერტაციას იცავს.

**დისერტაცია** [გერმ. Dissertation < ლათ. dissertatio კვლევა; მსჯელობა] – მეცნიერული ნაშრომი, რომელსაც საჯაროდ იცავს ავტორი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კანდიდატის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

⊙ **სადოქტორო დ., დ.-ის დაცვა.**

◎ **სადისერტაციო.**
⊙ **ს. თემა, ს. ნაშრომი.**

**დისიდენტ**-ი [< ლათ. dissidens (sissidentis) ვინც თანახმა არ არის] – **1**. პირი, რომელიც არ აღიარებს ქვეყანაში არსებულ სარწმუნოებას: რჯულგანდგომილი.
**2**. პირი, რომელიც არ იზიარებს ქვეყანაში გაბატონებულ იდეოლოგიას და იბრძვის მის წინააღმდეგ; სხვაგვარად მოაზროვნე.
◎ **დისიდენტური.**
⊙ **დ. მოძრაობა, დ. ლიტერატურა.**

**დისიმილაცია** [ლათ. dissimilis არა მსგავსი] – **1**. (ბიოლ.) რთული ორგანული ნივთიერების დაშლა ორგანიზმის ცხოველმოქმედების პროცესში.
**2**. (ლინგვ.). სიტყვაში ორი ერთგვარი ბგერიდან ერთერთის ცვლა: განმსგავსება (შდრ. **ასიმილაცია**).

**დისკ**-ი [ფრ. disque < ბერძ. diskos] – (საუბ.). გრამაფონის ფირფიტა (იხ. აგრეთვე **დისკო**).

**დისკ ჟოკეი** – იხ. დიჯეი.

**დისკანტ**-ი [ლათ. discantus] – **1**. ბავშვის (ბიჭის) მაღალი სასიმღერო ხმა. **2**. ასეთი ხმის მქონე მომღერალი ბიჭი.

**დისკეტ**-ი [ინგლ. diskette, ფრ. disquette] – მაგნიტური (ლაზერული) დისკი ინფორმაციით კომპიუტერზე დასამუშავებლად.

**დისკვალიფიკაცია** – [იხ. ლათ. dis, qualificatio კვალიფიკაცია, თვისებრიობა და facio ვაკეთებ] და **დისკვალიფიცირება** – **1**. კვალიფიკაციის ჩამორთმევა: კვალიფიკაციის დაკარგვა.
**2**. სპორტსმენისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობის ჩამორთმევა.

**დისკო** [ბერძ. diskos] – მზის, მთვარის მოხაზულობა, სიმრგვალე: (ქართ. სინონ. **ბაკმი**).

**დისკოთეკა** [ინგლ. discotheque, ფრ. discothéque < ბერძ. diskos მრგვალი ფირფიტა და thēkē საცავი] – **1**. გრამოფონის ფირფიტების საცავი.
**2**. ახალგაზრდული კლუბი, კაფე და მისთ., სადაც უკრავენ ფირფიტებს და ცეკვავენ.
◎ **დისკოთეკისა.**
○ **დისკოთეკასი, დისკოტეკა შცდ.**

**დისკომფორტ**-ი [ბერძ. dys-, ლათ. dis- (თავსართი; სიტყვას აძლევს უარყოფით ან საწინააღმდეგო აზრს) და ინგლ. comfort კომფორტი] – (წიგნ.). ცუდი პირობები

ცხოვრებისა, მუშაობისა, დასვენებისა.

**დისკრედიტაცია** [< ფრ. discrēditer სახელის გატეხა] – და **დისკრედიტირება** [გერმ. discreditieren] – (წიგნ.).ვისიმე ან რისიმე ღირსების, ავტორიტეტის, პრესტიჟის შებღალვა; სახელის გატეხა, ნდობის დაკარგვა.

⊙ **ოპონენტის დ.**

**დისკრიმინაცია** [< ლათ. discriminatio განსხვავება] და **დისკრიმინირება** – ცალკეული პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის, სახელმწიფოს და ა. შ. უფლების შეზღუდვა, თანასწორუფლებიანობის, წართმევა მოსპობა.

⊙ **რასობრივი დ.**

**დისკუსია** [< ლათ. discussio განხილვა, გარჩევა] – რაიმე სადაო საკითხის საჯარო განხილვა; კამათი, პაექრობა.

◎ **სადისკუსიო.**

⊙ **ს. საკითხი, ს. კლუბი.**

**დისლოკაცია** [ფრ. dislocation გადაადგილება] და **დისლოცირება** – **1**. (სამხ.) ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; ფლოტის, ხომალდების განაწილება ნავსადგურში.

**2**. (გეოლ.) დედამიწის ქერქის შრეების გადაადგილება.

**დისონანს**-ი [ფრ. dissonance < ლათ. dissaans სხვადასხვა ხმანი, სხვადასხვა მჟღერი] – (მუს.). **1**. კეთილხმოვნების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეხამება (საპირისპ. კონსონანსი).

**2**. (გადატ.) ისეთი რამ,რაც არ ეწყობა, არ ეგუება რაიმე ერთიანს, შეხმატკბილებას; შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა.

⊙ **საუბარში დ. შეიტანა ერთმა უადგილო რეპლიკამ.**

**3**. (ლიტ.). ლექსთწყობაში: არასრული, არაზუსტი რითმა.

**დისპანსერ**-ი [ფრ. dispansaire < ლათ. dispancer დარიგება; მოცილება, განთავისუფლება] – სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება,რომლის მიზანია(მკურნალობისგარდა) დაავადებათა წინაალმდეგ წინასწარი ზომების მიღება.

⊙ **ტუბერკულოზის დ.**

**დისპანსერიზაცია** – ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა სისტემა,რომელიც ხორციელდება დისპანსერების და პოლიკლინიკების საშუალებით.

**დისპერსია** [ლათ. dispersio გაფანტული, გაბნეული] – (ფიზ; ქიმ.). – დაშლა, დაყოფა; გაბნევა.

**სინათლის დისპერსია** – თეთრი სინათლის სხივის დაშლა სპექტრის ცალკეულ ფერად სხივებად (პრიზმაში გავლისას).
⊙ **ბგერის დ., გარიდების დ. ნიადაგში.**
◎ **დისპერსიული.**
⊙ **დ. ანალიზი.**

**დისპეტჩერ**-ი [ინგლ. dispatcter] – მუშაკი, რომელიც აწესრიგებს ტრანსპორტის მოძრაობას ან საწარმოს მუშაობის მსვლელობას ერთი ცენტრალური პუნქტიდან.
**სადისპეტჩერო** – 1. დისპეტჩერთან დაკავშირებული.
⊙ **ს. სამსახური.**
2. დისპეტჩერისათვის განკუთვნილი სადგომი ოთახი.
⊙ **ცენტრალური ს.**

**დისპლეი** [ინგლ. display ჩვენება]– მოწყობილობა (კომპიუტერის ნაწილი),რომელიც კინესკოპის ეკრანზე, ელექტროტაბლოზე ინფორმაციას იძლევა ტექსტის, ტაბულის, ნახაზის სახით.

**დისპოზიცია** [ლათ. dispositio განლაგება]– (საამხ.). 1. ჯარის ან ფლოტის საბრძოლველად განლაგება.
2. მე-18-19 სს.: წერილობითი ბრძანება ჯარისადმი ბრძოლის დასაწყებად.

**დისპროპორცია** [ფრ. disproportion < dys და proportio] – პროპორციის უქონლობა, მთელის ცალკეული ნაწილების, ერთმანეთთან შეუფარდებლობა.

**დისპუტ**-ი [< ლათ. disputo ვმსჯელობ, ვკამათობ] – საჯარო კამათი, პაექრობა მეცნიერულ, ლიტერატურულ ან სხვა ხასიათის თემაზე.

**დისტანცია** [ლათ. distantia] – 1. მანძილი, შუალედი რისამე შორის.
⊙ **დ. მოძრავ ავტომობილებს შორის.**
2. (სპ.). მანძილი სტარტსა და ფინიშს შორის.
⊙ **მოკლე დ.-ზე.**
3. (სპეც.). ადმინისტრაციულ-ტერიტორიული უბანი, რკინიგზაზე, გზატკეცილზე და სხვ.
⊙ **დ.-ის უფროსი.**
◎ **დისტანციური** და **სადისტანციო.**
⊙ **თვითმფრინავის დ. (ს.). მართვა, დ. (ს.) ბომბი.**

**დისტილატ**-ი [< ლათ. distillatus წვეთებად ჩამოსული] – დისტილაციის თხევადი პროდუქტი.
⊙ **ნავთობის დ.-ებია ნავთი და ბენზინი.**

**დისტილატორ**-ი – დისტილიზაციისათვის საჭირო აპარატი.

**ᲓᲘᲡᲢᲘᲚᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. distillatio წვეთვა] და **ᲓᲘᲡᲢᲘᲚᲘ́ᲠᲔᲑᲐ** – გამოხდა, გამოხდით გაწმენდა (სითხისა).

⊙ **წყლის დ.**

**ᲓᲘ́ᲡᲢᲘᲥ**-ი [ბერძ. distichon] – (ლიტ.) ორტაეპიანი სტროფი; ორტაეპედი.

**ᲓᲘᲡᲢᲠᲝ́ᲤᲘᲐ** [ბერძ. dys (უარყოფის აღმნიშვნელი თავსართი) და trophē კვება] – (მედიც.). ქსოვილების, ორგანოების ან მთელი ორგანიზმის კვების დარღვევა.

⊙ **ღვიძლის დ., ელენთის დ.**

**ᲓᲘᲡᲪᲘ́ᲞᲚᲘᲜᲐ** [< ლათ. isciplina მოძღვრება] – **1**. მტკიცედ დადგენილი წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამა თუ იმ კოლექტივის ყველა წევრისათვის.

⊙ **მტკიცე დ., სამხატვრო დ., შრომის დ.-ის დაცვა.**

**2**. მეცნიერების დამოუკიდებელი ცოდნის დარგი, სასწავლო საგანი.

⊙ **საბუნებისმეტყველო დ.-ები, მათემატიკური დ.-ები, ფილოლოგიური დ.-ები.**

◎ **დისციპლინური** და **სადისციპლინო** (მნიშვ. 1-ისათვის).

⊙ **დ. (ს.) სასჯელი, დ. (ს.) წესდება (არმიაში).**

◎ **უდისციპლინო** (მნიშვ. 1-ისათვის).

⊙ **უ. მოსწავლე.**

**ᲓᲘᲡᲰᲐᲠᲛᲝ́ᲜᲘᲐ** [ბერძ. dys და harmonia თანაბგერადობა, თანხმობა] – **1**. (მუს.) ჰარმონიის, ბგერათა კეთილხმოვნების დარღვევა.

**2**. რისამე რამესთან შესაბამისობის დარღვევა; შეუთანხმებლობა, უთანხმოება.

◎ **დისჰარმონიული.**

⊙ **დ. მუსიკა,**

○ **დისჰარმონული შცდ.**

**ᲓᲘ́ᲣᲑᲔᲥ**-ი – უმაღლესი ხარისხის მაკედონური თამბაქო.

**ᲓᲘ́ᲣᲜ**-ი [გერმ. Dűne] – ქარისგან მოტანილი ქვიშის ბორცვი (5-20 მ სიმაღლისა) ზღვის, ტბის, მდინარის ნაპირზე.

**ᲓᲘᲤᲐᲛᲐ́ᲪᲘᲐ** [< ლათ. diffamo სახელს ვუტეხ] – (სამართ.) ვისიმე სახელის გამტეხი, შემარცხვენელი ცნობების (ნამდვილისა თუ მოგონილის) გამოქვეყნება პრესაში.

**ᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘ́ᲐᲚ**-ი [ლათ. differentia სხვაობა] – **1**. (მათემ.) დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდის ნებისმიერი ნაზარდი. ავტომობილში, ტრაქტორში და მისთ: მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ორი უკანა (წამყვანი) თვალი სხვადასხვა სიჩქარით ბრუნავს მოსახვევებსა და უსწორმასწორო ადგილებში.

◎ **დიფერენციალური** (მნიშვ. 1-ისათვის): **დიფერენციალური აღრიცხვა** – უმაღლესი მათემატიკის ნაწილი,რომელიც შეისწავლის წარმოებულებისა და დიფერენციალების თვისებას და ხერხს.

**დიფერენციალური გეომეტრია** – გეომეტრიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის გეომეტრიულ ობიექტებს დიფერენციალური აღრიცხვის საშუალებით.

**დიფერენციალური განტოლებანი** – განტოლებანი, რომლებიც შეიცავს საძებარ ფუნქციებს, მათ წარმოებულებსა და დამოუკიდებელ ცვლადებს.

⊙ **დ. განტოლებათა სისტემა.**

**დიფერენციაცია** [< ლათ. differentia განსხვავება] და **დიფერენცირება** – **1.** რაიმე მეთოდის დაყოფა,დანაწევრება მრავალგვარ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ნაწილებად, ელემენტებად.

**2.** (ბიოლ.) ორგანოთა მრავალფეროვნების წარმოქმნა ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში.

**3.** (ლინგვ.) ენის დაშლა, დაყოფა დიალექტებად და შემდეგ, ახალ ენებად.

**დიფერენციული** – არაერთგვარი, განსხვავებული (სხვადასხვა პირობებში).

⊙ **დ. ტარიფი.**

**დიფთერია** [ფრ. diphterie < ბერძ. diphthera კანი] – მწვავე გადამდები დაავადება (უპირატესად ბავშვთა) რომელსაც ახლავს ცხვირის, ხორხის, ტრაქეის ლორწოვანი გარსებისა და ხახის ანთება, ორგანიზმის საერთო მოწამვლა (მოძვ. სინონ. ხუნაგი); სასაუბრო მეტყველებაში იხმარება აგრეთვე დიფტერიტი.

○ **დიფტერია, დიფტერიტი შცდ.**

**დიფთონგ**-ი [ბერძ. diphthongos < di (s) ორჯერ, ორმაგი, phthongos ხმა, ბგერა] – (ენათმ.). ერთმარცვლად შერწყმული ორი ხმოვანი (ქართ. სინონ. ორხმოვანი).

○ **დიფტონგი შცდ.**

**დიფრაქცია** [ლათ. diffractio ტეხა, მტვრევა] – (ფიზ.) სინათლის, ბგერის თუ სხვა ტალღების მიერ გზაზე შეხვედრილი დაბრკოლებათა შემოვლა.

⊙ **სინათლის დ.**

**დიფუზია** [ლათ. diffusio გაბნევა, გავრცელება, გაფართოება] – (ფიზ.). ერთი ნივთიერების ატომების ან მოლეკულების თანდათანობით შეღწევა მეორე ნივთიერების ატომების

(მოლეკულების) შუალედებში მათი თბური მოძრაობის შედეგად.
⊙ **სითხეების დ., აირების დ.**
◎ **დიფუზიური.**
1. დიფუზიის გზით მიღებული; შერეული.
⊙ **დ. სითხე.**
2. გადატ. (წიგნ). არამკაფიო, ბუნდოვანი,
⊙ **დ. ბგერები.**

**ᲓᲘᲥᲡᲘᲚᲔᲜᲓ**-ი – საესტრადო ორკესტრი ერთგვარი; წარმოიშვა [აშშ-ის სამხრეთის შტატების საერთო სახელწოდების – Dixie - land-ის მიხედვით].

**ᲓᲘᲥᲢ**-ი [გერმ. dicte] – იგივეა,რაც ფანერა (მნიშვ. 2).
○ **დიკტი შცდ.**

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢ**-ი [გერმ. dictat < ლათ. dictatus ნაბრძანები] – 1. უსამართლო შეთანხმება, ხელშეკრულება და სხვ., რომელსაც ერთი სახელმწიფო თავს ახვევს მეორეს.
2. პოლიტიკა – უფრო სუსტი ქვეყნებისათვის თავისი პირობების მოთხოვნების თავზე მოხვევა.
○ **დიკტატი შცდ.**

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠ**-ი [ლათ. dictator] – 1. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდავი ძალაუფლებით.
2. (ისტ.) ძველ რომში: განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი თანამდებობის პირი,რომელსაც ნიშნავდა სენატი სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო საფრთხის დროს.
◎ **დიქტატორული.**
⊙ **დ. რეჟიმი.**
○ **დიკტატორი შცდ.**

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐ** [ლათ. dictatura] – 1. გაბატონებული კლასის შეუზღუდავი სახელმწიფო ძალაუფლება.
2. ძველ რომში: დიქტატორის ძალაუფლება; მისი მმართველობის დრო.
⊙ **სამხედრო დ.**
○ **დიკტატურა შცდ.**

**ᲓᲘᲥᲢᲝᲠ**-ი [< ლათ. dictor მოლაპარაკე] – რადიოს ან ტელევიზიის მუშაკი, რომელიც მიკროფონთან კითხულობს ტექსტს.
◎ **სადიქტორო.**
⊙ **ს. ტექსტი.**
○ **დიკტორი შცდ.**

**ᲓᲘᲥᲢᲝᲤᲝᲜ**-ი [ლათ. dicto ვუკარნახებ და ბერძ. phone ბგერა] – აპარატი, რომელთაც ხდება ზეპირი მეტყველების მექანიკური ჩაწერა და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერის კვლავ წარმოება (აღდგენა).
○ **დიკტოფონი შცდ.**

**დიქციᲐ** [< ლათ. dictio წარმოთქმა, გამოთქმა] – მეტყველებაში სიტყვებისა და მარცვლების წარმოთქმის მკაფიოობის ხარისხი; გამოთქმა.
⊙ **კარგი (ცუდი) დ.**

**დიჯეი** [ინგლ. შემოკლ. DJ – disc jockey დისკ ჯოკეი] – **1.** დისკოთეკაზე პირი, რომელსაც მიჰყავს საღამო, ცვლის მელოდიებს,ზოგჯერ ბარმენის როლს ასრულებს.
**2.** ულტრამოკლე ტალღების (FM) დიაპაზონში მუსიკალურ-გასართობი სტერეო-რადიო გადაცემების წამყვანი.

**ᲓᲝ** [იტ. do] – მუსიკალური გამის პირველი ბგერა; ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი.

**დობერმან-პინჩერ**-ი [ინგლ. doberman pincher < საკ. სახ.; დობერმანი] – ერთგვარი ჯიშის ძაღლი (გერმანული მოძაღლე დობერმანის გვარის მიხედვით, რომელმაც გამოიყვანა ეს ჯიში პინჩერისა და გერმანული ნაგაზის შეჯვარებით).

**დოგ**-ი [ინგლ. dog ძაღლი] – დიდი და ღონიერი სასამსახურო ძაღლი ერთგვარი.

**ᲓᲝᲒᲐრესა** [იტ. dogaressa] – (ისტ.) დოჟის მეუღლე

**დოგმა** [ბერძ. dogma] – (წიგნ.) დაუსაბუთებლად, მტკიცების გარეშე, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის.
◎ **დოგმისა.**
○ **დოგმასი შცდ.**

**დოგმატ**-ი [ბერძ. dogma (dogmatos)] – რელიგიურ მოძღვრებაში: ძირითადი დებულება, რომელსაც იღებენ დაუსაბუთებლად, განუსჯელად მტკიცების გარეშე.

**ᲓᲝᲒᲛᲐᲢიზმ**-ი – (წიგნ.) არაკრიტიკული აზროვნება,რომელიც დოგმებს ემყარება.

**ᲓᲝᲒᲛᲐᲢიკოს**-ი [ბერძ. dogmatikos] – **1.** დოგმატური ღვთისმეტყველების სპეციალისტი.
**2.** დოგმებით მოაზროვნე.

**დოზა** [ბერძ. dosis] – **1.** ერთ ჯერზე ან ერთ დღე-ღამეში მისაღები წამლის რაოდენობა
⊙ **მცირე დ.**
**2.** ზუსტი ზომა ნივთიერებისა, რომელიც შედის ნარევის შემადგენლობაში.

**ᲓᲝᲖᲐᲢᲝᲠ**-ი [< ბერძ. იხ. დოზა] – მოწყობილობა ფხვიერი, თხევადი ან აირისებრი ნივთიერების ასარწყავად.

**ᲓᲝᲖიმეტრ**-ი [ბერძ. dosis და metron ზომა] – ხელსაწყო რა-

დიაქტიური გამოსხივების რაოდენობის გასაზომად.

**დოზიმეტრია** [ბერძ. dosis დოზა და metreo ვზომავ] – ტექნიკური ფიზიკის დარგი, რომელიც იკვლევს რადიოაქტიური პრეპარატების გამოსხივებასა და აქტივობას.

**დო́კ**-ი [ჰოლ. dok ინგლ. dook] – ნავსადგურებში: ნაგებობა, სადაც გემებს არემონტებენ (გემის წყალქვეშა ნაწილის წმენდა, შეღებვა და სხვ.).

**დო́კერ**-ი [ინგლ. docker] – ნავსადგურის მუშა-მტვირთავი; მუშა, რომელიც დოკში ან ვერფში მუშაობს.

⊙ **დ.-ების გაფიცვა.**

**დოკუ́მენტ**-ი [ლათ. documentum სამოძღვრო მოწმობა; მაგალითი, მტკიცების ხერხი] – **1.** რისამე დამადასტურებელი მოწმობა (ქართ. სინონ. **საბუთი**).

⊙ **დ.-ების შემოწმება, დ.-ზე ხელის მოწერა**

**2.** წერილობითი ცნობა (სინონ. **საბუთი**).

⊙ **ისტორიული დ.-ები.**

◎ **დოკუმენტური.**

⊙ **დ. მასალები, დ. მონაცემები, დ. სიზუსტე.**

**დოკუმენტური ფილმი** – ფილმი, რომელშიც გადმოცემულია ფაქტები, ნამდვილად მომხდარი ამბები.

○ **დოკუმენტალური შცდ.**

**დოკუმენტა́ცია** – **1.** დოკუმენტებით დასაბუთება რისამე.

**2.** კრებ. დოკუმენტები.

⊙ **ტექნიკური დ., დ.-ის მომზადება.**

**დო́ლარ**-ი [ინგლ. dollar] – ფულის ერთეული აშშ-ში. კანადაში, ავსტრალიასა და ზოგ სხვ. ქვეყანაში.

**დომესტიკა́ცია** [ლათ. domesticus სახლისა, შინაური] – გარეული ცხოველების მოშინაურება.

**დომი́ნანტ**-ი [ლათ. dominans (dominantis) გაბატონებული] – **1.** ძირითადი გაბატონებული იდეა; რისმე ძირითადი ნიშანი.

**2.** (მუს.) მაჟორული ან მინორული გამის მეხუთე საფეხური.

**3.** (ფიზიოლ). ცენტრალურ ნერვულ სისტემაში: დროებითი გაბატონებული რეფლექსი, რომელიც ცვლის ან აფერხებს სხვ. რეფლექსებს.

**დომი́ნატ**-ი [ლათ. dominatus ბატონობა, ერთხელისუფლებიანობა] – რომის იმპერიის გვიანდელ პერიოდში (მე-3 ს.-ის ბოლოდან ახ. წელ-

თაღრ.): იმპერატორის შეუზღუდავი ხელისუფლების რეჟიმი – განსხვავებული პრინციპებისაგან, რომლის დროსაც შენარჩუნებული იყო რესპუბლიკური წესწყობილება.

**დომინიონ**-ი [ინგლ. dominion სამფლობელო,ხელისუფლება] – (ისტ.) ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფო, რომელიც მეთაურად სცნობდა ინგლისის მეფეს (დ.-ები იყო კანადა, ავსტრალიის კავშირი და სხვ.)

**დომინირება** [გერმ. dominieren < ლათ. dominari] – **1**. ბატონობა, ჭარბობა რისამე.

⊙ **რეფორმისტული იდეების დ.**

**2**. ამაღლება გარემოცულ ადგილებზე.

⊙ **ტაძრის დ. გარემოცულ ადგილებზე.**

**დომინო** [ფრ. domino < იტ.] – **1**. კომპლექტი 28 სათამაშო ფირფიტისა, რომელზეც დასმულია – ერთიდან ექვსამდე – წერტილები; ასეთი ფირფიტებით თამაში.

**2**. სამასკარადო კოსტუმი – სახელოებიანი და კაპიშონიანი ფართო წამოსასხამი; ასეთი კოსტუმით მორთული პირი.

**3**. კათოლიკე ბერების კაპიშონიანი წამოსასხამი.

**დომკრატ**-ი [< გერმ. daumkraft, ჰოლანდ. dammekract] – მექანიზმი სიმძიმეთა ასაწევად მცირე სიმაღლეზე.

⊙ **ავტომობილის დ., ხელის დ., ჰიდრავლიკური დ.**

○ **დამკრატი შცდ.**

**დონა**, **დონ** [ესპ. იტ. doña, don < ლათ. dominus ქალბატონი, ბატონი] – **1**. ასე მიმართავენ ესპანეთში ქალს და მამაკაცს; ერთვის სახელს წინ და ნიშნავს „ქალბატონს“, „ბატონს”.

**2**. სასულიერო პირისადმი მიმართვა იტალიაში.

**დონკიხოტ**-ი [< კრებ. ესპ. – სერვანტესის (1547-1616) რომანით „დონკიხოტ ლამანჩელის” გმირის დონკიხოტის სახელის მიხედვით] – გულუბრყვილო, მეოცნებე ადამიანი, რომელიც უნაყოფოდ იბრძვის განუხორციებელი იდეალებისათვის.

◎ **დონკიხოტური.**

⊙ **დ. საქციელი.**

**დონორ**-ი [ფრ. donneur < ლათ. dono ვაჩუქებ] – **1**. პირი, რომელიც თავის სისხლს იძლევა ავადმყოფისთვის გადასასხმელად.

**2**. პირი, რომლის რაიმე ორგანოს (მაგ., თირკმელს,

გულს...) გადაუნერგავენ სხვას; საერთოდ, რამის მომცემი ან გამღები პირი ან ორგანიზაცია.

**ᲓᲝᲜᲟᲣᲐᲜ**-ი [< კრებ. ესპ.] – არშიყობას გადაგებული მამაკაცი; მუსუსი (მრავალი დასავლეთევროპულ ლიტერატურულ ნაწარმოების გმირის **დონ ჟუანის** სახელის მიხედვით).

**ᲓᲝᲞᲘᲜᲒ**-ი [ინგლ. doping < dope ნარკოტიკის მიცემა, მიღება] – ნივთიერება, რომელიც მცირე ხნით აღაგზნებს, სიმხნევეს მატებს სპორტსმენის ორგანიზმს; თავდაპირველად იყენებდნენ საცხენოსნო სპორტში; აკრძალულია საერთაშორისო სახელმწიფო სპორტული ოგანიზაციების მიერ.

⊙ **დ.-ზე კონტროლი, დ.-ის მიღება**.

**ᲓᲝᲟ**-ი [იტ. doge] – შუა საუკუნეებში: ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მეთაურთა ტიტული.

**ᲓᲝᲡᲘᲔ** – [ფრ. dossier] – რაიმე საკითხთან, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, ერთად შეკრებილი; ასეთი დოკუმენტების შემცველელი საქაღალდე.

○ **დ. შედგენა**.

◎ **დოსიესი**.

⊙ **დოსიისა შცდ**.

**ᲓᲝᲢᲐᲪᲘᲐ** [< ლათ. dotatie მომარაგება, აღჭურვა] – სახელმწიფო ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის ზარალის დასაფარავად ან სხვა მიზნებისათვის.

**ᲓᲝᲥᲢᲝᲠ**-ი [ლათ. doctor მასწავლებელი] – უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი (რომლის მინიჭების პირობები სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყანაში)

⊙ **ფილოლოგიურ მეცნიერებათა დ., ტექნიკურ მეცნიერებათა დ.**

◎ **სადოქტორო**.

⊙ **ს. დისერტაცია**.

○ **დოკტორი შცდ**.

**ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐ** [ლათ. doctrina] – მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, სისტემა.

⊙ **სამხედრო დ**.

◎ **დოქტრინისა**.

○ **დოქტრინასი შცდ**.

**ᲓᲝᲪᲔᲜᲢ**-ი[<ლათ.docens(docentis) ასწავლის] – უმაღლესი სკოლის მასწავლებლის სამეცნიერო წოდებულება და თანამდებობა (პროფესორზე ნაკლები და ასისტენტზე მაღალი); ამ წოდებულების მქო-

ნე (ამ თანამდებობაზე მყოფი) პირი.

**დრაკონ**-ი [ბერძ. drakon გველი] – ზღაპრული ცეცხლისმფრქვეველი ფრთოსანი გველი (ქართ. სინონ. **გველეშაპი**).

**დრაკონული კანონები** – უკიდურესად მკაცრი, ულმობელი კანონები [ძველი ბერძენი კანონმდებლის **დრაკონის** (Drakon) სახელის მიხედვით].

**დრამა** [ბერძ. drama მოქმედება, წარმოდგენა] – **1.** ლიტერატურული ნაწარმოები სერიოზული (არაკომედიური) შინაარსის, რომელიც დაწერილია დიალოგებად და განკუთვნილია სცენაზე დასადგმელად.
**2.** გადატ. ცხოვრებაში მომხდარი მძიმე შემთხვევა, უბედურება, რაც ზნეობრივ ტანჯვას იწვევს.
⊙ **ოჯახური დ.**
◎ **დრამატული** (მნიშ. 1-ისათვის).
⊙ **დ. თეატრი, დ. ნაწარმოები** (მნიშ. 2-სათვის).
⊙ **დ. შემთხვევა.**

**დრამატული წრე** – (მოკლედ: დრამწრე) – თეატრალური თვითმოქმედების წრე.
⊙ **სკოლის დ. წრე.**
○ **დრამატიული შცდ.**

**დრამატიზმ**-ი – **1.** მოქმედების, მდგომარეობის დასაბუთება (რაც დამახასიათებელია დრამისათვის).
⊙ **სიუჟეტის დ.**
**2.** გადატ. (წიგნ.) მდგომარეობის უკიდურესი დაძაბულობა; სიმძიმე.

**დრამატურგ**-ი – მწერალი, რომელიც დრამატულ ნაწარმოებებს წერს.

**დრამატურგია** [ბერძ. dramaturgia] – **1.** დრამატულ ნაწარმოებთა შექმნის თეორია.
⊙ **დ.-ის კურსი.**
**2.** კრებ. დრამატულ ნაწარმოებთა ერთობლიობა
⊙ **ქართული დ., შექსპირის დ., იბსენის დ.-ის თავისებურებანი.**
◎ **დრამატურგიული.**
⊙ **დ. თეორია.**

**დრაჟე** [ფრ. dragee] – **1.** ერთგვარი წვრილი კანფეტი მრგვალი ფორმისა.
**2.** შაქარმოყრილი ან შოკოლადიანი სამკურნალო აბები, ტაბლეტები.
◎ **დრაჟესი.**
○ **დრაჟისა შცდ.**

**დრეზინა** [გერმ. draisine < საკუთ. სახ.] – რკინიგზის ურიკა, რომელიც რელსებზე მოძრაობს შიგაწვის ძრავით ან ხელით.
⊙ **დრეზინისა.**

○ **დრეზინასი, დრიზინა შცდ.**

**დრეიფ**-ი [რუს. дрейф < ჰოლანდ. drieren] – **1**. (ზღვ), ცურვა.

**2**. მოძრავი გემის, თვითმფრინავის აცდენა კურსიდან ქარის ან წყლის (ჰაერით) დინების გავლენით.

**ყინულის დრეიფი** – ზღვაში: **1**. ყინულის ჰორიზონტალური მოძრაობა ქარის ან დინების გავლენით.

**2**. (ზღვ.). კუთხე გემის სვლის მიმართულებისა და მის ღერძს შორის.

**მოდრეიფე** – დრეიფით მოძრავი (მნიშ. 1).

⊙ **მ. ყინულები, მ. სადგური „ჩრდილოეთი პოლუსი".**

◎ **მოდრეიფისა.**

○ **მოდრეიფესი შცდ.**

**დრელ**-ი [გერმ. Drell] – ბურღის საბრუნებელი მექანიზმი (პატარა ნახვრეტების გასაკეთებლად); (ქართ. სინონ. **სახვრეტელა**).

⊙ **ხელს დ., ელექტრული დ., პრევმატიკური დ.**

**დრენაჟ**-ი [ფრ. drainage < ინგლ.] – **1**. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა (ამოწრეტა) თხრილების, არხების ან მიწისქვეშა მილების სისტემის საშუალებანი; ასეთი თხრილების, არხების, მილების სისტემა.

**2**. (მედიც.) ჭრილობიდან ჩირქის, სითხის დაწრეტა სპეციალური მილის ან მარლის გრძელი ნაჭრის საშუალებით.

**3**. (მედიც.) ნახვრეტებიანი რეზინის ან მინის მილი, რომელიც შეჰყავთ სხეულის ღრუში ან ღრმა ჭრილობაში ჩირქის, სითხის და სხვ. დასაწრეტად.

**დრიად**-ი [ბერძ. dryas (driadas)] – ბერძნულ მითოლოგიაში: ტყის ნიმფა, ფერია.

**დრიბლინგ**-ი [ინგლ. dribling] – ფეხბურთში: ბურთის ოსტატური ტარება.

**დრომადერ**-ი [ფრ. dromadaire < ბერძ. dormas (kamelos) სწრაფად მრბოლავი აქლემი] – ერთკუზიანი აქლემი (ქართ. სინონ. **ნარაქლემა**).

**დრუიდ**-ი [ფრ. druide < კელტ.] – გალიის, ბრიტანეთისა და ირლანდიის კელტების ქურუმი.

**დრუიდიზმ**-ი – ძველი კელტების რელიგია.

**დუაიენ**-ი [ფრ. doyen] – დიპლომატიური კორპუსის (იხ. დიპლომატიური) მეთაურის მამასახლისი.

**დუალიზმ**-ი [< ლათ. dualis ორგვარი, გაორებული] – ფილოსოფიური რელიგიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს

საფუძვლად აღიარებს ორ ერთმანეთთან საწინააღმდეგო საწყისს – მატერიალურსა და იდეალურს. (საპირისპ. მონიზმი).
◎ **დუალისტური.**
⊙ **დ. ფილოსოფია, დეკარტის დ. მსოფლმხედველობა.**

**დუბლ**-ი [ფრ. double] – კინემატოგრაფიაში: ფილმის ეპიზოდის ხელახლა გადაღება; საჭიროა რომელიმედან საუკეთესოს შესარჩევად ფილმის მონტაჟის დროს.
⊙ **პირველი დ., მეათე დ.**

**დუბლაჟ**-ი [ფრ. doublage გაორმაგება] – იგივეა, რაც დუბლირება (მნიშ. 2).
◎ **სადუბლაჟო.**
⊙ **ს. საამქრო.**
○ **დუბლიაჟი, სადუბლიაჟო შცდ.**

**დუბლეტ**-ი [ფრ. doublet < double ორმაგი] – **1**. რაიმე ნივთის მეორე ცალი (მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, კოლექციაში და ა. შ.);
**2**. ორი ნაწილისგან შეწებებული ძვირფასი თვალი, რომელშიც ზევითა ნაწილი ნამდვილია, ხოლო ქვემოთა ყალბი.
**3**. ორი ერთდროული დაცლა ორლულიანი სანადირო თოფისა.
**4**. (მუს.) ორმაგი რეგისტრი ორგანში.

**დუბლიკატ**-ი [ლათ. dublikatus გაორმაგებული] – რაიმე წერილობითი დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიულად დედნის ძალა აქვს.
○ **ზედნადების დ.**

**დუბლიორ**-ი [ფრ. doubleur] – **1.** თეატრში: მსახიობი, რომელიც სპექტაკლში ცვლის ამა თუ იმ როლის ძირითად შემსრულებელს.
**2**. ფეხბურთში: სათადარიგო მოთამაშე.
⊙ **დ.-თა მატჩი.**

**დუბლირება** [< ფრ. doubler გაორმაგება] – **1.** ერთის და იგივეს მეორედ კეთება; ერთნაირი სამუშაოს შესრულება ვისიმე პარალელურად.
**2**. რისმე ორ ეგზემპლარად გაკეთება, რისამე პირის გადაღება.
**3**. თეატრში: რომელიმე როლის ძირითადი შემსრულებლის შეცვლა სხვა მსახიობით.
**4**. კინოფილმის სხვა ენაზე გახმოვანება.

**დუელ**-ი [ფრ. duel < ლათ. duellum ომი] – ორთაბრძოლა რაიმე იარაღით, გარკვეული წესების დაცვით.
⊙ **დ.-ში გამოწვევა, დ.-ში მოკვლა, დ.-ში ბრძოლა.**

**დუელიანტ**-ი [გერმ. duellant < ლათ.] – დუელის მონაწილე.

**დუეტ**-ი [იტ. duetto] – **1**. მუსიკალური ნაწარმოები ორი ხმისა ან ორი საკრავისათვის.

⊙ **აბესალომისა და მურმანის დ., ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერიდან“: ვიოლინოს და ვიოლონჩელის დ.**

**2**. ორი შემსრულებლისგან (მომღერლისა და დამკვრელისგან) შემდგარი ანსამბლი.

**დუიმ**-ი [ჰოლანდ. duim] – სიგრძის საზომი; უდრის 2,54 სმ-ს; ჩვენში იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

**დულცინეა** [ესპ. dulcinea სახელი, რომელიც შეარქვა სერვანტესის რომანის მთავარმა გმირმა დონ კიხოტმა თავის სატრფოს გლეხის გოგო – ალდონსას; უფრო სწორია **დულსინეა**] – ხუმრობით ან ირონიით ითქმის ვისიმე სატრფოზე (ქალზე).

◎ **დულცინეასი.**

○ **დულცინეისა შცდ.**

**დუმა** [რუს. дума] – რუსეთში: წარმომადგენლობითი კრება, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ფუნქციით; რუსეთის ფ. პარლამენტი.

**დუმ-დუმ**-ი – მსკდომარე ტყვია, რომელიც მეტად მძიმე ჭრილობებს იწვევს.

**დუჟინ**-ი [რუს. дюжина < ფრ. douzaine] – თორმეტი ერთგვარი საგანი.

**დურალუმინ**-ი [ლათ. dura მაგარი, მყარი და ალუმინი] – ალუმინის მსუბუქი და მყარი შენადნობი სპილენძთან, მაგნიუმთან და ზოგ. სხვ. ელემენტთან.

○ **დურალიუმინი შცდ.**

**დუუმვირატ**-ი [ლათ. duumviratus < duo ორი და vir კაცი] – ძველ რომში: ორი პირის მმართველობა (დუუმვირების).

**დუჩე** [იტ. duce ბელადი] – ასე უწოდებდნენ იტალიაში ფაშისტების ლიდერს – მუსოლინის (იხ. **ფაშიზმი**).

**დუხობორები** [რუს. духоборы სულისათვის მებრძოლნი] – ძვ. რუსული სექტანტური მიმდინარეობა; სექტა არ ცნობს ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) დოგმებს, წესების უდიდეს ნაწილს.

## ე

**ეაკულაცია** [გვიანდ. ლათ. ejaculatio ამონთხევა, გადმონთხევა] – (ფიზიოლ.). მამრის თესლის გადმონთხევა.

**ებონიტ**-ი [ინგლ. ebonite < ბერძ. ebonos შავი ხე] – მაგარი მასალა, რომელსაც იღებენ რეზინული შენაერთების ვულკანიზაციით; ფართოდ იყენებენ ელექტრო ტექნიკაში, საავიაციო, ქიმიურ მრეწველობაში და სხვ.

**ეგერ**-ი [გერმ. Jäger] – **1.** პროფესიონალი მონადირე, რომელიც ქირით მუშაობს სამონადირეო მეურნეობაში, ემსახურება მოყვარულ მონადირეებს და თვალყურს ადევნებს ნადირობის კანონების დაცვას.
**2.** (ისტ.) ზოგი ქვეყნის (კერძოდ რუსეთის) არმიებში: განსაკუთრებული მსროლელი ნაწილების ჯარისკაცი.

**ეგვტერ**-ი [ბერძ. euktçrion] – **1.** ეკლესიის მოშორებით ცალკე აგებული ან ეკლესიას მიშენებული მცირე ნაგებობა; სამღვდელო.
**2.** ეკლესიას მიმდგარი საგვარეულო სასაფლაო, საძვალე.

**ეგზალტაცია** [ლათ. exaltatio] – უკიდურესად აღგზნებული ან აღფრთოვანებული მდგომარეობა.

**ეგზარქოს**-ი [ბერძ. exalchos] – მართლმადიდებელთა ცალკე საეკლესიო ოლქის ან დამოუკიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი.

**ეგზემა** [ბერძ. ekzema გამონაყარი, ბუგარები] – კანის ანთებითი დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია, ბუგრები, ბუშტუკები, ჩირქგროვები: იცის ქავილი.

**ეგზემპლარ**-ი [ლათ. exemplar ნიმუში] – **1.** ერთგვაროვანი საგნების (მაგ. წიგნების, ჟურნალების) ცალკე აღებული ცალი.
⊙ **წიგნის ორი ე.**
**2.** ცხოველთა და მცენარეთა ცალკეული წარმომადგენელი.
⊙ **მაიმუნების იშვიათი ე.**
○ **ეგზემპლიარი, ეკზემპლიარი შცდ.**

**ეგზისტენციალიზმ**-ი [ლათ. exsistentia არსებობა] – მიმართულება თანამედროვე ფილოსოფიაში; მისი ძირითადი თემაა პიროვნების ბედიღბალი თანამედროვე სამყაროში, რწმენა და ურწმუნოება, სიცოცხლის აზრის დაკარგვა და შეძენა და მისთ.

**ეგზო**... [ბერძ. exô გარეშე] – რთული სიტყვების დასაწყისში აღნიშნავს " გარეთა", „გარეშე".
⊙ **ეგზოგენური** – გვარი, წარმოშობა.

**ეგზოგამია** [ბერძ. exô გარეშე და gamos ქორწინება] – ჩვეულება,

რომლის მიხედვითაც აკრძალულია ქორწინება ერთი და იმავე გვარის ან თემის წარმომადგენლებს შორის.

**ეგზოტერიკული** [ბერძ. exôterikos გარეგანი, გარეშე] – რაც საიდუმლოს არ წარმოადგენს და განკუთვნილია ყველასათვის (ითქმის რელიგიური წესების, მისტიკურ მოძღვრებათა, მაგიურ ფორმულათა შესახებ).

**ეგზოტიკა** [ბერძ. exōtikos უცხო ქვეყნის, უცხოური] – (წიგნ.). უჩვეულო, თვალწარმტაცი თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია შორეული, ნაკლებად ცნობილი ქვეყნებისათვის.

⊙ **აღმოსავლური ე.**

◎ **ეგზოტიკური.**

⊙ **ე. ქვეყნები, ე. ბუნება, ე. მცენარეები.**

○ **ეკზოტიკა, ეკზოტ[იკუ]რი, ეგზოტიური შცდ.**

**ეგიდა** [ბერძ. aigis (aigidos ზევსის ფარის სახელწოდება]: ვისიმე, რისამე, ეგიდის ქვეშ – (წიგნ.) ვისიმე, რისიმე მფარველობის ქვეშ, ვისიმე, რისამე ხელმძღვანელობით.

**ეგოიზმ**-ი[ფრ. égoisme ლათ. ego მე] – თავისი პირადი ინტერესების საზოგადოებრივ და სხვა ადამიანთა ინტერესებზე წინ დაყენება (საპირისპ. **ალტრუიზმი**).

◎ **ეგოისტური.**

⊙ **ე. საქციელი.**

**ეგოისტ**-ი [ფრ. égoiste ლათ. ego] – ადამიანი, რომელსაც ეგოიზმი ახასიათებს (ქართ. სინონ. მოთავისე, თავკერძა, ეჩოკაცი (საპირისპ. **ალტრუისტი**).

**ეგოცენტრიზმ**-ი [ლათ. ego მე და centrum ცენტრი] – ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოვლენის უკიდურესი ფორმა; საკუთარი პიროვნებით გატაცება, წარმოდგენა, რომ იგი ქვეყნიერების ცენტრია.

**ედელვაის**-ი [გერმ. Edelweiss] – მთის ბალახოვანი მცენარე; იკეთებს მოყვითალო-თეთრ ყვავილს: გავრცელებულია ევრაზიაში (წინა აზიის გამოკლებით). ალპური ედელვაისი – იკეთებს ქათქათა თეთრ ყვავილს (ამჟამად ძალზე იშვიათია).

**ედემ**-ი [ძვ. ებრ.] – **1**. ბიბლიური ლეგენდისმიხედვით–მიწიური სამოთხე, ადამიანის (ადამისა და ევას საცხოვრებელი), ადგილსამყოფელი, შეცოდებამდე.

**2**. მიწის კურთხეული (მადლიანი) კუთხე.

**ედიქტ**-ი [ლათ. edictum] – სხვა-

დასხვა სახელმწიფოში: უმაღლესი ხელისუფლების (მეფის, იმპერატორის...) ბრძანებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომის იმპერატორის.

⊙ **„მილანის ედიქტი"** –კონსტანტინე დიდის ედიქტი, რომლის წყალობითაც ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ჩვ. წელთაღრ. 313 წ.

**ევაკუაცია** [ლათ. evacuatio დაცვა, დაცარიელება] – და **ევაკუირება** [გერმ. evakuieren] – ადამიანების გამოყენება, დაწესებულებათა ქონების გამოტანა იმ ადგილიდან, სადაც რაიმე საფრთხეა მოსალოდნელი (საომარი მოქმედების ან სტიქიური უბედურების დროს); ჯარის გამოყვანა ბრძოლის ველიდან.

⊙ **დაჭრილების ე., ქარხნის ე.**

**ევანგელიკურ**-ი [< ბერძ. euangelion სახარება] – რასაც თავისი სარწმუნოების საფუძვლად მხოლოდ სახარება მიაჩნია (ითქმის ქრისტიანული რელიგიის ზოგიერთ მიმართულების შესახებ).

**ევანგელისტ**-ი – **1.** სახარების ავტორი; მახარობელი.

**2.** ევანგელიკური საზოგადოების წევრი.

**ევგენიკა** [< ბერძ. eugehçs კეთილშობილური წარმოშობისა, კარგი გვარისა] – მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ.

**ევდემონიზმ**-ი [< ბერძ. eudiamonia ბედნიერება, ნეტარება, განცხრომა] – ანტიკურ ხანაში და შემდეგ ეთიკაში: მორალის განმარტებისა და დასაბუთების პრინციპი, რომლის მიხედვითაც ადამიანის სიცოცხლის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ბედნიერება (განცხრომა).

**ევკალიპტ**-ი [ბერძ. eu კარგად და kalyptos დაფარული] – სწრაფად მზარდი ავსტრალიური ხე, ეთეროვანი ზეთების შემცველი.

**ევლოგია** [ბერძ. eulogia დალოცვა] – ნაკურთხი სეფისკვერი, ნაკურთხი წყალი და მისთ; რომლის ნაწილს აძლევენ მორწმუნეს ეკლესიაში.

**ევოლუცია** [ლათ. evolutio გაშლა, განფენა] – **1.** განვითარების პროცესი. (საპირისპ. **რევოლუცია**).

⊙ **ადამიანის ე.**

**2.** (ფილოს.). თანდათანობით რაოდენობრივი ცვლილება,

რომელიც ამზადებს თვისებრივ ცვლილებებს.
◎ **ევოლუციური.**
⊙ **ე. პროცესი.**
○ **ევოლიუცია, ევოლიუციონური შცდ.**

**ევოლუციონიზმ**-ი – **1**. მოძღვრება, რომლის თანახმადაც ყველაფერი არსებული ევოლუციას, მუდმივ განვითარებას განიცდის.
**2**. მოძღვრება, რომელიც განვითარების პროცესში უარყოფს ნახტომისებრ თვისებრივ ცვლილებას, რევოლუციურ გადატრიალებას.

**ეთერ**-ი [ბერძ. dithēr] – **1.** გარემომცველი საჰაერო სივრცე, ჰაერი, სადაც ვრცელდება რადიოტალღები.
⊙ **ე.-ში გადაცემული მუსიკა.**
**2**. ორგანული ნივთიერება, რომელსაც იღებენ წყლის მოხლეჩით სპირტის ან ფენოლისაგან; წარმოადგენს უფერო აქროლად სითხეს და აქვს დამახასიათებელი მწვავე (მძაფრი) სუნი; იყენებენ მედიცინაში, ტექნიკაში.
⊙ **გოგირდის ე., ე.-ის სუნი.**
**3**. ბერძნულ მითოლოგიაში: ჰაერის ყველაზე ზედა და გამჭვირვალე ფენა.
◎ **ეთეროვანი** (მნიშვ. 2-სათვის).
⊙ **ე. ზეთები.**
**საეთერო** (მნიშვ. 1-ისათვის).
**საეთერო დრო** – რადიოში, ტელევიზიაში: დრო, რომელიც გამოყოფილია რაიმე გადაცემისთვის.

**ეთიკა** [ბერძ. ēthika (მრ.)] – **1**. ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ზნეობას შეეხება.
**2**. რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, პროფესიის წარმომადგენელთა ყოფაქცევის ნორმები, მორალი.
⊙ **ექიმის ე., მეცნიერული ე.**
◎ **ეთიკური.**
⊙ **ე. საქციელი.**
○ **ეთიური შცდ.**

**ეთნარქ**-ი [ბერძ. ethnos ხალხი, ტომი და მეთაური] – (ისტ.) გვარის, ტომის მამამთავარი.

**ეთნიკურ**-ი [ბერძ. ethnikos ტომობრივი, სახალხო] – ამა თუ იმ ტომთან, ხალხთან დაკავშირებული.
⊙ **ე. ჯგუფი, მოსახლეობის ე. შემადგენლობა.**
○ **ეთნიური შცდ.**

**ეთნოგენეზ**-ი [ბერძ. ethos ხალხი და Jenesis წარმოშობა] – ხალხის, ტომის წარმოშობა.

**ეთნოგრაფია** [ბერძ./ ethnos ხალხი და graphô ვწერ] – **1**. ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ხალხთა ყოფა-ცხოვრებას,

მათ ნივთიერ და სულიერ კულტურას; (ქართ. სინონ. **ხალხთმცოდნეობა**).

**2**. ამა თუ იმ ხალხის ან ტომის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის თავისებურებათა ერთობლიობა.

◎ **ეთნოგრაფიული** და **საეთნოგრაფიო.**

⊙ **ე. (ს.) მუზეუმი., ე. (ს.) ექსპედიცია, ე.რუკა.**

**ᲔᲗᲜᲝᲡ**-ი [ბერძ. ethnos ხალხი] – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მეტნაკლებად დიდი და მცირე ჯგუფი, შეკავშირებულ თავდაპირველ ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობის საფუძველზე.

**ᲔᲘᲤᲝᲠᲘᲐ** [ბერძ. euphoria < eu კარგად და pherō ვიტან] – აღგზნებული, მხიარული განწყობილება, უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურ მდგომარეობას; ჩნდება ალკოჰოლის, მორფინის მცირე დოზების ზემოქმედების და სხვა მიზეზების შედეგად.

**ᲔᲙᲕᲐᲢᲝᲠ**-ი [ლათ. aequator გათანასწორებული] – (გეოგრ.). წარმოსახვითი წრეხაზი, რომელიც გარს უვლის დედამიწას (ორივე პოლუსთან თანაბარ მანძილზე) და ყოფს მას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად.

◎ **ეკვატორული.**

⊙ **ე. სარტყელი, ე. ქვეყნები, ე. ჰავა.**

○ **ეკვატორიალური შცდ.**

**ᲔᲙᲕᲘᲕᲐᲚᲔᲜᲢ**-ი [ლათ. auquivalens (auquivalentis)] – (წიგნ.). თანაბარი ღირებულების რაიმე.

◎ **ეკვივალენტური.**

⊙ **ე. განტოლებანი.**

○ **ექვივალენტი, ექვივალენტური შცდ.**

**ᲔᲙᲘᲞᲘᲠᲝᲕᲙᲐ** [ფრ. équiper] – ყველა საჭირო ნივთი (ტანისამოსით, ხელსაწყოებით და სხვ.) მომარაგება (მაგ; ჯარისკაცებისა, ექსპედიციისა).

**ᲔᲙᲘᲣ** [<ლათ. ecu (შემოკლ.) < European currency unit ვალუტის ევროპული ვალუტა.

**ᲔᲙᲚᲔᲠ**-ი [ფრ. édair] – ტკბილი ღვეზელი ერთგვარი, რომელსაც გულად კრემი აქვს.

**ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ** [ბერძ. „კრება“, „საკრებულო“] – საყდარი, ტაძარი: იესო ქრისტეს სხეული, რომელშიც ერთიანდება ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე.

**ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲔ** – ძვ. აღთქმის მცირე წიგნი, მიეწერება სოლომონ მეფეს. წიგნის შინაარსი ამქვეყნიურ ამაოებაზეა: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“.

**ეკლესიოლოგია** [ბერძ. ეკლესიათმცოდნეობა] – მოძღვრება ეკლესიაზე, როგორც იესო ქრისტეს სხეულზე, საეკლესიო განაწესზე, დოგმებზე და სხვ.

**ეკლექტიზმ**-ი [<ბერძ. eklektos ამორჩეული]– სხვადასხვაგვარ შეხედულებათა, თეორიათა, იდეურ მიმართულებათა ნებისმიერი, უპრინციპო შეერთება. (მექანიკური).

◎ **ეკლექტიკური.**

⊙ **ე. ნაშრომი.**

**ეკლიპტიკა** [ბერძ. ekleiptikē < ekleipsis დაბნელება] – (ისტ.). ცის სფეროს დიდი წრე, რომელზედაც წარმოებს მზის, ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში.

**ეკოლოგია** [ბერძ. oikos სახლი, სამშობლო და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მცენარეთა და ცხოველთა დამოკიდებულებას ურთიერთ შორის და გარემოსთან.

◎ **ეკოლოგიური.**

⊙ **ე. წონასწორობა, ე. უსაფრთხოება, ე. პრობლემები, ე. გარემო.**

**ეკონომია** [ბერძ. oikonomia მეურნეობის მართვა] – **1.** გამოზოგვით ხარჯვა რისამე (ქართ. სინონ. მომჭირნეობა).

⊙ **ე.-ის რეჟიმი.**

**2.** ასეთი ხარჯვის შედეგად მიღებული სარგებლობა.

⊙ **საწარმომ მნიშვნელობანი ე. მიიღო.**

◎ **ეკონომიური.**

⊙ **ე. მანქანა, ე. მშენებლობა.**

**ეკონომიკა** [ბერძ. oikonomike მეოჯახეობა] – **1.** მოცემული საზოგადოებრივიწყობილების წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას.

**2.** სახალხო მეურნეობა (ქვეყნისა, რაიონისა და სხვ.), მისი მდგომარეობა.

⊙ **მთის რაიონების ე.**

**3.** სამეურნეო მოღვაწეობის რაიმე დარგის სტრუქტურა, ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა.

⊙ **მრეწველობის ე, საავტომობილო ტრანსპორტის ე, სოფლის მეურნეობის ე.**

**4.** მეცნიერება, რომელიც სწავლობს საწარმოო, სამეურნეო მოღვაწეობის რაიმე დარგს.

◎ **ეკონომიკური.**

⊙ **ე. პოლიტიკა, ე. გეოგრაფია ე. კრიზისი.**

○ **ეკონომიური** (ეკონომიკისათვის) **შცდ.** (იხ. **ეკონომია**).

**ეკრან**-ი [ფრ. écran] – **1.** თეთრი ზედაპირი, რომელზედაც უჩ-

ვენებენ კინოფილმებს.
⊙ **ფართოფორმატიანი ე.**
2. ზედაპირი, რომელზედაც იღებენ შუქურ გამოსახულებას.
⊙ **ტელევიზორის ე.**

**ეკრანიზაცია** – კინოსურათის შექმნა თეატრალური ხელოვნების ან ლიტერატურის რომელიმე ნაწარმოების საფუძველზე.
⊙ **ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ე., ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ე.**

**ეკუმენიზმ**-ი და **ეკუმენიკურ**-ი მოძრაობა [ლათ. oecumenicus მსოფლიო საეკლესიო < ბერძ. oikumenē დასახლებული მიწა] – საეკლესიო მოძრაობა, რომლის მიზანია ყველა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანება; ჩაისახა მე-19 ს.-ის ბოლოს; 1948 წ. შეიქმნა პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკლესიების მსოფლიო საბჭო. საქართველოს ეკლესია გამოვიდა ამ საბჭოდან.

**ელადა** [ბერძ. hellas (hellados)] – საბერძნეთი.

**ელაინ**-ი [ბერძ. elaion] – 1. ზეითუნის ზეთი, რომელსაც ეკლესიაში იყენებენ.
2. (გადატ.) ის, რაც ანუგეშებს, ამშვიდებს.

**ელასტიკური** [ლათ. elasticus < ბერძ. elasticos] – 1. დრეკადი, მოქნილი.
⊙ **ე. სარტყელი.**
2. (გადატ.) მსუბუქი, ნარნარა.
⊙ **ე. მოძრაობა.**
○ **ელასტიური, ელასტური შცდ.**

**ელდორადო** [ესპ. eldorado ოქროსი] – 1. არარსებული ქვეყანა, ვითომ მდიდარი ოქროთი და თვალ-მარგალიტით, რომელსაც ეძებდნენ სამხრ. ამერიკაში პირველი ესპანელი დამპყრობლები.
2. (გადატ.) ზღაპრული სიმდიდრისა და სასწაულების ქვეყანა.

**ელეგანტური** [ფრ. élégant] – მოხდენილი, კოხტა, ნატიფი.
⊙ **ე. ჩაცმულობა.**

**ელეგია** [ბერძ. elegeia (მრ.) < elegos საჩივარი, ჩივილი] – 1. სევდიანი, ლირიკული ლექსი.
2. სევდიანი ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები.
3. ანტიკურ პოეზიაში: გარკვეული ფორმის ლექსი, რომელიც დაწერილია წყვილ-წყვილ ტაეპებად.
◎ **ელეგიური.**
⊙ **ე. პოეზია.**

**ელევატორ**-ი [ლათ. elevo მაღლა ვწევ] – მარცვალსაცავი, რომელიც აღჭურვილია მექანიკური მოწყობილობით

მარცვლეულის მისაღებად, გასანიავებლად, გასაშრობად და გადასატვირთად.

**ელემენტ**-ი [< ლათ. elementum სტიქია, პირველადი] – **1**. რისამე შემადგენელი ნაწილი.

⊙ **ავტომობილის ე.-ები.**

**2.** (ქიმ.) მარტივი ნივთიერება,რომელიც ჩვეულებრივ ქიმიური მეთოდებით არ იშლება შემადგენელ ნაწილებად.

⊙ **დ. მენდელეევის ქიმიურ ე.-თა პერიოდული სისტემა.**

**3**. ქიმიური ენერგიის ხარჯზე მცირეძალიანი ელექტრული დენის მისაღები ხელსაწყო.

⊙ **გალვანური ე., მშრალი ე.**

**4**. ითქმის ადამიანზე, როგორც რაიმე სოციალურ დონის წევრზე.

⊙ **უცხო ე., საზოგადოების პროგრესული ე.-ები.**

**ელემენტარული** – **1**. რაც მხოლოდ რისამე საფუძველს ეხება; დაწყებითი.

⊙ **ე. მათემატიკა, ე. ცოდნა.**

**2**. ყველასათვის ხელმისაწვდომი; მარტივი, უბრალო.

⊙ **ე. ჭეშმარიტება, ყოფაქცევის ე. წესები.**

○ **ელემენტალური შცდ.**

**ელერონ**-ი [ფრ. aileron] – პატარა ფრთა, თვითმფრინავის ფრთების ბოლოების მოძრავი ზედაპირი, რომელიც საჭიროა მისი წონასწორობის დასაცავად ფრენისას.

**ელექსირ**-ი [élixir სურნელოვანი ზეთი, ესენცია < არაბ. elexir] – მცენარეული ნივთიერების ნაჟური ან სპირტით, ეთეროვანი ზეთით და მისთ. დამზადებული მაგარი ნაყენი: იყენებენ მედიცინაში, კოსმეტიკაში.

**ელექტორატი** [ინგლ. electorate < ლათ. elector] – ამომრჩეველი მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც ერთსა და იმავე კანდიდატს ან პარტიას უყრის კენჭს არჩევნებზე.

**ელექტრიკოს**-ი – ელექტრობის სპეციალისტი.

⊙ **ელქტრიკი შცდ.**

**ელექტრიფიკაცია** და **ელექტრიფიცირება** – ელექტრული ენერგიის დანერგვა სახალხო მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში.

⊙ **სოფლის მეურნეობის ე., რკინიგზის ე.**

○ **ელექტროფიკაცია, ელექტროფიცირება შცდ.**

**ელექტრო**... – რთულ წინადადებაში სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ამ სიტყვების დამოკიდებულებას ელექტრობასთან.

**ელექტრობა** [< ბერძ. ēlectron ფისი, ქარვა] – **1.** მატერიის (ენერგიის) ფორმა, რომელიც შედგება დამუხტული ნაწილაკებისგან: ელექტრონებისა, პროტონებისა და მისთ.
⊙ **ე.-ის რაობა, ე.-ის გამოყენება ტექნიკაში, მოძღვრება ე.-ზე.**
**2.** ენერგიის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც იყენებენ სახალხო მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში; განათება, რომელსაც იღებენ ამ ენერგიის საშუალებით.
⊙ **ე.-ის გაყვანა, ე. ჩართეს, ე. გამოითიშა.**
◎ **ელექტრული.**
⊙ **ე. დენი, ე. განათება, ე. მოვლენები, ე. ღუმელი, ე. უთო.**
მე-2 მნიშვ.-ით ხშირად იხმარება ელექტრონი („ელექტრონის შუქი“, „ელექტრონი ანთია“). შცდ. (იხ. **ელექტრონი**).

**ელექტროდ**-ი [ბერძ. ēlectron ქარვა და hodos გზა] – **1.** გამტარი (ფირფიტა, ღერო და მისთ.). რომლის საშუალებითაც ელექტრული დენი შედის სითხეში ან გაზში.
**2.** მანქანებში, ხელსაწყოებში: ელექტრული დენის ჩართვის (გამოთიშვის) ადგილი.
⊙ **დადებითი ე.** (ანოდი), **უარყოფითი ე.** (კათოდი).

**ელექტროლიზ**-ი [ბერძ. ēlectron ქარვა და lysis დაშლა] – (ქიმ.) ნივთიერების დაშლის პროცესი შემადგენელ ნაწილებად მის ხსნარში მუდმივი ელექტრული დენის გავლისას.
◎ **ელექტროლიზური.**
⊙ **ე. სპილენძი.**

**ელექტროლიტ**-ი [ბერძ. ēlectron ქარვა და lytos ხსნარი] – ქიმიური ნივთიერება, რომელიც იშლება შემადგენელ ნაწილებად მასში ელექტრული დენის გავლის შემდეგ.

**ელექტრომაგნიტ**-ი – რკინის ღერო, რომელიც მაგნიტდება მასზე დახვეული გამხოლოებულ მავთულში გატარებული დენით; იყენებენ ელექტრულ მანქანებში, ტელეგრაფისა და ტელეფონის აპარატებში და სხვ.
◎ **ელექტრომაგნიტური.**
⊙ **ე. ტალღები.**

**ელექტრონ**-ი [ბერძ. ēlectron ქარვა] – ატომის შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკი, რომელსაც აქვს უარყოფითი ელექტრული მუხტი; ელექტრონი ბრუნავს დადებითად დამუხტული ბირთვის გარშემო.
◎ **ელექტრონული.**
⊙ **ე. ფიზიკა, ე. გამომთვლელი**

**მანქანა.**

**ელექტრონულ**-ის მნიშვ.-ით ელექტრული (**„ელექტრული გამომთვლელი მანქანა“**) **შცდ**. (იხ. **ელექტრობა**, **ელექტრული**).

**ელექტრონიკა** – მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული ენერგიის პრაქტიკული მიზნით გამოყენებასთან.

**ელექტროტექნიკა** – **1**. მეცნიერება ელექტრონული პროცესების შესახებ.
**2**. ტექნიკის დარგი, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ მოწყობილობათა შექმნასა და გამოყენებასთან.
◎ **ელექტროტექნიკური.**
⊙ **ე. მოწყობილობა, ე. ინსტიტუტი.**

**ელინიზმ**-ი [< ბერძ. hellēnismos] – **1**. ეპოქა,როდესაც აყვავებული იყო შერეულ ბერძნულ-აღმოსავლური კულტურა (ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის დაშლიდან – 324 წლიდან,რომლის მიერ საბერძნეთსა და და აღმოსავლეთის დაპყრობამდე – I საუკუნემდე ძვ. წელაღრ.).
**2**. ძველი ბერძნული ენიდან ამა თუ იმ ენაში შესული სიტყვა ან გამოთქმა.

**ელინისტ**-ი – ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

**ელიტა** [< ფრ. élite რჩეული, საუკეთესო] – საზოგადოების ან მისი ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელთა ერთობლიობა.
⊙ **ხელოვნების მოღვაწეთა ე.**
◎ **ელიტური** და **ელიტარული.**
⊙ **ე. საზოგადოება.**

**ელიფს**-ი [ბერძ. elleipsis გამოტოვება; ნაკლი, წუნი] – (მათემ.). შეკრული მრუდი ან წირი, რომლის ყოველი წერტილის მანძილების ჯამი ორი მოცემული წერტილიდან (ორი ფოკუსიდან) წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს.
◎ **ელიპსი, ელიფსიური, ელიპსიური შცდ.**

**ელიფსოიდ**-ი [ბერძ. elleipsis ელიფსი და eidos სახე] – (მათემ.). ზედაპირი, რომელიც მიიღება ელიფსის ბრუნვით ერთ-ერთი თავის ღერძის ირგვლივ (გარშემო).
○ **ელიპსოიდი შცდ.**

**ელფ**-ი [გერმ. Elf (მამრ.), Elfe (მდედრ.)] – გერმანულ მითოლოგიაში: ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული.

**ემალ**-ი [ფრ. émail] – **1**. მინისებური გაუმჭვირი მასა,

რომლითაც ფარავენ ლითონის ნაწარმის ზედაპირს დაჟანგვისაგან დასაცავად, აგრეთვე სილამაზისათვის (ქართ. სინონ. მინანქარი).
⊙ **ე.-ის ქვაბი.**
**2**. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი.

**ემანაცია** [< ლათ. emanatio გამოდინება] – რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინი; აღნიშნავს ღვთაებრივი საწყისიდან სამყაროს მთელი მრავალფეროვნების გამოშლას, გამოსხივებას.

**ემანსიპაცია** [ლათ. emancipatio] და **ემანსიპირება** (წიგნ.) – გათავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისაგან, უფლებრივად გათანასწორება.
⊙ **ქალთა ე.**

**ემბარგო** [ესპ. embargo დაპატიმრება, აკრძალვა] – **1**. საქონლის, განძეულობისა და მისთ. შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში.
**2**. უცხო სახელმწიფოს კუთვნილი ქონების (უპირატესად გემების) დაკავება პოლიტიკურ გართულებათა გამო.

**ემბლემა** [ბერძ. emblēma ამობურცული სამკაული] – რაიმე საგნის გამოსახულება, რომელიც გამოყენებულია რისამე სიმბოლოდ.

**ემბრიოლოგია** [ბერძ. embryon ჩანასახი და logos მოძღვრება] – ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ემბრიონის განვითარებას.

**ემბრიონ**-ი [ბერძ. embryon] – ჩანასახი (ადამიანის ან ცხოველის).

**ემიგრანტ**-ი [ლათ. emigrans (emigrantis) ვინც გადასახლდა] – ადამიანი, რომელიც თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლდა, რომელიც ემიგრაციაში იმყოფება.
◎ **ემიგრანტული.**
⊙ **ე. ცხოვრება.**

**ემიგრაცია** [< ლათ. emigro გადავსახლდები] – **1**. თავისი სამშობლოდან იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება სხვა ქვეყანაში (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ემიგრირება).
**2**. უცხო ქვეყანაში ცხოვრება ასეთი გადასახლების შედეგად.
⊙ **ე.-ში ყოფნა, ე.-იდან დაბრუნება.**
◎ **ემიგრაციული.**
⊙ **ე. ცხოვრება, ე. მოძრაობა.**

**ემირ**-ი, უფრო სწორია **ამირა** [არაბ. amir] – ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში: მთავრის,

მმართველის ტიტული.

**ემისარ**-ი [ლათ. emissarius] – პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით.

**ემისია** [ლათ. emissio გამოშვება] – (ფინანს.). ფასიანი ქაღალდების, ქაღალდის ფულის გამოშვება.

**ემოცია** [ფრ. émotion < ლათ. emovere აღგზნება, მღელვარება] – (წიგნ.). ადამიანის გრძნობა, სულიერი მღელვარება (შიში, სიხარული და სხვ.).

◎ **ემოციური.**

⊙ **ე. სიტყვა წარმოთქმა.**

◎ **უემოციო.**

⊙ **უ. ადამიანი.**

○ **ემოციონალური შცდ.**

**ემუ** [< პორტ. ema წერო, სირაქლემა] – დიდი ზომის მორბენალი ფრინველი კაზუარების რაზმისა; გავრცელებულია ავსტრალიაში.

**ემულსია** [ლათ. emulsus გამოწველილი] – **1**. ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი, რომელშიც ერთი სითხე შეტივტივებულია მეორეში წვრილ-წვრილი წვეთების სახით.

**2**. ერთგვარი შუქმგრძნობიარე პრეპარატი; იყენებენ ფოტოტექნიკაში.

**ემფაზა** [< ბერძ. emphasis გამომხატველობა] – (ლიტ.) მეტყველების ემოციური გამომხატველობის გაძლიერება, რასაც აღწევენ ინტონაციის შედეგად, სხვადასხვა რიტორიკული ხერხის გამოყენებით. (ლინგვ.) დაძაბულობა ზოგი ბგერის წარმოთქმისას.

**ენდემ**-ი [<ბერძ. endēmos ადგილობრივი] – მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში.

**ენდო**...[< ბერძ. endon შიგნით] – რთული სიტყვების დასაწყისში აღნიშნავს „შიგა“, „შიგნითა“.

⊙ **ენდომენური.**

**ენდოგამია** [ბერძ. endon შიგნით და gamos ქორწინება] – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება დასაშვები იყო მხოლოდ ერთი და იმავე საზოგადოებრივი ჯგუფის (ტომის, გვარის და მისთ.) წევრებს შორის; არსებობდა საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურზე.

**ენდშპილ**-ი [გერმ. Endspiel] – ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია.

**ენერგეტიკა** – მეურნეობის დარგი, რომელიც მოიცავს ენერგიის რესურსებს, მისი სხვადასხვა სახეობის გამო-

მუშავებას, გარდაქმნას, გადაცემას და გამოყენებას.
◎ **ენერგეტიკული.**
⊙ **ე. რესურსები, ე. სისტემა.**
○ **ენერგეტიული შცდ.**
**ენერგეტიკოს**-ი – ენერგეტიკის სპეციალისტი.
○ **ენერგეტიკი შცდ.**
**ენერგია** [ბერძ. energeia მოქმედება] – **1.** მატერიის ერთ-ერთი ძირითადი თვისება – მისი მოძრაობის ზომა; მატერიის მოძრაობის მარაგი (სითბოს, სინათლის, ელექტრობის, მექანიკური მოძრაობის და სხვ. სახით).
**2.** მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალა, ძალ-ღონე, რომელიც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად.
○ **დიდი ე. გამოიჩინა.**
◎ **ენერგიული** (მნიშვ. 2-ისათვის).
⊙ **ე. ადამიანი, ე. მუშაობა.**
**ენთუზიაზმ**-ი [ბერძ. enthusiasmos] – აღფრთოვანება, გატაცება.
⊙ **ე.-ით მუშაობა.**
◎ **ენთუზიასტური.**
⊙ **ე. კითხვა.**
○ **ენტუზიაზმი, ენტუზიასტური შცდ.**
**ენთუზიასტი** – ენთუზიაზმით აღსავსე.
○ **ენტუზიასტი შცდ.**
**ენიგმატურ**-ი [< ბერძ.ainigma (ainigmatos) გამოცანა] – (წიგნ.) საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობი.
**ენკაუსტიკა** [ბერძ. enkaustikē < enkaiō ამოვწვავ] – სანთელში გახსნილი საღებავებით ხატვა; ცვილოვანი ფერწერა.
**ენკენია** [ბერძ.] – ტაძართ განახლების ყოველწლიური დღესასწაული.
**ენკრატის**-ი [ბერძ.] – მოწესე დედა, მონაზონი.
**ენლილ**-ი – შუმერული მითოლოგიის უმთავრესი ღვთაება, ქალაქ ნიფურის მფარველი. ითვლებოდა აგრეთვე ჰაერის, მიწის, ნაყოფიერების ღმერთად.
**ენოლოგია** [ბერძ. oinos ღვინო და logos მოძღვრება] – მეღვინეობა.
**ენოტ**-ი [რუს. eum] – **1.** პატარა მტაცებელი ნადირი: აქვს ხშირი ბეწვი, მუქი ყვითელი ფერის; ბინადრობს ტყეში, კარგად დაცოცავს ხეებზე.
**2.** ამ ცხოველის ბეწვი.
**ენტომოლოგია** [ბერძ. entomon მწერი და logos მოძღვრება] – ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც მწერებს სწავლობს.
◎ **ენტომოლოგიური.**

⊙ **ე. გამოკვლევა.**

**ენქერ**-ი – სამღვდელმთავრო შესამოსელი, მარჯვენა გვერდზე და საკიდი.

**ენქი** – შუმერულ მითოლოგიაში ერთ-ერთი სამ უმთავრეს (ენლილთან და ანუსთან ერთად) ღვთაებათაგანი; შუმერული სამების ერთ-ერთი იპოსტასი.

**ენცეფალიტ**-ი [< ბერძ. enkephalos ტვინი] – (მედიც.). თავის ტვინის ანთება.

**ენციკლიკა** [< ბერძ. encyclica] – რომის პაპის წერილი, მიმართვა ყველა კათოლიკესადმი პოლიტიკის, რელიგიის, მორალის და მისთ. საკითხებზე.

**ენციკლოპედია** [ფრ. encyclopédie] – მეცნიერული საცნობარო გამოცემა ლექსიკონის სახისა, რომელშიც ცოდნის ყველა ან რომელიმე ცალკე დარგი არის წარმოდგენილი.

⊙ **ქართული ე., ლარუსის ე., ტექნიკური ე., ჭადრაკის ე.**

◎ **ენციკლოპედიური.**

⊙ **ე. ლექსიკონი, ე.** (მრავალმხრივი) **ცოდნა.**

◎ **საენციკლოპედიო.**

⊙ **ს. სტატიები.**

○ **ენციკლოპედური** შცდ.

**ენციკლოპედიზმ**-ი – ფართო, მრავალმხრივი განათლება ცოდნის სხვადასხვა დარგში.

**ეოს**-ი [ბერძ. Eôs] – ბერძნულ მითოლოგიაში გარიჟრაჟის ქალღმერთი.

**ეპარქია** [ბერძ. eparohia] – საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს: საეპისკოპოსო.

**ეპატაჟ**-ი [ფრ. épatage] – სკანდალური გამოხტომა; ქცევა, რომელიც არღვევს საერთოდმიღებული ზრდილობის წესებს; რაიმე შოკში ჩასაგდები.

**ეპიგონ**-ი [ბერძ. epigonos შთამომავალი] – რაიმე მიმართულების მიმდევარი, რომელსაც აკლია ორიგინალურობა, შემოქმედებითი დამიკიდებულება (ხელოვნებაში, მეცნიერებაში და სხვ.).

**ეპიგრამა** [ბერძ. epigramma წარწერა] – **1.** მოკლე სატირული ლექსი.

**2.** ძველ საბერძნეთში: ძეგლზე, შენობაზე, საჩუქარზე და მისთ. გაკეთებული წარწერა პროზად ან ლექსად.

⊙ **პუშკინის ე.-ები.**

◎ **ეპიგრამული.**

⊙ **ე. პოეზია, ე. სტილი.**

⊙ **ეპიგრამისა.**

⊙ **ეპიგრამასი შცდ.**

**ეპიგრაფ**-ი [ბერძ. epigraphē

წარწერა] – **1.** გამონათქვამი, მოკლე ციტატა, რომელიც წამძღვარებული აქვს რაიმე ნაწარმოებს ან მის ნაწილს; გამოხატავს ნაწარმოების (მისი ნაწილის) ძირითადად იდეას.

⊙ **„კაცია-ადამიანს?!“** ე.-ად აქვს ხალხური გამონათქვამი: **„მოყვარეს პირში უძრახე მტერს – პირსუკანო“.**

**2.** ძველ საბერძნეთში: საფლავის ქვის, ძეგლის წარწერა.

**ეპიგრაფიკა** [< ბერძ. epigraphē წარწერა] – მეცნიერება ძველი წარწერების შესახებ (ქართ. სინონ. **წარწერათმცოდნეობა**).

◎ **ეპიგრაფიკული.**

⊙ **ე. მასალა, ე. ტექსტი.**

○ **ეპიგრაფიული შცდ.**

**ეპიდემია** [<ბერძ. epidēmia] – რაიმე გადამდები სენის ფართოდ გავრცელება.

⊙ **გრიპის ე.**

◎ **ეპიდემიური.**

⊙ **ე. დაავადებანი.**

**ეპიზოდ**-ი [ბერძ. episodion] – **1.** რაიმე შემთხვევა, მომხდარი, მომხდარი ამბავი.

⊙ **„რამდენიმე სურათი ანუ ე. ყაჩაღის ცხოვრებიდან“** (ილიას ცნობილი პოემის სათაური).

**2.** მხატვრული ნაწარმოების ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთგვარი დამოკიდებულება.

⊙ **ჩართული ე. პიესაში.**

◎ **ეპიზოდური-შემთხვევითი, არასისტემატური, არაძირითადი, უმნიშვნელო.**

⊙ **ე. როლი კინოფილმში.**

**ეპითეტ**-ი [ბერძ. epitheton] – მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის საგნის ან მოვლენის სახელს და აძლევს მას მეტ გამოხატულებას.

⊙ **მუდმივი ე., ამამაღლებელი ე., დამამცირებელი ე.**

○ **ეპიტეტი შცდ.**

**ეპილეფსია** [ბერძ. epilēpsia] – ქრონიკული ნევრული დაავადება, რომელიც ხასიათდება პერიოდული მოულოდნელი შეტევებით; ამ დროს ავადმყოფს გონება ეკარგება და ემართება კრუნჩხვა; ბნედა, ავი ზნე.

**ეპილოგ**-ი [ბერძ. epilogos <epi შემდეგ და logos სიტყვა] – მხატვრული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული მოქმედ პირთა შემდგომი ბედი.

⊙ **რომანის ე., პროლოგი** და **ე.**

**ეპისკოპოს**-ი [ბერძ. episkopos რამეს ვუყურებ] – უმაღლესი სასულიერო წოდებულება

ქრისტიანულ ეკლესიაში; ჩვეულებრივ ეპარქიის მთავარს მიენიჭება; ამ წოდებულების მქონე პირი.

**ეპისტოლე** [ლათ. epistola < ბერძ. epistolē] – (სამღვდ.). წერილი, გზავნილი.

**ეპისტროფ**-ი [ბერძ. epistrophē უკან გამობრუნება] – რიტორიკული ხერხი – ერთი და იმავე სიტყვის, ან გამოთქმის გამეორება.

**ეპიტაფია** [< ბერძ. epitaphios (logos) საფლავსზედა სიტყვა] – წარწერა საფლავის ქვაზე.

⊙ **ეპიტაფიისა**

○ **ეპიტაფიასი შცდ.**

**ეპიტიმია** [ბერძ. epitimion სასჯელი] – საეკლესიო სასჯელი, რასაც სულიერი მამა დაადებს მორწმუნეებს.

**ეპიფანია** [ბერძ. epiphanys გამოცხადება] – იესო ქრისტეს გამოცხადება, ნათლობა იორდანეს წყალში იოანე ნათლისმცემლის მიერ.

**ეპიცენტრ**-ი ბერძ. epi-ზე და ლათ. centrum ცენტრი] – ადგილი დედამიწის ზედაპირზე, რომელიც მოთავსებულია რაიმე დამანგრეველი ძალით კერის თავზე ან მის ქვეშ.

⊙ **მიწისძვრის ე., ატომური ბომბის აფეთქების ე.**

**ეპონიმ**-ი [ბერძ. epônymos] – პირი, რომლის სახელისაგან წარმოდგება ხალხის, ადგილის ან მისთ. სახელწოდება.

**ეპოპეა** [ბერძ. epopoiia] – **1.** ეპიკური ჟანრის დიდი მხატვრული ნაწარმოები.

**2.** გადატ. (წიგნ.) დიდი, მნიშვნელოვანი ამბები.

⊙ **ომის ე.**

⊙ **ეპოპეისა.**

○ **ეპოპეასი, ეპოპეია შცდ.**

**ეპოს**-ი [< ბერძ. epos სიტყვა, მოთხრობა, სიმღერა] – **1.** თხრობითი ლიტერატურის ჟანრი (დრამისა და ლირიკისაგან განსხვავებით) – რომანი, მოთხრობა და სხვ.

**2.** ხალხური საგმირო თქმულებები, პოემები, სიმღერები.

⊙ **საგმირო ე., ჰომეროსის ე.**

◎ **ეპიკური.**

⊙ **ე. პოემა, ე. სტილი.**

○ **ეპიური შცდ.**

**ეპოქა** [<ბერძ. epochē გაჩერება] – დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება ღირსშესანიშნავი მოვლენებით, ამბებით (ქართ. სინონ. ხანა).

⊙ **ანტიკური ე., ფეოდალიზმის ე., თანამედროვე ე.**

**ეპოქალური** – (წიგნ.) ამა თუ იმ ეპოქის დამახასიათებელი: დიდად მნიშვნელოვანი.

⊙ **ე. მოვლენა, ე. აღმოჩენები.**
○ **ეპოხა, ეპოხალური შცდ.**

**ერა** [ლათ. aera] – **1.** მოვლენა, მომენტი, საიდანაც იწყება წელთაღრიცხვა: წელთაღრიცხვის ესა თუ ის სისტემა.
⊙ **ქრისტიანული ე.**
**2.** დროის ისტორიული მონაკვეთი, პერიოდი: ეპოქა, ხანა.
⊙ **კოსმონავტიკის ე.**
**3.** (გეოლ.). დედამიწის ისტორიის ყველაზე დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთი.

**ერატო** [ბერძ. eratô] – ბერძნულ მითოლოგიაში: მუზა ლირიკული, უპირატესად სატრფიალო პოეზიისა: წარმოდგენილი ჰყავდათ ქალად, რომელსაც ხელში კითარა უჭირავს.

**ერეს**-ი [ბერძ. hairesis] – **1.** რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს. (ქართ. სინონ. მწვალებლობა).
**2.** (გადატ.). გაბატონებული ან საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებისგან, წესისგან გადახვევა, განდგომა, ცდომილება.

**ერეტიკოს**-ი – ერესის მიმდევარი.
○ **ერეთიკოსი შცდ.**

**ერექცია** [ლათ. eractio გასწორება] – მამაკაცის სასქესო ასოს გაბერვა და გამაგრება სქესობრივი აგზნების დროს (სისხლის გაძლიერებული მოწოლის შედეგად).

**ეროზია** [ლათ. erozio გამოჭმა] – **1.** ნიადაგის ნგრევა და წარეცხვა ღვარებისაგან.
⊙ **ნიადაგის ე.**
**2.** ლითონის ზედაპირის დაშლა მექანიკურ ზემოქმედების ან ელექტრული განმუხტვის შედეგად.
⊙ **ლითონის ე.**
**3.** (მედიც.) ლორწოვანი გარსის ზედაპირული დაწყლულება.

**ეროტ**-ი [< ბერძ. erôs (erōtos)] – ბერძნულ მითოლოგიაში: სიყვარულის ქალღმერთი.

**ეროტიზმ**-ი [< ბერძ. erôs (erōtos) სიყვარული] – გადაჭარბებული სქესობრივი აღგზნებადობა, მეტისმეტი ვნებიანობა.

**ეროტიკა** [ბერძ. erōs (erōtos) სიყვარული] – ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია სასიყვარულო დამოკიდებულებასთან; გრძნობადობა.
◎ **ეროტიკული.**

**ერუდიცია** [ლათ. eruditio სწავლება, შემეცნება, ცოდნა] – (წიგნ.). დიდი განსწავლულება, ღრმა ცოდნა მეცნიერების რომელიმე დარგში.

**ესე** [ფრ. essai] – თავისუფალი ფორმის (არა სისტემატურ-მეცნიერული ხასიათის) ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვ. პრობლემები.
◎ **ესესი; მრ. ესეები.**
○ **ესსე, ესეი, ესსეი შცდ.**

**ესეისტ**-ი – ესეების ავტორი.
○ **ესსეისტი შცდ.**

**ესენცია** [ლათ. essentia არსი] – რაიმე ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; იყენებენ კვებისა და ფარმაცევტულ მრეწველობაში, აგრეთვე პარფიუმერიაში.

**ესთეტიკა** [< ბერძ. aisthēsis გრძნობა, შეგრძნება] – **1.** ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ მხატვრულ შემოქმედებაში.
**2.** (წიგნ.) მშვენიერება, მხატვრულობა რისამე.
⊙ **ყოფის ე., წარმოების ე.**
◎ **ესთეტიკური.**
⊙ **ე. თეორიები ე. აღზრდა.**
○ **ესტეტიკა, ესტეტიური, ესთეტიური შცდ.**

**ესკადრა** [ფრ. escadre] – **1.** (ზღვ.) სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი.
**2.** სამხედრო-საჰაერო ძალების შენაერთი ზოგი უცხო ქვეყნის არმიაში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.
◎ **საესკადრო.**
⊙ **ს. ნაღმოსანი.**
◎ **ესკადრისა.**
○ **ესკადრასი შცდ.**

**ესკადრილია** [ფრ. escadrille] – სამხედრო ავიაციის ქვეგანაყოფი, რომელიც თვითმფრინავების რამდენიმე რგოლისგან (რაზმისაგან) შედგება.
◎ **ესკადრილიისა.**
○ **ესკადრილიასი შცდ.**

**ესკალატორ**-ი [ინგლ. escalator] – განუწყვეტლივ მოძრავი კიბე.
⊙ **მეტროს ე.**

**ესკალაცია** [ინგლ. escalation აღმასვლა (აღსვლა) კიბის დახმარებით] – (წიგნ.) აგრესიის განუყრელი გაფართოების, გაძლიერების სტრატეგია.
⊙ **ომის ე., აგრესიის ე., კონფლიქტის ე.**

**ესკიზ**-ი [ფრ. esquisse] – **1.** წინასწარი მონახაზი (ნახატისა, სკულპტურისა, არქიტექტურული პროექტისა, თეატრალური პროექტისა და სხვ.)
⊙ **დეკორაციების ე; ე-ების გამოფენა**
**2.** ლიტერატურული, მუსიკალური ნაწარმოების ან მისი

ნაწილის წინასწარი რეაქცია.
◎ **საესკიზო.**
⊙ **ს. ნახაზი.**

**ესკიმო** [ფრ. esquimau] – ნაყინის ბრიკეტი, რომელიც ჩვეულებრივ შოკოლადით არის დაფარული.

**ესკორტ**-ი [ფრ. escorte] – ვისიმე, რისამე თანხმლები სამხედრო დაცვა (ქართ. სინონ. ბადრაგი).
⊙ **მოტოციკლისტების ე.**
○ **ექსკორტი შცდ.**

**ესკულაპ**-ი [ლათ. Aesculapius] – რომაულ მითოლოგიაში: მკურნალობის ღმერთი; გამოხატავდნენ დაყრდნობილს კვერთხზე, რომელსაც გველი ეხვევა (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ასკლეპიოსი).

**ესპადა** [ესპ. espada] – იგივეა, რაც მატადორი.

**ესპადრონ**-ი [ფრ. espodron < ესპ. espada დაშნა] – (სპორტ.). საფარიკაო დაშნა.

**ესპანდერ**-ი [< ინგლ. espand გაფართოება, გაჭიმვა] – სატანვარჯიშო იარაღი – ერთმანეთთან რეზინის ჩალიჩებით ან ზამბარებით შეერთებული სახელურები; ხმარობენ კუნთების გასამაგრებლად.

**ესპერანტისტ**-ი – ესპერანტოს მცოდნე, სპეციალისტი.

**ესპერანტო** [ესპერ. esperanto მოიმედე < ფრ. esperer იმედის ქონა] – ხელოვნური საერთაშორისო ენა, რომელიც შექმნა პოლონელმა ექიმმა პოლიგლოტმა ლაზარ ზამენჰოფმა (1859-1917 წწ.) 1887 წელს ლათინურისა და ყველაზე უფრო გავრცელებული დასავლეთევროპული ენების მასალის საფუძველზე.

**ესტაკადა** [ფრ. estacade] – ხიდისებური ნაგებობა, რომელზედაც დედამიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე გაყვანილია გზა სხვა (ქვედა) გზის თავზე.
⊙ **რკინაბეტონის ე.**
◎ **ესტაკადისა.**
○ **ესტაკადასი შცდ.**

**ესტამპ**-ი [ფრ. estampe] – რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე, გადაღებული თვით მხატვრის (ან ოსტატ გრავიორის) მიერ გაკეთებული ფორმიდან.

**ესტაფეტა** [ფრ. estafette < იტ. stafetta < atafta უზანგი, ავჟანდი] – **1.** გუნდური შეჯიბრება სირბილში, ცურვაში და სხვ., რომელშიც მორბენალი (მოცურავე და სხვ.) გზის გარკვეულ მონაკვეთზე ცვლის დათქმულ ნიშანს (ქართ. სი-

ნონ. ამანათრბენი).

**2**. თვით ნიშანი (პატარა ჯოხი, პაკეტი და სხვ.), რომელსაც გადასცემენ ერთმანეთს ერთი გუნდის სპორტსმენები ასეთი შეჯიბრების დროს.

◎ **ესტაფეტისა**

○ **ესტაფეტასი, ესტაფეტი შცდ.**

**ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ** [ფრ. estrade < ესპ. estrado ფიცარნაგი] – **1**. ამაღლებული ადგილი, სცენა შემსრულებლებისათვის (მსახიობებისათვის, ორკესტრისათვის და სხვ), რომლებიც გამოდიან მაყურებელთა წინაშე.

⊙ **საზაფხულო ე.**

**2**. ხელოვნება, რომლის ძირითადი სახეობაა ცალკეული ნომრებისაგან შედგენილი კონცერტი.

⊙ **ე.-ის მსახიობები.**

◎ **საესტრადო.**

⊙ **ს. კონცერტი, ს. სიმღერები.**

**ᲔᲡᲥᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐ** [ბერძ. eschatos უკანასკნელი და logos მოძღვრება] – მისტიკური მოძღვრება მსოფლიოს და ადამიანის საბოლოო ბედზე; წარმოადგენს ბევრი რელიგიის (მათ შორის ქრისტიანობის) შემადგენელ ნაწილს.

**ᲔᲢᲐᲚᲝᲜ**-ი [ფრ. étalon] – **1**. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში.

⊙ **მეტრის ე., კილოგრამის ე.**

**2**. მეტისმეტად ზუსტი საზომი, რომელსაც იყენებენ სხვა ხელსაწყოების შესამოწმებლად.

**3**. (გადატ.). რისამე საზომი სტანდარტი.

◎ **ეტალონური.**

⊙ **ე. ხელსაწყო.**

◎ **საეტალონო.**

⊙ **ერთიანი დროისა** და **ს. სიხშირეთა სახელმწიფო კომისია.**

**ᲔᲢᲐᲞ**-ი [ფრ. étape] – **1**. რაიმე გზის, დისტანციის ცალკეული მონაკვეთი.

⊙ **ესტაფეტის ბოლო ე.**

**2**. გადატ. (წიგნ.). რისამე განვითარების, რაიმე პროცესის ცალკეული მომენტი, სტადია.

⊙ **მნიშვნელოვანი ე.**

**ᲔᲢᲐᲟᲔᲠ**-ი [ფრ. étagére] – ავეჯის სახეობა – ერთმანეთის თავზე რამდენიმე რიგად მოწყობილი თაროები (ქართ. სინონ. თაროედი).

⊙ **ეტაჟერკა შცდ.**

**ᲔᲢᲘᲙᲔᲢ**-ი[1] [ფრ. étiquette] – იგივეა, რაც იარლიყი.

○ **ეთიკეტი, ეტიკეტკა შცდ.**

**ᲔᲢᲘᲙᲔᲢ**-ი[2] [ფრ. étiquette] – თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რომლებიც მიღებულია დიპლომატთა წრეებში, მეფის კარზე და სხვ.

⊙ **საერთაშორისო ე., ე.-ის დაცვა.**

**ეტიმოლოგია** [ბერძ. etymologia < etymon ჭეშმარიტება, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა და logos მოძღვრება] – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას, შემადგენლობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას.

**ეტიმონ**-ი [<ბერძ. etymon ჭეშმარიტება, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა] – (ლინგვ.). ამოსავალი სიტყვა, რომლისგანაც წარმოიშვა ენის ესა თუ ის სიტყვა.

**ეტიუდ**-ი [ფრ. étude < ლათ. studium ცდა, მცდელობა, გულმოდგინება, თავგამოდება] – **1**. სახვით ხელოვნებაში: წინასწარი მონახაზი, რომელიც ნატურიდან არის შესრულებული საღებავებით.

⊙ **სურათის ე.**

**2**. მცირე ზომის ლიტერატურული ან მეცნიერული ნარკვევი.

⊙ **კრიტიკული ე.**

**3**. სავარჯიშო მუსიკალური პიესა დაკვრის ტექნიკის ასათვისებლად; ვირტუოზული ხასიათის პატარა მუსიკალური პიესა.

⊙ **შოპენის ე.-ები.**

**4**. ჭადრაკის ფიგურების ხელოვნური განლაგება, რომელშიც თეთრებმა მცირე ძალებით უნდა იპოვონ ერთადერთი სწორი გზა მოგების ან ყაიმის მისაღებად (ჭადრაკის ამოცანებთან განსხვავებით სვლების რაოდენობა განსაზღვრული არ არის).

**ეფემერა**, **ეფემერულ**-ი [ბერძ. ephēmeros ერთდღიანი] – **1**. ხანმოკლე, სწრაფმავალი, არამყარი.

**2**. არარეალური, მოჩვენებითი.

**ეფექტ**-ი [ლათ. effectus] – **1**. შთაბეჭდილება, რომელსაც ვინმე ან რამე ახდენს ვინმეზე.

**2**. (წიგნ.). რაიმე მოქმედების, მოღვაწეობის, მიზეზის შედეგი.

⊙ **ეკონომიკური ე., მკურნალობის ე. დიდი იყო.**

**3**. ხერხი, საშუალება, რომლის მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, რაიმე ილუზიის შექმნა.

⊙ **განათების ე., ხმაურის ე.**

◎ **ეფექტური.**

⊙ **ე. სიტყვა წარმოთქვა, ე. ზომები მიიღეს.**

○ **ეფეკტი, ეფეკტური, ეფეკტიური შცდ.**

**ეფუზია** [ლათ. effusio დაღვრა, მოღვრა] – (გეოლოგ.). მაგმის ამოფრქვევა დედამიწის ზედაპირზე.

**ექო** [ბერძ. echō] – ბგერის არეკ-

ვლა შედარებით შორს მყოფ საგნებზე (კედელზე, ტყეში...) (ქართ. სინონ. გამოძახილი, ნახმევი)

○ **ეხო შცდ.**

**ექს**... [ლათ. ex...] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა მნიშვნელობით: **1.** „ყოფილი".

⊙ **ექსჩემპიონი, ექს-მინისტრი, ექს-პრეზიდენტი.**

**2.** გამოსვლა, ამოღება, ამოძრობა.

**ექსგუმაცია** [ლათ. ex –დან და humos მიწა] – გვამის მიწიდან ამოღება სასამართლო-ექსპერტიზის ჩასატარებლად.

○ **ეგსგუმაცია, ეკსგუმაცია შცდ.**

**ექსკავატორ**-ი [ინგლ. excavator < ლათ. excavo ამოვტეხ] – მიწის სათხრელი მანქანა.

**მეექსკავატორე** – მძღოლი, რომელიც ექსკავატორს მართავს.

◎ **მეექსკავატორისა.**

○ **მეექსკავატორესი, ეკსკავატორი, მეეკსკავატორე შცდ.**

**ექსკლუზიურ**-ი [ფრ. exclusif, ინგლ. exclusive რაიმეს გამოკლება; განსაკუთრებული] – ის, რაც ვრცელდება საგნების შეზღუდულ წრეზე.

**ექსკლუზიური ინტერვიუ** – ასეთი ინტერვიუს გამოქვეყნების უფლება ეკუთვნის მასმედიის რომელიმე ორგანოს (გაზეთის, ჟურნალის, რადიოან ტელეპროგრამას).

⊙ **ექსკლუზივი.**

○ **ექსკლიუზიური, ექსკლიუზივი შცდ.**

**ექსკრეცია** [< ლათ. excretum, excemos გამოვყოფ] – (ფიზიოლ.). ნივთიერებათა ცვლის გამოუყენებელი ან მავნე ნარჩენების ორგანიზმიდან გამოდევნის პროცესი; გამოყოფა.

**ექსკურს**-ი [ლათ. excursus გადახვევა, თემიდან გადახრა] – ძირითადი გადახვევა სხვა, ახლო მყოფი საკითხის გასაშუქებლად (ქართ. სინონ. **წიაღსვლა**).

⊙ **მოკლე ე.**

**ექსკურსანტ**-ი – ექსკურსიის მონაწილე.

**ექსკურსია** [ლათ. excursio წასვლა, გამგზავრება] – **1.** კოლექციური გამგზავრება, გასეირნება სადმე, დათვალიერება რისამე სასწავლო, საგანმანათლებლო ან გართობის მიზნით.

⊙ **ე. ვარძიაში, ე. მცხეთაში.**

**2.** ასეთი გამგზავრების, დათვალიერების მონაწილეთა ჯგუფი.

⊙ **თბილისში ე. ჩამოვიდა სოხუმიდან, ბათუმიდან.**

◎ **საექსკურსიო.**
⊙ **ს. ბიურო, ს. ავტობუსი, ს. მარშრუტი.**

**ექსლიბრის**-ი [ლათ. exlibris წიგნებიდან] – მხატვრულად გაფორმებული ნიშანი, იარლიყი, რომელსაც აკრავენ წიგნს ყდის შიგნითა მხარეს და, რომელზედაც აღნიშნულია პატრონის გვარი.

**ექსპანსია** [ლათ. expansio გაფართოება, გავრცელება] – (წიგნ.) ახალი ტერიტორიების დაპყრობისკენ მისწრაფება; აგრესიული პოლიტიკა-საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გავრცელება სხვა ქვეყნებში.
⊙ **პოლიტიკური ე., ეკონომიკური ე.**

**ექსპანსიურ**-ი [ფრ. expansif < ლათ. expunsio] – ვინც თავის გრძნობებს ვერ ფარავს, ადვილად ამჟღავნებს.

**ექსპატრიაცია** და **ექსპატრირება** [ლათ. ex -გან, -იდან და patria სამშობლო] – ნებაყოფლობითი ან იძულებითი გასახლება სამშობლოდან, ჩვეულებრივ, მოქალაქეობის გამოცვლით.

**ექსპედიტორ**-ი [< ლათ. expedire გაგზავნა] – მუშაკი, რომლის საქმეა რისამე გაგზავნა და მიღება.
⊙ **ფოსტის ე., სავაჭრო ბაზის ე.**

**ექსპედიცია** [ლათ. expeditio] – ადამიანთა ჯგუფის გამგზავრება სპეციალური დავალების შესასრულებლად.
⊙ **სამეცნიერო ე., არქეოლოგიური ე; პოლარული ე.**
**2.** თვით ასეთი ჯგუფი.
⊙ **ე.-ის წევრები.**
◎ **საექსპედიციო.**
⊙ **ს. თანხები, ს. რაზმი.**

**ექსპერიმენტ**-ი [< ლათ. experimentum] – **1.** სამეცნიერო ცდა.
⊙ **ქიმიური ე.**
**2.** საერთოდ, ცდა.
⊙ **გაბედული ე.**
◎ **ექსპერიმენტული.**
⊙ **ე. გამოკვლევა, ე. მონაცემები.**
◎ **საექსპერიმენტო.**
⊙ **ს. ცხოველები.**
○ **ექსპერიმენტალური შცდ.**

**ექსპერიმენტატორ**-ი – პირი, რომელიც ექსპერიმენტს (მნიშვ. 1) აკეთებს.
⊙ **ბრწყინვალე ე.**

**ექსპერტ**-ი ლათ. expertus გამოცდილი] – სპეციალისტი, რომელიც იძლევა დასკვნის რაიმე საკითხის განხილვის დროს.
⊙ **სასამართლოს ე.**
◎ **საექსპერტო.**

⊙ **ს. კომისია, ს. დასკვნა.**

**ექსპერტიზა** [ფრ. expertise] – ექსპერტების მიერ რაიმე საკითხის განხილვა დასკვნის მისაცემად.

⊙ **სამედიცინო ე., სასამართლო ე.**

**ექსპლუატატორ**-ი [< ფრ. exploitation] – პირი, რომელიც ექსპლუატაციას უწევს ვისმე, ითვისებს სხვისი შრომის ნაყოფს (ქართ. სინონ. **მყვლეფელი**).

◎ **ექსპლუატატორული.**

○ **ექსპლოატატორი, ექსპლოატატორული შცდ.**

**ექსპლუატაცია** [ფრ. exploitation] და **ექსპლუატირება** – **1.** ვისიმე მიერ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება (ქართ. სინონ. **ყვლეფა**).

**2.** რაიმე მიზნით გამოყენება (ბუნებრივ სიმდიდრეთა, წარმოების საშუალებათა, ნაგებობათა და სხვ.).

⊙ **ავტომობილის ე., რკინიგზების ე.**

◎ **საექსპლუატაციო** (მნიშვ. 2-ისათვის).

⊙ **ს. ხარჯები, ახალი საცხოვრებელი სახლის ს.-დ გადაცემა.**

○ **ექსპლოატაცია, ექსპლოატირება, საექსპლოატაციო შცდ.**

**ექსპოზიცია** [ლათ. expositio ახსნა, გადმოცემა] – **1.** ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც აღწერილია ძირითადი მოქმედების წინარე ვითარება.

**2.** მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია მთავარი თემები.

**3.** ხელოვნების ნაწარმოებთა, სამუზეუმო ექსპონტების, მრეწველობის პროდუქტებისა და სხვ. გარკვეული სისტემით განლაგება დასათვალიერებლად; გამოფენა.

**4.** (ფოტოგრ.) დრო, რომლის განმავლობაშიც ფოტოაპარატის ობიექტივი ღიაა გადასაღებად: დაყოვნება.

**ექსპონატ**-ი [ლათ. exponatus საჩვენებლად გამოფენილი] – საგანი, რომელიც საჩვენებლად არის განლაგებული მუზეუმში ან გამოფენაზე.

⊙ **სამუზეუმო ე.-ები.**

**ექსპორტ**-ი [ინგლ. export < ლათ. exportare გატანა] – საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად (საპირისპ. **იმპორტი**).

⊙ **ავტომობილების ე.**

◎ **ექსპორტული** და **საექსპორტო.**

⊙ **ე. (ს.) საქონელი, ს. ოპერაციები.**

○ **ექსპორტიული შცდ.**

**ექსპორტიორ**-ი [ფრ. exporteur < ლათ; ინგლ. exporte] – ექსპორტის ორგანიზატორი, საზღვარგარეთ საქონლის გამტანი.

⊙ **ნავთობის ე. ქვეყნები.**

**ექსპრეს**-ი [ინგლ. express < ლათ. expressus გაძლიერებული] – **1.** სამგზავრო მატარებელი, რომელიც მიძრაობს დიდი სისწრაფით და ჩერდება მხოლოდ დიდ სადგურებში.

**2.** ითქმის აგრეთვე სამგზავრო გემზე, სარეისო ავტობუსზე, რომელსაც აქვს იშვიათი გაჩერება.

**ნახევრად ექსპრესი** – საქალაქო ავტობუსი, რომელსაც ჩვეულებრივ სარეისო ავტობუსებზე ნაკლები გაჩერება აქვს და ექსპრესზე მეტი.

○ **ნახევრადექსპრესი** (ერთ სიტყვად) და **ნახევარექსპრესი შცდ.**

**ექსპრეს...** [ინგლ. express სასწრაფო] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა მნიშვნელობით: „მომენტალური“, „სასწრაფო“, „ოპერატიული“.

⊙ **ექსპრესიული, ექსპრესია.**

**ექსპრესია** [ლათ. expressio] – გამომხატველობა; გრძნობების აღძვრის, განცდის ძალა.

◎ **ექსპრესიულობა; ექსპრესიული.**

**ექსპრესიონიზმ**-ი [ფრ. expressionisme < expression გამოხატვა, გამომხატველობა] – მიმართულება ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც წარმოიქმნა მე-20 საუკ.-ის პირველ ნახევარში: მისი მიმდევრები თავიანთ ძირითად ამოცანად თვლიდნენ მხატვრის შინაგანი სამყაროს, მისი სუბიექტური შემოქმედებითი განცდების ასახვას.

**ექსპრომტ**-ი [ლათ. expromtus მზა; სწრაფი; ვისიმე ხელით არსებული] – სახელდახელოდ შეთხზული ლექსი (ჩვეულებრივ, სახუმარო ხასიათისა), მუსიკალური ნაწარმოები და სხვ; მოუმზადებლად წარმოთქმული სიტყვა.

**ექსპრომტად** – მოუმზადებლად სახელდახელოდ.

**ექსპროპრიაცია** [ფრ. expropriation < ლათ. ex –გან და proprius საკუთარი] – **1.** (სამართ.) სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ქონების იძულებით ჩამორთმევა (სასყიდლის მიცემით ან უსასყიდლოდ).

**2.** ერთი კლასის მიერ მეორესათვის საკუთრების და, ამასთან ერთად, სოციალური მდგომარეობის ჩამორთმევა.

**ექსტაზ**-ი [ლათ. extasis < ბერძ. ex -გან, -იდან, გარეშე და statis სიმშვიდე, მდგომარეობა] – უკიდურესი, ავადმყოფური აღტაცება, თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება.

**ექსტენსიური**-ი [ლათ. extensivus რაც ფართოვდება] – რაც დაკავშირებულია რაოდენობრივ (და არა ხარისხობრივ) ზრდასთან, გაფართოებასთან (საპირისპ. ინტენსიური)

⊙ **ე. სოფლის მეურნეობა, ბაზრების ე. გაფართოება.**

**ექსტერიერ**-ი [ფრ. exterieus] – ცხოველის გარეგნული შესახედაობა და აგებულება.

**ექსტერნ**-ი [ლათ. externus გარეშე] – პირი, რომელიც სასწავლებელში არ ირიცხება და ისე აბარებს გამოცდებს.

⊙ **უნივერსიტეტი ე.-ად დაამთავრა.**

**ექსტრა**... [ლათ. extra] – თავსართი მნიშვნელობით: **1.** „გარეშე“, „მეტად“. „მეტისმეტად“.

⊙ **ექსტრემალური.**

**2.** „უკეთესი“,„საუკეთესო“. (ითქმის ზოგ საქონელზე). „უმაღლესი“.

⊙ **ექსტრასენსი. ჩაი ე; ე. კარაქი, ე. ბენზინი.**

**ექსტრადიცია** [ფრ. extradition < ლათ. ex -გან,-იდან, გარეშე და traditio გადაცემა] – (სამართ.). უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა იმ პირისა, ვინც ამ სახელმწიფოს კანონები დაარღვია.

**ექსტრავაგანტურ**-ი [ფრ. extravagant] – საყოველთაოდ მიღებული წესებისათვის, ნორმებისათვის შეუფერებელი: არაჩვეულებრივი, უცნაური, ახირებული.

**ექსტრაორდინარულ**-ი [ლათ. extraordinarius] – (წიგნ.). საგანგებო, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი.

⊙ **ე. შემთხვევა.**

○ **ექსტრაორდინალური შცდ.**

**ექსტრასენს**-ი [ლათ. extra მეტისმეტად და sensus გრძნობა, შეგრძნება] – ე. წ. „ბიოველის“ მქონე პირი, რომელიც ამ თავისი თვისებების გამოყენებით (ხელის დადებით) მკურნალობს ზოგიერთ დაავადებას.

**ექსტრაქტ**-ი [ლათ. extractus გამოღებული, გამოწურული] – **1.** პრეპარატი, რომელსაც იღებენ სამკურნალწამლო ნივთიერებების გამოწურვით მცენარეული და ცხოველური ქსოვილებიდან რაიმე გამხსნელს საშუალებით.

**2.** (გადატ.). თხზულების, დოკუმენტის და სხვ. შინაარსის მოკლედ, შეკუმშულად გადმო-

ცემა.

**ექსტრაქცია** [ლათ. extractio ამოღება,გამოღება] – (მედიც.). კბილის ამოღების ოპერაცია.

**ექსტრემიზმ**-ი [ლათ. extremus უკიდურესი] – უკიდურესი ზომების მომხრეობა (ჩვეულებრივ, პოლიტიკაში).

◎ **ექსტრემისტული.**

⊙ **ე. ძალები, ე. შეხედულებები.**

**ექსტრემისტ**-ი – ადამიანი, რომელსაც უკიდურესი მსოფლმხედველობა (შეხედულება, აზრი) აქვს; უკიდურესი ზომების მიღების მომხრე.

**ექსტრემულ**-ი და **ექსტრემალური** [ფრ. extrême < extremum უკიდურესი] – (წიგნ.). რაც ჩვეულებრივს სცილდება; უკიდურესი, განსაკუთრებული, მეტისმეტი (თავისი სირთულით, სიძნელით, საშიშროებით...).

⊙ **ე. პირობები, შეიქმნა ე. მდგომარეობა, სიტუაცია.**

**ექსცენტრიკული** [ფრ. excentrique] – **1.** (თეატ.) მკვეთრი < ლათ. ex -გან,-იდან, გარეშე და centrum ცენტრი] – ბგერით ან მხედველობით კონტრასტების, სასაცილო ხერხების შემცველი.

⊙ **ე. საცირკო ნომერი, ე. ტრიუკი.**

**2.** გადატ. (წიგნ.). უკიდურესად თავისებური, არაჩვეულებრივად.

⊙ **ე. ცეკვა, ე. ადამიანი.**

○ **ექსცენტრული, ეკსცენტრული შცდ.**

**ექსცეს**-ი [ლათ. excessus გამოსვლა; გადახრა] – **1.** რისამე ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა; მწვავე შეხლა-მოხლა.

**2.** უკიდურესობა, თავშეუკავებლობა, წრემადსულობა.

**ექსციზია** [ლათ. excisio] – (მედიც.). ამოკვეთა.

**ექს-ჩემპიონი** [ლათ. ex ყოფილი და ინგლ. champion < ფრ. champion მებრძოლი] – ყოფილი ჩემპიონი.

**ექსჰუმაცია** [ლათ. ex –გან, -იდან და humos miwa] – საფლავიდან გვამის ამოღება სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის მიზნით.

**ეშაფოტ**-ი [ფრ. échafaud] – (ძვ.). ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზედაც ხდებოდა სიკვდილით დასჯა.

**ეშელონ**-ი [ფრ. échelon] – სპეციალური დანიშნულების მატარებელი მასობრივი გადაზიდვებისათვის.

⊙ **სამხედრო ე., ე.-ის უფროსი.**

## ვ

**ვა-ბანკ**-ი [ფრ. Va banque] – **1.** ვა-ბანკზე თამაში ბანქოში – ფსონი, რომელიც მთელ ბანკს უდრის.
**2**. (გადატ.) რისკის გაწევა
**ვაგზალ**-ი [ინგლ. Vauxhall] – მგზავრთა მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა რკინიგზის დიდ სადგურზე.
⊙ **თბილისის ვ., ვაგზლის მორიგე.**
**საზღვაო ვაგზალი** – ამავე დანიშნულების შენობა საზღვაო პორტებში.
◎ **ვაგზლისა.**
○ **ვაგზალისა, სადგური შცდ.**
**სადგური** – მატარებლის (ან სხვა ტრანსპორტის) გაჩერების ადგილია (სათანადო შენობით), ხოლო **ვაგზალი** – არა ყოველი სადგურის, არამედ დიდი (ჩვეულებრივ საკვანძო) სადგურის შენობაა (დიდ ქალაქებში).
**ვაგონ**-ი [გერმ. Wagon] – სატრანსპორტო საშუალება – რელსებზე მოძრავი თვლებიანი საზიდარი.
⊙ **მატარებლის ვ., სამგზავრო ვ., სატვირთო ვ., ვ.-ის გამყოლი, მეტროპოლიტენის ვ., ფუნიკულიორის ვ.**
◎ **სავაგონო.**
⊙ **ს. დეპო.**
○ **რონოდა შცდ.**
**ვაზა** [ფრ. Vase] – ლამაზი მოყვანილობის ჭურჭელი ტკბილეულობის, ხილის ან ყვავილებისთვის, აგრეთვე დეკორატიული (სინონ. **ლარნაკი**).
⊙ **ბროლის ვ.**
**ვაკანსია** [ფრ. Vacanse < ლათ. Vacans დაუკავებელი, თავისუფალი] – დაუკავებელი თანამდებობა (დაწესებულებაში), თავისუფალი ადგილი (სასწავლებელში).
⊙ **ინსტიტუტში ორი ვ.-აა.**
**ვაკანტურ**-ი [ფრ. Vacant (e)] – დაუკავებელი, თავისუფალი (ადგილი, თანამდებობა).
⊙ **პროფესორის ვ. თანამდებობა.**
○ **ვაკანტიური შცდ.**
**ვაკუუმ**-ი [ლათ. Vacuum სიცარიელე] – (ფიზ., ტექ.) აირის ძალიან გაუხშოებული მდგომარეობა, თითქმის ცარიელი სივრცე.
◎ **ვაკუუმური.**
⊙ **ვ. სივრცე.**
○ **ვაკუმი, ვაკუმური შცდ.**
**ვალენტობა** [ლათ. Valens, valentia ძალა, (Valentis) ძალის მქონე] – (ქიმ.). ატომის თვისება შეუერთდეს სხვა ატომების გარკვეულ რაოდენობას

⊙ **მუდმივი ვ., ცვლადი ვ.**

**ვᲐᲚᲔᲢ**-ი [ფრ. Valet მსახური] – ფიგურა ბანქოში.

**ვᲐᲚᲞᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ** [კრებ. ძვ. გერმ.] – წმინდა ვალპურგიის დღესასწაულის (პირველი მაისის) წინაღამე, როდესაც, ძველი გერმანული ხალხური ცრურწმენით ჰარცის მთის უმაღლეს მწვერვალ ბროკენზე იმართება კუდიანებისა და ჯადოქრების ღრეობა.

○ **ვალპურგის შცდ.**

**ვᲐᲚᲡ**-ი [ფრ. Valse გერმ Walzer] – **1.** დიდად გავრცელებული წყვილთა ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

**2.** ამ ცეკვის რიტმის საკონცერტო (საორკესტრო, საფორტეპიანო და სხვ.) ნაწარმოები.

⊙ **შოპენის ვ.-ები.**

**ვᲐᲚᲢᲝᲠᲜᲐ** [რუს. валторна < გერმ. Walthorn სამონადირეო ბუკი] – სპილენძის სასულე საკრავი – სპირალურად მოხრილი მილი, რომელიც ბოლოში ფართოვდება.

**ᲛᲔᲕᲐᲚᲢᲝᲠᲜᲔ** – ვალტორნის დამკვრელი.

◎ **ვალტორნისა, მევალტორნისა.**

○ **ვალტორნასი, მევალტორნასი, „ვალტორნაზე უკრავს" შცდ.**

**ვᲐᲚᲢᲝᲠᲜᲘᲡᲢ**-ი – იგივეა, რაც მევალტორნე (იხ. ვალტორნა).

**ვᲐᲚᲣᲢᲐ** [იტ. Valuta ფართო ღირებულება] – **1.** ამა თუ იმ ქვეყნის ფულის სისტემა; ფულის ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სისტემას.

**2.** უცხო სახელმწიფოს ფული.

⊙ **მტკიცე ვ., ოქროს ვ.**

◎ **სავალუტო.**

⊙ **ს. ოპერაციები.**

○ **ვალიუტა, სავალიუტო შცდ.**

**ვᲐᲛᲞᲘᲠ**-ი [ფრ. Vampire, გერმ. Vampir] – გერმანულ და სლავურ თქმულებებში: **1.** ცრურწმენით; მიცვალებული, რომელიც ღამღამობით დგება საფლავიდან და ადამიანებს სწოვს სისხლს.

**2.** შეუბრალებელი, სისხლისმსმელი, ულმობელი ადამიანი.

**3.** ერთგვარი ღამურა; გავრცელებულია ტროპიკულ ამერიკაში.

**ვᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲘ** [გერმ. Vandalen] – **1.** ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მე-5 ს.-ის შუა წლებში დაიპყრო რომის იმერიის ნაწილი, გაძარცვა რომი და გაანადგურა მრავალი კულტურის ძეგლი.

**2.** (გადატ.) ისტორიულ ძეგლთა და კულტურულ ფასეულობათა

გამანადგურებელი ადამიანები (სინონ. **ბარბაროსები**)

**ვანდა́ლიზმ**-ი – ისტორიული ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა განადგურება (სინონ. **ბარბაროსობა**).

**ვანი́ლ**-ი [ფრ. Vanille ესპ.] – **1.** ტროპიკული მცენარე; ისხამს გრძელ წვრილ ნაყოფს.

**2.** ამ მცენარის გამხმარი სურნელოვანი ნაყოფი; იყენებენ კულინარიასა და პარფიუმერიაში.

⊙ **ვ.-ის ფხვნილი.**

◎ **ვანილიანი.**

⊙ **ვ. ნამცხვარი, ვ. ორცხობილა.**

**ვარია́ნტ**-ი [ლათ. Varians (variantis) ცვალებადი] – **1.** რისმე ნაირსახეობა, სახეცვლილება.

⊙ **პროექტის რამდენიმე ვ., ვ.-ების გათვლა** (ჭადრაკის პარტიაში).

**2.** რაიმე ნაწარმოების ან მისი ნაწილის ერთ-ერთი რედაქცია.

⊙ **„იესო ქრისტე – კაცობრიობის რაინდი"- ის პირელი ვ.**

**ვარია́ცია** [ლათ. Variantio ცვლილება] – **1.** (წიგნ.). იგივეა, რაც ვარიანტი (მნიშ. 1)

**2.** ჩვეულებრივ მრ.-ში ვარიაციები – მუსიკალური ნაწარმოები, ცეკვა და სხვ; რაც წარმოადგენს ძირითადი თემის გამეორებასა და დამუშავებას სხვადასხვა ცვლილებებით.

⊙ **პიესის ვ.-ები, თემა ვ.-ებით.**

◎ **ვარიაციული აღრიცხვა** – მათემატიკური ანალიზის ერთ-ერთი დარგი.

**ვარიე́ტე** [ფრ. Variete] – მსუბუქი ჟანრის (ესტრადის) თეატრი.

⊙ **ვარიეტესი.**

○ **ვარიეტისა შცდ.**

**ვასა́ლ**-ი [ფრ. Vassal ლათ. Vassalus] – **1.** შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: მემამულე, ფეოდალი, რომელიც დამოკიდებული იყო უფრო მსხვილ ფეოდალზე (სიუზერენზე).

**2.** გადატ. (წიგნ) ვინმეზე დამოკიდებული, ვისიმე ხელქვეითი პირი ან სახელმწიფო.

◎ **ვასალური.**

○ **ვ. დამოკიდებულება, ვ. სახელმწიფო.**

**ვატი́კან**-ი [ლათ. Vaticans ბორცვი (გორაკი) ტიბრის მარჯვენა სანაპიროზე რომში] – კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი; ამ ეკლესიის მეთაურის რომის პაპის – რეზიდენცია; წარმოადგენს ცალკე სახელმწიფოს ქ. რომის ცენტრში.

**ვაქცინა** [ლათ. Vaccinus ძროხისა] – პრეპარატი, რომესაც იყენებენ ინფექციურ დაავა-

დებათა წინააღმდეგ ასაცრელად.

**ვაქცინაცია** – (მედიც.) ვაქცინის შეყვანა ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში; ვაქცინით აცრა.

**ვახტ**-ი [ჰოლანდ. wacht] – (ზღვ.)
1. მორიგეობა გემზე.
⊙ **ვ.-ზე დგომა**
2. გემის ეკიპაჟის ნაწილი, რომელიც მორიგეობს; დროის მონაკვეთი, როდესაც ერთი ცვლა მორიგეობს.
⊙ **ვ.-ის მეთაური, ღამის ვ.**
◎ **სავახტო.**
⊙ **ს. ჟურნალი, ს. სამსახური.**
○ **ვახტა შცდ.**

**ვახტერ**-ი და **ვახტიორ**-ი [გერმ. wachter] – მორიგე დარაჯი დაწესებულებაში, საწარმოში.

**ვაუჩერ**-ი [ინგლ. Vaucher ხელწერილი, გასამართლებელი დოკუმენტი] – იგივეა, რაც საპრივატიზაციო ჩეკი.
◎ **ვაუჩერისა.**

**ვაჰაბიზმ**-ი [საკუთ. სახ. კრებ. არაბ. wahha სექტის დამაარსებელი] – ისლამის რელიგიურპოლიტიკური მოძღვრება.

**ვეგეტარიანელი** [ინგლ. Vegetarian – ადამიანი, რომელიც ხორცს არ ჭამს და მხოლოდ რძის პროდუქტებით და მცენარეულობით იკვებება.
◎ **ვეგეტარიანული.**
⊙ **ვ. საჭმელები, ვ. სასადილო.**
○ **ვეგეტერიანელი, ვეგეტერიანული შცდ.**

**ვეგეტარიანელობა** [ლათ. Vegetarios მცენარეული] – კვების სისტემა, რომლის მიხედვით დაუშვებელია ხორცის ჭამა.

**ვეგეტატიური** [ლათ. Vegetarius] – (ბიოლ.) რაც ცხოველებისა და მცენარეების კვებასთან არის დაკავშირებული.

**ვეგეტატიური ორგანოები** – მცენარის კვებისა და ზრდის ორგანოები (ფესვები, ღერო, ფოთლები).

**ვეგეტატიური გამრავლება** – მცენარეთა გამრავლება არასქესობრივი გზით

**ვეგეტატიური ნერვული სისტემა** – (ფიზიოლ.) ნერვული სისტემის ნაწილი, რომელიც აწესრიგებს საჭმლის მომნელებელი, სისხლის მიმოქცევის, სასუნთქი და სხვ. შინაგანი ორგანოების მოქმედებას.
◎ **ვეგეტაციური** – სხვაა (იხ. **ვეგეტაცია**).

**ვეგეტაცია** [ლათ. vegetatio] – (ბიოლ.) მცენარის სასიცოცხლო მოქმედება, მისი ზრდის პროცესი.
◎ **ვეგეტაციური** და **სავეგეტა-**

ციო.
⊙ ვ. – (ს) **პერიოდი.**

**ველო...** – სიტყვის შემოკლება „ველოსიპედის“.

**ველოდრომ-ი** [ლათ. velox (velocis) სწრაფი და dromos სარბიელი, რბოლა] – სპორტული ნაგებობა ველოსიპედებით შეჯიბრებისათვის (სინონ. ტრეკი).

**ველორიქშა** – რიქშა (მნიშვნ. 2), რომელიც ველოსიპედზე ზის და ისე მოძრაობს.
◎ **ველორიქშისა.**
○ **ველორიქშასი, ველორიკშა შცდ.**

**ველოსიპედ-ი** [ფრ. vēlosipēde] – ორ- ან სამთვლიანი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ზედ მჯდომს პედლებზე ფეხის დაჭერით.
**ველოსიპედის გამოგონება** – (საუბ.) ისეთი რისამე გამოგონება, რაც დიდი ხანია, ცნობილია, გამოგონებულია (ინჟინერთა წრეში ცნობილია ერთი ფაქტი, როდესაც ერთმა ვაი-გამომგონებელმა სკამს ცენტრში გამოაბა ფეხი – აქაო-და გამომგონებელი მერქვასო.
◎ **საველოსიპედო.**
⊙ ს. **სპორტი.**

**ველოსიპედისტ-ი** – ველოსიპედით მავალი, საველოსიპედო სპორტის მიმდევარი.

**ველოსპორტ-ი** – საველოსიპედო სპორტი.

**ველოტრეკ-ი** [იხ. ტრეკი] – იგივეა, რაც ველოდრომი.

**ვენა** [ლათ. vena] – (ანატ.) სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი ორგანოებიდან და ქსოვილებიდან მიედინება გულისაკენ (შდრ. **არტერია**).
◎ **ვენური.**
⊙ ვ. **სისხლი.**

**ვენდეტა** [ლათ. vendetta] – სისხლის აღების ადათი (უპირატესად სარდინიასა და კორსიკაზე).

**ვენერა, ვენუსი** [ლათ. Venus (Veneris] – **1.** რომაულ მითოლოგიაში: სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი.
**2.** დედამიწასთან ყველაზე ახლო მყოფი პლანეტა; ჩვეულებრივ ჩანს გათენებისას და მზის ჩასვლის შემდეგ. ცისკრის ვარსკვლავი.

**ვენერულ-ი** [< კრებ. ლათ. სნეულება (დაავადება)] – ინფექციური დაავადება (სიფილისი, გონორეა და სხვ.), რომელიც ჩვეულებრივ სასქესო ორგანოების გზით გადადის.
○ **ვენერიული შცდ.**

**ვენზელ-ი** [< პოლონ. vçsel კვანძი] – ერთმანეთზე მხატვრულად

გადახლართული ინიციალები (სახელისა და გვარის პირველი ასოები).

**ვენტილ**-ი [გერმ. ventil სარქველი] – **1.** (ტექ.) მილსადენებში, აპარატებში და მისთ.: სითხის ან აირის სარეგულაციო (ჩასაკეტი და გასაშვები) სარქველი.

**2.** (მუს.) სასულე მუსიკალურ საკრავებში: ერთგვარი სარქველი ბგერის სიმაღლის შესაცვლელად.

○ **ვინტილი შცდ.**

**ვენტილატორ**-ი [< ლათ. ventilator გამნიავებელი] – მოწყობილობა დახურულ სადგომებში ჰაერის გასაწმენდად.

○ **ვენტილიატორი, ვინტილატორი შცდ.**

**ვენტილაცია** [ლათ. ventilatio] – დახურული სადგომის განიავება ვენტილატორის საშუალებით.

◎ **სავენტილაციო.**

⊙ **ს. მილი, ს. მოწყობილობა.**

○ **ვენტილიაცია, ვინტილიაცია, სავენტილიაციო, სავინტილიაციო.**

**ვერანდა** [პორტ. ინგლ. veranda < ინდ.] – ღია ან დახურული აივანი სახლის გარშემო ან მისი ერთ-ერთი კედლის გაყოლებაზე.

⊙ **მომინული ვ.**

◎ **ვერანდიანი, ვერანდისა.**

⊙ **ვ. სახლი.**

○ **ვერანდასი შცდ.**

**ვერბალურ**-ი [ლათ. verbalis] – ზეპირი, სიტყვიერი.

⊙ **ვ. საშუალებები.**

**ვერდიქტ**-ი [ფრ. ინგლ. verdict < ლათ. vere dictum სარქველი] – (სამართ.) სასამართლო პროცესზე ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება მსჯავრდადებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხზე.

⊙ **გასამართლებელი ვ., გასამტყუნებელი ვ.**

**ვერლიბრ**-ი [ფრ. vers libre თავისუფალი ლექსი] – ლექსის ერთ-ერთი სახეობა; აგებულია უპირატესად ინტონაციურსინტაქსურ საფუძველზე და ყურადღება არ ექცევა ტაეპში მარცვალთა რაოდენობასა და მახვილს (სხვანაირად: თეთრი ლექსი).

**ვერმუტ**-ი [გერმ. Wermut] – დასპირტული ღვინო, რომელსაც არომატის მისაღებად დამატებული აქვს ზოგიერთი ბალახის (უნთავრესად აბზინდის) ნაყენი.

**ვერნისაჟ**-ი [ფრ. Vernissage] – სამხატვრო გამოფენის გახსნა, აგრეთვე მისი გახსნის დღე.

**ვერჟე** [ფრ. Verge] – ქაღალდის

სახეობა ბადის მაგვარი მოხატულობით, პარალელური ხაზების ორი სისტემისგან შემდგარი.

**ვერსია** [ფრ. Version ლათ. Versare სახის შეცვლა] – რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა, გადმოცემა, განმარტება (რამდენიმედან).

⊙ **ახალი ვ., უკანასკნელი ვ.**

**ვერტიკალ**-ი [ლათ. Verticalis მწვერვალისა] – ვერტიკალური, შვეული ხაზი (საპირისპირო, **ჰორიზონტალი**).

**ვერტიკალურ**-ი – რაც ჰორიზონტალურ სიბრტყესთან ქმნის მართ კუთხეს; შვეული (საპირისპ. **ჰორიზონტალური**).

⊙ **ვ. ხაზი**

**ვერფ**-ი [ჰოლანდ. werf] – გემების საშენებელი ან სარემონტო საწარმო.

**ვესტა** [ლათ. Vesta] – **1.** რომაული მითოლოგიაში ოჯახური კერის მფარველი ქალღმერთი.

**2.** (ასტრ.) ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა.

**ვესტერნ**-ი [ინგლ. western დასავლეთისა] – სათავგადასავლო კინოფილმი, რომელშიც მოქმედება ვითარდება ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთის შტატებში მე-19 ს.-ში.

**ვესტიბიულ**-ი [ფრ. Vestibule] – დიდი დარბაზი საზოგადოებრივი შენობის სხვა ნაწილების შესასვლელის წინ.

⊙ **თეატრის ვ., სასახლის ვ., მეტროს ვ.,**

○ **ვესტიბული შცდ.**

**ვეტერან**-ი [ლათ Veteranus მოხუცი, ძველი ჯარისკაცი] – **1.** ძველი გამოცდილი მეომარი: ომგადახდილი მებრძოლი

**2.** ძველი დამსახურებული მუშაკი, მოღვაწე.

⊙ **შრომის ვ., თეატრის ვ.**

**ვეტერინარ**-ი – ვეტერინარიის სპეციალისტი; საქონლის ექიმი (ძვ. სინონ. **ბეითალი**).

◎ **ვეტერინარული** და **სავეტერინარო.**

⊙ **ვ. (ს.) ინსტიტუტი.**

**ვეტერინარია** [ლათ. Veterinarius საქონლის მომვლელი] – მეცნიერება ცხოველების დაავადებათა და მათი მკურნალობის შესახებ; ცხოველთა მკურნალობა

◎ **ვეტერინარიული** და **სავეტერინარიო.**

⊙ **ვ. (ს.) პუნქტი, ვ. (ს.) დახმარება.**

⊙ იხმარება აგრეთვე **ვეტერინარული** და **სავეტერინარო**, რაც **ვეტერინარი**-ს ზედსართავი სახელებია.

○ **ვეტერინალური შცდ.**

**ვეტო** [ლათ. Veto ვკრძალავ] – **1**. საერთაშორისო და სახელმწიფო სამართალში; აკრძალვა, რომელსაც ადებს ერთი სახელმწიფო ორგანო მეორის გადაწყვეტილებას; ვეტოს უფლება ჩვეულებრივ აქვს სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტის გადაწყვეტილებათა მიმართ.

**2**. საერთაშორისო სამართალში: სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს (სადაც საკითხები წყდება ერთხმად) ერთ-ერთი წევრის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი წინააღმდეგია უმრავლესობის გადაწყვეტილებისა; ხორციელდება ხმის მიცემით.

⊙ **ვ.-ს უფლება.**

**ვეტოს დადება** – რისამე აკრძალვა

**ვექსილ-ი** [< გერმ. Wechsel გამოცვლა, შეცვლა, დახურდავება] – სათანადოდ გაფორმებული სავალო ხელწერილი, რომელიც შეიცავს ვალდებულებას გადაიხადონ გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში; (ქართ. სინონ. **თამასუქი**).

**ვექსილოლოგია** – [ლათ. Vexillum დროშა] – მეცნიერება, რომელიც დროშებს, მათ წარმოშობას სწავლობს.

**ვექტორ**-ი [ლათ. Vektor წამყვანი] – მათემატიკური ან ფიზიკური სიდიდე,რომელიც ხასიათდება რიცხობრივი მნიშვნელობით და მიმართულებით.

◎ **ვექტორული.**

⊙ **ვ. სიდიდე.**

○ **ვექტორი შცდ**.

**ვიაგრა** [ლათ. Viagra] – (სამედიც.) მამაკაცის იმპოტენციის საწინააღმდეგო პრეპარატი, დამზადებულია ქიმიური ნივთიერებებით; გამოიყენება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით;

**ვიადუკ**-ი [ფრ. Viaduc < ლათ. Via გზა და duco მიმყავს] – ხეობაზე, ხევზე გაყვანილი ხიდი, ხიდისებური ნაგებობა.

**ვიაკრემე** [ლათ. Viacreme] – (სამედიც.) პარტნიორთან ქალის სექსუალური კონტაქტების დროს დისჰარმონიის საწინააღმდეგო პრეპარატი; დამზადებულია ფლორის – მცენარეთა სამყაროთა საფუძველზე; აბსოლუტურად უვნებელია.

**ვიბრამ**-ი – მთაში სასიარულო ან სათხილამურო სქელლანჩიანი ფეხსაცმელი.

**ვიბრატორ**-ი [ლათ. Vibrare რხევა, ქანაობა; კანკალი] – რხევითი მოძრაობის წარმოსაქმნელი მოწყობილობა

**ვიბრაცია** [ლათ. Vibratio] – დრეკადი სხეულის რხევითი მოძრაობა; არხევა, თრთოლა.

**ვიბრიონ**-ი [ფრ. Vibrion] – ბაქტერია ერთგვარი

⊙ ქოლერის ვ.

**ვიბრო...** [< ლათ. Vibrare რხევა, კანკალი] – რთულ სიტყვებში უჩვენებს მოცემული სიტყვების დამოკიდებულებას რხევასთან.

**ვიბროფონ**-ი [< ლათ. Vibrare რხევა, კანკალი და phone ხმა] – ჯაზში – დასარტყმელი ინსტრუმენტი რხევითი ბგერების გამოსაცემად.

**ვიგვამ**-ი [ინგ. Wigwam < ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ერთ-ერთი ენიდან] – ჩრდ. ამერიკის ინდიელთა (კერძოდ ალგონკინების) საცხოვრებელი გუმბათისებური ქოხი. აკეთებენ ხის ტოტების ლერწმისგან.

**ვიდეო...**[1] [ლათ. Video ვხედავ] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი მნიშვნელობით „ვხედავ"

⊙ **ვიდეოკლიპი, ვიდეოტელეფონი.**

**ვიდეო...**[2] [ინგლ. Video ტელევიზია ლათ. Video ვხედავ] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; მიუთითებს ელექტრონულ-სხივური მილაკის ეკრანზე რთული სატელევიზიო, რადიოლოკაციური და სხვა სიგნალების გამოსახულებასთან კავშირზე.

⊙ **ვიდეომაგნიტოფონი, ვიდეოსიგნალი, ვიდეოტელეფონი.**

**ვიდეოკლიპ**-ი [ინგლ. Video ტელევიზია და clip ამოჭრა; ამონაჭერი] – ტელეგადაცემაში: ჩანართი, რომელიც შედგენილია სწრაფად ცვლადი სხვადასხვა სურათისგან, რეკლამისგან და რომელსაც ხშირად ახლავს მუსიკა.

**ვიდეომაგნიტოფონ**-ი [ინგლ. Video ტელევიზია ბერძ. magnetis მაგნიტი და phone ბგერა] – აპარატი, რომლითაც ხდება სატელევიზიო პროგრამების მაგნიტურ ლენტზე ჩაწერა და შემდეგ მათი კვლავწარმოება

⊙ **ვიდეომაგნიტოფონი შცდ.**

**ვიდეოტელეფონ**-ი [ინგლ. Video ტელევიზია და ბერძ. tele შორს და phone ბგერა] – ტელეფონი, რომელიც მოლაპარაკის ხმასთან ერთად მის გამოსახულებასაც გადმოსცემს.

⊙ **ვ.-ის ეკრანი.**

**ვივიპარია** [ლათ. viviparus ცოცხალმშობი vivus ცოცხალი და parare შობა] – (ბიოლ.) ცოცხლად (და არა კვერცხის

დადებით) შობა.

**ვივისექცია** [ლათ. vivus ცოცხალი და sectio გაკვეთა] – ცხოველის ცოცხლად გაკვეთა რაიმე ორგანოს ფუნქციის შესწავლის მიზნით.

**ვიზა** [ლათ. visa ნახული] – **1.** სახელმწიფოში შესვლის, იქიდან გამგზავრების ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა, რომელიც იძლევა ამ სახელმწიფოს მთავრობა (აღინიშნება პასპორტში).
**2.** თანამდებობის პირის წარწერა რაიმე დოკუმენტზე, რაც ნიშნავს, რომ ეს პირი იცნობს დოკუმენტის შინაარსს და ეთანხმება მას.

**ვიზავ**-ი [ფრ. vis-à-vis] **1.** (ზმნისართი) ვისიმე პირისპირ, პირდაპირი.
**2.** ვისიმე პირდაპირ მდგომი ან მჯდომი პირი.

**ვიზიონ**-ი [გერმ. vision] – (წიგნ.). ადამიანის წარმოსახვით, წარმოდგენით შექმნილი არარეალური რამ; მოჩვენება.

**ვიზიტი** [ფრ. visite] – მცირე ხნით მისვლა ვინმესთან ჩვეულებრივ ოფიციალურად.
⊙ **ვ.-ის დრო, პრეზიდენტის ვ.**
◎ **სავიზიტო.**
⊙ **ს. კოსტიუმი.**
**სავიზიტო ბარათი** – მკვრივი ქაღალდის პატარა ბარათი, რომელზედაც დაბეჭდილია მისი პატრონის გვარი, სახელი, წოდება, მისამართი; გადასცემენ ხოლმე მეორე პირს – გაცნობისას მასთან სტუმრობისას და ზოგ სხვა შემთხვევაში.

**ვიზუალური** [ლათ. visualis] – მხედველობითი; თვალით წარმოებული.
⊙ **ვ. დაკვირვება.**

**ვიკინგები** [სკანდ. viking (მხ).] – სკანდინაველი მეომარი მეზღვაურები მე-8-11 სს-ში.

**ვიკონტ**-ი [ფრ. vikomte] – დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში (ინგლისში ჩვენს დრომდე): თავადაზნაურული ტიტული, საშუალო ბარონსა და გრაფს შორის; ამ ტიტულის მქონე პირი.

**ვილა** [ლათ. villa] – მდიდრული სახლი ქალაქგარეთ; მდიდრული ადგილ-მამული, აგარაკი.
◎ **ვილისა.**
○ **ვილასი, ვილლა შცდ.**

**ვიმპელ**-ი [ჰოლანდ. wimpel] – **1.** ბოლოში ორად გაყოფილი გრძელი და ვიწრო ალამი, რომელიც აღმართულია სამხედრო გემის ანძაზე (გემის ეროვნული კუთვნილების აღსანიშნავად).
**2.** პატარა სამკუთხედი ალამი

რისამე ნიშნად.

**3.** თვითმფრინავიდან ჩამოსაგდები გრძელლენტიანი პაკეტი, კოლოფი ან მილი, რომელშიც მოთავსებულია მფრინავის პატაკი, ან ფოსტა.

**ვინდსერფინგ**-ი [ინგლ. windsurfing, wind ქარი surfing, surf ზვირთცემა] – სპორტის სახეობა, აფრიან სპეციალურ დაფაზე რბოლა.

**ვინეგრეტ**-ი [ფრ. vinaigrette vinaigre ძმარი] – ცივად საჭმელი კერძი – წვრილად დაჭრილი სხვადასხვა ბოსტნეული, კარტოფილი, კირკაჟად მოხარშული ლობიო, ერთმანეთში არეული, რაც ძმრით, ზეთით და სხვა საკაზმით არის შენელებული.

**ვინიეტ**-ი [ფრ. vignette] – წიგნის (ძვ. ხელნაწერის) თავში ან ბოლოში დართული სამკაული – რაიმე ნახატი, ორნამენტი.

⊙ **ვინიეტკა შცდ.**

**ვინჩესტერ**-ი < [საკუთ. სახ.] – ერთგვარი სანადირო თოფი (გამომგონებლის გვარის მიხედვით).

**ვიოლა** [იტ. viola] – ძველებური საკრავი – ვიოლინოს წინაპარი; გავრცელებული იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მე-15-18 სს-ში.

⊙ **ვიოლისა.**

○ **ვიოლასი შცდ.**

**ვიოლინო** [იტ. viollino] – ყველაზე მაღალი ტემბრის მქონე ოთხსიმიანი საკრავი, რომელსაც ხემით უკრავენ.

⊙ **კონცერტი ვ.-ს ორკესტრისათვის.**

**პირველი ვიოლინო** – მთავარი ვიოლინო ორკესტრში.

**ვიოლინოს გასაღები** – (მუს.) სანოტო სტრიქონის დასაწყისში დასმული ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც მიუთითებს მაღალ ხმებზე.

**მევიოლინე** – ვიოლინოს დამკვრელი მუსიკოსი.

◎ **სავიოლინო;**

**სავიოლინო კონცერტი**– სიმფონიური ნაწარმოები, რომელშიც მთავარი პარტია განკუთვნილია ვიოლინოსათვის; ასეთი ნაწარმოების შესრულება.

◎ **მევიოლინისა.**

○ **მევიოლინესი შცდ.**

⊙ **„ვიოლინოს უკრავს", „ვიოლინო დაუკრა", „ვიოლინოს დამკვრელი",**

○ **„ვიოლინოზე უკრავს"... შცდ.**

**ვიოლონჩელ**-ი [იტ. violoncello] – ვიოლინოს ტიპის, მაგრამ მასზე დიდი ოთხსიმებიანი საკრავი; აქვს ფეხი, რომლითაც დაკვრის დროს იატაკზე იდგმება.

⊙ იხმარება აგრეთვე **ჩელო** და **ვიოლინჩელო.**

**ვირაჟ**-ი [ფრ. virage მობრუნება] – **1.** მობრუნება, მოხვევა დაგვერდებით, მრუდხაზოვანი მოძრაობა (თვითმფრინავის, ავტომობილისა, გემისა და სხვ).

⊙ **თვითმფრინავმა ვ. გააკეთა, თვითმფრინავი ვ.-ში შევიდა** (ე. ი. მფრინავმა ვ. დაიწყო).

**2.** საავტომობილო გზის ველოტრეკის ან სპორტული ბილიკის მონაკვეთი, რომელიც შიგნით არის დახრილი (ავტომობილის, ველოსიპედის, მოტოციკლის და სხვ. მრუდხაზოვანი მოძრაობისთვის).

⊙ **ციცაბო ვ.**

**ვირილიზმ**-ი [< ლათ. virilis მამაკაცის] – ქალებში მეორეული მამაკაცური სქესობრივი ნიშნების (ულვაშების, მამაკაცური აგებულების, ბოხი ხმის ...) წარმოქმნა.

**ვირტუალურ**-ი [ლათ. virtualis] – რაც შეიძლება გამოვლინდეს სათანადო პირობებში.

**ვირტუოზ**-ი [იტ. virtuoso] – **1.** მსახიობი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების ტექნიკას (უპირატესად მუსიკოსზე ითქმის).

**2.** საერთოდ ადამიანი, რომელიც დიდად არის დახელოვნებული თავის საქმეში.

◎ **ვირტუოზული.**

⊙ **ვ. დაკვრა, ვ. თამაში.**

**ვირუს**-ი [ლათ. virus შხამი] – გადამდები დაავადების გამომწვევი უწვრილესი მიკროორგანიზმები, რომელიც ძლივს ჩანს ან სულ არ ჩანს მიკროსკოპში.

◎ **ვირუსული.**

⊙ **ვ. გრიპი, მცენარეთა ვ. დაავადებანი.**

**ვირუსოლოგია** [ლათ. virus შხამი და ბერძ. logos მოძღვრება] – მეცნიერება რომელიც ვირუსებს შეისწავლის.

**ვისკ**-ი [ინგლ. whisky კელტ. (გალების) uisge წყალი] – არაყი ინგლისში და აშშ-ში; დამზადებულია ქერის ალაოსაგან.

⊙ **შოტლანდიური ვ.**

**ვისკოზა** [ლათ. viscosus წებოვანი] – **1.** სქელი, ბლანტი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ცელულოზისგან; იყენებენ ხელოვნური აბრეშუმის, ცელოფნის და სხვ. მასალების დასამზადებლად.

**2.** ხელოვნური აბრეშუმი.

⊙ **ვ.-ის პერანგი.**

◎ **ვისკოზური.**

⊙ **ვ. აბრეშუმი.**

**ვისტ**-ი [ინგლ. wist] – **1.** ბანქოს თამაში ერთგვარი.

**2.** კარტის გარკვეული კომბი-

ნაცია პრეფერანსის, ბოსტონის თამაშში.

**ვიტამინ**-ი [ლათ. vita სიცოცხლე და ბერძ. ammoniakon ნიშადური. ფისოვანი გემფისი (ამიაკი)] – სხვადასახვაგვარი ქიმიური შემადგენლობის ორგანული ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური სასიცოცხლო მოქმედებისათვის, სასიცოცხლო ძალების აღდგენისათვის; ასეთი ნივთიერების შემცველი პრეპარატია.
⊙ **ვიტამინები A, B, C, P …**
◎ **ვიტამინიანი.**
⊙ **ვ. დრაჟე.**

**ვიტრაჟ**-ი [ფრ. vitrage] – ფერადი მინებისაგან გამოყვანილი სურათი ან ორნამენტი (სარკმელში და მისთ.).

**ვიტრინა** [ფრ. vitrine] – **1.** მაღაზიის დიდი ფანჯარა, რომელშიც გამოფენილია გასაყიდი საქონლის ნიმუშები.
⊙ **გემოვნებით გაფორმებული ვ.**
**2.** მომინული კარადა, ყუთი, დაფა და სხვ., სადაც გამოფენილია სხვადასხვა ნივთი.
⊙ **მუზეუმის ვ.-ები, მაღაზიის დახლზე მოწყობილი ვ., გაზეთების ვ. ქუჩაში.**

**ვიქტორია** [ლათ. victoria] – **1.** რომაულ მითოლოგიაში, გამარჯვების ქალღმერთი.
2. ბაღის ერთგვარი მსხვილი მარწყვი.
3. იგივეა რაც **ვიქტორია-რეგია.**

**ვიქტორია-რეგია** [ლათ. Victoria Regia] – წყლის დიდი მცენარე დუმფარას ოჯახიდან 2 მ-დე დიამეტრის მრგვალი ფოთლებით; იზრდება ეკვატორულ სამრეთ ამერიკაში; ევროპაში ვიქტორია-რეგია გამოჰყავთ ორანჟერეაში.

**ვიქტორინა** – თამაში ერთგვარი – ცოდნის სხვადასხვა დარგთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.
⊙ **ლიტერატურული ვ., მუსიკალური ვ.,**
◎ **ვიქტორინისა.**
○ **ვიქტორინასი შცდ.**

**ვიცე**… [ლათ. vice ნაცვლად, მაგიერ] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს მოადგილეს, შემცვლელს.
⊙ **ვიცეპრეზიდენტი.**

**ვიცე-ადმირალ**-ი – ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო წოდებულება საზღვაო ფლოტში, ადმირალზე დაბალი და კონტრ-ადმირალზე მაღალი.

**ვიცე-პრეზიდენტი** – პრეზიდენტის მოადგილე.

**ვოდევილ**-ი [ფრ. vaudeville] –

მოკლე კომიკური პიესა, რომელშიც სასიმღერო კუპლეტები და ცეკვებია ჩართული; (ერთი ან ორმოქმედებიანი მსუბუქი პიესა).

**ვოიაჟ**-ი [ფრ. vayage] – (მოძვ. ახლა ირონ.) – მოგზაურობა.

**ვოკალიზ**-ი [ფრ. vocalize] – (მუს.) მომღერლის ხმისთვის განკუთვნილი უტექსტო სავარჯიშო; სრულდება მხოლოდ ხმოვანი ბგერების გადმოცემით.

**ვოკალისტ**-ი – პროფესიონალური მომღერალი.

⊙ **ვ-თა კონკურსი.**

**ვოკალურ**-ი [იტ. vocale ხმოვანი] – სიმღერასთან დაკავშირებული; სასიმღერო.

⊙ **ვ. მუსიკა, ვ. ხელოვნება.**

**ვოლან**-ი [ფრ. volant მფრინავი] – ფრთების ან ტალღოვანი ჩარჩოს მქონე მსუბუქი ძაბრისებური ბურთი ბადმინტონის სათამაშოდ.

**ვოლეი** [ინგლ. wolley] – (სპ.) ბურთის მიღება (დარტყმა) ჰაერშივე (ჩოგბურთში და სხვ.)

⊙ უფრო სწორია **ვოლი.**

**ვოლიერ**-ი [ფრ. voliere] – შემოღობილი ადგილი ცხოველებისათვის.

⊙ **ზოოპარკის ვ.**

**ვოლტიჟირება** [ფრ. voltiger] – გაჭენებულ ცხენზე ვარჯიში – შეხტომა – ჩამოხტომა.

**ვოლტმეტრ**-ი – ელექტროწრედის ორ წერტილს შორის არსებული დენის ძაბვის საზომი ხელსაწყო.

**ვოლუნტარიზმ**-ი [ლათ. voluntarius ნებისყოფისა] – თვითნებური გადაწყვეტილებანი, რომლებიც უგულებელყოფის ობიექტურად არსებულ პირობებს და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებებს.

○ **ვოლიუნტარიზმი შცდ.**

**ვოლუნტარისტ**-ი – პირი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობას მხოლოდ საკუთარი ნებით, უგულებელყოფს ობიექტურად არსებულ პირობებს, რეალურად არსებულ ვითარებას, შესაძლებლობებს.

○ **ვოლიუნტარისტი შცდ.**

**ვოლფრამ**-ი [გერმ. wolfram] – ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ძნელდნობადი ლითონი.

**ვოტუმ**-ი [ლათ. vofum სურვილი] – პარლამენტებში: კენჭისებური მიღებული გადაწყვეტილება.

**ნდობის (უნდობლობის) ვოტუმი** – პარლამენტში ხმის მიცემით მიღებული გა-

დაწყვეტილება, რომლითაც გამოხატულია მთავრობის ან მის რომელიმე წევრის მოღვაწეობის მოწონება (არმოწონება).

⊙ **მთავრობის ნდობის (**ან **უნდობლობის) ვ.**

**ვუალ**-ი [ფრ. voile] – წმინდა, გამჭირვალე ქსოვილის ან ბადის ნაჭერი, რომელიც უკეთდება ქალის ქუდს სახის დასაფარავად.

◎ **ვუალიანი.**

⊙ **ვ. ქალი.**

**ვულგარიზაცია** [ლათ. vulgaris უბრალო ჩვეულებრივი] – უკიდურესი გაყალბება, დამახინჯება.

⊙ **საკითხის ვ.**

**ვულგარიზმ**-ი – ვულგარული, უხეში სიტყვა ან გამოთქმა, სალიტერატურო ენაში ნახმარი.

**ვულგარულ**-ი [ლათ. vulgaris ჩვეულებრივი, მდაბიური] – უხამსი, უხეში.

⊙ **ვ. გამოთქმა, ვ, მანერები.**

**ვულკან**-ი [< ლათ. Vulcanus ცეცხლი, ალი] – **1.** კონუსური მთა, რომლის მწვერვალზე დროდადრო ან მუდმივად ამოიფრქვევა გამდნარი ქანები (ლავა), გახურებული გაზები და ფერფლი.

**2.** რომაულ მითოლოგიაში: ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი: (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ჰეფესტოსი).

**ვულკანოლოგია** [ლათ. vulcanus ცეცხლი, ალი და logos მოძღვრება] – ვულკანის შემსწავლელი მეცნიერება.

**ვუნდერკინდ**-ი [გერმ. wunderkind საოცარი ბავშვი, ბავშვი-სასწაული] – არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვი.

⊙ **ვუნდერქინდი შცდ.**

## ზ

**ზალპ**-ი [რუს. залп < ლათ. salve სალამი!] – ერთდროული დაცლა რამდენიმე თოფისა, ზარბაზნისა (ქვემეხისა).

**ზამშ**-ი [პოლონ. samsza] – ხავერდოვანი ზედაპირის მქონე რბილი ტყავი (ქართ. **ნატი**).

⊙ **ზ.-ის ფეხსაცმელი.**

○ **ზამშა შცდ.**

**ზებრა** [ფრ. zebre, ინგლ. ჰოლანდ. zebra კონგოს ენიდან] – ცხენის მაგვარი გარეული ცხოველი;. აქვს შავი და თეთრი ზოლები; ბინადრობს აფრიკაში.

⊙ **ზებრას თეთრი ზოლები აქვს შავ ფონზე თუ შავი ზოლები თეთრ ფონზე** (პირიქით)?

**ზებუ** [ფრ. zebu] – კუზიანი ხარი;

შინაური ცხოველი, რომელიც გავრცელებულია აზიასა და აფრიკაში.

**ზევს**-ი [ბერძ. zeus] – ბერძნულ მითოლოგიაში: უზენაესი ღმერთი; ღმერთი ცისა, ქუხილისა, ელვისა და წვიმისა; ითვლება ღმერთების და ადამიანების მამად და მეფედ.

**ზენიტ**-ი [ფრ. zenith არაბ. samt (ur-ra's) გზა (თავისა) – **1**. ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი დამკვირვებლის თავზე.

⊙ **მზე ზ.-ში იყო; დიდების ზ.**

**2**. გადატ. (წიგნ.) რისამე განვითარების უმაღლესი საფეხური, მწვერვალი.

**საზენიტო** – (სამხ.) რაც განკუთვნილია საჰაერო მიზანში (თვითმფრინავებისთვის და სხვ.) სასროლად.

⊙ **ს. არტილერია, ს. ცეცხლი.**

**ზერო** [ფრ. zero ნული] – ნული ქულა; ნული.

**ზეტ**-ი [ფრ. zet] – ლათინური ანბანის ბოლო ასოს (z-ის) სახელი; მათემატიკაში იხმარება უცნობი სიდიდის აღსანიშნავად იქსსა და იგრეკთან ერთად.

**ზიკურათ**-ი [აქად. ziqquratu] – საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი ძველი მესოპოტამიაში (ბაბილონსა და ასირიაში).

**ზიუდ**-ი [გერმ. sûd, ჰოლანდ. zuiden] – **1.** სამხრეთი.

**2**. სამხრეთის ქარი.

**ზიუდ-ვესტ**-ი [გერმ. sûd-west, ჰოლანდ zuid-west] – **1**. სამხრეთ-დასავლეთი.

**2**. სამხრეთ-დასავლეთის ქარი.

**ზიუდ-ოსტ**-ი [გერმ. sûd-ost, ჰოლანდ. zuid-oost] – **1**. სამხრეთ-აღმოსავლეთი.

**2**. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

**ზოდიაქო** [<ბერძ. zôdiakos (kyklos) ცხოველების (წრე)] – (ასტრ.) თორმეტი ეკლიპტიკის თანავარსკვლავედი, რომლებიც განლაგებულია დიდი წრის გასწვრივ, რომელთა გავლითაც მოძრაობს მზე წლის განმავლობაში.

**ზოდიაქოს ნიშნები** – აღნიშვნა თორმეტი თანავარსკვლავედისა, რომელთაც აქვთ უპირატესად ცხოველთა სახეები: ვერძი, კურო, ლომი, ღრიანკალი და სხვ.

○ **ზოდიაკი, ზოდიაქი შცდ.**

**ზოილ**-ი – იტყვიან უსამართლო ღვარძლიან კრიტიკოსზე [ძვ. ბერძენი რიტორისა და სოფისტის ზოილის (მე-4 ს. ძვ. წელთაღრ.) სახელის მი-

ხედვით – უსამართლოდ აკრიტიკებდა ჰომეროსის „**ილიადასა**" და „**ოდისეას**".

**ზᲝᲜᲐ** [ბერძ. zone სარტყელი,ოლქი] – რაიმე საერთო ნიშნის მიხედვით გამოყოფილი სივრცე, ზოლი, რაიონი.

⊙ **არქტიკის ზ., სასაზღვრო ზ., აკრძალული ზ., საარტილერიო ცეცხლის ზ.**

◎ **ზონალური.**

⊙ **ზ. საზღვრები, ზ. თათბირი, ზ. სპარტაკიადა.**

**ზᲝᲜᲓ**-ი [<ფრ. sonde საცეცი] – **1.** საექიმო ხელსაწყო – წვრილი მილი ან ღარი, რომელიც შეჰყავთ ადამიანის სხეულის ღრუებსა და არხებში გამოკვლევის ან მკურნალობის მიზნით.

⊙ **კუჭის ზ., ქირურგიული ზ.**

**2.** საჰაერო ბურთი, რომელიც ატმოსფეროს ზედა ფენებში ავტომატურად იწერს მეტეოროლოგიურ მონაცემებს.

⊙ **ზ-ის გაშვება.**

**ზᲝᲜᲓᲐᲟ**-ი [< ფრ. sondage] და **ზᲝᲜᲓᲘᲠᲔᲑᲐ** [გერმ. sondieren] – ზონდით რისამე გასინჯვა.

⊙ **ჭრილობის ზ.**

**2.** გადატ. (წიგნ.) წინასწარ რისამე გარკვევა, ნიადაგის მოსინჯვა; დაზვერვა.

**ზᲝᲝ...** [ბერძ. zōon ცხოველი] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი მნიშვნელობით „ცხოველთა სამყაროს ეხება".

⊙ **ზოომაღაზია.**

**ზᲝᲝᲚᲝᲒᲘᲐ** [ბერძ. zōon ცხოველი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც ცხოველთა სამყაროს სწავლობს.

◎ **ზოოლოგიური.**

⊙ **ზ. მუზეუმი.**

**ზᲝᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲙᲘ** (მოკლედ: **ზᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘ**) – პარკი (ბაღი), სადაც თავმოყრილია საჩვენებლად და მეცნიერული დაკვირვებისათვის ნაირ-ნაირი ცხოველები და ფრინველები.

**ზᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ** [zōon ცხოველი და < ბერძ. techne ოსტატობა, ხელოვნება] – მეცნიერება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენების, მოვლისა და გამოყენების შესახებ.

◎ **ზოოტექნიკური.**

⊙ **ზ. ინსტიტუტი, ზ. ლაბორატორია, ზ. მომსახურება.**

**ზᲝᲠᲝᲐᲡᲢᲠᲘᲖᲛ**-ი – ძველ შუა აზიაში, ირანში, ავღანეთში, აზერბაიჯანში და ზოგ სხვა ქვეყანაში გავრცელებული რელიგია; მისთვის დამახასიათებელია ცეცხლთაყვანისმცემლობა, წარმოდგენა ორი საწყისის – სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე და სხვ. გადმოცემით ზ.-ის შექმნა მიეწერება ძვ. ირა-

ნული რელიგიის წინასწარმეტყველის ზარატუშტრას (ბერძნული წყაროებით – ზოროასტრს,აქედან – სახელწოდება).

**ზუმერ**-ი [გერ. Summer] – ელექტრული ხელსაწყო ხმოვანი სიგნალების მისაღებად (ქართ. სინონ. **ზუზუნა**).

⊙ **საველე ტელეფონის ზ.**

## თ

**თალასოთერაპია** [ბერძ. Thalassa ზღვა და Therapeia] – ზღვის ჰავითა და ზღვაში ბანაობით მკურნალობა; მზის აბაზანები.

**თალია** [ბერძ. thaleia] – ბერძნულ მითოლოგიაში, კომედიის მუზა.

**თალმუდ**-ი [ძვ. ებრ. talmūδ მოძღვრება < lāmaδ სწავლება] – ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; შედგენილია ბიბლიის („ძველი აღთქმის") წიგნების განმარტებათა საფუძველზე.

**თეატრ**-ი [ბერძ. Theatron] – **1.** ხელოვნების დარგი – დრამატულ ნაწარმოებათა სცენაზე წარმოდგენა – განხორციელება.

⊙ **ქართული თ.**

**2.** დაწესებულება, რომელიც ახორციელებს წარმოდგენების დადგმას; ასეთი დაწესებულების შენობა.

⊙ **შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თ., თ-ის მთავარი რეჟისორი.**

◎ **თეატრალური** და **სათეატრო.**

⊙ **თ. (ს.) ხელოვნება, თ. (ს.) ინსტიტუტი, თ. (ს.) საზოგადოება, თ. (ს). სეზონი, თ (ს.) ჟურნალი.**

**თეზა** [ფრ. Thesev ბერძ. Thesis დებულება] – იხ. თეზისი.

**თეზის**-ი [ბერძ. Thesis] – **1.** ლოგიკაში: დებულება, რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს.

**2.** ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაში: განვითარების პროცესის პირველი საფეხური.

**თეიზმ**-ი [ბერძ. Theos ღმერთი] – რელიგიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს რომ არსებობს განსაკუთრებული გონიერი არსება – ღმერთი, რომელმაც შექმნა ქვეყანა (სამყარო) და განაგებს მას.

**თემა** [ბერძ. Thema] – თხრობის, გამოკვლევის, საუბარისა და

მისთ., საგანი. საკითხი.
⊙ **მოხსენების თ., ისტორიული თ., სალიტერატურო თ.**
◎ **თემატური.**
⊙ **თ. გამოფენა.**
○ **თემატიური შცდ.**

**თემატიკა** – თემათა ერთობლიობა.
⊙ **მხატვრულ ნაწარმოებათა თ.**
◎ **თემატიკური.**
⊙ **ლექციათა თ. გეგმა.**
○ **თემატიური შცდ.**

**თემიდა** [ბერძ. Themis, themidos] – **1.** ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთი, რომელიც გამოხატულია თვალებზე სახვევიანი ქალის სახით (მიუკერძოებლობის ნიშანი), ერთ ხელში სასწორითაა და მეორეში მახვილით.
**2**. (გადატ.) მართლმსაჯულება.
⊙ **თ.-ის მსახური.**

**თენებ**-ი [ინგლ. Thegh და thene] – ინგლისში, შოტლანდიაში: დიდგვაროვნები, მეფის დიდებულნი.

**თეოგონია** [ბერძ. Theogonia ღმერთების წარმოშობა] – მითები ღმერთების წარმოშობის შესახებ.

**თეოკრატია** [ბერძ. Theos ღმერთი და kratos ხელისუფლება] – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვდელოებას ეკუთვნის.

**თეოლოგია** [ბერძ. Theologia] – მოძღვრება ღმერთისა და რელიგიური დოგმატების შესახებ; ღვთისმეტყველება.

**თეორემა** [ბერძ. theōrēma < theōreō ვიხილავ, ვფიქრობ] – მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით.
⊙ **პითაგორის თ., თ-ის დამტკიცება,**

**თეორეტიკოს**-ი – პირი, რომელიც ამუშავებს ცოდნის რაიმე დარგის თეორიის საკითხებს.
⊙ **ფიზიკის თ.**

**თეორია** [ბერძ. Theoria დაკვირვება, კვლევა] – **1**. გამოცდილების, საზოგადოებრივი პრაქტიკის ლოგიკური განზოგადოება, რომელიც ასახავს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას.
⊙ **შემეცნების თ., ფარდობითობის (რელატივობის) თ.**
**2**. იმ განზოგადოებულ დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან რაიმე მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს.
⊙ **მანქანებისა** და **მექანიზმების თ., ალბათობის თ.**
**3**. იმ წესების დებულებების

ერთობლიობა, რომელთა შესწავლა გვეხმარება ამა თუ იმ დარგის დაუფლებაში.

⊙ **მუსიკის თ., ჭადრაკის თ.**

4. ზოგადი, განყენებული მსჯელობა, შეხედულებანი (პრაქტიკული მოქმედების საპირისპირო).

◎ **თეორიული.**

⊙ **თ. მომზადება, თ. გამოკვლევა, თ. ფიზიკა.**

**თეოსოფია** [ბერძ. Theosophia ღვთის სიბრძნე] – რელიგიური მისტიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ზეშთაგონების გზით ღვთის შემეცნება და მიღმა სამყაროსთან ურთიერთობა.

**თერაპევტ**-ი [ბერძ. Therapoutes] – შინაგან სნეულებათა ექიმი.

**თერაპია** [ბერძ. Therapeia] – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის შინაგან სნეულებებს; შინაგან სნეულებათა მკურნალობა არაქირურგიული მეთოდებით.

◎ **თერაპიული.**

⊙ **თ. ცნობარი, საავადმყოფოს თ. განყოფილება.**

○ **თერაპევტული** შცდ.

**თერიოლოგია** [ბერძ. thçrion ცხოველი, მხეცი და logos მოძღვრება] – ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ძუძუმწოვარ ცხოველებს.

**თერმებ**-ი [ლათ. Therme ბერძ. thermos ცხელი] – **1.** ძველ რომში: საზოგადოებრივი აბანოები.

**2.** (გეოლ.) მიწისქვეშა თბილი ან ცხელი მინერალური წყლები.

**თერმო**... [< ბერძ thermos თბილი **1.** Therme სიცხე, სითბო] – რთული წინადადების პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ამ სიტყვების დამოკიდებულებას აღნიშნავს ტემპერატურასთან, სითბოსთან.

⊙ **თერმოდინამიკა, თერმომეტრი, თერმორეგულატორი.**

**თერმობირთვულ**-ი [ბერძ. thermos თბილი Therme სიცხე, სითბო] – **1.** თერმობირთვული რეაქცია – ატომური ბირთვების სინთეზის რეაქცია, რომელიც მიმდინარეობს ზემაღალი ტემპერატურის ფარგლებში და ხელს უწყობს ამ ტემპერატურის შენარჩუნებას დიდი ენერგიის გამოყოფის გზით.

**2.** თერმობირთვული იარაღი – ბირთვული იარაღი, აქვს ძლიერი გამანადგურებელი ძალა; განეკუთვნება მასობრივი განადგურების (მოსპობის) იარაღს.

⊙ **თ. ომის საშიშროება.**

**თერმომეტრ**-ი [ბერძ. Therme

სითბო და metreō ვზომავ] – ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო.

⊙ **ჰაერის თ., წყლის თ., სამედიცინო თ., ვერცხლისწყლიანი თ.**

**თერმოს**-ი [ბერძ. thermos თბილი, ცხელი] – სპეციალური ჭურჭელი, რომელიც იცავს მასში მოთავსებულ პროდუქტს გაციებისა ან გათბობისგან.

**თერმოსფერო** [ბერძ. thermos თბილი, ცხელი] – (სპეც.) რაც დაკავშირებულია სითბური ენერგიის გამოყენებასთან ტექნიკაში (ქართ. სინონ. **სითბური**).

⊙ **თ. რეჟიმი, ლითონთა თ. დამუშავება.**

○ **თერმიული შცდ.**

**თილისმა** [ფრ. talisman < არაბ. Tilsam] – რაიმე პატარა ნივთი, რომელიც ცრუ რწმენით; თითქოს ადამიანის ბედნიერების, წარმატების, გამარჯვების მომტანი იყოს – ჯადო.

**თინეიჯერი** [ინგლ. Teenager] – ის, ვისი ასაკის რიცხვითი მნიშვნელობა ინგლისურად გამოისახება სუფიქსით -teen, ანუ 11-დან 19 წლამდე: ყრმა, მოზარდი.

**თომიზმ**-ი – კათოლიკური ფილოსოფიის მიმართულება, რომლისთვისაც დამახასიათებელია არისტოტელეს ფილოსოფიის შეგუება ქრისტიანული სარწმუნოების მოთხოვნებთან [მისი დამაარსებლის, თეოლოგიისა და ფილოსოფოსის თომა აქვინელის (Thomas Aquinas – 1225-1274 წ.წ.) სახელის მიხედვით].

**თორა** – [ძვ. ებრ.] – **1.** ძვ. ებრაული სახელწოდება ბიბლიის პირველი ხუთი წიგნისა, რომლის ავტორობა მიეწერება წინასწარმეტყველ მოსეს; პერგამენტს გრაგნილი, რომელზეც ეს ტექსტია დაწერილი და, რომელიც სინაგოგაში ინახება.

**2.** ებრაელთა სალოცავი სინაგოგა.

**თორ**-ი [სკანდინ. Thor] – სკანდინავიურ მითოლოგიაში: ჭექა-ქუხილის ღმერთი, მიწათმოქმედების მფარველი.

**თრილერ**-ი [ინგ. Triller ქრუანტელის მომგვრელი] – ლიტერატურისა და კინოს ჟანრი, ხასიათდება სიუჟეტის მძლავრი განვითარებითა და მუდმივი დაძაბულობით. ძირითადად დეტექტიური, უფრო იშვიათად, მისტიური შინაარსისა.

**თრომბ**-ი [ბერძ. Thrombos შენადედი] – (მედიც.) სისხლის

შენადედი, რომელიც ჩნდება სისხლძარღვებში ან გულის ღრუში.

○ **ტრომბი შცდ.**

## ი

**იაგდტაშ**-ი [გერმ. jagdtasche] – ჩანთა ნანადირევისათვის.

**იაგუარ**-ი [გერმ. jaguar < მრავ. jaguara] – დიდი სამხრეთამერიკული მტაცებელი ცხოველი კატის ოჯახისა, მოკლე წითელ-ყვითელი ჭრელი ბეწვით.

**იამატო** [იაპ.] – იაპონურ დამწერლობაში: წმინდა იაპონური იეროგლიფები (განსხვავებით ჩინურიდან ნასესხებისა).

**იანიჩარ**-ი [თურქ. yenicari ახალი ჯარი] – ოსმალეთში (მე-14-13 ს.ს.-ში): პრივილეგირებული ქვეითი ჯარი, რომელსაც პირველ ხანებში ადგენდნენ ბავშვობაში ტყვედ წაყვანილ და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან (კერძოდ ქართველთაგან);

⊙ იხმარებოდა აგრეთვე **ენგიჩარი.**

**იანკი** [ინგლ. yankee] – ამერიკელების (აშშ-ის მკვიდრთა) მეტსახელი, რომელიც მას ამერიკელებმა შეარქვეს.

**იანუს**-ი [ლათ. jenus] – რომაულ მითოლოგიაში: დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება, გამოისახებოდა ორი პირისახით, რომელთაგან ერთი წინ ჰქონდა მოქცეული, მეორე უკან.

**იარდ**-ი [ინგლ. yard] – ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; უდრის 3 ფუტს (91 სმ-ს).

**იარლიყ**-ი [თურქ. yarlik ბრძანება] – **1.** საქონელზე,პროდუქტებზე დაკრული ფურცელი, რომელზედაც აღნიშნულია საქონლის დასახელება, რაოდენობა, ფასი და სხვ. (სინონ. ეტიკეტი)

**2.** (ისტ.) მონღოლთა სახანოებში: ხანის წერილობითი ბრძანება; სიგელი.

⊙ **იარლიკი შცდ**

**იარუს**-ი [რუს. ярус] – **1.** თეატრში: მაყურებლისთვის განკუთვნილი სართული (პირველი, მეორე და ა.შ.).

⊙ **პირველი (მეორე) ი.-ის ლოჟები.**

**2.** საერთოდ რიგი, წყება.

**3.** (გეოლ.) დანალექი ქანებისა, პლასტების ერთობლიობა; სართული.

**იახტა** [ინგლ. yacht] – სასპორტო ან სასეირნო ტურისტული გემი.

⊙ **იალქნიანი ი., მოტორიანი ი.**

**იახტ-კლუბი** [ინგლ. yacht-club] – სასპორტო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც მისდევენ საწყლოსნო სპორტს – აფროსნობას, ნიჩბოსნობას და მისთ.

**იახტსმენ-ი** [ინგლ. yachtsman] – სპორტსმენი, იახტის ტარების სპეციალისტი.

**იეჰოვა, იაჰვე** [ძვ. ებრ.] – იუდაიზმის უზენაესი ღვთაება; სამყაროს შემქმნელი (ბიბლია).

**იაბაკო** – ცისკრის ლოცვის ნაწილი.

**იბის-ი** [ბერძ. ibis < ეგვიპტ.] – ძენძერუკი, ყაჯარი (ფრინველი).

**იბნ** [არაბ. ibn ძე, ვაჟიშვილი] – ნაწილაკი, რომელიც წინ დაერთვის მამის სახელს ან საგვარეულო სახელს და უდრის ქართულ ძე-ს.

**იგლუ** [ინგლ. igloo < ალგონკინების (ჩრდ. ამერ. ინდიელთა ერთ-ერთი ტომის) ენიდან] – კანადელ ესკიმოსთა საცხოვრებელი თოვლის მართკუთხა ბლოკებით აშენებული გუმბათისებური ფორმის მქონე ქოხი.

**იგნორირება** [< ლათ. ignora არ ვიცი]–(წიგნ.) უგულებელყოფა ვისიმე, რისამე.

⊙ **ფაქტების ი.**

**იგრეკ-ი** [ფრ. igrec < ბერძ. y] – ლათინური ანბანის ბოლოდან მეორე ასოს – Y-ის სახელი; მათემატიკაში იხმარება უცნობი სიდიდის აღსანიშნავად იქსსა (X) და ზეტთან (Z) ერთად.

**იდალგო** [ესპ. hidalgo] – შუა საუკუნეების ესპანეთში: აზნაური.

○ **ჰიდალგო შცდ.**

**იდეა** [ბერძ. idea წარმოდგენა, ცნება] – **1.** გონებაში არსებული ვისიმე ან რისიმე ხატი, წარმოდგენა

⊙ **მოწინავე ი.-ები**

**2.** მთავარი, ძირითადი აზრი, ჩანაფიქრი, რომელიც განსაზღვრავს რისამე შინაარსს.

⊙ **რომანის ძირითადი ა.**

**3.** აზრი, განზრახვა, გეგმა.

⊙ **კარგი ი. მოუვიდა თავში, ი. განახორციელეს.**

**იდეური** – ვითომდა მოწინავე იდეებით გამსჭვალული, მოწინავე იდეების ერთგული.

⊙ **ი. ადამიანი, ი. ხელოვნება.**

◎ **იდეისა.**

○ **იდეია, იდეასი შცდ.**

**იდეალ-ი** [ფრ. ideal < ბერძ. idea წარმოდგენა, მცნება] – უმაღლესი მიზანი ადამიანის მოქმედებისა, მოღვაწეობისა,

მისწრაფებისა.

**იდეალიზაცია** და **იდეალიზება** [< ლათ. idealiser] – ვისიმე, რისამე იმაზე უკეთ წარმოდგენა, ვიდრე სინამდვილეშია, ვინმესთვის, რამესთვის იდეალური თვისებების მიწერა.

⊙ **წარსულის ი.**

○ **იდეალიზირება შცდ.**

**იდეალიზმ**-ი [ფრ. idealisme] – **1.** ერთერთი ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა, მატერიალიზმის საპირისპირო, რომლის მიხედვითაც იდეა, ცნობიერება, სული არის პირველადი, ხოლო მატერია, ბუნება, ყოფიერება – მეორეული.

**2.** მაღალი ზნეობრივი იდეალების ერთგულება.

◎ **იდეალისტური.**

⊙ **ი. ფილოსოფია, ი. შეხედულებანი, ი. თვალსაზრისი.**

**იდეალისტ**-ი – **1.** იდეალიზმის (მნიშ. 1) მიმდევარი.

**2.** ადამიანი, რომელიც რაიმე მაღალი იდეალების ერთგულია და ამ იდეალებით ხელმძღვანელობს თავის ცხოვრებაში, საქმიანობაში.

**იდეალურ**-ი – **1.** (ფილოს.) მხოლოდ იდეებში, წარმოდგენაში არსებული; განყენებული.

**2.** საუკეთესო სამაგალითო; სრულყოფილი.

⊙ **ი. პირობები, ი. სისუფთავე, ი. სურათი აღწერეს.**

**იდენტიფიცირება** [შდრ. ლათ. indentificare გაიგივება] – რისამე ერთმანეთთან დამთხვევის, მსგავსების დალაგება, გაიგივება.

⊙ **თითების ანაბეჭდების ი.**

**იდენტური** [< ლათ. identicus] – (წიგნ.) სავსებით მსგავსი რისამე.

⊙ **ი. ტაქტი, ი. თარგმანი.**

**იდეოგრამა** [ბერძ. idea ცნება და gramma ჩაწერა, ჩანაწერი] – პირობითი წერილობითი ნიშანი, რომელიც ცნებას გამოხატავს (განსხვავებით ასოსგან, რომელიც ბგერას აღნიშნავს); იდეოგრამებია მაგ; ციფრები; იდეოგრამებისგან შედგება ჩინური დამწერლობა.

**იდეოლოგია** [ბერძ. idea ცნება და logos სიტყვა, მოძღვრება] – რომელიმე კლასის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის იდეათა, შეხედულებათა სისტემა, რაც ვლინდება ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში – ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ხელოვნებაში და სხვ.

◎ **იდეოლოგიური.**

⊙ **ი. საკითხები.**

**იდე ფიქს**-ი [ფრ. idée fixe] –

(წიგნ.) აკვიატებული აზრი.

**იდილია** [ბერძ. eidyllion] – (წიგნ.) მყუდრო, უშფოთველი, აუმღვრელი ცხოვრება (ხშირად ითქმის ირონიით).

⊙ **ოჯახური ი.**

◎ **იდილიური.**

⊙ **ი. სურათი.**

**იდიომა**-ი [ბერძ. idiōma თავისებური გამოთქმა, გამოხატვა] – (ენათმ.) გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს.

⊙ **„გული გაუტყდება", „ენა მუცელში ჩაუვარდება", „ყურებს ჩამოყრის", „სიტყვას ბანზეააგდებს", „ტანს აიყრის"**

**იდიოსინკრაზია** [< ბერძ. idios თავისებური და synkrasis არევა, შერევა] – **1.** ორგანიზმის ავადმყოფური მგრძნობიარობა ზოგიერთ სუნზე, ნივთიერებაზე და ა.შ.

**2.** (გადატ.) რაიმესადმი უსიამოვნება.

⊙ **ი. საპნის ქაფზე.**

**იდიოტი** [< ბერძ. idiôtēs უვიცობა] – (საუბ.) სულელი, ყეყეჩი, რეგვენი.

**იდიოტია** [< ბერძ. idiôtēia უვიცობა] – ჭკუასუსტობის, გონნაკლულობის უმაღლესი ხარისხი.

**იდიში**-ი [გერმ. iüdisch ებრაული] – აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა.

**იდო** [ესპერ. ido შთამომავალი] – ერთ-ერთი ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი.

**იეზუიტ**-ი [< ლათ. Jesus იესო ქრისტე] – **1.** კათოლიკური ორდენის ე.წ. „იესოს საზოგადოების" წევრი, რომელიც XVI საუკუნეში დაარსა ესპანელმა ეგნატე ლოიოლამ.

⊙ **ი.-თა ორდენი.**

**2.** გადატ. (წიგნ.) ითქმის ფარისეველ, ვერაგ, ორპირ ადამიანზე, რომლისგანაც ყოველგვარი სისაძაგლეა მოსალოდნელი.

**იენ**-ი [იაპ.] – იაპონური ფულის ერთეული.

**იერარქ**-ი [ბერძ. hierarchēs წმინდა მეთაური] – მართლმადიდებელ ეკლესიაში: კათოლიკოს-პატრიარქი, მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსის საერთო სახელი.

**იერარქია** [< ბერძ. hierarchia] – (წიგნ.) თანამდებობათა, წოდებულებათა დაქვემდებარების წესი უდაბლესიდან უმაღლესისაკენ.

◎ **იერარქიული.**

⊙ **„იერარქიული კიბე", ი. და-**

**მოკიდებულება.**

○ **იერარხია, იერარხიული შცდ.**

**ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐᲓᲐ** – მოთქმა, გოდება, ჩივილი, წუწუნი [წინასწარმეტყველ იერემიას სახელიდან, რომლის გოდება იერუსალიმის დანგრევის გამო მოთხრობილია ბიბლიაში].

**ᲘᲔᲠᲝᲒᲚᲘᲤ**-ი [< ბერძ. ლათ. hieroglyphika grammata წმინდა ნიშნები (ქვაზე ამოკვეთილი ეგვიპტელი ქურუმების მიერ)] – **1**. ფიგურული ნიშანი, რომელიც გამოხატავს ცნებას, მარცვალს ან ბგერას; ასეთი ნიშნებისაგან შედგება ძველი ეგვიპტური, ჩინური და ზოგი სხვა ენის დამწერლობა.

⊙ **ჩინური ი.-ები.**

**2**. (გადატ.) ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი.

◎ **იეროგლიფური.**

⊙ **ი. დამწერლობა.**

**ᲘᲔᲦᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ**, **იეღოვას მოწმეები** – რელიგიური ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინა (ცენტრი) იმყოფება ნიუ-იორკის გარეუბანში, კერძოდ ბრუკლინში. ორგანიზაცია დააარსა ბიზნესმენმა ჩარლზ რასელმა 1872 წელს. ორგანიზაციის პრეზიდენტს, რომელსაც თვლიან იეღოვას მოადგილედ დედამიწაზე, აქვს განუსაზღვრელი უფლებები. „იეღოვას მოწმეთა“ ორგანიზაციები არსებობენ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც (სულ დაახლოებით 6 მლნ მოწმეა პლანეტაზე). იეღოველები უარყოფენ მართლმადიდებლური ეკლესიის წეს-ჩვეულებებს და დოგმებს, თვით ყოვლადწმინდა სამების დოგმასაც.

**ᲘᲕᲠᲘᲗ**-ი [ებრ. ivrit ებრაული ენა] – დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო ენა, რომელიც წარმოადგენს ძველი (ბიბლიის) ებრაულს, საგანგებოდ აღდგენილს.

**ᲘᲖᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ** [ბერძ. isos თანაბარი და graphô ვზერ] – **1**. ვისიმე ნაწერის, ხელმოწერის ზუსტი გადაღება.

**2**. (მოძვ.) ხატების მხატვრობა; ხატწერა;

**ᲘᲖᲝᲚᲐᲢᲝᲠ**-ი [ფრ. isolateur ენა] – **1**. ნივთიერება, რომელიც ცუდად ატარებს ელექტროდენს.

**2**. განსაკუთრებული განცალკევებული სადგომი უცნობი ან ინფექციური სენით დაავადებულ პირთა სამყოფად.

**3**. წინასწარი გამოძიების ი. – ციხე, სადაც დაკავებულია გამოძიების ქვეშ მყოფი პი-

როვნება სასამართლომდე.
○ **იზოლიატორი შცდ.**

**ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ** [ფრ. isolation] და **ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐ** – **1**. ცალკე გამოყოფა, გამოცალკევება, გამიჯვნა.
**2**. გარემოსთან, ადამიანებთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა.
⊙ **საშიში დამნაშავის ი.**
**3**. რაიმე საფარით გამტარის დაცვა ენერგიის დაკარგვისაგან (ქართ. სინონ. **განმხოლოება**).
◎ **საიზოლაციო.**
⊙ **ს. ლენტი.**
○ **იზოლიაცია, საიზოლიაციო შცდ.**

**ᲘᲖᲝᲰᲘᲞᲡ**-ი [ბერძ. isos თანაბარი და hypsos სიმაღლე] – იგივეა, რაც ჰორიზონტალი (მნიშვ. 2).
○ **იზოჰიპსი, იზოგიპსი შცდ.**

**ᲘᲙᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ** [< გეოგრ. სახ.] – საცირკო აკრობატიკული სანახაობა ერთგვარი.
○ **იკაროსული შცდ.**

**ᲘᲙᲔᲑᲐᲜᲐ** [იაპ.] – იაპონური დეკორატიული ხელოვნება – ყვავილებით, ფოთლებით, ტოტებით და მისთ. შექმნა რაიმე გამოსახულებისა; ასეთი ხელოვნების ნიმუშები.

**ᲘᲙᲝᲜᲐ** [ბერძ. eikön გამოსახულება, სახე] – მართლმადიდებელთათვის ღმერთის, წმინდანების გამოსახულება, რომლებიც თაყვანისცემის ობიექტებს შეადგენენ.

**ᲘᲙᲝᲡ**-ი – კონდაკთან ერთად საკითხავი გრძელი მუხლი. გამოიყენება დაუჯდომელ ლოცვებშიც.

**ᲘᲚᲣᲖᲘᲐ** [ფრ. illusion მცდარი წარმოდგენა, ცდომილება] – **1**. სინამდვილის დამახინჯება, მცდარად აღქმა გრძნობათა მცდარობის შედეგად.
⊙ **ოპტიკური ი., მოძრაობის ი.**
**2**. განუხორციელებელი იმედი, ოცნება. გადატ. (წიგნ.)
○ **ილიუზია შცდ.**

**ᲘᲚᲣᲖᲘᲝᲜᲘᲡᲢ**-ი [ფრ. illusionniste] – მსახიობი, რომელიც ფოკუსებს (იხ. **ფოკუსი**[2]) აკეთებს (სინონ. **მეფოკუსე**).
○ **ილიუზიონისტი შცდ.**

**ᲘᲚᲣᲖᲝᲠᲣᲚᲘ** [ლათ. illusorius მაცდუნებელი] – (წიგნ.) ილუზიის შედეგად გაჩენილი, მოჩვენებითი; მაცდუნებელი, განუხორციელებელი.
⊙ **ი. იმედი, ი. წარმოდგენები.**
○ **ილიუზორული შცდ.**

**ᲘᲚᲣᲛᲘᲜᲐᲢᲝᲠ**-ი [ლათ. illuminator განმნათებელი] – **1**. ილუმინაციის მოწყობის სპეციალისტი.
**2**. რუკების, გეგმების, ნახატების

გამფერადებელი მხატვარი.
**3.** გემის, თვითმფრინავის, კოსმოსური ხომალდის მრგვალი ფანჯარა, რომელიც ჰერმეტულად არის დახურული.
○ **ილიუმინატორი შცდ.**

**ილუმინაცია** [ლათ. illuminatio განათება]– და **ილუმინირება** [გერმ. illuminierem] – დეკორატიული საზეიმო განათება სხვადასხვა ფერად (შენობებისა, ქუჩებისა).
⊙ **სადღესასწაულო ი.**
◎ **საილუმინაციო.**
⊙ **ს. გაყვანილობა.**
○ **ილიუმინაცია, საილიუმინაციო შცდ.**

**ილუსტრატორ**-ი – მხატვარი, რომელიც სურათებს ხატავს წიგნის, ჟურნალისა და მისთ.
○ **ილიუსტრატორი შცდ.**

**ილუსტრაცია** [ლათ. illustratio] – **1.** ნახატებით, სურათებით გაფორმება, დასურათება (წიგნისა, ჟუნალისა; ნაწარმოების ტექსტებისა, ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ილუსტრირება).
⊙ **„ვეფხისტყაოსნის" ი.**
**2.** თვით ასეთი ნახატი, ნახაზი (ტექსტში ჩართული, რომელიც ნაწარმოების შინაარსთან არის დაკავშირებული).
⊙ **„ვეფხისტყაოსნის" ი.-ები.**
**3.** რისამე დასამტკიცებლად, ასახსნელად მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითი, ნიმუში.
◎ **საილუსტრაციო.**
⊙ **ლექსიკონის ს. ფრაზები.**
○ **ილიუსტრაცია, საილიუსტრაციო შცდ.**

**იმამ**-ი [არაბ. imâm წინ მდგომი] – მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი – მოძღვარი.

**იმანენტურ**-ი [ლათ. imanens (immanentis)] – საგნის, მოვლენის შინაგანად მახასიათებელი, მისთვის ნიშანდობლივი, მისი ბუნებიდან გამომდინარე.

**იმიგრანტ**-ი [ლათ. immigrans (immigrantis) ვინც შესახლდება] – უცხოელი, რომელიც ხანგრძლივად დასახლდა ამა თუ იმ ქვეყანაში.

**იმიგრაცია** და **იმიგრირება** [ლათ. immigro შევსახლდები] – უცხოელთა შესვლა ამა თუ იმ ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად.
◎ **საიმიგრაციო.**
⊙ **ს. კანონები.**

**იმიტატორ**-ი – მსახიობი, რომელიც ფლობს იმიტაციის (მნიშვ. 1) ხელოვნებას.

**იმიტაცია** [ლათ. imitatio] – **1.** მიბაძვა, მიმსგავსება ვისიმე, რისამე ხმისა, მიხვრა-მოხვრისა და სხვ.
**2.** არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს დამსგავსებული.

⊙ **ტყავის ი., მარგალიტის ი.**

**იმიჯ**-ი [ინგლ. image სახე] – მიზნმიმართულად შექმნილი სახე.

**იმპერატივ**-ი [< ლათ. imperativus ბრძანებითი] – **1.** (გადატ.) ბრძანებითი კილო.

**2.** დაჟინებითი, კატეგორიული მოთხოვნა; ბრძანება.

**იმპერატორ**-ი [ლათ. imperator მბრძანებელი, სარდალი] – **1.** ზოგი ქვეყნის მონარქის (მეფის) ტიტული.

⊙ **იაპონიის ი.**

**2.** (ისტ.) ძველ რომში: მხედართმთავრის საპატიო ტიტული.

◎ **საიმპერატორო.**

⊙ **ს. დინასტია.**

**იმპერია** [ლათ. imperium უმაღლესი ხელისუფლება] – **1.** მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას.

⊙ **რომის ი., კარლოს დიდის ი.**

**2.** მსხვილი კოლონიური სახელმწიფო.

⊙ **დიდი ბრიტანეთის ი., რუსეთის ი.**

◎ **იმპერიული.**

⊙ **ი. სახელმწიფო, ი. ზრახვები** – გათიშე და იბატონე.

◎ **საიმპერიო.**

⊙ **ს. გერბი.**

**იმპერიალ**-ი [ფრ. imperiale, imperialis < ლათ. საიმპერატორო] – ძველად ომნიბუსის, დილიჟანსის მეორე სართული, სადაც მგზავრთა დასაჯდომი ადგილები იყო გამართული.

**იმპერიალიზმ**-ი [ფრ. imperialisme < ლათ imperium ხელისუფლება, ძალაუფლება] – ქვეყნების დაპყრობისა და კოლონიების (იხ. **კოლონია**, მნიშვნ. 1) შეძენის პოლიტიკა.

◎ **იმპერიალისტური.**

⊙ **ი. სახელმწიფო, ი. ომი.**

**იმპერიალისტ**-ი – იმპერიალიზმის წარმომადგენელი, მისი მომხრე.

**იმპიჩმენტ**-ი [ინგლ. impeachment გაკიცხვა, ბრალდება] – ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

**იმპლანტაცია** [ლათ. in – ში და plantatio დარგვა, გადარგვა] – **1.** უმაღლესი ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ადამიანების ჩანერგვა საშვილოსნოს ლორწოვან გარსში.

**2.** იგივეა, რაც ტრანსპლანტაცია.

**იმპოზანტური** [ფრ. imposant] – (წიგნ.) ვინც, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი შესახედაობით, გარეგნობით.

⊙ **ი. ადამიანი.**

**იმპონირება** [გერმ. imponieren] – დადებითი შთაბეჭდილების მოხდენა.

**იმპორტ**-ი [ინგლ. import] – საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან (საპირისპ. ექსპორტი).
◎ **იმპორტული.**
⊙ **ი.საქონელი.**
◎ **საიმპორტო.**
⊙ **ს. შეზღუდვები, ს. ბაჟი.**
○ **იმპორტიული შცდ..**

**იმპორტიორ**-ი [ინგლ. importer] – პირი ან ორგანიზაცია, რომელიც იმპორტს აწარმოებს, განაგებს.

**იმპოტენცია** [ლათ. impotentia უძლურება] – მამაკაცის სქესობრივი უძლურება; ცვედნობა.

**იმპრესარიო** [იტ. impressario] – კერძო პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს, ცალკეული მსახიობების გასტროლებს.

**იმპრესიონიზმ**-ი [ფრ. impressionnisme < impression შთაბეჭდილება] – მიმართულება ხელოვნებაში მე-19 საუკუნის ბოლო – მე-20 საუკუნის დასაწყისში; ცდილობდა გადმოეცა მხატვრის (მწერლის, მუსიკოსის) უფაქიზესი სუბიექტური განცდები, შთაბეჭდილებები.
◎ **იმპრესიონისტული.**
⊙ **ი. მხატვრობა** (ლიტერატურა, მუსიკა).

**იმპრესიონისტ**-ი – იმპრესიონიზმის მიმდევარი.
⊙ **ი. მხატვრები.**

**იმპროვიზატორ**-ი [იტ. improvisatore] – იმპროვიზაციის ოსტატი.
◎ **იმპროვიზატორული.**
⊙ **ი. ნიჭი.**

**იმპროვიზაცია** [ფრ. improvisation < იტ. improvisazione] – **1**. ლექსის, მუსიკალური ნაწარმოების და ა.შ. სახელდახელოდ შეთხზვა და მისი მაშინვე შესრულება (წინასწარ მოუმზადებლად).
**2**. სახელდახელოდ შეთხზული და შესრულებული მხატვრული ნაწარმოები (ლექსი, მუსიკალური პიესა და სხვ.).
⊙ **ბრწყინვალე ი.**
◎ **იმპროვიზაციული.**
⊙ **ი. ლექსი, ი. შესრულება, ი. საღამო-კონცერტი.**

**იმპულს**-ი [ლათ. impulsus] – **1**. (წიგნ.) შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას.
⊙ **ნერვული ი.-ები.**
**2**. (ფიზ.) მოძრაობის რაოდენობა, რაც უდრის სხეულის მასისა

და სიჩქარის ნამრავლს.

**იმპულსური** – **1**. იმპულსით გამოწვეული.

⊙ **ი. მოძრაობა.**

**2**. ვისაც მიდრეკილება აქვს იმოქმედოს იმპულსის ზეგავლენით.

⊙ **ი. პიროვნება.**

**3**. (ფიზ.) ელექტრულ იმპულსებთან დაკავშირებული.

⊙ **ი. გენერატორი.**

○ **იმპულსიური შცდ.**

**იმუნიტეტ**-ი [< immunitas (immunitatis) განთავისუფლება რამისგან] – **1**. (მედიც). ორგანიზმის შეუვალობა შხამის, დასნებოვნების მიმართ; მისი თვისება – არ დაავადდეს ამა თუ იმ გადამდები სნეულებით.

**2**. (სამართ.) ამა თუ იმ პიროვნების ხელშეუხებლობა, მათზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობა.

**დიპლომატიური იმუნიტეტი** – დიპლომატიური წარმომადგენლის, მისი ბინის ხელშეუხებლობა.

**ინა** [არაბ. hena] – **1.** მოწითალოყვითელი საღებავი,რომელსაც ხმარობენ თმის, ფრჩხილებისა და სხვ. შესაღებად.

**2**. ბუჩქი, რომლის ფოთლებისგანაც ამზადებენ ამ საღებავს.

◎ **ინისა.**

⊙ **ინასი, ხნა შცდ.**

**ინაუგურაცია** [ინგლ. inauguaration]–აშშ-ში: ახალი პრეზიდენტის სახელმწიფოს სათავეში ოფიციალურად ჩადგომის ცერემონია, ზეიმი.

◎ **საინაუგურაციო.**

⊙ **ს. მზადება, ს. ღონისძიებანი.**

**ინდექს**-ი [ლათ. index] – **1**. რისამე სია, მაჩვენებელი, რისამე ჩამოთვლა.

⊙ **ახლად გამოსული წიგნების ი., საქონლის ი.**

**2**. რისამე ციფრობრივი ან ასოითი მაჩვენებელი.

⊙ **ფასების ი., შრომის ნაყოფიერების ი., ხელფასის ი.**

**ინდიგო** [ესპ. indigo < ლათ indicus ინდიური] – მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება, რომელსაც ქიმიური წესით იღებენ; წინათ იღებდნენ ზოგიერთი ტროპიკული მცენარისაგან.

**ინდიელები** – საერთო სახელწოდება ტომებისა, რომლებიც შეადგენენ ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას; ამჟამად შემორჩენილი არიან ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ზოგ რაიონში [სახელწოდება წარმოდგენილია კოლუმბის შეცდომის

შედეგად, რომელსაც ეგონა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა არის ინდოეთი].
◎ **ინდიური.**
⊙ **ი. უძველესი კულტურა.**
⊙ ინდიელებისაგან უნდა გავარჩიოთ ინდოელები (ინდოეთის ძირითადი მოსახლეობა), ხოლო ინდიურისაგან – ინდური (ზედსართავი სიტყვებისა ინდოელები და ინდოეთი).

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓ**-ი [ლათ. individuum განუყოფელი] – (წიგნ.) დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი (ცხოველი, მცენარე): ცალკე ადამიანი, პიროვნება
⊙ მეცნიერებაში იხმარება აგრეთვე **ინდივიდუუმი**.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲘᲖᲛ**-ი – ცალკე პირის ინტერესებს დაყენება საზოგადოების, კოლექტივის ინტერესებზე მაღლა.
◎ **ინდივიდუალისტური.**
⊙ **ი. ფსიქოლოგია.**
○ **ინდივიდიალიზმი, ინდივიდიალისტური შცდ.**

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ** [< ლათ. individuum განუყოფელი] – **1.** გარკვეული ინდივიდის დამახასიათებელი; რაც ცალკეულ პიროვნებას განასხვავებს სხვებისაგან.
⊙ **ი. თავისებურებანი, ი. მონაცემები.**
**2.** რითაც ერთპიროვნულად სარგებლობენ; რაც თითოეულს ეხება ცალ-ცალკე; კერძო.
⊙ **ი. მომსახურება, ი. მიდგომა.**
**3.** ცალკეული პირის მიერ წარმოებული; შესრულებული არაკოლექციური;
⊙ **ი. შრომა, ი. მეურნეობა, საცხოვრებელი სახლების ი. მშენებლობა.**
○ **ინდივიდიალური შცდ.**

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲣᲛ**-ი [ლათ. individuum განუყოფელი, განსაკუთრებული] – (წიგნ.) იგივეა, რაც ინდივიდი.
○ **ინდივიდუმი შცდ.**

**ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠ**-ი [ლათ. indica ვუჩვენებ indicator მაჩვენებელი] – **1.** (ტექ.) სახელწოდება სხვადასხვა სახის ხელსაწყოებისა, რომელთაც იყენებენ ფიზიკური სიდიდეების (მაგ. წნევის, დატვირთვის და სხვ.) გასაზომად.
**2.** ნივთიერება,რომელიც შეჰყავთ ხსნარში მასში მიმდინარე პროცესის გამოსამჟღავნებლად (მაგ., ლაკმუსი, რომელიც ფერს იცვლის მჟავასთან ან ტუტესთან შეერთებით).

**ᲘᲜᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲢᲘᲖᲛ**-ი – ინდიფერენტული, გულგრილი, განურჩეველი დამოკიდებულება რაიმესადმი.

**ᲘᲜᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲢᲣᲚ**-ი [ლათ. indiffe-

rens (indifferentis)] – (წიგნ.) გულგრილი, უინტერესო, განურჩეველი.

⊙ **ი. ადამიანი, ი. ტონი, ი. დამოკიდებულება.**

○ **ინდეფერენტული შცდ.**

**ᲘᲜᲓᲝᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ** – მონათესავე ენების ერთ-ერთი დიდი ოჯახი, რომელშიც შედის ინდური ენები (მაგ. ჰინდი, ურდუ), ირანული (მაგ. სპარსული, ოსური), სლავური (მაგ. რუსული, უკრაინული, ჩეხური, პოლონური), რომანული (მაგ. პორტუგალიური, ესპანური, ფრანგული, იტალიური), გერმანიკული (მაგ. გერმანული, ინგლისურიდანიური,შვედური), ბერძნული, სომხური და სხვა ჯგუფის ენები.

○ **ინდოევროპიული შცდ.**

**ᲘᲜᲓᲣᲘᲖᲛ**-ი [კრებ.] – ინდური რელიგია – ბრაჰმანიზმის ფორმა; შეიქმნა შუა საუკუნეებში ბრაჰმანიზმისა და ბუდიზმის დაახლოების შედეგად.

**ᲘᲜᲓᲣᲚᲒᲔᲜᲪᲘᲐ** [ლათ. indulgentia წყალობა] – ცოდვების მიტევების სიგელი, რომელსაც შუა საუკუნეებში ყიდდა კათოლიკური ეკლესია რომის პაპის სახელით.

**ᲘᲜᲓᲣᲡᲔᲑᲘ** – ინდუიზმის მიმდევრები.

**ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ** [ლათ. industria საქმიანობა] – სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა.

**მძიმე ინდუსტრია** – ინდუსტრია, რომელიც აწარმოებს წარმოების საშუალებებსა და იარაღებს (სინონ. **მძიმე მრეწველობა**).

**მსუბუქი ინდუსტრია** – ინდუსტრია, რომელიც აწარმოებს ფართო მოხმარების საგნებს (სინონ. **მსუბუქი მრეწველობა**).

◎ **ინდუსტრიული.**

⊙ **ი. ქვეყნები.**

○ **ინდუსტრიალური შცდ.**

**ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** – მსხვილი სამანქანო ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

⊙ **ქვეყნის ი.**

**ᲘᲜᲓᲣᲥᲪᲘᲐ** [ლათ. inductio] – **1.** ლოგიკაში: აზროვნების მეთოდი – კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოტანა (საპირისპ. **დედუქცია**).

**2.** (ფიზ.) რაიმე გამტარში ელექტრული დენის აღძვრა (მაგნიტური ველის ცვლილებებთან დაკავშირებით).

◎ **ინდუქციური.**

⊙ **ი. მსჯელობა, ი. დენი.**

**ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ** [ლათ. iners (inertis)] – უმოძრაო, უმოქმედო, დუნე,

უსიცოცხლო.

⊙ **ი. ადამიანი.**

**ინერტული აირები** (გაზები) – აირები, რომლებიც სხვა ნივთიერებებს არ უერთდება (ჰელიუმი, ნეონი, არგონი და სხვ.).

**ინერტული მასალები** – ბეტონის შემავსებლები (ქვა, ქვიშა, ხრეში და მისთ.).

○ **ინერტიული შცდ.**

**ინერცია** [ლათ. inertia უმოქმედობა, უძრაობა] – სხეულის თვისება – შეინარჩუნოს თავისი უძრაობის ან თანაბარი სწორხაზოვანი მოძრაობის მდგომარეობა, სანამ გარეშე ძალა არ გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან.

⊙ **ი.-ის კანონი.**

◎ **ინერციული.**

⊙ **ი. მოძრაობა.**

**ინვალიდ**-ი [ფრ. invalide] – ადამიანი, რომელსაც მეტნაკლებად დაკარგული აქვს შრომის უნარი (დაშავების, ავადმყოფობის ან მოხუცებულობის გამო).

⊙ **ომის ი., შრომის ი.**

**ინვენტარ**-ი [ლათ. inventarium აღწერა] – ყველა იმ ნივთის, საგნის ერთობლიობა, რაც რომელიმე დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ქონებასშეადგენს.

⊙ **სასოფლო-სამეურნეო ი, სასკოლო ი.**

◎ **საინვენტარო**

⊙ **ს. დავთარი, ს. რომელი.**

**ინვენტარიზაცია** – ინვენტარის აღწერა.

◎ **საინვენტარიზაციო.**

⊙ **ს. კომისია.**

**ინვერსია** [ლათ. inversio გადასმა] – **1.** (ლიტ.) წინადადებაში სიტყვათა ჩვეულებრივი რიგის შეცვლა სტილისტიკური მიზნით.

**2.** ატმოსფეროს ჰაერის ტემპერატურის მატება (ნაცვლად კლებისა) ქვევიდან ზედა ფენებისაკენ.

**ინვესტიცია** და **ინვესტირება** [გერმ. investition < ინგ. invest დაბანდება, ჩადება] – ფულის დაბანდება, ჩადება რაიმე საქმეში; კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება რაიმე საწარმოში (უპირატესად საზღვარგარეთ).

**ინვესტორი** – პირი, რომელიც ფულს აბანდებს, დებს რაიმე საქმეში.

**რეინვესტირება** – [იხ. **რე...**].

◎ **საინვესტიციო.**

⊙ **ს. ბანკი, ს. პროგრამები.**

○ **ინვენსტიცია, საინვენსტიციო შცდ.**

**ინთრონიზაცია** [ლათ. in -ში

და ბერძ. thronos ტახტი (მეფისა)] – ახლად არჩეული პატრიარქის ან პაპის ტახტზე აყვანის ცერემონია (ქართ. სინონ. **აღსაყდრება**).

○ **ინტრონიზაცია შცდ.**

**ᲘᲜᲘᲔᲥᲪᲘᲐ** [ლათ. injectio შეგდება] – (მედიც.) მცირე რაოდენობით სამკურნალო ხსნარის შეყვანა კანქვეშ, კუნთში ან ვენაში (ქართ. სინონ. **შეშხაპუნება**).

◎ **საინიექციო.**

⊙ **ს. კაბინეტი, ს. ნემსი.**

○ **ინექცია, საინექციო შცდ.**

**ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲚ**-ი [ლათ. initialis საწყისისა] – **1.** ძველ ხელნაწერებში ტექსტის პირველი მთავარი ასო, ჩვეულებრივ, დიდი ზომის და მხატვრულად გაფორმებული.

**2.** სახელის ან გვარის პირველი ასო (ხშირად იხმარება მრ. რიცხვში – **ინიციალები**).

**ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ** [ფრ. initiative < initiare დაწყება] – **1.** თაოსნობა რაიმე საქმეში.

**2.** საჭირო მომენტში დამოუკიდებელი აქტიური მოქმედების უნარი.

⊙ **ი. გამოიჩინა.**

◎ **ინიციატივიანი.**

⊙ **ი. ადამიანი.**

◎ **საინიციატივო.**

⊙ **ს. ჯგუფი.**

○ **ინციატივა, ინციატივიანი, საინციატივო შცდ.**

**ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠ**-ი – პირი, რომელმაც ინიციატივა გამოიჩინა; წამომწყები, მოთავე რისამე.

⊙ **სასარგებლო საქმის ი.**

○ **ინციატორი შცდ.**

**ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲪᲘᲐ** [ლათ. initiatio საიდუმლოებათა შესრულება] – პირველყოფილ საზოგადოებაში: ჭაბუკების გაწდობის, დალოცვის ცერემონია, რის შემდეგ ისინი ითვლებოდნენ დასრულებულ მამაკაცებად.

**ᲘᲜᲙᲐᲡᲐᲢᲝᲠ**-ი – თანამდებობის პირი, რომელიც ორგანიზაციებისაგან იღებს ფულს ბანკში შესატანად.

**ᲘᲜᲙᲐᲡᲝ** [იტ. incasso] – (ფინანს.) სათანადო დოკუმენტების წარდგენით ფულის მიღება მრწმუნებლის დავალებით.

**ᲘᲜᲙᲔᲑᲘ** – ინდიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე; მე-15 ს-ში მათ შექმნეს მაღალი კულტურა და სახელმწიფო (ინკების სახელმწიფო); 1532 წ. ისინი დაიპყრეს ესპანელმა დამპყრობლებმა (კონკისტადორებმა).

**ᲘᲜᲙᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠ**-ი [ლათ. inquisitor] – **1.** ეპისკოპოსი, რომელსაც რომის პაპისგან (შუა

საუკუნეების ესპანეთში კი მეფისგან) დაკისრებული ჰქონდა სარწმუნოებრივ საკითხთა გამოძიება.

**2.** (გადატ.) ადამიანი, რომელიც უკიდურესად სასტიკად ეპყრობა ვისმე, ტანჯავს, აწვალებს მას.

◎ **ინკვიზიტორული.**

⊙ **ი. დაკითხვა.**

**ინკვიზიცია** [ლათ. inquisitio გამოძიება] – **1.** მე-13-19 ს.-ში: რომის პაპის მიერ დაარსებული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-პოლიციური ორგანიზაცია, რომელიც უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდა ერეტიკოსებს.

**2.** (გადატ.) ტანჯვა, წამება, წვალება.

◎ **ინკვიზიციური** და **საინკვიზიციო.**

⊙ **ი. (ს.) სასამართლო.**

**ინკოგნიტო** [ლათ. incognitus უცნობი] – პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას და სხვის სახელს ატარებს.

**ინკოგნიტოდ** – თავისი ვინაობის გაუმჟღავნებლად.

⊙ **ი. მოგზაურობა.**

**ინკუბატორ-ი** [< ლათ. incubo, incubare გამოვჩეკ] – აპარატი კვერცხიდან წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკად.

**ინკუბაცია** [ლათ. incubatio გამოჩეკა] – **1.** კვერცხებიდან წიწილებისა და მისთ. გამოჩეკა ინკუბატორებში (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **ინკუბირება**).

**2.** (მედიც.) ავადმყოფობის ფარული პერიოდი – დასნებოვნების მომენტიდან დაავადების პირველი სიმპტომების გამოჩენამდე.

**ინკუბაციური** (ან: **საინკუბაციო**) პერიოდული – **1.** ჩანასახის კვერცხში განვითარებისთვის საჭირო დრო..

**2.** (მედიც.) იგივეა, რაც ინკუბაცია.

**ინოვაცია** [ლათ. inovatio განახლება] – (ლინგვ.) ახალი წარმონაქმნი, ახალი მოვლენა ენაში.

**ინჟინერ-ი** [ფრ. ingenieur] – უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირი; ტექნიკის ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი.

⊙ **ი.-კონსტრუქტორი, ავტო ი; მშენებელი ი, სამხედრო ი. ი.-გამომგონებული.**

◎ **საინჟინრო.**

⊙ **ს. საქმე, რთული ს. ნაგებობა.**

◎ **ინჟინრისა.**

○ **ინჟინერისა, ინჟენერი, საინჟინერო, საინჟენერო შცდ.**

**ინსიგნიებ-ი** [ლათ. insignia (მრ.)] – უმაღლესი ხელისუფლების

(მეფის, უმაღლესი მაგისტ-რატის, იმპერატორის) ნიშნები – პორფირის სამოსი, მაღალ-ყელიანი წითელი ფეხსაც-მელი, სპილოს ძვლის ტახტი, კვერთხი და სხვ.

**ᲘᲜᲡᲘᲜᲣᲐᲪᲘᲐ** [ლათ. insinuatio] – მონაჭორი ვისიმე სახელის გასატეხად; ცილისწამება.

**ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠ**-ი [ლათ. inspector ზედამხედველი] – თანამდებობის პირი, რომელიც ზედამხედველობს და კონტროლს უწევს დაქვემდებარებულ ორგანოებსა და პირებს.

⊙ **საფინანსო ი; განათლების განყოფილების ი.**

◎ **საინსპექტრორო.**

⊙ **ს. შემოწმება.**

**ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲐ** და **ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐ** [ლათ. inspectio დათვალიერება] – **1.** რაიმე დაწესებულების, ორგანიზაციის ან ვისიმე მოქმედების სისწორის შემოწმება ზედამხედველობის ან ინსტრუქტირების წესით.

⊙ **სკოლის ი. გაუწიეს.**

**2.** ზედამხედველობის ორგანოები.

⊙ **საავტომობილო ი., სანიტარული ი.**

◎ **საინსპექციო.**

⊙ **ს. კომისია, ს. დათვალიერება.**

**ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲐᲪᲘᲐ** [ლათ. inspiratio] – და **ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲐ** – ვისიმე შეგულიანება, წაქეზება.

**ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ** [ლათ. instantia უშუალო სიახლოვე] – ერთმანეთის დაქვემდებარებული სახელმწიფო მმართველობის, სამხედრო, სასამართლო და სხვ. ორგანოების ცალკეული საფეხურები.

⊙ **პირველი ი., უმაღლესი ი.**

**ᲘᲜᲡᲢᲘᲚᲐᲪᲘᲐ** [ლათ. instilatio] – (მედიც.) ჩაწვეთება (წამლისა, სითხისა).

**ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢ**-ი [< ლათ. instictus განზრახვა] – **1.** ცხოველური ორგანიზმის თანდაყოლილი მიდრეკილება მიზანშეწონილი, მაგრამ არაცნობიერი მოქმედებისადმი.

⊙ **თავდაცვის ი.**

**2.** (გადატ.) მიხვედრის უნარი, ალღო.

⊙ **ი.-ით მიხვდა.**

◎ **ინსტინქტური** – ნებისგან დამოუკიდებელი.

⊙ **ი. მოძრაობა.**

○ **ინსტიქტი, ინსტიქტური შცდ.**

**ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢ**-ი [< ლათ. institutum დანაწესები რამ, დაწესებულება] – **1.** ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სახელწოდება.

⊙ **პედაგოგიური ი., ენათმეცნი-**

**ერების ი.**

2. (წიგნ.) უფლებრივ ნორმათა ერთობლიობა,რომელიც აწესრიგებს გარკვეულ სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობას.

⊙ **ქორწინების ი., პრეზიდენტის ი.**

◎ **საინსტიტუტო** (მნიშ. 1-თვის).

⊙ **საერთო ს. შეკრება.**

**ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢ**-ი [ლათ. instrumentum] – **1.** რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი.

⊙ **ქირურგიული ი.**

2. სხვადასხვა სახის საკრავი.

⊙ **მუსიკალური ი.-ები.**

◎ **ინსტრუმენტული** და **საინსტრუმენტო.**

⊙ **ს. ფოლადი, ს. ქარხანა, ი. ანსამბლი, ი. (ს.) მუსიკა.**

○ **ინსტრუმენტალური შცდ.**

**ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢ**-ი – რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტის დამკვრელი მუსიკოსი.

**ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠ**-ი [ლათ. instructor მომწყობი] – **1.** თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება დროდადრო შეამოწმოს მისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია – დაწესებულებანი, პირები.

2. პირი,რომელიც რაიმე სპეციალობას, ოსტატობას ასწავლის.

⊙ **ცურვის ი., ავტოსკოლის ი.**

**ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ** [ლათ. instructio დარიგება] – სახელმძღვანელო მითითებანი; რისამე შესასრულებლად საჭირო წესების კრებული.

⊙ **უსაფრთხოების ტექნიკის ი.**

**ᲘᲜᲡᲣᲚᲘᲜ**-ი [ლათ. insulinum] – კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; იყენებენ დიაბეტისა და ზოგი სხვა დაავადების სამკურნალოდ.

**ᲘᲜᲡᲣᲚᲢ**-ი [< ლათ. insulto ვხტი] – (მედიც.) ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა, რასაც თან სდევს უეცარი გულის წასვლა და დამბლა.

**ᲘᲜᲡᲪᲔᲜᲘᲠᲔᲑᲐ** [ლათ. in-ზე და scena სცენა] – **1.** რაიმე ლიტერატურული ნაწარმოების (რომანის, მოთხრობის...) გადაკეთება სცენაზე დასადგმელად.

⊙ **ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" ი., დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი".-ს ი.**

2. გადატ. (წიგნ.) რისამე მოწყობა, გათამაშება ვისამე მოსატყუებლად, თვალის ასახვევად.

⊙ **ჩხუბის ი., ომის ი.**

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲚ**-ი [< ლათ. integer მთელი] – (მათემ.) მთელი სიდიდე, რომელსაც განიხილავენ როგორც თავისი

უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს.
◎ **ინტეგრალური.**

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐ́ᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ** – მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ინტეგრალის თვისებებსა და მისი გამოყენების არეს.

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐ́ᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔ́ᲑᲔᲑᲘ** – (მათემ.) განტოლებები, რომლებიც უცნობ ფუნქციებს შეიცავენ ინტეგრალის ნიშნის შიგნით.

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐ́ᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲝᲛᲔ́ᲢᲠᲘᲐ** – მათემატიკის დარგი; შეისწავლის წერტილების, წირების, სიბრტყეების... ზოგიერთ რიცხობრივ მახასიათებლებს, რომლებსაც გამოთვლიან ინტეგრირების საშუალებით

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐ́ᲚᲣᲠᲘ ᲡᲥᲔ́ᲛᲐ** (ან: **ᲛᲘᲙᲠᲝ́ᲡᲥᲔᲛᲐ**) – მიკრო-მინიატურული მოწყობილობა, რომლის ელემენტები (ან მათი ნაწილი) ერთმანეთთან ელექტრულადაა შეერთებული და კონსტრუქციულად განუყოფელია.

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. integratio აღდგენა] და **ინტეგრირება** [გერმ. integriren] – **1.** (მათემ.) მოცემული ფუნქციის ინტეგრალის პოვნა.
**2.** (წიგნ.) ერთ მთელად ქცევა, გაერთიანება,შეერთება (რაიმე ნაწილებისა).
**3.** (ლინგვ.) ენათა (დიალექტთა) დაახლოება ურთიერთგავლენის შედეგად.

**ᲘᲜᲢᲔ́ᲚᲔᲥᲢ**-ი [ლათ. intellectus] – ადამიანის აზროვნების უნარი, გონებრივი განვითარების დონე; ჭკუა, გონება.
⊙ **დიდი ი.-ის მქონე ახალგაზრდა.**
◎ **ინტელექტუალური.**
⊙ **ი. პიროვნება, ი. უნარი, ი. შრომა.**

**ᲘᲜᲢᲔᲚᲘ́ᲒᲔᲜᲢ**-ი [ლათ. intelligens (intelligentis) მცოდნე, მოაზროვნე] – ინტელიგენციის წარმომადგენელი; განათლებული, შეგნებული, კულტურული ადამიანი;
◎ **ინტელიგენტური.**
⊙ **ი. გარეგნობა, ი. ქცევა.**
○ **ინტელგენტი, ინტელეგენტური, ინტილიგენტი, ინტლიგენტური, ინტილგენსი, ინტლიგენტური შცდ.**

**ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔ́ᲜᲪᲘᲐ** [ლათ. intelligentia მიხვედრილობა] – გონებრივი აღქმის უნარი. გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანები, რომელთაც აქვთ სპეციალური მომზადება მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის

სფეროში.
⊙ **შემოქმედებითი ი.**

**ᲘᲜᲢᲔ́ᲜᲓᲐᲜᲢ**-ი [ფრ. intendant] – სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც აბარია შეიარაღებული ძალების მომარაგების საქმე.
⊙ **პოლკის ი.**
◎ **საინტენდანტო.**
⊙ **ს. სამსახური, ს. აკადემია.**

**ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘ́ᲣᲠ**-ი [ფრ. intensi < ლათ. intensio, დაძაბულობა] – **1.** დაძაბული, გაძლიერებული.
⊙ **ი. შრომა, ი. დატვირთვა.**
**2.** უკეთესი შედეგის, ნაყოფიერების მომცემი.
⊙ **ი. სამეცნიერო შრომა.**

**ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐ́ᲪᲘᲐ** [ფრ. intesification] – (წიგნ.) რისამე ქცევა უფრო ინტენსიურად (იხ. **ინტენსიური**, მნიშ. 2).
⊙ **წარმოების ი., სოფლის მეურნეობის ი.**

**ᲘᲜᲢᲔᲠ**... [ლათ. inter] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვების მნიშვნელობით **„ინტერნაციონალური"**.
⊙ **ინტერვიდენიე, ინტერნაციონალიზმი.**

**ᲘᲜᲢᲔ́ᲠᲔᲡ**-ი [ლათ. interest მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელოვანია] – **1.** მოგება, სარგებელი.
⊙ **ათპროცენტიანი ი.**
**2.** რისამე გაგების, გაცნობის. შეისწავლის სურვილი; ცნობისმოყვარეობა.
⊙ **ი. აღძვრა, ამბავმა ი. გამოიწვია.**
**3.** მიზანი, მისწრაფება, მოთხოვნილება.
⊙ **ეროვნული ი.-ები, ვისიმე ი.-ების დამცველი.**
◎ **საინტერესო** (მნიშ. 1-ისათვის).
⊙ **ს. წიგნი, ს. აზრი, ს. პიროვნება.**
◎ **უინტერესო** (უარყ. ზ. ს.).
⊙ **უ. კინოფილმი, უ. საუბარი.**

**ᲘᲜᲢᲔ́ᲠᲕᲐᲚ**-ი [ლათ. intervallum] – **1.** მანძილი, სივრცე ორ საგანს შორის.
**2.** დროის შუალედი.
⊙ **ხუთწუთიანი ი.**

**ᲘᲜᲢᲔ́ᲠᲕᲔᲜᲢ**-ი – ინტერვენციის მონაწილე ან ორგანიზატორი; დამპყრობი.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔ́ᲜᲪᲘᲐ** [ლათ. interventio] – ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში.
⊙ **სამხედრო ი.**

**ᲘᲜᲢᲔ́ᲠᲕᲘᲣ** [ინგ. interview] – პოლიტიკური,საზოგადომოღვაწის, ცნობილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან, კორესპონდენტთან – პრესაში გამოსაქვეყნებლად, რადიოთი, ტელევიზიით გადასაცემად.
⊙ **ი.-ს აღება, ი.-ს მიცემა.**

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘ́ᲣᲔᲠ**-ი [ინგ. interiewer] –

(წიგნ.) ჟურნალისტი,რომელიც ვინმესგან იღებს ინტერვიუს.

**ინტერიერ**-ი [ფრ. interieur შიგა, შიგნითა] – 1. (არქიტ.). შენობის შიგნითა ნაწილი, არქიტექტურულად და მხატვრულად გაფორმებული.
2. ნახატი, რომელზედაც ასახულია შენობის შიგნითა ნაწილი.
3. ცხოველის შინაგანი აგებულება.

**ინტერმედია** [იტ. intermedio საშუალედო] – დრამატულ ან საოპერო ნაწარმოებში ჩართული პატარა სცენა, ჩვეულებრივ კომიკური ხასიათისა.

**ინტერმეცო** [იტ. intermezzo] – (მუს.) მცირე მუსიკალური პიესა, ზოგჯერ დამოუკიდებელი საორკესტრო ნომერი ოპერაში.

**ინტერნ**-ი [ლათ. internus შინაგანი, შიგნითა] – 1. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელსაც სრული კურსი აქვს დამთავრებული და დიპლომის მიღებამდე ერთწლიან პრაქტიკას გადის კლინიკაში, საავადმყოფოში.
2. ექიმი, რომელიც 2-3 წლით მოვლინებულია რომელიმე სამკურნალო დაწესებულებაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

**ინტერნატ**-ი [< ლათ. interinus შინაგანი, შიგნითა] – 1. სკოლა, სადაც მოსწავლეები ცხოვრობენ კიდევაც (სხვანაირად: **სკოლა-ინტერნატი**)
⊙ **ი.-ში სწავლობს.**
2. სასწავლო დაწესებულებასთან არსებული საერთო საცხოვრებელი მოსწავლეებისათვის.
⊙ **სკოლის ი.**

**ინტერნატურა** [< ლათ. internus შინაგანი, შიგნითა] – კურსდამთავრებულ ექიმთა (რომელიმე სამკურნალო დაწესებულებაში) სტაჟირება, რომლის მიზანია ცოდნის სრულყოფა, სპეციალიზაციის გაღრმავება.

**ინტერნაციონალ**-ი [ფრ. internationale] – 1. მემარცხენე მიმართულების საერთაშორისო გაერთიანება.
⊙ **სოციალისტური ი.**
2. ფრანგი კომპოზიტორის პიერ დეგეიტერის (XIX ს.) სიმღერა, კომუნისტური პარტიის ჰიმნად აღიარებული.

**ინტერნაციონალიზმ**-ი [ფრ. internationalisme] – ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა, ბრძოლა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

**ინტერნაციონალური** – სხვა-

დასხვა ეროვნების ხალხების კუთვნილი; სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლისგან შემდგარი (ქართ. სინონ. **საერთაშორისო**).

⊙ **ი. სიტყვები, კოსმოსური ხომალდის ი. ეკიპაჟი.**

**ინტერნეტ**-ი [ინგ. inter შორისი და net ქსელი] – მსოფლიო განფენილობის კომპიუტერული ქსელი. რომელშიც შესაძლებელია ინფორმაციის შენახვა ან მოძიება ცალკეულ პერსონალურ კომპიუტერთა სატელეფონო ქსელთან შეერთების საშუალებით.

**ინტერნირება** [< ლათ. internus შინაგანი] – **1.** ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ განაიარაღება და დაკავება მეომარი მხარეების სამხედრო ნაწილებისა, რომლებიც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე შევიდნენ.

**2.** მეომარი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მის ტერიტორიაზე მცხოვრები მტრული სახელმწიფოს მოქალაქეების დაკავება და მათთვის თავისუფლების აღკვეთა ომის დამთავრებამდე.

**ინტერპელაცია** [ლათ. interpellatio შეწყვეტინება სიტყვისა] – პარლამენტის დეპუტატის (წევრის) წერილობითი შეკითხვა მთავრობისადმი რაიმე საქმის ან ფაქტის თაობაზე.

**ინტერპოლ**-ი [ინგ. interpol] – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**ინტერპრეტატორ**-ი – (წიგნ.) პირი, რომელიც რისამე ინტერპრეტაციას იძლევა; განმმარტებელი.

**ინტერპრეტაცია** [ლათ. interpretatio] – და **ინტერპრეტირება** [გერმ. interpretieren] – (წიგნ). **1.** რისამე აზრის ახსნა, განმარტება.

⊙ **კანონის ი.**

**2.** თავისებური შემოქმედებითი შესრულება რაიმე მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოების, როლისა მსახიობის, შემსრულებელი – მუსიკოსის მიერ.

⊙ **ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ახალი ი.**

**ინტერფერენცია** [ლათ. inter შორის და ferens (ferentis) მატარი, გადამტანი] – **1.** (ფიზ.) ბგერითი, სინათლის ან ელექტრული ტალღების ურთიერთგაძლიერება ან ურთიერთშესუსტება ერთმანეთზე დამთხვევის დროს.

⊙ **სინათლის ი., ბგერის ი.**

**2.** ყოველგვარი ზედდება, გადახლართვა.

**ინტი́მური** [ფრ. intime < ლათ. intimus ყველაზე ღრმა, შინაგანი] – **1.** ადამიანის გრძნობებთან, სულიერ სამყაროსთან, სიყვარულთან დაკავშირებული; უაღრესად პირადული.
⊙ **ი. ურთიერთობა, ი. თემა.**
**2.** შინაურული, მეგობრული, გულითადი.
⊙ **ი. საუბარი.**

**ინტონა́ცია** [იტ. intonazione < ლათ. intono ხმამაღლა წარმოვთქვამ] – **1.** მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, ხმის აწევ-დაწევა წარმოთქმისას.
⊙ **კითხვითი ი.**
**2.** წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს.
**3.** (მუს.) შესრულების სიზუსტე, ბგერის სიწმინდე (სიმაღლის მიხედვით).

**ინტოქსიკა́ცია** [ლათ. in -ში და ბერძ. toxikon შხამი] – ორგანიზმის მოწამვლა შხამიანი ნივთიერებით (ტოქსინებით).

**ი́ნტრიგა** [ფრ. intrigue] – **1.** ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად.
⊙ **ი.-ები მეფის კარზე, ი.-ების მოწყობა.**
**2.** (ლიტ.) სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული და დაძაბული განვითარება რომანში, დრამაში.
⊙ **რთული ი.**

**ინტრი́განტ**-ი [ფრ. intrigant] – პირი, რომელიც ინტრიგებს (იხ. **ინტრიგა**, მნიშ. 1) აწყობს, მიმართავს.
◎ **ინტრიგანული.**
⊙ **ი. გამოხდომა.**

**ინტროსპე́ქცია** [< ლათ. intro spectio ვიხედები შიგნით] – (ფსიქ.) ადამიანის მიერ უშუალოდ თავის ცნობიერების მდგომარეობაზე დაკვირვება; თვითდაკვირვება.

**ინტუი́ცია** [ლათ. intuitio ჭვრეტა] – მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო, სტიქიური გრძნობა, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას; ალღო.
⊙ **ი.-ის მქონე ადამიანი.**
◎ **ინტუიციური.**
⊙ **ი. შეგრძნება.**
○ **ინტუიტიური, ინტუიტური შცდ.**

**ი́ნფანტ**-ა [ესპ. infanta] – ინფანტი ქალი.

**ი́ნფანტ**-ი [ესპ. infante] – ესპანეთსა და პორტუგალიაში (მონარქიული მმართველობის დროს): უფლისწულის ტიტული.

**ი́ნფარქტ**-ი [ლათ. infarctus გატენილი, გავსებული] – სის-

ხლის მიწოდების შეწყვეტა არტერიების შევიწროების ან მათი დაცობის შედეგად.
⊙ **გულის კუნთის ი.**
○ **ინფაქტი შცდ.**

**ინფერნალურ**-ი [ლათ. infernalis] – (წიგნ.) ჯოჯოხეთური.

**ინფერნალური მკითხაობა** – ქირომანტიის, ნეკრომანტიის, სპირიტიზმის, ჯადოქრობის, ალქიმიის და მისთ. საერთო სახელწოდება.

**ინფექცია** [< ლათ. infectio] – დაავადების გამომწვევი მიკრობების შეჭრა ორგანიზმში.
◎ **ინფექციური.**
⊙ **ი. დაავადება, ი. საავადმყოფო.**

**ინფინიტივ**-ი [ლათ. infinitius] – (გრამატ.) ზოგიერთ ენაში: ზმნის განუსაზღვრელი ფორმა.
⊙ რუს. **читать, писать.**

**ინფლაცია** [ლათ. inflatio გაბერვა] – ქვეყანაში ქაღალდის ფულს გაუფასურება იმის გამო, რომ მიმოქცევაში გამოშვებულია იმაზე მეტი, რაც საჭიროა საქონელბრუნვის მოთხოვნილებით.
⊙ **ინფლიაცია შცდ.**

**ინ-ფოლიო** [ლათ. in folio < in-ში და folium ფურცელი] – გამოცემის (წიგნის, ჟურნალის) ფორმატი, რაც უდრის დაბეჭდო თაბახის ნახევარს.

**ინფორმატიკა** [ფრ. informatique, გერმ. informatik] – დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სამეცნიერო ინფორმაციის სტრუქტურასა და ზოგად თვისებებს, აგრეთვე მის დამუშავებას, გადაცემას და გამოყენებას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში პერსონალური კომპიუტერების საშუალებით.

**ინფორმატორ**-ი – პირი, რომელიც ინფორმაციას იძლევა; ცნობების მიმწოდებელი.

**ინფორმაცია** [ლათ. informatio] – **1.** ცნობა, შეტყობინება რაიმე მომხდარი ამბის, ვისიმე, რისამე მდგომარეობის შესახებ.
⊙ **საგაზეთო ი.**
**2.** ცნობები გარესამყაროს და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომლებსაც აღიქვამს ადამიანი ან სპეციალური მოწყობილობა.
⊙ **ი.-ის ნაკადი, ი.-ს თეორია.**
◎ **ინფორმაციული და საინფორმაციო.**
⊙ **ი. (ს.) ცნობა, ი. (ს.) ბიულეტენი, ს. ბიურო.**

**ინფრაბგერა** [ლათ. infra ქვეშ, ქვე] – (ფიზ.) დაბალი სიხშირის რხევები (წამში 20-ზე ნაკლები), რომლებსაც ადამიანის სმენის ორგანო

ვერ აღიქვამს.

**ინფრასტრუ́ქტურა** [ლათ. infra ქვეშ, ქვე და struotura აგებულება] – 1. მეურნეობის იმ დარგების კომპლექსი, რომლების ემსახურება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

⊙ **ქალაქის ი., ი.-ის განვითარება.**

2. (სამხ.) ზურგის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებულ ჯარების მოქმედებას.

◎ **ინფრასტრუქტურული.**

⊙ **ი. ობიექტები.**

**ინფრაწი́თელი** [ლათ. infra ქვეშ, ქვე]: ინფრაწითელი სხივები (გამოსხივება) – გრძელტალღოვანი ელექტრომაგნიტური გამოსხივება,რომელიც თვალით არ ჩანს, სპექტრზე ოპტიკურსა და რადიოტალღებს შორის მდებარეობს.

**ინფუზო́რია** [< ლათ. infusus რამეში ჩაღვრილი] – უმარტივესი (ერთუჯრედიანი) ცხოველი, რომელიც ცხოვრობს მტკნარ და მლაშე წყლებში (შდრ. **ამება**).

**ი́ნცესტ**-ი [ლათ. incestus] სისხლის აღრევა.

○ **ინციდენტი შცდ.**

**ინჰალა́ტორ**-ი – ინჰალაციისათვის საჭირო ხელსაწყო.

○ **ინგალატორი შცდ.**

**ინჰალა́ცია** [ლათ. inhalo შევისუნთქავ] – (მედიც) ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა აირად, ორთქლად ქცეულ ან გაფრქვეულ სამკურნალწამლო ნივთიერებათა შესუნთქვით.

○ **ინგალაცია შცდ.**

**ი́ოგა** [< სანსკრ. joga. შეერთება, აზრთა მოკრება, ჭვრეტა, განჭვრეტა] – 1. ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ თვითჭვრეტის და თვითგვემის გზით შეიძლება ზებუნებრივ ძალებთან, ღვთაებასთან შეერთება.

○ **იოგი შცდ.**

2. ფიზიკური ვარჯიშების სისტემა.

◎ **იოგური.**

⊙ **ი. ვარჯიში.**

**იოგუ́რტ**-ი [ინგ. yoghurd< თურქ. yogurd] – მაწონი ხილის წვენის დანამატით.

**ი́ოდ**-ი [ბერძ. ioeides იისფერი] – 1. მძაფრი სუნის მქონე მუქი ნაცრისფერი (რუხი) ქიმიური ელემენტი – კრისტალური ნივთიერება; მოიპოვებენ უმთავრესად ზღვის წყალმცენარეებიდან.

⊙ **ი.-ს კრისტალები**

2. ეს ნივთიერება, სპირტში გახ-

სნილი; იყენებენ მედიცინაში როგორც სადეზინფექციო საშუალებას.

**ᲘᲝᲜ**-ი [ბერძ. ion მიმავალი] – (ფიზ.) დამუხტული ატომი ანატომთა ჯგუფი,რომელშიც ერთი ან რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტი ან ნაკლებია.

**ᲘᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ** – **1**. (ფიზ.) იონების წარმოქმნა.

**2**. (მედიც.) სამკურნალო ნივთიერების შეყვანა სხეულში იონებით, რომლებიც წარმოიქმნება ამ ნივთიერებაში ელექტროდების გავლით.

**ᲘᲝᲜᲝᲡᲤᲔᲠᲝ** – ატმოსფეროს ზედა ნაწილი (100-დან 400 კმ-მდე სიმაღლეზე), რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით იონებსა და თავისუფალ ელექტრონებს.

**ᲘᲞᲝᲓᲠᲝᲛ**-ი [ბერძ. hippodromos < hippos ცხენი და dromos სარბიელი; რბოლა] – სპეციალურად მოწყობილი ადგილი ცხენოსნობაში შესაჯიბრებლად.

○ **ჰიპოდრომი შცდ.**

**ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲐ** [ბერძ. hipotheke გირაო, წინდი] – **1**. სესხი, აღებული უძრავი ქონების დაგირავებით.

**2**. თვით დაგირავებული უძრავი ქონება.

**ᲘᲞᲝᲡᲢᲐᲡ**-ი [ბერძ. hipostasis პიროვნება, არსი] – **1**. (ფილოს.) ინდივიდუალური, რეალურად არსებული რამ; არსი (ტერმინი შემოიღეს არისტოტელეს მიმდევრებმა).

**2**. ქრისტიანულ მოძღვრებაში: სამების თითოეულ პიონი (ქრისტიანული დოგმატის მიხედვით სამება შედგება სამი ი.-ისგან: „მამისა", „ძისა", „სულიწმინდისაგან" - **„მამა-ღმერთი", „ძე-ღმერთი", „სული-წმინდა"**).

**ᲘᲞᲝᲥᲝᲜᲓᲠᲘᲐ** [ბერძ. hipochon] – ავადმყოფური შიში, გამოწვეული თავის ჯანმრთელობაში დაეჭვებით.

**ᲘᲞᲠᲘᲢ**-ი [< კრებ. ფრ.] – მომწამვლელი ნივთიერება, მდოგვის სუნის მქონე.

**ᲘᲠᲐᲓᲘᲐᲪᲘᲐ** [< ლათ. irradio შუქს გამოვცემ, გამოვასხივებ] – **1**. (ფიზ.) ოპტიკური მოვლენა, როდესაც ნათელი საგნები ბნელ ფონზე უფრო დიდად ჩანან, ვიდრე სინამდვილეში არიან.

**2**. (მედიც.) ტკივილის შეგრძნების გავრცელება ნატკენ უბანს ან ორგანოს დაშორებულ ნაწილაკში.

**3**. (ფიზიოლ.) აღგზნების ან შეკავების პროცესის გავრცელება ცენტრალურ ნერვულ

სისტემაში.

**ირაციონალურ**-ი [ლათ. irrotionalis უგუნური] – (ფილოს.) კანონზომიერებას მოკლებული და ამიტომ გონებისათვის მიუწვდომელი, ლოგიკის ცნებებით აუხსნელი.

**ირეალურ**-ი [ლათ. irrealis] – სინამდვილეში არარსებული; არარეალური.

**ირიგაცია** [ლათ. irrigatio] – **1.** მიწის ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა.
**2.** (მედიც.) წყლით ან სამკურნალო ხსნარებით მორწყვა-მობანა ჭრილობათა ან ღრუ ორგანოთა (პირის, ცხვირის, სწორი ნაწლავის და სხვ.).
◎ **საირიგაციო.**
⊙ **ს. ნაგებობანი, ს. არხი.**

**ირის**-ი [< ბერძ. iris ცისარტყელა] – **1.** (ანტ.) თვალის ფერადი გარსი.
**2.** ერთგვარი ყავისფერი პატარა კანფეტი ოთხკუთხა კვერების სახისა.
**3.** (ბოტან.) ზამბახი.

**ირიტ**-ი [< ბერძ. iris თვალის ფერადი გარსი] – (მედიც) თვალის ფერადი გარსის ანთება.

**ირონია** [ბერძ. eirōneia] – ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა.
◎ **ირონიული.**
⊙ **ი. ღიმილი.**

**ისიდა** და **იზიდა** [ბერძ. Isis (Isidos) < (ეგვიპტ.) ეგვიპტურ მითოლოგიაში: ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი, ეგვიპტის ყველა ფარაონის ღვთაებრივი მშობელი; წარმოდგენილი ჰყავდათ ძროხისთავიან ქალად.

**ისლამ**-ი [არაბ. islam თავის შეწირვა, მორჩილება ალაჰისადმი] – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მაჰმადიანთა რელიგია (სინონ. **მუსლიმანობა**).
◎ **ისლამური.**
⊙ **ი. რესპუბლიკა.**

**ისმაილიტები** [შიიტების მეშვიდე მამის – ისმაილის სახელიდან] – (მუსლიმ.) შიიტური სექტის მიმდევრები, გამოირჩევიან მამისადმი მორჩილებით.

**ისტაბლიშმენტ**-ი [ინგ. istablishment] – ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემა.

**ისტერია** [< ბერძ. hystera საშო] – ფუნქციური ნერვულ-ფსიქიკური დაავადება; ახასიათებს ტირილი, სიცილი, კრუნჩხვები აგრეთვე ფსიქიკის შეგრძნობადობის და მისთ. სხვადასხვაგვარი მოშლისა.

**ისტორია** [< ბერძ. historia] – **1.** სინამდვილე მის განვითარებაში.
⊙ **კაცობრიობის ი.**
**2**. მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესახებ.
⊙ **საქართველოს ი., ი. იწყება შუმერიდან** (სემიუელ ნოა კრამერი)**, შუა საუკუნეების ი.**
**3**. მეცნიერება ცოდნის რაიმე დარგის განვითარების შესახებ.
⊙ **თეატრის ი., მუსიკის ი., რელიგიის ი., ფილოსოფიის ი.**

**ისტორიული** – **1**. ვინც, რაც ნამდვილად იყო, არსებობდა
⊙ **ი. პიროვნება, იესო ქრისტე – ი. პიროვნება, ი. პროცესი, ი. ფაქტი.**
**2**. ისტორიისათვის მნიშვნელოვანი, ისტორიაში შესული.
⊙ **ი. ძეგლები, ი. თარიღი.**
**3**. რასაც საფუძვლად უდევს ისტორიულ ამბები.
⊙ **ი. რომანი**.
**4**. რაც მოვლენებს შეისწავლის, მათი თანმიმდევრული განვითარებით.
⊙ **ი. გამოკვლევა, ი. გეოგრაფია.**
**საისტორიო** (მნიშ. 2-ისათვის)
⊙ **ს. საზოგადოება.**

**ისტორიოგრაფია** [ბერძ.historia და grapho ვწერ] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანთა საზოგადოების შესახებ ისტორიული ცოდნის განვითარებასა და საისტორიო წყაროებს.

**იუან**-ი [ჩინ.] – ჩინეთის რესპუბლიკის ფულის ერთეული.

**იუბილე** [ლათ. jubilaeus (annus) < ძვ. ებრ. (qeren hayōßē ცხვრის რქა) საიუბილეო (წელი)] – ცალკე პირის მოღვაწეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის არსებობის რომელიმე წლისთავი; ასეთ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი.
⊙ **მსახიობის ი., უნივერსიტეტის ი.**
◎ **საიუბილეო.**
⊙ **ს. თარიღი, ს. საღამო.**
◎ **იუბილესი.**
○ **იუბილისა, იუბილეი შცდ**.

**იუდაიზმ**-ი – იუდეველთა რელიგიური სისტემა.

**იუდეველებ**-ი – პირველად: იუდეის (ძველი პალესტინის) მცხოვრებნი; შემდეგ: საერთოდ ებრაელები [ბიბლიური პატრიარქის იუდას სახელის მიხედვით, რომელიც ითვლება იუდეველთა მითიურ წინაპრად].

**იუველირ**-ი [ჰოლანდ. juwelier] – ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვებისგან სამკაულე-

ბის, ფუფუნების საგნების დამამზადებელი ოსტატი; ასეთი ნივთებით მოვაჭრე (ქართ. სინონ. ოქრომჭედელი).

◎ **სიუველირო** (ქართ. სინონიმ. **საოქრომჭედლო**).

⊙ **ს. ნაწარმი, ს. მაღაზია.**

**იულიუსის კალენდარი, იულიუსის წელთაღრიცხვა** [ლათ. julianus] – წელთაღრიცხვის სისტემა („ძველი სტილი"), შემოღებული იქნა 46 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომის იმპერატორ იულიუს კეისრის დროს; მოქმედებდა „ახალი სტილის" შემოღებამდე (იხ. გრიგორიანული).

○ **იულიოსის .... შცდ.**

**იუმორ**-ი [ინგ. humor] – **1.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი.

⊙ **ი.-ს გრძნობა, ი.-თ ლაპარაკი.**

**2.** ხელოვნებაში: რისამე გამოხატვა სასაცილოდ, კომიკურად.

⊙ **ი.** და **სატირა, ი.-ის განყოფილება გაზეთში.**

◎ **იუმორისტული.**

⊙ **ი. ჟურნალი.**

⊙ ზოგჯერ იხმარება – **ჰუმორი, ჰუმორისტული.**

**იუმორესკა** [გერმ. humoreske] – იუმორით გამსჭვალული პატარა მხატვრული ნაწარმოები (მოთხრობა, მუსიკალური პიესა).

**იუმორისტ**-ი – იუმორისტული ნაწარმოების ავტორი.

⊙ ზოგჯერ იხმარება – **ჰუმორისტი.**

**იუნგა** [გერმ. junge ბიჭი, ყმაწვილი] – (ზღვ.) **1.** ბიჭი, რომელიც გემზე ემზადება მატროსად და სწავლობს ზღვაოსნობას.

**2.** ზოგი ქვეყნის ფლოტში; უმცირესი მატროსი.

◎ **იუნგისა.**

○ **იუნგასი შცდ.**

**იუნიორები** [ < გერმ. junior ახალგაზრდული, ჭაბუკური] – ჭაბუკი სპორტსმენები (18-20 წლისა).

**იუნკერ**-ი [გერმ. junker] – (ისტ.) **1.** ფეოდალურ პრუსიაში: მსხვილი მიწათმფლობელი აზნაური, მემამულე.

**2**. მეფის რუსეთში: საშუალო სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე, რომელიც ოფიცრად ემზადებოდა.

◎ **იუნკრისა; მრ. იუნკარები.**

○ **იუნკერისა, იუნკერები შცდ.**

**იუნონა** [ლათ. juno (junonis)] – რომაულ მითოლოგიაში: მთვარის, ცისა და მიწის ქალღმერთი, ქორწინებისა და დაბადების მფარველი; ითვლება იუპიტერის მეუღლედ (ბერძნულ მითოლოგიაში მას შე-

ესაბამება **ჰერა**).

**იუპიტერ**-ი [ლათ. jupitr] – **1.** რომაულ მითოლოგიაში: ცის, სინათლისა და წვიმის ღმერთი, უზენაესი ღვთაება (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება **ზევსი**).

**2**. (ისტ.) მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა, მზიდან რიგით მეხუთე, ჰყავს 12 თანამგზავრი.

**იურთ**-ი [თურქ. jurt] – ცენტრალურ და შუა აზიის ხალხებში: გადასატანი საცხოვრებელი – ქუჩის კარავი კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობისა

**იურიდიული** [ლათ. juridicus სასამართლოსი] – რაც დაკავშირებულია უფლებრივ, სამართლის ნორმებთან, ამ ნორმების შესწავლა-გამოყენებასთან.

**იურიდიული კონსულტაცია** – ადვოკატთა კოლეგიის განყოფილება, რომლის მოღვაწეობაა მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა სამართლებლივ საკითხებში.

**იურიდიული პირი** – ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ფლობდეს ქონებას, იკისროს ვალდებულებანი, დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩლედ ან მოპასუხედ და სხვ.

**იურისდიქცია** [ლათ. juridictio] – **1.** სასამართლო საქმის წარმოების უფლება (ქართ. სინონ. განსჯადობა).

**2**. სახელმწიფოს ტერიტორიული სამართლებრივი სფერო, რომელზედაც ვრცელდება ასეთი უფლება.

⊙ **სახელმწიფოს ი. მის ტერიტორიაზე**.

**იურისკონსულტ**-ი [ლათ. jurisconsultus] – იურისტი, რომელსაც აბარია უფლებრივი საკითხების გადაწყვეტა დაწესებულებაში და გამოდის მისი ინტერესების დამცველად სასამართლოში ან არბიტაჟში და მისთ.

○ **იურისკონსული შცდ**.

**იურისპრუდენცია** [ლათ. juris prudentia სამართალზე ზრუნვა] – **1.** იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა; (ქართ. სინონ. **სამართალმცოდნეობა**).

**2.** იურისტთა პროფესიული მოღვაწეობა, სასამართლო პრაქტიკა.

**იურისტ**-ი – იურიდიულ მეცნიერებათა სპეციალისტი (ქართ. სინონ. სამართალმცოდნე).

**იუსტიცია** [ლათ. justitia სამარ-

თლიანობა, კანონიერება] – **1.** მართლმსაჯულება, სასამართლო წარმოება.

**2.** სასამართლო დაწესებულებათა სისტემა, სასამართლო უწყება.

⊙ **ი.-ის სამინისტრო.**

**ᲘᲥᲔᲓᲜᲔ** [ბერძ. echidna] – **1.** კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი ცხოველი.

**2.** ერთგვარი შხამიანი გველი ავსტრალიაში.

**ᲘᲥᲗᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ** [ბერძ. ichtnys თევზი და logos მოძღვრება] – ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც თევზებს შეისწავლის.

○ **იხთიოლოგია, იხტიოლოგია შცდ.**

**ᲘᲥᲡ**-ი [ლათ. ასო X] – **1.** ლათინური ანბანის ბოლოდან მესამე ასო X-ის სახელი; მათემატიკაში იხმარება უცნობი სიდიდის აღსანიშნავად იგრეკსა (y) და ზეტთან (z) ერთად.

**2.** ზოგჯერ იხმარება ისეთი ვისიმე სახელს ნაცვლად რომელიც უცნობია ან რომლის დასახელებაც არ უნდათ.

**ᲘᲦᲣᲛᲔᲜ**-ი – მართლმადიდებელი მონასტრის წინამძღვარი, ბერთა წოდება.

**ᲘᲨᲔᲛᲘᲐ** [ბერძ. ischô ვიკავებ, ვიჭერ და hiama სისხლი] – (მედიც.) ადგილობრივი სისხლნაკლებობა, რაც გამოწვეულია მკვებავი არტერიის დაცობით ან დავიწროებით.

**ᲘᲨᲗᲐᲠ**-ი – აქადურ (ასირიულბაბილონურ) მითოლოგიასა და რელიგიაში: მთავარი ღვთაება – ნაყოფიერებისა და ხორცული სიყვარულის, აგრეთვე ომისა და შუღლის ქალღმერთი (შეესაბამება ფინიკიურ **ასტარტეს**).

**ᲘᲨᲘᲐᲡ**-ი [ბერძ. ischias ბარძაყის ტკივილი] – საჯდომი ნერვის ანთება, დაავადება.

## კ

**ᲙᲐᲑᲐᲚᲐ**[1] [არაბ. kabâla] – სრული, მონური დამოკიდებულება ვინმეზე.

◎ **კაბალური, კაბალისა.**

⊙ **კ. ხელშეკრულება.**

○ **კაბალასი შცდ.**

**ᲙᲐᲑᲐᲚᲐ**[2] [ძვ. ებრ. gabbālah გადმოცემა, თქმულება] – იგივეა, რაც კაბალისტიკა

**ᲙᲐᲑᲐᲚᲘᲔᲠᲝ** [ესპ. caballero] – ესპანეთში: აზნაურის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

**ᲙᲐᲑᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ** [ძვ. ებრ. gabbalāh გადმოცემა, თქმულება] – **1.** შუა საუკუნეებში: ებრაელთა

მისტიკურ-რელიგიური მოძღვრება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი.

**2**. ისეთი რამ, რასაც თითქოს მაგიური ძალა აქვს; ბუნდოვანი, საიდუმლოებით მოცული, ძნელად გასარკვევი რამ.

**კაბარე** [ფრ. cabaret] – პატარა რესტორანი ესტრადით, სადაც იმართება სხვადასხვაგვარი წარმოდგენები (ცეკვა, სიმღერა და მისთ.).

**კაბელ**-ი [ჰოლანდ. kabel] – ჰერმეტულად იზოლირებული ელექტრული სადენი.

⊙ **ტელეფონის კ., ტელეგრაფის საზღვაო კ.**

◎ **საკაბელო.**

⊙ **ს. ხაზი, ს. ტელევიზია.**

**კაბელტოვ**-ი [ჰოლანდ. kabellouw] – (ზღვ.) **1**. სიგრძის ერთეული ზღვაოსნობაში 185,2 მ.

**2**. ქერელის ბაგირი 150-330 მმ დიამეტრით; იყენებენ გემებზე.

**კაბერნე** [ფრ. kabernet] – **1**. ერთგვარი ჯიშის ვაზი (საფრანგეთიდან შემოტანილი) რომელიც ისხამს მუქ ლურჯ ყურძენს.

**2**. წითელი ღვინო ამ ჯიშის ყურძნისა.

**კაბინა** [ფრ. cabine] – პატარა სათავსი სპეციალური დანიშნულებისა.

⊙ **ტელეფონის კ.** (სინონ. **ჯიხური**), **ავტომობილის კ., მფრინავის კ.,** (თვითმფრინავში), **ხმის მისაცემი კ.,** (საარჩევნო უბანზე).

○ **კაბინი შცდ.**

**კაბინეტ**-ი [ფრ. cabiret] – **1**. სამუშაოდ ან სამედიცინოდ განკუთვნილი ოთახი.

⊙ **დირექტორის კ.**

**2**. ოთახი, მოწყობილი რაიმე სპეციალური სათამაშოებისთვის.

⊙ **ფიზიკის კ., რენტგენის კ., კბილის საექიმო კ.**

**3**. ზოგ ქვეყანაში: მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა: მთავრობა, მინისტრთა საბჭო.

⊙ **შეიქმნა მინისტრთა კ.**

**კაბლოგრამა** [câblogramme] – წყალქვეშა კაბელით გადაცემული დეპეშა.

**კაბოტაჟ**-ი [ფრ. cabotage] – **1**. ნაოსნობა ნაპირის სიახლოვეს ერთი და იგივე ზღვის ან ერთი სახელმწიფოს ნავსადგურებს შორის.

**2**. სანაპირო ნაოსნობის ფლოტი.

◎ **კაბოტაჟური** და **საკაბოტაჟო.**

⊙ **კ. ნაოსნობა, კ. (ს.) გადაზიდვები, კ. (ს) გემი.**

**კაბრიოლეტ**-ი [ფრ. cabriolet] – **1.** მაღალი ერთცხენიანი ორთვალა ეტლი, რომელსაც კოფო არა აქვს.
**2.** ღია (ასახდელი სახურავით) მსუბუქი ავტომობილი.

**კაბუკ**-ი [იაპ.] – იაპონური თეატრი, რომელშიც გაერთიანებულია დრამა, მუსიკა, ცეკვა, დეკლამატია; შეიქმნა XVII ს.-ში.

**კადასტრ**-ი [ფრ. cadastre < შდრ. ბერძ. katastichon ფურცელი, რეესტრი] – რისამე აღწერა, სია; რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებული.

**კადეტ**-ი [ფრ. cadet] – **1.** რევოლუციამდელ რუსეთში: დახურული სამხედრო საშუალო სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) მოსწავლე.
**2.** ასე უწოდებენ უმცირესი ასაკის (15-16) მოჭადრაკეს.

**კადრ**-ი [ფრ. cadre] – **1.** კინო ან ფოტოფირის ცალკეული სურათი.
**2.** კინოფილმის ცალკე სცენა ან ეპიზოდი.
⊙ **კინოჟურნალის კ.-ები.**

**კადრები** [ფრ. cadres] – **1.** რაიმე დარგის მუშაკთა შემადგენლობა;
⊙ **ტექნიკური კ.-ები, საავტომობილო დეპარტამენტის კ.-ები, ხელმძღვანელი კ.-ები, კ.-ების დენადობა.**
**2.** საჯარისო ნაწილების მუდმივი შემადგენლობა (მათგან განსხვავებით, ვინც გარკვეული დროის განმავლობაში გადის სამხედრო სამსახურს).
⊙ **სამხედრო-საჰაერო ძალთა კ.-ები, კადრის ოფიცერი.**
◎ **საკადრო.**
⊙ **ს. პოლიტიკა.**

**კადრილ**-ი [ფრ. quadrille] – ექვსი ფიგურისაგან შემდგარი ცეკვა, რომელსაც ასრულებს ერთმანეთის პირისპირ მყოფი რამდენიმე წყვილი; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

**კავალერ**-ი[1] [ფრ. cavalier იტ. cavaliere] – **1.** კაცი, რომელიც ქალთან ცეკვავს.
**2.** ქალის მოტრფიალე თაყვანისმცემელი მამაკაცი.

**კავალერ**-ი[2] [იტ. cavaliere] – ორდენით (ორდენებით) დაჯილდოვებული პირი
⊙ **დიდების ორდენის კ.**

**კავალერია** [cavalerie] – ცხენოსანი ჯარი.
◎ **კავალერიული** და **საკავალერიო.**
⊙ **კ. (ს). პოლკი.**

**კავალერისტ**-ი – კავალერიაში მყოფი სამხედრო პირი.

**კავალკადა** [ფრ. cavalkade < იტ. cavalkada] – **1.** ერთად მომავალი

ცხენოსანთა ჯგუფი.

**2.** (მოძვ.) სასეირნოდ გამოსული ცხენოსანთა ჯგუფი (კაცებისაც და ქალებისაც).

◎ **კავალკადის.**

○ **კავალკადასი შცდ.**

**ᲙᲐᲕᲐ́ᲢᲘᲜᲐ** – [იტ. cavatina] – ოპერაში: პატარა ლირიკული არია.

**ᲙᲐ́ᲕᲔᲠᲜᲐ** [ლათ. caverna გამოქვაბული, ღრუ] – **1.** ღრუ, რომელიც ჩნდება რაიმე ორგანოში ქსოვილების დაშლის შედეგად. მაგ: ფილტვის კავერნა ტუბერკულიოზიის დროს.

**2.** (გეოლ.) ქანში გაჩენილი სიცარიელე.

**ᲙᲐᲖᲐ́ᲙᲔᲑᲘ** [რუს. казаки] – **1.** ძველად უკრაინასა და რუსეთში: თავისუფალი ადამიანები (ყოფილი ყმები) რომლებიც გაქცეული იყვნენ ქვეყნის განაპირას.

⊙ **დონის კ.-ები.**

**2.** მათი შთამომავალი გლეხები, რომელთაგანაც დგებოდა სამხედრო ნაწილები.

⊙ **ზაპოროჟიელი კ.-ები, კ.-თა დივიზია.**

⊙ საქართველოში მათ **ყაზახებს** ეძახდნენ.

**ᲙᲐᲖᲔ́ᲛᲐᲢ**-ი [ფრ. casemate < იტ. casematta] – **1.** (სამხ.) საარტილერიო ცეცხლისაგან და ავიაბომბებისაგან თავდასაცავი ნაგებობა ციხესიმაგრეში ან სამხედრო გემზე.

**2.** მეფის რუსეთში: ერთი ადამიანის განცალკევებით დასამწყვდევი საკანი ციხესიმაგრეში (ჩვეულებრივი პატიმრებისათვის).

**ᲙᲐ́ᲖᲘᲜᲝ** [ფრ. casino < იტ. casino] – სამორინე; ქალაქგარე რესტორანი საესტრადო გართობით (ანსამბლით).

**ᲙᲐᲖᲣ́ᲐᲠ**-ი [ფრ. casoar < მალაიურიდან kasuvari] – დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; ბინადრობს ჩრდილოეთ ავსტრალიაში და ახალ გვინეაზე.

**ᲙᲐᲖᲣ́ᲘᲡᲢᲘᲙᲐ** [ფრ. casuistiqne < ლათ. casus კაზუსი, შემთხვევა] – (სამართ.) **1.** კანონის ზოგადი მუხლების მიყენება სხვადასხვა იურიდიული შემთხვევებისათვის (კაზუსებისათვის).

**2.** (გადატ.) ყალბი ან საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკით.

**ᲙᲐ́ᲖᲣᲡ**-ი [ლათ. casus] – **1.** რაიმე შემთხვევა (არაჩვეულებრივი, სასაცილო).

**2.** სასამართლო პრაქტიკაში: რთული დახლართული საქმე.

**ᲙᲐᲗᲐᲙᲛᲔ́ᲕᲔᲚ**-ი [ბერძ.] – მოუნათლავი, მოსანათლად მომზადებული მორწმუნე.

**კათალიკოს**-ი [ბერძ. katholikos საყოველთაო, მსოფლიო] – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის, მეთაურის (პატრიარქის) უმაღლესი ტიტული.

⊙ ზოგჯერ იხმარება **კათოლიკოსი.**

**კათარსის**-ი [ბერძ. katharsis განწმენდა] – **1.** ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში (პითაგორა, ჰერაკლე, პლატონი, არისტოტელე): ესთეტიკური განცდა „სულის განწმენდა".

**2.** ფროიდიზმში: ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მეთოდი.

**3.** (წიგნ.) სულიერი განწმენდა.

**კათედრა** [ბერძ. kadhedra სკამი, სავარძელი] – **1.** ამაღლებული ადგილი (სპეციალური დგამი), საიდანაც კითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს.

**2.** უმაღლეს სასწავლებელში: მეცნიერების რომელიმე დარგის პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ მუშაკთა გაერთიანება.

⊙ **საავტომობილო ტრანსპორტის კ., კ.-ის გამგე; კ.-ის სხდომა.**

**3.** (ეკლ.) ეპარქიის გამგის (ეპისკოპოსის) თანამდებობა.

◎ **საკათედრო** და **კათედრალური: საკათედრო (კათედრალური) ტაძარი** – მთავარი ეკლესია, რომელშიც ღვთისმსახურებას ეპისკოპოსი ასრულებს, იგივეა რაც **კათედრალი.**

**კათეტ**-ი [ბერძ. kathetos შვეული] – (მათემ.) მართკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი, რომელიც მეორესთან ქმნის მართკუთხედს.

⊙ **კატეტი შცდ.**

**კათეტერ**-ი [ბერძ. katheter ზონდი] – სამედიცინო ხელსაწყო – მილი, რომელიც შეჰყავთ სხეულის არხებსა და ღრუებში (უმთავრესად საშარდე ბუშტში) მათ გამოსარეცხად ან დასაცლელად.

⊙ **კატეტერი შცდ.**

**კათოდ**-ი [ბერძ. kathodos ქვევით სვლა] – უარყოფითად დამუხტული ელექტროდი (საპირისპ. **ანოდი**).

○ **კატოდი შცდ.**

**კათოლიკე** [ბერძ. katholikos საყოველთაო, მსოფლიო] – პირი, რომელიც კათოლიციზმს აღიარებს.

⊙ **კ. მღვდელი.**

◎ **კათოლიკური, კათოლიკესი.**

○ **კათოლიკი, კათოლიკისა შცდ.**

⊙ მრ. **კათოლიკეები.**

○ **კათოლიკები შცდ.**

**კათოლიკოს**-ი – იხ. **კათალიკოსი.**

**კათოლიციზმ**-ი – ქრისტი-

ანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება (მართლმადიდებლობისა და პროტესტანციზმთან ერთად); კ.-ს მეთაურობს რომის პაპი.

◎ **კათოლიკური.**

⊙ **კ. ეკლესია.**

**კაიმან**-ი [ესპ. caiman < კარიბ. akayuman] – ერთგვარი ნიანგი (5 მ-მდე სიგრძის); ბინადრობს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის მდინარეებსა და ჭაობებში.

**კაინოზოურ**-ი **ერა** [ბერძ. kainos და zoç სიცოცხლე] – უახლესი ერა დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში; მოსდევს მეზოზოურ ერას; იყოფა მესამეულ და მეოთხეულ პერიოდებად (ამ უკანასკნელს მიეკუთვნება თანამედროვე ეპოქაც)

**კაიუტა** [ჰოლანდ. kajuit შვედ kajuta] – პატარა ოთახი გემზე მგზავრებისათვის და გემის ეკიპაჟის წევრებისათვის.

◎ **კაიუტისა.**

○ **კაიუტასი შცდ.**

**კაიუტ-კომპანია** [ჰოლანდ. kajuit კაიუტა და ფრ. compagnie საზოგადოება] – საერთო სადგომი გემზე, სადაც მგზავრები (სამხედრო გემზე – ოფიცრები) სადილობენ და ისვენებენ.

**კაკადუ** [გერმ. kakadu < მალაიური kakatua] – ქოჩრიანი თუთიყუში ერთგვარი ბინადრობს ავსტრალიაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

⊙ **შავი კ.**

**კაკაო** [ესპ. cacao < აცტეკ. kakauti] – **1.** ტროპიკული მცენარე (ხე), 3-8 მ-მდე სიმაღლის; ამ ხის თესლი - „კაკაო-პარკი", გამოიყენება შოკოლადის დასამზადებლად.
**2.** კაკაოს თესლის ფხვნილი.
**3.** ნოყიერი სასმელი, რომელიც მზადდება კაკაოს თესლისგან წყლით ან რძით.

**კაკოფონია** [< ბერძ. kakophonia < kakos ცუდი და phōne ბგერა, ხმა] – მოსასმენად არასასიამოვნო შეხამება ბგერებისა; არაკეთილხმოვანება.

◎ **კაკოფონიური.**

⊙ **კ. მუსიკა.**

○ **კაკაფონია, კაკაფონური, კაკაფონიური შცდ.**

**კალამბურ**-ი [ფრ. calembour] – სიტყვების თამაში: ემყარება ერთგვარი ბგერითი შედგენილობის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვის კომიკურ გამოყენებას.

**კალეიდოსკოპ**-ი [ბერძ. kalos კარგი, ლამაზი eidos სახე და skopeo ვუყურებ] – **1.** გავრცელებული საბავშვო სათამაშო – ოპტიკური ხელსა-

წყო – მილი, რომელშიც ჩანს სწრაფად ცვლადი ფერადი სიმეტრიული სახეები, მოხატულობანი.
**2**. გადატ. (წიგნ.) ამბების, მოვლენების სწრაფი ცვლა

**კალენდარ**-ი [ლათ. calendarium < calendae (თვის ყოველი პირველი დღე ძვ. რომში)] – **1**. ტაბულა ან წიგნაკი რომელშიც თანმიმდევრულად არის ჩამოთვლილი წელიწადის ყველა დღე და მოყვანილია საინტერესო ცნობები.
⊙ **კედლის კ., მაგიდის კ.**
**2**. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა.
⊙ **იულიუსის კ., გრიგორიანული კ.**
**3**. დღეების და თვეების მიხედვით წინასწარ განაწილება რაიმე საქმიანობისა.
⊙ **მეცადინეობის კ., სპორტულ შეჯიბრებათა კ.**
◎ **კალენდარული** (მნიშ. 3-ისათვის).
⊙ **კ. გეგმა.**

**კალენდარული შეჯიბრება** – (სპ.) კალენდარის (მნიშ. 3) მიხედვით წარმოებს (განსხვავებით ამხანაგურისაგან).
⊙ **კალენდრისა.**
⊙ **კალენდარისა შცდ.**

**კალვაზოს**-ი [ფრ. calvasos < გეოგრ. სახ.] – ვაშლის ღვინო, მცირე ალკოჰოლიანი.

**კალვინიზმ**-ი – ერთ-ერთი პროტესტანტული სარწმუნოება, რომელიც შეიქმნა მე-16 ს. შვეიცარიაში და ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, ნიდერლანდებში ინგლისსა და ზოგ სხვა ქვეყანაში [ამ სარწმუნოების შემქმნელის – ჟან კალვინის (Calvin – 1509-1564) სახელის მიხედვით.

**კალი**-ი – ინდუიზმის ქალღმერთი, შივას ცოლი.

**კალიბრ**-ი [ფრ. calibre] – **1**. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი.
⊙ **საშუალო კ.-ის თოფი.**
**2**. ტყვიის ან ჭურვის შუა ნაწილის დიამეტრი.
⊙ **მსხვილი კ. ჭურვი.**
⊙ **ყალიბი** ამ მნიშ.-ობით **შცდ.**

**კალიგრაფ**-ი – კალიგრაფიის ოსტატი.

**კალიგრაფია** [ბერძ. calligraphia < kalos კარგი და graphō ვწერ] – ლამაზად და მკაფიოდ წერის ხელოვნება.
◎ **კალიგრაფიული.**
⊙ **კ. ხელი** (ნაწერი).
○ **„ლამაზი კალიგრაფია აქვს" – შცდ.**
⊙ **კალიგრაფია** ნიშნავს ლამაზ წერას, ხოლო **კალიგრაფიული** – ლამაზ ნაწერს, ხელს.

**კალკ**-ი [ფრ. calque] – **1.** გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი ნახაზის პირის გადასაღებად (ქართ. სინონ. **ლივუ**).
**2.** (ენათმ.) სხვა ენის ნორმების მიხედვით ნაწარმოები სიტყვა ან გამოთქმა.
⊙ „როგორც წესი" კალკია რუსული გამოთქმისა: „как правило". უკეთესია ვიხმაროთ „**ჩვეულებრივ**".
○ კალკა შცდ.

**კალკულატორ**-ი [ინგ. calculator გამომთვლელი] – მცირე ზომის მაგიდის ან ჯიბის ელექტრონული გამომთვლელი მანქანა მარტივი გამოთვლებისა და პროგრამების შესასრულებლად.
⊙ **კალკულიატორი შცდ.**

**კალკულაცია** და **კალკულირება** – [ლათ. calculatio] – საქონლის ღირებულების ან ფასის გამოანგარიშება.
○ **კალკულიაცია შცდ.**

**კალმარ**-ი [ფრ. calmar] – ზღვის მოლუსკი თავფეხიანების კლასისა; მისი ხორცი ითვლება ძვირფას საკვებ პროდუქტად.

**კალორია** [ლათ. calor სითბო] – სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული.
**მცირე კალორია** – სითბოს ის რაოდენობა, რაც საჭიროა ერთი გრამი წყლის ერთი გრადუსით გასათბობად.
**დიდი კალორია** – სითბოს ის რაოდენობა, რაც საჭიროა ერთი კგ წყლის ერთი გრადუსით გასათბობად (უდრის 1000 მცირე კალორიას).
◎ **კალორიული.**
⊙ **კ. საკვები, კ. სათბობი.**

**კალორიმეტრ**-ი [ლათ. calor სითბო და ბერძ. metreo ვზომავ] – ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ რაიმე სხეულის მიერ გამოყოფილ ან შთანთქმულ სითბოს რაოდენობას (კალორიებით).
○ **კოლორიმეტრი** სხვაა (იხ.).

**კალორიფერ**-ი [ფრ. celorifere < ლათ. calor სითბო და fero მომაქვს] – საჰაერო გათბობის, ვენტილაციისა და შრობის სისტემებში: მოწყობილობა ჰაერის გასათბობად.
⊙ **წყლის კ., ოთახის კ.**
◎ **კალორიფერული.**
⊙ **კ. გათბობა, კ. საშრობი.**
○ **კოლორიფერი შცდ.**

**კალციუმ**-ი [< ლათ. calx (calcis) კირი] – ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო მბზინვარე ლითონი, რომელიც შედის კირქვის, მარმარილოს, ცარცის, თაბაშირის და სხვ. შემადგენლობაში.

**ᲙᲐ́ᲛᲐ** [სანსკრ.] – ინდუიზმის პანთეონში: სიყვარულის ღმერთი, ვიშნუს და ლაქშმის შვილი: წარმოდგენილი ჰყავთ ყმაწვილის სახით, რომელიც ადამიანებს გულში ესვრის ყვავილის ისრებს.

**ᲙᲐᲛᲐᲠᲘ́ᲚᲘᲐ** [ესპ. camarilla < camera დარბაზი, მონარქის კარი] – სასახლის ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც თავისი ინტრიგებით გავლენას ახდენს სახელმწიფო საქმეებზე პირადი გამორჩენის მიზნით.

◎ **კამარილიისა.**

○ **კამარილიასი შცდ.**

**ᲙᲐ́ᲛᲑᲐᲚᲐ** [რუს. камбала < ფინ] – ზღვის სარეწაო ბრტყელი ფორმის თევზი, რომელსაც თვალი ცალ მხარეს აქვს.

⊙ **კ.-ის კონსერვი.**

◎ **კამბალისა.**

○ **კამბალასი შცდ.**

**ᲙᲐ́ᲛᲑᲣᲖ**-ი [ჰოლანდ. kombuis] – **1.** გემის სამზარეულო.

**2.** გემზე: თუჯის ან რკინის ღუმელი ქვაბითურთ.

**ᲙᲐ́ᲛᲔᲐ** [ფრ. cameo, იტ. cammeo] – **1.** ქვა ან ნიჟარა, რომელზეც რელიეფურად არის ამოკვეთილი ჩუქურთმა; სვამენ ბეჭედში, ბროშში.

**2.** ასეთი ქვით გაწყობილი ბროში.

◎ **კამეისა**

○ **კამეასი, ქამეა, ქამეო შცდ.**

**ᲙᲐᲛᲔ́ᲚᲘᲐ** [ფრ. camelia < კრებ; < საკ. სახელიდან] – მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; აქვს ტყავისებური პრიალა ფოთლები და მსხვილი წითელი ან თეთრი ყვავილები; ამ მცენარის ყვავილი.

◎ **კამელიისა.**

○ **კამელიასი შცდ.**

**ᲙᲐ́ᲛᲔᲜᲐ** [ლათ. camena] – რომაულ მითოლოგიაში: მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ქალღმერთი (კამენა გაიგივებულია ბერძნულ მუზასთან).

**ᲙᲐ́ᲛᲔᲠᲐ** [ლათ. camera თაღი, ოთახი, პალატა < ბერძ. camera თაღის ყველაფერი, რაც თაღის ქვეშ არის] – **1.** ზოგიერთ დაწესებულებაში: სადგომი სპეციალური დანიშნულებისა.

⊙ **სადეზინფექციო კ., ბარგის შესანახი კ.**

**2.** ციხეში: ოთახი პატიმართათვის (ქართ. სინონ. **საკანი**).

**3.** დახურული სივრცე რაიმე ხელსაწყოს, მანქანის, ნაგებობის შიგნით.

⊙ **მტვერსასრუტი კ., რაზის კ.**

4. ტყავის ბურთის ანდა ავტომობილის, ველოსიპედის და მისთ. სალტის შიგნით, გასაბერი გარსი რეზინისა.

⊙ **ავტომობილის კ.**

5. ფოტო – ან კინოაპარატის (ტელეაპარატის) შიგნითა ნაწილი, რომელშიც იდება ფირფიტა ან ფირი; თვით ფოტოგრაფიულ, კინომატოგრაფიულ ან სატელევიზიო აპარატი.

○ **ზოგჯერ ბარგის შესანახ კამერას „საკანს" უწოდებენ, რაც შცდ; „საკანი" მხოლოდ ციხის კამერას ჰქვია.**

**კამერდინერ**-ი [გერმ. kammerdiner] – აზნაურულ-ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებაში: ბატონის პირადი მსახური, ხელზე მოსამსახურე მამაკაცი.

**კამერისტ**-ი [ფრ. cameriste იტ. camerista < camera ოთახი] – თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ყოფაცხოვრებაში: ქალბატონის ხელზე მოსამსახურე ქალი (ქართ. სინონ. **მოახლე, პირფარეში**).

○ **კამერისტკა შცდ.**

**კამერტონ**-ი [გერმ. camerton] – ფოლადის დრეკადი ორთითა ხელსაწყო (ჩანგლის მსგავსი), რომელიც მაგარ სხეულზე დარტყმისას გამოსცემს გარკვეული სიმაღლის ბგერას; იყენებენ მუსიკალური საკრავის აწყობის, აგრეთვე გუნდის მიერ სიმღერის შესრულების დროს.

**კამერული** [< ლათ. camera ოთახი] – **1.** ერთი ან რამდენიმე შესრულებისათვის განკუთვნილი.

⊙ **კ. მუსიკა.**

**2.** ასეთი ნაწარმოების, ასეთი მუსიკის შემსრულებელი.

⊙ **კ. მომღერალი., კ. ორკესტრი.**

**3.** მცირერიცხოვანი მსმენელებისათვის, ვიწრო წრისათვის განკუთვნილი.

⊙ **კ. პოეზია, კ. ცხოვრება.**

**კამერჰერ**-ი [გერმ. cammerherr] – რევოლუციამდერ რუსეთსა და ზოგ სხვა მონარქიულ სახელმწიფოში: ერთ-ერთი წოდებულება სამეფო კარზე, კამერ-იუნკერზე მეტი.

○ **კამერგერი, კამერღერი შცდ.**

**კამვოლ**-ი [გერმ. kammwolle] – დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილების დასამზადებლად.

⊙ **მაუდ – კ.-ის ფაბრიკა.**

◎ **კამვოლური.**

⊙ **კ. მატყლი.**

**კამზოლ**-ი [ფრ. camisole] – **1.** მამაკაცის ძველებური სამოსი, ჩვეულებრივ უსახელო; იცვამდნენ როგორც ჟილეტს.

**2.** დოლის მონაწილის (ჟოკეის) ზედა ჩასაცმელი.

**კამიკაძე** [იაპ. kamikaze ღვთის ქარი] – **1.** იაპონელი მფრინავი თვითმკვლელი, რომელიც თვითმფრინავთან ერთად იღუ-

პებოდა მე-2 მსოფლიო ომში.
**2**. (გადატ.) თავზეხელაღებული კაცი, რომელიც ისეთ ქმედებას (საქციელს) სჩადის სიცოცხლის რისკთან რომ არის დაკავშირებული.

**კა́მინ**-ი [გერმ. kamin < ბერძ. kaminos კერა, კერია] – ბუხარი.

**კამპა́ნია** [ფრ. kampagne ლაშქრობა, ომი. < იტ. kampagna მინდორი, ბრძოლის ველი] – **1**. მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად.
⊙ **საარჩევნო კ., თესვის კ.**
**2**. (სამხ.) საერთო სტრატეგიული მიზნით გაერთიანებული საომარ ოპერაციათა ერთობლიობა.
⊙ **რუსეთ-იაპონიის კ.** (ისტ.), **ზამთრის კ.**
◎ **კამპანიური** (მნიშ. 1-ისათვის).
⊙ **მუშაობის კ. წესი.**
○ **კომპანია** სხვაა (იხ.).

**კამუფლა́ჟ**-ი [ფრ. camouflage შენიღბვა] – (სამხ.) შენიღბვის ერთ-ერთი სახე ქვემეხების, ტანკების, თვითმფრინავების, შენობების და სხვ. დაფარვა ლაქებით, ზოლებით და მისთ. ისე, რომ გაძნელდეს მათი ცნობა.
○ **კამუფლიაჟი, კომუფლ[ი]აჟი შცდ.**

**კა́ნალ**-ი [< ლათ. canalis მილი, ღარი] – **1**. ხელოვნური კალაპოტი ზღვების, მდინარეების და ტბების დასაკავშირებლად (ქართ. სინონ. **არხი**).
⊙ **მდინარის კ.**
**2**. კავშირის ხაზი, მოწყობილობა ინფორმაციის გადასაცემად.
⊙ **სატელევიზიო კ.**
**3**. (გადატ.) რაიმეს მიღწევის გზა.
⊙ **კ.-ის გამოყენება.**

**კანალიზა́ცია** [ფრ. canalisation] – მიწისქვეშა არხებისა და მილების სისტემა, რომლის საშუალებითაც გაედინება თხევადი სიბინძურე და ჩამდინარე წყლები.
⊙ **ქალაქის კ., კ.-ის ქსელი.**
◎ **საკანალიზაციო.**
⊙ **ს. მილები, ს. ქსელი, ს ჭა.**

**კანდე́ლაბრ**-ი [ფრ. candelabre] – დიდი შანდალი რამდენიმე სანთლის (ან ელექტრონათურის) ჩასამაგრებლად.
○ **კანდელიაბრი შცდ.**

**კანდი́დატ**-ი [ლათ. candidatus ვისაც თეთრი ტანსაცმელი აცვია < candidus თეთრი, როგორც თოვლი (ძველ რომში სახელმწიფო თანამდებობის მაძიებელი თეთრ ტოგას იცვამდა)] – პირი, რომელიც დასახელებულია, ნავა-

რაუდებია რაიმე თანამდებობაზე ასარჩევად, დასანიშნად, სადმე მისაღებად და სხვა.
⊙ **პარლამენტის წევრობის კ., კონგრესის წევრობის კ.**
◎ **საკანდიდატო.**
⊙ **ს. სტაჟი, ს. ლიტერატურა.**

**კანდიდატურა** – ვისიმე უფლება ან შესაძლებლობა იყოს რისამე კანდიდატი (მნიშ. 1).
⊙ **კ.-ის დასახელება.**

**კანიბალ**-ი [ფრ. canibale < ესპ. canibal] – (წიგნ) კაციჭამია, ველური.
2. (გადატ.) სისხლისმსმელი ადამიანი, ბარბაროსი.

**კანიბალიზმ**-ი (წიგნ) **1.** კაციჭამიობა.
**2.** (გადატ.) მხეცობა, ბარბაროსობა.

**კანიონ**-ი [ესპ. canon მილი] – ღრმა და ვიწრო ხეობა.

**კანისტრა** [ინგ. canister] – ბენზინის ან სხვა სითხეების გადასატანი ჭურჭელი, რომელიც ჰერმეტულად (მჭიდროდ) იხურება.
◎ **კანისტრისა**
○ **კანისტრასი შცდ.**

**კანიფოლ**-ი [ბერძ. colophonia chetine კოლოფონის ფისი (კოლოფონი ქალაქი მცირე აზიაში)] – მოყვითალო – წითელი მიწისებრი ნივთიერება; იყენებენ ლაქების, ქაღალდის, სააფთიაქრო და ზოგ სხვ. წარმოებაში, აგრეთვე ვიოლინოს და მისთ. სხვ. საკრავების ხემზე გასასმელად, რჩილვის დროს.
⊙ აგრეთვე იხმარება **კოლოფონი.**

**კანკელ**-ი – ტაძრის ნაწილი.

**კანოე** [ინგ. canoe < სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ენიდან] – მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი ერთგვარი, რომელშიც ცალ მუხლზე დგებიან და ისე უსვამენ ნიჩბებს.
◎ **კანოესი.**
○ **კანოისა შცდ.**

**კანონადა** [ფრ. canonade < canon ზარბაზანი, ქვემეხი] – რამდენიმე ქვემეხის ხშირი სროლა.
◎ **კანონადისა.**
○ **კანონადასი შცდ.**

**კანონერ**-ი [ფრ. canonniere < canon ზარბაზანი, ქვემეხი] – მომცრო, პატარა სამხედრო ხომალდი ერთგვარი.
○ **კანონერკა შცდ.**

**კანონ**-ი [ბერძ. kanon წესი, მიწერილობა] – **1.** ტრადიციული საერთოდმიღებული (საყოველთაოდ მიღებული) წესი, დებულება.
⊙ **დაწესებული კ.-ის მიდევნა, მიყოლა.**
**2.** დოგმატი, ჩვეულება ან წესი

რომელიც ეკლესიისგან არის დაწესებული.

⊙ **ეკლესიის კ.**

3. მართლმადიდებლებში: გუნდური გალობა რომელიმე წმინდანის პატივსაცემად.

**კანონიზაცია** და **კანონიზება** [გერმ. kanonisieren < ბერძ.kanon კანონი] 1. საეკლესიო კანონად დამტკიცება; ეკლესიის მიერ წმინდანად ვისიმე შერაცხვა.

2. დაკანონება

**კანტ**-ი [გერმ. kante]–1. ქსოვილის ვიწრო ზოლი, ტანსაცმლის კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული.

⊙ **ქუდის კ.**

2. რაიმე მასალის ზოლი, შემოვლებული რისმე კიდეზე.

⊙ **კ. წიგნის ყდაზე.**

◎ **კანტიანი.**

⊙ **კ. შარვალი.**

**კანტატა** [იტ. kantata < ლათ. cantare სიმღერა] – 1. დიდი საზეიმო ხასიათის ვოკალურ მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის, დაწერილი რაიმე თემაზე ან სიუჟეტზე.

2. ძველებური ლირიკული ლექსი, რაიმე საზეიმო შემთხვევის გამოა დაწერილი.

◎ **კანტატისა.**

○ **კანტატასი შცდ.**

**კანტონ**-ი [ფრ. canton ოლქი < პროვანს canton კუთხე] – 1. თითოეული მხარე, რომელიც შედის შვეიცარიის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

2. საფრანგეთსა და ბელგიაში: ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

◎ **კანტონალური, საკანტონო**

⊙ **კ. (ს.) ხელისუფლება, კ (ს.) არჩევნები.**

**კანტორ**-ი [ლათ. cantor მგალობელი, მომღერალი] – 1. კათოლიკურ ეკლესიაში: გუნდის მგალობელი

2. სინაგოგაში: მთავარი მგალობელი.

3. პროტესტანტულ ეკლესიაში: გუნდის ლოტბარი და მასწავლებელი, აგრეთვე ორგანისტი.

**კანფეტ**-ი [იტ. canfetto] – საკონდიტრო ნაწარმი – სხვადასხვა ფორმის კვების პროდუქტის სახით დამზადებული ტკბილეული.

⊙ **შოკოლადის კ., გულიანი კ.**

○ **კამფეტი შცდ.**

⊙ **კონფეტი** სხვაა (იხ.).

**კანცელარია** [ლათ. cancellaria] – 1. დაწესებულების განყოფილება, რომელიც განაგებს საქმის წარმოებას.

⊙ **ინსტიტუტის კ.**

2. (ძვ.) სოფლის სამმართველო.

◎ **საკანცელარიო** და **კანცე-**

**ლარული.**

⊙ **ს. სამუშაო, ს. ნივთები, ს. (კ.) მიმოწერა.**

**ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠ**-ი [გერმ. kanzler < ლათ. cancellarius] – **1.** ზოგ სახელმწიფოში: წოდებულება, რომელსაც აკუთვნებენ უმაღლესი თანამდებობის პირებს; ამ წოდებულებების მქონე პირი.

**2.** გერმანიაში 1871 წლიდან პრემიერ-მინისტრი.

**ᲙᲐᲝᲚᲘᲜ**-ი [ჩინ.] – თეთრი ცეცხლგამძლე თიხა; იყენებენ ფაიფურის, ქაღალდის და სხვ. წარმოებაში.

**ᲙᲐᲞᲔᲚᲐ** [იტ. capella < ლათ. capella სამლოცველო, ეგვტერი] – **1.** მომღერალთა გუნდი.

⊙ **საქართველოს სახელმწიფო კ.**

**2.** საეკლესიო მომღერალთა გუნდი.

**3.** (არქიტ.) კათოლიკეთა სამლოცველო.

◎ **კაპელისა.**

○ **კაპელასი შცდ.**

**ᲙᲐᲞᲔᲚᲐᲜ**-ი [ლათ. capellanus] – **1.** კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიაში: სამლოცველოს მღვდელი, აგრეთვე სამრეკლოს მღვდლის თანაშემწე.

**2.** ზოგ ქვეყანაში: არმიის მღვდელი.

**ᲙᲐᲞᲔᲚᲓᲘᲜᲔᲠ**-ი [გერმ. kapelldiener] – თეატრში ან საკონცერტო დარბაზში მომუშავე, რომელიც მაყურებელს თავის ადგილს უჩვენებს. ყიდის პროგრამებს, თვალყურს ადევნებს წესრიგს და სხვ.

**ᲙᲐᲞᲔᲚᲛᲐᲘᲡᲢᲔᲠ**-ი [გერმ. kopellmeister] – სამხედრო სასულიერო ორკესტრის დირიჟორი.

◎ **კაპელმაისტერისა.**

○ **კაპელმაისტრისა, კაპელმეისტერი შცდ.**

**ᲙᲐᲞᲘᲚᲐᲠ**-ი [ლათ. kapillaris ბეწვისა] – უწვრილესი სისხლძარღვი.

○ **კაპილიარი შცდ.**

**ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚ**-ი [ლათ. capitalis ფრ., ინგლ., მთავარი] – **1.** ღირებულება, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას.

⊙ **სამრეწველო კ., ფინანსური კ.**

**2.** (საუბ.) ფულის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

**ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛ**-ი – პოლიტიკურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, სისტემა, რომლის დროსაც წარმოების საშუალებანი შეიძლება ეკუთვნოდეს კერძო პირს.

◎ **კაპიტალისტური.**

⊙ **წარმოების კ. წრე, კ. საწარმოო ურთიერთობანი.**

**ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢ**-ი – კაპიტალიზმის

წარმომადგენელი; კაპიტალის (მნიშ. 1) მფლობელი.

**ᲙᲐᲞᲘᲢᲐ́ᲚᲣᲠ**-ი [ლათ. capitalis] –
**1**. საფუძვლიანი, ფენდამენტური, არა მსუბუქი.
⊙ **კ. ნაგებობა, კ. შენობა.**
**2**. დიდად მნიშვნელოვანი.
⊙ **კ. ნაშრომი.**

**ᲙᲐᲞᲘᲢᲐ́ᲚᲣᲠᲘ** (მზიდი) კედელი – ძირითადი კედელი (შენობის,ნაგებობისა),რომელსაც ეყრდნობა სახურავი (გადახურვა).

**ᲙᲐᲞᲘᲢᲐ́ᲚᲣᲠᲘ ᲠᲔ́ᲛᲝᲜᲢᲘ** – სრული რემონტი რომელიც ეხება შენობის, ჩარხისა და სხვა ძირითად ნაწილებს.
⊙ **ავტომობილის კ. რემონტი.**

**ᲙᲐᲞᲘ́ᲢᲐᲜ**-ი [ფრ. capitaine < ლათ. caput (capitis) თავი] – **1**. ოფიცრის წოდება, რუსი უფროსი ლეიტენანტის მომდევნო.
**2**. გემის უფროსი მეთაური.
⊙ **შორეულ ნაოსნობის კ., წყალქვეშა ნავის კ., კ.-ის თანაშემწე, კ.-ის ბოგა.**
**3**. (სპორტ.) გუნდის მეთაური (ქართ. სინონ. **გუნდისთავი**).
⊙ **ფეხბურთელთა გუნდის კ.**
◎ **კაპიტნისა.**
⊙ **კაპიტანისა შცდ.**

**ᲙᲐᲞᲘ́ᲢᲔᲚ**-ი [ლათ. capitellum პატარა თავი] – (არქიტ.) კოლონის ზედა ნაწილი, თავი.

**ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲚᲘ́ᲣᲛ**-ი [ლათ. capitolium] – **1.** რომში: ერთ-ერთი გორაკი, რომელზედაც აშენებულია სასახლეები, მუზეუმები და სხვ.; ძველად ამ გორაკზე მოთავსებული იყო იუპიტერის, მინერვას და იუნონას ტაძარი (შემდეგში თვით ამ ტაძარს ეწოდა კაპიტოლიუმი).
**2**. შენობა ვაშინგტონში, რომელშიც სხდომებს მართავს აშშ-ის კონგრესი.

**ᲙᲐᲞᲘᲢᲣᲚᲐᲜᲢ**-ი – პირი, რომელიც კაპიტულაციას ახდენს ან მხარს უჭერს რაიმეს.
◎ **კაპიტულანტური.**
⊙ **კ. პოლიტიკა.**
○ **კაპიტულიანტი, კაპიტულიანტური შცდ.**

**ᲙᲐᲞᲘᲢᲣᲚᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. capitulatio] და **ᲙᲐᲞᲘᲢᲣᲚᲘ́ᲠᲔᲑᲐ** [გერმ. capitulieren] – **1.** საომარი მოქმედების შეწყვეტა და თავის აღიარება დამარცხებულად.
⊙ **უსიტყვო კ., არმიის კ., ციხის კ.**
**2**. გადატ. (წიგნ.) უკან დახევა სიძნელეთა წინაშე; თავიანთი პოზიციების დათმობა.
○ **კაპიტიულაცია შცდ.**

**ᲙᲐᲞᲘᲨᲝᲜ**-ი [ფრ. capuchon < cappa ქუდი] – თავსაბურავი, რომელშიც ზევიდან ჩასაცმელს (პალტოს, საწვიმარს, მოსას-

ხამს, ქურთუკს...) აქვს მიკერებული ან მიბმული საყელოზე უკანა მხრიდან.

◎ **კაპიუშონიანი.**

⊙ **კ. ლაბადა.**

○ **კაპიშონი, კაპიშონიანი შცდ.**

**კაპოტ**-ი [ფრ. capote] – ასახდელი სახურავი, სხვადასხვა მექანიზმისა.

⊙ **ავტომობილის კ., თვითმფრინავის კ.**

**კაპრალ**-ი [ფრ. capral] – ზოგი ქვეყნის არმიაში: უმცროსი მეთაური.

**კაპრიზ**-ი [ფრ. caprice] – ახირებული სურვილი, უცნაური აჩემება, ჭირვეულობა.

**კაპრის**-ი [ფრ. caprice] – (მუს.) იგივეა რაც **კაპრიჩო**.

**კაპრიჩო** [იტ. capriccio] – ვირტუოზული მუსიკალური პიესა თავისუფალი ფორმისა.

⊙ **ჩაიკოვსკის „იტალიური კ." რიმსკი-კორსაკოვის „ესპანური კ.".**

⊙ **კაპრიჩიო** დასაშვებია.

**კაპრონ**-ი – ხელოვნური ბოჭკო; ასეთი ბოჭკოს ქსოვილი.

⊙ **კ.-ის ძაფი.**

**კაპსულა** [< ლათ. capsula პატარა ყუთი] – **1.** სპეციალური გარსი თხევადი ან ფხვნილისებრი წამლებისათვის.

**2.** გერმეტული კაბინა კოსმონავტების დასაშვებად.

**კაპუცინ**-ი [იტ. cappuccino < cappuccio კაპიუშონი] – **1.** ფრანცისკანელთა ორდენის ერთ-ერთი განშტოების წევრი, რომლისთვის დამახასიათებელია წვერის ტარება და კაპიუშონიანი კაბა.

**2.** ამერიკული მაიმუნი ერთგვარი, რომელსაც თავზე გრძელი თმა აქვს კაპუშონივით.

**კარაბინ**-ი [ფრ. carabine] – მოკლელულიანი მსუბუქი შაშხანა ერთგვარი.

○ **კარაბინა, ყარაბინი, ყარაბინა შცდ.**

**კარაბინერ**-ი [ფრ. carabinier იტ. carabiniere] – იტალიაში: ჟანდარმი.

**კარაველა** [იტ. caravella, caravelle ესპ. carabela < ბერძ karabos გემი] – შუა საუკუნეებში: 3-4-ანძიანი იალქნიანი გემი, რომელიც გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

⊙ **კრისტეფორე კოლუმბის კ.**

◎ **კარაველისა.**

○ **კარაველასი შცდ.**

**კარამბოლ**-ი [ფრ. carambole] – ბილიარდის წითელი ბურთი.

**კარამელ**-ი [ფრ. caramel] – მაგარი კანფეტი ერთგვარი, ჩვეულებრივ გულიანი.

**კარანტინ**-ი [< ფრ. quarantaine ორმოცი (დღე)] – **1.** გადამდები სნეულება დაავადებულთა და მათთან ახლოს მყოფ პირთა დროებითი იზოლაცია ეპიდემიური დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

**კატენაჩო** [იტ. catenaccio ურდული] – (სპ.) გაძლიერებულ დაცვითი თამაში იტალიურ ფეხბურთში.

**კატერ**-ი [ინგ. cautter] – პატარა გემი ერთგვარი (ქართ. სინონ. **კატარღა** < ბერძ.)

⊙ **საბუქსირო კ., საზღვაო კ., სატორპედო კ., სახანძრო კ.**

**კატეხიზის**-ი [< ბერძ. katçchçsis დარიგება, შემეცნება] – ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

**კატორღა** [ბერძ. katergon გალერა] – პატიმრობა, რასაც თან ახლავს გადასახლება და მძიმე იძულებითი მუშაობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; ასეთი პატიმრების ადგილი.

⊙ **კ.-ში გაგზავნა, კ.-იდან გაქცევა.**

**კატორღული** – ძალიან მძიმე, აუტანელი (შრომა, ცხოვრება; ცხოვრების მუშაობის პირობები).

**კატრენ**-ი [ფრ. quatrain] – ოთხტაეპიანი ლექსი, ოთხი პწკარედისგან შემდგარი ლექსის სტროფი.

⊙ **ნოსტრადამუსის კ.-ები.**

**კაუჩუკ**-ი [ინგ. cautchiuc < პერუს ინდიელთა ენიდან, ესპ. caucho] – ელასტიური, დრეკადი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ზოგიერთი ტროპიკული მცენარის რძისებური წვენისგან ან ამზადებენ ხელოვნურად; იყენებენ რეზინის წარმოებაში.

**კაფე** [ფრ. cafe] – პატარა რესტორანი, სადაც საუზმობენ, სვამენ ჩაის, ყავას და სხვ.

⊙ **ახალგაზრდული კ.**

◎ **კაფესი.**

**კაფელ**-ი [რუს. кафель < გერმ. kachel] – გამომწვარი თიხის ფილა, რომლის კარგი პირი მოჭიქულია; იყენებენ კედლების მოსაპირკეთებლად. (ქართ. სინონ. **შორენკეცი**).

**კაფეტერია** [ინგ. cafeteria] – კაფე ერთგვარი, სადაც ჩვეულებრივი თვითმომსახურებაა.

**კაფეშანტან**-ი [ფრ. cafe chantanet „მომღერალი კაფე"] – რესტორანი ესტრადით,სადაც მსახიობები ასრულებენ მსუბუქი ხასიათის სიმღერებსა და ცეკვებს.

⊙ **კ.-ის მომღერალი.**

◎ **კაფეშანტანური.**
⊙ **კ. სიმღერები.**

**კაფსულ**-ი [ლათ. capsula ფრ. capsule პატარა კოლოფი] – ჟელატინის ან სახამებლის ბუდე რომელშიც ერთ ჯერობაზე დასალევი წამალია მოთავსებული.
⊙ **სასაქმებელი კ.**
○ **კაფსულა, კაპსულა, კაპსული შცდ.**

**კაქტუს**-ი [ლათ. cactus < ბერძ. kaktos] – ტროპიკული მცენარე, რომელსაც აქვს სქელი ხორცოვანი ღეროები და მათზე ეკლები (ფოთლების ნაცვლად).
○ **კაკტუსი შცდ.**

**კაშალოტ**-ი[ფრ.Cacholot<პორტ. cachalotte დიდთავიანი თევზი] – ზღვის ძუძუმწოვარი კბილებიანი ცხოველი ვეშაპების ქვერაზმისა (რაზმისა).

**კაშნე** [ფრ. Cache-nez < cacher დამალვა და nez ცხვირი] – ყელზე შემოსახვევი ქსოვილი (ქართ. სინონ. **ყელსახვევი**).
⊙ **თბილი კ.**
◎ **კაშნესი.**
○ **კაშნისა, კაშნი შცდ.**

**კაშტან**-ი [ლათ. Castanea წაბლი] – ხე წიფელის ოჯახისა, აგრეთვე ამ ხის ნაყოფი.
◎ **წაბლისა.**
⊙ **წ. ფერი, წაბლისფერი.**

**კეგელბან**-ი [გერმ. Kegelbahn] – კეგლის სათამაშოდ მოწყობილი სპირალური სადგომი ან ფიცარნაგი.

**კეგლ**-ი [გერმ. Kegel] – **1.** სათამაშო ერთგვარი – ბოთლის მოყვანილობის ხის ფიგურები, რომლებსაც აწყობენ მწკრივად და გარკვეული მანძილიდან ხისავე ბურთით ცდილობენ მათ წაქცევას.
⊙ **კ.-ების გაწყობა, კ.-ის წაქცევა.**
**2.** თვით ეს თამაში.

**კედარ**-ი [ბერძ. Kedros] – წიწვოვანი ხე ფიჭვისებრთა ოჯახის.
⊙ **ლიბანის კ.**
◎ **კედრისა.**
○ **კედარისა, კედრი შცდ.**

**კედები** – რბილ რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი ერთგვარი.
⊙ მხ. **კედი.**
○ **კეტები შცდ.**

**კეისარ**-ი [ბერძ. Kaisar < ლათ. Caesar (იულიუს კეისრის სახელიდან)] – ძველი რომის იმპერატორის ტიტული.
◎ **საკეისრო, კეისრისა.**
○ **კეისარისა შცდ.**
**საკეისრო გაკვეთა** – (მედიც.) მუცლისა და საშვილოსნოს გაკვეთა ბავშვის ამოსაყვანად, როდესაც შეუძლებელია მშო-

ბიარობა [ლეგენდის მიხედვით რომის იმპერატორი იულიუს კეისარი დაიბადა ასეთი ოპერაციის შედეგად].

**კელია** [ლათ. Cella ოთახი] – ბერმონაზვნის საცხოვრებელი ოთახი მონასტერში.

**კელნერი** [გერ. Kallner] – გერმანიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში: ოფიციანტი რესტორანში,ლუდხანაში და სხვ.

**კელტები** – ინდოევროპული ტომები, რომლებიც სახლობდნენ ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში თანამედროვე საფრანგეთის, შვეიცარიის, ბელგიის (მოგვიანებით, აგრეთვე, ჩრდ. ესპანეთის, ბრიტანეთის, კუნძულების...) დას ხვ. ტერიტორიებზე.

**კემპინგ**-ი [ინგ. Camping] – ავტოტურისტებისათვის მოწყობილი ბანაკი, სადგომი, სასტუმრო.

**კენგურუ** [ინგ. kangaroo < ავსტრალ.] – ავსტრალიური ჩანთოსანი ძუძუმწოვარი, რომელსაც წინა ფეხები უკანაზე მოკლე აქვს; დადის ნახტომებით (**კენგურუ** ავსტრალიელ აბორიგენთა ენაზე ნიშნავს „მე თქვენ ვერ გაგიგეთ“, „მე თქვენი არ მესმის“).

**კენტავრ**-ი [ბერძ. kentauros] – **1.** ბერძნულ მითოლოგიაში: არსება, რომელსაც აქვს ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდი და თავი.

**2.** (ასტრ.) ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი.

**კეპი** [ფრ. kepi] – **1.** მამაკაცის საჩიხიანი,წინაფრიანი რბილი ქუდი.

**2.** ფორმის ქუდი ერთგვარი (საფრანგეთის არმიაში).

○ **კეპკა** (მნიშ. 1-სათვის) **შცდ.**

**კერამიკა** [ბერძ. keramikos თიხისა] – **1.** გამომწვარი თიხის ნაკეთობათა წარმოება; მეთუნეობის ხელოვნება.

**2.** (კრებ.) გამომწვარი თიხის ნაკეთობანი

⊙ **ანტიკური კ., თანამედროვე ქართული კ.**

◎ **კერამიკული.**

⊙ **კ. ქარხანა, კ. ვაზა, კ. ფილები.**

**კესონ**-ი [ფრ. caisson] – წყალშეუღწევი დიდი კამერა, რომელსაც იყენებენ წყალქვეშა სამუშაოებისთვის (მაგ. ხიდის ბურჯების ამოსაყვანად).

◎ **კესონური.**

⊙ **კ. სამუშაოები.**

**კესონური დაავადება** – (მედიც.) დაავადება, რომელიც გამოწვეულია ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვლილებით (ემართებათ წყალქვეშ მომუ-

შავეებს, კოსმონავტებს).

**კეტჩუპ**-ი [ინგ. ketchup] – ტომატის საწებელი.

**კეფალ**-ი [ბერძ. kephale თავი] – თევზების ოჯახი, რომლებიც ბინადრობენ ტროპიკულ და თბილ ზღვებში.

**კექს**-ი [ინგ. cakes (მრ.] – ერბოზელილი ტკბილი ნამცხვარი ერთგვარი, ჩვეულებრივ ქიშმიშჩართული.

○ **კეკსი შცდ.**

**კვადრატ**-ი [ლათ. quadrates ოთხკუთხედი] – **1.** ტოლგვერდიანი სწორკუთხედი.

**2.** (მათემ.) ნამრავლი, რომელიც მიიღება რიცხვის თავის თავზე გამრავლებით.

⊙ **ხუთის კ. ოცდახუთია.**

**3.** (მათემ.) ხარისხის მაჩვენებელი, რომელიც ორს უდრის.

⊙ **სამი აყვანილი კ.-ში.**

◎ **კვადრატული** (მნიშ. 1-თვის).

⊙ **კ. მაგიდა, კ. ფიგურა.**

**კვადრატული განტოლება** – ალგებრაში: განტოლება, რომელიც შეიცავს უცნობს მეორე ხარისხში.

**კვადრატული საზომი** – ფართობის საზომი ერთეული.

**კვადრატული ფესვი** (მოცემული რიცხვისა) რიცხვი, რომლის თავის თავზე გამრავლებისას მივიღებთ მოცემულ რიცხვს.

**კვადრატული ფრჩხილები** – კუთხოვანი ფრჩხილები **[ ]**.

○ **კვადრატიული შცდ.**

**კვადრატურა** [ლათ. quadratura] – (მათემ.) ფართობის სიდიდე კვადრატული ერთეულებით გამოსახული.

⊙ **ოთახის კ.**

**წრის კვადრატურა** – **1.** წრის გადაქცევა ტოლდიდ კვადრატად (გადაუწყვეტელი ამოცანა).

**2.** გადატ. იტყვიან საერთოდ გადაწყვეტილ რამეზე.

**კვადრიგა** [ლათ. quadriga] – ანტიკურ ქვეყნებში: ორთვალა ეტლი, რომელშიც ერთ მწკრივად აბამდნენ ოთხ ცხენს და რომელსაც მეეტლე დგომელა მართავდა.

◎ **კვადრაგისა.**

○ **კვადრიგასი შცდ**.

**კვადრიენალე** [< ფრ. quadrinnale (მდედრ.) ოთხწლიანი] – საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა (შდრ. **ბიენალე**, **ტრიენალე**).

**კვადრილია** [ესპ. cuadrilla] – კორიდის (ხარების ბრძოლა) მონაწილეთა პარადე.

**კვაზერები** [ინგ. quazer მხ., შემოკლ. quasistellar radiosource კვაზივარსკვლავური რადიოწყარო] – მეტისმეტად შორეული კოსმოსური ობიექტები,

რომლებიც წარმოადგენენ მძლავრ რადიო- და ოპტიკური გამოსხივების წყაროებს; აღმოჩენილია 1960-1967 წლებში.

**კვა́კერ**-ი [ინგ. quaker] – წევრი ინგლისსა და აშშ-ში გავრცელებული ერთ-ერთი ქრისტიანული სექტისა.

**კვალიტატი́ური** [< ლათ. qualitas (qualitatis) თვისება] – (წიგნ.) თვისებრივი (იხ. აგრეთვე **კვანტიტატიური**).

⊙ **კ. მეთოდი.**

○ **კვალიტატური შცდ.**

**კვალიფიკა́ცია** [ლათ. qualitas თვე,სობრიობა და facic ვაკეთებ] – **1**. საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი თვისებების, თავისებურებების მიხედვით; შეფასება დახასიათება (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **კვალიფიცირება**).

**2**. რისამე საქმიანობისათვის, პროფესიისათვის ვისიმე მომზადების ხარისხი.

◎ **კვალიფიციური, საკვალიფიკაციო.**

⊙ **კ. კადრები, კ. მუშაკი**

⊙ **ს. კომისია.**

○ **კვალიფიკაციური შცდ.**

**კვა́ნტ**-ი [ლათ. quantum რამდენი] – რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა.

**სინათლის კვანტი** – იგივეა, რაც ფოტონი.

◎ **კვანტური.**

⊙ **კ. თეორია, კ. მექანიკა.**

○ **ქვანტი, ქვანტური შცდ.**

**კვანტიტატი́ური** [< ლათ. quantitas (quantitatis) რაოდენობა] – (წიგნ.) რაოდენობითი (იხ. აგრეთვე **კვალიტატიური**).

⊙ **კ. მეთოდი.**

○ **კვანტიტატური, ქვანტიტატიური შცდ.**

**კვა́რტალ**-ი [გერმ. quartal < ლათ. quartus მეოთხე] – **1**. წელიწადის მეოთხედი (სამი თვე).

⊙ **პირველი კ.** (იანვარი, თებერვალი, მარტი).

**2**. ქალაქის ნაწილი, რომელიც მოქცეულია ოთხ გადამკვეთ ქუჩას შორის.

**3**. ქალაქის დიდი მასივის უბანი.

⊙ **ქ. თბილისის ნუცუბიძის პლატოს კ.**

◎ **კვარტალური** (მნიშ. 1-ისათვის).

⊙ **კ. ანგარიში.**

⊙ **კვარტალისა.**

○ **კვარტლისა შცდ.**

**კვარტე́რონ**-ი [ესპ. cuartenor < cuarto მეოთხე ნაწილი] – ადამიანი, რომელიც დაიბადა თეთრკანიანისა და მეტისის ქორწინების შედეგად.

**კვა́რტეტ**-ი [იტ. quartetto < quartos მეოთხე] – **1**. მუსიკალური

ანსამბლი, რომელშიც ოთხი შემსრულებელია.

⊙ **საქართველოს სახელმწიფო კ.**

**2.** მუსიკალური ნაწარმოები ასეთი ანსამბლისათვის.

⊙ **ბეთჰოვენის სიმებიანი კ.**

◎ **საკვარტეტო.**

⊙ **ს. პიესა.**

**კვა́რც**-ი [გერმ. quarz] – უფერო მინერალი, ყველაზე გავრცელებული დედამიწის ქერქში; სოლიციუმის ორჟანგი.

**კვარცის ლამპა** – ელექტრული ლამპა, რომელსაც აქვს კვარცის მილაკი; გამოსცემს ულტრაიისფერ სხივებს; იყენებენ მედიცინაში დას ხვ.

○ **ქვარცი შცდ.**

**კვე́რექს**-ი – მოკლე ლოცვების წყება მართლმადიდებლურ ღვთისმსახურების დროს.

**კიუ́ვეტ**-ი [ფრ. cuvette მენჯი, კუდი] – გზის ორივე მხარეს გაყვანილი რუ.

**კიუ́რე** [ფრ. cure] – საფრანგეთისა და ზოგ სხვა ქვეყანაში: კათოლიკური ეკლესიის სამრეკლო მღვდელი.

⊙ **კიურესი.**

○ **კიურისა შცდ.**

**კიუ́რი** – რადიოაქტიურობის საზომი ერთეული [ფრანგი ქიმიკოსების ცოლ-ქმარ პიერ და მარი კიურების (curie, მე-19-20 სს.) – გვარის მიხედვით].

◎ **კიურიმ, კიურის.**

○ **კიურს შცდ.**

**კი́ქს**-ი [ინგ. kicks (მრ.)] – ბილიარდში: მოცარული დარტყმა.

**კლავე́სინ**-ი [ფრ. clavecin] – ძველებური სიმებიან-კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი; ფორტეპიანოს წინამორბედი.

**კლავია́ტურა** [გერმ. klaviatur < ლათ. clavis გასაღები] – კლავიშების სისტემა.

⊙ **ფორტეპიანოს კ., საბეჭდი მანქანის კ.**

◎ **კლავიატურისა.**

○ **კლავიატურასი შცდ.**

**კლა́ვირ**-ი [გერმ. klavir] – **1.** საორკესტრო პიესის, ოპერისა და მისთ. გადაღება ფორტეპიანოსთვის.

**2.** კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება.

**კლა́ვიშ**-ი [პოლონ. klawisz<ლათ. clavis გასაღები] – ფირფიტა, რომელზე თითის დაჭერითაც ამოძრავდება მექანიზმის ბერკეტები (ფორტეპიანოსი, საბეჭდი მანქანისა და სხვ.)

⊙ **როიალის თეთრი** და **შავი კ.-ები, აკორდეონის კ.-ები.**

◎ **კლავიშებიანი.**

⊙ **კ. საკრავები, კ. გადამრთველი.**

**კლა́ნ**-ი [კელტ. clan] – შოტლანდიელებში, ირლანდიელებსა

და სხვ. კელტურ ტომებში; გვაროვნული თემი; გვარი.

**კლარნეტ**-ი [ფრ. clarinette] – ხის ჩასაბერი საკრავი; წარმოადგენს ბოლოში ოდნავ გაფართოებულ მილს, რომელსაც აქვს სარქველთა სისტემა.

⊙ **„კ.-ს უკრავს", „კ. დაუკრა".**

○ **„კ.-ზე დამკვრელი" შცდ.**

**კლას**-ი [ლათ. classis თანრიგი] – **1.** საერთო ინტერესების მქონე დიდი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს საწარმოო საშუალებებთან. ერთნაირი დამოკიდებულება.

⊙ **მუშათა კ.**

**2.** მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც წლის განმავლობაში საერთო სასწავლო პროგრამა აქვს.

⊙ **მეათე კ.-ის მოსწავლე.**

**3.** სამედიცინო ოთახი სკოლაში.

⊙ **მასწავლებელი კ.-ში შევიდა.**

4. მოსწავლეთა ჯგუფი (კონსერვატორიაში, სამხატვრო სასწავლებელში)

⊙ **ფორტეპიანოს კ., ფერწერის კ.**

5. მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის მსხვილი ერთეული.

⊙ **ძუძუნწოვართა კ.**

6. გემის კაიუტის (აგრეთვე მატარებლის ვაგონის) ტიპი, განსხვავებული მოწყობილობისა და ფასის მიხედვით.

⊙ **მე-2 კ.-ის კაიუტა, პირველი კ.-ის ვაგონი.**

7. რისამე ხარისხი, დონე.

⊙ **თამაშის კ.** (მაგ. ფეხბურთში).

8. მომზადების დონე, კლასიფიკაცია.

⊙ **პირველი კ.-ის შოფერი** (მძღოლი), **მაღალი კ.-ის ფეხბურთელი.**

9. მათემატიკაში: რიცხვის სამი მეზობელი თანრიგის ერთობლიობა.

⊙ **პირველ კ.-სს შეადგენენ ერთეულები, ათეულები და ასეულები.**

◎ **კლასობრივი** (მნიშ. 1-თვის), **საკლასო** (მნიშ. 2, 3-ისათვის).

⊙ **კ. წინააღმდეგობანი.**

⊙ **ს. ოთახი, ს. დავალება.**

**კლასერ**-ი [ფრ. classeur საქაღალდე] – საკოლექციო მარკების ჩასაწყობი ალბომი.

○ **კლიასერი შცდ.**

**კლასიკა** – ლიტერატურისა და ხელოვნების კლასიკური სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა.

⊙ **მე-20 ს.-ის ქართული კ.**

**კლასიკოს**-ი [< ლათ. classicus პირველი კლასის] – ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების დიდი მოღვაწე.

⊙ **ქართული ლიტერატურის კ.-ები.**

**კლასიკურ**-ი – **1**. კლასიკოსის, კლასიკოსების მიერ შექმნილი; სრულყოფილი, სანიმუშო.

⊙ **კ. ნაწარმოები, კ. ლიტერატურა.**

**2**. ვინმესათვის ან რამესათვის დამახასიათებელი,ტიპობრივი; შესანიშნავი, საუკეთესო.

⊙ **კ. მაგალითი.**

**3**. ძველ ბერძენთა და რომაელთა დამახასიათებელი, ანტიკური; ძველი ბერძნული და ლათინური ენებისა და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებული.

⊙ **კ. ფილოლოგია, კ. განათლება.**

**კლასიფიკაცია** და **კლასიფიცირება** [ლათ. classis თანრიგი და facic ვაკეთებ] – საგნების (მოვლენების, ცნებების) განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით კლასებად, ჯგუფებად, თანრიგებად დაყოფა.

**კლასიციზმ**-ი [გერმ. klassizismus] – მე-18 ს.-ში და მე-19 ს.-ის დასაწყისში: მიმართულება ხელოვნებაში,რომლისთვისაც დამახასიათებელია ანტიკური ნიმუშებისადმი მიბაძვა.

**კლაუსტროფობია** [ლათ. claustrum დახურული სათავსი და ბერძ. phobos შიში] – დახურულ შენობაში მარტო ყოფნის აკვიატებული შიში.

**კლაქსონ**-ი [ინგ. klaxon] – ავტომობილის, მოტოციკლის და მისთ. მექანიკური სასიგნალო საყვირი.

**კლემა** [გერმ. klemme გირაგი,მომჭერი] – სპეციალური მომჭერი სადენის მისაერთებლად ან მისამაგრებლად ხელსაწყოებთან, აპარატურასთან და ელექტრო მანქანებთან.

**კლეპტომანია** [ბერძ. klepto ვიპარავ და mania მისწრაფება, სიგიჟე] – გადაულახავი ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი, რაც გამოწვეულია ზოგიერთი ფსიქიკური დაავადებით.

**კლერიკალ**-ი [< ლათ. clericus] – კლერიკალიზმის მიმდევარი სასულიერო პირი.

**კლერიკალიზმ**-ი [< ლათ. clericalis საეკლესიო] – პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ცდილობს გააძლიეროს ეკლესიის როლი. საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

◎ **კლერიკალური.**

⊙ **კ. პარტია.**

**კლერკ**-ი [ფრ. clerc ინგ. clerk გადამწერი, მწერალი < clericus

სასულიერო პირი] – **1.** საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში: საქმის მწარმოებელი, სტაჟიორი, რომელიც ემზადება ნოტარიუსად.
**2.** ინგლისსა და აშშ-ში მოსამსახურე სავაჭრო-სამრეწველო საწარმოში,ნოტარიუსის ან ადვოკატის კანტორაში და სხვ.

**ᲙᲚᲘᲔᲜᲢ**-ი [ლათ. cliens (clientis)] **1.** პირი, რომელსაც ემსახურებიან; მყიდველი,შემკვეთი, სადმე მიმსვლელი (მოძვ. სინონ. მუშტარი].
⊙ **მაღაზიის კ.-ები, საპარიკმახეროს კ.-ები, მუდმივი კ.**
**2.** პირი, რომლის საქმესაც ადვოკატი ან ნოტარიუსი აწარმოებს.

**ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲣᲠᲐ** – კლიენტთა ერთობლიობა; კლიენტები.
⊙ **ბანკის კ.**
◎ **კლიენტურისა.**
○ **კლიენტურასი შცდ.**

**ᲙᲚᲘᲛᲐᲢ**-ი [ბერძ. klima (klimatos)] – ამა თუ იმ ადგილას მეტეოროლოგიურ პირობათა ერთობლიობა, ამინდის რეჟიმი; ჰავაი.
⊙ **ზომიერი კ., თბილი კ., მთის კ.**
◎ **კლიმატური.**
⊙ **კ. პირობები, კ. კურორტი.**

**ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲝᲚᲝᲚᲝᲒᲘᲐ** [ბერძ. klima (klimatos) კლიმატი, ჰავა და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც კლიმატს, ჰავას შეისწავლის.

**ᲙᲚᲘᲛᲐᲥᲡ**-ი [ბერძ. klimax] – (მედიც.) იხ. კლიმაქტორიუმი.

**ᲙᲚᲘᲛᲐᲥᲢᲔᲠᲘᲣᲛ**-ი [< ბერძ. klimakter კიბის საფეხური] – გარდამავალი პერიოდი ქალის სიცოცხლეში მოწიფულობის ასაკიდან ხანდაზმულობისაკენ, როდესაც ქრება სასქესო ჯირკვლების მოქმედება (ჩვეულებრივ 45-54 წლის ასაკში). კლიმაქსი.

**ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ** [ბერძ. klinike (techne) მკურნალობის ხელოვნება] – სამკურნალო დაწესებულება, სადაც მკურნალობასთან ერთად წარმოებს სამეცნიერო და სასწავლო მუშაობა.
◎ **კლინიკური.**
⊙ **კ. მკურნალობა, კ. გამოკვლევა.**

**ᲙᲚᲘᲜᲘᲪᲘᲡᲢ**-ი – ექიმი, რომელიც კლინიკაში მუშაობს და მკურნალობასთან ერთად აწარმოებს მეცნიერულ კვლევას.

**ᲙᲚᲘᲜᲩ**-ი [ინგ. clinch] – (სპ.) კრივში: წესის დარღვევა ერთგვარი მოწინააღმდეგის ხელების დაჭერა ან მის სხეულზე შემოჭდობა.

**კლიპ**-ი [ინგ. clip სარჭი] – სარეკლამო ან მუსიკალური ხასიათის ხანმოკლე ვიდეოფილმი, რომელშიც შერწყმულია ხილული და ბგერითი ეფექტები.

**კლირინგ**-ი [ინგ. clearing < clear ანგარიშის წარმოება] – (ფინანს.) უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; გაცვლა: ყველაფერი-ყველაფერზე.

**კლიროს**-ი [ბერძ. kleros] – ეკლესიაში: ამაღლებული ადგილი მგალობელთათვის (კანკელის წინ).

**კლიფს**-ი [ინგ. clips (მრ)] – **1**. საყურე, რომელიც დამჭერით მაგრდება ყურის ბიბილოზე.
**2**. დამჭერი შარვლის აჭიმის ბოლოზე.
○ **კლიპსი შცდ.**

**კლიშე** [ფრ. cliche] – ლითონზე, ქვაზე ან ხეზე ამოკვეთილი ნახატი, ნახაზი და მისთ; იყენებენ დასაბეჭდად.
⊙ **თუთიის კ.**
◎ **კლიშესი.**
○ **კლიშისა შცდ.**

**კლოაკა** [ლათ. cloaca] – **1**. ძველ რომში: სიბინძურის მიწისქვეშა არხი ქალაქებში.
**2**. სიბინძურის, ნაგვის დასაყრელი ადგილი.
**3**. (გადატ.) გახრწნილების ბუდე.
**4**. ზოგიერთი სახეობის ცხოველებში: უკანა ნაწლავის გაფართოებული გასავალი, რომელიც საერთოა კუჭ-ნაწლავის და შარდსასქესო ორგანოებისათვის.

**კლონი** [ბერძ. klon განშტოება] – **1**. მცენარის ან ცხოველის გენეტიკურად იდენტური და ერთგვაროვანი შთამომავლობა, უსქესო გამრავლებით მიღებული.
**2**. ორგანიზმი, რომელიც მიღებულია კლონირების, ანუ უჯრედის ბირთვის გადანერგვის გზით, რომელიც აბსოლუტურად იდენტურია უჯრედის ბირთვის დონორი ორგანიზმისა.

**კლონირება** [ბერძ. klon ამონაყარი] – (ბიოლ.) უსქესო ან ვეგეტატიური გამრავლება, რომლის დროსაც შთამომავლობას აქვს იგივე გენეტიკური კოდი, რაც მის წინაპარს.

**კლოუნ**-ი [ინგ. clown] – ცირკის ხუმარა.

**კლოუნადა** – საცირკო წარმოდგენა, რომელშიც კლოუნები მონაწილეობენ.
◎ **კლოუნადისა.**
○ **კლოუნადასი შცდ.**

**კლუბ**-ი [ინგ. club] – საზოგადოებრივი ორგანიზაცია კულ-

ტურულ-საგანმანათლებლო, პოლიტიკური, სპორტული ან სხვა ხასიათისა; ასეთი ორგანიზაციის შენობა, სადგომი.
⊙ **ახალგაზრდული კ., სპორტული კ.**
◎ **საკლუბო.**
⊙ **ს. მუშაობა.**

**კლუმბ**-ი [ინგ. clump ჯგუფი (ხეებისა)] – რაიმე ფიგურის სახის მქონე კვალი, სადაც ყვავილებია დარგული; ყვავილნარი.
○ **კლუმბა შცდ.**

**კნეხტ**-ი [ჰოლანდ. knecht] – (ზღვ.) ბოძკინტი გემბანზე ან ნავსადგომზე ბაგირის ჩამოსაცმელად.

**კნოპ**-ი [ჰოლანდ. knoop] – **1.** პატარა ფართოთავიანი ლურსმანი მაგარ რაიმეზე ქაღალდის და მისთ. დასამაგრებლად (ქართ. სინონ. ჭიკარტი).
**2.** მოძრავი ღილაკი დენის ჩასართავად და რაიმე მექანიზმის ასამოქმედებლად.
⊙ **ელექტროზარის კ., კ.-ზე თითი დააჭირა.**
**3.** ლითონის ან პლასტმასის საკინძი ერთგვარი; შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი ჯდება მეორეში.
⊙ **ხელთათმანის შესაკრავი კ., ქურთუკის შესაკრავი კ.**
○ **კნოპკა შცდ.**

**კოალა** [ინგ. koala < ავსტრალ.] – პატარა ჩანთოსანი ძუძუმწოვარი; გავრცელებულია აღმოსავლეთ ავსტრალიის ტყეებში; ბინადრობს ხეზე; იკვებება ფოთლებით (სინონ. **ჩანთოსანი დათვი**).
◎ **კოალისა.**
○ **კოალასი შცდ.**

**კოალიცია** [< ლათ. coalitio გაერთიანებული] – სახელმწიფოების ან პარტიების გაერთიანება, კავშირი საერთო მიზნების მისაღწევად.
⊙ **ანტიჰიტლერული კ.**
◎ **კოალიციური.**
⊙ **კ. მთავრობა.**

**კობრა** [პორტ. cobra] – დიდი გველი; მეტად შხამიანი; კისერზე აქვს ლაქები; გავრცელებულია ცხელ ქვეყნებში (ქართ. სინონ. სათვალიანი გველი).
◎ **კობრისა**
○ **კობრასი შცდ.**
**კობრა** არ აურიოთ **კობრ**-ში (თევზია ერთგვარი), რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ჰქვია – **გოჭა**.
○ **სათვალებიანი გველი შცდ.**

**კოდ**-ი [ფრ. code] – პირობითი ნიშნების (სიმბოლოების) სისტემა, რომელსაც იყენებენ ინფორმაციების გადასაცემად, დასამუშავებლად და შესანახად.

⊙ **ასოითი კ., ციფრული კ., მორსეს კ.**
◎ **კოდური.**
⊙ **სამხედრო ოპერაციის კ. სახელწოდება.**

**კოდექს**-ი [ლათ. codex წიგნი] – კანონთა კრებული.
⊙ **საქართველოს სამოქალაქო კ., სისხლის სამართლის კ.**

**კოეფიციენტ**-ი [ლათ. coefficiens (coefficientis) ხელის შეწყობა] – **1.** (მათ.) რიცხვითი ან ასოითი მამრავლი ალგებრულ გამოსახულებაში.
**2.** (ფიზ.) სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური სხეულის რაიმე თვისებას.
⊙ **ხახუნის კ., გაფართოების კ.**
**მარგი ქმედების კოეფიციენტი (მ.ქ.კ.)** – სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს თუ ენერგიის რა ნაწილი იქცევა მანქანაში სასარგებლო მუშაობად.

**კოვბოი** [ინგ. cowboy] – ცხენოსანი მწყემსი აშშ-ის დასავლეთში.
◎ **კოვბოური.**
⊙ **კ. ფილმი.**
○ **კავბოი შცდ.**

**კოკი**[1] [ჰოლანდ. kok] – გემის მზარეული

**კოკ**-ი[2] [ბერძ. kokkos მარცვალი] – ბურთისებრი ბაქტერია.

**კოკა** [ესპ. coca < პერუს ინდიელთა ენიდან] – ტროპიკული ბუჩქი, რომლის ფოთლებიდანაც იღებენ კოკაინს.

**კოკა-კოლა** [ინგ. coca-cola] – უალკოჰოლო სასმელი ერთგვარი; გავრცელებულია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.
◎ **კოკა-კოლისა.**
○ **კოკა-კოლასი შცდ.**

**კოლაბორაციონიზმ**-ი [< ფრ. colaboration თანამშრომლობა; ერთობლივი მოქმედება] – მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: სამშობლოს მტრებთან თანამშრომლობა ფაშისტური ოკუპაციის დროს.

**კოლაბორაციონისტ**-ი – მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დასავლეთ ევროპაში: პირი, რომელიც თანამშრომლობდა ფაშისტ დამპყრობლებთან მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

**კოლაჟ**-ი [ფრ. collage დაწებება] – **1.** სახვით ხელოვნებაში: ტექნიკური ხერხი – რაიმე საფუძველზე, ფონზე დაწებება ისეთი მასალებისა,რომლებიც მისგან განსხვავდება ფერითა და ფაქტურით.
**2.** მხატვრული ნაწარმოები,რომელიც მთლიანად ამ ხერხით არის შესრულებული.
**3.** გადატ. (წიგნ.) ლიტერატუ-

რული მონტაჟი ფორმითა და შინაარსით სხვადასხვაგვარი მასალისა, რომელიც გაერთიანებულია ავტორის ჩანაფიქრით.

**ᲙᲝᲚᲐᲞᲡ**-ი [ლათ. collapsus ვინც გონება დაკარგა] – (მედიც.) სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება ერთად, რასაც ხშირად სდევს გონების დაკარგვა.

**ᲙᲝᲚᲑᲐ** [გერმ. kolben] – მაღალყელიანი მინის ჭურჭელი; იყენებენ ქიმიურ ლაბორატორიებში.

**ᲙᲝᲚᲔᲒᲐ** [ლათ. collega] – ამხანაგი სამსახურის, პროფესიის თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სწავლაში (უმაღლეს სასწავლებელში).

◎ **კოლეგისა.**

○ **კოლეგასი შცდ.**

**ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ** [ლათ. collegium] – **1.** თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან ადმინისტრაციულ, სათათბირო ან განმკარგულებელ ორგანოს.

⊙ **სარედაქციო კ., სამინისტროს კ.**

**2.** ზოგი პროფესიის პირთა გაერთიანება.

⊙ **ადვოკატთა კ.**

◎ **კოლეგიური** – (წიგნ.) არაერთპიროვნული, სხვებთან შეთანხმებული; ამხანაგური.

⊙ **კ. ხელმძღვანელობა, კ. გადაწყვეტილება.**

○ **კოლეგიალური.**

**ᲙᲝᲚᲔᲜᲙᲝᲠ**-ი [რუს. коленкор < ფრ. calancar შეღებილი ბამბის ქსოვილი] – **1.** ბამბის ქსოვილი ერთგვარი; წებოთი გაჟღენთილი; იყენებენ წიგნის ყუაზე ან ყდაზე გადასაკრავად.

**2.** (გადატ.) სულ სხვა საქმე.

⊙ **სხვა კ.**

◎ **კოლენკორული.**

○ **კალენკორი შცდ.**

**ᲙᲝᲚᲔᲠ**-ი [ლათ. color ფერი] – საღებავის ფერი, მისი ტონი და სისქე, ასევე საერთოდ ფერი, შეფერილობა.

**ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕ**-ი [ლათ. collectivus კრებითი] – ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო საქმიანობით, საერთო მიზნებით ინტერესები.

⊙ **სკოლის კ.**

◎ **კოლექტიური.**

**ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲝᲠ**-ი [ლათ. collector შემკრები] – **1.** დაწესებულება, სადაც თავს უყრიან რისმე შემდგომი განაწილების მიზნით.

⊙ **საბიბლიოთეკო კ.**

**2.** დიდი მილსადენი, რომლითაც მიედინება სხვა, უფრო პატარა, მილსადენებიდან შემოსული

აირები ან სითხეები.
⊙ **საკანალიზაციო კ., წყლის კ.**

**კოლექცია** [ლათ. collectio კრებული] – ერთგვარი საგნების კრებული.
⊙ **მინერალების კ., საფოსტო მარკების კ., სურათების კ.**
◎ **საკოლექციო.**
⊙ **ს. მარკები.**

**კოლექციონერ**-ი [ფრ. collectionneur] – კოლექციის შემკრები.

**კოლეჯი** – [ინგ. college] – **1.** ინგლისში, აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყანაში: უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი.
**2.** საქართველოში: სასწავლებელი, რომელიც საშუალო განათლებასთან ერთად პროფესიასაც იძლევა.

**კოლი**-ი [ინგ. collie] – სასამსახურო ჯიშის ძაღლი; გამოიყვანეს მე-18 ს-ის დასაწყისში შოტლანდიაში (სხვანაირად: შოტლანდიური ნაგაზი).

**კოლიბრ**-ი [ესპ. colibri] – ძალიან პატარა ჭრელი ჩიტი; ბინადრობს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში.
◎ **კოლიბრიმ, კოლიბრის.**
○ **კოლიბრმა, კოლიბრს შცდ.**

**კოლიე** [ფრ. collier] – ყელსაბამი, ჩვეულებრივ ძვირფასი მოსართავით (ყელსაკიდი, ფარღული).
⊙ **ბრილიანტის კ.**
◎ **კოლიესი.**
○ **კოლიისა შცდ.**

**კოლიზია** [ლათ. collisio] – **1.** (წიგნ.) საპირისპირო შეხედულებათა, მისწრაფებათა, ინტერესთა შეჯახება.
⊙ **ცხოვრებისეული კ.-ები.**
**2.** (ლიტ.) ცხოვრებისეული კონფლიქტისა და ბრძოლის ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში.

**კოლიკა** [ბერძ. kolike ნაწლავის დაავადება] – მუცლის ღრუს მწვავე სპაზმური ტკივილი.
⊙ **თირკმელების კ.**

**კოლიტ**-ი [გერმ. kolitis < ბერძ. kolon მსხვილი ნაწლავი] – დაავადება, რომელიც გამოწვეულია მსხვილი ნაწლავის ანთებით.
⊙ **ქრონიკული კ.**

**კოლოიდ**-ი [ბერძ. kolla < წებო და eidas სახე] – (ქიმ.) ნივთიერება, რომელიც არ კრისტალდება და რომლის ხსნარსაც არ გადის მცენარეულ და ცხოველურ აპკში (ასეთებია ცილა, სახამებელი, წებო და სხვ.)
◎ **კოლოიდური.**
⊙ **კ. ხსნარი, კ. გოგირდი.**

**კოლოკვიუმ**-ი [< ლათ. kolloquim საუბარი, გასაუბრება] – **1.** მასწავლებლის გასაუბრება სტუდენტებთან მათი ცოდნის გამოსარკვევად.
⊙ **კ. ფიზიკაში.**

**2**. სამეცნიერო თათბირი, რომელზედაც ისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს გარკვეულ თემებზე.
⊙ **ბიოლოგთა კ., ფიზიკოსთა კ.**
○ **კოლოქვიუმი შცდ.**

**კოლონა** [ფრ. colone] – **1.** მაღალი სვეტი.
⊙ **ტრიუმფული კ.**
**2**. ადამიანები ან საგნები, რომლებიც განლაგებული არიან ან მოძრაობენ ერთმანეთის მიყოლებით.
⊙ **ჯარის კ.-ები, ტანკების კ.**
○ **კალონა შცდ.**

**კოლონია** [ფრ. colonne < ლათ. colonia დასახლება] – **1**. ქვეყანა, რომელიც დაპყრობილია იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ და იძარცვება მისგან.
⊙ **კ.-ების განთავისუფლება.**
**2**. (ისტ.) დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობლებით დასახლებული ადგილი (ქართ. სინონ. **ახალშენი**).
⊙ **ძველი ბერძნული კ.-ები შავი ზღვის სანაპიროზე.**
**3**. ერთი ეროვნების ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს უცხო ქვეყანაში, უცხო ქალაქში.
⊙ **ქართველების კ. მოსკოვში მე-17-18 სს.-ში.**
**4**. რაიმე მიზნით თავმოყრილი ადამიანთა ერთად ცხოვრება.
⊙ **შრომა-გასწორების კ.**
**5**. ფრინველების ან მწერების დიდი ჯგუფი სადმე.
⊙ **პინგვინების კ., ჭიანჭველების კ.**
◎ **კოლონიური** და **კოლონიალური** (მნიშ. 1-ისათვის).
⊙ **კ. ქვეყნები, კ. ჩაგვრა.**
⊙ **კალონია შცდ.**

**კოლონიალიზმ**-ი – იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნების კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა.
◎ **კოლონიალისტური.**
⊙ **კ. პოლიტიკა.**

**კოლონიზატორ**-ი – პირი, რომელიც ექსპლოატაციას უწევს კოლონიის (მნიშ. 1) მოსახლეობას.
◎ **კოლონიზატორული.**
⊙ **კ. პოლიტიკა.**

**კოლონიზაცია** – **1**. ქვეყნის დაპყრობა და მისი გადაქცევა კოლონიად (იხ. **კოლონია** მნიშ. 1).
**2**. კოლონისტებით დასახლება ცარიელი ადგილებისა.

**კოლონისტ**-ი – **1**. კოლონიის (მნიშ. 2) მცხოვრები (ქართ. სინონ. **მოახალშენე**).
**2**. კოლონიის (მნიშ. 3) წევრი.

**კოლონციფრ**-ი [გერმ. kolumneziffer] – (პოლიგრ.) წიგნის გვერდის აღმნიშვნელი ციფრი (რიცხვი).

**კოლორიმეტრ**-ი [ლათ. color ფერი და metreo ვზომავ] – შეფერადებული ხსნარის ფერის ან კონცენტრაციის გამოსარკვევი ხელსაწყო (ქართ. სინონ. **ფერსაზომი**).

⊙ **კალორიმეტრი** სხვა (იხ).

**კოლორიტ**-ი [იტ. colorito < ლათ. color ფერი] – **1**. სურათში ფერთაშეხამება, რაც ქმნის მთლიანობას.

⊙ **ნათელი კ.**

**2**. გადატ. (წიგნ.) რისამე თავისებურებათა ერთობლიობა, იერი.

⊙ **ეპოქის კ. ისტორიულ რომანში.**

**კოლორიტული** – **1**. რაც გამოირჩევა სხვადასხვაგვარ ფერთა კარგი შეხამებით.

⊙ **კ. პეიზაჟი.**

**2**. გადატ. მკაფიოდ გამოხატული, თავისებური ნათელი.

⊙ **კ. მოხუცი, კ. ფიგურა.**

**კოლოს**-ი [ბერძ. kolossos დიდი ქანდაკება] – **1**. უზარმაზარი ქანდაკება ან სვეტი

**2**. რაიმე უდიდესი, მნიშვნელოვანი.

⊙ **მეცნიერების კ.-ები.**

**კოლოსალურ**-ი [ფრ. colossal ბერძ. kolossos ] – (წიგნ.) ძალიან დიდი, უზარმაზარი.

⊙ **კ. სასახლე, წარმოდგენას კ. წარმატება ჰქონდა.**

**კოლტ**-ი [< საკუთ. სახ.] – ერთგვარი სისტემის რევოლვერი.

**კოლუმბარიუმ**-ი [ლათ. columbarium პირველად სამტრედე] – კრემაციის შემდეგ ფერფლის ურნების საცავი.

**კომა** [ბერძ. koma ღრმა ძილი] – (მედიც.) უგონო მდგომარეობა, რაც ღრმა ძილს მოგვაგონებს; ხშირად გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით.

**კომანდა** [ფრ. commande] – **1.** ბრძანება, განკარგულება, დავალება განსაზღვრული ფორმით.

**2**. სამხედრო მოსამსახურეთა, სპორტსმენთა ოგანიზებული ჯგუფი, რომლებიც განსაზღვრულ ამოცანებს ასრულებენ.

⊙ **ფეხბურთის კ.**

◎ **საკომანდო.**

⊙ **ს. პუნქტი.**

○ **კამანდა შცდ.**

**კომანდორ**-ი [ფრ. commandeur] – **1.** საცხენოსნო შეჯიბრების, ველო, მოტო, ავტოგადარბენის და მისთ. ხელმძღვანელი.

⊙ **ავტოგადარბენის კ.**

**2**. ზოგ ქვეყანაში იახტ-კლუბის თავჯდომარის წოდებულება; ამ წოდებულების მქონე პირი.

**3**. შუა საუკუნეების სასულიერო რაინდულ ორდენებში: ერთ-

ერთი უმაღლესი წოდებულება; ამ წოდების მქონე პირი.
4. უნგრული ნაგაზის ჯიშის ძაღლი, თეთრი ბანჯგვლიანი

**კომბაინ**-ი [ინგ. combine] – მანქანა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მანქანის სამუშაოს ასრულებს.
⊙ **პურის ასაღები კ., სამთო კ., ქვანახშირის კ., კარტოფილის ამოსაღები კ.**

**კომბაინერ**-ი – კომბაინის მძღოლი. (სოფლის მეურნეობაში).

**კომბინატ**-ი [ლათ. combinatus გაორმაგებული, შეწყვილებული] – 1. სხვადასხვა დარგის სამრეწველო საწარმოთა გაერთიანება.
⊙ **სამკერვალო კ., პოლიგრაფიული კ.**
2. წვრილ საწარმოთა გაერთიანება.
⊙ **საყოფაცხოვრებო საწარმოთა კ.**
3. სხვადასხვა საფეხურის სასწავლებელთა გაერთიანება ქარხანასთან, საწარმოსთან.
⊙ **სასწავლო კ.**

**კომბინაცია** [ლათ. combinatio] – 1. რისამე ურთიერთგანლაგება, შეხამება.
⊙ **ციფრების კ., ფერების კ.**
2. რთული ჩანაფიქრი, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; მაქინაცია.
⊙ **ეშმაკური კ.**
3. ზოგ სპორტულ თამაშში: საერთო ჩანაფიქრით გაერთიანებული სხვადასხვა ილეთი, რომლის მიზანია უპირატესობის მოპოვება და გამარჯვება.
⊙ **კ. ფეხბურთში, საჭადრაკო.**
◎ **კომბინაციური.**
⊙ **კ. თამაში** (ჭადრაკში).

**კომბინეზონ**-ი [ფრ. combinaison] – მთლიანი შარვალ-ხალათი.
⊙ **ბავშვის კ., შოფრის კ., კოსმონავტის კ.**
○ **კომბინიზონი შცდ.**

**კომბინირებული** – რის კომბინაციაც (მნიშ. 1) მოხდა.
**კომბინირებული საკვები** – საკვების ნარევი საქონლისათვის

**კომედია** [ლათ. comoedia < ბერძ. komoedia ] – დრამატული ნაწარმოები, რომელსაც აქვს სასაცილო სიუჟეტი.
⊙ **კლასიკური კ., მუსიკალური კ., მოლიერის კ.-ები.**
◎ **კომედიური** და **საკომედიო.**
⊙ **კ. (ს) ჟანრი, კ. (ს) სიუჟეტი, კ. ოპერა.**

**კომედიანტ**-ი [იტ. commedianto] – (მოძვ) იგივეა, რაც კომიკოსი.

**კომედიოგრაფ**-ი – დრამატურგი, რომელიც კომედიებს წერს.
⊙ **ქართველი კ. გიორგი ერისთავი.**

**კომენდანტ**-ი [ფრ. commandant < ლათ. commedare დავალება, მინდობა, მიბარება] – **1**. ციხესიმაგრის ან გამაგრებული რაიონის ყველა ჯარის უფროსი.

⊙ **ციხესიმაგრის კ.**

**2**. სამხედრო მეთაური, რომელიც თვალყურს ადევნებს საგარნიზონო და საყარაულო სამსახურს წესიერად შესრულებას, სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინის დაცვას საზოგადოებრივ ადგილებში.

⊙ **ქალაქის კ., ბანაკის კ.**

**3**. სამხედრო პირი, რომელიც რკინიგზებზე თვალყურს ადევნებს ჯარების სამხედრო მოსამსახურეებისა და სამხედრო ტვირთის სწორედ გადაადგილებას.

⊙ **რკინიგზის სადგურის კ., ნავსადგურის კ.**

**4**. საზოგადოებრივი შენობის გამმართველი.

⊙ **საერთო საცხოვრებლის კ.**

**კომენდანტის საათი** – ქუჩაში გამოსვლის აკრძალვა საომარ მდგომარეობის გამო

**საკომენდანტო** – კომენდანტის (მნიშ. 2) სასამსახურო სადგომი.

**საკომენდანტო საათი** – იგივეა, რაც კომენდანტის საათი.

○ **კომენდატი, საკომენდატო შცდ.**

**კომენდატურა** [გერმ. kommandantur] – დაწესებულება, რომელსაც სათავეში კომენდანტის (მნიშ. 2) უდგას, ამ დაწესებულების სადგომი, შენობა.

⊙ **კომენდანტურა შცდ.**

**კომენტარ**-ი[ლათ.commentarius], ჩვეულებრივ მრ.-ში.

**კომენტარები** – **1**. რაიმე ტექსტის ახსნა-განმარტება.

⊙ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კ.-ები.**

**2**. ახსნით-განმარტებითი ან კრიტიკული შენიშვნები,მსჯელობა რისამე თობაზე.

⊙ **გაზეთის კ.-ები.**

**კომენტარი ზედმეტია** – (წიგნ.) იტყვიან, როდესაც დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშეც გასაგებია ყველაფერი.

○ **კომენტარიები შცდ.**

**კომენტატორ**-ი [ლათ. commentator] – პირი, რომელიც რისამე კომენტარებს იძლევა, კომენტარის (კომენტარების) ავტორი.

⊙ **ტექსტის კ., სპორტული კ.**

**კომერსანტ**-ი [ფრ. commersand] – პირი, რომელიც კომერციას მისდევს.

**კომერცია** [ლათ. commercium] – კერძო ვაჭრობა; საერთოდ ვაჭ-

რობა, სავაჭრო ოპერაციები.
◎ **კომერციული** და **საკომერციო.**
⊙ **კ. (ს) გარიგება, კ. (ს) ოპერაციები.**

**კომეტა** [ბერძ. kometes (aster) თმიანი,კუდიანი (ვარსკვლავი)] – ციური სხეული ერთგვარი (ქართ. სინონ. კუდიანი ვარსკვლავი), რომელსაც აქვს ნათელი ზოლებისაგან შემდგარი ერთი ან რამდენიმე კუდი, მზის საწინააღმდეგო მხარეს მიმართული.

**კომივოიაჟორ**-ი [ფრ. commis voyageur] – სავაჭრო ფირმის აგენტი, რომელსაც ერთი ადგილიდან მეორეზე დააქვს საქონლის ნიმუშები; პრეისკურანტები (პრეისკურანტი) კატალოგები, დებს ხელშეკრულებებსა და სხვ.
⊙ **კომივოიაჟური შცდ.**

**კომიზმ**-ი [ბერძ. <] – რისამე კომიკური, სასაცილო ხასიათი.

**კომიკოს**-ი [ბერძ. komikos] – კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი.

**კომიკური** – **1.** იგივეა, რაც კომედიური (იხ. **კომედია**).
⊙ **კ. ნიჭი. კ. ოპერა.**
**2.** გადატ. სასაცილო
⊙ **კ. შესახედაობა, კ. მდგომარეობა.**

**კომილფო** [ფრ. comm il faut როგორც საჭიროა,როგორც უნდა] – მაღალი წრის,საზოგადოების (საერო) ზრდილობის წესების შესაბამისად.
⊙ **კ.-დ გამოიყურება.**

**კომისარ**-ი [ფრ.commisaire<ლათ. comissarius უფლებამოსილი] – თანამდებობის პირი, რომელსაც მთავრობისგან განსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი რწმუნებები აქვს მინიჭებული.

**კომისარიატ**-ი [ფრ. commissariat < ლათ.] – ზოგი სახელმწიფო და ადმინისტრაციული დაწესებულების სახელწოდება

**კომისია** [< ლათ. commissio დავალება] – **1.** ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მინდობილი აქვს გარკვეული დავალების შესრულება.
⊙ **საარჩევნო კ., საექიმო კ.**
**2.** სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს.
◎ **საკომისიო: საკომისიო** მაღაზია – მაღაზია რომელიც შუამავლობას ეწევა ყიდვა-გაყიდვაში (კომერციულ საქმიანობაში).

**კომისიონერ**-ი [ფრ. commissionnaire] – პირი, რომელიც შუამავლობას ეწევა სავაჭრო გარიგებაში გარკვეულ გასამრჯელოს ფასად.

**კომიტეტ**-ი [ფრ. comite <ლათ. comittere] – არჩევითი] ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე საქმიანობას.
⊙ **აღმასრულებელი კ.**

**კომიქს**-ი [ინგ. comics (მრ.) < comic კომიკური, სასაცილო] – პატარა ილუსტრირებული წიგნი ან ნახატების სერია მსუბუქი, ჩვეულებრივ სათავგადასავლო შინაარსის.
○ **კომიკური შცდ.**

**კომპანია** [ფრ. compagnie] – **1.** მეწარმეთა სავაჭრო ან სამრეწველო გაერთიანება.
⊙ **სააქციო კ., საექსპერტო კ.**
**2**. (საუბ.) ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ატარებენ დროს.
○ **კამპანია** სხვაა (იხ.).

**კომპას**-ი [იტ. compusso<ჰოლანდ. kompas ფარგალი] – ხელსაწყო, რომლითაც განსაზღვრავენ ქვეყნის მხარეებს; აქვს დამაგნიტებული ისარი, რომელიც ყოველთვის ჩრდილოეთისკენ არის მიმართული.

**კომპაქტური** [ლათ. compactus] – მჭიდრო, შეკუმშული; რასაც ცოტა ადგილი უჭირავს.
⊙ **კ. მასა, კ. შრიფტი.**
○ **კომპაკტური შცდ.**

**კომპაქტ-დისკი** [ინგ. compact კომპაქტური და disc დისკი] – ინფორმაციის (ბგერის,გამოსახულების, ტექსტის) ჩანაწერი მოწყობილობა თხელი ლითონის დისკის სახით, რომლიდანაც ჩანაწერის ამოკითხვა ხდება ლაზერული სხივის საშუალებით.

**კომპენსაცია** [ლათ. compensatio] – **1.** რისამე ანაზღაურება (ამ მნიშვ.-ით იხმარება აგრეთვე **კომპენსირება**).
⊙ **ფულადი კ.**
**2**. თანხა, რომელსაც უხდიან რისამე ასანაზღაურებლად (ქართ. სინონ. **საზღაური**).
**3**.(მედიც.)დარღვეული ფუნქციის აღდგენა ორგანიზმში.
◎ **საკომპენსაციო.**
⊙ **ს. სახსრები.**

**კომპეტენტური** [< ლათ. competens (competentis) სათანადო] – საფუძვლიანი ცოდნის მქონე რაიმე დარგში.
⊙ **კ. სპეციალისტი.**
**2**. ცოდნაზე დამყარებული; ავტორიტეტული.
⊙ **კ. აზრი, კ. მსაჯულება.**
**3**. კომპეტენციის (მნიშ. 2) მქონე.
⊙ **კ. ორგანიზაცია, კ. კომისია.**
○ **კომპენტენტური შცდ.**

**კომპეტენცია** [ლათ. competentia] – **1.** საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნა მოეპოვება ვისმე.
**2**. სფერო,რომელშიც უფლებამოსილია რაიმე დაწესებულების ან თანამდებობის პირი.

⊙ **სასამართლოს კ., ეს საკითხი ჩვენს კ.-ს სცილდება.**
○ **კომპენტენცია შცდ.**

**კომპილაცია** [ლათ. compilatio ძარცვა] – **1.** ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს.
**2.** ასეთი ნაშრომის შედგენა.

**კომპიუტერ**-ი [ინგ. computer] – ელექტრონული გამომთვლელი მანქანა (ეგმა).
⊙ **პერსონალური კ.**
◎ **კომპიუტერული** და **საკომპიუტერო.**
⊙ **კ. (ს) სისტემა, კ. (ს) ტექნიკა, კ. (ს) ცენტრი.**
○ **კომპუტერი, კომპუტერული, საკომპუტერო შცდ.**

**კომპლექს**-ი [ლათ. complexus კავშირი, შეხამება] – საგანთა, მოვლენათა, მოქმედებათა, თვისებათა ერთობლიობა.
⊙ **არქიტექტურული კ.**
◎ **კომპლექსური.**
⊙ **კ. ექსპედიცია, საწარმოო პროცესების კ. მექანიზაცია.**

**კომპლექტ**-ი [ლათ. complectus სრული] – გარკვეული დანიშნულების საგანთა სრული რიცხვი, სრული შემადგენლობა.
⊙ **წიგნების კ.**
◎ **კომპლექტური.**
⊙ **კ. ნაკრები.**

**კომპლექტაცია** – რისმე კომპლექტების შედგენა.
⊙ **ჟურნალების კ.**

**კომპლექცია** [ლათ. complexio შეერთება, შეკავშირება] – (წიგნ). ტანის (სხეულის) აგებულება, მოყვანილობა

**კომპლიმენტ**-ი [ლათ. compliment] – სასიამოვნო, საქებარი რისამე თქმა ვინმესათვის პირში (ქართ. სინონ. **ქათინაური**)

**კომპოზიტ**-ი [ლათ. compositus] – სიტყვა, რომელიც ერთზე მეტი ფუძისგან შედგება. მაგ: დედმამა, შვეულმფრენი და სხვ.

**კომპოზიტორ**-ი [< ლათ. compositos შემადგენელი] – პირი, რომელიც ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებს.
**საჭადრაკო კომპოზიტორი** – პირი, რომელიც ადგენს საჭადრაკო ამოცანებსა და ეტიუდებს.

**კომპოზიცია** [ლათ. compositio შედგენა] – **1.** რისამე შემადგენელი ნაწილების თანაფარდობა, ურთიერთგანლაგება; აგებულება.
⊙ **რომანის კ., ნახატის კ., ოპერის კ.**
**2.** მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნის თეორია.
⊙ **კ.-ის კლასი** (კონსერვატორიაში).

◎ **კომპოზიციური** (მნიშ. 1-ისათვის).
⊙ **კ. მთლიანობა.**
◎ **საკომპოზიციო** (მნიშ. 2-თვის).
⊙ **ს. კლასი (**კონსერვატორიაში).

**კომპო́ნენტ**-ი [ლათ. componens (competentis) შემადგენელი] – (წიგნ.) რისამე შემადგენელი ნაწილი.
⊙ **შენადნობის კ.-ები.**

**კო́მპოსტ**-ი [ინგ. compost] – (სოფ. მეურ.) ორგანული სასუქი – ნეშომპალისა და მიწის ნარევი.

**კომპო́სტერ**-ი [ფრ. composteur] – აპარატი, რომელი რკინიგზის ბილეთზე და სხვა დოკუმენტებზე აღნიშნავს თარიღს, ნომერს და მისთ.

**დაკომპოსტი́რება** და **კომპოსტი́რება** – კომპოსტერით აღნიშვნა თარიღისა და მისთ.
⊙ **დაკომპოსტერება,** მაგრამ **კომპოსტირება.**

**კო́მპოტ**-ი [ფრ. compote] – შაქრიან წყალში მოხარშული ხილი ან კენკრა.
⊙ **ალუბლის კ., კომშის კ., ატმის კ.**
○ **კამპოტი შცდ.**

**კო́მპრეს**-ი [ფრ. compresse] – ქსოვილის, ტილოს ნაჭერი (ჩვეულებრივ წყლით ან წამლით დასველებული), რომელსაც იდებენ მტკივნეულ (დაშავებულ) ადგილზე სამკურნალო მიზნით.

**კომპრე́სია** [ლათ. compressio] – (ტექ) ჰაერის,გაზის ან საწვავი ნარევის შეკუმშვა შიგაწვის ძრავის ცილინდრში.

**კომპრე́სორ**-ი [ლათ. compressius შეკუმშვა] – ნარევის საშუალებით გაზების ან ჰაერის შესაკუმში მანქანა (აგრეგატი).
◎ **კომპრესორული** და **საკომპრესორო.**
⊙ **კ. (ს) დანადგარი.**

**კომპრომეტი́რება** [ფრ.compromette] – (წიგნ.) ვინმესათვის სახელის გატეხა სხვის თვალში.
○ **კომპრომენტირება შცდ.**

**კომპრო́მის**-ი [ლათ. compromissum] – ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება.
◎ **კომპრომისული.**
⊙ **კ. გადაწყვეტილება.**
○ უარყ. **უკომპრომისო.**
⊙ **უ. კამათი.**

**კო́მუნა** [ფრ. commune < ლათ. communis საერთო] – გაერთიანება ადამიანებისა, რომელთაც საერთო ქონება აქვთ,რომლებიც ერთად შრომობენ და თანასწორად იყოფენ შრომით მიღებულ პრო-

დუქტებს.
⊙ **შრომითი კ.**
**პარიზის კომუნა** – 1871 წელს პარიზში აჯანყებული მშრომელი ხალხის მიერ შექმნილი რევოლუციური მთავრობა (იარსება 72 დღე).
**კომუნალური** – ქალაქის მეურნეობასთან დაკავშირებული.
⊙ **კ. მშენებლობა.**
**კომუნალური ბინა** – ბინა, რომელშიც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს.
**კომუნარ**-ი [ფრ. communard] – (ისტ.) პარიზის კომუნის წევრი.
**კომუნიზმ**-ი [ფრ. communisme < ლათ. communis საერთო, საზოგადო] – უტოპიური, საზოგადოებრივ – (პოლიტიკურ) – ეკონომიკური სისტემა (წყობილება), რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. ყოფილ საბჭოთა კავშირში, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპაში, ამ სისტემამ ვერ გაამართლა და XX საუკუნის 90-წლებში დაინგრა.
**სამხედრო კომუნიზმი** – საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა სამოქალაქო ომის პერიოდში (1918-1920 წწ.).
◎ **კომუნისტური.**
⊙ **კ. პარტია.**
**კომუნიკაცია** [ლათ. communikatio] – ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელი გზა ან კავშირგაბმულობის საშუალება.
◎ **საკომუნიკაციო.**
⊙ **ს. ხაზები.**
**კომუნიკე** [ფრ. communique] – მთავრობის ოფიციალური ცნობა, საერთაშორისო საკითხებზე.
◎ **კომუნიკური.**
○ **კომუნიკისა შცდ.**
**კომუნისტ**-ი – კომუნისტური პარტიის წევრი.
**კომუტატორ**-ი [< ლათ. commuto] – **1.** მოწყობილობა ელექტრულ წრედის შერთვის და განრთვისათვის ან დენის მიმართულების შესაცვლელად. **2.** მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ ტელეფონის ხაზების ხელით შესაერთებლად.
**კომფორტ**-ი [ინგ. comfort] – ყოფაცხოვრების მოხერხებულ პირობათა ერთობლიობა; კეთილმოწყობილობა.
◎ **კომფორტული** და **კომფორტაბელური.**
⊙ **კ. სასტუმრო, კ. ვაგონი.**
**კონგენიალურ**-ი [ლათ. con ერთად და genius გონი, სული] – ჭკუით, ნიჭიერებით. ვისიმე

შესაფერი, მსგავსი.

**კონგლომერატ**-ი [ლათ. conglomeratus შემგროვებელი, შემკვრივებული] – **1.** (წიგნ.) სხვადასხვა ნაწილის ან საგნის მექანიკური, შემთხვევითი ნაერთი.

**2.** (გეოლ.) ნალექი ქანი, რომელიც შედგება სხვა ნამსხვრევებისა, კენჭებისა და ქვებისგან.

◎ **კონგლომერატიული.**

⊙ **კ. პლასტი.**

**კონგლომერაცია** [ლათ. conglomeratio] – რისამე ნაწილების ან საგნების ისეთი შეკავშირება, როდესაც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებს.

**კონგრეგაცია** [ლათ. congregatio] – **1.** კათოლიკურ ეკლესიაში: ერთგავრი წესდების მქონე მონასტრების გაერთიანება.

**2.** რომის პაპთან არსებული ადმინისტრაციული ორგანო.

**კონგრეს**-ი [ლათ. congressus შეხვედრა, კრება] – **1.** საერთაშორისო თათბირი ყრილობა.

⊙ **ავტომობილისტების კ., მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კ.**

**2.** ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკის ბევრ სხვა ქვეყანაში: საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) აგრეთვე, რაიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანების, კავშირის სახელწოდება.

**კონგრესმენ**-ი [ინგ. congressman] – კონგრესის (მნიშ. 2) წევრი

**კონგრუენტული** [< ლათ. congruens (congruentis) თანხვდენილი] – **1.** (მათემ) გეომეტრიული ფიგურების დამთხვევა ერთმანეთზე დადებისას.

**2.** საერთოდ: შესაბამისობა, თანაზომიერება.

**კონდაკ**-ი [ბერძ. kondakion] – მოკლე საეკლესიო საგალობელი, საეკლესიო წიგნი, რომელიც ამ საგალობლებს შეიცავს.

**კონდენსატორ**-ი [< ლათ. condenso ვასქელებ, ვამკვრივებ] – **1.** ელექტროენერგიის დასაგროვებელი ხელსაწყო.

**2.** აპარატი, რომელშიც ნამუშევარი ორთქლი ცივდება და წყლად იქცევა.

○ **კონდესატორი** შცდ.

**კონდენსაცია** [ლათ. kondensatio] და **კონდენსირება** [გერმ. kondensieren] – (სპეც.) დაგროვება.

⊙ **ენერგიის კ.**

**2.** ორთქლის, აირის გადაყვანა თხევად ან მაგარ მდგომარეობაში.

○ **კონდენსაცია, კონდესირება** შცდ.

**კონდიტერ**-ი [ლათ. konditor <

არაბ.] – ტკბილეულის (ტორტების, ტკბილი ღვეზელების კანფეტების და მისთ) დამზადების სპეციალისტი.

**საკონდიტრო** – **1**. რაც დაკავშირებულია ტკბილეულის დამზადებასთან და ვაჭრობასთან.

⊙ **ს. ნაწარმი, ს. ფაბრიკა, ს. განყოფილება** (მაღაზიაში).

**2**. მაღაზია რომელიც ტკბილეულით ვაჭრობს (სინონ. **საშაქარლამო**).

◎ **კონდიტერისა.**

○ **კონდიტრისა, კანდიტერი, საკონდიტრო შცდ.**

**კონდიცია** [ლათ. konditio] – დადგენილი ნორმა, სტანდარტი, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საგანი, საქონელი.

◎ **კონდიციური.**

⊙ **კ. საქონელი, კ. თესლი.**

**კოოპერაცია** [ლათ. cooperatio თანამშრომლობა] – **1**. შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი ერთად მონაწილეობს შრომის ერთსა და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცესში (ოპერაციაში).

**2**. კოლექციური საწარმოო,სავაჭრო და სხვა გაერთიანება, რომელიც იქმნება მისი წევრების (მეპაიეების) სახსრებით.

⊙ **სარეწაო კ., საბინაო კ., სამომხმარებლო კ.**

◎ **კოოპერაციული.**

⊙ **კ. მაღაზია.**

○ **კოპერაცია, კოპერაციული შცდ.**

**კოოპტაცია** [ლათ. cooptatio დამატებითი არჩევა] – რომელიმე არჩევითი ორგანოს შევსება ახალი წევრებით ან კანდიდატებით საკუთარი გადაწყვეტილების შედეგად დამატებით არჩევნების ჩატარების გარეშე.

⊙ **კოოპტირება.**

◎ **კოოპტირებული.**

○ **კოპტაცია, კოპტირება, კოპტირებული შცდ.**

**კოორდინატ**-ი [ლათ. co -თან, ერთად და ordinatus მოწესრიგებული] – (სპეც.) სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს წერტილის მდებარეობას სიბრტყეზე ან სივრცეში.

⊙ **გეოგრაფიული კ.-ები, ასტრონომიული კ.-ები.**

○ **კორდინატი შცდ.**

**კოორდინაცია** [ლათ. coordinatio] და კოორდირება [გერმ. koordinieren] – რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმება, ურთიერთშეფარდება.

⊙ **სამეცნიერო სამუშაოების კ., ქვეითი ჯარისა და ტანკების მოქმედების კ.**

○ **კორდინაცია, კორდინირება შცდ.**

**კორდებალეტ**-ი [ფრ. corps de ballet] – ბალეტის მსახიობები, რომლებიც ასრულებენ მასობრივ და ჯგუფურ ცეკვებს.

**კორდონ**-ი [ფრ. cordon] – **1.** სასაზღვრო ან გადამღობი რაზმი.

**2**. ადგილი, სადაც ასეთი რაზმი, დაცვა, ყარაული არის განლაგებული.

⊙ **ტყის კ., სასაზღვრო კ., საბაჟო კ., კ.-ის იქითა მხარე.**

**კორელაცია** [ლათ. correlatio] – ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება.

**კორესპონდენტ**-ი [გერმ. korrespondent, < ფრ. correspondant] – **1.** პირი, რომელსაც ვინმესთან მიწერ მოწერა აქვს.

**2**. გაზეთის, ჟურნალის, რადიოტელევიზიის თანამშრომელი, რომელიც ადგილებიდან გზავნის ცნობებს თავის რედაქციაში.

⊙ **გაზეთის საკუთარი კ.**

◎ **საკორესპონდენტო.**

⊙ **ს. პუნქტი.**

**წევრ-კორესპონდენტი** – აკადემიის წევრი, რომელსაც განსხვავებით აკადემიკოსისგან (ნამდვილი წევრისგან) არა აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

○ **კორესპოდენტი, საკორესპოდენტო, წევრ-კორესპოდენტი შცდ.**

**კორესპონდენცია** [ლათ. correspondentia] – **1.** კორესპონდენტის მიერ გაზეთის, ჟურნალის ან რადიო-ტელევიზიისათვის გაგზავნილი წერილი, ცნობა.

⊙ **მამხილებელი კ.**

**2**. წერილების, დეპეშების და მისთ. ერთობლიობა.

○ **კორესპოდენცია შცდ.**

**კორექტივ**-ი [ლათ. correctus გასწორებული, შესწორებული] – ნაწილობრივი შესწორება ან შეცვლა რისიმე.

⊙ **გეგმებში კ.-ების შეტანა.**

**კორექტირება** – **1**. (სამხ.) ქვემეხების დამიზნებაში შესწორების შეტანა მეთაურის სათვალთვალო პუნქტიდან, თვითმფრინავიდან და მისთ. მიზანზე დაკვირვების შედეგების მიხედვით.

**2**. საერთოდ კორექტივის შესწორების შეტანა რამეში.

○ **კორეკტირება შცდ.**

**კორექტორ**-ი [ლათ. corrector გამასწორებელი] – გამომცემლობის ან სტამბის მუშაკი, რომელიც კორექტურას (მნიშ. 1) აკეთებს.

◎ **საკორექტორო.**

⊙ **ს. სწორება.**

○ არს. სახ. **საკორექტორო** – ოთახი, სადაც კორექტორები მუშაობენ.
⊙ **საკორექტურო** სხვაა (იხ. კორექტურა).
○ **კორეკტორი, საკორეკტორო შცდ.**

**ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲘ** [< ლათ. correctus გამართული] – (წიგნ.) წესიერი, თავაზიანი.
⊙ **კ. ადამიანი, კ. საქციელი, კ. მოპყრობა, კ. პასუხი.**
○ **კორეკტული შცდ.**

**ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ** [ლათ. correctura რაც უნდა გასწორდეს] – **1.** სტამბაში აწყობილი ტექსტის ანაბეჭდი შემჩნეული შეცდომების გასწორება.
**2.** თვით ასეთი ანაბეჭდი.
◎ **კორექტურული.**
⊙ **კ. შეცდომა.**
◎ **საკორექტურო.**
⊙ **ს. ნაბეჭდი.**
⊙ **საკორექტორო** სხვაა (იხ. **კორექტორი**).
○ **კორეკტურა, კორეკტურული, საკორეკტორო შცდ.**

**ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ** [ლათ. correctio] – შესწორება, გასწორება.

**ᲙᲝᲠᲘᲐᲜᲓᲠ**-ი [ლათ. coriandrum] – ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე მზესუმზირის ოჯახისა; ახალგაზრდა ნაზარდი და გამხმარი ნაყოფი; გამოიყენება, როგორც სანელებელი.

**ᲙᲝᲠᲘᲓᲐ** [ესპ. corrida] – ესპანეთსა და ზოგ ქვეყანაში: მასობრივი სანახაობა – ხარებთან ბრძოლა.
◎ **კორიდისა.**
○ **კორიდასი შცდ.**

**ᲙᲝᲠᲘᲓᲝᲠ**-ი [ფრ. corridor] – გრძელი გასასვლელი (შენობაში, ბინაში და სხვ.). (ქართ. სინონ. **დერეფანი, ტალანი**).
⊙ **ვაგონის კ.**
○ **კარიდორი შცდ.**

**ᲙᲝᲠᲘᲤᲔ** [ბერძ. koryphaios ბელადი, წინამძღოლი] – (მაღალფარდ.) **1.** დიდად გამოჩენილი მოღვაწე რაიმე ასპარეზზე.
⊙ **მეცნიერების კ., ხელოვნების კ.**
**2.** კორდებალეტის მთავარი მსახიობი.
**3.** ძველ ბერძნულ ტრაგედიაში: გუნდის ხელმძღვანელი.

**ᲙᲝᲠᲜᲔᲠ**-ი [ინგ. corner კუთხე, to corner კუთხეში მიმწყვდევა] – ფეხბურთში: საჯარიმო კუთხური დარტყმა კარში (კუთხური დარტყმა ან მოკლედ: **კუთხური**).

**ᲙᲝᲠᲜᲘᲨᲝᲜ**-ი [ფრ. cornichon] – პატარა მოუსვლელი კიტრი, რომელიც გამოიყენება მწნილის ჩასადებად.

**ᲙᲝᲠᲝᲖᲘᲐ** [ლათ. corrosio ამოჭამა] – **1.** ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად.

**2**. (გეოლ.) ქანების ცვლილება ჰაერისა და წყლის ზემოქმედების შედეგად.

**კორონაცია** [ლათ. coronatio] – გვირგვინის დადგმა, მეფედ კურთხევა.

**კორპორაცია** [ლათ. corporatio გაერთიანება] – ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ქონებრივი ან წოდებრივი ინტერესების ერთობით.

⊙ **ინჟინერთა კ.**

**კორპუს**-ი [ლათ. corpus სხეული] – **1**. ადამიანის ან ცხოველის სხეული.

⊙ **ცხენის კ.**

**2**. რისამე ჩონჩხი ან გარსი

⊙ **თვითმფრინავის კ., გემის კ., საათის კ.**

**3**. ცალკეული შენობა-ნაგებობათა კომპლექსი.

⊙ **მთავარი კ., ქარხნის კ.-ები, უნივერსიტეტის კ.-ები, საავადმყოფოს ახალი კ., მე-5 კ.** (საცხოვრებელი მასივისა).

**4**. მსხვილი საჯარისო შენაერთი.

⊙ **მსროლელთა კ., სატანკო კ.**

**5**. ერთი სპეციალობის, რაიმე ერთი ოფიციალური ან სამსახურებრივი მდგომარეობის პირთა ერთობლიობა.

⊙ **დიპლომატიური კ.** (იხ. **დიპლომატი**), **ოფიცერთა კ., ჟურნალისთა კ.**

**6**. რევოლუციამდელ რუსეთში: საშუალო სამხედრო სასწავლებელი.

⊙ **კადეტთა კ., პაჟთა კ., საზღვაო კ.**

**კორპუსკულ**-ი [ლათ. corpusculum სხეულაკი] – (ფიზ.) მატერიის ნაწილაკი.

◎ **კორპუსკულური**: სინათლის კორპოსკულური თეორია – თეორია,რომლის მიხედვითაც სინათლე წარმოადგენს განსაკუთრებულ ნაწილაკების (კორპუსკულების) ნაკადს.

○ **კორპუსკულ[ი]არული შცდ.**

**კორსაჟ**-ი [ფრ. corsage] – ქალის ქვედატანის ქამარი ერთგვარი.

**კორსეტ**-ი [ფრ. corset] – **1**. ფართო დრეკადი სარტყელი, რომელსაც ქალები იკრავენ წელზე (კაბის ქვეშ) ტანკენარობის გამოსაჩენად.

**2**. (მედიც.) თაბაშირის, ტყავის ან სხვა მაგარი მასალის ბანდაჟი ტანის ზედა ნაწილზე შემოსაკრავად; ხმარობენ ხერხემლის ზოგი დაავადების (მაგ. გამრუდების) სამკურნალოდ.

**კორტ**-ი [ინგ. court] – ჩოგბურთის სათამაშო მოედანი.

⊙ მრ. **კორტები.**

**კორტეჟ**-ი [ფრ. cortage] – (წიგნ.) საზეიმო სვლა, პროცესია.

⊙ **ავტომობილის კ.**

**კორტეს**-ი [ესპ. cortes (მრ.)] – ესპანეთის პარლამენტის სახელწოდება.

○ **კორტესები შცდ.**

**კორუნდ**-ი [გერმ. korund] – ძალიან მაგარი მინერალი; მისი სახესხვაობა: ლალი, საფირონი, ტოპაზი.

**კორუფცია** [ინგ. corruption < ლათ. coruuptio მოსყიდვა] – თანამდებობის პირთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მოსყიდვა ქრთამით.

**კორუმპირებული პირი** – პირი, რომელიც ყველა სისაძაგლეზე აწერს ხელს.

○ **კორუპცია შცდ.**

**კოსეკანს**-ი [ლათ. co ერთად და secans გადამკვეთი] – (მათემ.) ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია დამატებითი კუთხის სეკანსი.

**კოსინუს**-ი – [ლათ. co ერთად და sinus ღუნი, სიმრუდე] – (მათემ.) ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუქცია – დამატებითი კუთხის სინუსი.

**კოსმეტიკა** [ბერძ. kosmetiko (techne) მორთვა – მოკაზმვის ხელოვნება] – **1.** პირისახისა და სხეულის კანის მოვლა – გალამაზება.

**2.** ამისათვის საჭირო ნივთიერებანი.

⊙ **სამკურნალო კ., კ.-ის კაბინეტი.**

◎ **კოსმეტიკური.**

⊙ **კ. საშუალებანი.**

○ **კოსმეტიური, კოსმეტური შცდ.**

**კოსმოგონია** [ბერძ. kosmogonia სამყაროს წარმოშობა] – ასტრონომიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ციური სხეულების წარმოშობასა და განვითარებას.

**კოსმოდრომ**-ი [ბერძ. kosmos კოსმოსი, სამყარო და dromos სარბენი ადგილი, რბენა] – სათანადოდ მოწყობილი მოედანი, საიდანაც უშვებენ კოსმოსურ ხომალდებსა და დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს.

**კოსმოლოგია** [ბერძ. kosmos კოსმოსი, სამყარო და logos მოძღვრება] – მოძღვრება სამყაროსი, როგორც ერთი მთლიანის შესახებ.

**კოსმონავტიკა** [ბერძ. kosmos კოსმოსი, სამყარო და nautike ზღვაოსნობა] – კოსმოსში ფრენის თეორია და პრაქტიკა (სინონ. **ასტრონავტიკა**).

**კოსმოპოლიტ**-ი[ბერძ.kosmopolites მსოფლიოს მოქალაქე] – კოსმოპოლიტიზმის მომხრე; მიმდევარი.

**კოსმოპოლიტიზმ**-ი – იდეო-

ლოგია, რომელიც აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს", „მსოფლიო მოქალაქეობის" იდეას.

◎ **კოსმოპოლიტური.**

⊙ **კ. იდეები.**

○ **კოსმოპოლიტიური შცდ.**

**კᲝᲡᲛᲝᲡ**-ი [ბერძ. kosmos] – სამყარო, როგორც ერთი, ორგანიზებული სისტემა.

⊙ **კ.-ის ათვისება, კ.-ში ფრენა.**

◎ **კოსმოსური.**

⊙ **კ. სივრცე, კ. სხივები, კ. ხომალდი.**

○ **კოსმიური შცდ.**

**კᲝᲡᲢᲘᲝᲚ**-ი [პოლონ. kossiol] – პოლონური კათოლიკური ტაძარი.

**კᲝᲡᲢᲘᲣᲛ**-ი [ფრ. costume] – **1.** მამაკაცის თანამედროვე ტანსაცმელი – პიჯაკი და შარვალი (აგრეთვე ჟილეტი); ქალის ზედა ტანსაცმელი (ჟაკეტი და ქვედატანი ან ჟაკეტი და შარვალი).

**2.** საერთოდ ტანსაცმელი.

⊙ **სამუშაო კ., საცურაო კ., სპორტული კ., თეატრალური კ., სამასკარადო კ.**

◎ **საკოსტიუმი.**

⊙ **ს. ქსოვილი** (მატერია).

◎ **საკოსტიუმისა.**

○ **საკოსტიუმესი, კოსტუმი, საკოსტუმე შცდ.**

**კᲝᲢᲐᲜᲒᲔᲜᲡ**-ი [ლათ. co ერთად და tangens შემხები] – (მათემ.)ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია – დამატებითი კუთხის ტანგენსი.

⊙ **კოტანგესი შცდ.**

**კᲝᲢᲔᲯ**-ი [ინგ. cottage<cot პატარა სახლი] – პატარა საცხოვრებელი სახლი, ჩვეულებრივ, ქალაქგარეთ, აგარაკზე.

**კᲝᲢᲘᲠᲔᲑᲐ** [ფრ. coter] – (ფინანს.) საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა.

**კᲝᲢᲝᲜ**-ი [ფრ. cotone] – ბამბა.

**კᲝᲤᲔᲘᲜ**-ი [ლათ. coffeinum] – სამკურნალო ნივთიერება, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, გულის მოქმედებას; მოიპოვება ყავის მარცვლებში,ჩაის ფოთლებში და ზოგ სხვა მცენარეში.

**კᲝᲥᲡ**-ი [გერმ. koks] – მყარი (მაგარი) სათბობი, საწვავი, რომელსაც იღებენ ქვანახშირის ან ტორფის უჰაეროდ გახურებით.

⊙ **კოკსი შცდ.**

**კᲝᲥᲢᲔᲘᲚ**-ი [ინგ. cock tail მამლის კუდი] – **1.** სასმელი,რომელსაც აკეთებენ მაგარი სასმელების (კონიაკის,ლიქიორის, ღვინის) შერევით, შაქრისა და სანელებლების დამატებით.

**2**. (მედიც.) სხვადასხვა წამლის ნარევი.
**რძიანი კოქტეილი** – რძის ან ნაღების, ნაყინისა და ხილის წვენების ნარევი.
○ **კოკტეილი შცდ.**

**კო́შმარ**-ი [ფრ. cauchemar] – **1.** მძიმე სულის შემხუთავი სიზმარი (ქართ. სინონ. მაჯლაჯუნა).
**2**. გადატ. საზარელი, საშინელი რამ.
⊙ **ომის კ.**
◎ **კოშმარული.**
⊙ **კ. სიზმარი, კ. სანახაობა.**

**კო́ჰორტა** [ლათ. cohoros (cohortis)] – **1.** ძველ რომში: ქვეითი ჯარის რაზმი ლეგიონის მეათედი ნაწილი.
**2**. გადატ. (წიგნ.) საერთო იდეებით, საერთო მიზნებით მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი.
⊙ **ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი კ.**
◎ **კოჰორტისა.**
○ **კოჰორტასი, კოგორტა შცდ.**

**კრაკო́ვიაკ**-ი [პოლონ. krakowiak] – პოლონური ეროვნული ცეკვა სწრაფი ტემპისა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.
○ **კრაკავიაკი შცდ.**

**კრა́ტერ**-ი [ბერძ. krater თასი] – ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის თავზე, საიდანაც ამოიფრქვევა ლავა.

**კრა́ხ**-ი [გერმ. krach] – **1.** გაკოტრება (ბანკისა, საწარმოსი).
**2**. გადატ. (წიგნ.) სრული მარცხი.
⊙ **კ. განიცადა.**

**კრეაციო́ნიზმ**-ი [< ლათ. cretio (creationis) შექმნა] – იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში, რომელსაც მიაჩნია, რომ სამყაროს, დედამიწის, სიცოცხლის წარმოშობა, ორგანული სამყაროს ფორმების მრავალფეროვნება ღვთის შემოქმედების შედეგია.

**კრე́დიტ**-ი[1] [< ლათ. credit სწამს, სჯერა] – საბუღალტრო ანგარიშების მარჯვენა მხარე, სადაც შეაქვთ ყველა დანახარჯი ფასეულობა, აგრეთვე ამ ანგარიშზე რიცხული ყველა ვალი და გასავალი (საპირისპ. **დებიტი**).

**კრე́დიტ**-ი[2] [ლათ. creditum სესხი, ვალი] – **1**. საქონლის ან ფულის მიცემა სესხად.
⊙ **სახელმწიფო კ., გრძელვადიანი კ.**
**2**. (ფინანს.) გარკვეული ხარჯების გასაწევად გაცემული თანხა.
⊙ **სახალხო განათლებისათვის გაცემული კ.-ები.**
◎ **საკრედიტო.**
⊙ **ს. დაწესებულება.**

**კრედი́ტორ**-ი – პირი ან და-

წესებულება, რომელმაც გასცა ფული ან საქონელი კრედიტად (იხ. **კრედიტი**²).

**კრÉდო** [< ლათ. credo მჯერა, მწამს] – (წიგნ.) მრწამსი,რწმენა, მსოფლმხედველობა.

⊙ **პოლიტიკური კ., მეცნიერული კ., ვისიმე ცხოვრებისეული კ.**

**კრÉვეტ**-ი [ფრ. crevette] – ზღვის პატარა კიბო.

**კრÉზუს**-ი – იტყვიან ხოლმე უთვალავი სიმდიდრის მქონე პირზე [ლიდიის (მცირე აზიაში) ლეგენდარული მეფის სახელის (Kroisos) მიხედვით].

**კრეÍსერ**-ი [ჰოლანდ. kruiser] – დიდი სწრაფმავალი სამხედრო ხომალდი, გემი, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი არტილერიით, ტორპედოებით, ნაღმებით.

**კრÉკერ**-ი [ინგ. craker] – **1.** თხელი ხმელი ნამცხვარი; ხრაშუნა პური.

**2.** კარტოფილი, შემწვარი სიფრიფანა ფირფიტების სახით (ჩიფსის მსგავსი)

**კრÉკინგ**-ი [ინგ. cracking] – **1.** მძიმე ნავთობპროდუქტების (მაგ; მაზუთის) გადამუშავება სპეციალურ დანადგარებში ბენზინის მისაღებად.

⊙ **კ. პროცესი.**

**2.** ასეთი გადამუშავებისავის საჭირო დანადგარი.

**კრემატორÍუმ**-ი – კრემაციისათვის მოწყობილი შენობა.

**კრემÁცია** [ლათ. crematio დაწვა] – მიცვალებულის გვამის დაწვა სპეციალურ ღუმელში.

**კრÉმლ**-ი [რუს. Кремль] – ძველი რუსეთის ქალაქებში: ქალაქის შიგნითა ციხე-სიმაგრე: შიდაციხე; მე-19 ს.-ის მეოთხედიდან წარმოადგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრს, ისტორიულ-მხატვრულ ანსამბლს.

⊙ **მოსკოვის კ.**

**კრÉოლ**-ი [ფრ. creole < ესპ. criallo] – ლათინურ ამერიკაში: პირველი ევროპული (ესპანური და პორტუგალიური) კოლონიზატორების შთამომავალი.

**კრÉპ**-ი [ფრ. crêpe] – **1.** აბრეშუმის ან მატყლის ქსოვილი,რომელსაც ხაოიანი ზედაპირი აქვს.

**2.** შავი გამჭირვალე ქსოვილი ერთგვარი.

**კრÉტინ**-ი [სამხრ. ფრ. დიალექტიზმი crétin მოსულელო, საერთო ფრ. crétien] – გონებასუსტი, ფიზიკურად და გონებრივად განუვითარებელი ადამიანი.

**კრეტÍნიზმ**-ი [ფრ. crétinisme] – გონების სიჩლუნგე.

**კრÉშენდო** [იტ. crescendo] –

(მუს.) ხმის, თანდათანობით გაძლიერება, სულ უფრო და უფრო ხმამაღლა (საპირისპ. **დეკრეშენდო**).

○ **კრეშჩენდო შცდ.**

**კრიზ**-ი [ფრ. crise] – (მედიც.) სისხლძარღვების დროებითი სპაზმური შეკუმშვა,რომელიც წარმოიქმნება უეცრად.

⊙ **ჰიპერტონიული კ.**

**კრიზის**-ი [ბერძ. krisis]–**1.** მძაფრი გარდატეხა, ცვლილება.

⊙ **დაავადების კ.**

**2.** მწვავე მდგომარეობა,რომელიც წინ უსწრებს გარდატეხას.

⊙ **ფინანსური კ.**

**3.** სახელმწიფოში საქონლის პერიოდული ჭარბწარმოება,რაც იწვევს წარმოების შეკვეცას, წვრილ მწარმოებელთა (მეწარმეთა) გაღატაკებას, უმუშევრობის ზრდას.

⊙ **სამრეწველო კ.**

**მთავრობის კრიზისი** – სახელმწიფოში: მთავრობის შეცვლა, გამოწვეული მწვავე პოლიტიკური უთანხმოებით.

**კრიზისული** – **1.** კრიზისის გარდატეხის მდგომარეობაში მყოფი, არსებული.

⊙ **კ. ასაკი.**

**2.** ძალიან ძნელი,გამწვავებული სახიფათო.

⊙ **კ. მომენტი, კ. მდგომარეობა.**

**კრიზისული ტემპერატურა** – (ფიზ.) ტემპერატურა, რომლის დროსაც ქრება განსხვავება სითხესა და ორთქლს შორის.

○ **კრიტიკული შცდ.**

**კრიმინალ**-ი [ლათ. criminalis დანაშაულებრივი] – სისხლის სამართლის დანაშაული, გადაცდომა, შეცოდება.

**კრიმინალისტიკა** [< ლათ. criminalis დანაშაულთან დაკავშირებული]– იურიდიული მეცნიერება,რომელიც სწავლობს სისხლის სამართლის დანაშაულის კვლევის მეთოდიკას, ტაქტიკასა და ტექნიკას.

**კრიმინალურ**-ი [ლათ. criminalis] – სისხლის სამართალთან დაკავშირებული; დანაშაულებრივი.

⊙ **კ. შემთხვევა.**

**კრიმინალოგია** [ლათ. crimen (crimenis) დანაშაული და ბერძ. logos მოძღვრება] – მეცნიერება დანაშაულის შესახებ, როგორც სოციალური მოვლენა.

◎ **კრიმინოგენური**

⊙ **კ. სიტუაცია.**

**კრიპტო**... [< ბერძ. kryptos საიდუმლო, ფარული] – რთული სიტყვების დასაწყისში უჩვენებს რომელიმე დაფარულ მდგომარეობას, მოქმედებას,

ხშირად შეესაბამება ქართულს – „**საიდუმლოდ**...”
⊙ **კრიპტოდეპრესია, კრიპტოგრამა.**

**კრიპტოგრა́ფია** [ბერძ. kryptos საიდუმლო, ფარული და graphos ვწერ] – პირობითი, საიდუმლო წერის ხერხი, რომელიც გასაგებია მხოლოდ ადრესატისათვის (პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერა).

**კრი́ჟ**-ი [რუს. крыж < პოლონ. krzyz ჯვარი] – **1.** კათოლიკური ჯვარი.
**2.** ხმლის ჯვრისებური ვადა.
**3.** ზოგი სახელმწიფოს დროშაზე გამოყვანილი პატარა ფარი.

**კრი́სტალ**-ი [ბერძ. krzystallos] – მაგარი სხეული, რომელსაც ბუნებრივად აქვს მრავალწახნაგის ფორმა.
⊙ **მარილის კ.-ები, ალმასის კ.-ები, ყინულის კ.-ები.**

**კრისტა́ლური** – **1.** კრისტალებისგან შემდგარი.
⊙ **კ. ბანები, კ. ტუვი, ნივთიერების კ. მდგომარეობა.**
**2.** გადატ. წმინდა გამჭვირვალე
⊙ **კ. წყალი.**
**3.** (გადატ.) (საუბ.) ფაქიზი ზნეობისა, უმწიკვლო, სპეტაკი (ადამიანი).

**კრისტალიზა́ცია** – კრისტალების წარმოქმნის პროცესი, აირისებრ ან თხევადი მდგომარეობიდან ნივთიერების კრისტალურ მდგომარეობაში გადასვლის დროს.
⊙ **მარილების კ.**

**კრისტალოგრა́ფია** [ბერძ. krzystallos კრისტალი და grapho ვწერ] – მეცნიერება რომელიც კრისტალებს შეისწავლის.
◎ **კრისტალოგრაფიული.**
⊙ **კ. სისტემები.**

**კრიტერი́უმ**-ი [< ბერძ. kriterion მსჯელობის, გადაწყვეტის საშუალება] – (წიგნ.) ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, განსაზღვრავენ; საზომი.
⊙ **ჭეშმარიტების კ.**

**კრი́ტიკა** [ბერძ. kritikē გარჩევის, განსჯის ხელოვნება] – **1.** რისამე განხილვა, გარჩევა ნაკლოვანებათა გამოვლენის, შეფასების მიზნით.
⊙ **კ.** და **თვითკრიტიკა.**
**2.** (საუბ.) უარყოფითი მსჯელობა ვისიმე, რისამე შესახებ, ვისიმე, რისამე ნაკლოვანებათა ჩვენება.
⊙ **კ.-ის ქარ-ცეცხლში გაატარეს.**
**3.** მეცნიერული შემოწმება, გამოკვლევა რისამე უტყუარობისა; რაიმე ტექსტის ანალიზი.
**4.** ლიტერატურული ჟანრი,

მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული, მეცნიერული და სხვ. ნაწარმოებების გარჩევისადმი.

**კრიშნა** [სანსკრ.] – ინდუიზმის ღვთაება; თაყვანს სცემენ როგორც ვიშნუს ერთ-ერთ განსახიერებას.

**კროკეტ**-ი [ფრ. croquet, ინგ. crocket] – **1.** სპორტული თამაში ერთგვარი; ხის ჩაქუჩებით ცდილობენ ხისივე ბურთები გაიყვანონ გარკვეული წესით მავთულის რამდენიმე კარში. **2.** ამ თამაშისათვის საჭირო საგნების კომპლექტი.

**კროლ**-ი [ინგ. crawl] – სპორტული ცურვის ყველაზე სწრაფი ხერხი.

**კრონოს**-ი [ბერძ. kronos] – ბერძნულ მითოლოგიაში: ტიტანი, ურანოსის (ცისა) და გეას (დედამიწის) შვილი, ზევსის მამა.

**კრონშტეინ**-ი [რუს. кронштейн < გერმ. krogstein] – ირიბი ბრჯენი კედელზე, სვეტზე და სხვ. – კარნიზის აივნის,თაროს და მისთ. გასამაგრებლად.

**კროს**-ი [ინგ. to cross გადაჭრა (გზის)] – სპორტული სირბილი ან რბოლა წინააღმდეგობათა გადალახვით უსწორმასწორო ადგილზე.

⊙ **სათხილამურო კ., სამოტოციკლო კ., საავტომობილო კ.**

**კროსვორდ**-ი [ინგ. cross-word] – სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობი ამოცანა – კვადრატებად დაყოფილი რაიმე ფიგურა უნდა შეივსოს ასოებით ისე, რომ ჰორიზონტალებისა და ვერტიკალების გაყოლებით გამოვიდეს სიტყვები (გამოიგონეს ნიუ-ორკში 1913 წელს).

⊙ **კ.-ის შედგენა, კ.-ის ამოხსნა.**

**კრუიზ**-ი [ინგ. cruise] – საზღვაო მოგზაურობა წრიულ მარშრუტზე (ტურისტული, გასართობი...)

**კრუპ**-ი [ინგ. croup] – (მედიც.) ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება,რომელსაც თან სდევს სულის შეხუთვა.

**კრუპიე** [ფრ. croupier] – ბანქოს და მისთ. სათამაშო სახლის (კაზინოს) თანამფლობელი ან მოსამსახურე,რომელიც ხელმძღვანელობს და თვალყურს ადევნებს თამაშს.

**კრუშონ**-ი (უფრო სწორია **კრიუშონი**) [ფრ. cruchov პატარა დოქი] – თეთრი ღვინო, რომელშიც შერეულია კონიაკი, ან რომი და ჩათლილია ახალი ხილი (მაგ. ატამი).

**კუბ**-ი [ბერძ. kybos] – **1.** გეომეტ-რიული სხეული – წესიერი ექვს წახნაგა, რომლის ყველა წახნაგი კვადრატია.
**2.** (მათემ.) სამი ერთგვარი თა-ნამამრავლის ნამრავლი; რი-ცხვის მესამე ხარისხი.
⊙ **ოთახის კ. უდრის 64-ს.**
**3.** (მათემ.) ხარისხის მაჩვენებელი, რომელიც უდრის სამს.
⊙ **ხუთი ავიყვანოთ კ.-ში.**
◎ **კუბური** (მნიშ. 2-სათვის).
⊙ **კ. მეტრი.**
○ **კუბიური, კუბიკური შცდ.**
**კუბიზმ**-ი [ფრ.cubisme]–უკიდურესი ფორმალისტური მიმართულება სახვით ხელოვნებაში, რომე-ლიც რეალური სამყაროს საგ-ნების გამოხატულებას ცვლი-და გეომეტრიული ფიგურების (კუბის, კონუსის და მისთ.) კომ-ბინაციებით (ჩაისახა საფრან-გეთში მე-20 ს.-ის დასაწყისში).
**კუბმეტრ**-ი – კუბური მეტრი.
**კუბრიკ**-ი [ჰოლანდ. koebrug] – გემზე, საერთო სადგომი, სა-ცხოვრებელი ეკიპაჟისათვის.
**კუ-კლუქს-კლან**-ი [ინგ. ku-klux-klan] – ამერიკის შეერთებულ შტატებში: საიდუმლო რასის-ტული ტერორისტული ორ-განიზაცია.
⊙ **კუ-კლუკს-კლანი შცდ.**
**კულინარ**-ი – კულინარიის ოს-ტატი; დახელოვნებული მზა-რეული.
◎ **კულინარული.**
⊙ **კ. ოსტატობა.**
○ **კულინარიული შცდ.** (იხ. **კუ-ლინარია**).
**კულინარია** [ლათ. culinarius საგვარეულოსი] – **1.** საჭმლის, კერძების დამზადების ოსტა-ტობა.
⊙ **კ.-ის კურსები.**
**2.** საჭმელები.
⊙ **კ.-ის განყოფილება (**გასტრო-ნომში**).**
◎ **კულინარიული** და **საკული-ნარიო.**
⊙ **კ. (ს.) ნაწარმი.**
⊙ **კულინარული** სხვაა (იხ. **კუ-ლინარი**).
**კულის**-ი [ფრ. coulisse] – ჩვეუ-ლებრივ მრ.-ში: **კულისები** – თეატრის სცენაზე: დეკო-რაციის ბრტყელი ნაწილები, რომლებიც განლაგებულია სცენის გვერდებზე (ვერტი-კალურად) ერთი-მეორის მი-ყოლებით. **კულისებში** – **1.** სცენის უკან.
**2.** გადატ. (წიგნ.) საიდუმლოდ, ფარულად.
**კულმინაცია** [< ლათ. (culminis) მწვერვალი] – (წიგნ.) უდი-დესი აღმავლობის ან დაძა-ბულობის მომენტი რისამე განვითარებაში.
◎ **კულმინაციური.**

⊙ **კ. მომენტი, კ. წერტილი.**

**კულონ**-ი [ფრ. coulant] – ქალის სამკაული – ერთი ან რამდენიმე ძვირფასი თვალი, ძეწკვით ყელზე გასაკეთებელი.

**კულტ**-ი [ლათ. cultus] – **1.** რელიგიური მსახურება ღვთისადმი და ამასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი.

⊙ **აპოლონის კ.** (ძვ. საბერძნეთში), **ქრისტიანული კ.**

**2.** გადატ. (წიგნ.) თაყვანისცემა, ვისიმე, რისამე გაღმერთება.

⊙ **კანონის კ., პიროვნების კ.**

**კულტივატორ**-ი [ფრ. cultivateur] – მოხნული ნიადაგის ღრმად გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

⊙ **ტრაქტორის კ., ცხენის კ., ხელის კ.**

**კულტივაცია** – ნიადაგის დამუშავება კულტივატორით.

**კულტურა** [ლათ. cultura] – **1.** საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა საწარმოო, საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში.

⊙ **მატერიალური კ., ძველი ხალხების კ., ეროვნული კ., კ.-ის მოღვაწე. სულიერი კ.**

**2.** დონე, რომელსაც მიაღწიეს რაიმე ცოდნის, ჩვევის, მოქმედების დაუფლებისას.

⊙ **მეტყველების კ., შრომის კ., ფიზიკური კ.** (მოკლედ: **ფიზკულტურა**).

**3.** გაშენება, მოყვანა რაიმე მცენარისა.

⊙ **ჩაის კ.**

**4.** თვით გაშენებული მცენარე.

⊙ **ტექნიკური კ.-ები, სუბტროპიკული კ.-ები, საშემოდგომო კ.-ები.**

◎ **კულტურული** (მნიშ. 1-სათვის).

⊙ **კ. დონე, კ. ურთიერთობანი, კ. ადამიანი** (მნიშ. 3,4-ისათვის) **კ. მცენარეები.**

◎ უარყ. **უკულტურო** (მნიშ. 1-სათვის).

⊙ **უ. ადამიანი, უ. საქციელი.**

**კულტურიზმ**-ი [ფრ. culturisme] – ფიზიკური ვარჯიშების სისტემა; ათლეტიზმი.

**კულუარ**-ი [ფრ. cuoloir] – პარლამენტში, ორგანიზაციაში და სხვ.: დარბაზი, ოთახი, სადაც დეპუტატები, დელეგაციის წევრები იკრიბებიან შესვენების დროს, სადაც წარმოებს არაოფიციალური შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მრ. [ფრ. cuoloirs] – **კულუარებში** – გადატ. (წიგნ.) იტყვიან არაოფიციალური საუბრების შესახებ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ წრეებში.

**კუმის**-ი [თურქ.] – ცხენის [ან აქლემის] დადუღებული რძისგან დამზადებული სასმელი.

**კუმრინის ხელნაწერები** – ბიბლიური ხელნაწერები,რომლებიც აღმოაჩინეს მკვდარი ზღვის სანაპიროზე, ვადი-კუმრინის და სხვა მღვიმეებში. ხელნაწერები შესრულებული იყო არაბულ და ძვ. ებრაულ ენებზე.

**კუნსტკამერა** [გერმ. Kunstkammer]–ძველ დროში: სხვადასხვა იშვიათი საბუნებისმეტყველო, ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური საგნების კოლექცია; ასეთი კოლექციის საცავი.

**კუპაჟ**-ი[ფრ.coupage]–სხვადასხვა ღვინის ერთმანეთში შერევა გაუმჯობესების მიზნით.

**კუპე** [ფრ. coupe] – რამდენიმე მგზავრისათვის განკუთვნილი განყოფილება მატარებლის ვაგონში.

◎ **კუპესი.**

○ **კუპისა შცდ.**

**კუპიდონ**-ი [ლათ. cupido (Cupidonis)] – რომაულ მითოლოგიაში: სიყვარულის ღმერთი, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ მშვილდისრიანი ფრთოსანი ბიჭის სახით; ამური.

**კუპიურა** [ფრ. coupure] – ნომინალური ღირებულება ქაღალდის ფულისა, ობლიგაციებისა ან სხვ. ფასიანი ქაღალდისა.

⊙ **ასლარიანი კ., ასდოლარიანი კ.**

**კუპლეტ**-ი [ფრ. couplet] – **1.** ლექსის, სიმღერის სტროფი

**2.** მრ. **კუპლეტები** – სატირული ან იუმორისტული ხასიათის სიმღერა საჭირბოროტო თემაზე.

⊙ **სახუმარო კ.-ები.**

**კუპონ**-ი [ფრ. coupon] – ფასიანი ქაღალდების მოსაჭრელი ტალონი პროცენტების მისაღებად.

⊙ **ობლიგაციის კ.**

**კურანტ**-ი [ფრ. courant მიმდინარე] – კოშკის საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე მუსიკას, ასეთი საათის მუსიკალური მექანიზმი.

⊙ **კურანტები** მხ.-ის გაგებით (მაგ. **„რეკავენ კრემლის კურანტები") შცდ.**

**კურარე** – [< კარიბ.] – ძლიერი შხამი, რომლის მიღება იცოდნენ სამხრეთ ამერიკელმა ინდიელებმა ზოგიერთი ადგილობრივი მცენარის ნორჩი ყლორტებისა და ფესვებისგან; იყენებდნენ ისრების მოსაწამვლად; იწვევს კუნთების დამბლას და სიკვდილს; ამჟამად იყენებენ მედიცინაში (მცირე დოზებით) სამკურნალოდ.

**კურა́ტორ**-ი [ლათ. curator მზრუნველი, მეურვე] – პირი, რომელსაც მინდობილი აქვს ვისიმე, რისამე მეთვალყურეობა.

⊙ **სტუდენტების კ.**

**კური́ერ**-ი [ფრ. courrier] – დაწესებულების შიკრიკი.

**დიპლომატიური კურიერი** – იხ. **დიპლომატია** (შემოკლ. **დიპკურიერი**).

**კური́ოზ**-ი [ფრ. courieux (მამრ.) coirieuso (მდედრ.) სასაცილო, სასეირო] – უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი. შემთხვევა.

◎ **კურიოზული.**

⊙ **კ. შემთხვევა.**

**კურდი́უკ**-ი [თურქ. kuyruk კუდი] – კანქვეშა ცხიმოვანი დანაგროვი კუნთთან, ზოგიერთ ცხვრის ჯიშებში. (ქართ. სინონ. დუმა).

**კურო́რტ**-ი [გერმ. kurort სამკურნალო ადგილი] – ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისთვის, დასვენებისათვის და მოწყობილია სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები.

⊙ **საქართველოს კ.-ები, კლიმატიური კ., კ. ბახმარო.**

◎ **საკურორტო.**

⊙ **ს. სეზონი.**

**კურორტოლო́გია** [გერმ. kurort კურორტი და ბერძ. logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის კურორტების სამკურნალო თვისებებს.

⊙ **კ.-ის ინსტიტუტი.**

◎ **კურორტოლოგიური** და **საკურორტოლოგიო.**

⊙ **კ. (ს) კვლევა-ძიება.**

**კურ́ს**-ი [ლათ. cursus სრბოლა,მიმდინარეობა] – **1.** მოძრაობის მიმართულება, გეზი (გემისა, თვითმფრინავისა და სხვ.).

⊙ **ყინულმჭრელმა კ. აიღო არქტიკისაკენ.**

**2.** გადატ. (წიგნ.) მიმართულება, გეზი (პოლიტიკაში და სხვ.).

⊙ **სწორი საგარეოპოლიტიკური კ.**

**3.** ფასიანი ქაღალდების ღირებულება.

⊙ **ლარის კ., დოლარის კ.**

**4.** რომელიმემეცნიერებისანმისი ცალკე სისტემური გადმოცემა უმაღლეს სასწავლებელში; სახელმძღვანელო, რომელიც ასეთ გამოცემას შეიცავს.

⊙ **მათემატიკის კ., ფიზიკის კ.**

**5.** უმაღლეს ან სპეციალურ საშუალო სკოლაში: სწავლების ესა თუ ის წელი.

⊙ **მეხუთე კ. სტუდენტი.**

**6.** სწავლების ან სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი.

⊙ **საშუალო სკოლის კ., ტა-**

**ლახით მკურნალობის კ.**

**7**. მრ. **კურსები** – მოკლევადიანი სასწავლებელი, რომელიც იძლევა მომზადებას რაიმე ვიწრო სპეციალობაში.

⊙ **კომპიუტერის კ.-ები, საშოფრო კ.-ები, სტენოგრაფიის კ.-ები.**

**ᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲘ** – **1**. პირი, რომელიც კურსებზე (იხ. კურსი. მნიშ. 7) სწავლობს.

**2**. სამხედრო სასწავლებლის კ.-ები.

**ᲙᲣᲠᲡᲘᲕ**-ი [ლათ. cursiva გაკრული ხელი] – დახრილი სასტამბო შრიფტი, რაც ხელით ნაწერს წააგავს.

⊙ **ლათინური კ., ქართული კ.**

**ᲙᲣᲠᲡᲝᲠ**-ი – კომპიუტერის დისპლეის ეკრანზე მოძრავი სანიშნი, რომელიც აღნიშნავს აქტიურ წერტილს და რომლის საშუალებითაც ხდება მართვა.

## ლ

**ᲚᲐ** [იტ. La] – მუსიკალური გამის მეექვსე ბგერა: ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი

**ᲚᲐᲑᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** [ლათ. Labialis ბაგისმიერი] – (ლინგვ.) ბგერების მომრგვალება ბგერების წარმოთქმის დროს – ხმოვნების (ხშირად) და თან ხმოვნების (იშვიათად): მაგ. ქართული ხმოვნები **„ო"**, **„უ"** წარმოითქმის ლაბიალიზაციით.

◎ **ლაბიალური.**

**ᲚᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ** [ლათ. Labilis] – არამტკიცე, არამდგრადი, მერყევი, მოძრავი.

**ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗ**-ი [ბერძ. Labirinthos] – **1**. ძველ საბერძნეთსა და ეგვიპტეში: მრავალი სათავსის შემცვლელი, ძნელად გასაგნები, დახლართული შესასვლელ-გამოსასვლელების მქონე შენობა.

**2**. რთული, დახლართული განლაგება ქუჩებისა, შენობებისა და მისთ.

**3**. (ანატ.) ყურის შიგნითა ნაწილი, ომელიც ასრულებს სმენისა და წონასწორობის ფუნქციას.

○ **ლაბირინტი შცდ.**

**ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲜᲢ**-ი [ლათ. Laborans (laborantis) მომუშავე] – ლაბორატორიის, სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო – ტექნიკური თანამშრომელი.

○ **ლაბარანტი შცდ.**

**ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ** [ლათ. Laboratorium] – დაწესებულება ან მისი განყოფილება, სადაც ასრულებენ ექსპერიმენტულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს.

⊙ **ქიმიური ლ.**
◎ **ლაბორატორიული** და **სა-ლაბორატორიო.**
⊙ **ლ. (ს). ჭურჭელი, ლ. (ს.) ანა-ლიზი, ლ. (ს.) გამოკვლევა.**
⊙ **ლაბარატორია, ლაბარატო-რიული, სალაბარატორიო შცდ.**

**ლაგ**-ი [ჰოლანდ. Lag] – **1.** გემის სვლის სიჩქარისა და გავლი-ლი მანძილის გასაზომი ხელ-საწყო.
**2.** გემის ბორტი.

**ლაგუნა** [იტ. Laguna] – **1.** წყალ-მცირე ყურე ან ტბა, რომე-ლიც ზღვისაგან არის მოწყ-ვეტილი.
**2.** მარჯნის წრიულ კუნძულებზე, ე.წ. ატოლებზე, შინაგანი წყალსატევი.
◎ **ლაგუნისა.**
○ **ლაგუნასი შცდ.**

**ლადან**-ი [ბერძ. Ladanon] – არო-მატიული ფისისებური ნივ-თიერება, ზოგიერთი ტრო-პიკული ხისა, რომელიც მედიცინაში გამოიყენება და ღვთისმეტყველების დროს მოსაწევად.
◎ **ლადანური.**

**ლავა** [იტ. Lava] – გამდნარი და გავარვარებული გენერალური მასა, რომელიც ამოიფრქვევა ვულკანიდან.
◎ **ლავისა.**
○ **ლავასი შცდ.**

**ლავირება** [ჰოლანდ. Laveeren] – **1.** იალქნიანი გემის სვლით ცურვა ისე, რომ ქარი ხან ერ-თი მხრიდან უბერავს, ხან მე-ორედან; საერთოდ გემის სვლა კურსის (მიმართულების) ხში-რი ცვლით წყალქვეშა ქვების, თავთხელების და მისთ. გვერ-დის ასაქცევად.
**2.** (გადატ.) მოხერხებულად გვერდის ავლა სიძნელეები-სათვის; რაიმესთვის თავის არიდება; მდგომარეობასთან მარჯვედ შეგუება.

**ლავრა** [ბერძ. Laura] – ზოგი დი-დი მამათა მონასტრის სა-ხელწოდება.
◎ **ლავრისა.**
○ **ლავრასი შცდ.**

**ლაზარეთ**-ი [ფრ. Lazaret, იტ. Lazaretto] – სამხედრო ნაწილ-თან არსებული პატარა სა-ავადმყოფო, ჰოსპიტალი.
⊙ **პოლკის ლ.**

**ლაზერ**-ი [ინგ. Lazer] – ხელსაწყო სინათლის პარალელური და მძლავრი კონების მისაღებად.

**ლათინურ**-ი – ძველ რომთან (რომაელებთან) დაკავშირე-ბული.
⊙ **ლ. ენა, ლ. დამწერლობა.**

**ლათინური ამერიკა** – შუა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნე-

ბის საერთო სახელწოდება.

**ლაიბ-გვარდია** [გერმ. Leib სხეული, ტანი და იტ. Guardia (იხ. **გვარდია**)] – ზოგ მონარქიულ სახელმწიფოში: პრივილიგირებული ჯარი (პირველ ხანებში – მონარქის პირადი დაცვა).

◎ **ლაიბგვარდიული.**

⊙ **ლ. პოლკი.**

⊙ **ლაიბგვარდიელი, ლაიბგვარდიული** – იწერება ერთად.

○ **ლეიბ გვარდია შცდ.**

**ლაიბ-მედიკოს**-ი [გერმ. Leib სხეული,ტანი და ლათ. medicus (იხ. მედიკოსი)] – მონარქის კარის ექიმი.

○ **ლეიბ-მედიკოსი შცდ.**

**ლაინერ**-ი [ინგლ. < Line ხაზი liner] – **1.** დიდი სწრაფმავალი გემი.

⊙ **სამგზავრო ლ., საოკეანო ლ.**

**2.** დიდი სამგზავრო თვითმფრინავი.

**ლაინსმენ**-ი [ინგლ. Linesman] – ჩოგბურთის, ფეხბურთის და ზოგ სხვ. შეჯიბრებაში: მსაჯის თანაშემწე, რომელიც ალმით ან შეძახილით ანიშნებს მთავარ მსაჯს ბურთისა თუ მოთამაშეების მდგომარეობას; გვერდის მსაჯი, ხაზის მსაჯი.

**ლაიტმოტივ**-ი [გერმ. Leitmotiv] – **1.** (მუს.) რაიმე აზრის, გრძნობის ან საგნის აღმნიშვნელი მოტივი, თემა, რომელიც მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში.

⊙ **ოპერის ლ.**

**2.** (გადატ.) ძირითადი აზრი,რომელიც არაერთგზის მეორდება.

⊙ **რომანის ლ.**

○ **ლეიტმოტივი შცდ.**

**ლაკმუს**-ი [ლათ. Lakmoes < ლათ.] – ლურჯი, საღებავი მცენარეული ნივთიერება; ამ ნივთიერებით გაჟღენთილი ქაღალდი მჟავის მოქმედებით წითლდება, ხოლო ტუტის მოქმედებით ლურჯდება.

⊙ **ლ.-ის საღებავები.**

**ლაკმუსის ქაღალდი** – ლაკმუსის ხსნარით გაჟღენთილი ქაღალდი,რომელსაც იყენებენ როგორც ინდიკატორს (იხ. **ინდიკატორი**, მნიშ. 2).

**ლაკონიზმ**-ი [ბერძ. Lakonizmos] – (წიგნ). აზრის გამოთქმა მოკლედ და მკაფიოდ.

◎ **ლაკონიური.**

⊙ **ლ. პასუხი, ლ. წარწერა, ლ. სტილი.**

○ **ლაკონური შცდ.**

**ლამა**[1] - [ესპ. llama] – მომცრო სასაპალნე ცხოველი აქლემების ოჯახიდან; აქვს ძვირფასი ბეწვი; გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში.

◎ **ლამისა.**
⊙ **ლამასი შცდ.**

**ლა́მა²** [ტიბეტ. Blama უმაღლესი] – ტიბეტსა და მონღოლეთში: ლამაისტების ბუდისტ-ბერმონაზონი.

**ლამა́იზმ**-ი – ბუდიზმის სახესხვაობა ტიბეტსა და მონღოლეთში, რომელიც მე-7 საუკუნეში წარმოიშვა ტიბეტში; უმაღლესი სასულიერო პირი – **დალაი-ლამა.**
⊙ **ლამაისტი.**

**ლამინა́რია** [< ლათ. lamina ფირფიტა] – (ზოოლ.) წაბლისფერი წყალმცენარე; იყენებენ საქონლის საკვებად, სასუქად და სხვ. ერთ-ერთი სახეობაა „**ზღვის კომბოსტო**", რომელიც საკვებად გამოიყენება.

**ლა́მპას**-ი [ფრ. Lampas] – განიერი ფერადი ზოლი, რომელიც დაკერებულია ფორმის შარვლის გვერდითი ნაკერის მთელ სიგრძეზე გარედან.
⊙ **წითელი ლ.-ები, გენერლის ლ.ები.**

**ლამპიო́ნ**-ი [ფრ. Lampion] – ქაღალდის ან მინის ფარანი გასანათებლად, ილუმინაციისათვის.

**ლა́ნგეტ**-ი [ფრ. Languette პატარა ენა] – ხორცის კერძი ვიწრო (თხელი) და გრძელი ამონაჭრებისგან დამზადებული (დაკეპილი).

**ლა́ნგუსტ**-ი [ფრ. Langousto] – ზღვის დიდი ათფეხა ჯავშნიანი კიბო.

**ლა́ნდშაფტ**-ი [გერმ. Landschaft] – დედამიწის ზედაპირის ხედი; რაიმე ადგილის საერთო ხედი.
⊙ **მთიანი ლ.**
◎ **ლანდშაფტური.**
⊙ **ლ. ზონები, ლ. ფერწერა.**

**ლა́ნცეტ**-ი [ფრ. Lancete < ლათ. Lancea შუბი, ოროლი, ლახვარი] – ძველებური ქირურგიული დანა.

**ლაპიდა́რული** [ლათ. Lapidarius ქვის მთლელი, ქვაზე ამომჭრელი] – (წიგნ.) მოკლე და მკაფიო.
⊙ **ლ. სტილი.**

**ლარი́ნგიტ**-ი [ბერძ. larynx Claryngos ხორხი] – ხორხის ანთება.
⊙ **ლარინგოლოგი, ლარინგოლოგია, ლარინგოსკოპი.**

**ლა́რგო** [იტ. Largo ფართული] – (მუს.) **1.** ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნელ ტემპს (უფრო ნელს, ვიდრე ადაჯო); იყენებენ უპირატესად ამაღლებულ, საზეიმო – სამგლოვიარო ხასიათის ნაწარმოებში.
**2.** ზოგჯერ: სონატის, სიმფონიის, კვარტეტის და სხვ. ნელა

შემსრულებელი ნაწილის სახელწოდება.

**ლასო** [ფრ. Lasso < ესპ. lazo] – ცხოველის დასაჭერი ყულფიანი სასროლი თოკი (ქართ. სინ. **ქამანდი, საგდებელი**).

**ლატარია** [იტ. Lotteria] – ნივთებისა და ფულის გათამაშება ბილეთების საშუალებით.

⊙ **წაუგებელი ლ.**

○ **ლატარეა, ლატარეია შცდ.**

**ლატიფუნდია** [ლათ. Latifundium latus ფართო და fundus მიწა, ადგილ-მამული, მამული] – (წიგნ.) მსხვილი კერძო ადგილ-მამული.

**ლაურეატ**-ი [< ლათ. Laureatus დაფნისგვირგვინოსანი] – პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული პრემია ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის დარგში.

⊙ **რუსთაველის პრემიის ლ., ნობელის პრემიის ლ., პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლ.**

**ლაფეტ**-ი [გერმ. Lafette < ფრ. l’affus] – დაზგა, რომელზედაც დამაგრებულია ქვემეხის ლულა.

⊙ **თვლებიანი ლ.**

**ლაფსუს**-ი [ლთ Lapsus დავარდნა, შეცდომა, მცდარი ნაბიჯი] – (წიგნ.) უნებლიე შეცდომა (ნაწერში, მეტყველებაში).

○ **ლაპსუსი, ლიაფსუსი, ლიაპსუსი შცდ.**

**ლაქშმი** [სანსკრ.] – ინდუიზმის პანთეონში: სილამაზის, ბედნიერების, სიყვარულისა და სიმდიდრის ქალღმერთი, ღვთაება – ვიშნუს ტოლი.

**ლაქტაცია** [ლათ. Lacto ვაწოვებ lactare რძის მიცემა] – რძის გამოყოფა სარძევე ჯირკვლების მიერ.

**ლაცკან**-ი [გერმ. Latzcha ყულფი] – გადანაკეცი პიჯაკის (კოსტიუმის, პალტოს) მკერდის ნაწილში.

**ლეგალიზაცია** – ლეგალურ მდგომარეობაში გადასვლა ან გადაყვანა.

**ლეგალურ**-ი [ლათ. Legalis] – კანონით აღიარებული, ნებადართული.

⊙ **ლ. პარტია, ლ. გაზეთი.**

**არალეგალური** – რაც კანონით არ არის დაშვებული; იატაკქვეშა.

⊙ **ა. ლიტერატურა, ა. ორგანიზაცია.**

**ლეგატ**-ი [ლათ. Legatus გაგზავნილი, ელჩი] – **1.** რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი.

**2.** ძველ რომში: თანამდებობის პირი პროვინციის მმართველთან.

**ლეგატო** [იტ. Legato დაკავშირე-

ბული] – (მუს.) ერთი ბგერიდან მეორეზე თანდათანობით, გადაბმით (უპაუზოდ) გადასვლა.

**ლეგენდა** [< ლათ. Legenda ის, რაც უნდა წაიკითხონ] – **1.** ხალხური ზეპირი გადმოცემა (ქართ. სინონ. **თქმულება**).

⊙ **სურამის ციხის ლ.**

**ლეგენდარული** და **ლეგენდური** – 1. ლეგენდის ხასიათისა; არაჩვეულებრივი, შეუდარებელი.

⊙ **ლ. გადმოცემა, ლ. გმირობა.**

**2.** გეოგრაფიული რუკის ნაწილი, რომელზეც აღნიშნულია პირობითი ნიშნები.

**3.** წარწერა მონეტაზე ან მედალზე.

**ლეგიონ**-ი [ლათ. Legio (Legionis)] – **1.** იგივეა რაც პოლკი.

**2.** (ისტ). ძველ რომში: მსხვილი საჯარისო შენაერთი.

**3.** ზოგ ქვეყანაში: საგანგებო სამხედრო ნაწილი ან სამოქალაქო ორგანიზაცია.

**ლეგიონერ**-ი [ფრ. Legionnaire] – **1.** (ისტ.) ლეგიონის (მნიშ. 2) ჯარისკაცი.

**2**. ლეგიონის (მნიშ. 3) წევრი.

**ლეგიტიმაცია** [ლათ. Legitimus კანონიერი, დაკანონებული] – რაიმე უფლებასთან რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება; ამ უფლების (რწმუნების) დამადასტურებელი საბუთი.

**ლედერინ**-ი [გერმ. Leden ტყავი] – ბამბის ქსოვილი ერთგვარი, ტყავს მიმსგავსებული; იყენებენ წიგნის ყდაზე გადასაკრავად.

○ **ლიდერინი, ლიდერინი შცდ.**

**ლედი** [ინგ. Lady] – დიდ ბრიტანეთში: ლორდის მეუღლე, გათხოვილი ქალი.

**ლეთარგია** [ბერძ. Lethargia] – ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ჰგავს ღრმა ძილს (ქართ. ხალხური სახელწოდება: **საღათას ძილი**).

◎ **ლეთარგიული.**

⊙ **ლ. მდგომარეობა.**

**ლეთარგიული ძილი** – იგივეა, რაც **ლეთარგია**.

○ **ლეტარგია, ლეტარგიული შცდ.**

**ლეიბორისტ**-ი [ინგ. Labourist < labour შრომა] – მუშათა პარტიის წევრი ინგლისში (აგრეთვე ავსტრალიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში).

◎ **ლეიბორისტული.**

⊙ **ლ. პარტია, ლ. მთავრობა.**

**ლეიკემია** [ბერძ. Leukos თეთრი laima სისხლი] – (მედიც.) ქრონიკული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.

**ლეიკოციტები** [ბერძ. Leukos თეთრი kytos უჯრედი, სისხლძარღვი, ძარღვი] – (ფიზიოლ.) სისხლის თეთრი ბურთულები.

**ლეიტენანტ**-ი [ფრ. Leutenant] – ოფიცრის წოდება არმიასა და ფლოტში.

⊙ **უფროსი ლ.**

**ლემა** [ბერძ. Lēmma] – (მათემ.) დამხმარე თეორემა, რომელიც აუცილებელია მხოლოდ სხვა თეორემის (ან თეორემების) დასამტკიცებლად.

◎ **ლემისა.**

○ **ლემასი შცდ.**

**ლემურ**-ი [ლათ. Lemures (მრ.)] –

**1.** ძვ. რომში გარდაცვლილთა სულების მოჩვენებები, გარდაცვლილი წინაპრების სულები.

**2.** პატარა ცხოველი, ნახევრად მაიმუნი, პრიმატების რაზმისა, ბინადრობს აფრიკასა და აზიის ტროპიკულ ტყეებში.

**ლენდ-ლიზი** [ინგ. Lend-lease < lend სესხის მიცემა და lease არენდით მიცემა] – აშშ კონგრესის მიერ 1941 წ. მიღებული კანონი, რომლის საფუძველზეც მე-2 მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყნებზე გასცემდნენ სესხს ან არენდით აძლევდნენ შეიარაღებას, მასალებს, კვების პროდუქტებს და სხვ. საქონელს.

**ლენდლორდ**-ი [ინგლ. Landlord] – მსხვილი ინგლისელი მემამულე, რომელიც თვითონ არ მართავს მეურნეობას და არენდაზე გასცემს მიწას ფერმერებზე.

**ლენჩ**-ი [ინგ. Launch] – ინგლისში, აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყანაში: მეორე საუზმე (ნაშუადღევს).

**ლეოპარდ**-ი [ლათ. Leopardus < ბერძ. Leopardos] – დიდი მტაცებელი ცხოველი ძუძუმწოვარი კატისებრთა ოჯახისა; აქვს შავლაქებიანი ყვითელი ბეწვი (სინონ. **პანთერა**).

**ლესბოსურ**-ი **სიყვარული** – ქალის არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა ქალისადმი [ძველი საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის (Lesbos) სახელის მიხედვით].

**ლეტალურ**-ი [ლათ. Letalis სასიკვდილო] – სიკვდილის გამომწვევი, სასიკვდილო.

⊙ **ლ. შედეგი, ლ. დოზა.**

◎ **ლეტალურობა.**

○ **ლეთალური შცდ.**

**ლექსიკა** [< ბერძ. Lexikos სიტყვისა] – ამა თუ იმ ენის ან რომელიმე მწერლის სიტყვათა მარაგი.

⊙ **ქართული ენის ლ., „ვეფხისტყაოსნის" ლ.**

◎ **ლექსიკური.**

⊙ **ქართული ენის ლ. შემადგენლობა, მწერლის ლ. თავისებურებანი.**

**ლექსიკოგრაფ**-ი – ლექსიკოგრაფიის სპეციალისტი.

⊙ **დიდი ქართველი ლ. სულხან-საბა ორბელიანი, XX საუკუნის ცნობილი ქართველი ლ.-ები: აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და პროფესორი მიხეილ ჭაბაშვილი.**

**ლექსიკოგრაფია** [ბერძ. Lexikos სიტყვა და grapho ვწერ] – ლექსიკონების შედგენის თეორია ან პრაქტიკა.

⊙ **ქართული ლ.**

◎ **ლექსიკოგრაფიული** და **სალექსიკოგრაფიო.**

⊙ **ლ. (ს.) მუშაობა.**

**ლექსიკოლოგ**-ი – ლექსიკოლოგიის სპეციალისტი.

**ლექსიკოლოგია** [ბერძ. Lexikos სიტყვა და logos მოძღვრება] – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ლექსიკას.

◎ **ლექსიკოლოგიური** და **სალექსიკოლოგიო.**

⊙ **ლ. (ს.) შრომები, ლ. (ს.) განყოფილება.**

**ლექსიკონ**-ი [ბერძ. Lexikon სიტყვანი] – **1.** სიტყვებისა და გამონათქვამების მარაგი.

**2.** წიგნი, რომელშიც ანბანზეა გაწყობილი ამა თუ იმ ენის სიტყვები და მოცემულია მათი განმარტება იმავე ენაზე ან თარგმანი რომელიმე სხვა ენაზე.

⊙ **ქართული ენის განმარტებითი ლ., ინგლისურ-ქართული ლ., ორთოგრაფიული ლ., მდიდარი ლ.**

**3.** ერთ-ერთი ტექსტობრივი რედაქტორთაგანი, რომელიც შემუშავებულია პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლებისათვის.

◎ **სალექსიკონო.**

⊙ **ს. მუშაობა, ს. მასალა.**

**ლექტორ**-ი [ლათ. Leqtor მკითხველი] – პირი, რომელიც ლექციებს კითხულობს.

○ **ლექტორი შცდ.**

**ლექტორიუმ**-ი [ლათ. Leqtorium] – **1.** დაწესებულება, რომელიც საჯარო ლექციების მოწყობის საქმეს განაგებს.

**2.** სადგომი (შენობა, დარბაზი), სადაც საჯარო ლექციები იმართება.

⊙ **სტუდენტთა სასახლის ლ.**

○ **ლექტორიუმი შცდ.**

**ლექცია** [ლათ. Lectio კითხვა] – სასწავლო საგნის ან რაიმე თემის ზეპირი გადმოცემა; ასეთი გადმოცემის ჩანაწერი.

○ **ლ.-ის კითხვა, ლ.-ების კურსი.**

◎ **ლექციური.**

⊙ **ლ. პროპაგანდა.**
◎ **სალექციო.**
⊙ **ს. საათები, ს. დარბაზი.**

**ლიანა** [ფრ. Liane(s) < lier შეკვრა] – ხვიარა და მცოცავი მცენარე, რომელიც უპირატესად გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში.
◎ **ლიანისა.**
○ **ლიანასი შცდ.**
ჩვეულებრივ მრ. **ლიანები**.

**ლიბერალ**-ი – **1.** ლიბერალიზმის (მნიშ. 1) მომხრე; ლიბერალური პარტიის წევრი.
**2.**(მოძვ.) იტყოდნენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანზე

**ლიბერალიზმ**-ი [< ლათ. Liberalis თავისუფალი] – **1.** პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც აერთიანებს პარლამენტური წყობილებისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა მომხრეებს.
**2.** უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა, მავნე შემწყნარებლობა.
⊙ **ლ. მოსწავლის ცოდნის შეფასებაში.**
◎ **ლიბერალური.**
⊙ **ლ. პარტია.**

**ლიბერო** [იტ. libero თავისუფალი, დამოუკიდებელი] – ფეხბურთში: „**თავისუფალი მცველი**".

**ლიბიდო**. [ლათ. libido სურვილი, მისწრაფება, ჟინი] – ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ცნება-სექსუალური ჟინი, უპირატესად არაცნობიერი (ტერმინი შემოიღო **ზ. ფროიდმა**).

**ლიბრეტისტ**-ი [იტ. libretista] – ლიბრეტოს ავტორი.

**ლიბრეტო** [იტ. libreto] – **1.** სიტყვიერი ტექსტი ოპერის და ზოგი სხვა მუსიკალურ-ვოკალური ნაწარმოებებისა.
**2.** ოპერის, ბალეტისა და მისთ. მოკლე შინაარსი.

**ლიგა** [ფრ. ligue ლათ. Ligare, იტ. liga] – (წიგნ). პირთა, ორგანიზაციათა, სახელმწიფოთა კავშირი, გაერთიანება. ერთა ლიგა სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანება პირველ და მეორე მსოფლიო ომს შორის.

**ლიგატურა** [ლათ. ligatura კავშირი] – (მუს). გადაბმული ნოტები.
◎ **ლიგატურისა.**
○ **ლიგატურისა შცდ.**

**ლიდერ**-ი [ინგლ. leader] – **1.** პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მეთაური, ხელმძღვანელი.
⊙ **პარლამენტის ფრაქციათა ლ.-ები.**
**2.** რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი

ან გუნდი.
⊙ **საფეხბურთო ჩემპიონატის ლ., პრეტენდენტთა ტურნირის ლ.**

**ლიე** [ფრ. lieue] – სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი; უდრის დაახლოებით 4,5 კმ/ს.
◎ **ლიესი.**
○ **ლიისა შცდ.**

**ლივერ**-ი [ინგლ. liver ღვიძლი] – დაკლული საქონლის შიგნეულობა (ღვიძლი, გული, ფილტვები, ელენთა), საჭმელად მომზადებული (შდრ. **ყაურმა**).
⊙ **ლ-ის ძეხვი.**

**ლივრ**-ი [ფრ. livre] – ძველებური ფრანგული ვერცხლის ფული, რომელიც შემდეგ ფრანკით შეიცვალა.

**ლივრეა** [ფრ. livree] – შვეიცარების, ლაქიების, მეეტლეების ფორმის ტანსაცმელი, მოსირმული.
◎ **ლივრეისა**
○ **ლივრეასი, ლივრეია შცდ.**

**ლიზინგ**-ი [ინგლ. leasing] – გრძელვადიანი არენდა მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, საწარმოო დანიშნულების ნაგებობების და სხვ. ქონების გამოყენებისათვის დავალიანების თანდათანობით გადახდით (დაფარვით).

**ლითო**... [ბერძ. Lithos ქვა] – რაც ქვებს, მთის ქანებს შეეხება. (თირკმელებში).
⊙ **ლითოტროპია.**

**ლითოგრაფია** [ბერძ. lithos ქვა და grapho ვწერ] **1.** ბეჭდვა სპეციალური ბრტყელი ქვის ზედაპირიდან, რომელზედაც წინასწარ ხატავენ.
**2.** ამ წესით მიღებული ანაბეჭდი.
⊙ **მხატვრული ლ.**
**3.** საწარმო ან საამქრო სადაც ბეჭდავენ ასეთი წესით.
◎ **ლითოგრაფიული.**
⊙ **ლ. პორტრეტი.**
○ **ლიტოგრაფია, ლიტოგრაფიული შცდ.**

**ლითოსფერო** [ბერძ. lithos ქვა და sphairo ბურთი, სფერო] – დედამიწის ქერქი – 30-80 კმ-ის სისქის.

**ლიკვიდაცია** [ფრ. liquidation] და **ლიკვიდირება** [გერმ. liquidieren] – **1.** რისამე (მაგ; საწარმოს, დაწესებულების) საქმიანობის შეწყვეტა; დახურვა, გაუქმება.
⊙ **ტრესტის ლ.**
**2.** ვისამე, რისამე მოსპობა.
⊙ **წერა კითხვის უცოდინარობის ლ.**
◎ **სალიკვიდაციო.**
⊙ **ს. კომისია.**

**ლიკვიდურობა** [< ლათ. liquidus ფრ. liquide თხევადი, მიმდინარე] – ბანკებისა და საწარმო-

ების უნარიანობა დროულად შეასრულონ თავიანთი ფულადი ვალდებულებები, რის განაღდებაც, ფულად ქცევაც შეიძლება.

◎ **ლიკვიდური.**

**ლილიპუტ**-ი – არანორმალურად პატარა ტანის ადამიანი (ქართ. სინონ. **ქონდრისკაცი**. **ჯუჯა**) [ფანტასტიკური ქვეყნის – ლილიპუტიისებრი ციცქნა მცხოვრებლების სახელწოდების მიხედვით, რომელთა შესახებ მოთხრობილია ჯ. სვიფტის რომან „გულივერის მოგზაურობაში"].

⊙ **ლილიპუტა შცდ.**

**ლიმან**-ი [ბერძ. limen ყურე, ნავსადგური] – ყურე მდინარის ქვემო დინებაში ან მლაშე ტბა ზღვასთან ახლოს, ჩვეულებრივ სამკურნალო ტალახით მდიდარი.

**ლიმიტ**-ი [ლათ. limes (limitis) ზღვარი] – ნორმა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება რისამე ხარჯვა, რამით სარგებლობა.

⊙ **ელექტროენერგიის ლ., იმპორტის ლ.**

**ლიმნოლოგია** [ბერძ. limnç ტბა და Logos მოძღვრება] – ჰიდროლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ტბებს; ტბისმცოდნეობა

**ლიმუზინ**-ი [ფრ. Limousine] – დახურული, შიგნით შემინული ტიხრის მქონე მსუბუქი ავტომობილი.

**ლიმფა** [ლათ. Lympha სუფთა წყალი, სინოტივე] – უფერული სითხე ადამიანისა და ძუძუმწოვარი ცხოველების სხეულში; მიმოქცევა ორგანიზმის ყველა ქსოვილსა და უჯრედში.

◎ **ლიმფური.**

⊙ **ლ. ჯირკვლები.**

○ **ლიმფატური შცდ.**

**ლინგვისტ**-ი – ლინგვისტიკის სპეციალისტი (ქართ. სინონ. **ენათმეცნიერი**).

**ლინგვისტიკა** [ფრ. Linguistique< ლათ. Lingue ენა] – მეცნიერება ენის შესახებ (ქართ. სინონ. **ენათმეცნიერება**).

◎ **ლინგვისტიკური** და (დასაშვებია) **ლინგვისტური.**

⊙ **ლ. გამოკვლევა.**

**ლინზა** [გერმ. Linse] – ოპტიკური მინა; შემოსაზღვრულია ორი მრუდხაზიანი, ჩვეულებრივ სფერული ზედაპირით, რომელიც გარდატეხს სინათლის სხივებს.

⊙ **მიკროსკოპის ლ.**

◎ **ლინზური.**

⊙ **ლ. ტელესკოპი.**

**ლინოლეუმ**-ი [ლათ. Linum ტილო და oleum ზეთი] – სქელი მაგარი ქსოვილი, განსაკუთ-

რებული ნარევი ნივთიერებით გაჟღენთილი; იყენებენ იატაკზე დასაგებად.

⊙ **ლინოლიუმი შცდ.**

**ლინჩის სასამართლო** (კანონი) – ბრბოს მიერ დასჯა (ცემაწამება, მოკვლა) გამოძიებისა და გასამართლებლის გარეშე (ინგ. Lynch ვინმე პლანტატორის, ჩარლზ ლინჩის გვარის მიხედვით.].

**ლირა**[1] [ბერძ. Lyra] – ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი; ითვლება პოეტური შემოქმედების, შთაგონების სიმბოლოდ.

**ლირა**[2] [იტ. Lira] – ფულის ერთეული იტალიასა და თურქეთში.

**ლირიზმ**-ი – ლირიკული ხასიათი, ლირიკული შინაარსი რისამე.

⊙ **ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ლ.**

**ლირიკა** [ბერძ Lyrikos ლირასთან (იხ. ლირა[1]) დაკავშირებული] – **1.** პოეზიის სახეობა, რომელიც გამოსახავს პოეტის გრძნობებსა და განცდებს.

**2.** ამ სახის პოეზიის ნაწარმოებათა ერთობლიობა.

⊙ **აკაკის ლ.**

◎ **ლირიკული.**

⊙ **ლ. პოეზია.**

**ლირიკული ღიაღსვლა** – (წიგნ). მხატვრული ნაწარმოების თხრობის შეწყვეტა და ავტორის პირადი განცდების ჩართვა.

○ **ლირიული შცდ.**

**ლირიკოს**-ი – პოეტი, რომელიც ლირიკულ ლექსებს წერს.

**ლისტინგ**-ი [ინგლ. listing სიაში შეტანა] – მონაცემების დაბეჭდვა, რომელიც კომპიუტერმა მოგვცა.

**ლიტანია** [ბერძ. litaneia] – საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან; იმართება დიდი დღესასწაულის (ან საერო განსაცდელის) დროს.

**ლიტერატორ**-ი – პირი, რომლის პროფესიაა ლიტერატურული საქმიანობა; მწერალი.

**ლიტერატურა** [ლათ. Litteratura]

**1.** წერილობით ნაწარმოებთა ერთობლიობა.

⊙ **ახალი ქართული ლ.**

**2.** მხატვრულ ნაწარმოებთა (პოეზია, პროზა, დრამა) ერთობლიობა.

⊙ **ქართული კლასიკური ლ.**

**3.** რაიმე საგნის შესახებ არსებული ნაწარმოებთა ერთობლიობა.

⊙ **სამედიცინო ლ., ტექნიკური ლ., მხატვრული ლიტერატურა** – იგივეა რაც **ლიტერატურა** (მნიშვ 2).

**ლიტერატურული** და **სა-**

**ლიტერÁტურო** – რაც და-კავშირებულია მხატვრულ ლიტერატურასთან.

⊙ **ლ. (ს.) წრეები ლ. (ს.) ნა-წარმოები.**

**ლიტერატურული (სალი-ტერÁტურო) ენა** – საერთო-სახალხო ენის დამუშავებული ფორმა, რომელსაც აქვს გარკ-ვეული ფორმები.

**ლÍტრ**-ი [ფრ. Litre ბერძ. Litra გირვანქა] – სითხის საზომი ერთეული; უდრის 1000 კუბ. სმ-ს.

⊙ **ერთი ლ. რძე.**

○ **ლიტრა შცდ.** (ამ მნიშვ.).

**ლÍტრა** – ქართული სიტყვაა და ნიშნავს თიხის პატარა ვიწ-როყელიან წყლის ჭურჭელს.

**ლÍტრაჟ**-ი [ფრ. Litrage] – რაიმე ჭურჭლის ტევადობა რაც ლიტრებით იზომება.

⊙ **ავზის ლ.**

**ლიტÚრგია** [ბერძ. Leiturgia ღვთისმსახურება] – მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახუ-რება; ჟამის წირვა.

**ლიტÚრგიკა** – მოძღვრება მღვდელმსახურების წესების შესახებ.

**ლÍფტ**-ი [ინგ. Lift] – მრავალ-სართულიან შენობებში მო-წყობილი ვერტიკალურად მოძრავი ელექტრო მანქანა.

⊙ **სამგზავრო ლ., სატვირთო ლ.**

**მელიფტე** – პირი, რომელიც ლიფტს ემსახურება (სინონ. **ლიფტიორი**).

◎ **მელიფტისა.**

⊙ **მელიფტესი შცდ.**

**ლიფტიÓრ**-ი – იგივეა, რაც მე-ლიფტე (იხ. **ლიფტი**).

**ლიქÓრ**-ი [ფრ. Liquer] – ტკბილი მაგარი (ალკოჰოლიანი) სას-მელი.

**ლÍქტორ**-ი [ლათ. Lictor] – ძველ რომში: უმაღლესი თანამდე-ბობის პირის (მაგ. კონსულის, დიქტატორის) თანმხლები პი-რი, მისი მცველი.

**ლიცÉისტ**-ი – ლიცეუმის მოს-წავლე.

**ლიცÉნზია** [< ლათ. Licentia ნე-ბის დართვა] – **1.** საქონლის საზღვარგარეთ გატანის ან შემოტანის ნებართვა; ამ ნე-ბართვის დამადასტურებელი საბუთი.

**2.** რაიმეთი შეღავათიანად ან უფა-სოდ სარგებლობის უფლება.

**3.** რაიმე სამეურნეო – კომერცი-ული მოღვაწეობის ნებართვა; გამოგონების, სავაჭრო მარკის გამოყენების უფლება.

**ლიცÉუმი** და **ლÍცეი** – [< ბერძ. Lykeion ათენში კორო-მის (ოლეს, სკოლა-ბაღის) სახელწოდება, სადაც არის-

ტოტელე ასწავლიდა] – **1.** საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის ზოგ სხვა ქვეყანაში: საშუალო სასწავლებელი.
**2.** საქართველოში: საშუალო სასწავლებელი რომელიმე საგნების გაძლიერებული სწავლებით.
⊙ **საბუნებისმეტყველო ლ.**
◎ **ლიცეუმის.**

**ლო́ბ**-ი [ინგ. Lobby კულუარები] – კონტორებისა და აგენტების სისტემა, ოფიციალურად და არაოფიციალურად მოქმედი ჯგუფები, რომლებიც ზეწოლას ახდენენ პარლამენტის წევრებზე განსაზღვრული წრეების ინტერესებისათვის.
⊙ **ლობიზმი, ლობისტი, ლობირება.**

**ლოგა́რითმ**-ი [ბერძ. Logos ფარდობა, შეფარდება და arithmos რიცხვი] – (მათემ.) მაჩვენებელი ხარისხისა, რომელშიც უნდა ავიყვანოთ რიცხვი (ფუძედ წოდებული), რომ მივიღოთ მოცემული რიცხვი.
⊙ **ლ.-ების ცხრილი.**
◎ **ლოგარითმული.**
⊙ **ლ. განტოლება, ლ. გამოთვლა.**

**ლოგარი́თმული სახა́ზავი** – იარაღი სხვადასხვა მარტივი გამოთვლის შესასრულებლად.

**ლო́გიკა** [ბერძ. Logikē] – **1.** მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ.
⊙ **დიალექტური ლ.**
**2.** მიზანშეწონილობა, კანონზომიერება რისამე.
⊙ **მოვლენათა ლ.**
◎ **ლოგიკური.**
⊙ **ლ. დასკვნა.**
○ **ლოღიკა, ლოღიკური შცდ.**

**ლოგოპე́დია** [ბერძ. Logos სიტყვა, მეტყველება და paideia აღზრდა] – მეცნიერება მეტყველების სხვადასხვა ნაკლისა და მათი მკურნალობის შესახებ.

**ლო́გოს**-ი [ბერძ. Logos სიტყვა, ცნება, აზრი, გონება] – **1.** ძველ ბერძნულ მატერიალისტურ ფილოსოფიაში (ჰერაკლიტესთან) საყოველთაო კანონზომიერება.
**2.** იდეალისტურ ფილოსოფიაში: სულიერი პირველსაწყისი, ღვთაებრივი გონება და მისთ. სხვა მისტიკური ცნებები.

**ლოგო́ტიპ**-ი [ბერძ. Logos სიტყვა და typos ანაბეჭდი] – რაიმე ფორმის, დაწესებულების, ასოციაციის და ა.შ. მარტივი გრაფიკული აღნიშვნა, ემბლემა.

**ლოვე́ლას**-ი [ფრ. Lovelace ინგ. მწერლის ს. რიჩარდსონის რომან „კლარისა ჰარლოუს"-ის გმირის სახელის მიხედვით]

– ქალების მოტრფიალე მამაკაცი.

**ლოზუნგ**-ი [გერმ. Lozung] – მოკლედ გამოთქმული მიმართვა, რომელიც გამოხატავს სახელმძღვანელო იდეას, პოლიტიკურ მოთხოვნას (ქართ. სინონ. მოწოდება).

**ლოიალურ**-ი [ფრ. ინგ. Loyal ერთგული] – **1**. არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მომხრე, ერთგული.

**2**. რაც ასეთ ერთგულებას გამოხატავს.

⊙ **ლ. დამოკიდებულება.**

**3**. ვინც კეთილსინდისიერად ექცევა ვისმე ან რასმე.

⊙ **ლოიალურობა.**

**ლოკალიზაცია** და **ლოკალიზება** [ლათ. Localis ადგილობრივი] – **1**. რაიმეს გავრცელების შეზღუდვა განსაზღვრულ ზღვრებში, რომელიც თავმოყრილია რომელიმე განსაზღვრულ ადგილზე.

**2**. რისმე ადგილის შემოსაზღვრა.

**ლოკალურ**-ი [ლათ. Localis] – (წიგნ.) რაც გარკვეულ ადგილს არ სცილდება; ადგილობრივი.

⊙ **ლ. ომი.**

**ლოკატორ**-ი [< ლათ. Loco განვალაგებ] – **1**. აპარატი, რომლის საშუალებითაც არკვევენ სხვადასხვა ობიექტის ადგილმდებარეობას.

**2**. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს სხეულის ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი, ბგერითი ტალღების ან რადიოტალღების საშუალებით.

**ლოკაუტ**-ი [ლათ. Lock out ვინმეს წინ კარის დახურვა] – მფლობელების მიერ საწარმოების ერთდროული დახურვა და მასიური განთავისუფლება მუშა-მოსამსახურეებისა გაფიცვების შეწყვეტისა და მათი მოთხოვნების უარყოფის მიზნით.

**ლოკომოტივ**-ი [ფრ. Locomotive < ლათ. Locus ადგილი, motio მოძრაობა] – ძალოვანი მანქანების, ორთქმავალისა და თბომავალის საერთო სახელწოდება.

◎ **სალოკომოტივო.**

⊙ **ს. ბრიგადა ს. დეპო.**

**ლომბარდ**-ი [გეოგრ. სახ.] – სახელმწიფო ან კომერციული საკრედიტო დაწესებულება, რომელიც სესხს იძლევა ძვირფასეულობის ან მოძრავი ქონების დაგირავებით [იტალიის პროვინცია ლომბარდიის სახელის მიხედვით, საიდანაც შუა საუკუნეებში გამოდიოდნენ

მევახშეები).

**ლომბენის მაგიდა** [მოძვ. სათამაშო კარტის "ლომბენის" სახელწოდება] – ბანქოს სათამაშო ასაკეცი მაგიდა, ხავერდით გადაკრული.

**ლონჟ**-ი [ფრ. Lonye თოკი, ქამანდი] – მავთული ან თოკი, რომელიც გამობმულია ცირკის მსახიობის ქამარზე სახიფათო ტრიუკების გაკეთების დროს.

**ლოჟა** [ფრ. Loge] – **1.** მაყურებელთა დარბაზში რამდენიმე კაცისთვის გამოყოფილი ადგილი.

⊙ **მეორე იარუსის ლ.**

**2.** სხდომათა დარბაზში, სტადიონზე: ადგილი, გამოყოფილი პრესის მუშაკებისათვის, სტუმრებისათვის დას ხვ.

**3.** მასონთა საზოგადოების განყოფილება.

**ლორდ**-ი [ინგ. Lord] – ინგლისის უმაღლეს თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული.

○ **ლ.-თა პალატა.**

**ლორნეტ**-ი [ფრ. Lorgnette] – სახელურიანი დასაკეცი სათვალე.

**ლოსიონ**-ი [ფრ. Lotion] – ერთგვარი სურნელოვანი წყალი.

**ლოტ**-ი [ინგ. Lot] – **1.** აუქციონზე გასაყიდი საქონლის საზომი ერთეული, საქმიანი გარიგების დროს.

**2.** თვითონ ეს გასაყიდი ნივთი, საქონელი (აუქციონზე).

**ლოტო** [ფრ. Loto < იტ. lotto] – სათამაშო, რომელშიც ბურთებზე ფარავენ ამოძახებულ ციფრებს (ან ნახატებს).

**ლოტოტრონ**-ი – მბრუნავი დოლი, რომელშიც ყრიან ლატარიის ბილეთებს ნომრების გასათამაშებლად.

**ლოცია** [< ჰოლანდ. Lootsen გემის ტარება] – ზღვების, საწყლო გზებისა და სანაპიროების აღწერილობა, რაც საჭიროა გემების უსაფრთხო ტარებისათვის.

◎ **ლოციისა.**

○ **ლოციასი შცდ.**

**ლოცმან**-ი [ჰოლანდ. Loootsman] – სახიფათო და ძნელად გასავლელ რაიონებში გემების გატარების სპეციალისტი.

**ლოჯია** [იტ. Loggia] – **1.** შენობას მიკრული ღია აივანი.

**2.** შენობის ნაწილი, რომელსაც გარეთა კედლის ნაცვლად აქვს ღია კოლონადა ან თაღი.

◎ **ლოჯიისა.**

○ **ლოჯიასი, ლოჯი შცდ.**

**ლუზა** [ჰოლანდ. Luza] – ბილიარდის მაგიდის კიდეზე დაკიდებული ჭრილი, რომლის ქვეშაც მიმაგრებულია ბადე ბურთის ჩასაგდებად.

**ლუთერან**-ი – ლუთერანობის მიმდევარი.

**ლუთერანობა** – პროტესტანტობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც აღმოცენდა მე-16-ს.-ში გერმანიაში მარტინ ლუთერის მოძღვრების საფუძველზე.
◎ **ლუთერანობა.**
⊙ **ლ. ეკლესია.**
⊙ ქართულში წინათ იხმარებოდა **ლოთრანგობა.**
○ **ლუტერანობა შცდ.**

**ლუიდორ**-ი [ფრ. Louisd'or საკუთ. სახელი.] – ძველებური ფრანგული ოქროს ფული.

**ლუკ**-ი [ჰოლანდ. Luik] – ჩასაძრომი ჭრილი (მაგ. გემბანზე, სცენაზე და სხვ.)

**ლუკულუსის ნადიმი** – მდიდრული ნადიმი [რომაული სარდლის Lucallus-ის (177-56 წწ. ძვ. წელთ.) სახელის მიხედვით, რომელიც ცნობილი იყო სიმდიდრით და არაჩვეულებრივი ნადიმებით).

**ლუმინესცენცია** [< ლათ. Lumen (luminis) სინათლე] – (ფიზ.) რაიმე სხეულის ცივი ნათება, გამოწვეული ელექტრული, ქიმიური ან სხვა პროცესებით.
◎ **ლუმინესცენციური.**
⊙ **ლ. ლამპა, ლ. ანალიზი.**
○ **ლუმინისცენცია, ლუმინისცენციური, ლუმინისცენტური შცდ.**

**ლუმპენპროლეტარიატ**-ი [გერმ. Lumpenproletariat] – დეკლასირებული ელემენტები (მათხოვრები,მაწანწალები და მისთ.).

**ლუნა-პარკ**-ი [გერმ. Luna-park] – ქალაქის პარკი სხვადასხვა სახის ატრაქციონებითა და გასართობებით.

**ლუნატიზმ**-ი [ლათ. luna მთვარე] – ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის დროსაც მძინარე ადამიანი სხვადასხვა მოქმედებებს ასრულებს მექანიკურად (გაუთვითცნობიერებლად).

**ლუნატიკ**-ი [ლათ. lunaticus] ლუნატიზმით დაავადებული.

**ლუპა**[ფრ.Loupe]–გამადიდებელი შუშა.

**ლუსტრა** [ფრ. Lustre] – ჭერზე ჩამოსაკიდებელი გასანათებელი მოწყობილობა, რომელზედაც რამდენიმე ელექტრონათურა ან სანთელია (ქართ. სინონ. **ჭაღი**).
○ **ლიუსტრა შცდ.**

**ლუსტრაცია** [პოლნ. Lustracja] – სახელმწიფო ქონების პერიოდული აღწერა.

**ლუქს**-ი[1] [ლათ. Lux სინათლე] – განათების საზომი ერთეული.

**ლუქს**-ი[2] [ფრ. Luxe ფუფუნება] – ძვირფასად, კომფორტულად მოწყობილი; უმაღლესი კატეგორიისა.
⊙ **კაიუტა – ლ., მაღაზია – ლ., ნომერი – ლ.** (სასტუმროში).
○ **ლიუქსი შცდ.**

**ლიუციფერ**-ი [ლათ. Lucifer სინათლის მატარებელი, Lux სინათლე, ferre ტარება] – ქრისტიანობაში: ეშმაკი, ჯოჯოხეთის მბრძანებელი,სატანა, დაცემული ანგელოზი.

## მ

**მაგია** [ლათ. magia]–ჯადოსნობა, ჯადოქრობა; მისნობა.
◎ **მაგიური.**
⊙ **მ. სიტყვა, მ. ძალა.**

**მაგისტრ**-ი [ლათ. magister უფროსი მასწავლებელი] – **1.** ზოგ ქვეყანაში: ერთ-ერთი სამეცნიერო ხარისხი; ამ ხარისხის მქონე პირი.
⊙ **ფილოსოფიის მ.**
**2.** უმაღლეს სასწავლებელში ორსაფეხურიანი სწავლების მეორე საფეხურის კურსდამთავრებული.
**3.** შუა საუკუნეებში: ბერმონაზვნური ან რაინდული ორდენის მეთაურის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი,

**მაგისტრალ**-ი [ლათ. magistralis მთავარი, წარმმართველი] – **1.** ძირითადი, მთავარი ხაზი რაიმე ქსელის (მაგ; რკინიგზის, ელექტროგაყვანილობის, ტელეგრაფის) სისტემაში.
**2.** ქალაქის ფართო ქუჩა, რომელზედაც ჩვეულებრივ გაცხოველებული მოძრაობაა.
⊙ **მთავარი მ; ქალაქის ახალი მ.**
◎ **მაგისტრალური** და **სამაგისტრალო.**
⊙ **მ. (ს.) გაზსადენი, მ. (ს.) კაბელი, მ. (ს.) არხი.**

**მაგისტრატ**-ი [ლათ. magistratus (მრ.) ხელისუფალნი, მმართველობა] – დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში: ქალაქის მმართველობა, მუნიციპალიტეტი.

**მაგმა** [ბერძ. magma ცომი] – (გეოლ.) ვულკანის მოქმედების შედეგად დედამიწის სიღრმიდან ამოტყორცნილი გამდნარი სილიკატური მასა; მისი გაცივებითა და გამაგრებით წარმოიქმნება ამოფრქვეული ქანები.
⊙ **მ.-ის ამოფრქვევა.**
◎ **მაგმური.**
⊙ **მ. ქანები.**
◎ **მაგმისა.**
○ **მაგმასი, მაგმატიური შცდ.**

**მა́გნატ**-ი [ლათ. magnatus დიდებული] – მსხვილი კაპიტალისტი, მემამულე, მეწარმე.

⊙ **ფინანსური კაპიტალის მ.-ები.**

**მაგნეტიზმ**-ი – (ფიზ.) მაგნიტურ მოვლენათა ერთობლიობა.

⊙ **დედამიწის მ.**

**მა́გნეტო** [ფრ. magnéto] – ელექტრომაგნიტური ხელსაწყო საწვავი ნარევის ასანთებად (ნაპერწკლის წარმოსაქმნელად) შიგაწვის ძრავას ცილინდრებში.

**მა́გნიტ**-ი [ბერძ. magnētis] – რკინის მადნის ან ფოლადის ნაჭერი, რომელსაც აქვს უნარი მიიზიდოს რკინის ან ფოლადის საგნები (მოძვ. სინონ. **ანდამატი**).

⊙ **ხელოვნური მ.**

◎ **მაგნიტური.**

⊙ **მ. ველი.**

⊙ მიაქციეთ ყურადღება: **მაგნიტი,** მაგრამ – **მაგნეტიზმი, მაგნეტო.**

**მაგნიტო́ფონ**-ი [ბერძ. magnētis მაგნიტი და phone ბგერა] – აპარატი მაგნიტურ ფირზე ბგერის ჩასაწერად და შემდეგ მის კვლავ საწარმოებლად.

○ **მაგნიტაფონი შცდ.**

**მაგნოლო́გია** [ფრ. magnolia] – მარადმწვანე ხე ან ბუჩქი; აქვს თეთრი სურნელოვანი ყვავილები; ხარობს თბილ ქვეყნებში.

**მა́დამ**-ი [ფრ. madame] – **1.** ქალბატონი, მიმართვა გათხოვილ ქალისადმი საფრანგეთში, ერთვის აგრეთვე სახელსა და გვარს; მიღებულია სხვა მრავალ ქვეყანაში.

**2.** ძველად – უცხოელი აღმზრდელი მდიდარ ოჯახებში.

**მადემუა́ზელ**-ი [ფრ. mademoiselle] – ქალიშვილი, მიმართვა გაუთხოვარ ქალისადმი საფრანგეთში, ერთვის აგრეთვე სახელსა და გვარს; მიღებულია სხვა მრავალ ქვეყანაში.

**მა́დერა** – ერთგვარი მაგარი ღვინო.

**მადრი́გალ**-ი [ფრ. madrigal] – მახვილგონივრული პატარა ლირიკული ლექსი, ჩვეულებრივ მიძღვნილი ქალისადმი.

**მაე́სტრო** [იტ. maestro] – საპატიო წოდება დიდ ხელოვნის (დირიჟორის, კომპოზიტორის, მხატვრის), აგრეთვე მოჭადრაკის.

**მავზოლე́უმ**-ი [ლათ. mausoleum < ბერძ. mausoleion – კარიის მეფის – მავზოლიას განთქმული აკლდამა] – დიდი არქიტექტორული ნაგებობა საფლავზე; (მავზოლის აკლდამა

აშენებული იქნა ძვ.წ. მე-4 საუკუნეში მცირე აზიაში, ქ. გალიკარნასში).

⊙ **ტუტანჩამონის მ.**

**მავრებ**-ი [< ბერძ. mauros მუქი] – ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში: ჩრდილოეთ აფრიკის (ეგვიპტის გამოთ-ვლებით) ძირითადი მო-სახლეობის, აგრეთვე მა-თი დამპყრობი არაბების ევროპული სახელწოდება.

**მაზდეანობა** და **მაზდეიზმი** – ძველი სპარსელების რე-ლიგია (ქართ. სინონ. **ცე-ცხლთაყვანისმცემლობა**). [უმაღლეს ღვთაების – აჰუ-რა მაზდასი (ორმუზდა - „**ნათელი საწყისი**") სახე-ლიდან. დამაარსებელი ამ რელიგიისა არის მითიური წინასწარმეტყველი ზოროას-ტრა – ზარატუსტრა; „წმინ-და" წიგნი მაზდეიზმისა არის – ავესტა].

○ **მაზდეიანობა შცდ.**

**მაზოხიზმ**-ი – სქესობრივი უკუღმართობა ერთგვარი [ავ-სტრიელი მწერლის ზახერ – მაზოხის გვარის მიხედვით, რომელმაც აღწერა იგი].

**მაზურკა** [< პოლონ. mazurek] – პოლონური ეროვნული ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისთვის.

**მათემატიკა** [ბერძ. mathēma-tike] – მეცნიერება სამყა-როს რაოდენობრივ დამოკი-დებულებათა და სივრცითი ფორმების შესახებ.

⊙ **ელემენტარული მ., უმაღლესი მ; გამოყენებითი მ.**

◎ **მათემატიკური.**

⊙ **მ. ამოცანა.**

**მათ. ანალიზი** – ერთობ-ლიობა მათემატიკის დარგე-ბისა, რომელთა მიზანია ფუნ-ქციების კვლევა უსასრულოდ მცირეთა მეთოდებით.

○ **მათმატიკა შცდ.**

**მათუსალა**: **მათუსალას ხნისა** – იტყვიან ძლიერ ხნიერ ადამიანზე [ბიბლიური პატ-რიარქის მათუსალას სახელის მიხედვით – რომელმაც ყვე-ლაზე დიდხანს (969 წელს) იცოცხლა].

**მაია** – ჯგუფი ენობრივად მონათესავე ინდიელი ხალხებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ მექსიკის, ჰონ-დურასისა და გვატემალის ტერიტორიებზე; ჰქონდათ იეროგლიფური დამწერლობა ახალ წელთაღრიცხვის და-საწყისში.

**მაიოლიკა** [იტ. maiolica < majo-lica – დასახელება კუნძულ მალიორკასი (მაიორკა)] – **1.** მხატვრული კერამიკის სახე-ობა.

**2**. ფერადი გამომწვარი თიხის ნაწარმი, რომელიც დაფარულია გაუმჭვირვალე ჭიქურით. (სარკალით).

◎ **მაიოლკისა.**

○ **მაიოლკასი შცდ.**

**მაიორ**-ი [ლათ. major უფროსი] – არმიაში: ოფიცრის წოდებულება, კაპიტნის მომდევნო; ამ წოდებულების მქონე ოფიცერი.

**მაკეტ**-ი [ფრ. maquette] – რაიმე ნაკეთობის ნიმუში შემცირებულ ზომისა, მოდელი.

⊙ **სახლის მ., დეკორაციის მ., წიგნის მ.**

**მაკიაველიზმ**-ი – პოლიტიკა რომლის მიხედვითაც დასახული მიზნის მისაღწევად გამართლებულია ყოველგვარი საშუალება [ფლორენციის რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის მაკიაველის (1469-1527 წ.) სახელიდან].

**მაკიაჟ**-ი [ფრ. maquillage] – კოსმეტიკის სახეობა – ფერის წასმა სახეზე.

**მაკინტოშ**-ი [ინგ. mackintosh < საკუთ. სახ.] – წყალშეუვალი (გარეზინებული) ქსოვილის საწვიმარი ერთგვარი.

○ **მაკენტოში, მაკენტოჟი შცდ.**

**მაკლერ**-ი [გერმ. makler] – შუამავალი სავაჭრო, საბირჟო გარიგებაში.

⊙ **ბირჟის მ.**

**მაკრო**... [ბერძ. makros გრძელი, დიდი] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს დიდს, მსხვილს.

**მაკროკოსმოს**-ი [ბერძ. makros დიდი და kosmos სამყარო] – ვარსკვლავთა სამყარო; კოსმოსი (შდრ. **მიკროკოსმოსი**).

**მაკულატურა** [გერმ. makulature ლათ. makulo ვსვრი] – **1**. ბეჭდვის დროს გაფუჭებული ქაღალდი, აგრეთვ უვარგისი ქაღალდი, წიგნები, რომლებიც კვლავ ქაღალდად უნდა გადამუშავდეს.

**2**. გადატ. (საუბ.) იტყვიან მდარე ხარისხის,უნიჭო ნაწარმოებზე, ლიტერატურაზე; ასეთ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

**მალარია** [იტ. malaria] – ციება, ციებ-ცხელება.

◎ **მალარიული** და **სამალარიო.**

⊙ **მ. (ს.) დისპანსერი.**

○ **მალიარია, მალიარიული, სამალიარო შცდ.**

**მამლუქ**-ი [არაბ. მამლუქ – მონა] – შუა საუკუნეებში ეგვიპტეში: თურქი და კავკასიული (მათ შორის ქართველი) ტყვე მონებისაგან შემდგარი სულთანის პირადი გვარდიის ჯარისკაცი (შდრ. **იანიჩარი**).

⊙ იხმარებოდა აგრეთვე **მამა(ე) ლუკი**.

**მამონა** [ბერძ. mamonas სიმდიდრე < არაბ] – **1.** ძველ აღმოსავლეთის ზოგ ხალხში: სიმდიდრის ღვთაება.
**2.** (გადატ.) ანგარება, ვერცხლისმოყვარეობა.

**მამონტ**-ი [რუს. мамонт] – გადაშენებული ცხოველი სპილოსებრთა ოჯახისა, ჰქონდა გრძელი, ხშირი ბეწვი და მოხრილი ეშვები.

**მანანა** [ბერძ. manna < ძვ. ებრ.] – ბიბლიური ლეგენდის მიხედვით: საკვები, რომელიც ზეციდან უცვიოდა ებრაელებს უდაბნოში სვლის დროს.
**მანანის ბურღული** – ხორბლისგან დამზადებული წმინდა ბურღული.
**მანანის ფაფა** – ამ ბურღულის მოხარშვით დამზადებული ფაფა.
◎ **მანანისა.**
○ **მანანასი, მანის ბურღული, ფაფა შცდ.**

**მანგო** [ფრ. mango < მალ.] – **1.** მარადმწვანე ციტრუსოვანი ხეხილი.
**2.** ამ ხეხილის სურნელოვანი ტკბილი ნაყოფი; ხარობს აზიაში.
⊙ **მ.-ს წვენი.**

**მანდარინ**-ი [ესპ. mandarin] – **1.** მარადმწვანე ციტრუსოვანი ხეხილი.
**2.** ამ ხეხილის ნარინჯისფერი სურნელოვანი ტკბილი ნაყოფი.

**მანდატ**-ი [ლათ. mandatum დავალება] – ვისამე რწმუნებულების დამადასტურებელი მოწმობა.
⊙ **დეპუტატის მ.**
**სამანდატო**: სამანდანტო კომისია – კომისია, რომელიც იქმნება ყრილობაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე – დელეგატების რწმუნებულებათა შესამოწმებლად.

**მანდეიზმ**-ი – რელიგია, რომელშიც შერეულია იუდაიზმის, ზოროასტრიზმისა და ძველი ბაბილინური რელიგიის ელემენტები; წარმოიშვა მესოპოტამიაში ჩვენი ერის დასაწყისში [ნათელი ძალის მანდად-ჰაიას სახელის მიხედვით].

**მანევრ**-ი [ფრ. manoeuvre] – **1.** ჯარების ან ფლოტის მოძრაობა, გადაადგილება საომარი ოპერაციების დროს.
⊙ **შემოვლითი მ.**
**2.** (გადატ.) ეშმაკური, ვერაგული მოქმედება; ფანდი, ხრიკი.

**მანევრები** – **1.** (სამხ.) დიდი ტაქტიკური მეცადინეობა, ნამ-

დვილ საომარ პირობებთან მიახლოვებული.

⊙ **საგაზაფხულო მ.-ები, საზღვაო მ.-ები.**

2. (რკ.-გზ.) სადგურის ხაზებზე ლოკომოტივებისა და ვაგონების მოძრაობა მატარებლების შედგენის მიზნით.

◎ **სამანევრო.**

⊙ **ს. ელმავალი.**

**მანეკენ**-ი [ფრ. mannequin] – **1.** ადამიანის სხეულის ფორმის ფიგურა ტანსაცმლის საჩვენებლად (მაღაზიებში, ატელიებში).

⊙ **ცოცხალი მ.**

2. პირი, რომელსაც აცვია ახალი ფასონის ტანსაცმელი საჩვენებლად (მოდების დემონსტრაციის დროს).

**მანეჟ**-ი [ფრ. manēge] – **1.** შემოღობილი მოედანი ან სპეციალური დიდი შენობა, რომელიც განკუთვნილია ცხენების სახედნად ან ცხენოსნობის სასწავლებლად.

2. ცირკის წრე, მულანი (სინონ. **არენა**).

3. პატარა გადასატანი შემოღობილი მოედანი ბავშვებისთვის, რომლებიც ფეხს იდგამენ.

**მანერა** [ფრ. maniere] – **1.** მოქმედების, ქცევის თავისებურება; ჩვევა.

⊙ **კარგი მ.-ები, ცუდი მ.-ები.**

2. (მრ.). თავის დაჭერის წესები, ყოფაქცევის ნორმები.

3. რომელიმე ავტორის, ვისამე შემოქმედების თვისებურებათა მხატვრული ნაწარმოების შესრულების ხერხების ერთობლიობა.

**მანია** [ბერძ. mania ვნება, სიგიჟე] – **1.** ადამიანის ავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც მთელი მისი გრძნობა და გონება რაიმე ერთი იდეისაკენ არის მიმართული.

⊙ **განდიდების მ.**

2. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი.

**მანიკიურ**-ი [ფრ. manicure < ლათ. manus ხელი curo ვუვლი, ვასუფთავებ] – ხელის ფრჩხილების საგანგებო გაწმენდა გაპრიალება.

○ **მანიკური, მანიკიურები შცდ.**

**მანიპულაცია** [ფრ. manipulation] – **1.** (წიგნ.) რაიმე რთული მოქმედება, რთული ხერხი ხელით მუშაობისას.

2. (გადატ.) ოინი, ყალთაბანდობა, სიეშმაკე.

**მანიფესტ**-ი [ლათ. manifestus აშკარა] – **1.** უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა, მოწოდება, მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენის გამო.

⊙ **მ. მსოფლიოს ყველა ხალხისადმი.**

**2.** პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერილობითი საპროგრამო მიმართვა.

**მანიფესტანტ**-ი – მანიფესტაციის მონაწილე.

**მანიფესტაცია** [ლათ. manifestatio გამოცხადება] – მასობრივი სვლა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატად.

**მანომეტრ**-ი [ბერძ. mamos არამკვრივი და metreo ვზომავ] – ხელსაწყო სითხის ან გაზის (აირის) წნევის გასაზომად.

○ **მონომეტრი შცდ.**

**მანშეტ**-ი [ფრ. mauchette] – პერანგის მაჯა, მის სახელოზე მიბმული ან მიკერებული.

**მანსარდა** [ფრ. mansarde < საკ. სახ.] – საცხოვრებელი სადგომი – სახლის სხვენზე, დაქანებულ სახურავის ქვეშ.

◎ **მანსარდიანი.**

⊙ **მ. კოტეჯი.**

⊙ დასაშვებია – **მანსარდი.**

**მანტია** [გვიანდ. ბერძ. mantion] – **1.** ფართო, გრძელი წამოსასხამი.

⊙ **მონაზვნის მ.**

**2.** (ზოოლ.) ზოგი უხერხემლო ცხოველის კანის ნაოჭი, რომელიც ფარავს სხეულს.

⊙ **მოლუსკის მ.**

**3.** (გეოლ.) სფერო დედამიწის ქერქის ქვეშ.

◎ **მანტიისა.**

○ **მანტიასი შცდ.**

**მანტისა** [ლათ. mantissa დამატება, მოგება] – (მათემ.) ლოგარითმის წილადური ნაწილი.

◎ **მანტისისა.**

○ **მანტისასი შცდ.**

**მანტო** [ფრ. manteam] – ქალის ფართო პალტო, ჩვეულებრივ ბეწვისა.

**მანტუს რეაქცია** – (მედიც.) კანის სინჯი ორგანიზმის ტუბერკულიოზით დაავადების დასადგენად.

**მანუსკრიპტ**-ი [ლათ. manuscriptum] – ხელნაწერი, უპირატესად ძველი.

**მანუფაქტურა** [ლათ. manufaqtura] – **1.** (ეკონ.) წარმოების ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხელის იარაღების გამოყენება და შრომის განაწილება მუშებს შორის.

**2.** საფეიქრო მრეწველების ნაწარმი; ქსოვილები.

◎ **მანუფაქტურული.**

○ **კაპიტალიზმის მ. პერიოდი.**

◎ **მანუფაქტურისა.**

○ **მანუფაქტურასი შცდ.**

**მაჟორ**-ი [ფრ. majeur] – (მუს.). მუსიკალური წყობა, რომლის ბგერები ქმნის დიდ მცირე

ტერციებისგან შემდგარ აკორდს; დამახასიათებელია მხნე, მხიარულ ელფერი (საპირისპ. **მინორი**).

**მაჟორიტარ**-ი [ფრ. majoritaire < majorite უმრავლესობა < ლათ. major დიდი] – პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი,რომელიც ხმათა უმრავლესობით აირჩევა.

**მაჟორიტარულ**-ი[ფრ.majoritaire < majorite უმრავლესობა < ლათ. major დიდი] – **1.** რაც შეეხება უმრავლესობას, უმრავლესობის დაქვემდებარებას.

**მაჟორიტარული წარმომადგენლობა** – წარმომადგენლობის სისტემა, რომლის დროსაც დეპუტატობის კანდიდატი იღებს ხმათა უმრავლესობის (საპირისპ. **პროპორციული წარმომადგენლობა**). (იხ. **პროპორცია**).

**2**. არჩევნების სისტემა, რომლის დროსაც არჩეულთა რიცხვში ხვდებიან პარტიის კანდიდატები, რომლებმაც ხმათა უმრავლესობა მიიღეს.

**მაჟორშია** – (გადატ.) იტყვიან, როდესაც ვინმე მხიარულ გუნებაზეა.

**მარაზმ**-ი [ბერძ. marasmos დაუძლურება, მოშვება] – **1.** ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება მოხუცებულობის ან ხანგრძლივი ქრონიკული ავადმყოფობის შედეგად.

**2.** (გადატ.) უილაჯობა, უუნარობა (მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში და სხვ.).

**მარათონელ**-ი – სპორტსმენი, რომელიც მარათონულ რბენაში არის დაოსტატებული.

**მარათონულ**-ი – (სპ.) რაც დაკავშირებულია ძალიან დიდ დისტანციასთან.

⊙ **მ. გაცურვა.**

**მარათონული რბენა** – შეჯიბრება სირბილში 42 კმ-სა და 195 მ-ზე [ძველი საბერძნეთის სოფელ მარათონის (Marathōn) სახელის მიხედვით, საიდანაც ათენში სურბილით მივიდა მახარობელი (ელინი ჯარისკაცი) და მიიტანა გამარჯვების ამბავი (ძვ. წელთაღ. 490 წ); ამის შემდეგ მახარობელი დაეცა და მოკვდა (გარდაიცვალა)].

**მარალ**-ი [თურქ.] – დიდი ციმბირული ირემი.

**მარანებ**-ი [ესპ. marranos] – შუა საუკუნეებში ესპანეთსა და პორტუგალიაში: ებრაელები, რომლებმაც ოფიციალურად მიიღეს ქრისტიანობა (კათოლიკობა); სასტიკად იდევნებოდნენ ინკ-

ვიზიციისგან.

**მარგინალია** [< ლათ. margo (marginis) კიდე] – წიგნის ან ხელნაწერის კიდეზე, არშიაზე მოთავსებული სათაური ან შენიშვნა.

**მარდუქ**-ი [შუმერ] – ქალაქ ბაბილონის მფარველი ღმერთი; ძვ. წელთაღრ. მე-18 ს.-დან – ბაბილონის პანთეონის უზენაესი ღვთაება.

**მარგარინ**-ი [ფრ. margarine] – საკვები ცხიმები, რომელიც გარეგნულად კარაქს გავს და დამზადებულია სხვადასხვა ცხოველური და მცენარეული ცხიმისა და ზოგი სხვ. ნივთიერებების ერთმანეთში შერევით.

**მარიაჟ**-ი [ფრ. mariage ქორწილი] – ბანქოს თამაშში: ერთი და იმავე ფერის პაპა და ქალი ერთი მოთამაშის ხელში.

**მარინა** [იტ. marina < ლათ. marinus საზღვაო, ზღვისა] – სურათი, რომელზედაც ზღვის ხედია გამოსახული.

**მარინად**-ი [ფრ. marinade] – **1.** წვენი (მწნილისა, მუჟუჟისა).
**2.** მწნილი, მწნილეული.
⊙ **პიკული კიტრის მ.**

**მარიონეტ**-ი [ფრ. marionette] – **1.** თეატრის თოჯინა, რომელიც ზონარზე ან ძაფზეა ჩამოკიდებული და ისე ათამაშებენ (ზევიდან).
**2.** (გადატ.) იტყვიან პიროვნებაზე ან მთავრობაზე რომელიც უსიტყვოდ ასრულებს სხვის ნება-სურვილს.
◎ **მარიონეტული.**
⊙ **მ. მთავრობა.**
○ **მარიონეტკა შცდ.**

**მარიხუანა** – ნარკოტიკი ერთგვარი.

**მარკა**[1] [გერმ. marke] – საფოსტო გადასახადის ნიშანი – პატარა ოთხკუთხი ქაღალდი, რომელზედაც რაიმე გამოსახულებაა და ფასია აღნიშნული; ასეთი ნიშანი სხვადასხვა საბუთზე დასაკრავად.
⊙ **საფოსტო მ., მ.-ების კოლექცია, საგერბო მ.**
◎ **მარკიანი.**
⊙ **მ. კონვერტი.**

**მარკა**[2] [გერმ. mark, ფინ. markka] – ფულის ერთეული გერმანიასა და ფინეთში.

**მარკეტინგ**-ი [ინგ. marketing < market ბაზარი] – ბიზნესის ღონისძიებათა ერთობლიობა ამა თუ იმ საქონლის გასასაღებად საბაზრო პირობათა შესწავლისათვის. ამ პირობებზე ზემოქმედების ხერხები საქონლის გაყიდვის სფეროს გასაფართოვებლად; ბიზნესის

ფილოსოფია; ბაზართკეთება.

**მარკიზ**-ი [ფრ. marquis] – დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში; თავადაზნაურთა ტიტული, გრაფზე მაღალი და ჰერცოგზე დაბალი

**მარკიზა** [ფრ. marquise] – მარკიზის ცოლი ან ქალიშვილი.
◎ **მარკიზასი.**
○ **მარკიზისა შცდ.**

**მარკიორ**-ი [ფრ. marqueur < marquer აღნიშვნა] – პირი, რომელიც ბილიარდს ემსახურება, თამაშის დროს ანგარიშს აწარმოებს.

**მარკშაიდერ**-ი [გერმ. markscheider] – სამთო ინჟინერი – სამთო დამუშავების, გეოდეზიურ გადაღებისა და წიაღისეულის სწორი ექსპლუატაციის სპეციალისტი.
○ **მარქშაიდერი, მარკშეიდერი, მარქშეიდერი შცდ.**

**მარმელად**-ი [ფრ. marmelade] – ხილის წვენისგან შაქრით დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი, ჩვეულებრივ კანფეტების სახისა.
○ **მარმალადი შცდ.**

**მაროდიორ**-ი [ფრ. marauder] – პირი, რომელიც ფრონტზე მოკლულებსა ან დაჭრილებს ძარცვავს; მორალურად გახრწნილი ჯარისკაცი, რომელიც ომის დროს ძარცვავს მოსახლეობას.

**მარს**-ი [ლათ. mars] – (ასტრ.)
**1**. რომაულ მითოლოგიაში (ომის ღმერთი).
**2**. მზის სისტემის ერთ-ერთი დიდი პლანეტა მზისგან დაშორების მიხედვით რიგით მეოთხე (ქართ. სინონ. **მარიხი**).

**მარსელიეზა** [ფრ. < გეოგრ. სახ. marseillaise – საფრანგეთის ქალაქ – მარსელის მიხედვით] – ფრანგული რევოლუციური სიმღერა (შეიქმნა 1732 წ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს), რომლის შედეგად იქცა საფრანგეთის ეროვნულ ჰიმნად; სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის სამხედრო ინჟინერს რეჟე დე ლილს (1760-1836 წწ.).
○ **მარსელიოზა შცდ.**

**მარტინ**-ი [იტ. martini] – კოქტეილი, რომელიც მზადდება ვერმუტისა და ინგლისური არაყის, აგრეთვე მწარე ფორთოხლის წვენისა და ზოგი სხვა კომპონენტისგან.

**მარშ**-ი [ფრ. marche] – **1.** რიტმული სვლა მწყობრში.
⊙ **საზეიმო მ.**
**2**. მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც აქვს ენერგიული მკაფიო რიტმი; განკუთვნილია მრავალი ადამიანის ერთად

სვლის დროს შესასრულებლად.

⊙ **სალაშქრო მ., სამწყობრო მ., სამგლოვიარო მ.**

**მარშალ**-ი [ფრ. marechal] – **1.** სამხედრო წოდებულება გენერლის ზევით.

⊙ **ავიაციის მთავარი მ.**

**2.** (ისტ.) ასე ეწოდებოდა თავადაზნაურთა წინამძღოლს საქართველოში (ოქტომბრის გადატრიალებამდე).

◎ **მარშლისა.**

○ **მარშალისა შცდ.**

**მარშრუტ**-ი [გერმ. marschrute < ფრ. marche და route გზა] – წინასწარ დასახული გზა (ადამიანებისა, მატარებლისა, თვითმფრინავისა...) გასაჩერებელი პუნქტების აღნიშვნა (ქართ. სინონ. **სვლაგეზი**).

⊙ **ტურისტული მ., გადაფრენის მ.**

◎ **სამარშრუტო.**

⊙ **ს. ტაქსი.**

○ **მარშუტი, სამარშუტო შცდ.**

**მასა** [ლათ. massa] – **1.** (ფიზ.) მატერიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის ინერციულ და გრავიტაციულ თვისებებს.

**2.** ამა თუ იმ საგნის შემადგენელი ნივთიერების რაოდენობა, მოცულობა; თვით ნივთიერება, რომლისგანაც შედგება საგანი.

⊙ **წყლის მ.**

**3.** უფორმო ცომისებრი ნივთიერება, სქელი ნარევი.

⊙ **თუჯის გამდნარი მ., კარაქის მ., თაფლის მ.**

**4.** ჩვეულებრივ მრ. – **მასები** – მშრომელი მოსახლეობის ფართო მასები, ხალხი.

⊙ **ცოდნა მ.-ებს!**

(იხ. აგრეთვე **მასობრივი**).

**მასაჟ**-ი [ფრ. massage] – ადამიანის სხეულის რაიმე ნაწილის დაზელა სამკურნალო ან კოსმეტიკური მიზნით.

⊙ **კისრის მ., მ.-ით მკურნალობა, მ.-ის კეთება.**

**მასაჟისტ**-ი – მასაჟის კეთების სპეციალისტი.

**მასივ**-ი [ფრ. massiv მძლავრი, ერთიანი < ლათ. massa გუნდა, ნაჭერი] – სუსტად დანაწევრებული მთიანეთი, რომელსაც არა აქვს მკაფიოდ გამოსახული თხემი.

**2.** გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე.

⊙ **ტყის მ.**

**3.** მრავალი ერთგვაროვანი საგნების, ობიექტების ჩანაწერების ერთობლიობა (რომელიც ეგმ-ს მეხსიერებაშია შენახული).

⊙ **საცხოვრებელი მ. – საცხოვრებელი კვარტალი ქალაქში.**

**მასიური** – დიდი, მძიმე.
⊙ **მ. კარი, მ. სვეტები.**
○ **მასობრივი** სხვაა (იხ.).

**მასკარად-**ი [ფრ. mascarade] – გასართობი საღამო, მეჯლისი, რომლის მონაწილეებს უკეთიათ ნიღბები და აცვიათ განსაკუთრებული, სახასიათო ტანსაცმელი.
◎ **სამასკარადო.**
⊙ **ს. კოსტიუმი.**

**მასკულინიზაცია** [<ლათ. masculinus მამრობითი] – მდედრობითი სქესის ინდივიდისათვის მეორეული მამრობითი სქესობრივი ნიშნების (მაგ., ულვაშების, ბოხი ხმის...) გაჩენა.

**მასმედია** [ინგ. mass media < ლათ.] – კომუნიკაციის საზოგადოებრივი – საინფორმაციო მასობრივი საშუალებების (პრესის, რადიოს, ტელევიზიის და ა. შ.) საერთო სახელწოდება.

**მასობრივი** – **1.** ბევრი ადამიანის მონაწილეობით შექმნილი, შესრულებული.
⊙ **მ. ცეკვები, მ. ორგანიზაციები, მ. დემონსტრაცია.**
**2.** რაც მოსახლეობის ფართო ფენებისათვის არის განკუთვნილი; ბევრისათვის ხელმისაწვდომი.
⊙ **მ. ბიბლიოთეკა, მ. მოხმარების საგნები.**
**3.** რასაც დიდი რაოდენობით აწარმოებენ.
⊙ **საქონლის მ. გამოშვება.**
⊙ **მასიური** სხვაა (იხ.).

**მასონ-**ი [ფრ. mason „თავისუფალი კალატოზი"] – მიმდევარი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის (მასონობისა).

**მასტიტ-**ი [< ბერძ. mastos ძუძუ] – სარძევე ჯირკვლების ანთება, ძუძუს ანთება.

**მასშტაბ-**ი [გერმ. Masstab] – **1.** რუკაზე, ნახაზზე, გეგმაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ნამდვილ სიგრძესთან ადგილზე.
⊙ **მ. 100 კმ. ერთ სანტიმეტრში (1:100).**
**2.** გადატ. (წიგნ.) ზომა, მნიშვნელობა, გაქანება რისამე.
⊙ **მსოფლიო მ.-ის მეცნიერი.**
◎ **მასშტაბური** (მნიშ. 2-ისათვის).
⊙ **მ. მშენებლობა.**
○ **მაშტაბი, მაშტაბური შცდ.**

**მატადორ-**ი [ესპ. matador < matar კვლა] – ტორეადორი,რომელიც დაშნის გადამწყვეტი ჩაცემით კლავს ხარს.

**მატერია** [ლათ. materia] – **1.** (ფილოს.) ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად.
**2.** ნივთიერება, რომლისგანაც

შედგება ფიზიკური სხეულე-ბი.
⊙ **მ.-ის აგებულება.**
**3.** მ.-ის ქსოვილი.
⊙ **საკოსტიუმე მ., საკაბე მ.**

**მატერიალიზმ**-ი [ფრ. matérialisme] – ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა, იდეალიზმის საპირისპირო, რომლის მიხედვითაც მატერია, ბუნება, ყოფიერება არის პირველადი, ხოლო იდეა, ცნობიერება, სული – მეორეული (მეორადი).
◎ **მატერიალისტური.**
⊙ **მ. ფილოსოფია, მ. თვალსაზრისი.**

**მატერიალურ**-ი – **1.** ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული; ნივთიერი, ფიზიკური (საპირისპ. სულიერი).
⊙ **გ. სამყარო.**
**2.** საარსებო საშუალებებთან დაკავშირებული; ქონებრივი.
⊙ **ხალხის მ. კეთილდღეობა, მ. მდგომარეობა.**

**მატრაკაჟ**-ი [ფრ. matraquage დაჭედვა, ჩადება] – მოსაბეზრებელი რადიო და სატელევიზიო რეკლამა ხშირად განმეორებადი ლოზუნგის, სურათის, სიმბოლის, მელოდიის და ა.შ. სახით.

**მატრიარქატ**-ი [ლათ. mater (matris) დედა და ბერძ. arche ძალაუფლება] – პირველყოფილი-გვაროვნული წყობილების ადრეული პერიოდი, როდესაც გვაროვნული ჯგუფები იქმნებოდა ქალის ხაზით ნათესაობის საფუძველზე და ქალს ეჭირა გაბატონებული მდგომარეობა (იხ. აგრეთვე **პატრიარქატი**).
◎ **მატრიარქალური.**
⊙ **მ. გვარი.**
○ **მატრიარხატი, მატრიარხალური შცდ.**

**მატრიკულ**-ი [ლათ. matricula ღია სია] – უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი.

**მატრიმონიალურ**-ი [ლათ. matrimonium (matrimonialis) ქორწინება] – ქორწინებასთან, ცოლქმრობასთან დაკავშირებული.

**მატრიცა** [გერმ. Matrize < ლათ. matrix დასაწყისი, წყარო] – **1.** (პოლიგრ.) ლითონის ჩაღრმავებული ფორმა შრიფტის ჩამოსასხმელად.
**2.** (პოლიგრ.) მუყაოს ჩაღრმავებული ფორმა სტერეოტიპის ჩამოსასხმელად.
**3.** (მათემ.) გარკვეული წესით განლაგებული მათემატიკურ სიდიდეთა ცხრილი.

**მატრონა** [ლათ. matrona] – ძველ რომაელებში: საპატიო ქალი,

ოჯახის დედა.

**მატროს**-ი [ჰოლანდ. matroos] – რიგითი მეზღვაური.

**მატჩ**-ი [ინგ. match] – შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში ორ მოწინააღმდეგეს ან ორ გუნდს შორის.

⊙ **საჭადრაკო მ., საფეხბურთო მ.**

**მატჩ-ბოლი** [ინგ. match მატჩი და ball ბურთი] – ჩოგბურთში: ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთ-ერთ მხარეს მატჩის მოსაგებად მხოლოდ ერთი ბურთის მოგებაღა აკლია.

**მატჩ-რევანში**-ი [ინგ. match მატჩი და revanche რევანში, სამაგიეროს გადახდა] – ჭადრაკში: ექს-ჩემპიონის მიერ ახალი მსოფლიო ჩემპიონის საჭადრაკო ტურნირში გამოწვევა, ტიტულის აღსადგენად.

**მატჩ-ტურნირ**-ი– შეჯიბრება ჭადრაკში, როდესაც ყველა მონაწილე ხვდება ერთმანეთს ორჯერ ან მეტჯერ.

**მაუზერ**-ი [< საკ. სახ.] – პისტოლეტი ერთგვარი.

**მაქინაცია** [ლათ. machinatio ხრიკი, ეშმაკობა] – არაკეთილსინდისიერი ხერხი რისამე მისაღწევად; ხრიკი.

○ **მახინაცია შცდ.**

**მაქსი**... [ფრ. maximal] – მნიშვნელობით გადიდების, გაგრძელების და ა. შ.

⊙ **მაქსი ქვედატანი, ქვედაწელი.**

**მაქსიმა** [< ლათ. maxima (sententia) ძირითადი წესი, პრინციპი] – ქცევის წესი, ლოგიკური ან ეთიკური პრინციპი, რომელიც გამოხატულია მოკლე ფორმით, ფრაზით.

⊙ **იმანუელ კანტი - „იმოქმედე ისე, რომ შენი ქცევის მაქსიმა საყოველთაო კანონად იქცეს".**

**მაქსიმალიზმ**-ი [< ლათ. maximus უდიდესი] – (წიგნ.) რაიმე უკიდურესი მოთხოვნის წამოყენება; გადაჭარბებულობა.

**მაქსიმალური** [< ლათ. maximus უდიდესი] – ყველაზე დიდი, უდიდესი;

**ზღვრული** (საპირისპ. **მინიმალური**).

⊙ **მ. ხელფასი, ავტომობილის მ. დატვირთვა.**

**მაქსიმალისტ**-ი – მაქსიმალიზმის მიმდევარი.

**მაქსიმუმ**-ი [ლათ. maximum] – ყველაზე მეტი რაოდენობა რისამე (საპირისპ. **მინიმუმი**)

⊙ **ხელფასის მ.**

**მაჩეტე** [ესპ. machete] – დიდი დანა, რომლითაც შაქრის ლერწამს ჭრიან.

**მაცა** [ძვ. ებრ. maccâh] – უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები რელიგიური ჩვეულების მიხედვით აცხობენ.

**მაჰაგონ**-ი [ლათ. mahagoni] – ზოგი ტროპიკული ხის მერქანი („წითელი ხე"); იყენებენ მხატვრულ ნაკეთობათა (ავეჯის და სხვ.) დასამზადებლად.

**მაჰარაჯა** [სანსკრ. māharādjā] – ინდოეთში; მთავრის (თავადის) უმაღლესი ტიტული.

⊙ **მაჰარაჯისა.**

○ **მახარაჯა, მახარაჯასი შცდ.**

**მაჰატმა** [სანსკრ. mahatmâ] – **1.** ინდურ მითოლოგიაში: მსოფლიო სული; „ღვთაებრივი ზეადამიანი".

**2**. თანამედროვე ინდოეთში: დიდად გამოჩენილი, განსაკუთრებით პატივცემული, სათაყვანებელ პირთა ტიტული. ამ ტიტულის მქონე პირი.

⊙ **მ. განდი.**

**მაჰმადიან**-ი – მაჰმადიანობის მიმდევარი (სინონ. **მუსლიმი**, **მუსლიმანი**. **მუსულმანი**).

**მაჰმადიანობა** – რელიგია, რომელიც არაბული გადმოცემის მიხედვით დააარსა წინასწარმეტყველმა მაჰმადმა (მუჰამედმა) მე-7 ს.-ში (სინონ. **ისლამი**, **მუსლიმანობა**, **მუსულმანობა**).

**მეანდრ**-ი [საკ. სახ. – დაკლაკნილი მდინარის მეანდრის (ამჟამად მენდერესა) სახელის მიხედვით მცირე აზიაში] – **1.** (გეოლ.) მდინარის კალაპოტის კლაკნილი.

**2**. ორნამენტი მოხრილი და სხვადასხვა მიმართულებით სწორი კუთხით გადამკვეთი ხაზების სახით.

**მეგ(ა)**... [ბერძ. megas დიდი] – **1**. თავსართი, რომელიც საზომ ერთეულთან მიერთებისას აღნიშნავს მის მილიონჯერ გაზრდას; 1 მეგატონა = მილიონ ტონას.

**2.** რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც რაღაც დიდზე მიუთითებს.

⊙ **მეგაპოლისი (**დიდი ქალაქი**).**

**მეგაპოლის**-ი [ბერძ. Megas დიდი და polis ქალაქი] – დიდი მრავალმილიონიანი ქალაქი, რომელიც სხვადასხვა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტის შერწყმის შედეგად წარმოიშვა და ხასიათდება ბუნებრივ გარემოზე დიდი გავლენით.

**მეგაფონ**-ი [ბერძ. Megas დიდი და phone ხმა, ბგერა] – ადამიანის ხმის გამაძლიერებელი დიდი რუპორი, ჩვეულებრივ კონუსის ფორმისა.

**მედალ**-ი [ფრ. medaille] – ნიშანი

– ლითონის მრგვალი ფირფიტა, რომელზედაც რაიმე რელიეფური გამოსახულებაა. იძლევიან როგორც ჯილდოს, რაიმე დიდი მოვლენის ან გამოჩენილი მოღვაწის ხსოვნის აღსანიშნავად.

⊙ **ოქროს მ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის მ.**

◎ **მედლისა.**

○ **მედალისა შცდ.**

**მედალიე́რ**-ი [ფრ. medailleur] – მედლებისა და ლითონის ფულის (მონეტების) ჩამოსხმისა და ჭედვის სპეციალისტი.

○ **მედალიორი შცდ.**

**მედალიო́ნ**-ი [ფრ. medaillon] – საოქრომჭედლო ნაწარმი, რომელსაც ყელზე იკიდებენ; წარმოადგენს მრგვალ ან ოვალურ ბრტყელ ბუდეს, რომელშიც ჩასმულია რაიმე გამოსახულება.

**მედი́ანა** [ლათ. mediana შუა, შუათანა] – (მათ.). წრფის მონაკვეთი, რომელიც სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუა წერტილამდეა გავლებული.

◎ **მედიანისა.**

○ **მედიანასი შცდ**

**მედიატორ**-ი [ლათ. mediator შუამავალი] – **1.** პატარა თხელი ფირფიტა, რომლითაც ინსტრუმენტზე უკრავენ. **2.** (მოძვ.). მომრიგებელი, შუაკაცი.

**მედიკა́მენტ**-ი [ლათ. medicamentum] – (სპეც.) წამალი.

**მედი́კოს**-ი [ლათ. medicus] – მედიცინის სპეციალისტი; ექიმი.

⊙ იხმარება აგრეთვე **მედიკი**.

**მედიტა́ცია** [ლათ. meditation] – (წიგნ.). დაფიქრება, ჭვრეტა.

**მედი́უმ**-ი < [ლათ. medius შუათანა] – **1.** სპირიტების რწმენით: პირი, რომელიც გარდაცვლილთა სულებთან ამყარებს ურთიერთობას; შუამავალი ადამიანებსა და სულებს შორის.
**2**. (მუს.). ქალის სასიმღერო ხმის შუათანა რეგისტრი.

**მედი́ცინა** [ლათ. medicina] – მეცნიერებათა ერთობლიობა ადამიანთა დაავადებების მკურნალობისა და თავიდან აცილების შესახებ.

⊙ **ექსპერიმენტული მ., მ.-ის მუშაკი.**

◎ **სამედიცინო.**

○ **ს. დახმარება, ს. უნივერსიტეტი.**

**მედრესე** [არაბ. madrasa < darasa შესწავლა] – მაჰმადიანთა საშუალო (იშვიათად უმაღლესი) სასულიერო სასწავლებელი.

**მედუზა** [ბერძ. Medusa] – ზღვის ლაბისებური ცხოველი, რო-

მელსაც აქვს საცეცები [ბერძნული მითოლოგიის ფრთოსანი ურჩხულის Medusa-ს სახელის მიხედვით.]

◎ **მედუზისა.**

○ **მედუზასი შცდ.**

**მეზალიანს**-ი [ფრ. misalliance უხამსი კავშირი] – უთანასწორო ქორწინება წოდებრივ საზოგადოებაში.

**მეთოდ**-ი [ბერძ. methodos] – თეორიული გამოკვლევის ან რისამე პრაქტიკული განხორციელების ხერხი.

⊙ **მოწინავე მ., ექსპერიმენტული მ.**

◎ **მეთოდური** – 1. რაიმე მეთოდთან დაკავშირებული.

2. (წიგნ.) თანმიმდევრული.

○ **მეთოდიური შცდ.**

**მეთოდიკა** [ბერძ. methodike] – 1. რისამე პრაქტიკულად შესრულებისთვის საჭირო მეთოდების, ხერხების ერთობლიობა.

⊙ **სამეცნიერო კვლევის .მ.**

2. პედაგოგიკის ნაწილი – მოძღვრება სწავლების მეთოდების შესახებ.

⊙ **ქართული ენის მ., ინგლისური ენის მ., მათემატიკის მ,**

◎ **მეთოდიკური,**

⊙ **მ. სახელმძღვანელო, მ. კაბინეტი.**

○ **მეთოდიური შცდ.**

**მეთოდისტ**-ი რომელიმე საგნის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი.

**მეთოდოლოგია** [ბერძ. methodos მეთოდი და logos მოძღვრება] – 1. მოძღვრება შემეცნების მეცნიერული მეთოდის შესახებ.

2. ერთობლიობა მეთოდებისა, რომლებსაც იყენებენ ცალკეულ მეცნიერებებში.

⊙ **ისტორიის მ.**

○ **მეთოდოლოგიური.**

⊙ **მ. გამოკვლევა, მ, ანალიზი.**

**მეილი** (ან **იმეილი**) [ინგ E-mail (electronic mail) ელექტრონული ფოსტა] – კავშირგაბმულობის ერთ-ერთი სახე: ინფორმაციის გადაცემა სატელეფონო ქსელში მოდემის (იხ.). მეშვეობით ჩართული კომპიუტერებს შორის.

**მელანქოლია** [ბერძ. melancholia] – ნაღვლიანი განწყობილება. სევდა, კაეშანი.

**მელიორატორ**-ი – მელიორაციის სპეციალისტი.

**მელიორაცია** [ლათ. melioratio გაუმჯობესება] – ღონისძიებათა სისტემა (ჭაობების ამოშრობა, მშრალი მიწების ხელოვნური მორწყვა, ხეთა რგვა და სხვ., რომელიც მიზნად ისახავს მიწის არახელსაყრელი ბუნებრივი პირო-

ზების გაუმჯობესებას მისი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით.

**მელო...** [ბერძ. melos სიმღერა] – რთული სიტყვების დასაწყისში უჩვენებს ამ სიტყვების დამოკიდებულებას მუსიკასთან.

**მელოდეკლამაცია** [ბერძ. melos სიმღერა და ლათ. Declamation დეკლამაცია] – მხატვრული კითხვა მუსიკის თანხლებით.

**მელოდია** [ბერძ. melodia სიმღერა] – სიმღერის ჰანგი, კილო, მოტივი.

**მელოდიური** – მოსასმენად სასიამოვნო; კეთილხმოვანი.

⊙ **მ. მუსიკა.**

**მელოდრამა** [ბერძ. melos სიმღერა და drama დრამა] – **1.** (მოძვ.). დრამა, შეერთებული სიმღერასა და მუსიკასთან. **2**. დრამატული ჟანრი, რომელიც გამოირჩევა გაზვიადებული ემოციურობით მორალურ-დამრიგებლური სენტენციებით; ამ ჟანრის ნაწარმოები.

**მელომანია** [ბერძ. melos სიმღერა და mania მისწრაფება, სიგიჟე] – მუსიკის, სიმღერის დიდი სიყვარული.

⊙ **მელომანი.**

**მელპომენე** [ბერძ. Melpomene] – ბერძნულ მითოლოგიაში: ტრაგედიის მუზა; წარმოდგენილი ჰყავდათ ქალად, რომელსაც აქვს სუროს გვირგვინი და ტრაგედიული ნიღაბი.

**მელხიორ**-ი [გერმ. Melchior ფრ. Maillechort ფრანგი გამომგონებლების მაიოს და შორიგის სახელებიდან] – სპილენძის ნიკელთან, რკინასთან და მანგანუმთან შენადნობი ჭურჭლის, ზუსტი მექანიკური დეტალების და სამკაულების დასამზადებლად.

⊙ **მ. დანა-ჩანგალი.**

◎ **მელხიორისა.**

○ **მელხიორასი შცდ.**

**მემბრანა** [ლათ. Membrana აპკი] – **1.** მოქნილი, თხელი ფირფიტა, რომელიც დაჭიმულ მდგომარეობაშია და ამის გამო დრეკადია.

⊙ **ტელეფონის მ.**

**2.** ცოცხალი უჯრედის გარედამცავი აპკი.

◎ **მემბრანისა.**

○ **მემბრანასი შცდ.**

**მემორანდუმ**-ი [ლათ. memorandum რაც უნდა გვახსოვდეს] – **1.** დიპლომატიური დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია მთავრობის თვალსაზრისი რაიმე საკითხის თაობაზე.

⊙ **მ.-ის გადაცემა.**

**2.** რაიმე დაწესებულების მოხსენებითი ბარათი ან ახსნა-

განმარტებითი ცნობა.

**მემორიალ**-ი [იტ. memoriale სამახსოვრო ჩანაწერი] – **1.** ჩანაწერების დღიური.

**2.** არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც აღმართულია ვისამე, რისამე ხსოვნის უკვდავსაყოფად.

⊙ **შინმოუსვლელთა მ.**

**3.** სპორტული შეჯიბრება, გამოჩენილი სპორტსმენის ხსოვნისადმი მიძღვნილი.

⊙ **ვიქტორ გოგლიძის მ.** (საჭადრაკო ტურნირი).

**მემორიალურ**-ი [ლათ. memorialis სამახსოვრო] – რაც გაკეთებულა, შექმნილა ვისამე, რისამე ხსოვნის აღსანიშნავად.

⊙ **მ. დაფა, მ. მუზეუმი.**

**მემუარები** [ფრ. memoires] – მოგონებანი-ლიტერატურული ნაწარმოები, რომლითაც გადმოცემულია ავტორის მოგონებანი პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი სხვადასხვა ამბის, მოვლენის შესახებ.

⊙ **დავით კლდიაშვილის მ.**

◎ **მემუარული.**

⊙ საზღვარგარეთის ქართველ პატრიოტთა **მ. ლიტერატურა.**

**მენესტრელ**-ი [ფრ. menestrel < პროვანსი;] – მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსი შუა საუკუნეებში საფრანგეთსა და ინგლისში.

**მენეჯერ**-ი [ინგლ. manager უფროსი, პატრონი] – **1.** დაქირავებული პროფესიონალი მმართველი (საწარმოს დირექტორი, მთ. ინჟინერი დას სხვ.).

**2.** სპორტული კლუბის ან ცალკეული სპორტსმენის პატრონი, სპორტულ ასპარეზობათა მომწყობი, ორგანიზატორი.

⊙ იხმარება აგრეთვე **მენაჯერი.**

**მენეჯმენტ**-ი [ინგლ. management] – წარმოების მართვის ხელოვნება; სამართავი პრინციპისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტურობის ზრდასა და დანახარჯების შემცირებას.

**მენზურა** [ლათ. mensura საზომი] – საათფთიაქო ან ლაბორატორიული (დანაყოფებიანი) ჭურჭელი სითხეების ასაწყავად.

◎ **მენზურისა.**

○ **მენზურასი შცდ.**

**მენთოლ**-ი [ლათ. menthe პიტნა და ol(eum) ზეთი] – გამჭვირვალე კრისტალური ნივთიერება; აქვს პიტნის მძაფრი სუნი; იყენებენ მედიცინაში, პარფიუმერიაში და სხვ.

**მენინგიტ**-ი < [ბერძ. meninx (meningos) ტვინის გარსი] – (მედიც.). ტვინის გარსის ანთება.

**მენისკ**-ი [ბერძ. meniskos ნახევარმთვარე] – **1**. წვრილ, კაპილარულ მილში მოთავსებული სითხის ჩაზნექილი ან ამოზნექილი ზედაპირი.
**2**. ერთი მხრიდან შეზნექილი და მეორე მხრიდან გამოზნექილი მინა.
**3**. (ანატ.) მუხლის სახსრის (შიგნითა და გარეთა) სახსარშიგა ხრტილი.

**მენიუ** [ფრ. menu] – **1**. ფურცელი, ბარათი,რომელზედაც საჭმელ-სასმელის სიაა ჩამოწერილი ფასების აღნიშვნით (რესტორანში, სასადილოში, კაფეში).
**2**. სადილისთვის, საუზმისთვის ან ვახშმისთვის შერჩეული საჭმელ-სასმელი.

**მენსტრუაცია** [ლათ. mensdruus ყოველთვიური] – ქალის ყოველთვიური ბუნებრივი სისხლდენა საშვილოსნოდან.

**მენტალიტეტ**-ი [ფრ. mentalitate < ლათ. mentalis გონებრივი] – **1**. გონების ნირი, გონებრივი განწყობა.
**2**. პიროვნების ან საზოგადოების ჯგუფის აზროვნების წესი, ხერხი.

**მენტალურ**-ი [ლათ. mens (mentis) ჭკუა, გონება, აზროვნება] – (წიგნ.). აზრიანი, აზროვნებასთან დაკავშირებული; აზრობრივი, გონებრივი.

**მენტორ**-ი [ბერძ. Mentor ტელემაკის, ოდისეის შვილის გამზრდელი, გომერის პოემის “ოდისეის” მიხედვით] – ხელმძღვანელი, გამზრდელი, დამრიგებელი.

**მენტორულ**-ი – დამრიგებლური.

**მერ**-ი [ფრ. maire, ინგლ. mayor < ლათ. major დიდი, მთავარი] – ქალაქის მუნიციპალიტეტის მეთაური; მერიის მეთაური.
⊙ **თბილისის მ., პარიზის მ.**

**მერია** [ფრ. mairie] – ქალაქის თვითმმართველობის ორგანო; მუნიციპალიტეტი.
⊙ **თბილისის მ., პარიზის მ.**

**მერიდიან**-ი [ლათ. meridianus საშუადღეო] – (გეოგრ.) წარმოსახვით წრიული ხაზი, რომელიც გადის დედამიწის პოლუსებზე და მართი კუთხით კვეთს ეკვატორს.

**მერინოს**-ი [ესპ. merino (მრ. merinos)] – **1**. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში. **2**. ასეთი ჯიშის ცხვრის მატყლი; ამ მატყლის ქსოვილი.

**მერკურ**-ი [ლათ. Mercurius მარსი] – **1**. რომაულ მითოლოგიაში:

ვაჭრობის ღმერთი, ვაჭრობისა და მოგზაურთა მფარველი, ღმერთების შიკრიკი (ძველ ბერძნულ მითოლოგიაში **ჰერმესი**).
**2**. (ასტრ.). მზის სისტემის პლანეტა, მზესთან ყველაზე უფრო ახლოს მყოფი (ქართ. სინონ. **მარიხი**).

**მეროვინგებ**-ი [საკუთ. სახ.] – საფრანგეთის პირველი სამეფო დინასტია (მე-5-8 სს.).

**მესა** [იტ. messe] – **1**. კათოლიკური ღვთისმსახურება, წირვა.
**2**. მუსიკალური გუნდური ნაწარმოები ამ ღვთისმსახურების ტექსტზე, ჩვეულებრივ ორგანისა და ორკესტრის თანხლებით.

**მესალინა** – იტყვიან ამორალური ყოფაქცევის ქალზე [რომაელი კლავდიუსის მესამე ცოლის Messalina-ს სახელის მიხედვით, რომელიც ცნობილი იყო ვერაგობითა და გარყვნილობით].

**მესია** [< ძვ. ებრ. masiah მირონცხებული, მხსნელი] – იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიაში: ღვთაებრივი მხსნელი კაცთა ცოდვების გამოსასყიდად (შერაცხავენ **იესო ქრისტეს**).

**მეტაბოლიზმ**-ი [< ბერძ. metabolē შეცვლა, ცვლილება] – (ფიზიოლ.) ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა.

**მეტალურგია** [< ბერძ. metallurgio ლითონებს ვამუშავებ] – **1**. მძიმე მრეწველობის დარგი – გადნობილი ლითონის მიღება და მისი პირველი დამუშავება.
⊙ **შავი მ., ფერადი მ.**
**2**. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ლითონთა სამრეწველო წარმოებასა და მათი პირველადი დამუშავების ხერხებს.

**მეტამორფოზ**-ი [ბერძ. metamorphosis] – (წიგნ.). რისამე ერთი ფორმის სხვა ფორმად გადაქცევა. სახეცვლილება, გარდაქმნა. ზოგჯერ ამბობენ **მეტამორფოზა**-საც, რაც დასაშვებია.

**მეტანია** [< ბერძ. metagnoia მონანიება] – (ეკლ.). მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა ლოცვა-ვედრების დროს.

**მეტასტაზ**-ი [ბერძ. metastasis გადანაცვლება] – **1**. სისხლის ლიმფის ნაკადით ბაქტერიებისა და სიმსივნის უჯრედების გადატანა, რაც იწვევს დაავადების კერებს ახალ ადგილებში.
**2**. ასეთი გადატანის შედეგად გაჩენილი მეორეული კერა დაავადებისა.

**მეტაფიზიკა** [ბერძ. meta physika ფიზიკის შემდეგ, შემდგომ] – **1.** შემეცნების მეთოდი, რომელიც, დიალექტიკისგან განსხვავებით, მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულით, უარყოფს საგნებისა და მოვლენების შინაგან წინააღმდეგობას.

**2.** იდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც განიხილავს ცდის მიღმურ მოვლენებს (ღმერთს, სულს და მისთ.).

**მეტაფორა** [ბერძ. metaphora გადატანა] – (ლიტ.). სიტყვის ამ გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, რაც ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალიზს; ამგვარად ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა.

**მეტემფსიქოზ**-ი [ბერძ. metem-sychosis „სულების გადასახლება“] – რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება გარდაცვლილი ორგანიზმის სულის სხვა ორგანიზმში გადასახლების შესახებ მ. წარმოადგენს ბრაჰმანიზმის, ინდუიზმისა და ზოგი სხვა რელიგიის შემადგენელ ნაწილს.

**მეტეო**... [ბერძ. meteora ატმოსფერული მოვლენა] – რაც ეხება დედამიწის ატმოსფეროს მოვლენებს, აგრეთვე მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ამ მოვლენებს.

⊙ **მეტეოპირობები, მეტეოროლოგიური, მეტეოცნობა.**

**მეტეორ**-ი [ბერძ. meteōros ჰაერში მოლივლივე] – კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული მნათობი სხეული, რომელიც შემოიჭრა დედამიწის ატმოსფეროში და სწრაფად მოძრაობს.

◎ **მეტეორული.**

⊙ **მ. სხეული.**

(იხ. აგრეთვე **მეტეორიტი**).

**მეტეორიტ**-ი [ფრ. meteōrite] – რკინის ან ქვის სხეული, რომელიც ჩამოვარდა დედამიწაზე კოსმოსური სივრციდან.

◎ **მეტეორიტული.**

⊙ **მ. ნაწილაკები.**

(იხ. აგრეთვე **მეტეორი**).

**მეტეოროლოგია** [ბერძ. meteorologia (meteora ატმოსფერული მოვლენები და logos მოძღვრება)] – **1.** მეცნიერება დედამიწის ატმოსფეროს შესახებ, მისი აგებულების, თვისებებისა და მასში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესახებ.

◎ **მეტეოროლოგიური.**

⊙ **მ. სადგური, მ. დაკვირვება.**

**მეტიზაცია** [< ბერძ. métisation] – სხვადასხვა ჯიშის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შეჯვარება ჰიბრიდის გამოსაყვანად.

**მეტის**-ი [ფრ. mētis] – **1**. მეტიზაციის შედეგად მიღებული ცხოველი ან მცენარე.
**2**. ადამიანი, რომელიც წარმოშობილია სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა (უპირატესად თეთრების და ინდიელების) ქორწინების შედეგად.

**მეტრ**-ი[1] [ფრ. métre < ბერძ. metron ზომა] – სიგრძის საზომი ძირითადი ერთეული საზომთა მეტრულ სისტემაში; უდრის 100 სმ.-ს.
◎ **მეტრული**.
⊙ **მ. ერთეულები**.
○ **მეტრა, მეტრო შცდ**.

**მეტრ**-ი[2] [ბერძ. metron ზომა] – **1**. (ლიტ.). ლექსთაწყობის ზომა.
**2**. (მუს.) ტაქტის ძლიერი და სუსტი ნაწილების სიმეტრიული განლაგება.

**მეტრდოტელ**-ი [ფრ. matre d'hôtel] – **1**. უფროსი ოფიციანტი, რიგის მიმცემი, განმკარგულებელი რესტორანში.
**2**. უფროსი მსახური, რომელიც განაგებს ჭამა-სმის საქმეს.

**მეტრიკა**[1] [ბერძ. metrikē < metron ზომა] – (ლიტ.) მოძღვრება ლექსის ზომისა და ლექსთაწყობის შესახებ.

**მეტრიკა**[2] [პოლონ. metryka] – დაბადების მოწმობა.
◎ **მეტრიკული**.
⊙ **მ. ამონაწერი**.

**მეტრო** [ფრ. métro] – (შემოკლ.). იგივეა რაც მეტროპოლიტენი.

**მეტროლოგია** [ბერძ. metron ზომა და iogos მოძღვრება] – მეცნიერება ზომა-წონის შესახებ.

**მეტრონომ**-ი [ბერძ. metron ზომა და nomos კანონი] – მექანიკური ხელსაწყო, რომელიც დარტყმებით აღნიშნავს დროის მცირე შუალედებს; აყენებენ მუსიკალური ნაწარმოების ზუსტი ტემპით შესასრულებლად, ლაბორატორიაში ზუსტი გაზომვებისათვის.

**მეტროპოლია** [ბერძ. metropolis] – **1**. კაპიტალისტური სახელმწიფო თავისი კოლონიების მიმართ.
**2**. ძველ საბერძნეთში: ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) თავისი ახალშენების (უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე დაარსებული კოლონიების) მიმართ.

**მეტროპოლიტენ**-ი [ფრ. métropolitain] – საქალაქო რკინიგზა, ჩვეულებრივ მიწისქვეშა.

⊙ **თბილისის მ.**

**მეფისტოფელი** [ბერძ. Mephistopheles] – ძველი გერმანული ლეგენდის მიხედვით: ბოროტი სული, დემონი (გამოყვანილია გოეთეს “ფაუსტში” და ბევრ სხვა ნაწარმოებში).

**მექანიზატორ**-ი – სპეციალისტი, რომელიც ემსახურება მანქანებსა და მექანიზმებს.

⊙ **სოფლის მეურნეობის მ.-ები.**

○ **მეხანიზატორი შცდ.**

**მექანიზაცია** და **მექანიზება** [< ბერძ. mechanē მანქანა, იარაღი] – წარმოების აღჭურვა მანქანებითა და მექანიზმებით.

⊙ **სოფლის მეურნეობის მ.**

○ **მეხანიზაცია, მექანიზირება, მეხანიზირება შცდ.**

**მექანიზმ**-ი [ბერძ. mechanē მანქანა, იარაღი] – **1.** მანქანის, ხელსაწყოს, აპარატის მამოძრავებელი შინაგანი მოწყობილობა.

⊙ **ავტომობილის მ., საათის მ.**

**2.** მანქანა მოწყობილება რაიმე სამუშაოს შესასრულებლად.

⊙ **ამწევი მ., მიწის სათხრელი მ.-ები.**

**მექანიკა** [ბერძ. mēchanikē (téchnē)] – მეცნიერება მანქანათა შესახებ] – **1.** ფიზიკის ნაწილი – მეცნიერება სივრცეში სხეულთა გადანაცვლების (გადაადგილების) შესახებ.

⊙ **თეორიული მ.**

**2.** ტექნიკის დარგი – მოძრაობისა და ძალთა შესახებ მოძღვრების გამოყენება პრაქტიკულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

⊙ **სამშენებლო მ., გამოყენებითი მ.**

**3.** (გადატ.) რისამე ფარული რთული მოწყობილება.

◎ **მექანიკური.**

⊙ **მ. მოძრაობა, მ. ძალების შემოქმედება.**

○ **მეხანიკა, მეხანიკური შცდ.**

**მექანიკოს**-ი – **1.** მექანიკის სპეციალისტი.

⊙ **ავტომექანიკოსი.**

**2.** პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს მანქანა-მექანიზმების მუშაობას.

○ **მეხანიკი შცდ.**

**მექანიკური** – **1.** მექანიზმის საშუალებით მოქმედი.

⊙ **მ. ხერხი.**

**2.** მანქანებისა და მექანიზმების დამზადებასთან, მათ რემონტთან დაკავშირებული.

⊙ **მ. ქარხანა, მ. საამქრო, მ. სახელოსნო.**

**3.** (გადატ.) არაცნობიერი, უნებლიე.

⊙ **გ. შეცდომა.**

○ **მეხანიზმი, მეხანიკური შცდ.**

**მეშჩან**-ი [რუს. мещан] – ადამიანი, რომელსაც წვრილმესაკუთრული. ინტერესები, ვიწ-

რო თვალთახედვა აქვს.

**მეჩეთი**-ი [არაბ. masðid მასჯიდი] – მუსლიმანთა სამლოცველო სახლი.

**მეცენატ**-ი – მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი [რომაელი პოლიტიკოსი მოღვაწის Mecenas (Mecenatis)-ის სახელის მიხედვით; მფარველობდა განთქმულ პოეტებს – ვერგილიუსს, ჰორაციუსს და სხვებს].

**მეჯლის**-ი [< არაბ. madžlis კრება, თათბირი] – **1**. დიდი წვეულება, დიდი საცეკვაო საღამო (სინონ. **ბალი**).
**2**. ირანსა და თურქეთში: პარლამენტი.
◎ **სამეჯლისო** (მნიშვ. 1-ისათვის).
⊙ **ს. ცეკვები.**

**მი** [იტ. mi] – მუსიკალური გამის მესამე ბგერა; ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი.

**მიგრაცია** [ლათ. migratio გადასახლება] – **1**. მოსახლეობის გადაადგილება, გადასახლება ქვეყნის შიგნით ან ერთი ქვეყნიდან მეორეში.
⊙ **შინაგანი მ., საერთაშორისო მ.**
**2**. (ბიოლ.) ცხოველების გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე.
⊙ **თევზების მ., ცხოველების სეზონური მ.**
◎ **მიგრაციული, სამიგრაციო.**
⊙ **მ. (ს.) თეორია, თევზების ს. გზები**

**მიგრენ**-ი [ფრ. migraine ბერძ. hēmikrania – თავის ქალის ნახევარი] – თავის ტკივილის მუდმივი შეტევა გულისრევითა და პირღებინებით.

**მიელიტ**-ი [< ბერძ. myelos (ძვლის) ტვინი] – (მედიც.). ზურგის ტვინის ანთება.

**მიზანთროპ**-ი [ბერძ. misanthrôpos] – პირი, რომელიც ადამიანებს, საზოგადოებას გაურბის, უჟმური; კაცთმოძულე.

**მიზანთროპია** [ბერძ. misanthrôpia] – ადამიანისადმი სიძულვილი; ადამიანთა სიძულველობა.

**მიზანსცენა** [ფრ. miseen scéne] – სცენაზე განლაგება. მსახიობების განლაგება სცენაზე წარმოდგენის ამა თუ იმ მომენტში.

**მიზერერე** [ლათ. misērere შეწყალება, misereri შემიწყალე] – ორმოცდამეათე ფსალმუნი: **mizerere mei, domine!** (მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა!).

**მიზერულ**-ი [ლათ. miser ღარიბი] – ძალიან პატარა, პაწაწა, უმნიშვნელო.

**მით**-ი [ბერძ. mythos გადმოცემა, თქმულება] – ძველი ხალხური თქმულება, გადმოცემა ღმერთებსა და ლეგენდარულ გმირებზე, სამყაროს შექმნისა და სიცოცხლის წარმოშობაზე.
⊙ **ანტიკური მ.-ები.**
◎ **მითური.**
⊙ **მ. გადმოცემა, მ. პიროვნება.**
⊙ ზოგჯერ იხმარება აგრეთვე **მითოსი.**
○ **მითიური შცდ.**

**მითოლოგია** [ბერძ. mithologia] – 1. მითების ერთობლიობა.
⊙ **ბერძნული მ., ქართული მ.**
2. მითების შემსწავლელი მეცნიერება.
◎ **მითოლოგიური.**
⊙ **მ. სიუჟეტი, მ. ლექსიკონი.**

**მითრა** [სპარს. mitrâ] – ძველი ინგის, ინდოეთსა და ზოგი სხვა ქვეყნის რელიგიაში: მზის, სინათლის, სიწმინდისა და სიმართლის ღმერთი.

**მიკადო** [იაპ. mikado] – იაპონიის იმპერატორთა ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

**მიკოლოგია** [ბერძ. mikēs სოკო და logos მოძღვრება] – ბოტანიკის ნაწილი, რომელიც სოკოებს სწავლობს.

**მიკრო**... [ბერძ. mikros მცირე] – 1. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც რაიმეს მცირე ზომებზე მიუთითებს: **მიკროსამყარო** – ატომური ზომის ობიექტთა ერთობლიობა.
2. თავსართი, რომლიც საზომ ერთეულის სახელთან მიერთებისას აღნიშნავს მის მემილიონედ ნაწილს; 1 მიკრომეტრი = მეტრის მემილიონედს.

**მიკრობ**-ი [ბერძ. mikros პატარა, პაწაწა და bios სიცოცხლე] – მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ორგანიზმი.
⊙ **დაავადებების გამომწვევი მ.-ები.**

**მიკრობიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც მიკრობებს სწავლობს.
◎ **მიკრობიოლოგიური.**
⊙ **მ. ლაბორატორია.**

**მიკროკლიმატ**-ი – პატარა სივრცის კლიმატი, რაც განაპირობებულია ადგილის თავისებურებით (ტყით,მინდვრით, ჭაობით და სხვ.).

**მიკროკოსმოს**-ი [ბერძ. mikros პატარა, პაწაწა და kosmos სამყარო] – უმცირესი სიდიდეების (ატომების, ელექტრონების და მისთ.) სამყარო (შდრ. **მაკროკოსმოსი**).

**მიკროლიტრაჟიანი** [ბერძ. mikros მცირე და ფრ. litrage] – **მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი** – პატარა მსუბუქი

ავტომობილი (სხვანაირად: **მცირელიტრაჟიანი ავტომობილი**).

**მიკრონ**-ი [< ბერძ. mikros პატარა, პაწაწა] – მეტრის მემილიონედი ნაწილი.

**მიკროორგანიზმ**-ი – შეუიარაღებელი თვალით უხილავი მცენარე ან ცხოველური ორგანიზმი.

**მიკროსკოპ**-ი [ბერძ. mikros პატარა, პაწაწა და skopeô ვუყურებ] – ოპტიკური ხელსაწყო თვალით უხილავი საგნების დასანახად.

**მიკროსკოპული** – **1**. მიკროსკოპის საშუალებით შესრულებული.

⊙ **მ.ანალიზი, მ. გამოკვლევა.**

**2**. რაც მხოლოდ მიკროსკოპით შეგვიძლია დავინახოთ; პაწაწკინტელა.

⊙ **მ. ორგანიზმები, მ. უჯრედები.**

○ **მიკროსკოპიული შცდ.**

**მიკროფონ**-ი [ბერძ. mikros პატარა, პაწაწა და phōnē ბგერა] – მოწყობილობა, რომელიც, ბგერით რხევებს გარდაქმნის ელექტრულ რხევებად მის დიდ მანძილზე გადასაცემად ან გასაძლიერებლად.

**მიკროქირურგია** [ბერძ. mikros პატარა და cheirurgia < cheir ხელი და ergon მუშაობა] – ქირურგიული ოპერაციის კეთება მიკროსკოპის ქვეშ ძალიან პატარა ქსოვილებზე, სისხლძარღვებზე, პაწაწა ძვლებზე.

**მიალგია** [ბერძ. my(s) კუნთი და algos ტკივილი] – (მედიც.) კუნთების ტკივილი.

**მილ**-ი [ინგლ. mile] – გზის სიგრძის საზომი ერთეული (რიგ ქვეყანაში სხვადასხვა სიდიდისა).

⊙ **ინგლისური მ., სახმელეთო მ., საზღვაო მ. (უდრის 1,85 კმ-ს)**

**მილედ**-ი [ინგლ. miledy] – ინგლისში: დიდგვაროვანი გათხოვილი ქალის, ლორდის მეუღლის ხსენება ანდა მისდამი მიმართვა.

**მილი** [ლათ. mille ათასი] – თავსართი, რომელიც საზომი ერთეულის მეათასედ ნაწილს აღნიშნავს: 1 მილიმეტრი = მეტრის მეათასედს.

**მილიარდ**-ი [ფრ. milliard] – ათასი მილიონი (1 000 000 000).

**მილიარდერ**-ი [ფრ. milliardaire] – (ფულის რაიმე ერთეული) მილიარდდად (მილიარდებად) ღირებული სიმდიდრის პატრონი.

**მილიმეტრ**-ი – მეტრის ერთი მეათასედი ნაწილი.

**მილიონ**-ი [ფრ. million] – ათას-

ჯერ ათასი (1 000 000).

**მემილიონე** – რიგის მიხედვით მილიონი.

⊙ **მ. მგზავრი, გამოფენის მ. მნახველი.**

**მემილიონედი** – მილიონ თანასწორ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი.

◎ **მილიონიანი.**

⊙ **მ. ქალაქი, გაზეთის მ. ტირაჟი.**

◎ **მემილიონისა.**

○ **მემეილიონესი შცდ.**

**მილიონერ**-ი [ფრ. millionaire] – (ფულის რაიმე ერთეული) მილიონად (მილიონებად) ღირებული სიმდიდრის პატრონი.

**მილიტარიზაცია** – სახელმწიფოთა ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დაქვემდებარება დაპყრობითი ომების მომზადების მიზნებისთვის; შეიარაღება.

**მილიტარიზმ**-ი [< ლათ. militaris სამხედრო] – **1**. შეიარაღების გაძლიერებისა და ომისათვის მზადების რეაქციული პოლიტიკა.

**2**. აგრესიული სამხედრო წრეების პოლიტიკური ბატონობა.

◎ **მილიტარისტული.**

⊙ **მ. პოლიტიკა, მ. სახელმწიფო.**

**მილიტარისტ**-ი – პირი, რომელიც მილიტარიზმის პოლიტიკას მისდევს.

**მილიცია** [ლათ. militia სამხედრო სამსახური] – **1**. ყოფილ სსრკ-ში: ადმინისტრაციული ორგანო საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დასაცავად; ამ ორგანოს ადგილობრივი სამმართველო.

◎ **სამილიციო.**

⊙ **ს. უბანი.**

**2**. არამუდმივი ჯარი, შექმნილი სახელმწიფო ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებში.

**მილორდ**-ი [ინგლ. Milord] – **1**. ინგლისში: ლორდის ხსენება ანდა მისდამი მიმართვა.

**2**. მიმართვა მოსამართლისადმი (ინგლისში).

**მიმ**-ი [ბერძ. mimos] – **1**. ძველ საბერძნეთსა და რომში – სახალხო წარმოდგენა, სადაც შერწყმული იყო იმპროვიზაციული დიალოგი, სიმღერა, ცეკვები.

**2**. ასეთი წარმოდგენის მსახიობი.

**3**. პანტომიმის შემსრულებელი მსახიობი (ამჟამად).

**მიმიკა** [< ბერძ. mimikos მიმბაძველობითი] – ადამიანის გრძნობების, განცდების, განწყობილების გამოხატვის ხელოვნება სახის კუნთების სათანადო მოძრაობით.

◎ **მიმიკური.**
⊙ **მ. რეფლექსები.**
○ **მიმიური შცდ.**

**მიმიკრია** [ინგლ. mimicry დამსგავსება, მიბაძვა < ბერძ.] – **1.** (ბიოლ.) ზოგი სახეობის ცხოველებისა (მაგ., ქამელეონი) და მცენარეების თავდაცვითი შეგუება – ფორმით ან ფერით დამსგავსება გარემო საგნებთან, სხვა ცხოველებთან და მცენარეებთან.
**2.** (გადატ.) ადამიანის უნარი – თავისი შეხედულებების დაფარვისა, გარემოებათა მისადაგებისა.
◎ **მიმიკრიისა.**
○ **მიმიკრიასი შცდ.**

**მიმოზა** [< ბერძ. mimos მიმბაძველი] – სამხრეთის ქვეყნებში გავრცელებული მცენარე: აქვს პატარა ყვავილები.

**მინარეთ**-ი [არაბ. minārat] – მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეძინი მუსლიმანებს სალოცავად მოუწოდებს.

**მინერალ**-ი [< ფრ. minéral] – ბუნებრივი ქიმიური ნაერთი ან ელემენტი, რომელიც შედის ქანების, მადნის, მეტეორიტების შემადგენლობაში.
◎ **მინერალური.**
⊙ **მ. ნივთიერება, მ. სასუქები, მ. წყლები.**

**მინერალოგია** [ფრ. minéral მინერალი და logos მოძღვრება] – მეცნიერება მინერალების შესახებ.
◎ **მინერალოგიური.**
⊙ **მ. კაბინეტი.**

**მინერვა** [ლათ. Minerva მიმბაძველი] – რომაულ მითოლოგიაში: სიბრძნის ქალღმერთი, მეცნიერების, ხელოვნების მფარველი (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება **ათენა**).

**მინი** – (შემოკლ.) მინიმალური ან მინიატურული: ითქმის ძალიან მოკლე კაბაზე, ქვედატანზე, აგრეთვე ძალიან პატარა ავტომობილზე.

**მინიატიურა** [ფრ. miniature იტ. miniatura] – **1.** ფერადებით მოხატული მთავრული ასო ან სურათი ძველ ხელნაწერებში.
**2.** ფაქიზად შესასრულებელი პატარა ხატი რაიმე ნაკეთობაზე.
**3.** პატარა ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები.
⊙ **მ.-ების თეატრი, შუბერტის მ.-ები.**
◎ **მინიატიურული, მინიატიურისა.**
⊙ **მ. ფერწერა.**
○ **მინიატურა, მინიატურული, მინიატიურასი შცდ.**

**მინიმალური** [< ლათ. minimus უმცირესი] – ყველაზე ნაკლე-

ბი; უმცირესი (საპირისპ. **მაქსიმალური**).

⊙ **მ. რაოდენობა.**

**მინიმუმ**-ი [< ლათ. minimum] – **1.** ყველაზე ნაკლები რაოდენობა რისამე (საპირისპ. **მაქსიმუმი**).

⊙ **საარსებო მ., ხელფასის მ.**

**2.** ცოდნის, სასწავლო საგნების ერთობლიობა, რაც აუცილებელია რაიმე სპეციალისტისათვის.

⊙ **ტექნიკური მ., აგრონომიული მ.**

**მინისტრ**-ი [ფრ. ministre] – მთავრობის წესი, რომელიც მეთაურობს ამა თუ იმ სამინისტროს.

⊙ **განათლების მ.**

**მინისტრთა კაბინეტი** – მთავრობა.

**სამინისტრო** – სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, რომელიც განაგებს ამა თუ იმ დარგს.

⊙ **ჯანმრთელობის დაცვის ს.**

**მინუს**-ი [ლათ. minus ნაკლებად] – გამოკლების ან უარყოფითი სიდიდის ნიშანი (-) მათემატიკაში; ტემპერატურაზე მითითებას ნიშნავს: ნულის ქვემოთ (საპირისპ. **პლუსი**).

⊙ **მ. 10 (ან -10) გრადუსი.**

**მინუტ**-ი [ლათ. minutus გერმ. minute შემცირებული,პატარა] – **1.** კუთხისა და რკალის საზომი ერთეული; უდრის გრადუსის 1/60 ნაწილს; აღინიშნება ნიშანით ' ციფრის მარჯვნივ.

**2.** (მოძვ.) წუთი.

**მიოზიტ**-ი [< ბერძ. mys (myos) კუნთი] – (მედიც.) კუნთების ანთება.

**მიოკარდ**-ი [ბერძ. mys (myos) კუნთი და kardia გული] – (ანტ.) გულის კუნთოვანი კედელი.

**მირაჟ**-ი [ფრ. mirage] – **1.** ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა, როდესაც ჰორიზონტთან ჩნდება დედამიწაზე არსებული საგნების ცრუ გამოსახულებანი.

⊙ **მ. უდაბნოში.**

**2.** (გადატ.) მოჩვენებითი რამ.

**მირზა** [სპარს. Mirzâ] – **1.** ირანში, სამეფო სახლის წევრების ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

**2.** ირანში: უმაღლესი მოხელის ან მეცნიერის საპატიო სახელი.

**3.** აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში: მდივანი, მწერალი.

**მის** [ინგ. Miss] – ინგლისურენოვან ქვეყნებში: გაუთხოვარი ქალის ხსენება ან მიმართვა მისადმი (ჩვეულებრივ სახელთან ან გვართან ერთად); ქალიშვილი; ქალიშვილო!

○ **მისს შცდ.**

**მისგით**-ი [არაბ] იგივეა, რაც მეჩეთი.

**მისია** [ლათ. missio გაგზავნა] – **1.** (წიგნ.) საგანგებო დავალება.

⊙ **მას დიდი მ. დააკისრეს.**

**2**. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა დესპანის მეთაურობით.

**3.** დიპლომატიური დელეგაცია საგანგებო დავალებით.

⊙ **სამხედრო მ.**

**მისიონერ**-ი [ფრ. missionnaire] – ქრისტიანულ ეკლესიის მიერ წარგზავნილი მქადაგებელი რელიგიური პროპაგანდის გასაწევად და სხვა რჯულის მორწმუნეების მოსაქცევად.

**მისის** [ინგ. Mistress] – ინგლისუროვან ქვეყნებში: გათხოვილი ქალის ხსენება ან მისადმი მიმართვა (ჩვეულებრივ გვართან ან სახელთან ერთად); ქალბატონი; ქალბატონო!

○ **მისსის შცდ.**

**მისტერ** [ინგ. Mister] – ინგლისუროვან ქვეყნებში: მამაკაცის ხსენება ან მისადმი მიმართვა (ჩვეულებრივ, გვართან ერთად); ბატონი, ბატონო!

**მისტერია** [ბერძ. mystēria საიდუმლოებანი] – **1.** ანტიკურ ქვეყნებში (საბერძნეთში, რომში და სხვ.) საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება.

**2.** შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: დრამა, რომელსაც ჰქონდა ბიბლიური სიუჟეტი.

**მისტიკა** [< ბერძ. mystikos საიდუმლო] – **1.** რწმენა, რომლის მიხედვითაც არსებობენ ზებუნებრივი ფანტასტიკური ძალები და თითქოს შესაძლებელია მათთან ურთიერთობის დამყარება.

⊙ **შუასაუკუნეობრივი მ.**

**2.** (გადატ.) იდუმალი რამ.

◎ **მისტიკური.**

⊙ **მ. რწმენა.**

○ **მისტიური შცდ.**

**მისტიფიკაცია** [ფრ. mystification < ბერძ.] – (წიგნ.) განზრახ ვისიმე შეცდენა, მოტყუება.

**მისტიციზმ**-ი – მისტიკაზე დაფუძნებული რელიგიურ იდეალისტური მსოფლიომხედველობა; მიდრეკილება მისტიკისადმი.

**მიტელშპილ**-ი [გერმ. Mittelspiel შუა თამაში] – ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი.

**მიტინგ**-ი [ინგ. meeting] – მასობრივი კრება პოლიტიკური და სხვა საჭირბოროტო საკითხების განსახილველად.

**მიტრა** [ბერძ. mitra] – უმაღლეს სასულიერო პირთა (აგრეთვე დამსახურებულ მღვდელთა) მაღალი მრგვალი თავსარქმელი, რომელსაც იხურავენ მღვდელმსახურების დროს.

**მიტროპოლიტ**-ი [ბერძ. metropolitēs] – მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდებულება; ამ წოდებულების მქონე პირი.

**მიუზიკლ**-ი [ინგ. musical] – მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები უპირატესად კომედიური ხასიათისა, რომელშიც გამოყენებულია თანამედროვე ყოფითი მუსიკის, ქორეოგრაფიის საშუალებანი; ასეთი ჟანრის კინოფილმი.

○ **მუზიკლი შცდ.**

**მიუზლე** [ფრ. miuslé] – შამპანურის ბოთლის სახურავის მოწნული| მავთულის ბადურა.

**მიურიდ**-ი [< არაბ.] – მიურიდიზმის მიმდევარი.

**მიურიდიზმ**-ი – ისლამის ყველაზე უფრო მებრძოლი რეაქციული მიმდინარეობა, რომელიც რელიგიის მთავარ დოგმატად აღიარებს ყველა არამუსლიმანის ულმობელი გაჟლეტის იდეას.

**მიქსერ**-ი [ინგ. mixer შემრევი] – ელექტრული ხელსაწყო ცომის, კრემის, პიურეს, კოქტეილის მოსამზადებლად კვერცხის ათქვეფით და სხვ.

**მიქსტურა** [ლათ. mixtura] – დასალევი წამალი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ნივთიერების ნარევს.

**მიშურა** [არაბ. muzevvere ყალბი] – **1.** მოოქროვილ ან მოვერცხლილი მეტალის ძაფი, რომელიც ფარჩის ქსოვილის მოსართავად გამოიყენება; იხმარება აგრეთვე ნაძვის ხის მოსართავად.

**მიჩმან**-ი [ინგ. midshipman] – სამხედრო-საზღვაო ფლოტში: ზემდეგთა შემადგენლობის უმაღლესი წოდებულება.

**მნემოსინე** [ბერძ. Mnēmosynē] – ბერძნულ მითოლოგიაში: მეხსიერების ქალღმერთი, რომელსაც ზევსისგან შეეძინა ცხრა მუზა.

**მობილიზაცია** [ფრ. mobilisation < ლათ mobilis მოძრავი] – და **მობილიზება** [გერმ. Mobilisieren] – **1.** თადარიგის სამხედრო ვალდებულთა გაწვევა ნამდვილი სამხედრო სამსახურში ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

⊙ **საყოველთაო მ.**

**2.** გადატ. (წიგნ.) ძალების ან სახსრების თავმოყრა რაიმე ამოცანის, მასობრივი ღონისძიებების წარმატებით შესასრულებლად.

⊙ **ქვეყნის ყველა ძალის მ.**

**მობილურ**-ი [ლათ. mobilis] –

მოძრაობის უნარის მქონე; მოძრავი.

**მᲝᲒᲕᲘ** [ძვ. სპარს. – მაგუს ბერძ. magos ლათ. magi] – მაგი, მისანი, მჩხიბავი.

**მᲝᲓᲐ** [ფრ. mode] – **1.** გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებში მოკლე ხნით გაბატონებული გემოვნება ჩაცმა – დახურვისა და ყოფა-ცხოვრების სხვა გარეგნულ ფორმებისა.

⊙ **მ.-ზე ჩაცმული.**

**2.** მრ. ტანსაცმლის ნიმუშები, რომლებიც ასეთ გემოვნებას შეეფერება.

⊙ **მ.-ების ჟურნალი.**

**მᲝᲓᲣᲠᲘ** – **1.** მოდის შესაფერი.

⊙ **მ. კოსტიუმი, მ. ვარცხნილობა.**

**2.** რასაც საყოველთაო წარმატება აქვს გარკვეული დროის განმავლობაში.

⊙ **მ. სიმღერა.**

**მᲝᲓᲔᲚ**-ი [ფრ. modēle] – **1.** რაიმე ნაკეთობის სანიმუშო ეგზემპლარი; ნიმუში რისამე დასამზადებლად.

**2.** რაიმე საგნის შემცირებული ნიმუში ან სქემა.

⊙ **ავტომობილის მ., ხომალდის მ., თვითმფრინავის მ.**

**მᲝᲓᲔᲚᲘᲔᲠ**-ი [ფრ. modeleur] – რაიმე ნაკეთობის დამზადების სპეციალისტი (სინონ. **მემოდელე**).

⊙ **ტანსაცმლის მ.**

○ **მოდელიორი შცდ.**

**მᲝᲓᲔᲛᲘ** [ინგლ. modem] – კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა, გამოიყენება სატელეფონო ქსელში ჩართვისას ფაქსების, მეილების მისაღებად და ინტერნეტში შესასვლელად.

**მᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ** და **მᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲔᲑᲐ** [ფრ. modernisation] – რისამე შეცვლა თანამედროვე მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად.

⊙ **ავტომობილს მ., საწარმოს მ.**

**მᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛ**-ი [< ფრ. moderne უახლესი, თანამედროვე] – რეალიზმისადმი მტრული მიმართულებათა საერთო სახელწოდება ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

**მᲝᲓᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ** [ფრ. modification] – საგნის ან მოვლენის ისეთი სახეცვლილება, რომელიც არ ეხება მის არსს.

**მᲝᲓᲣᲚᲐᲪᲘᲐ** [ლათ. modulatio მწყობრობა, სამწყობრე] და **მᲝᲓᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ** – **1.** (მუს.) ერთი ტონალობიდან მეორეზე გადასვლა; ბგერის სიმაღლის შეცვლა.

**2.** (ფიზ.). მაღალი სიხშირის რხევათა შეცვლა უფრო და-

ბალი სიხშირის რხევებით.

**3**. ხმოვან კინოში: ბგერის მიერ გამოწვეული ელექტრორხევათა გარდაქმნა სინათლის კონად, რომლის საშუალებითაც ხდება ბგერის ჩაწერა კინოფირზე.

**მოდუს**-ი [ლათ. modus ზომა, ხერხი, სახე] – **1**. (ლოგ.). აზროვნების ნაირსახეობა.

**2**. (ფილოს.). საგნის გარდამავალი, არამუდმივი მდგომარეობა ან თვისება.

**მოდუს ვივენდი** [ლათ. modus vivendi] – **1**. ცხოვრების წესი; არსებობის საშუალება.

**2**. პირობები, რომლებიც ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის დროებით მაინც იძლევა ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალებას.

**მოზაიკა** [ფრ. mosaique] -**1**. სურათი ან სახე, რომელიც შედგენილია ცემენტის ფენაზე დამაგრებულ, ერთმანეთთან მჭიდროდ მოწყობილ ფერადი კენჭების, სხვადასხვა ფერის მინის, მარმარილოს, ემალისა და მისთ. პატარ-პატარა ნაჭრებისაგან.

**2**. თვით მასალა ასეთი სურათის, სახის მისაღებად.

**3**. ასეთი სურათის, სახის შედგენის ხელოვნება.

◎ **მოზაიკური**.

⊙ **მ. ხელოვნება, მ. ფილები.**

**მოლა** [არაბ. maulâ ბატონი] – მუსლიმანთა რელიგიური კულტის მსახური.

**მოლბერტ**-ი [რუს. Мольберт გერმ. molbertt] – ხის საყრდენი, რომელზეც მხატვარი ათავსებს ნახატს მუშაობის დროს.

**მოლეკულა** [ფრ. molécule] – ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც აქვს ყველა მისი ქიმიური თვისება.

⊙ **მ. შედგება ატომებისგან.**

◎ **მოლეკულური.**

⊙ **მ. მასა** (წონა)**, მ. თეორია, მ. ფიზიკა.**

◎ **მოლეკულისა.**

○ **მოლეკულასი, მოლეკულიარული შცდ.**

**მოლოხ**-ი – იტყვიან ისეთ რისამე შესახებ რასაც ბევრი ადამიანის მსხვერპლი სჭირდება [ფინიკ. molek მეფე: მზის, ცეცხლისა და ომის ფინიკიური ღმერთის სახელის მიხედვით, რომელსაც მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ].

**მოლუსკებ**-ი [< ლათ. molluscus რბილი] – უხერხემლო, რბილსხეულიანი ცხოველები, რომლის უმეტესობა ნიჟარებშია მოთავსებული.

⊙ **ზღვის მ., მიწისზედა მ.**

⊙ მხ. **მოლუსკი.**

○ **მოლიუსკები შცდ.**

**მომენტ**-ი [ლათ. momentum] – 1. დროის ძალიან მცირე მონაკვეთი; ერთი წამი, თვალის დახამხამება.

⊙ **გასროლის მ.**

2. დრო, როდესაც ხდება რამე, სრულდება რაიმე მოქმედება

⊙ **დადგა ხელსაყრელი. მ.**

**მომენტალურ**-ი – ძალიან სწრაფი (მოქმედება); წამი.

**მონანდრია** [ბერძ. monos ერთი და aner (andros) ქმარი] – ერთქმრიანობა.

**მონარქ**-ი [ბერძ. monarchos] – სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი (მეფე, იმპერატორი, შაჰი და სხვ.)

○ **მონარხი შცდ.**

**მონარქია** [ბერძ. monarchia ერთმმართველობა, თვითმპყრობელობა] – მმართველობის ფორმა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში უდგას ერთი პირი-მონარქი; სახელმწიფო, რომელსაც მმართველობის ერთი ფორმა აქვს.

⊙ **აბსოლიტური მ. კონსტიტუციური მ.**

◎ **მონარქიული.**

⊙ **მ. სახელმწიფო.**

○ **მონარხია, მონარხიული შცდ.**

**მონარქიზმ**-ი – პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც მონარქია მიაჩნია სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ მიზანშეწონილ ფორმად.

◎ **მონარქისტული.**

⊙ **მ. შეხედულებანი.**

○ **მონარხიზმი, მონარქისტული შცდ.**

**მონარქისტ**-ი – მონარქიზმის მიმდევარი.

○ **მონარხისტი შცდ.**

**მონასტერ**-ი [ბერძ. Monasterion] – ბერ-მონაზონთა საეკლესიო-საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა; ასეთი რელიგიული თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი.

⊙ **ათონის ივერთა მ.**

◎ **მონასტრიული, სამონასტრო.**

⊙ **მ. (ს.) კომპლექსი, მ. (ს.) წესები.**

◎ **მონასტრისა.**

○ **მონასტერისა, მონასტერიული, სამონასტერიო შცდ.**

**მონეტა** [ლათ. moneta] – ლითონის ფულის ნიშანი.

⊙ **სპილენძის მ., ოქროს მ.**

◎ **მონეტისა.**

○ **მონეტასი შცდ.**

**მონიზმ**-ი [< ბერძ. monos ერთ] – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ერთ საწყისს, მატერიას ან სულს.

**მონიტორ**-ი [ფრ. moniteur,

ინგლ. monitor, ლათ. monitor გამაფრთხილებელი] – **1**. ტელეგადაცემის პროცესის საკონტროლო ტელევიზორის ეკრანი (სატელევიზიო მონიტორი, ტელემონიტორი); იგივეა, რაც **დისპლეი**.

**2**. სამხედრო ჯავშნიანი გემი.

**3**. მუდმივი მეთვალყურეობის აპარატი; კერძოდ საავადმყოფოსათვის განკუთვნილი მ. ავტომატურად აღნიშნავს ავადმყოფის მდგომარეობის ყველა პარამეტრს.

**მონიტორინგ**-ი [ინგლ. monitoring] – მუდმივი მეთვალყურეობა რაიმე პროცესისადმი სასურველი შედეგის შესაბამისობის გამომჟღავნების მიზნით ან პირველდაწყებით ვარაუდს.

**მონო**... [ბერძ. monos ერთი, ერთიანი, ერთად-ერთი] – მნიშვნელობათა ერთიანობის, ერთობის, ერთად-ერთობისა და ა.შ.

⊙ **მონოკულტურა, მონოჟღერა**.

**მონოგამია** [< ბერძ. monos ერთი და gamos ქორწინება] – **1**. ქორწინების ფორმა, რომლის დროსაც მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ცოლი და ქალს-მხოლოდ ერთი ქმარი (ქართ. სინონ. **ერთქორწინება**).

**2**. ცხოველებში: მამლის შეწყვილება მხოლოდ ერთ დედალთან ერთ ან რამდენიმე სეზონის განმავლობაში.

**მონოგრამა** [ბერძ. monos ერთი და gramma ასო] – ორი ან რამდენიმე ასოსგან შეთხზული ნიშანი.

○ **მონაგრამა შცდ**.

**მონოგრაფია** [ბერძ. monos ერთი და graphō ვწერ] – ვრცელი, მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია ერთი რაიმე საკითხი ან თემა.

◎ **მონოგრაფიული**.

⊙ **მ. გამოკვლევა**.

**მონოთეიზმ**-ი [ბერძ. monos ერთი და theos ღმერთი] – რელიგია, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს; (ქართ. სინონ. **ერთღმერთიანობა**).

**მონოლით**-ი [ბერძ. monos ერთი და lithos ქვა] – მთლიანი ქვის ლოდი; მისგან გამოთლილი საგანი (მაგ. ქანდაკება).

**მონოლითურ**-ი – **1**. რაც მონოლითს წარმოადგენს.

⊙ **მ. სვეტი**.

**2**. გადატ. (წიგნ.) შემჭიდროვებული, ერთსულოვანი.

⊙ **მ. კოლექტივი**.

○ **მონოლიტი, მონოლიტური შცდ**.

**მონოლოგ**-ი [ბერძ. monologos] – სიტყვა, რომლითაც დრა-

მატული ნაწარმოების პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს (იხ. აგრეთვე **დიალოგი**).

⊙ **ჰამლეტის მ., გლოსტერის მ.** (უილიამ შექსპირის ნაწარმოებიდან: **„ჰამლეტი", „რიჩარდ III**).

**მონომ**-ი [ბერძ. mo(nos) ერთი და nomos ნაწილი, წევრი] – (მათემ.) ერთწევრი (შდრ. ბინომი, პოლინომი).

**მონოპოლია** [ბერძ. monopōlia] – **1.** რისამე წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება, რაც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა ჯგუფის ან სახელმწიფოს.

**2.** (გადატ.) უპირატესობა, პირველობა რაიმე საქმეში.

**3.** მსხვილი გაერთიანება, რომელიც წარმოიშვა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის შედეგად მეურნეობის რომელიმე დარგში გაბატონებისა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

⊙ **კაპიტალისტური მ.-ები.**

◎ **მონოპოლიური** (მნიშვ. 2-ისთვის).

⊙ **მ. კაპიტალი, მ. გაერთიანება.**

**მონორელს**-ი [ბერძ. monos ერთი და რელსი] – საყრდენებზე გამართული (კიდული) ცალრელსიანი რკინიგზა.

◎ **მონორელსური, მონორელსიანი.**

⊙ **მ. გზა.**

**მონოსტიქ**-ი [ბერძ. monostichos] – (ლიტ.). დამთავრებული აზრის შემცველი ერთსტრიქონიანი ლექსი; ჩვეულებრივ ასეთია ხოლმე ანდაზა, გამოცანა, აფორიზმი, რაიმე წარწერა.

**მონოტონურ**-ი [ბერძ. monos ერთი და tonos ტონი, ბგერა] – ერთფეროვანი, მოსაწყენი.

⊙ **მ. ხმა, მ. სიმღერა.**

**მონოფთონგ**-ი [ბერძ. monos ერთი და phthongos ბგერა] – (ლინგვ.) მარტივი, ცალკეული ბგერა (საპირისპ. **დიფთონგი**).

**მონოფიზიტებ**-ი [ბერძ. monos ერთი და physis ბუნება] – (ისტ.) ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც აღიარებენ ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას – ღვთიურს.

**მონპასიე** [ფრ. montpensier საკუთ. სახ.] – ხილეულის კანფეტი ერთგვარი.

◎ **მონპასიესი.**

○ **მონპასიისა, მონპასე, მომპასე შცდ.**

⊙ **ჯერჯერობით იხმარება აგრეთვე მონპანსიე.**

**მონსენიორ**-ი [ფრ. monseigneuer]

– ფეოდალურ და მონარქიულ საფრანგეთში: პრინცების, ეპისკოპოსების და სხვა მაღალი რანგის პირთა ტიტული (ამჟამად იხმარება უმაღლესი კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენელთა მიმართ).

**მონსტრ**-ი [ფრ. Monstre] – (წიგნ.). ურჩხული.

**მონტაჟ**-ი [ფრ. montage] – **1.** მანქანების, ნაგებობათა აწყობა, გამართვა გარკვეული გეგმის, ნახაზის მიხედვით.

⊙ **ახალი მანქანის მ.**

**2.** რისამე სხვადასხვა ნაწილის შერჩევა და გაერთიანება ერთ მთლიანად.

⊙ **ლიტერატურული მ., მუსიკალური მ., კინოსურათის მ.**

**მემონტაჟე** – მონტაჟის სპეციალისტი.

⊙ **აპარატის მ., კინოფილმის მ.**

◎ **სამონტაჟო.**

⊙ **ს. სამუშაოები.**

**სამონტაჟო** – სადგომი, სადაც რისამე მონტაჟს აწარმოებენ.

⊙ **კინოსტატიის ს., ტელევიზიის ცენტრალური ს.**

◎ **მემონტაჟისა.**

○ **მემონტაჟესი შცდ.**

**მონტიორ**-ი [ფრ. monteur] – **1.** მანქანათა ამწყობი და დამდგმელი (სინონ. **მემონტაჟე**).

**2.** ელექტრომოწყობილობის, ელექტროგაყვანილობის სპეციალისტი (სინონ. **ელექტრომონტიორი**).

**მონუმენტ**-ი [ლათ. monumentum] – დიდი ძეგლი.

⊙ **შოთა რუსთაველის მ.**

**მონუმენტური** - ძალიან დიდი, გრანდიოზული.

⊙ **მ. შენობა.**

○ **მონუმენტალური შცდ.**

**მორალ**-ი [ფრ. morale ზნეობა ლათ. moralis ზნეობრივი] – **1.** იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებსაც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში; ზნეობა.

**2.** ზნეობრივი დასკვნა, ზნეობრივი გაკვეთილი, რომელიც რაიმესგან გამომდინარეობს.

◎ **მორალური** (მნიშვ. 1-თვის).

⊙ **მ. პრინციპები.**

**მორატორიუმ**-ი [< ლათ. moratorius დამაყოვნებელი] – **1.** საშინაო ან საგარეო ვალდებულებათა შესახებ გადადება მთავრობის მიერ რაიმე საგანგებო მდგომარეობის (მაგ. ომის, სტიქიური უბედურების) გამო.

**2.** გარკვეული სახის იარაღის (მაგ., რაკეტების, კოსმოსურ საშუალებათა) გამოცდისა

და მათი სადმე განლაგების შეჩერება.

**მორგ**-ი [ფრ. morgue] – სპეციალურად მოწყობილი სათავსი გვამების შენახვისა, ამოცნობისა და შეკვეთისათვის.

**მორგანატიკულ**-ი [ლათ. morganaticus]: მორგანატიკული ქორწინება [ფრ. Mariage morganatique] – სამეფო სახლის წევრის ქორწინება არა სამეფო გვარის ქალთან (რაც ტახტის მემკვიდრეობის უფლებას არ აძლევს არც ცოლს, არც შვილებს).

**მორზე** [< კრებ.] – თვითჩამწერი ელექტრო მაგნიტური მიმღებ-გადამცემი ტელეგრაფიული აპარატი,რომელიც გამოიგონა ფიზიკოსმა მორზემ 1837 წელს; ტელეგრამის მიღება ხდება ქაღალდის ლენტზე მორზეს ანბანის (ნიშნების კოდის) საშუალებით ტირეებისა და წერტილების სახით; გადაცემა ხდება ტელეგრაფის გასაღების მეშვეობით; პირველი ელექტრული ტელეგრაფიული აპარატი გამოგონებული იქნა რუსეთში. პ. ლ. შილინგის მიერ 1835 წ.

⊙ **მ. ანბანი** (კოდი).

**მორმონიზმ**-ი – რელიგიურ-სექტანტური მომდინარეობა, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1830 წ. წარმოადგენს მრავალღმერთიანობისა და ქრისტიანობის ნარევს [მითიური წინასწარმეტყველის მორმონის სახელის მიხედვით].

**მორს**-ი [რუს. морс < გერმ.] – ხილის წვენისგან დამზადებული გამაგრილებელი სასმელი.

**მორფემა** [< ბერძ. morphe ფორმა] – (ლინგვ.) სიტყვის მნიშვნელობითი ნაწილი; ფუძე და აფიქსები (პრეფიქსები, სუფიქსები, დაბოლოება).

**მორფ**-ი ან **მორფინ**-ი [< კრებ. ბერძ. Morpheus ძილის ღმერთი] – ნარკოტიკული (ტკივილგამაყუჩებელი და ძილისმომგვრელი) საშუალება (ოპიუმის ალკალოიდის ძალიან ძლიერი მომწამლავი და მისი მთავარი ელემენტი).

**მორფოლოგია** [ბერძ morphē ფორმა და logos მოძღვრება] –
1. მეცნიერება ორგანიზმების, ორგანოების, ნიადაგის აგებულების შესახებ.
2. გრამატიკის ნაწილი,რომელიც სწავლობს სიტყვათა ფორმებს; რომელიმე ენის სიტყვათა ფორმის სისტემა.

◎ მორფოლოგიური.

⊙ სიტყვის მ. შემადგენლობა.

**მოტელ**-ი [ინგლ. motel < motor

და hotel– სასტუმრო (motorista hotel) ავტომობილების სასტუმრო] – საავტომობილო გზის პირას მდებარე სასტუმრო მგზავრთათვის; ავტოპანსიონატი.

**მოტო...** [ლათ. motor მოძრაობაში მომყვანი] – მოძრაობის, მოტორიზაციის მნიშვნელობით.

⊙ **მოტორალი, მოტობოლი.**

**მოტივ-ი** [ფრ. Motif] – **1.** რაიმე მოქმედების მიზეზი; მოსაზრება, საბუთი რისამე სასარგებლოდ.

⊙ **გაუგებარი მ.**

**2.** სიმღერის კილო, ჰანგი.

⊙ **ძველებური მ.**

**მოტივირება** და **მოტივაცია** – მოტივების, მოსაზრების მოყვანა რისამე დასამტკიცებლად, დასაბუთება (შდრ. **არგუმენტი**).

**მოტოდრომ-ი** [ფრ. moto(cycle) და ბერძ. dromos სარბიელი] – სპეციალურად მოწყობილი ადგილი მოტოციკლების შესაჯიბრებლად ან გამოსაცდელად.

**მოტორ-ი** [ლათ. motor] – მანქანა, რომელიც ნებისმიერ ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ ენერგიად.

◎ **მოტორიანი.**

⊙ **მ. ნავი.**

ამჟამად ეს სიტყვა მოძველებულია; მის ნაცვლად იხმარება ქართული – **ძრავა.**

◎ **ძრავასი.**

○ **ძრავისა შცდ.**

**მოტოროლერ-ი** [გერმ. Motorroller] – ორთვლიანი მოტოციკლის ნაირსახეობა, მასზე პატარა.

**მოტოციკლ-ი** [ფრ. motocycle] – ორ- ან სამთვლიანი მანქანა, რომელსაც აქვს შინაგანი ძრავა და მოძრაობს ურელსო გზებზე.

◎ **სამოტოციკლო.**

⊙ **ს. სპორტი.**

**მოტოციკლისტ-ი** – პირი, რომელიც მართავს მოტოციკლს, მიჰყავს მოტოციკლი.

**მოციონ-ი** [გერმ. Motion < ლათ. motio (motionis) მოძრაობა] – სიარული, სეირნობა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად ან დასვენების მიზნით.

**მოჰერ-ი** [ინგლ. mohair < არაბ.] – **1.** ანგორული თხის მატყლი, ნახევრად წმინდა, თეთრი, ძლიერ მბზინვარე; მისგან ამზადებენ უმაღლესი ხარისხის ხალიჩებს, ფარდაგებს, ტრიკოტაჟს და სხვ.

**2.** ამ მატყლის რბილი ნართი და ქსოვილი.

**მოჰიკანები** – ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი

ტომი, ამჟამად ამომწყდარი; ცხოვრობდნენ მდინარეების-კონექტიკუტსა და ჰუდსონის ნაპირებზე. **უკანასკნელი მოჰიკანი** – იტყვიან რისამე უკანასკნელ ან უხუცეს წარმომადგენელზე. [ამერიკელი მწერლის ფენიმორ კუპერის (1789-1851) რომანის "უკანასკნელი მოჰიკანის" მიხედვით].

**მუეძინ**-ი [არაბ. mu'addin] – მეჩეთის მსახური (მოლა), რომელიც მინარეთიდან მოუხმობს მუსლიმანებს სალოცავად.

**მუზა** [ბერძ. musa] – **1**. ბერძნულ მითოლოგიაში; თითოეული ცხრა ქალღმერთთაგანი, რომლებიც ითვლებოდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველად.

**2**. პოეტური შთაგონების წყარო, აგრეთვე თვით პოეტის შთაგონება, შემოქმედება.

⊙ **გალაქტიონის მ., შოთა რუსთაველის მ.**

**მუზეუმ**-ი [გერმ. Museum < ბერძ. museion მუზების ტაძარი] – დაწესებულება, რომელიც აგროვებს, იცავს და გამოფენს დასათვალიერებლად ხელოვნების ძეგლებს, სამეცნიერო კოლექციებს, ისტორიული მნიშვნელობის საგნებს და სხვ.

⊙ **ისტორიული მ., ხელოვნების მ.**

◎ **სამუზეუმო.**

⊙ **ს. ექსპონატები.**

**მულა** [არაბ. maulā ბატონი] – **1**. სახელწოდება რომელსაც მუსლიმანურ ქვეყნებში აძლევენ მეცნიერ-ღვთისმსახურებს, მასწავლებლებს, კანონმდებლებს.

**2**. მუსულმანთა რელიგიური კულტის მსახური.

**მულაჟ**-ი [ფრ. moulage] – საგნის ნატურალური ზომის მოდელი (თაბაშირის, სანთლის და მისთ.).

**მულატ**-ი [ესპ. mulato < არაბ.] – ზანგისა და თეთრკანიანის შეუღლების შედეგად შობილი ადამიანი.

**მულტი**... [ლათ. multum მრავალი] – მრავლადობა, მრავალჯერადობა.

⊙ **მულტიმილიონერი**.

**მულტიმედია** [ლათ. multi მრავალი და media] – ინფორმაციის შენახვისა და დემონსტრირების სხვადასხვა აუდიო და ვიზუალური ხერხების ერთობლიობა.

⊙ **მულტიმედიური**.

**მულტიპლიკატორი** – მულტიპლიკაციის სპეციალისტი.

**მულტიპლიკაცია** [ლათ. mul-

tiplicatio გამრავლება] – კინოგადაღება სურათების ან თოჯინებისა, რომლებიც გამოხატავენ მოძრაობის ცალკეულ მომენტებს; ამ წესით გადაღებული ფილმი.
◎ **მულტიპლიკაციური.**
⊙ **მ. ფილმი.**
◎ **სამულტიპლიკაციო.**
⊙ **ს. თოჯინები, ს. შემოქმედებითი გაერთიანება.**

**მულტფილმ**-ი – მულტიპლიკაციური (იხ. **მულტიპლიკაცია**) ფილმი.

**მუმია** [არაბ. mumija] – გახრწნისგან დაბალზამებით (ან ბუნებრივად) დაცული ადამიანის გვამი.
◎ **მუმიისა.**
○ **მუმიასი შცდ.**

**მუმიე** [არაბ. სპარს. mum ცვილი] – ფისისმაგვარი ბუნებრივი პროდუქტი ბიოლოგიური წარმოშობისა; ჟონავს კლდეებისა და მთების ნაპრალებიდან; წარმოადგენს უფორმო მაგარ ან დრეკად ნაჭრებს; ორი ათას წელზე მეტია. იყენებენ ხალხურ მედიცინაში კუჭნაწლავების, სასუნთქი გზების, შარდკენჭოვან, კანის დაავადებათა, ბრონქიალური ასთმის, ტუბერკულიოზისა და სხვათა სამკურნალოდ (ქართ. სინონ. **მთის ბალზამი**).

**მუნდირ**-ი [რუს. мундир < ფრ.] – სამხედრო ან სამოქალაქო (სპეციალური) ფორმის ტანსაცმელი.
⊙ **ოფიცრის მ., რკინიგზის მუშაკის მ.**

**მუნიციპალიტეტ**-ი [გერმ. Munizipalitat < ლათ. municipium თვითმმართველური თემი] – ზოგ ქვეყანაში: ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობა.
◎ **მუნიციპალური.**
⊙ **მ. არჩევნები.**

**მურ**-ი [ბერძ. myrrha < არაბ. murr] – სურნელოვანი ფისი ზოგი მცენარისა.

**მუს**-ი [ფრ. mousse] – ტკბილი საჭმელი, დამზადებული ხილის სიროფისგან, რომელსაც დამატებული აქვს მანანის ბურღული ან ჟელატინი.

**მუსიკა** [ბერძ. musikē] – ხელოვნება, რომელიც სინამდვილეს ასახავს ბგერითი მხატვრული სახეებით; ამგვარი ხელოვნების ნაწარმოები; ასევე ნაწარმოებთა ერთობლიობა.
⊙ **სიმფონიური მ., კლასიკური მ., ჯაზური მ., ზ. ფალიაშვილის მ., მ.-ის გაკვეთილი, მ.-ის თეორია.**
◎ **მუსიკალური** და **სამუსიკო.**
⊙ **მ. (ს.) ხელოვნება, მ. (ს.) სასწავლებელი.**

**მუსიკოსი**-ი – **1**. მუსიკის სპეციალისტი.
**2**. რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის დამკვრელი.

**მუსკატი**-ი [ფრ. muscat] – **1**. ვაზის ჯიში ერთგვარი; ისხამს სურნელოვან ყურძენს; ამ ყურძნის ღვინო.
**2**. ტროპიკული ხე; ისხამს სურნელოვან ნაყოფს; იყენებენ პარფიუმერიაში, მედიცინაში, კულინარიაში.

**მუსლიმი**-ი, **მუსლიმანი**-ი [სპარს. musliman არაბ. muslim ისლამის ერთგული] და **მუსულმანი**-ი [თურქ. müslüman] – იგივეა, რაც **მაჰმადიანი**.
◎ **მუსლიმური, მუსლიმანური, მუსულმანური**.
⊙ **მ. რელიგია, მ. წეს-ჩვეულებანი. მუსლიმობა, მუსლიმანობა** და **მუსულმანობა** – იგივეა, რაც **მაჰმადიანობა**.

**მუსონი**-ი [ფრ. mousson < არაბ.] – ქარი, რომელიც პერიოდულად იცვლის მიმართულებას, ზაფხულობით უბერავს ზღვიდან, ხოლო ზამთრობით – ხმელეთიდან.

**მუსტანგი**-ი [ესპ. mustango ინგლ. mustang] – გაველურებული შინაური ცხენი (გავრცელებული იყო ჩრდილოეთ ამერიკის პრეიებში).

**მუტაცია** [ლათ. mutatio ცვლილება] – **1**. ყოველგვარი ნახტომისებური განვითარება რისამე.
**2**. (ბიოლ.). რაიმე ახალი ნიშან-თვისების უეცარი გამოვლენა ცხოველებსა და მცენარეებში.
**3**. ყმაწვილის ხმის შეცვლა (დაბოხება) ასაკში შესვლის გამო.

**მუფთა** [რუს. муфта < გერმ. Muffe] – ორივე მხრიდან ხელის შესაყოფი სათბური, ჩვეულებრივ ხმარობენ ქალები სიცივეში.

**მუფთი**-ი [არაბ. mufti] – მუსლიმანთა იურისტ-ღვთისმეტყველი, ყურანის განმმარტებელი; უმაღლესი სასულიერო პირი.

**მუშკეტი**-ი [ფრ. mousquet < ესპ.] – ძველებური პატრუქიანი მსხვილკალიბრიანი თოფი (დასავლეთ ევროპის ქვეყნების არმიაში).

**მუშკეტერი**-ი [ფრ. mousquetaire] – მუშკეტით შეიარაღებული ჯარისკაცი.

## ნ

**ნაგანი**-ი – ერთგვარი სისტემის რევოლვერი.

**ნადირი**-ი [არაბ.] – ცის სფე-

როს წერტილი, რომელიც ჰორიზონტის ქვეშ არის და საწინააღმდეგოა ზენიტისა.

**ნა́ვ**-ი [ბერძ. navis გემი] – (არქიტ.) ბაზილიკის, ეკლესიის ერთ-ერთი გრძივი ნაწილთაგანი, რომელიც გამოყოფილია სვეტების რიგით.

**ნა́ვახა** [ესპ. navaja] – ცივი იარაღი ერთგვარი – გრძელი დასაკეცი დანა (იციან ესპანეთში).

**ნავიგა́ტორ**-ი – ნაოსნობის (მნიშ. 2) სპეციალისტი.

**ნავიგა́ცია** [ლათ. navigatio] – **1**. გემთა მიმოსვლა (ქართ. სინონ. **ნაოსნობა, ზღვაოსნობა**).

**2**. წლის ისეთი დრო, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაოსნობა.

⊙ **ზამთრის ნ., ნ.-ის სახელმძღვანელო.**

◎ **სანავიგაციო.**

⊙ **ს. ატლასი, ს. ხელსაწყოები.**

**ნაი́ადა** [ბერძ. Naias (Naiados)] – ბერძნულ მითოლოგიაში: წყლის (მდინარის, ნკადულის, წყაროს) ნიმფა.

**ნა́იბ**-ი [არაბ. Nâi'b] – **1**. ზოგ მუსულმანურ ქვეყანაში: რომელიმე უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე.

**2**. შამილის საიმამოში: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი.

**ნაი́ლონ**-ი [ინგ. nylon] – სინთეზური ბოჭკო, აბრეშუმის მსგავსი; ამ ბოჭკოს ქსოვილი.

⊙ **ნეილონიც** იხმარება.

**ნამა́ზ**-ი [სპარს. namaz] – მუსლიმანთა ლოცვა, რომელსაც დღეში ხუთჯერ ასრულებენ.

**ნანდუ́** [ესპ. nandú] – ერთგვარი სირაქლემა; გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში.

**ნა́ნო** – თავსართი, რომელიც საზომი ერთეულის სახელთან მიერთებისას აღნიშნავს მის მემილიარდედ ნაწილს: **1**. ნანოწამი = წამის მემილიარდედ ნაწილს.

**ნა́ოს**-ი [ბერძ. naos] – და **ცე́ლა** [ლათ. cella]–ანტიკური ტაძრის მთავარი სადგომი (სამლოცველო), სადაც მოთავსებული იყო ღვთაების ქანდაკება.

**ნა́რგილე** [სპარს. nârgile] – აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა, რომელიც წყლის ჭურჭლის, ტყავის გრძელი მილისა და ჩიბუხისგან შედგება.

**ნარკო́ზ**-ი [ბერძ. narcôsis გაშეშება] – (მედიც.) ნარკოტიკული საშუალებებით გამოწვეული ძილი, რასაც თან

ახლავს ცნობიერებისა და მგრძნობელობის დაკარგვა.

**ნარკომანია** [ბერძ. narcôsis გაშეშება და mania მისწრაფება; სიგიჟე] – ნარკოტიკების ხმარებისადმი ძლიერი, ავადმყოფური მიდრეკილება

**ნარტა** [რუს. нарты (მრ.) და нарта] – გრძელი და ვიწრო მარხილი, რომელშიც ირმებს ან ძაღლებს აბამენ; დიდი გამოყენება აქვს უკიდურეს ჩრდილოეთში.

**ნატრიუმ**-ი [ლათ. natrium] – ქიმიური ელემენტი, თეთრი ფერის რბილი ტუტოვანი ლითონი.

**ნატურა** [ლათ. natura] – **1.** ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ, გადაიღებენ და სხვ.

⊙ **ნ.-ის ხატვა.**

**2.** ბუნებრივი პირობები,ადგილი (პავილიონის გარეშე) სადაც წარმოებს კინოგადაღება.

**3**. საქონელი, პროდუქტები და მისთ. როგორც ფულის ნაცვლად გადასახდელი საშუალება.

**4**. (წიგნ.) ადამიანის ხასიათი, ტემპერამენტი.

◎ **ნატურული.**

⊙ **ნ. გადაღებები.**

◎ **ნატურისა.**

○ **ნატურასი შცდ.**

**ნატურალიზაცია** [ლათ. naturalis ბუნებრივი] – სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიღება მოქალაქედ, ქვეშევრდომად; სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება.

**ნატურალიზმ**-ი [< ლათ. naturalis ბუნებრივი] – მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში; წარმოიშვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზეგავლენით მე-19 ს.-ის ბოლოს. ცდილობდა სინამდვილე და ადამიანთა ურთიერთობანი აესახა ობიექტურად.

◎ **ნატურალისტური.**

⊙ **ნ. მიმართულება ფერწერაში.**

**ნატურალისტ**-ი – **1**. პირი, რომელიც ბუნებას სწავლობს (ქართ. სინონ. **ბუნებისმეტყველი**).

⊙ **ნორჩი ნ.**

**2**. ნატურალიზმის მიმდევარი.

**ნატურალური** [ლათ. naturalis ბუნებრივი] – ნამდვილი, ბუნებრივი (საპირისპ. **ხელოვნური**).

⊙ **ნ. თაფლი, ნ. ღვინო, ნ. ჩაი.**

**ნატურმორტ**-ი [ფრ. nature morte "მკვდარი ბუნება"] – ნახატი, სურათი, რომელზეც გამოხატულია უსულო საგნები: ყვავილები, ხილი, ნანადირევი, გაწყობილი სუფრა და სხვ.

**ნაფთალინ**-ი [< ბერძ. naptha ნავთობი] – თეთრი კრისტალი ნივთიერება მძაფრი სუნით; იყენებენ ტექნიკაში, აგრეთვე სალეულის და ბეწვეულის დასაცავად ჩრჩილისაგან.

○ **ნაფტალინი, ნავთალინი, ნავტანილი შცდ.**

**ნაცია** [ლათ. nation ხალხი, ერი] – (მოძვ.) ერი.

**ნაციზმ**-ი [გერმ. Nazismus] – გერმანიის ფაშიზმი.

**ნაციონალიზაცია** [ფრ. nationalization] და **ნაციონალიზება** – კერძო საკუთრების (მიწის, მრეწველობის, ბანკების და სხვა) უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფო საკუთრებად.

⊙ **ფაბრიკა-ქარხნების ნ., მიწის ნ.**

**ნაციონალიზმ**-ი – **1.** ეროვნული განსაკუთრებულობის და უპირატესობის ქადაგება.

**2.** პოლიტიკური მოძრაობა დამონებულ ქვეყნებში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

**ნაციონალური** [ლათ. natio (nationis) ხალხი, ერი] – ეროვნული.

⊙ ეს სიტყვა გავრცელებულია მაგრამ სჯობს ვიხმაროთ **ეროვნული.**

⊙ **ე. საკითხი.**

**ნეანდერტალელ**-ი **ადამიანი** – თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპარი; ცხოვრობდა ადრინდელ და შუა პალეოლითში [ხეობა Neandertalel-ის სახელის მიხედვით (გერმანიაში ქ. დიუსელდორფის ახლოს], სადაც 1856 წ. პირველად აღმოაჩინეს ასეთი ადამიანის ჩონჩხის ნაწილები].

**ნეგატივ**-ი [ლათ. negativus უარყოფითი] – შუქმგრძნობიარე ფირზე ან ფირფიტაზე აღბეჭდილი გამოსახულება, რომელშიც ნათელი ადგილები შავად არის გამოსული და პირიქით.

⊙ **ნ.-ის გამომუშავება.**

**ნეგატიური** – **1.** ნეგატივის სახისა.

⊙ **ნ. გამოსახულება.**

**2.** (წიგნ). უარყოფითი.

⊙ **ნ. მოვლენები** (საპირისპ. **პოზიტიური**).

○ **ნეგატივური შცდ.**

**ნეგროიდებ**-ი [ესპ. negro შავი და ბერძ. eidos სახე] – (ანთროპ.) შავკანიანთა რასის წარმომადგენლები.

**ნეგუს**-ი [ეთიოპ. Negus Negesti მეფეთა მეფე] – ეთიოპიის (აბისინიის) იმპერატორთა

ტიტული (მე-19 ს.-ის დასასრულსა და მე-20 ს.-ის დასაწყისში.

**ნევრ(ო)**... [ბერძ. neuron ძარღვი, ნერვი], **ნეირ(ო)...**, – რაც დაკავშირებულია ნერვებთან, ნერვიულ სისტემასთან.

⊙ **ნევრალგია, ნევროპათოლოგია.**

**ნევროზ**-ი [< ბერძ. neuron ნერვი] – (მედიც.) ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება, რომელსაც თან სდევს შინაგანი ორგანოების ფუნქციის მოშლა, ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევა და სხვ.

**ნევროლოგია** [ბერძ. neuron ნერვი და logos მოძრვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ნერვულ სისტემას და მის დაავადებებს.

**ნევროპათოლოგია** [ბერძ. neuron ნერვი pathos ტანჯვა და logos მოძღვრება] – მეცნიერება ნერვული სისტემის დაავადებათა შესახებ.

**ნეიროქირურგია** – ქირურგიის დარგი – ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა მკურნალობა.

**ნეიტრალიზაცია** და **ნეიტრალიზება** – **1**. ნეიტრალურად ქცევა, ნეიტრალურად გამოცხადება რაიმე ტერიტორიისა.

**2**. ვისამე ან რისამე ძალის, გავლენის შეკვეცა, მოსპობა.

**3**. (ქიმ.) მჟავას და ტუტის ურთიერთქმედების რეაქცია, რომლის შედეგად მიღებულ ნივთიერებას არა აქვს არც მჟავას, არც ტუტის თვისებები.

**ნეიტრალიტეტ**-ი [გერმ. neutralitat] – საერთაშორისო სამართალში: სახელმწიფოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი არ მონაწილეობს ომში და მეომარი სახელმწიფოების მიმართ ერთნაირი პოზიცია უკავია.

**ნეიტრალურ**-ი [ლათ. neutralis საშუალო] – **1**. ისეთი (სახელმწიფო), რომელიც ნეიტრალიტეტს იცავს მეომარ მხარეთა მიმართ.

**2**. ისეთი (ქვეყანა, ტერიტორია), სადაც საერთაშორისო შეთანხმებით არ შეიძლება ომის წარმოება, სამხედრო ძალების განლაგება.

⊙ **სახელმწიფო, ნ. ტერიტორია ნ. წყლები.**

**3**. ვინც არ ეხმარება არც ერთ მხარეს (დავაში, ბრძოლაში და მისთ.).

**4**. ისეთი (ნივთიერება, წამალი), რომელიც არც არგებს, არც ვნებს ორგანიზმს.

**5**. (ქიმ.) რაც არ იძლევა არც ტუტის, არც მჟავას დამახასიათებელ რეაქციას.

**ნეიტრონ**-ი [ინგლ. neutron < ლათ. neutrum არც ერთი, არც მეორე] – (ფიზ.) ატომის ბირთვში შემავალი ნაწილაკი, რომელსაც არა აქვს ელექტრული მუხტი.

**ნეკროლოგ**-ი [ბერძ. nekros მკვდარი, მიცვალებული და logos სიტყვა] – ვისამე გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული სტატია, რომელიც შეიცავს ცნობებს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

**ნეკროპოლ**-ი **1**. სასაფლაო; **2**. ადგილი სადაც დასაფლავებულია გამოჩენილი ადამიანები.

**ნეო**... [ბერძ. neos ახალი] – სიახლის მნიშვნელობა.

⊙ **ნეორომანტიზმი.**

**ნეოლოგიზმ**-ი [ბერძ. neos ახალი და logos სიტყვა] – (ლინგვ.) ენაში ახლად გამოჩენილი სიტყვა ან გამოთქმა.

**ნეონ**-ი [ბერძ. neos ახალი] – ქიმიური ელემენტი, უფერო და უსუნო აირი; ანათებს წითლად, იყენებენ შუქრეკლამების მილისებრ ნათურებში.

⊙ **ნ-ის შუქი, ნ.-ის რეკლამა.**

**ნეოპლატონიზმ**-ი – ანტიკური ფილოსოფიის იდეალისტური მიმართულება (მე-3-6 სს.), რომელიც მიზნად ისახავდა პლატონის ფილოსოფიის წინააღმდეგობრივი ელემენტების სისტემატიზაციას და მათ შეერთებას არისტოტელეს მთელ რიგ იდეებთან, დამაარსებელია პლატონი (204-270 წწ.).

**ნეორეალიზმ**-ი – **1**. მიმართულება ფილოსოფიაში – იდეალიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა.

**2**. მიმართულება იტალიურ კინოსა და ლიტერატურაში.

**ნეოფიტ**-ი [ბერძ. nephytos] **1**. რაიმე რელიგიის ახალი მიმდევარი; ახლად რჯულმიღებული.

**2**. (გადატ.) რაიმე მოძღვრების და (მისთ.) ახალი მიმდევარი.

**ნეოფობია** [ბერძ. neos ახალი და phobos შიში] – (წიგნ.). შიში ყოველგვარი სიახლისა.

**ნეოცერატოლუს**-ი [ბერძ. neos ახალი, keras (kernatos) რქა და odus კბილი] – ავსტრალიური თევზი, რომელიც სუნთქავს ლაყუჩებითაც და ფილტვებითაც (ორმაგად მსუნთქავი); სხვანაირად: **რქაკბილა**.

**ნეპტუნ**-ი [ლათ. nephunus] – **1**. რომაულ მითოლოგიაში:

ზღვის ღმერთი.
**2**. მზიდან რიგით მერვე პლანეტა მზის სისტემისა.

**ნერვ**-ი [ლათ. nervus] – **1**. უწვრილესი ბოჭკოვანი წარმონაქმნი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში; წარმოადგენს ბოჭკოების ერთობლიობას, რომელიც გაღიზიანებას გადასცემს პერიფერიიდან თავისა და ზურგის ტვინს ან პირიქით.
⊙ **მხედველობის ნ. სმენის ნ.**
**2**. მრ. **ნერვები** – ასეთი წარმონაქმნების ერთობლიობა, სისტემა, რომლის მდგომარეობაზედაც არის დამოკიდებული ადამიანის საერთო მდგომარეობა, ქცევა.
⊙ **სუსტი ნ.-ები.**

**ნერვული** - **1**. ნერვებისგან შემდგარი.
⊙ **ნ. ქსოვილი., ნ. სისტემა.**
**2**. ზედმეტად მგრძნობიარე, ადვილად აღგზნებადი.
⊙ **ნ. ქალი.**
⊙ იხმარება აგრეთვე **ნერვიული.**

**ნესესერ**-ი [ფრ. necesaire აუცილებელი, საჭირო] – კოლოფი, ბუდე ან პატარა ჩემოდანი, რომელშიც მოთავსებულია მოვლისათვის (ტუალეტისათვის) ან ხელსაქმისათვის (ჭრა-კერვისათვის) საჭირო ნივთები.
⊙ **საგზაო ნ.**

**ნეტო** [იტ. netto] – (კომერ.) საქონლის წონა უჭურჭლოდ და შეფუთვის გარშე: სუფთა წონა (საპირისპ. **ბრუტო**).

**ნეფრიტ**-ი [ბერძ. nephros თირკმელი] – **1**. (მედიც.) თირკმელების ანთება.
**2**. მომწვანო ან თეთრი მინერალი; იყენებენ სხვადასხვა სამკაულის გასაკეთებლად.

**ნექტარ**-ი [ბერძ. nectar] – **1**. ბერძნულ მითოლოგიაში; ღმერთების სასმელი, რომელიც უკვდავებას, მარადიულ სიახალგაზრდავესა და სილამაზეს ანიჭებს მათ.
**2**. (ბოტან.) შაქროვანი წვენი, რომელსაც გამოყოფს ზოგი მცენარის ყვავილი.
**3**. (პოეტ. გადატ.). სიამოვნების მომგვრელი, მეტისმეტად კარგი რამ.

**ნეცკე** [იაპ.] – იაპონური სკულპტურის მინიატურული ნაწარმოები, ხეზე ან ძვალზე ჭრით გაკეთებული პატარა ფიგურა.

**ნიველირ**-ი [ფრ. niveleur] – გეოდეზიური ხელსაწყო, რომლითაც ნიველირებს ახდენდნენ.

**ნიველირება** [ფრ. niveler] – **1**. (გეოლ). დედამიწის ზედაპირს სიმაღლეთა განსაზღვრა ზო-

გიერთ ამორჩეულ წერტილთან ან ზღვის დონესთან შედარებით.

**2**. (გადატ.). განსხვავების მოსპობა; გათანაბრება.

**ნიკე** [ბერძ. Nikē] – ბერძნულ მითოლოგიაში: გამარჯვების ქალღმერთი.

**ნიკოტინ**-ი [ფრ. nicotine საკუთ. სახ.] – ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც შეიცავს თამბაქო (ფრანგი დიპლომატის Nikot-ის სახელის მიხედვით, რომელმაც პირველმა შეიტანა თამბაქო საფრანგეთში მე-16 ს-ში).

**ნიმბა** [ლათ. nimbus] – სიკაშკაშის გამოსახულება ღვთის, ღვთისმშობლის, წმინდანების თავზე, ქრისტიანულ და ბუდისტურ ხელოვნებაში, როგორც სიმბოლო წმინდანებისა, ღვთაებრიობისა (ბერძ. სინონ. **შარავანდი, შარავანდული**).

**ნიმფომანია** [ბერძ. nymphē ძალა და mania მისწრაფება; სიგიჟე] – (მედიც). ქალის ავადმყოფურად აწეული სქესობრივი აღგზნებადობა.

**ნინძა** [იაპ. მზვერავი, მსტოვარი] – პროფესიონალური ჯაშუშები, ადამიანები, რომლებიც დაქირავებულნი არიან განსაკუთრებულად რთული სპეციალური დავალებების შესასრულებლად.

**ნირვანა** [სანსკრ. nirvâna გაქრობა] – ბუდისტების მისტიკური მოძღვრების მიხედვით; უდიდესი ნეტარება,რომელსაც აღწევენ ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებათაგან სრული თავისუფლებით.

**ნიტროგლიცერინ**-ი [< ბერძ. nitron გვარჯილა და glykeros ტკბილი სოდა,ე.ი. აზოტმჟავას მარილი] – თხევადი ზეთოვანი ნივთიერება, აზოტმჟავას და გოგირდმჟავას ნაერთი გლიცერინთან; იყენებენ როგორც ფეთქებად ნივთიერებას, აგრეთვე (უმცირესი დოზებით) როგორც სამკურნალო პრეპარატს – სისხლძარღვების გასაფართოებლად.

**ნიუ**[1] [ფრ. nu შიშველი] – ხელოვნებაში: შიშველი სხეულის გამოსახულება.

**ნიუ**[2] [ინგ. new] – გეოგრაფიული სახელწოდებების თავსართი, რომელიც აღნიშნავს **„ახალს"**.

**ნიუანს**-ი [ფრ. nuance] – სულ მცირე, უმნიშვნელო განსხვავება რამეში; რისამე ელფერი.
⊙ **წარმოითქმის ნ.-ები.**

**ნიუფაუნდლენდ**-ი [გეოგრ. სახ.] – დიდი გრძელბეწვიანი სასამსახურო ძაღლების ჯიში; იყენებენ სათევზაო ბადის ნაპირზე გამოსათრევად, წყალ-

წაღებულთა გადსარჩენად და სხვ.

**ნიშ**-ი [ფრ. niche] – კედელში შეღრმავებული სათავსი რისამე (მაგ: ლარნაკის, ქანდაკების, ავეჯის) დასადგამად.

○ **ნიშა შცდ**.

**ნიჰილიზმ**-ი [< ლათ. nihil არაფერი] – ყვალაფრის ხელაღებით უარყოფა.

◎ **ნიჰილისტური.**

⊙ **ნ. დამოკიდებულება რაიმესადმი.**

○ **ნიღილიზმი, ნიღილისტური შცდ**.

**ნიჰილისტ**-ი – ადამიანი, რომელიც მკვეთრად, უარყოფითად, სკეპტიკურად ეკიდება ყველაფერს.

⊙ **ნიღილისტი შცდ.**

**ნოვატორ**-ი [ლათ. novator განმაახლებელი] – ადამიანი, რომელსაც ახალი, პროგრესული პრინციპები, იდეები, ხერხები შეაქვს მოღვაწაობის რაიმე სფეროში და განახორციელებს მათ.

⊙ **სცენის ნ. კოტე მარჯანიშვილი.**

◎ **ნოვატორული.**

⊙ **ნ. მეთოდები, ნ. წამოწყება.**

**ნოვაცია** [გვ. ლათ. novatio განახლება, ცვლილება] – სამოქალაქო სამართალში: მხარეების შეთანხმება მათ მიერ ნაკისრი. ერთი ვალდებულების მეორით შეცვლის შესახებ.

**ნოველა** [იტ. novella] – პატარა მოთხრობა.

◎ **ნოველისა.**

⊙ **ნოველასი შცდ.**

**ნოინ**-ი [მონღ.] – (ისტ.). მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი.

**ნოკაუტ**-ი [ინგლ. knock-out] – (სპ.). კრივში: მდგომარეობა, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისგან ძირს არის დავარდნილი, 10 წამის განმავლობაში ვერ დგება და ამიტომ ითვლება დამარცხებულად.

**ნოკდაუნ**-ი [ინგლ. knock-down] – (სპ.). კრივში: მდგომარეობა, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისგან ძირს არის დავარდნილი, მაგრამ 10 წამის განმავლობაში შეიძლება ადგეს ბრძოლის გასაგრძელებლად.

**ნომენკლატურა** [ლათ. nomenclatura სახელთა ნუსხა] – **1**. სია ტერმინთა და სახელწოდებათა, რომელიც იხმარება მეცნიერების, ხელოვნების, წარმოების და სხვ. ამა თუ იმ დარგში.

**2**. თანამდებობის პირთა წრე, რომელთა პერსონალური დანიშვნა ან დამტკიცება შედის რომელიმე უმაღლესი ორგანოს კომპეტენციაში.

◎ **ნომენკლატურული.**

**ნომერ**-ი [ლათ. nomerus რიცხვი] – **1**. ერთგვაროვანი საგნების რიგის მაჩვენებელი რიცხვი (ხშირად წინ უძღვის ნიშანი N ან #).

⊙ **სახლის ნ., ტელეფონის ნ., ბილეთის ნ.**

**2**. საგანი, რომელსაც აქვს გარკვეული რიგითი რიცხვი.

⊙ **ჟურნალის ნ.**

**3**. ცალკე ითახი (ან ოთახები) სასტუმროში, ცალკე განყოფილება (აბანოში).

**4**. რაიმე სანახაობის (კონცერტის, წარმოდგენის...) ნაწილი, რომელიც ცალკე სრულდება. **დანომრვა** – ნომრების დასმა რამეზე.

⊙ **სახლების დ., ადგილების დ.**

◎ **ნომრიანი** (მნიშ. 1).

⊙ **ნ. ბილეთი.**

◎ უარყ. **უნომრო.**

⊙ **უ. საბუთი.**

◎ **ნომრისა.**

○ **ნომერისა, დანომვრა, ნომრიანი, უნომერო შცდ.**

**ნომინალ**-ი [< ლათ. nominalis სახელობითი] – ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდებზე, ქაღალდის ფულის ნიშნებზე, საქონელზე.

**ნომინალურ**-ი [ლათ. nominalis სახელობითი] – **1**. რაც გამოხატულია ამა თუ იმ ფულადი ღირებულებებით.

⊙ **ნ. ხელფასი.**

**2**. რამეზე (რაიმე საქონელზე) აღნიშნული.

⊙ **ნ. ფასი.**

**3**. რასაც, ვისაც მხოლოდ სახელი ჰქვია რისამე, მაგრამ ასრულებს თავის დანიშნულებას.

⊙ **ნ. რედაქტორი.**

**ნომინანტ**-ი – პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც დასახელებულია ჯილდოს პრეტენდენტად რაიმე ნომინაციაზე.

**ნომინაცია** – რაიმე დარგი ან თვისება, რომლისთვისაც მიენიჭება განსაკუთრებული ჯილდო რაიმე კონკურსზე.

⊙ **ნ-ია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი.**

**ნომოკანონ**- ი [ბერძ. nomokanon] – მართლმადიდებლური ეკლესიის წესების კრებული.

**ნონა** [ლათ. nona (მდედრ.) მეცხრე] – **1**. (მუს.) ცხრასაფეხურიანი ინტერვალი; მუსიკალური გამის მეცხრე საფეხური.

**2**. (ლიტ.) ცხრასტრიქონიანი სტროფი.

**ნონეტ**-ი [იტ. nonetto] – **1.** ცხრა შემსრულებლისგან შემდგარი ანსამბლი.
**2.** მუსიკალური ნაწარმოები ცხრა ხმისა ან საკრავისათვის.

**ნონკონფორმიზმი**-ი [ინგ. Non-conformism არდათანხმება] – **1.** მცდელობა, რადაც არ უნდა დაჯდეს წინააღმდეგობა გაუწიო უმრავლესობას და იმოქმედო საწინააღმდეგოდ
**2.** არსებული წესის მიუღებლობა, საერთოდ აღიარებული აზრის კრიტიკული დამოუკიდებლობა ოფიციალური იდეოლოგიისა და საზოგადოებრივ-(ეკონომიკურ)-პოლიტიკური სისტემისადმი.

**ნონსენს**-ი [ინგ. nonsense] – უაზრობა, სისულელე.

**ნორმა** [ლათ. norma] – **1.** რისამე დაწესებული რაოდენობა; რისამე საშუალო სიდიდე.
⊙ **გამომუშავების ნ.-ები.**
**2.** დაკანონებული რამ.
⊙ **სამართლის ნ.-ები, სალიტერატურო ენის ნ.-ები.**

**ნორმალურ**-ი [< ლათ. normalis სწორხაზოვანი] – **1.** ნორმის (მნიშ. **1**) შესაბამისი ჩვეულებრივი; ბუნებრივი.
⊙ **ნ. სიმაღლე, ნ. ტემპერატურა, ნ. ტემპერამენტი.**
**2.** ფსიქიკურად ჯანსაღი (ადამიანი).

**ნორმანებ**-ი [სკანდ. northman ჩრდილოეთის ადამიანი] – ჩრდილოეთ გერმანული ტომები, რომლებიც მე-8-11 სს.-ში არბევდნენ ევროპის ქვეყნებს.

**ნორმატივ**-ი [ლათ. normatio მოწესრიგება] – მაჩვენებელი ნორმებისა, რომელთა მიხედვითაც წარმოებს რაიმე მუშაობა.
⊙ **ტექნიკური ნ.-ები, შრომის ნაყოფიერების ნ.-ები.**

**ნორმატიული** – **1.** რასაც ნორმატივის საშუალებით ადგენენ.
⊙ **დეტალების ნ. მარაგი.**
**2.** რაც რისამე ნორმებს განსაზღვრავს, ადგენს.
⊙ **ნ. გრამატიკა.**
○ **ნორმატული** შცდ.

**ნოსტალგია** [ბერძ. nostos შინ დაბრუნება და algos ტანჯვა, ტკივილი] – (წიგნ.) სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობით (ქართ. სინონ. **სამშობლოს სევდა**).
⊙ **ამ სიტყვის ხმარება საერთოდ რაიმე სევდის აღსანიშნავად შცდ.**

**ნოტ**-ი [ლათ. nota ნიშანი] – **1.** მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; თვით ბგერა.
⊙ **მაღალი ნ.**

**2**. მრ. **ნოტები** – ასეთი ნიშნებით ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი; ასეთი ტექსტების შემცველი რვეული, წიგნი.

⊙ **ნ.-ებით დაკვრა.**

◎ **სანოტო.**

⊙ **ს. ნიშანი, ს. ქაღალდი.**

⊙ **ნოტა** სხვაა (იხ).

**ნО́ტა** [ლათ. nota ნიშანი, შენიშვნა] – ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

⊙ **საპროტესტო ნ., ნ-ების გაცვლა.**

**ნОტარИ́უს**-ი [ლათ. notarius მწერალი, მდივანი] – თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება სხვადასხვაგვარი დოკუმენტების, იურიდიული აქციების დამოწმება და გაფორმება.

◎ **ნოტარიული** და **სანოტარო.**

⊙ **ნ. (ს.) კანტორა, ნ. დამოწმება.**

○ **ნოტარიალური შცდ.**

**ნОტАЦИა** [ლათ. notatio შენიშვნა, აღნიშვნა] – **1.** (სპეც.) რისამე პირობითი წერილობითი აღნიშვნების სისტემა.

⊙ **საჭადრაკო ნ., მუსიკალური ნ.,**

**2.** (საუბ.) ჭკუის დარიგება, ჭკუის სწავლება.

⊙ **ნ.-ებს უკითხავს** (ჭკუას არიგებს, ჭკუას ასწავლის).

○ მე-2 მნიშ.-ით ზოგჯერ ხმარობენ **ნატაციას** რაც **შცდ.**

**ნО́უ-ჰАუ** [ინგ. know-how ვიცი როგორ] – ტექნიკური ცოდნა, გამოცდილება, წარმოების საიდუმლოებები,დოკუმენტურად გაფორმებული და დაცული კანონმდებლობით, რომელთა გადაცემა სალიცენზიო ხელშეკრულების და სხვ. შეთანხმების დროს დამატებით აღინიშნება (შეინიშნება).

**ნОქტИ́ურნ**-ი [ფრ. noqturne] – პატარა ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები.

⊙ **შოპენის ნ-ები.**

○ **ნოქტურნა, ნოქტურნი შცდ.**

**ნუ** [< ფრ. nu შიშველი] – გაშიშვლებული ცოცხალი ნატურა; შიშველი სხეულის გამოსახულება.

**ნუ́გა** [ფრ. nougat] – საკონდიტრო ნაწარმი; ტკბილი ბლანტი მასა, რომელშიც თხილი ან ნუშია ჩართული.

**ნუ́დИზმ**-ი [ლათ. nudus შიშველი] – მიმართულება, რომელიც ქადაგებს შიშველი სხეულის კულტურას.

**ნუვО́რИშ**-ი [ფრ. nouveauriche ახალი მდიდარი] – მდიდარი – მეტიჩარა, რომელიც სულ

ცოტა ხნის წინ გამდიდრდა სპეკულაციით, სოციალური ცვლილებების შედეგად, სხვათა გაკოტრების საფუძველზე; ახლადგამდიდრებული.

**ნულ**-ი და **ნოლ**-ი [ლათ. nullus არავითარი] – **1.** ციფრობრივი ნიშანი **0**, რომელიც ცალკე არ აღნიშნავს სიდიდის არსებობას, ხოლო თუ რაიმე რიცხვს მიწერილი აქვს მარჯვნივ, ზრდის მათ ათჯერ.
**2.** პირობითი სიდიდე,რომელთან მიმართებითაც იანგარიშება რისამე ტემპერატურა.
⊙ **ჰაერის ტემპერატურა ნ. გრადუსია, 15 გრადუსი ნ.-ს ქვევით.**
**აბსოლუტური ნული (ნოლი)** – (ფიზ.) თეორიულად დასაშვები ყველაზე დაბალი ტემპერატურა – 273,16°C.
◎ **ნულოვანი** და **ნოლოვანი.**
⊙ **ნ. სიდიდე, ნ. ტემპერატურა.**

**ნულიფიკაცია** [ლათ. nullificatio მოსპობა < nullus არავითარი] – ძალის, მნიშვნელობის დაკარგვა რამესათვის, გაუქმება რისამე.

**ნუმერაცია** [ლათ. numeratio] – რამეზე ნომრების დასმა თანამიმდევრობით; დანომვრა;
⊙ **სახლების ნ.**
○ **ნომერაცია შცდ.**

**ნუმიზმატიკა** [< ლათ. numisma (numismatis) ლითონის ფული] – ისტორიის დამხმარე მეცნიერება, რომელიც სწავლობს ძველ მონეტებს (ლითონის ფულს), აგრეთვე მედლებს, ორდენებს და მისთ.
◎ **ნუმიზმატიკური.**
⊙ **ნ. კაბინეტი, ნ. კოლექცია.**
○ **ნუმიზმატიური შცდ.**

**ნუნციუს**-ი და **ნუნცი** [ლათ. nuntus] – რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან.

**ნუტრია** [ესპ. nutria] – მღრღნელი ცხოველი, რომელიც სანახევროდ წყალში ცხოვრობს, აქვს ძვირფასი ბეწვი და დიეტური ხორცი;
⊙ **ნუტრიისა.**
○ **ნუტრიასი შცდ.**

## ო

**ოაზის**-ი, **ოაზ**-ი [ბერძ. oasis < ეგვიპტ.] – ადგილი უდაბნოში, სადაც წყალია და მცენარეულობა.
⊙ **ო-ები აფრიკაში.**

**ობელისკ**-ი [ბერძ. obeliskos] – ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ზევითკენ თანდათანობით განვითარებულ სვეტს.

⊙ **გრანიტის ო., შინმოუსვლელთა ო., ო.-ის აღმართვა.**

**ობიექტ**-ი [ლათ. objectum საგანი] – **1.** (ფილოს.) ჩვენს გარეშე და ჩვენი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებული გარესამყარო; მატერიალური სინამდვილე (საპირისპ. **სუბიექტი**).

**2.** (წიგნ.) მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც არის მიმართული ვისიმე მოქმედება, ყურადღება და სხვა.

⊙ **დაკვირვების ო., შესწავლის ო.**

**3**. საწარმო, მშენებლობა, აგრეთვე ყველაფერი ის, რაც წარმოადგენს რაიმე მოქმედების ადგილს.

⊙ **თავდაცვითი ო.**

**ობიექტური** – **1.** ობიექტთან (მნიშვ. 1,2 დაკავშირებული).

⊙ **ო. სამყარო, ო. სინამდვილე, ო. კანონზომიერება.**

**2.** მიუდგომელი, მიუკერძოებელი.

⊙ **ო. დასკვნა, ო. შეფასება, ო. ადამიანი.**

○ **ობიექტიური შცდ.**

**ობიექტივ**-ი [ლათ. objectivus საგნობრივი] – ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი, რომელიც ერთი ან რამდენიმე ლინზისგან შედგება და დაკვირვების ობიექტის მხარესაა მიმართული.

⊙ **ფოტოაპარატის ო, მიკროსკოპის ო.**

**ობივატელ**-ი [რუს. обыватель] – ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას და ცხოვრობს მხოლოდ წვრილმანი პირადი ინტერესებით.

**ობლიგაცია** [ლათ. obligatio ვალდებულება]– სახელმწიფო სესხის ბილეთი.

**ობროგაცია** [ლათ. obrogatio] – ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა ძველ კანონში.

**ობსერვატორია** [ლათ. observatorium < observo ვაკვირდები] – შენობა და სამეცნიერო დაწესებულება,რომელიც მოწყობილია ასტრონომიული, გეოფიზიკური და სხვ. მსგავსი ხასიათის დაკვირვებისთვის.

⊙ **აბასთუმნის ასტროფიზიკური ო.**

**ობსერვაცია** [ლათ. observatio] – **1.** (წიგნ.) დაკვირვება.

**2.** იზოლაცია (სპეციალურ სადგომებში მოთავსება) იმ ადამიანების, რომლებიც შეიძლება დასნებოვნებული იყვნენ შავი ჭირით, ქოლერით, ყვავილით და ყვითელი ცხელებით (ჩვეულებრივ ისეთი დასახლებული პუნქტებიდან ჩამოსულთა,სადაც შენიშნულია ეს დაავადებანი).

**3.** ზღვაში გემის ადგილსამყოფელის განსაზღვრა სანაპირო ობიექტებზე ან ციურ სხეულებზე დაკვირვებით.

**ობსკურანტ**-ი [ლათ. obscurans (obscuranris) დამაბნელებული] – მეცნიერებისა და განთლების მტერი,რეაქციონერი,ბნელეთის მოციქული.

**ობსკურანტიზმ**-ი [ლათ. obscūrāntionis] – მეცნიერების და სწავლა-განათლებისადმი, კულტურული პროგრესისადმი მტრული დამოკიდებულება; ბნელეთის მოციქულობა.

**ობსტრუქცია** [ლათ. obstructio შეფერხება, დაბრკოლება] – სხდომის, კრების, ვისიმე გამოსვლის ჩაშლა წამოძახილებით, ხმაურით, გრძელი, უსაგნო სიტყვის წარმოთქმით და მისთ.

**ოდა** [ბერძნ. ōdē] – **1.** ძველ ბერძნებში: საზეიმო ლირიკული ლექსი, რომელსაც გუნდი ასრულებდა.

**2.** სახოტბო ლექსი, რომელშიც შედიოდა ისტორიული ამბავი ან პირი.

**ოდეკოლონ**-ი [ფრ. eau de Cologne „კელნის (ქალაქი გერმანიაში) წყალი“] – სურნელოვან ნივთიერებათა ხსნარი, სპირტით გაზავებული; პარფიუმერულ-ჰიგიენური საშუალება.

○ **ოდეკალონი, ადეკალონი შცდ**.

**ოდიკ**-ი [ბერძ. antimins] – იგივეა, რაც ანტიმინისი; ტრაპეზის გარდამოხსნა, სელის ან აბრეშუმის ოთხკუთხა ქსოვილი წმ. ნაწილების ან ზიარების საიდუმლოს გამოსახულებით, იესო ქრისტეს საფლავში ჩასვენების დეტალებით. კურთხევის შემდეგ ტრაპეზზე დებენ და იწყება ზიარების საიდუმლო.

**ოდიოზურ**-ი [ლათ. odiosus სიძულვილი] – (წიგნ.) ვინც ან რაც უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს; მეტისმეტად უსიამოვნო, არასასურველი.

**ოდისეა** [< ბერძ. Odysseus] – **1.** ძველი საბერძნეთის ეპიკური პოემა, აღწერილია ოდისეის-იტაკის მეფის – მოგზაურობა; პოემის შემქმნელად ითვლება ნახევრადმითიური პოეტი – გომერი.

**2.** თავგადასავლებით მდიდარი ხეტიალი.

**ოვალ**-ი [ფრ. ovale და ovum კვერცხი] – წაგრძელებული ღარის მოხაზულობა, რომელიც კვერცხის სიგრძივ ჭრილს მოგვაგონებს.

◎ **ოვალური.**

⊙ **ო. ჩარჩო, ო. დეტალი.**

**ოვაცია** [ლათ. ovatio] – მოწო-

ნების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.
⊙ **ორატორს ო. მოუწყვეს.**

**ოვერდრაფტ**-ი [ინგლ. overdraft] – მოკლევადიანი კრედიტის ფორმა,როდესაც ბანკი იხდის კლიენტების ჩეკს მიმდინარე ანგარიშის ნარჩენის ზემოთ (ეძლევათ ყველაზე საიმედო კლიენტებს).

**ოზონ**-ი [< ბერძ. ozo სუნი მაქვს] – დამახასიათებელი სუნის მქონე აირ-ჟანგბადის სამი ატომის ნაერთი; წარმოიქმნება ელექტრონული განმუხტვის შედეგად (ჭექა-ქუხილის დროს) და მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით; იყენებენ წყლის და ჰაერის გასაწმენდად.

**ოკეანარიუმ**-ი–ოკეანის(ზღვის) პირასმოწყობილიწყალსაცავი – ზღვის ცხოველებზე დასაკვირვებლად, მათ შესასწავლად.

**ოკეანე** [ბერძ. okeanos] – **1.** კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე.
⊙ **წყნარი ო. ატლანტიკის ო.**
◎ **ოკეანისა.**
○ **ოკეანესი შეცდ.**
**2.** ბერძნული მითოლოგიაში. წყლის სტიქიის ღმერთი,ურანოსისა და გეას შვილი.

**ოკულარ**-ი [ლათ. ocularis თვალისა] – ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი-ლინზა ან ლინზათა სისტემა, რომელიც მიმართულია დამკვირვებლის თვალისაკენ.
⊙ **მიკროსკოპის ო.**
○ **ოკულიარი შეცდ.**

**ოკულისტ**-ი [ლათ. oculus თვალი] – თვალის ექიმი; ოფთალმოლოგი.

**ოკუპანტ**-ი ოკუპაციის მონაწილე.

**ოკუპაცია** [ლათ. occupatio] და **ოკუპირება** [გერმ. okkupieren] – რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაკავება.

**ოლიგარქია** [ბერძ. oligarchia] – მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მცირერიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენელთა პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა; თვით ეს ჯგუფი.
⊙ **ფინანსური ო.**
◎ **ოლიგარქიული.**
⊙ **ო. მმართველობა.**
○ **ოლიგარხია, ოლიგარხიული შეცდ.**

**ოლიგოფრენია** [ბერძ. oligos პატარა და phēn ჭკუა] – თანდაყოლილი ჭკუასუსტობა.

**ოლიმპ**-ი [ბერძ. Olympos] –

ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების სამყოფელი) ამ სახელწოდების მთა საბერძნეთში); ღმერთების კრებული.

◎ **ოლიმპიური:** ოლიმპიური სიმშვიდე – (წიგნ.) დიდი სიმშვიდე, აღუშფოთებლობა.

⊙ იხმარება აგრეთვე **ოლიმპო.**

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ** სხვაა (იხ. **ოლიმპიადა**).

**ᲝᲚᲘᲛᲞᲔᲚᲘ** – ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთი, ოლიმპოზე მცხოვრები.

⊙ **ოლიმპიელი** სხვაა (იხ.).

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ** [ბერძ. Olympias c Olympiados] – **1.** ძველ საბერძნეთში: ოთხწლიანი შუალედი ოლიმპიურ თამაშებს შორის.

**2.** ოლიმპიური თამაშები (იხ. აქვე).

**ᲗᲔᲗᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ** – ასე უწოდებენ ზამთრის ოლიმპიადას.

**3.** სპორტული, თეატრალური და სხვა ხასიათის შეჯიბრება, კერძოდ, მოსწავლეთა შეჯიბრება რომელიმე საგანში.

⊙ **მხატვრული თვითშემოქმედების ო., მოსწავლეთა რესპუბლიკური მათემატიკური ო.**

◎ **ოლიმპიური.**

⊙ **ო. ჩემპიონი.**

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ** – თანამედროვე საერთაშორისო შეჯიბრება სპორტის ძირითად სახეობებში (იმართება 4 წელიწადში ერთხელ საბერძნეთის ოლიმპიადის მსგავსად).

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ** – საცხოვრებელი სახეობის კომპლექსი ოლიმპიური თამაშების მონაწილეთათვის.

◎ **ოლიმპიადისა.**

○ **ოლიმპიადასი.**

⊙ **ოლიმპური** სხვაა (იხ. ოლიმპი).

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲘ** – (საუბ.). ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენი.

⊙ **ოლიმპელი** სხვაა (იხ.)

**ᲝᲚᲘᲤᲐ** [რუს. олифа ბერძ. aleipha ზეთი] – მოხარშული ზეთი (სელის, კანაფის და სხვა, რომელსაც იყენებენ ზეთის საღებავების და ლაქების დასამზადებლად.

**ᲝᲛᲐᲠ**-ი [ფრ. homard] – ზღვის დიდი კიბო ერთგვარი; გავრცელებულია ატლანტიკის ოკეანეში; აქვს გემრიელი ხორცი.

**ᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜ**-ი [შვედ. ombudsman] – სახალხო დამცველი.

**ᲝᲛᲚᲔᲢ**-ი [ფრ. omelette] – ფქვილსა და რძეში ათქვეფილი კვერცხებისგან მომზადებული ერბოკვერცხი.

**ᲝᲛᲜᲘᲑᲣᲡ**-ი [ლათ. omnibus ყველასათვის] – (მოძვ.) ცხენებ-

შებმული მრავალადგილიანი კარეტა, რომელსაც დაჰყავდა მგზავრები გარკვეული მარშრუტით.

**ომონიმ**-ი [ბერძ. homônymus] – სიტყვა, რომლის ბგერითი შემადგენლობა ემთხვევა სხვა სიტყვას, ხოლო მნიშვნელობითა და წარმოშობით განსხვავდება მისგან.

⊙ **ბალი** – მცენარე,ხილი; **ბალი** – ციფრობრივი აღნიშვნა რისამე; **ბალი** – საცეკვაო საღამო.

**ონანიზმ**-ი – სქესობრივი მოთხოვნილებათა არაბუნებრივი ხერხით დაკმაყოფილება სასქესო ორგანოების გაღიზიანებით (სქესობრივი აქტის გარეშე) [ბიბლიური ლეგენდის პერსონაჟის – ონანის – სახელის მიხედვით].

**ონკოლ**-ი [ინგლ. on call მოთხოვნისთანავე] – (ფინანს.) სპეციალური ანგარიში, რომელსაც ხსნიან ბანკები საწინდრით – იმ პირობით, რომ სესხი დაიფარება ყოველ მომენტში ერთ-ერთი მხარის (ბანკის ან კლიენტის) მოთხოვნით.

**ონკოლოგია** [ბერძ. onkos – ამობურცულობა და logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სიმსივნეებს და მათი მკურნალობის მეთოდებს.

◎ **ონკოლოგიური.**

⊙ **ო. ინსტიტუტი, ო. საავადმყოფო.**

**ონომასტიკა** [ბერძ. onomastikos სახელწოდებასთან დაკავშირებული] – **1.** ამა თუ იმ ენაში არსებული საკუთარ სახელთა ერთობლიობა.

**2.** ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც საკუთარ სახელებს სწავლობს.

**ონტოგენეზ**-ი და **ონტოგენეზის**-ი [ბერძ. on(ontos) არსებული და genesis წარმოშობა, განვითარება] – (ბიოლ.) ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება მისი ჩასახვიდან სიცოცხლის დასასრულამდე.

**ოოფორიტ**-ი [< ბერძ. oophoron საკვერცხე] – (მედიც.) ქალის საკვერცხის ანთება.

**ოპ-არტ**-ი [ინგლ. op-art < optical ოპტიკური ხელოვნება] – მოდერნისტული მიმართულება სახვით ხელოვნებაში, რომელიც იყენებს ოპტიკურ ეფექტს შექმნილს სახეებით და მოხატულობით).

**ოპერა** [იტ. ოპერა] – **1.** თეატრში შესასრულებლად განკუთვნილი მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც მოქ-

მედი პირნი მღერიან ორკესტრის თანხლებით.
⊙ **კლასიკური ო., ო. „დაისი“, ო.-ის სოლისტი.**
2. თეატრი, რომელშიც ასეთი წარმოდგენები იმართება.
⊙ **თბილისის ო., ო.-ის თეატრი, ო.-ში წავიდნენ.**
◎ **საოპერო.**
⊙ **ს. ხელოვნება.**

**ოპერატიული** – 1. უშუალოდ პრაქტიკულად შემსრულებელი რისიმე.
⊙ **ო. განყოფილება., ო. ორგანოები.**
2. პრაქტიკული ამოცანების სწრაფად გადაწყვეტის უნარის მქონე. [ქართ. სინონ. **ქმედითი**).
⊙ **ო. ხელმძღვანელობა.**
○ **ოპერაციულის** (იხ. **ოპერაცია**).
○ მნიშვ.-ით **(„ოპერატიული ჩარევა“) შცდ**.

**ოპერატორ**-ი [ლათ. operatos მოქმედი] – კინოსურათის გადაღების სპეციალისტი; კინოოპერატორი.
**ხმის ოპერატორი** – კინოფილმის ხმის ჩაწერის სპეციალისტი.

**ოპერაცია** [ლათ. operatio მოქმედება] – 1. ქირურგიული მოქმედება ზოგი დაავადების ან ჭრილობის სამკურნალოდ.
⊙ **გულის ო., ო.-ის გაკეთება.**
2. საომარ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლბიც გაერთიანებულია ერთი მიზნით, ერთი ამოცანით.
⊙ **სადესანტო ო., ო.-ის გეგმის შედგენა.**
3. საფინანსო, სავაჭრო და სხვა ცალკე მოქმედება.
⊙ **საბანკო ო., საფოსტო ო.**
◎ **ოპერაციული** (მნიშვნ. 1-ისათვის).
⊙ **ო. ჩარევა** ე.ი. ოპერაციის გაკეთება.
◎ **საოპერაციო** (მნიშვნ. 1-ისათვის).
⊙ **ს. ინსტრუმენტები** (მნიშვნ. 2-ისათვის), **ს. დარბაზი.**
**საოპერაციო** – საავადმყოფოში: სათანადოდ მოწყობილი სადგომი, სადაც ოპერაციას აკეთებენ.

**ოპერეტა** [იტ. operetta] – კომიკური მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც სიმღერები, ცეკვები და ლაპარაკი ენაცვლება ერთმანეთს.
⊙ **კალმანის ო.-ები, ო.-ის თეატრი, ო.-ის მსახიობი.**

**ოპიუმ**-ი [ლათ. opium < ბერძ. opion ყაყაჩოს წვენი] – ხაშხაშის მოუმწიფებელი ნაყოფის რძიანი წვენისგან მოპოვებული ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება.

**ოპოზიცია** [ლათ. opositio დაპირისპირება] – რაიმე ორ-

განიზაციის შიგნით არსებული ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებს, პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებს და პოლიტიკას.
⊙ **პარტიის შიგნით არსებული ო., პარლამენტის ო.**
◎ **ოპოზიციური.**
⊙ **ო. პარტიები.**

**ოპოზიციონერი** – ოპოზიციის მონაწილე.

**ოპონენტ**-ი [ლათ. opponens (opponentis) ვინც ეკამათება ვისმე] – პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების, დასაბუთების წინააღმდეგ.
⊙ **ოფიციალური ო.** (დისერტაციის დაცვის დროს).

**ოპორტუნიზმ**-ი [ფრ. opportunisme] – შემგუებლობა, უკანონობა.
◎ **ოპორტუნისტული.**
⊙ **ო. მიმდინარეობა.**

**ოპორტუნისტ**-ი ოპორტუნიზმით გამსჭვალული ადამიანი.

**ოპტაცია** [ლათ. optatio არჩევანი, სასურველი] – (სამართ.) მოქალაქეობის ამორჩევა; ასეთი უფლება ჩვეულებრივ ენიჭება იმ ტერიტორიის მოსახლეობას, რომელიც ერთი სახელმწიფოდან მეორის მფლობელობაში გადადის.

**ოპტიკა** [ბერძ. optikē] – **1.** ფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სინათლის მოვლენებს და თვისებებს.
**2.** კრებ. ხელსაწყო-იარაღები, რომელთა მოქმედება ემყარება სინათლეს.

**ოპტიმალური** [< ლათ. optimus საუკეთესო] – ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე შესაფერი, საუკეთესო.
⊙ **ო. პირობები, თესვის ო. ვადები.**

**ოპტიმიზმ**-ი [ლათ. optimus საუკეთესო]– ყველაფერში კარგი, ნათელი მხარეების დანახვა; მხნე განწყობილება, მომავლის რწმენა; იმედიანობა.
(საპირისპ. **პესიმიზმი**).
◎ **ოპტიმისტური.**
⊙ **ო. განწყობილება.**

**ოპტიმისტ**-ი – ოპტიმიზმით გამსჭვალული ადამიანი.

**ოპტიმუმ**-ი [ლათ. optimum საუკეთესო] – (წიგნ.) ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა.

**ოპტოგრამა** [ბერძ. optos ხილული, ხილვადი და gramma ჩაწერა, ჩანაწერი] – თვალის ბადურაზე ასახული სურათი იმისა, ვინც ან რაც იმყოფებოდა ვისიმე ან რისიმე მხედველობის არეში ამ უკანასკნელის სიკვდილის წინ (ის, რომ მომაკვდავი ადამია-

ნის თვალის ბადურზე აღიბეჭდება ყველაფერი, რაც დაინახა მან სიცოცხლის უკანასკნელ წამებში, აღმოაჩინა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა **კიუნემ** 1881 წ.).

**ᲝᲞᲢᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ** [ბერძ. optos ხილული და metreo ვზომავ] – სათვალეების (ლინზებისა და ჩარჩოების) კეთების საქმე.

**ᲝᲠᲐ́ᲙᲣᲚᲘ** [ლათ. oraculum გამონათქვამი, წინასწარმეტყველება orare მბობა] – ძველ საბერძნეთში, რომში და ძველ აღმოსავლეთ ქვეყნებში:
**1**. წინასწარმეტყველება, რომელსაც თითქოს ღვთაების შთაგონებით ქურუმები გადასცემენ შემკითხველ მორწმუნეებს.
**2**. ადგილი, ტაძარი, სადაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ.

**ᲝᲠᲐᲜᲒᲣ́ᲢᲐᲜ**-ი [მალაიური orang utany] – ადამიანის მსგავსი დიდი მაიმუნი.
⊙ **ორანგუტანგი** – იხმარება.

**ᲝᲠᲐᲜᲟᲔ́ᲠᲔᲐ** [ფრ. orangerie] – შემინული სათავსი, სადაც მოაშენებენ მცენარეებს (ქართ. სინონ. **სათბური**).
⊙ **ო.-ის ყვავილები, ო.-ის პომიდორი.**
◎ **საორანჟერეო.**
⊙ **ს. მეურნეობა.**
◎ **ორანჟერეისა.**
⊙ **ორანჟერეასი, ორნჟერეია, საორანჟერეიო შცდ.**

**ᲝᲠᲐ́ᲢᲝᲠ**-ი [ლ. orator] – **1**. პირი, რომელიც საჯაროდ წარმოთქვამს სიტყვას.
⊙ **ო.-ები ერთმანეთს ცვლიდნენ.**
**2**. ადამიანი, რომელსაც ეხერხება საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა (ქართ. სინონ. **მჭევრმეტყველი**).
⊙ **კარგი ო.**
◎ **ორატორული.**
⊙ **ო. ხელოვნება, ო. ნიჭი.**

**ᲝᲠᲐᲢᲝ́ᲠᲘᲐ** [იტ. oratorio] – დიდი მუსიკალური დრამატული ნაწარმოები გუნდისა, სოლისტმომღერლების და ორკესტრისათვის.
◎ **ორატორიული** და **საორატორიო.**
⊙ **ო. (ს.) ნაწარმოები, ო. (ს.) ლიბრეტო.**
◎ **ორატორიისა.**
○ **ორატორიასი. შცდ.**
⊙ **ორატორული** სხვაა (იხ. **ორატორი**).

**ᲝᲠ́ᲑᲘᲢᲐ** [ლათ. orbita] ციური სხეულის, აგრეთვე კოსმოსური აპარატის, ხომალდის სამოძრაო გზა.
⊙ **დედამიწის ო., მთვარის ო.**
◎ **ორბიტული.**
⊙ **ო. ფრენა, ო. კოსმოსური სადგური.**

◎ **ორბიტისა.**
⊙ **ორბიტასი, ორბიტი, ორბიტალური შცდ.**

**ორგაზმ**-ი [< ბერძ. orgaô დავიბერები, აღვიგზნები] – უკიდურესი აღგზნება, რომელიც წარმოიშობა სქესობრივი აქტის დამთავრების მომენტში.

**ორგან**-ი [ბერძ. organon მუსიკალური საკრავი] – სასულე კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი; შედგება მილებისაგან, რომლებიც ჰაერი საბერველით იჭირხნება.
◎ **საორგანო.**
⊙ **ს. მუსიკა. ს. კონცერტი.**
○ **ორღანი, საორღანო შცდ.**

**ორგანიზატორ**-ი [ფრ. organisateur] – პირი, რომელიც რისამე ორგანიზაციას ახდენს; პირი, რომელსაც ორგანიზაციული მუშაობის უნარი აქვს.
⊙ **ნიჭიერი ო.**
◎ **ორგანიზატორული.**
⊙ **ო. ნიჭი, ო. მუშაობა.**

**ორგანიზაცია** [ფრ. organisateus] – **1.** მოწესრიგება, მოწყობა რისამე.
○ **შრომის მეცნიერული ო.**
**2.** საზოგადოებრივი გაერთიანება ან სახელმწიფო დაწესებულება.
⊙ **სამშენებლო ო.**
◎ **ორგანიზაციული** და **საორგანიზაციო** (მნიშ. 1-ისათვის).
⊙ **ო. (ს,) საკითხები. ს. კომიტეტი, ს. პერიოდი.**

**ორგანიზება** [გერმ. organisieren] – იგივეა, რაც ორგანიზაცია (მნიშვ. 1).

**ორგანიზმ**-ი [ფრ. organisme] – **1.** ცოცხალი მთლიანობა (არსება ან მცენარე), რომელიც შეთანხმებულად მოქმედი ორგანოებისაგან შედგება.
⊙ **უმარტივესი ო.-ები, ცხოველური ო., მცენარეული ო.**
**2.** რომელიმე ადამიანის ფიზიკური და სულიერ თვისებათა ერთობლიობა.
⊙ **სუსტი ო.**

**ორგანული** – **1.** რისთვისაც სასიცოცხლო პროცესებია დამახასიათებელი; ცოცხალი.
⊙ **ო. ბუნება.**
**2.** მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების დაშლის შედეგად წარმოქმნილი; ასეთი დაშლის პროცესი.
⊙ **ო. სასუქი.**

**ორგანული ქიმია** – ქიმიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ნახშირბადის შემცველ ნაერთებს.
⊙ **ორგანიული შცდ.**

**ორგანისტ**-ი – ორგანის დამკვრელი მუსიკოსი.
⊙ **ორღანისტი შცდ.**

**ორგანო** [ბერძ. organon იარაღი] – **1.** ორგანიზმის ნაწილი, რო-

მელსაც გარკვეული დანიშ-ნულება აქვს.
⊙ **მხედველობის ო., შინაგანი ო.-ები.**
**2.** სახელმწიფო ან საზოგადო-ებრივი დაწესებულება, ორ-განიზაცია.
⊙ **მმართველობის ო.-ები, სა-ფინანსო ო.-ები.**
**3.** პერიოდული ბეჭდვის გამო-ცემა (გაზეთი, ჟურნალი).
⊙ **„ლიტერატურული საქართვე-ლო" – მწერალთა კავშირის ორგანო.**

**ორგია** [ბერძ. orgia] – **1.** თავაშ-ვებული,წრეგადასული დროს-ტარება, ქეიფი.
**2.** ძველ საბერძნეთსა და რომში ღვინის და მხიარულების ღმერთის – დიონისეს (ბახუ-სის) დღესასწაული.

**ორდალია** [ლათ. ordalio] – შუა საუკუნეებში: ბრალდების მოწ-მის წამება გახურებული შან-თით, მდუღარე წყლით და მისთ. მისი დამნაშვეობა – უდანაშაულობის გასარკვე-ვად; თუ წამებას გაუძლებდა გასამართლებულად ჩათვლიდ-ნენ.

**ორდენ**-ი [ლათ. ordo (odinis) წიგნ.] – **1.** სხვადასხვა ხა-რისხისა და სახელწოდების ნიშანი, რომელსაც ხელისუფ-ლება აჯილდოებს განსაკუთ-რებული დამსახურებისათვის.
⊙ **ვახტანგ გორგასლის ო.**
**2.** კათოლიკური ეკლესიის ორ-განიზაცია, საზოგადოება.
⊙ **იეზუიტთა ო.**

**ორდერ**-ი [გერმ. Order < ფრ. ordere ბრძანება] – წერილო-ბითი განკარგულება, საბუთი, რომელიც რისამე ნებართვის, რისამე მიღების უფლებას იძლევა.
⊙ **ბინის ო.**

**ორდინარულ**-ი [ლათ. ordinarius] – (წიგნ.) რაც არაფრით არ გამოირჩევა.
⊙ **ჩვეულებრივი ო. შემთხვევა.**
○ **ორდინალური შცდ.**

**ორდინატ**-ი [ლათ. ordinatis წე-სიერად განლაგებული] – (მათემ.) ერთ-ერთი სამ კო-ორდინატთგანი, რომლებიც განსაზღვრავენ წერტილის მდებარეობას სივრცეში.

**ორდინატორ**-ი [ლათ. ordinatos განმკარგულებელი, მომწყობი] – საავადმყოფოს, კლინიკის, პოლიკლინიკისა და მისთ. მკურნალი ექიმი,რომელიც მუ-შაობს განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით.

**ორდინატურა** – **1.** ორდინატორის თანამდებობა.
**2.** პრაქტიკული სამედიცინო ასპირანტურა.

**ორეოლ**-ი [ფრ. aureole < ლათ.

aureolus მოოქროვილი] – **1.** ნათელი ციალი მნათობი საგანის ირგვლივ.

**2.** (გადატ.) დიდების,წარმატების ატმოსფერო, რომელიც ვინმეს ახლავს.

⊙ **წარმატების ო.**

**ორთოგრაფია** [ბერძ. orphos სწორ და graphō ვწერ] – წერის დადგენილი და საყოველთაოდ მიღებული წესები. (ქართ. სინონ. **მართლწერა**).

◎ **ორთოგრაფიული.**

⊙ **ო. შეცდომა, ქართული ო. ლექსიქონი.**

**ორთოდოქსულ**-ი [< ბერძ. orthodoxos მართლმორწმუნე] – (წიგნ.) რაიმე მოძღვრების, შეხედულების განუხრელად მიმდევარი; თანმიმდევრული.

**ორთოპედია** [ბერძ. orthos სწორი და paideia აღზრდა] – მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს და მკურნალობს ხერხემლისა და კიდურების დეფორმაციებს.

**ორიგინალ**-ი [< ფრ. original თავდაპირველი, ლათ. originalis < origo წარმოშობა] – **1.** დედანი, თავდაპირველი ეგზემპლარი; ხელნაწერი და გრაფიკული მასალა.

⊙ **რომანის ო.-ში წაკითხვა.**

**2.** ადამიანი, რომელიც სხვას არ ჰგავს, თავისებური, განსხვავებული, უცნაური, განსაკუთრებული.

**ორიგინალურ**-ი < [ლათ. originalis თავდაპირველი] – **1.** არათარგმანი, არანასესხები; დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგად შექმნილი.

⊙ **ო. პიესა, ო. ლიტერატურა.**

**2.** რაც ან ვინც სხვას არა ჰგავს, თვითმყოფადი.

**3.** თავისებური,განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი.

⊙ **ო. შეხედულება, ო. კონსტრუქცია.**

⊙ **„დათა თუთაშხია“ ო. რომანია.**

○ **ორგინარული შცდ.**

**ორიენტაცია** [ფრ. orientation] და **ორიენტირება** [გერმ. orientieren] – **1.** სივრცეში ორიენტირების გარკვევა.

**2.** გადატ. (წიგნ.) რაიმე საკითხებში, გარემომცველ პირობებში გარკვევის უნარი.

⊙ **სწორი ო. პოლიტიკაში.**

**საორიენტაციო** – წინასწარი, მიახლოებითი.

⊙ **წიგნის ს. ფასი, ს. გეგმა.**

**ორიენტირ**-ი [რუს. ориентир < ფრ. orientation ორიენტაცია] – (სამხ.) უძრავი, ცალკე მდგომი საგანი. (მაგ. ხე, კოშკი და მისთ.), რომელიც კარგად ჩანს და გამოდგება ადგილმდებარეობაში გასარკვევად.

**ორკესტრ**-ი [ფრ. orchostre ბერძ.] – კოლექტივი მუსიკოსებისა, რომლებიც ერთად ასრულებენ მუსიკალურ ნაწარმოებს სხვადასხვა საკრავით.

⊙ **სიმფონიური ო., სასულიერო ო.-ის დირიჟორი.**

**ორმუზდ**-ი [ბერძ.] – ძველ სპარსულ რელიგიაში: სინთლისა და სიკეთის ღვთაება (სპარსულად – ahura – **მაზდა**).

**ორნამენტ**-ი [ლათ. ornamentum სამკაული] – ფერწერული, გრაფიკული ან სკულპტურული სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურების ან სტილიზებული ცხოველების, მცენარეების გამოსახულებთაგან (ქართ. სინონ. **ჩუქურთმა**).

⊙ **ქართული ო.**

◎ **ორნამენტული.**

⊙ **ო. მოხატულობა.**

○ **ორნამენტარული შცდ.**

**ორნითოლოგია** [ბერძ. ornis (ornithos) ფრინველი და logos მოძღვრება] – ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც ფრინველებს შეისწავლის.

◎ **ორნითოლოგიური.**

⊙ **ო. გამოკვლევა.**

○ **ორნიტოლოგია, ორნიტოლოგიური შცდ.**

**ოროგენეზ**-ი და **ოროგენეზის**-ი [ბერძ. oros მთა და genesis წარმოქმნა, წარმოშობა, განვითარება] – მთათა წარმოქმნის პროცესი.

**ოროგრაფია** [ბერძ. oros მთა და grapho ვწერ] – ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც დედამიწის ზედაპირის რელიეფს სწავლობს.

**ორქიდეა** [ბერძ. orchidion] – ტროპიკული და სუბტროპიკული ბალახოვანი მცენარე; აქვს ორიგინალური ფორმის ყვავილები, უპირატესად სურნელოვანი.

**ორქიტ**-ი < [ბერძ. orphis სათესლე ჯირკვალი] მამაკაცის სათესლე ჯირკვალის ანთება.

**ოსანა** [ბერძ. hōsanna ძვ. ებრაულ. hōsānā! მიშველე!] – სალოცავი სიტყვაა – შეძახილი ებრაელების და ქრისტიანებისა.

**ოსირის**-ი და **ოზირის**-ი [ბერძ. Orisis] – ძველ ეგვიპტურ რელიგიაში: მცენარეულის, მთვარისა და ნილოსის ღმერთი.

**ოსტრაკიზმ**-ი [ბერძ. ostrakismos ostraka დოქის, ქოთნის ნამტვრევი, ნატეხი] – განდევნა, გასამართლება ვისიმე.

**ოტელ**-ი [ფრ. hotel] – იგივეა, რაც სასტუმრო.

**ოტომან**-ი [ფრ. ottomene < თურქ.] – რბილი დივანი, რო-

მელსაც თავსა და ბოლოში აქვს მუთაქები.

**ოტოფონ**-ი [ბერძ. us(ôtos) ყური და phone ბგერა] – სმენის გასაძლიერებელი ხელსაწყო (მათთვის, ვისაც სმენა აკლია).

**ოფის**-ი [ინგლ. office] – რაიმე უწყების, სამსახურის სამყოფელი; კანტორა; ფირმის საქმიანობის საწარმოებელი ადგილი, ბინა, სამმართველო.

**ოფიცერ**-ი [გერმ. officier] – პირი, რომელიც არმიისა და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობას განეკუთვნება.

⊙ **მეკავშირე ო., ფლოტის ო.**

○ **აფიცერი შცდ.**

**ოფიციალურ**-ი [ლათ. oficialis თანამდებობრივი] – **1**. მთავრობის ან თანამდებობის პირისგან მომდინარე.

⊙ **ო. უარყოფა.**

**2**. რაც ყველა წესის დაცვით ხდება.

⊙ **ო. მოწვევა, ო. მიღება, ო. ვიზიტი.**

**ოფიციანტ**-ი [გერმ. offiziant] – საჭმელ-საჭმლის მიმტანი (რესტორანში, სასადილოში, კაფეში).

○ **აფიცანტი შცდ.**

**ოფიციოზ**-ი – (წიგნ.) ოფიციოზური (იხ.) ბეჭდვითი ორგანო.

**ოფიციოზური** [გერმ. Offizios] – (წიგნ.) ფორმალურად მთავრობისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ სინამდვილეში მისი თვალსაზრისის გამომხატველი (გაზეთი, ჟურნალი და მისთ.)

⊙ ამ სიტყვის ხმარება **„ოფიციალური“**-ს მნიშ.-ით **შცდ**.

**ოფსაიდ**-ი [ინგლ. off side] – (სპ.) ფეხბურთში: თამაშგარე მდგომარეობა.

**ოფსეტ**-ი [ინგლ. ofset] – (პოლიგრ.) ბეჭდვის ხერხი, რომლის დროსაც ფირიდან საღებავი გადადის ჯერ რეზინის ზედაპირზე, ხოლო იქიდან კი ქაღალდზე.

**ოქლოკრატია** [ბერძ. ochlos ბრბო, მდაბიო და krantos ხელისუფლება] – ბრბოს ხელისუფლება.

**ოქტაედრ**-ი [ბერძ. okto რვა და hedra ფუძე, გვრედი] – (მათემ.) სხეული, რომელიც შემოსაზღვრულია რვა სიბრტყით; რვაწახნაგა.

**ოქტაგონ**-ი [ბერძ. oktagonon] (მათემ.) რვაკუთხედი.

**ოქტავა** [ლათ. octava (მდედრ.) მერვე] – (მუს.) ინტერვალი მოცემულ ბგერასა და მისგან მერვე ბგერას შორის.

○ **ოკტავა შცდ.**

**ოქტანტ**-ი [ლათ. Octans (Octantis)]

–ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი.

**ოქტორონ**-ი [ინგლ. octorom] – ადამიანი, რომელიც წარმოიშვა თეთრკანიანისა და კვარტერონის ქორწინების შედეგად; ფერადკანიანი, რომელსაც 1/8 ზანგის სისხლი აქვს.

**ოქტროირებულ**-ი **კონსტიტუცია** [ფრ. Octoyer ჩუქება] – კონსტიტუცია, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფოს მეთაური წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტის ...) მონაწილეობის გარეშე.

**ოხრა** [ბერძ. ochra] – ბუნებრივი მინერალური საღებავი ყვითელი ან წითელი ფერის; (ქართ. სინონ. **ჟანგმიწა**).

◎ **ოხრასი.**

○ **ოხრისა შცდ.**

## პ

**პა** [ფრ. pas] – ცეკვაში: ცალკეული რიტმული მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა.

**პაბლისიტი** [ინგლ. publicity] – ცნობილობა, პოპულარობა, რომელიც პუბლიცისტური გამოსვლებით, ასევე მასმედიის საშუალებების გამოყენებით მიიღწევა.

**პაგინაცია** [< ლათ. Pagina გვერდი] – წიგნის ან ხელნაწერის გვერდების ნუმერაცია.

**პაგოდა** [პორტ. pagoda < სანსკრ.] – ბუდისტური საკულტო და მემორიალური ნაგებობა (ტაძარი) შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში და სხვ.); წარმოადგენს კოშკს, მრავალიარუსიანს.

**პადრე** [იტ. ესპ. padre მამა] – კათოლიკებში: მღვდელი.

**პავილიონ**-ი [ფრ. pavillon] – **1**. მსუბუქი ნაგებობა (ბაღებში, ქუჩებში).

⊙ **ყვავილების პ., სავაჭრო პ.**

**2**. შენობა გამოფენის ექსპონანტებისათვის, კინო ან ფოტოგადაღებებისათვის, ხმის ჩაწერისათვის და სხვ.

⊙ **საგამოფენო პ.**

**პათეტიკური** [ბერძ. pathetikos] – (წიგნ.) პათოსით აღსავსე; ამაღელვებელი, მგზნებარე.

⊙ **პ. ტონი, პ. სიტყვა.**

○ **პათეტიური, პატეტიკური შცდ.**

**პათოლოგია** [ბერძ. pathos დაავადება და logos მოძღვრება] – **1**. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებების წარმოშობასა და მიმდინარეობას,

ნორმისაგან გადახრას.

⊙ **ზოგადი პ.**

**2.** (გადატ.) ავადმყოფური პროცესები, ნორმისაგან გადახრა ორგანიზმში; არანორმალურობა, სიმახინჯე.

⊙ **სისხლძარღვების პ.**

◎ **პათოლოგიური.**

⊙ **პ. მოვლენები.**

**პათოლოგიური ანატომია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს დაავადების შედეგად ორგანიზმში მომხდარ ცვლილებებს.

○ **პატოლოგია, პატოლოგიური შცდ.**

**პათოს**-ი [ბერძ. pathos] – (წიგნ.) აღფრთოვანება, აღმაფრენა, მგზნებარება.

⊙ **პ.-ით ლაპარაკი.**

**პაი** [თურქ. pay ხვედრითი წილი] – საერთო საქმეში (მაგ. ფირმაში) მისი თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი.

⊙ **შესასვლელი პ.**

**მეპაიე** – პაის მფლობელი.

⊙ **ფირმის მ.**

◎ **მეპაიისა.**

○ **მეპაიესი შცდ.**

**პაკეტი** [გერმ. Paket] – კონვერტი, რომელშიც ჩადებულია ოფიციალური, საქმიანი ქაღალდი.

⊙ **საიდუმლო პ.**

**პალადინ**-ი [ფრ. Paladin] – შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: რაინდი მეფის ამალაში.

**პალანკინ**-ი [ფრ. palanquin < სანსკრ.] – აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ზოგ ქვეყანაში: მხრებზე დასადგამი ტახტრევანი დიდებულთა სატარებლად.

**პალანტინ**-ი [ფრ. palantine] – ქალის წამოსასხამი ბეწვისა ან ხავერდისა.

**პალას**-ი [სპარს. პელასი] – უხაო ორმხრივი ხალიჩა ხელით ან მანქანით ნაკეთები.

**პალატა** [ლათ. palatium სასახლე] – **1.** საავადმყოფოებში: ოთახი, რომელშიც ავადმყოფები წვანან.

⊙ **პ. №5, პ.-ის ექიმი.**

**2.** ზოგ ქვეყანაში: წარმომადგენლობითი ორგანოების ან მათი ცალკე შემადგენელი ნაწილების სახელწოდება.

**ქვედა პალატა** – პირველი საკანონმდებლო ინსტანცია ზოგიერთ ქვეყანაში.

**ზედა პალატა** – უმაღლესი საკანონმდებლო ინსტანცია ზოგიერთ ქვეყანაში.

**თემთა პალატა** – ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატა.

**ლორდთა პალატა** – ინგლისის პარლამენტის ზედა პალატა.

**3.** ზოგი სახელმწიფო დაწესე-

ბულების სახელწოდება.
⊙ **წიგნის პ.**

**პᲐᲚᲔᲝ...** – მნიშვნელობით ძველი.
⊙ **პალეონტოლოგია.**

**პᲐᲚᲔᲝᲒᲠᲐ́ᲤᲘᲐ** [ბერძ. palaios ძველი და graphō ვწერ] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველი ხელნაწერების გარეგნულ მხარეს (ასოთა მოხაზულობას, საწერ მასალას და სხვ.) (ქართ. სინონ. **დამწერლობათმცოდნეობა**).
◎ **პალეოგრაფიული.**
⊙ **პ. ალბომი, ტექსტის პ. ანალიზი.**

**პᲐᲚᲔᲝᲜᲢᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** [ბერძ. palaios ძველი onkontos არსება და logos მოძღვრება] – მეცნიერება გადაშენებულ ცხოველთა და მცენარეთა შესახებ; სწავლობს მათ განამარხებული ნაშთების მიხედვით.
◎ **პალეონტოლოგიური.**
⊙ **პ. მუზეუმი, პ. ატლასი.**

**პᲐᲚᲘᲐ́ᲢᲘᲕ**-ი [ფრ. palliatif] – **1.** წამალი, რომელსაც დროებით ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას, მაგრამ არ კურნავს მას.
**2.** (გადატ.) ღონისძიება, საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანის მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყვეტას, წარმოადგენს ძნელი მდგომარეობიდან დროებით გამოსვლას; ნახევარზომა.

**პᲐᲚᲘ́ᲢᲠᲐ** [რუს. палитра < ფრ. palette] – **1.** თხელი ფიცარი,რომელსაც მხატვრები ხმარობენ საღებავების შესაზავებლად; აქვს ნახვრეტი – მარცხენა ხელის ცერზე წამოსაცმევად.
**2.** (გადატ.) ფერების შეხამება, შეხამების თავისებურება ცალკეულ ნახატში ან, საერთოდ, მხატვრის შემოქმედებაში.

**პᲐ́ᲚᲛᲐ** [ლათ. palma] – თბილი ქვეყნების მარადმწვანე ხე; აქვს მაღალი, სწორი დაუტოტავი ტანი და წვერზე ჯგუფად შეკრებილი მარაოსებრი ან ფართისებრი მსხვილი ფოთლები.
⊙ **ქოქოსის პ., ფინიკის პ.**

**პᲐᲚᲞᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. palpatio გასინჯვა ხელით] – (მედიც.) ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვის მეთოდი.

**პᲐ́ᲛᲞᲐ** და **პᲐ́ᲛᲞᲐᲡ**-ი [ესპ. pampa (მხ.), pampas (მრ.)] – ველი (ველები) სამხრეთ ამერიკის ზომიერ სარტყელში.
◎ **პამპისა** და **პამპასისა.**
○ **პამპასი შცდ.**

**პᲐᲛᲤᲚᲔᲢ**-ი [ინგლ. pamphlet] – სარკაზმით განმსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პირის, პოლიტიკური მოვ-

ლენის და სხვ. წინააღმდეგ.
⊙ **პოლიტიკური პ.**

**პან...** [ბერძ. pan. ყველაფერი] – სიტყვის თავსართი მნიშვნელობით „ყოვლის მომცველი, ყველაფერს რომ ეხება“.
⊙ **პანამერიკანიზმი, პანამერიკული.**

**პანაგია** [ბერძ. panagia] – პატარა ხატი (ჩვეულებრივ ღვთისმშობლისა ძვირფასი ქვებით შემკული), რომელსაც მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ძეწკვით იკიდებდნენ გულზე (ტანსაცმლის ზემოდან).
◎ **პანაგიისა.**
○ **პანაგეა, პანაგეია, პანაღია, პანაგიასი შცდ.**

**პანამა** [ფრ. panama < გეოგრ. სახ.] – **1.** ფართოფარფლიანი საზაფხულო ქუდი ერთგვარი.
**2.** ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი ერთგვარი.

**პანაშვიდ-ი** [საშ. ბერძ. pannychida პანიხის, პანახიდოს: pan – ყველა, ყოველი, „ყოველ ღამისა“ და nix – ღამე] – მართლმადიდებელთა სულის მოსახსენებელი წეს-ჩვეულება, ლოცვა, გალობა; პირველი ქრისტიანები დევნის გამო ღამით ასრულებდნენ ამ ცერემონიალს, ამიტომ ეწოდა „ყოველ ღამისა“.

**პანაცეა** [ლათ. panacea < ბერძ. panakeia წამალი, რომელიც ყველა დაავადებას შველის (ძვ. ბერძ. ქალღმერთის Panakeia-ს სახელის მიხედვით)] – (ირონ.) (წიგნ.) უებარი საშუალება, რომელიც თითქოს ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს.
◎ **პანაცეისა.**
○ **პანაცეასი, პანაცეია შცდ.**

**პანდემია** [ბერძ. pamdemia მთელი ხალხი] – ეპიდემია, რომელიც ედება მოსახლეობის დიდ ნაწილს, მთელ ქვეყანას, მთელ რიგ ქვეყნებს.

**პანდუს-ი** [ფრ. penie douce დამრეცი ფერდობი, კალთა] – დამრეცი ბაქანი შენობის შესასვლელთან, რომელიც ცვლის კიბეს და გამოიყენება ავტომობილის შესასვლელად.

**პანეგირიკ-ი** [ბერძ. pnegyrikos სადღესასწაულო, საზეიმო სიტყვა] – **1.** ორატორის საქებარი სიტყვა ვისიმე ან რისიმე მიძღვნილი.
**2.** (გადატ.) აღტაცებული და უზომო ქება.
◎ **პანეგირისტი, პანეგირული.**
⊙ **პ. სიტყვა, ქება.**

**პანთეიზმ-ი** [ბერძ. pan ყველაფერი და theos ღმერთი] – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ღმერთს აიგივებს ბუნებასთან, ხოლო

ბუნებას განიხილავს როგორც ღვთაების განსახიერებას.

**პანთეონ**-ი [< ბერძ. Pantheion, ლათ. Pantheon] – **1.** ძველ საბერძნეთსა და რომში: ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი.

**2.** სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ.

⊙ **მთაწმინდის პ., დიდუბის პ.**

**3.** რომელიმე პოლითეისტურ რელიგიაში: ყველა ღმერთის ერთობლიობა.

⊙ **ბერძნული პ.**

**პანთერა** [ბერძ. panther] – იგივეა, რაც ლეოპარდი.

⊙ **პანთერის.**

○ **პანთერასი, პანტერა შცდ.**

**პანიკა** < [ბერძ. panikos ტყის, ღვთაების, პანის სახელიდან] – უეცარი შიში, რომელიც მოიცავს ადამიანთა ჯგუფს (ან ცალკე ადამიანს); ასეთი შიშით გამოწვეული მღელვარება, არეულობა.

◎ **პანიკური.**

⊙ **პ. შიში.**

**პანკ**-ი [ინგლ. Punk ჩერჩეტი, ყეყეჩი, ბიჭი] – ახალგაზრდა ადამიანი უჩვეულო, ექსტრავაგანტური ქცევის წესებით.

**პანკრეას**-ი [ბერძ. pankreas] – (ანატ.) კუჭუკანა ჯირკვალი.

**პანკ-როკ**-ი [ინგლ. Punk rock < punk ბიჭი და rock რხევა] – ახალგაზრდათა შორის პოპულარული მუსიკალური ფორმა, რომელიც ახლოა ადრეულ როკ-ენ-როლთან.

**პანო** [ფრ. panneau] – **1.** კედლის ან ჭერის ზედაპირის ნაწილი, რომელსაც შემოვლებული აქვს ორნამენტი ან რომელზეც ჩვეულებრივ მოთავსებულია ფერწერული ან სკულპტურული გამოსახულება.

**2.** ტილოზე გამოსახული სურათი, რომელიც მუდმივად არის გაკრული კედლის რაიმე ნაწილზე.

**პანოპტიკუმ**-ი [ბერძ. pan ყველაფერი და optikos მხედველობა] – მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია ნატურალური ზომის სანთლის ფიგურები.

**პანორამა** [ბერძ. pan ყველაფერი და horama ხედი, სანახაობა] – **1.** რაიმე ვრცელი მიდამოს ხედი, ჩვეულებრივ ზევიდან.

⊙ **ქალაქის პ.**

**2.** მრგვალი შენობის შიგნითა კედელზე მოთავსებული სურათი, რომლის წინა პლანი მოცულობითია; განთავსებულია ზევიდან.

**პანსიონ**-ი [ფრ. pension] – **1.** კერძო სასტუმრო, სადაც დამქირავებლები უზრუნველყოფილნი არიან კვებითა და

მოვლით (მომსახურებით).
**2**. რევოლუციამდელ რუსეთში: დახურული სასწავლებელი საერთო საცხოვრებლით.
⊙ **კეთილშობილ ქალთა პ.**

**პანსიონატ**-ი [ფრ. pensionnat] – **1**. ერთგვარი სისტემა, რომელშიც დამსვენებლებს ეძლევათ ადგილი ღამის გასათევად, ავტომობილის გასაჩერებლად და სხვა (ჩვეულებრივ, კურორტზე).
**2**. დასასვენებელი სახლის ნაირსახეობა.

**პანტომიმა** < [ბერძ. pantomimos მსახიობი, რომელიც მხოლოდ სხეულის მოძრაობით თამაშობს] – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით გამოხატავენ.
◎ **პანტომიმური.**
⊙ **პ. სცენები ბალეტში.**

**პაპერტ**-ი [ბერძ. parapetros] – გალერეა ან პარმაღი მართლმადიდებლური ეკლესიის შესასვლელის წინ.

**პაპ**-ი [ლათ. Papa < ბერძ. pappas მამა] – რომის პაპი კათოლიკურ ეკლესიის უზენაესი მეთაური.

**პაპირუს**-ი [ლათ. papyrus ბერძ. papyros] – **1**. ერთგვარი ტროპიკული ლერწამი; ხარობს განსაკუთრებით აფრიკაში (ქართ. სინონ. **ჭილი**).
**2**. ამ მცენარის ღეროებისგან დამზადებული საწერი მასალა, რომელსაც ხმარობდნენ ეგვიპტელები და სხვ. ძველი ხალხები (მათ შორის ქართველებიც;) ასეთ მასალაზე შესრულებული ხელნაწერი.

**პაჟ**-ი [ფრ. page] – **1**. შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: ახალგაზრდა აზნაური (ვაჟი), რომელიც მსახურად ედგა ფეოდალს ან მეფეს და გადიოდა რაინდობისათვის მზადების პირველ საფეხურს.
**2**. მეფის რუსეთში – პაჟთა კორპუსი: თავადაზნაურთა საშუალო სამხედრო სასწავლებელი; პაჟთა კორპუსის აღსაზრდელი.

**პარა**... [ბერძ. para გვერდით, ახლოს; იქვე] – მნიშვნელობა სიახლოვის, ერთგვაროვნებისა, მსგავსებისა.

**პარაბელუმ**-ი [ლათ. para bellum „ემზადე ომისათვის“] – პისტოლეტი ერთგვარი.

**პარაბოლა** [ბერძ. parabole] – (მათემ.) ჩაუკეტავი მრუდული, რომლის ყოველი წერტილი თანაბრად არის დაშორებული მოცემული წერტილიდან (ფოკუსიდან) და მო-

ცემული სწორი ხაზიდან (დირექტრისიდან).

**პარაგრაფ**-ი [ბერძ. paragraphos] – **1**. წიგნის, სტატიის ნაწილი, რომელსაც თავში ჩვეულებრივ § ნიშანი უზის რიგითი ნომრის წინ.

⊙ **წესდების პირველი პ.**

**2**. თვით ეს ნიშანი.

**პარად**-ი [ფრ. parade] საზეიმო დათვალიერება (ჯარებისა, ფიზკულტურელებისა) (ქართ. სინონ. **აღლუმი)**.

◎ **საპარადო.**

⊙ **ს. ფორმა.**

**პარადული** – **1**. საზეიმო.

⊙ **პ. განწყობილება.**

⊙ **პ. ხმაური**.

**2**. (გადატ.) მოჩვენებითი, უსაფუძვლო.

**პარადიზ**-ი [ფრ. paradis < ბერძ. paradeisos ბაღი, პარკი, სამოთხე] – ქანდარა თეატრში.

**პარადოქს**-ი [ბერძ. paradoxos არაჩვეულებრივი, მოულოდნელი, უცნაური] – აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისაგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს (ზოგჯერ მხოლოდ ერთი შეხედვით).

**პარაზიტ**-ი [ფრ. parasitos] – **1**. ორგანიზმი (მცენარე ან ცხოველი) რომელიც სხვა ორგანიზმზე (ორგანიზმში) ცხოვრობს და მის ხარჯზე საზრდოობს.

**2**. (გადატ.) ადამიანი,მუქთახორა, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობს.

◎ **პარაზიტული.**

⊙ **პ. სოკოები**.

**პარაკლის**-ი [ბერძ. parakleton მანუგეშებელი] – საეკლესიო ღვთისმსახურების სახეობა, ლოცვა ცოცხალთათვის. პარაკლისის გადახდის დროს წმინდანებს შეწევნას და შუამდგომლობას სთხოვენ უფლის მიმართ. არსებობს პარაკლისი სამშვიდობო, ჯანმრთელობისათვის, მგზავრობისათვის...

**პარალელ**-ი [ბერძ. parallelos] – **1**. (მათემ.) პარალელური ხაზი.

⊙ **პ.-ის გავლება.**

**2**. ეკვადორის პარარელურად გავლებული წარმოსახვითი ხაზი დედამიწის ზედაპირზე.

⊙ **პ.-ები** და **მერიდიანები**.

**3**. გადატ. (წიგნ.) მოვლენა, რომელიც შეიძლება შეუდარდეს სხვა მსგავს მოვლენას; შედარება, შეპირისპირება.

⊙ **ისტორიული პ., პ.-ის გავლება.**

**პარალელური** – **1**. ისეთი (სწორი ხაზი და სხვ.,) რომელიც ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული და ერთმანეთს

არ გადაკვეთენ.
**2.** (გადატ.) რაც რამესთან ერთად ხდება ერთდროულად.
⊙ **პ. მუშაობა.**

**პარალელეპიპედ**-ი [ბერძ. parallelepipedon]–(მათ.) ექვსწახნაგა სხული, რომელსაც აქვს პარალელური და ტოლი მოპირდაპირე წახნაგები (პარალელოგრამები).
○ **პარალელოპიპედი შცდ.**

**პარალელიზმ**-ი – (წიგნ.) სრული დამთხვევა, გამეორება; დუბლირება.
⊙ **პ. ორი ფირმის მუშაობაში.**

**პარალელოგრამ**-ი [ბერძ. parallelogrammon] – (მათემ.) ოთხკუთხედი, რომლის მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის ტოლია და პარალელური.

**პარალიზ**-ი [პოლონ. paraliz < ბერძ. paralysis მოდუნება] – **1.** (მედიც.) დამბლა.
**2.** (გადატ.) მოქმედების უნარის დაკარგვა; დაცემის მდგომარეობა.
⊙ **ხელისუფლების პ.**
◎ **პარალიზება, პარალიზებული.**
⊙ **პ. კიდური.**

**პარამეტრ**-ი [ბერძ. parametrō ვუფარდებ] – **1.** (მათემ.) სიდიდე, რომელიც შედის მათემატიკურ ფორმულაში და თავის მუდმივ მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ მოცემული ამოცანის პირობებში.
**2.** (ფიზ. ტექ.) რაიმე საგნის ან მოვლენის ძირითადი სიდიდე ან სიდიდეები.

**პარანოია** [ბერძ. paranoia სიგიჟე] – (მედიც.) ერთგავრი ფსიქიკური დაავადება; დამახასიათებელია ბოდვები, ზოგჯერ ჰალუცინაციებიც.

**პარანომია** [ბერძ. paranomia უკანონობა] – კანონებში არსებული წინააღმდგობა.

**პარაპეტ**-ი [იტ. parapetto < parare დაცვა და petto მკერდი] – რისამე გასწვრივ გაკეთებული მოაჯირი.
⊙ **ხიდის პ., სახლის სახურავის პ.**

**პარაპლან**-ი **[**ფრ. planer პლანირება ლათ. planus ბრტყელი, სწორი] – სპეციალური პარაშუტი პლანირებული ფრენისათვის ამომავალი საჰაერო ნაკადების გამოყენებით.

**პარაფინ**-ი [ფრ. paraffine < ლათ.] – სანთლისმაგვარი თეთრი ან მოყვითალო ნივთიერება, რომელსაც იღებენ ნავთობისაგან, მურა ნახშირისაგან და სხვ.

**პარაფირება** [ფრ. parapher ლათ.] – (დიპლ.) წინასწარი (მხოლოდ ინიციალებით) ხელის მოწერა ოფიციალურ ხელის

მოწერამდე (საერთაშორისო ხელშეკრულების).
◎ **პარაფირებული.**
⊙ **პ. ხელშეკრულება.**

**პარაფსიქოლოგია** – კვლევა-ძიების დარგი; ძირითადად შეისწავლის: **1.** მგრძნობელობის ფორმებს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღების ისეთ ხერხებს, რომელთა ახსნა არ ხერხდება გრძნობის ორგანოების მოქმედებით.
**2.** ცოცხალი არსების ზემოქმედების ფორმებს ისეთ ფიზიკურმოვლენებზე,რომლებიც ხდება ორგანიზმის მიღმა,კუნთოვანი ძალდატანების გარეშე (სურვილით, გონებრივი ზემოქმედებით და სხვ.);
პ.-ის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია **ტელეპათია.**

**პარაშუტ**-ი [ფრ. parachute] – საფრენი აპარატიდან ადამიანის გადმოსახტომი, ტვირთის ჩამოსაშვები, კოსმოსური ხომალდის დაბლა დასასმელი მოწყობილობა; ჰაერში იხსნება ქოლგასავით.
⊙ **თვითმფრინავიდან პ-ით გადმოხტომა.**
◎ **საპარაშუტო.**
⊙ **ს. სპორტი.**

**პარაშუტიზმ**-ი – საპარაშუტო სპორტი.

**პარაშუტისტ**-ი – ადამიანი, რომელიც პარაშუტით ხტება ხოლმე (ჩვეულებრივ თვითმფრინავიდან).

**პარვენიუ**[ფრ.parvenu]–მეტიჩარა, რომელმაც არისტროკატიულ საზოგადოებაში შეაღწია და არის ადამიანი არადიდგვაროვანი წარმომავლობისა.

**პარვატ**-ი – ინდუიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ქალღმერთი, შივას ცოლი.

**პართენოგენეზ**-ი [ბერძ. parthenos ქალწული და genesis დაბადება,წარმოშობა] – (ბიოლ.) სქესობრივი გამრავლების ერთ-ერთი ფორმა – კვერცხის განვითარება განაყოფიერების გარეშე, დამახასიათებელია ბევრი უხერხემლო ცხოველსა და მცენარისათვის.

**პარი** [ფრ. pari] – სანაძლეოს პირობები, რითაც წამგები პირი ასრულებს რაიმე ვალდებულებას.

**პარიკ**-ი [ფრ. perruquet] – სხვისი ან ხელოვნური თმისგან გაკეთებული თავსაბურავი.

**პარიკმახერ**-ი [გერმ. perueckmacker] – ოსტატი, რომელიც კრეჭს, პარსავს თმას და სხვ. (კაცების პ.-ის მოძვ. სინონ. **დალაქი**).
◎ **საპარიკმახერო.**

⊙ **ს. სალონი.**

**საპარიკმახერო** – სალონი, სადაც პარიკმახერები მუშაობენ (კაცების ს.-ოს მოძვ. სინონ. **სადალაქო**).

⊙ **მამაკაცთა** და **ქალთა ს.**

**პარიტეტ**-ი [გერმ. paritat < ლათ. paritas თანასწორობა] – **1.** (ეკონ.) სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება ოქროთი.

**2.** (სამართ.) მხარეთა თანასწორობის პრინციპი რაიმე უთანხმოების, კონფლიქტის გარჩევისას.

**პარკ**-ი [ინგ. park] – **1.** დიდი ბაღი, რომელშიც მოწყობილია ხეივნები, ყვავილნარები, სათამაშო მოედნები, ნაირნაირი გასართობები და სხვ.

⊙ **ვაკის პ.** (თბილისში).

**2.** ტრანსპორტის საშუალებათა დგომის და მოვლა-რემონტის ადგილი.

⊙ **ავტობუსების პ., ტაქსების პ.**

**ზოოლოგიური პარკი** (შემოკლებით **ზოოპარკი**) – იხ. **ზოოლოგიური**.

◎ **საპარკო** (მნიშვნ. 1-ისათვის).

⊙ **ს. ზონა, ს. არქიტექტურა.**

○ **ფარეხი** (მე-2 მნიშვნ-ით) **შცდ.**

**პარკეტ**-ი [ფრ. parquet] – **1.** პატარა მართკუთხა ან სხვა ფორმის გლუვი ფიცრები იატაკის დასაგებად.

⊙ **პ.-ის იატაკი.**

**2.** ასეთი ფიცრებით დაგებული იატაკი.

⊙ **გაპრიალებული პ.**

**მეპარკეტე** – მუშა,რომელიც პარკეტს ამზადებს ან აგებს.

◎ **მეპარკეტისა.**

○ **მეპარკეტესი შცდ.**

**პარკინსონ**-ის **დაავადება**. [საკუთ. სახ.] – (მედიც.) თავის ტვინის ქრონიკული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია კიდურებისა და თავის კანკალი და სხვ.

**პარლამენტ**-ი [ფრ. parlament parler ლაპარაკი] – სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

⊙ **საქართველოს პ., ინგლისის პ.**

**პარლამენტარ**-ი [გერმ. parlamentarier] – პარლამენტის წევრი.

◎ **პარლამენტური.**

⊙ **პ. ხელისუფლება, პ. წესწყობილება, პ. რესპუბლიკა.**

◎ **საპარლამენტო.**

⊙ **ს. არჩევნები, ს. კომისია.**

○ **პარლამენტარული შცდ.**

**პაროდია** [ბერძ. parodia] – **1.** სატირული ხასიათის მიბაძვა ვისიმე ან რისამე სუსტი მხა-

რეების გაკილვის მიზნით.

**2.** (გადატ.) გარეგნული მიბაძვა, რომელიც ამახინჯებს იმის არსს, რასაც ბაძავენ.

⊙ **პაროდიისა**

○ **პაროდიასი შცდ.**

◎ **პაროდიული.**

⊙ **პ. ჟანრი, პ. ნაწარმოები.**

**პაროდონტოზ**-ი [ბერძ. para – თან, ახლოს და odus (odontos) კბილი] – (მედიც.) ღრძილების ქრონიკული დაავადება, რომელსაც თან სდევს ჩირქოვანი ანთება; იწვევს კბილების რყევასა და დაცვენას.

**პაროლ**-ი [ფრ. parole სიტყვა] – დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა თავისიანების გამოსაცნობად (სამხედრო სამსახურში, კონსპირაციულ ორგანიზაციაში).

**პაროტიტ**-ი [ბერძ. para თან, ახლოს და us (otos) ყური] – (მედიც.) ყბაყურის (სანერწყვე) ჯირკვლების ანთება.

**ეპიდემიური პაროტიტი** – ყბაყურა.

**პარპრიზ**-ი – ავტომობილის წინა საქარე მინა.

**პარსეკ**-ი < [ბერძ. par (allaxis) და sec(unda)] – (ასტრ.) ვარსკვლავური მანძილის საზომი ერთეული.

**პარტერ**-ი [ფრ. partere] – **1.** თეატრში ან კონოთეატრში: მაყურებელთა დარბაზის სავარძლების რიგი, რომლებიც სცენის დონეზე ოდნავ დაბლაა გამართული.

⊙ **პ.-ის მე-10 რიგი, პ.-ის ბილეთი.**

**2.** (სპ.) ჭიდაობაში: მდგომარეობა, როდესაც მოჭიდავე ხალიჩაზეა დაჩოქილი და ხელებით ეყრდნობა მას.

**პარტია** [ფრ. parti] – **1.** პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს რაიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, კოლექტივის ინტერესებს.

**2.** ადამიანთა ჯგუფი, რომელიც თავმოყრილია ან გამოყოფილია რაიმე მიზნით, საერთო სამუშაოთი და სხვ.; რაზმი.

⊙ **გეოლოგიური პ.**

**3.** ერთი ხელი თამაში (ჩვეულებრივ ჭადრაკისა).

⊙ **გადადებული პ.**

**4.** საქონლის გარკვეული რაოდენობა.

⊙ **ავტომობილების დიდი პ.**

**5.** მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, რომელსაც ასრულებს ერთი მომღერალი ან ერთი საკრავი; სოლო (ოპერაში, ბალეტში).

⊙ **როიალის პ., ტენორის პ., აბესალომის პ.**

◎ **პარტიული** (მნიშვ. 1-ისათვის).

⊙ **პ. მუშაკი, პ. დისციპლინა,**

**პ. ბილეთი.**

**პარტიული** (არს. სახ.) – დემოკრატიული პ. წევრი.

**პარტიზანი**-ი [ფრ. partisan] – მონაწილე შეიარაღებული ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებენ დამპყრობლების წინააღმდეგ დამოუკიდებელი რაზმები მტრის ზურგში.

◎ **პარტიზანული.**

⊙ **პ. რაზმი, პ. ბრძოლა.**

○ **პარტიზანელი შცდ.**

**პარტიკულარიზმი**-ი [ლათ. particularis ნაწილობრივი, ცალკეული] – სახელმწიფოს ზოგი ნაწილის მისწრაფება განცალკევებისაკენ საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ.

**პარტიტურა** [იტ. partitura] – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოები ყველა პარტიის ერთობლიობა; ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს ასეთი ნაწარმოების ყველა პარტიის ჩანაწერს.

**პარტნიორი**-ი [ფრ. partenaire < ინგლ. partner] – **1.** რაიმე თამაშის, ცეკვის და მისთ. ერთ-ერთი მონაწილე.

⊙ **პ.-იები მიუსხდნენ ჭადრაკს.**

**2.** თანამონაწილე, ამხანაგი რაიმე საქმიანობაში.

**პარფიუმერია** [ფრ. parfumerie < pafum სასიამოვნო სუნი, სუნამო, ინანთი] – სურნელოვანი ნივთიერებანი, რომელსაც იყენებენ კოსმეტიკური და ჰიგიენური მიზნით. (ქართ. სინონ. **ინანთეული**).

◎ **საპარფიუმერიო.**

⊙ **ს. საქონელი, ს. მაღაზია, ს. ფაბრიკა.**

○ **პარფუმერია, საპარფუმერიო. შეცდ.**

**პასაჟი**-ი [ფრ. passage] – **1.** დახურული გალერეა, რომლის ორივე მხარეს არის მაღაზიები და, რომელსაც ჩვეულებრივ აქვს გასასვლელები პარალელურ ქუჩებზე.

**2.** მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, მუსიკალური ფრაზა, რომელიც ხასიათდება ნოტების სწრაფი მონაცვლეობით; უმეტეს შემთხვევაში ვირტუოზული ხასიათის.

⊙ **ძნელი პ.**

**პასატი**-ი [გერმ. Passat] – ტროპიკული ქარი, რომლიც ქრის სუბტროპიკული სარტყელებიდან ეკვატორისაკენ.

**პასები**-ი [ფრ. passes] – ხელების ერთგვარი მოძრაობა ავადმყოფის სახესთან – ჰიპნოზის მდგომარეობაში მის გადასაყვანად.

**პასექი**-ი [ძვ. ებრ. paseq – „გამოსვლა“, „გვერდის ავლა“] – ებრ. ხალხის დღესასწაული,

დაკავშირებული ეგვიპტიდან გამოსვლასთან, როცა ეგვიპტის ღმერთმა ანგელოზი მოუვლინა მძიმე მისიით – მოეკლა პირმშო კაცთა და ცხოველთა. გადარჩნენ ებრაელები,მათ კარებზე სამსხვერპლო კრავის სისხლიანი ნიშანი ჰქონდათ გამოხატული და სასჯელი არ შეხებიათ.

**პასიᲐ** [ლათ. passio ტანჯვა, წამება, წვალება, ვნება, ჟინი] – სიყვარულის საგანი, ვნებები, ჟინი.

**პასიᲐნს**-ი [ფრ. patience მოთმენა] – კარტის გაშლა დადგენილი წესით, მკითხაობის ან გირაობის სახე.

**პასივ**-ი [ლათ. passivus ვნებითი, უმოქმედო] – **1.** (ბუხჰალტ.) წარმოების ვადებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა (საპირისპ. **აქტივი**).

**2.** (გადატ.) ვნებითი გვარი ზმნისა.

**3.** (გადატ.) უარყოფითი მხარე რისამე.

**პასიურ**-ი [ლათ. passivus] – უმოქმედო, არაენერგიული (საპირისპ. **აქტიური**, იხ. **აქტივი**).

⊙ **პ. ადამიანი, პ. მონაწილე.**

**პასკალ**-ი [ინგ. Paskal] – **1.** კომპიუტერული სასწავლო-საწარმოო ტექნიკური ენა მაღალი რანგის პროგრამებისა.

**2.** წნევისა და მექანიკური ძაბვის ერთეული.

**პასკვილ**-ი [გერმ. Pasquill < იტ. pasquillo] – ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ნაწარმოები.

◎ **პასკვილური.**

⊙ **პ. სტატია.**

**პასკვილანტ**-ი – პასკვილის ავტორი.

○ **პასკვილიანტი. შცდ.**

**პასპარტუ** [ფრ. passiepartout] – **1.** წიგნებში, ჟურნალებში ჩასმული სქელი ქაღალდის ფურცელი ილუსტრაციისათვის.

**2.** სურათის ჩარჩო, მუყაოსგან გაკეთებული პორტრეტისათვის, გრავიურისათვის.

**პასპორტ**-ი [ფრ. passeport] – **1.** ვისიმე ვინაობის, მოქალაქეობის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი.

⊙ **საზღვარგარეთის პ., უვადო პ.**

**2.** რაიმე მანქანის, საყოფაცხოვრებო საგნის და მისთ. სარეგისტრაციო მოწმობა.

⊙ **ავტომობილის პ., მობილური ტელეფონის პ., მაცივრის პ.**

◎ **საპასპორტო.**

⊙ **ს. განყოფილება** (პოლიციაში).

**პასტა** [იტ. pasta] – რაიმე ნივთიერების ცომისებური პასტა.

⊙ **კბილის პ.**

**პასტელ**-ი [იტ. pastello] – **1.** რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; ამზადებენ დაწნეხილი საღებავის ფხვნილისაგან.
**2.** ფერწერის ტექნიკა, რომელიც ემყარება ამ ფუნქციების გამოყენებას.
**3.** ასეთი ფუნქციებით შესრულებული ნახატი.

**პასტერიზაცია** და **პასტერიზება** – საკვები პროდუქტების გაცხელება იმდენად, რომ დაიღუპოს მავნე მიკროორგანიზმები, მაგრამ შენარჩუნებულ იქნეს პროდუქტის გემო, ვიტამინები და სხვა სასარგებლო თვისებები.

**პასტორ**-ი [გერმ. Pastor < ლათ. Pastor მწყემსი, მოძღვარი] – პროტესტანტების მღვდელი.

**პასტორალ**-ი [ფრ. pastorale] – ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში [მე-14 – მე-18 სს.): ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა; ამ ჟანრის ნაწარმოები.

**პასქალა** [ბერძ. pascha აღდგომა < ძვ. ებრ. Pesach გავლა] – (ეკლ.) კრებული წესებისა, რომელთა მიხედვითაც არკვევენ, თუ როდის მოდის აღდგომა ყოველ ცალკეულ წელს.

**პატ**-ი [ფრ. pat] – მდგომარეობა ჭადრაკის თამაშში, როდესაც მოთამაშეს არ შეუძლია მორიგი სვლის გაკეთება ისე, რომ მის მეფეს არ შეუქმნას ქიშის საფრთხე (ითვლება **ყაიმად**).

**პატენტ**-ი [ლათ. patens (patentis) ღია, აშკარა] – **1.** მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებებს გამოგონებაზე.
**2.** მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობის ან რაიმე საქმიანობის უფლებას.

**პატერ**-ი [ლათ. pater მამა] – კათოლიკეთა მღვდელი.

**პატისონ**-ი [ფრ. patisson] – ერთგვარი გოგრა; ბრტყელი ყაბაყი; იყენებენ მწნილად ჩასადებად.

**პატრიარქ**-ი [ბერძ. patriarches მამა-მთავარი] – **1.** ბიბლიის პირველი წიგნის „დაბადების“ მთავარი პერსონაჟების საერთო სახელწოდება ადამიდან აბრამამდე.
**2.** ავტოკეფალიის მქონე მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.
**3.** გვაროვნულ საზოგადოებაში: გვარის უფროსი, მამასახლისი.

**4.** (გადატ.) იტყვიან მოღვაწეობის რაიმე დარგის უხუცეს წარმომადგენელზე, რისამე ფუძემდებელზე.

◎ **საპატრიარქო.**

⊙ **ს. კვერთხი.**

◎ **საპატრიარქო** (არს. სახ.) – პატრიარქის საგამგებელო.

○ **პატრიარხი, საპატრიარხო შცდ.**

**პატრიარქატ**-ი **1.** პირველყოფილი-გვაროვნული წყობილების ფორმა, მატრიარქატის მომდევნო, რომლის დროსაც სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცი იყო გაბატონებული.

**2.** ეკლესია, რომელსაც პატრიარქი მეთაურობს.

◎ **პატრიარქალური.**

⊙ **პ. მეურნეობა.**

○ **პატრიარხატი, პატრიარხალური შცდ.**

**პატრიოტ**-ი [ბერძ. patriotes თანამემამულე] – ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო; თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის ერთგული, სამშობლოსადმი თავდადებული (ქართ. სინონ. **მამულიშვილი**).

◎ **პატრიოტული.**

⊙ **პ. საქციელი, პ. გრძნობა, პ. პოეზია.**

**პატრიოტიზმ**-ი – სამშობლოს სიყვარული, თავისი ხალხის ერთგულება (ქართ. სინონ. **მამულიშვილობა**).

**პატრონაჟ**-ი [ფრ. patronage მფარველობა] – ფეხმძიმე (ორსული) ქალების, ჩვილი ბავშვებისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის ავადმყოფების სახლში სამედიცინო მომსახურების სისტემა.

**პატრონატ**-ი [ლათ. patronatus] – მფარველობა, მზრუნველობა, მეურვეობა.

**პატრულ**-ი [ფრ. patrouille] – **1.** მცირე შეიარაღებული რაზმი (სამხედრო ქვეგანაყოფისა, მილიციისა და სხვ.) ან სამხედრო გემი, თვითმფრინავი, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს, უშიშროების გარკვეულ ზონაში.

**2.** (საუბ.) ასეთი რაზმის წევრი.

**პაუზა** [ბერძ. pausis შეწყვეტა] – ხანმოკლე შეჩერება მეტყველების, სიმღერის, დაკვრის, მუშაობის დროს.

⊙ **ერთწუთიანი პ.**

**პაუპერიზმ**-ი [ლათ. pauper ღარიბი] – სიღარიბე, როგორც შედეგი მზარდი ექსპლუატაციის, მასობრივი უმუშევრობის და ინფლაციისა; მასობრივი გაღატაკება.

**პაქტ**-ი [ლათ. pactum] – საერთაშორისო ხელშეკრულება, ჩვეულებრივ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა.
⊙ **თავდაუსხმელობის პ. პ.-ის რატიფიკაცია.**
○ **პაკტი შცდ.**

**პაშტეტ**-ი [გერმ. pastete] – წმინდად დაკეპილი ხორცის, თევზის ან სხვა პროდუქტებისგან მომზადებული საჭმელი.

**პაციენტ**-ი [ლათ. paciens (pacientis) ვნებული, შეწუხებული (ტკივილისაგან)] – ავადმყოფი თავისი მკურნალი ექიმის მიმართ.

**პაციფიზმ**-ი [გერმ. pazifismus, იტ. pacifism < ლათ. pacificus დამშოშმინებელი, დამამშვიდებელი, დამაოკებელი] – ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც ილაშქრებს ყოველგვარი ომების, მათ შორის სამართლიანი ომების წინააღმდეგ (ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციური) ომების წინააღმდეგ.

**პაციფიკაცია** [ლათ. pacificatio დაშოშმინება] – აჯანყების, სახალხო აღშფოთების ჩაქრობა დასასჯელი ღონისძიებით.

**პეგას**-ი [ბერძ. pegasos] – **1.** ბერძნულ მითოლოგიაში: ფრთოსანი მერანი. **2.** (ასტრ.) ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს დიდი თანავარსკვლავედი.

**პედაგოგ**-ი [ბერძ.] paidagogos აღმზრდელი.]– მასწავლებელი, აღმზრდელი
⊙ **დამსახურებული პ.**
◎ **პედაგოგიური.**
⊙ **პ. საბჭო.**

**პედაგოგიკა** [ბერძ. paidagogike] – მეცნიერება აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ.
◎ **პედაგოგიკური.**
⊙ **პ. მეცნიერებანი.**

**პედალ**-ი [ფრ. pedale ლათ. pedis ფეხი] – ავტომობილის, მუსიკალური საკრავის და სხვათა ფეხის ბერკეტი.
⊙ **როიალის პ., ველოსიპედის პ.**
◎ **პედალიანი, პედალებიანი.**
⊙ **პ. ავტომობილი.**
◎ **პედალისა.**
○ **პედლისა, პედლიანი, პედლებიანი შცდ.**

**პედანტ**-ი [ფრ. pedant < იტ. pedante] – ადამიანი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქმის გარეგან მხარეს, წვრილმანებს, განუხრელად იცავს ფორმალურ წესებს და ამასვე მოითხოვს სხვებისაგან.

**პედანტიზმ**-ი – პედანტის თვისება; გადაჭარბებული სიზუსტე.

**პედერასტ**-ი [ბერძ. paidarest] – პედერასტიის მიმდევარი.
**პედერასტია** [ბერძ. paiderastia ბიჭების სიყვარული] – სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის; მამათმავლობა.
**პედიატრ**-ი [ბერძ. pais (paidos) ბავშვი და iatreuô ვმკურნალობ] – ბავშვთა ექიმი.
**პედიატრია** [ბერძ. pais (paidos) ბავშვი და iatreuo ვმკურნალობ] – მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ბავშვთა დაავადებებსა და მათ მკურნალობას.
**პედიკიურ**-ი [ფრ. pédiocure < ლათ. pes (pedis) ფეხი და cuko ვუვლი, ვასუფთავებ] – ფეხის ფრჩხილების საგანგებო გაწმენდა-გაპრიალება, აგრეთვე ფეხზე კოჟრების მოცილება.
**პეიზაჟ**-ი [ფრ. paysage] – **1**. რაიმე ადგილის საერთო ხედი; ბუნების სურათი.
⊙ **სოფლის პ., ტყის პ., ზღვის პ.**
**2**. სურათი, ნახატი, რომელზეც ბუნებაა ასახული.
⊙ **ქართველ მხატვართა პ.-ები.**
**პელენგ**-ი[1] [ჰოლ. peiling] – კუთხე კომპასის ისრის მიმართულებისა და მიმართულებას შორის,რომლითაც ჩანს მოცემული საგანი ან ისმის ხმა.
**პელენგ**-ი[2] [ჰოლ. peiling] – მწყობრი ან საბრძოლო განაწესი, რომლის დროსაც თვითმფრინავები ან თვითმფრინავების რგოლი, ერთად ეწყობიან ერთიმეორის მიყოლებით კუთხით (ბექით, კალთით).
**პელენგატორ**-ი – **1**. (ზღვ.) ხელსაწყო,რომელიც დაყენებულია გემის კომპასის კარდალის სახურავზე; გამოიყენება კუთხური მიმართულების (პელენგების) გასაზომად კომპასით გემიდან მხედვარე სხვადასხვა საგნებისა.
**2**. იხ. **რადიოპელენგატორი**.
**პელერინა** [ფრ. pélerine] – მოკლე მოსასხამი, რომელიც, ჩვეულებრივ, წელამდე არ სწვდებათ.
**პენალტ**-ი [ინგლ. penalty] – (სპ.) ფეხბურთში: თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.
◎ **პენალტის.**
○ **პენალი შცდ.**
**პენია** [ლათ. poena სასჯელი] – ჯარიმა ფულადი ვალდებულებების არადროზე შესრულებისათვის (ვალების გადახდის ვადის დარღვევისათვის).
**პენის**-ი [ლათ. penis] – მამაკაცების სასქესო ორგანო (ასო).

**პენიტენცია** [გვიანდ. ლათ. poenitentia მონანიება] – (სამართ.) სასჯელთან დაკავშირებული. **პენიტენციალური სისტემა** – სისხლის სამართლის სასჯელის მოხდის წესი თავისუფლების აღკვეთის სახით.

**პენ-კლუბ**-ი [ინგლ. Pen-club < pen კალამი და ამავე დროს შემოკლ. სამი სიტყვისა: peom, essay, novel – ლექსი, ნარკვევი, რომანი] – სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მწერალთა გაერთიანება; დააარსეს ინგლისელმა მწერლებმა ჯ. გოლსუორთიმ და კ. ა. დასონ-სკოტმა 1921 წ.

**პენოლოგია** [ლათ. poena სასჯელი და ბერძ, logos მოძღვრება] – მეცნიერება სასჯელისა და ციხეების შესახებ.

**პენსია** [ლათ. pensio გადახდა] – ფულადი უზრუნველყოფა მოხუცებულებისა, ინვალიდებისა და სხვ.

◎ **საპენსიო.**

⊙ **ს. ასაკი, ს. წიგნაკი.**

**პენსიონერ**-ი [ფრ. pensionnaire] – პირი, რომელიც პენსიას იღებს.

**პენსნე** [ფრ. pince-nez] – სათვალე, რომელსაც საყურე რკალების ნაცვლად აქვს ზამბარაკი ცხვირზე დასამაგრებლად.

◎ **პენსნესი.**

○ **პენსნისა შცდ.**

**პენტაგონ**-ი [ინგლ. Pentagon < ბერძ. pentagon ხუთკუთხედი] – **1.** ხუთკუთხიანი შენობა (ქ. ვაშინგტონთან ახლოს), რომელშიც მოთავსებულია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო;

**2.** გადატ. – აშშ-ს სამხედრო უწყება.

**პენტჰაუზ**-ი [ინგლ. penthouse] – იზოლირებული ფეშენებლური ბინა მრავალსართულიანი სახლის ბანზე.

**პენუარ**-ი [ფრ. peignoir] – **1.** ქალის დილის ხალათი მსუბუქი ქსოვილისა.

**2.** თეთრი ქსოვილი (ზეწრის მაგვარი), რომელსაც საპარიკმახეროში აფარებენ კლიენტს კრეჭის, პარსვის და მისთ. დროს ტანისამოსის დასაცავად.

**პენჩინგბოლ**-ი [ინგლ. punching-ball] – მსხლის მოყვანილობის გასაბერი ტყავის ბურთი, რომელსაც მოკრივეები ურტყამენ ვარჯიშის მიზნით.

**პერ**-ი [ფრ. pair] – ინგლისში,იაპონიაში (აგრეთვე საფრანგეთში 1848 წლის რევოლუციამდე): თავადაზნაურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენლების წოდებულება; ამ წოდებულების მქონე პირი.

**პერგამენტ**-ი < (გეოგრ. სახ.) – **1**. ხბოს, ბატკნის ან თიკნის ტყავი, განსაკუთრებული წესით დამუშავებული, ასეთ მასალაზე შესრულებული ხელნაწერები. (ქართ. სინონ. **ეტრატი**).
**2**. მკვრივი ქაღალდი, რომელიც ცხიმსა და სისველეს არ ატარებს (პერგამენტის ქაღალდი) [მცირე აზიის ქ. პერგამონის (Pergamon) სახელის მიხედვით.
⊙ **პ.-ში შეხვეული კარაქი**.

**პერიგეა** [ბერძ. peri ირგვლივ, ახლოს და ge დედამიწა] – (ასტრ.) მთვარის (ან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის) ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე ახლოსაა დედამიწასთან. (საპირისპ. **აპოგეა**).
◎ **პერიგეისა**.
⊙ **პერიგეასი, პერიგეია შცდ**.

**პერიკარდ**-ი [ბერძ. perikardios] – (ანატ.) გულის გარემო, გულის გარსი, გულის პერანგი.

**პერიმეტრ**-ი [ბერძ. perimetron] – (მათემ.) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გვერდების სიგრძის ჯამი.
⊙ **კვადრატის პ**.

**პერიოდ**-ი [ბერძ. periodos] – **1**. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში რაიმე ხდება (იწყება, ვითარდება და მთავრდება).
⊙ **ზაფხულის პ., აყვავების პ., ომის შემდგომი პ**.
**2**. (მათემ.) ჯგუფი სივრცეებისა, რომლებიც მეორდება უსასრულო ათწილადებში.

**პერიოდული** – **1**. რაც გარკვეული პერიოდის, გარკვეული დროის შემდეგ მეორდება.
⊙ **პ. წვიმები, პ. შემოწმება, დაავადების პ. შეტევა**.
**2**. რაც გამოდის დროის გარკვეულ მონაკვეთში.
⊙ **პ. გამოცემები** (გაზეთები, ჟურნალები), **პ. ათწილადი** – (მათემ.) ათწილადი, რომელშიც უსასრულოდ მეორდება რაიმე ციფრი ან ციფრების ჯგუფი.
**ელემენტთა პ. სისტემა** – ქიმიურ ელემენტთა კლასიფიკაცია, რომელიც შექმნა რუსმა მეცნიერმა დ. მენდელეევმა (1834-1907).

**პერიოდიზაცია** – პერიოდებად დაყოფა.
⊙ **ქართული ლიტერატურის ისტორიის პ**.

**პერიოდიკა** – პერიოდული გამოცემები (გაზეთები, ჟურნალები).
⊙ **პ.-ის განყოფილება** (ბიბლიოთეკაში).

**პერიპეტია** [ბერძ. peripeteia] – უეცარი ცვლილება, მოულოდ-

ნელი გართულება ვისიმე ცხოვრებაში, რაიმე მდგომარეობაში და სხვ.

**პერისკოპ**-ი < [ბერძ. periskopeo ირგვლივ ვიხედები] – ოპტიკური ხელსაწყო საკანიდან, წყალქვეშა ნავიდან, ტანკიდან და მისთ. სათვალთვალად.

**პერისტალტიკა** < [ბერძ. peristaltikos] – (ფიზიოლ.) მომჭერი – ღრუ ორგანოთა (საყლაპავი მილის, კუჭის, ნაწლავებისა და მისთ.) კედლების ტალღისებური რიტმული შეკუმშვა-გაფართოება.

**პერიტონიტ**-ი [ბერძ. peritonaion მუცლის აპკი] – (მედიც.) მუცლის აპკის ანთება.

**პერიფერია** [ბერძ. periphereia წრე, წრეხაზი] – **1.** ქვეყნის განაპირა მხარე, ცენტრიდან დაშორებული ადგილი.

⊙ **პ.-ში მუშაობს.**

**2.** ცენტრიდან დაშორებული ნაწილი რისამე.

◎ **პერიფერიული.**

⊙ **პ. რაიონები, პ. ნერვული სისტემა.**

**პერიფრაზ**-ი [ბერძ. periphrasis < ლათ.] – გამოთქმა, რომელიც აღწერით გადმოსცემს სხვა გამოთქმის ან სიტყვის აზრს (მაგ: საქართველოს დედაქალაქი – ნაცვლად თბილისისა; ცხოველთა მეფე – ნაცვლად ლომისა).

**პერკუსია** [ლათ. percussion] – (მედიც.) ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; გამოცემული ხმის ხასიათით ექიმი არკვევს შინაგანი ორგანოების მდგომარეობას.

**პერლ**-ი [ფრ. perle] – რაღაც მშვენიერი, გამოჩენილი, ასევე უაზრო და სასაცილო.

**პერლამუტ**-ი [გერმ. Perlamutter მარგალიტის მწარმოებელი] – ძვირფასი ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ზოგიერთი ნიჟარა – მარგალიტის შრეს.

**პერლუსტრაცია** [< ლათ. perlustro ვათვალიერებ] – ფოსტით გაგზავნილი წერილის ფარული გახსნა სახელმწიფო ორგანოების მიერ (ცენზურის, ზედამხედველობის და მისთ. მიზნით).

**პერმანენტ**-ი [ფრ. permanent < ლათ. permanens] – თმის დახვევა (ელექტრობით და სხვ.), რომელიც დიდხანს სძლებს.

**პერმანენტულ**-ი [ლათ. permanens (permamentis] – რაც განუწყვეტლივ გრძელდება, მუდმივი.

**პერონ**-ი [ფრ. perron] – რკინიგზის

(მეტროპოლიტენის) სადგურის ბაქანი, რომელთანაც მატარებელი ჩერდება მგზავრების ჩასასხდომად და გადმოსასვლელად.

**პერპენდიკულარ**-ი [ლათ. perpendicularis შვეული] – (მათემ.) სწორი ხაზი, რომელიც მეორე სწორ ხაზთან ან სიბრტყესთან ქმნის სწორ კუთხეს.

⊙ **პ. სიბრტყეზე.**

◎ **პერპენდიკულარული.**

⊙ **პ. ხაზები, პ. ქუჩები.**

○ **პერპენდიკულიარი, პერპენდიკულიარული შცდ.**

**პერპეტუუმ-მობილე** [ლათ. perpetuum mobile მუდმივად მოძრავი] – მუდმივი ძრავა, რომლის შექმნის იდეა ეწინააღმდეგება მექანიკის კანონებს.

**პერსონა** [ლათ. persona] – პირი, პიროვნება.

**პერსონა გრატა** [ლათ. persona grata სასურველი პიროვნება] – ამა თუ იმ სახელმწიფოში დიპლომატიურ წარმომადგენლად გასაგზავნი პიროვნება, რომლის კანდიდატურაც სასურველადაა მიჩნეული ამ სახელმწიფოს მთავრობის მიერ.

**პერსონა ნონ გრატა** [ლათ. persona non grata არასასურველი პიროვნება] – პიროვნება, რომლის კანდიდატურა არასასურველად არის მიჩნეული, უარყოფილია.

**პერსონალ**-ი [ლათ. personalis პერსონალი] – რაიმე დაწესებულების, საწარმოს პირადი შემადგენლობა; ერთი და იგივე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა.

⊙ **სამედიცინო პ., ინჟინერ-ტექნიკოსთა პ.**

**პერსონალური** – 1. პერსონალთან დაკავშირებული.

⊙ **ა. საწარმოს პ. შემადგენლობა.**

2. რაც მხოლოდ მოცემულ პირს შეეხება, რაც ვისმე პირადად ეკუთვნის.

⊙ **პ. საქმე, პ. მოწვევა მიიღო, მხატვრის პ. გამოფენა.**

**პერსონალური კომპიუტერი** – პატარა ზომის (სამაგიდო) კომპიუტერი (იხ.), რომლითაც პირადად სარგებლობს ვინმე.

**პერსონალია** [ლათ. personalis პირადი] ციტატა ლექსიკონის, ენციკლოპედიის ან ცნობარისა, რომლიც ეძღვნება რომელიმე ცნობილ პიროვნებას.

**პერსონაჟ**-ი ფრ. personnage] – მხატვრულ ნაწარმოების მოქმედი პირი.

⊙ **რომანის პ.-ები, პიესის პ.-ები, დადებითი პ., კომიკური პ.**

**პერსონიფიკაცია** და **პერსონიფიცირება** [ლათ. persona და facio ვაკეთებ] – (ლიტ.) ზღაპრებში, იგავებში და სხვ.: ცხოველების, საგნების, ბუნების მოვლენათა ისეთი დახატვა, თითქოს მათ ადამიანური თვისებები ჰქონდეთ (ქართ. სინონ. **გაპიროვნება**).
⊙ ვაჟა ხშირად მიმართავს **პ.-ს.**

**პერსპექტივა** [ფრ. perspective] – **1**. ხედი, პანორამა რისამე, რაც დამკვირვებლისგან მნიშვნელოვნადაა დაშორებული.
**2**. საგნების სიდიდის, ფორმის, მდგომარეობათა მოჩვენებითი ცვალებადობა, რაც გამოწვეულია დამკვირვებლისგან მათი მეტნაკლები დაშორებით.
⊙ **ქუჩის პ.**
**3**. მოცულობითი საგნებისა და სივრცის გამოსახვა სიბრტყეზე სიდიდის, მოხაზულობის, მკაფიოობის მოჩვენებითი ცვალებადობის შესაბამისად, რაც განპირობებულია დამკვირვებლისგან მათი (საგნების) მეტნაკლები დაშორებით; ამ წესით შესრულებული გამოსახულება რისმე.
**4**. მხაზველობითი გეომეტრიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ცენტრალური პროექტირების საშუალებით სიბრტყეზე სხეულების გამოსახვის წესებს.
**5**. მომავლის გეგმები; ვისიმე ან რისამე შესაძლებლობანი მომავალში.
⊙ **კარგი პ.-ის მქონე ახალგაზრდა; განვითარების პ-ები.**
◎ **პერსპექტიული** და **პერსპექტოვანი** (მნიშ. 2-ისათვის).
⊙ **პ. ახალგაზრდა.**
⊙ **პ. გეგმა, პ. წინადადება.**
◎ **უპერსპექტივო** (მნიშვ. 2-ისათვის).
⊙ **უ. წამოწყება.**
○ **პერსპეკტივა, პერსპეკტოვანი, პერსპეკტიული, პერსპეკტული, უპერსპეკტივო შცდ.**

**პერტურბაცია** [ლათ. perturbatio არევ-დარევა, აშლა] – **1**. (წიგნ.) მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელი დარღვევა, წესრიგის მოშლა.
**2**. (ასტრ.) ცის სხეულის გზის შეცვლა სხვა სხეულების მიზიდულობის ძალის გამო, შეშფოთება.
⊙ **ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ რისამე შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების მნიშვ.-ით, რაც. შეცდ.**
○ **პერტრუბაცია, პერეტრუბაცია შცდ.**

**პერშ**-ი [ფრ. perche] – გრძელი ჭოკი, რომელსაც იყენებენ აკრობატული ნომრების შესასრულებლად (ცირკში).

**პესეტა** [ესპ. peseta] – ფულის ერთეული ესპანეთში.

**პესიმიზმ**-ი < [ლათ. pessimus

ყველაზე ცუდი] – ყველაფერში ცუდი, ბნელი მხარეების დანახვა; სევდიანობა, გულგატეხილობა, უიმედობა (საპირისპ. **ოპტიმიზმი**).

◎ **პესიმისტური.**

⊙ **პ. განწყობილება.**

**ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢ**-ი – პესიმიზმით განმსჭვალული ადამიანი.

**ᲞᲔᲡᲝ** [ესპ. peso] – ფულის ერთეული ლათინური ამერიკის ზოგ (ესპანურენოვან) ქვეყნებში.

**ᲞᲔᲡᲢᲘᲪᲘᲓᲔᲑ**-ი [ლათ. pestis გადამდები სენი, შავი ჭირი და caedo ვკლავ] – ქიმიური საშუალებანი მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ᲞᲔᲢᲐᲠᲓᲐ** [ფრ. pētard] – **1.** სასიგნალო ასაფეთქებელი ჭურვი, რომელსაც უდებენ ლიანდაგებზე მატარებელს მის გასაჩერებლად მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით (ქართ. სინონ. **ჭექურა**).

**2.** თოფის წამლით გატენილი ქაღალდის ჭურვი, რომელსაც იყენებენ ფეირვერკის მოსაწყობად.

**ᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐ** [ლათ. petitio] – წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი, მთავრობის მეთაურისადმი; კოლექტიური შუამდგომლობა.

**ᲞᲔᲤᲡᲘ-ᲙᲝᲚᲐ** [ინგლ. pepsi cola] – უალკოჰოლო სასმელი ერთგვარი, გავრცელებული აშშ-სა და სხვ. ქვეყნებში.

◎ **პეფსი-კოლისა.**

○ **პეპსი-კოლა, პეფსი-კოლასი შცდ.**

**ᲞᲔᲤᲡᲘᲜ**-ი < [ბერძ. pepsis] საჭმლის მონელება] – **1.** კუჭის წვენის ფერმენტი, რომელიც საჭმლის მონელებისას შლის ცილას.

**2.** ასეთი ფერმენტისაგან დამზადებული წამალი.

**ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ** [იტ. pianino] – ფორტეპიანოს ერთ-ერთი სახეობა.

○ **„პიანინოზე უკრავს", „პიანინოზე დაუკრა", „პიანინოზე დამკვრელი" შცდ.**

⊙ უნდა: **„პიანინოს უკრავს", ...**

**ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢ**-ი – ფორტეპიანოს (პიანინოს, როიალის) დამკვრელი მუსიკოსი.

**ᲞᲘᲐᲜᲝᲚᲐ** [ინგლ. pianola < ფრ.] – მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად უკრავს ფორტეპიანოს.

**ᲞᲘᲒᲛᲔᲘ** [ბერძ. pygmaios „მუშტისოდენა"] – ცენტრალური აფრიკის დაბალტანიანთა ტომის წარმომადგენელი (ქართ. სინ. **ჯუჯა კაცი**).

**ᲞᲘᲒᲛᲔᲜᲢ**-ი [ლათ. pygmentum საღებავი] – საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცო-

ცხალი ორგანიზმის ქსოვილებს.

**პიგმენტაცია** – (ბიოლ.) ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილების შეღებვა პიგმენტებით.

**პიგოპაგებ**-ი [ბერძ. pygē გავა და pagos დამაგრებული, შებოჭილი] – განვითარების ერთ-ერთი მანკი, რომლის დროსაც ორმაგი ნაყოფი (ტყუპები) შეხორცებულია ერთმანეთთან გავის არეში.

**პიედესტალ**-ი [ფრ. piēdestal] – მხატვრულად გაფორმებული საფუძველი, რომელზეც დგას ძეგლი, სვეტი და მისთ. (სინონ. **პოსტამენტი**, ქართ. სინონ. **კვარცხლბეკი**).

⊙ **გრანიტის პ.**

**საპატიო პიედესტალი** – სამი სხვადასხვა სინაღლის მქონე დასადგომი, რომელზეც დგებიან ხოლმე პრიზის მისაღებად ზოგ სპორტულ შეჯიბრებაში პირველ სამ ადგილზე გამოსული სპორტსმენები.

○ **პედესტალი. შცდ.**

**პიესა** [ფრ. peice] – **1.** დრამატურგიული ნაწარმოები სცენაზე წარსადგენად.

⊙ **ისტორიული პ., სამმოქმედებიანი პ.**

⊙ კონსტანტინე გამსახურდიას **პ. „დავით აღმაშენებელი“.**

**2.** პატარა მუსიკალური ნაწარმოები.

⊙ **შოპენის პ.-ები, საორკესტრო პ.-ები.**

**პიეტა** [იტ. pieta] – (ხელოვნ.) ნახატი, რომელზეც გამოსახულია ჯვრიდან ჩამოხსნილი იესო ქრისტეს დატირება.

**პიეტეტ**-ი [გერმ. pietat < ლათ. პიეტას (pietatis) ღვთისმოსაობა] – ღრმა პატივისცემა, მოკრძალებული დამოკიდებულება ვინმესადმი, რამესადმი.

**პიკ**-ი [ფრ. pic.] – **1.** მთის მახვილი მწვერვალი.

**2.** უმაღლესი წერტილი; მკვეთრი მოკლევადიანი აწევა მუშაობაში (მაგ. ელექტრო სადგურში გაძლიერებული დატვირთვის საათებში), საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობისას (დილას – პიკის საათებში).

**პიკადორ**-ი [ესპ. picador < pica შუბი] – ხარების ბრძოლის ცხენოსანი მონაწილე, რომელიც შუბით აღიზიანებს ხარს.

**პიკანტურ**-ი [ფრ. piquant] – **1.** ცხარე გემოსი (საწებელი, საჭმელი).

**2.** ინტერესის, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი (არაჩვეულებრივი ინტენსიურობით).

**3.** მაცდუნებელი, მიმზიდველი.

**პიკაპ**-ი [ინგლ. pick-up] – პატარა საქვეითო –სამგზავრო ავტომობილი.

**პიკეტ**-ი [ფრ. piquet] – **1.** პატარა სადარაჯო რაზმი.

⊙ **ცხენოსანთა პ.**

**2.** გაფიცულთა ან დემონსტრანტთა ჯგუფი, რომელიც იცავს გაფიცვის ადგილს ან დემონსტრანტებს.

**მოპიკეტე** – პიკეტის მონაწილე.

⊙ **პ.-თა უფროსი.**

◎ **მოპიკეტისა.**

○ **მოპიკეტესი შცდ.**

**პიკირება**[1] [ფრ. piquer] – (ავიაც.) თვითმფრინავის დიდი სისწრაფით ძირს დაშვება; იყენებენ მიზანში ყუმბარის ზუსტი მოხვედრის მიზნით.

**პიკირება**[2] [< ფრ. piquet პალო] – (სოფ. მეურნ.) თესლზე ამოსული მცენარეების გადარგვა ერთმანეთის დაშორებით უფრო მძლავრი ეგზემპლარების მისაღებად.

**პიკნიკ**-ი [ინგლ. picnic] – ქალაქგარეთ ჯგუფურად გასეირნება (ჩვეულებრივ დასასვენებლად და საჭმელ-სასმელად).

**პიკო** [ფრ. pico მცირე სიდიდე] – თავსართი, რომელიც საზომი ერთეულის სახელთან მოხსენებისას აღნიშნავს მის მეტრილიონედ ნაწილს.

**პიკული** [რუს. пикули < ინგლ. pickles (მრ.). – წვრილად დაჭრილი და დამწნილებული ბოსტნეულის ნარევი.

⊙ **პ. კიტრის მწნილი.**

**პილოტ**-ი [ფრ. pilote] – პირი, რომელიც მართავს საფრენ აპარატს (თვითმფრინავს, შვეულმფრენს...); მფრინავი.

**პილოტაჟ**-ი [ფრ. pilotage] – საფრენი აპარატის მართვის ოსტატობა: თვითმფრინავის მანევრირება ჰაერში სხვადასხვა ფიგურის შესრულებით.

**პინგვინ**-ი [ფრ. pinguine < ლათ. pinguis] – ზღვის დიდი ფრინველი; ფრენა არ შეუძლია, კარგად ცურავს; გავრცელებულია ანტარქტიკაში.

**პინო** [ფრ. pineau] – ფრანგული ვაზის ჯიში; ხარობს ჩვენშიც.

⊙ **პ.-ოს ღვინო.**

**პინცეტ**-ი [ფრ. pincette] – პატარა ზამბარიანი მაშა წვრილი, სათუთი საგნების ასაღებად; იყენებენ მედიცინაში, ტექნიკაში, ლაბორატორიებში და სხვ.

**პიონერ**-ი [ფრ. pionnier] **1.** (წიგ.) ადამიანი, რომელმაც პირველმა შეაღწია გამოუკვლეველ ქვეყანაში და დასახლდა იქ.

**2.** პირი, რომელმაც მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში

და სხვ. გაკაფა ახალი გზები; რისამე წამომწყები.

◎ **პიონერული**

⊙ **პ. წამოწყება.**

**პიორეა** [ბერძ. pyon ჩირქი და rheô მოვლენები] – (მედიც.) ჩირქდენა.

**პიპეტ**-ი [ფრ. pipette] – მინის წაწვეტებული მილაკი, რომელსაც თავში უკეთია რეზინის ბუნიკი; იხმარება სითხის ამოსაღებად და წვეთ-წვეთად გამოსაშვებად (ქართ. სინონ. **საწვეთური**).

⊙ **თვალში წამლის ჩაწვეთება პ.-ით.**

○ **პიპეტკა შცდ.**

**პიჟამა** [ინგლ. pijamas] – შარვალ-ხალათი რბილი ქსოვილისა; იცვამენ საშინაოდ (ჩვეულებრივ, ლოგინში დასაწოლად), აგრეთვე აცვიათ ავადმყოფებს (საავადმყოფოში).

◎ **პიჟამისა.**

○ **პიჟამო, პიჟამოსი შცდ.**

**პიჟონ**-ი < [ფრ. pigeon მტრედი] – თავქარიანი, ფრანტული, კოხტა ახალგაზრდა კაცი.

**პირამიდა** [ბერძ. pyramis (piramidas)] – **1.** (მათემ.) მრავალწახნაგა სხეული, რომლის ფუძე წარმოადგენს მრავალკუთხედს, ხოლო წახნაგები – საერთო წვერის მქონე სამკუთხედებს.

**2.** ასეთი ფორმის უზარმაზარი ქვის აკლდამა, რომლის ფუძე ოთხკუთხაა, აგებდნენ ძველ ეგვიპტეში ფარაონებისათვის.

⊙ **ხეოფსის პ.**

**3.** აკრობატიკული ფიგურა, რომელიც შედგენილია ერთმანეთზე შემდგარი ადამიანებისაგან.

◎ **პირამიდული, პირამიდისა.**

⊙ **პ. ნაგებობა, პ. ვერხვი.**

○ **პირამიდასი, პირამიდი, პირამიდური შცდ.**

**პირკე-ს რეაქცია** (მედიც.) კანის სინჯი ორგანიზმის ტუბერკულიოზით დასნებოვნების დასადგენად.

**პირატ**-ი [ლათ. pirata < ბერძ. peiratēs] – ზღვის ყაჩაღი, მეკობრე.

**პიროგა** [ესპ. piragua, ფრ. pirogue კარიბ.] – ინდიელების (კერძოდ, კანიბების) ვიწრო და გრძელი ნავი, რომელსაც გადაკრული აქვს ხის ქერქი (ან ტყავი); ხის მთელი მორისაგან შიგნით ამოჭრილი ან ამოწვით გაკეთებული ნავი.

◎ **პიროგისა.**

○ **პიროგასი შცდ.**

**პიროპტრია** [ბერძ. pyr ცეცხლი და metreô ვზომავ] – მაღალი ტემპერატურის გაზომვის მეთოდი.

**პიროსის გამარჯვება** – იტყვიან ისეთ გამარჯვებაზე, რომელსაც დიდი მსხვერპლი დასჭირდა.

**პიროტექნიკა** [ბერძ. pyr ცეცხლი და techne ოსტატობა, ხელოვნება] – ტექნიკის დარგი, რომელიც დაკავშირებულია საცეცხლე ნარევების დამზადებასა და გამოყენებასთან (რაკეტებში, ფოიერვერკებში და სხვ.)
◎ **პიროტექნიკური.**
⊙ **პ. ნარევი.**
○ **პიროტეხნიკა, პიროტეხნიკური შცდ.**

**პირსი**-ი [ინგლ. piers (მრ.)] – ნავსადგურებში: ზღვაში შეჭრილი საპორტო ნაგებობა ორივე მხრიდან გემების მისადგომად.

**პირუეტი**-ი [ფრ. piroutte] – ცეკვაში ცალი ფეხის თითის წვერებზე სრული შემოტრიალება.

**პისტოლეტი**-ი [ფრ. pistolet] – ხელის მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი.

**პიუპიტრი**-ი [ფრ. pupitre < ლათ. pulpitam] – სპეციალური დახრილი სიბრტყე ნოტების დასადებად; დამაგრებულია ვერტიკალურ ჯოხზე, როიალზე ან მისთ.

**პიურე** [ფრ. puree < purer გასუფთავება] – საჭმლის საკაზმი გახეხილი ბოსტნეულის ან აზელილი კარტოფილის სახით; საერთოდ გახეხილი ბოსტნეულის, ხილის მასა.
⊙ **კარტოფილის პ., ვაშლის პ.**
◎ **პიურესი.**
○ **პიურისა შცდ.**

**პიქტოგრაფია** [ლათ. pictus დახატული და ბერძ. graphô ვწერ] – დამწერლობის უძველესი სახეობა – საგნების, მოვლენების, მოქმედების გადმოცემა ნახატების საშუალებებით; ხატოვანი დამწერლობა.

**პიცა** – [იტ. pizza] – იტალიური კერძი, ღვეზელი ერთგვარი.

**პიჯაკი**-ი [ინგლ. pea-jacket] – მამაკაცის კოსტიუმის ზედა ნაწილი.

**პინგ-პონგი** [ინგლ. ping-pong] – მაგიდის ჩოგბურთი (ტენისი), სპორტული თამაში, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფანერის რაკეტებით, განსაზღვრული წესების დაცვით, ხდება ცელულოიდის ბურთის გადასროლა მაგიდაზე, რომელიც განივად გაყოფილია ბადურით ორ ნაწილად.

**პიონი**-ი [ლათ. Paeōnia] – მცენარე ბაიას ოჯახისა, ჩვეულებრივ დიდი ყვავილებით; ზოგიერთი

ჯიში გამოიყენება როგორც დეკორატიული მცენარე.

**პლაგიატ**-ი [ლათ. plagiatus მოტაცებული] სხვისი ნაწარმოების თავისი სახელით გამოქვეყნება; მითვისება; „ლიტერატურული ქურდობა“; თავის ნაწარმოებში სხვისი ნაწარმოების გამოყენება ავტორის დაუსახელებლად. (იხ. აგრეთვე **პლაგიატორი**).

**პლაგიატორ**-ი – პლაგიატის ჩამდენი.

○ ამ მნიშვნელობით ხშირად ხმარობენ **პლაგიატს**, რაც **შცდ**.

**პლაზმა** [ბერძ. plasma გამონაძერწი] – **1.** სისხლის თხევადი ნაწილი.

**2.** პროტოპლაზმის მცდარი სახელწოდება.

**3.** (ფიზ.) იონიზებული აირი, რომელშიც დადებითად და უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების სიმკვრივე ერთგვარია, ხოლო ამ ნაწილაკების ქაოსური სითბური მოძრაობა სჭარბობს მათ მიმართულ გადაადგილებას გარეგანი აღძრული ველის მოქმედების შედეგად.

**პლაკატ**-ი [გერმ. plakat] – კედელზე გასაკრავი ფერადი ნახატი, რომელსაც ახლავს მორიგე სააგიტაციო ან სარეკლამო ტექსტი.

◎ **პლაკატური** და **საპლაკატო**.

⊙ **პ. (ს.) ფერწერა, ს. ლექსი, ს. სახელოსნო.**

**პლანერ**-ი [ფრ. planeur] – ჰაერზე უფრო მძიმე უმოტორო საფრენი აპარატი, რომელიც გაშვების შემდეგ ჰაერის აღმავალი ტალღის ზეგავლენით მიფრინავს და თავისი წონის გამო თანდათან დაბლა ეშვება.

⊙ **მოლივლივე პ., პ.-ებით შეჯიბრება.**

◎ **საპლანერო.**

⊙ **ს. სპორტი.**

**პლანერიზმ**-ი – სპორტის სახეობა – პლანერებით ფრენა.

**პლანეტა** [ბერძ. planertus] – ციური სხეული, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს და მზის არეკლილი შუქით ანათებს (ქართ. სინონ. **ცთომილი**).

⊙ **მცირე პ.-ები.**

**პლანეტარიუმ**-ი [გვიანდ. ლათ. planetarium] – **1.** აპარატი, რომლითაც გუმბათისებურ ეკრანზე აჩვენებენ პლანეტების და სხვა ციური სხეულების მოძრაობას.

**2.** შენობა, რომელშიც ეს აპარატია დადგმული და, რომელშიც იმართება სამეცნიერო-პოპულარული ლექციები ასტრონომიაში, კოსმონავტიკაში და მისთ.

**პლანიმეტრია** [ლათ. planum სიბრტყე და ბერძ. metreô ვზომავ] – გეომეტრიის ნაწილი,რომელიც სწავლობს სიბრტყეზე მოცემულ ფიგურებს.
**პლანირება** [ფრ. planer] – პლანერის ან მოტორ გათიშული თვითმფრინავის თანდათანობით ძირს დაშვება.
**პლანტაჟ**-ი [ფრ. plandage] – (სოფ. მეურნ) მიწის ღრმად დამუშავება (ვაზის ან ხეხილის დასარგავად; შდრ. **მიწის გადაბრუნება**).
**პლანტატორ**-ი პლანტაციის (მნიშვ. 2) პატრონი.
**პლანტაცია** [ლათ. plantatio რგვა] – **1**. მიწის დიდი ფართობი, სადაც მოჰყავთ სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურები.
⊙ **ჩაის პ., ბამბის პ., შაქრის პ., ჭარხლის პ.**
**2**. მსხვილი კაპიტალისტური სამიწათმოქმედო მეურნეობა (პირველად ერქვა ისეთს, სადაც იყენებდნენ მონების შრომას – ამერიკასა და კოლონიურ ქვეყნებში).
**პლანშეტ**-ი [ფრ. planchette] – **1**. (გეოლ.) ფიცარი, რომელზეც დამაგრებულია ქაღალდი ადგილის გეგმის დასახაზავად.
**2**. გეოლოგიური გეგმა.
**3**. რუკის სატარებელი ბრტყელი ჩანთა,რომელსაც ცალ მხარეს აქვს გამჭვირვალე ზედაპირი.
**პლაჟ**-ი [ფრ. plage] – წყლის გაშლილი ნაპირი, რომელიც გამოიყენება საბანაოდ და მზის აბაზანების მისაღებად.
⊙ **ქობულეთის პ.**
○ **პლიაჟი შცდ.**
**პლასტიკა** [ბერძ. plastike] – ხელოვნების სახეობა, რომელიც ქმნის მოცულობითი ფორმის ნაწარმოებებს.
⊙ **ანტიკური პ., პ.-ის ხელოვნება.**
◎ **პლასტიკური.**
⊙ **პ. გამომსახველობა.**
○ **პლასტიური შცდ.**
**პლასტილინ**-ი [იტ. plastilina] – საძერწი მასალა; მზადდება თიხისა და სანთლისგან, ქანის ვაზელინის და ზოგი სხვა ნივთიერების შერევით.
○ **პლასტელინი შცდ.**
**პლატინა** [ესპ. platina] – ქიმიური ელემენტი, ფოლადისფერი კეთილშობილი ლითონი; დიდი გამოყენება აქვს ელექტრო და რადიოტექნიკაში; საიუველირო საქმეში.
⊙ **პ.-ის მადანი, პ.-ის მრეწველობა.**
**პლატო** [ფრ. plateau] – ზღვის დონიდან შედარებით მაღლა მდებარე ვაკე, რომელსაც ცი-

ცაზო ფერდობები აქვს.

⊙ **მთაწმინდის პ., ბორჯომის პ.**

**პლატონიზმ**-ი – **1.** ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის (727-347 წწ. ძვ. წელთაღრ.) და მისი მიმდევრების იდეალისტური ფილოსოფია.

**2.** პლატონური სიყვარული.

**პლატონურ**-ი – **1.** პლატონიზმთან დაკავშირებული.

**2.** მხოლოდ სულიერ მისწრაფებებზე დამყარებული არახორციელი (სიყვარული).

**3.** რასაც პრაქტიკული მიზნები არა აქვს; განყენებული.

**პლატფორმა** [ფრ. plate-forme ბრტყელი ფორმა] – **1.** რკინიგზის სადგურში ლიანდაგის გასწვრივ მოწყობილი ბაქანი.

⊙ **მაღალი პ.**

**2.** მცირე ხნით მატარებლის გასაჩერებელი ადგილი ორ სადგურს შორის (სინონ. **ბაქანი**).

**3.** ღია,დაბალი ბორტების მქონე სატვირთო ვაგონი (სინონ. **ბაქანი**).

**4.** (წიგნ.) პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის პოლიტიკური პროგრამა.

⊙ **პარტიის საარჩევნო პ.**

○ **პლათფორმა შცდ.**

**პლაფონ**-ი [ფრ. plafond] – **1.** მოხატული ან რელიეფით შემკული ჭერი.

**2.** ელექტრული საგანი, მოწყობილი ზედ ჭერზე ან კედელზე (უპირატესად ვაგონის კუპეში, გემის კაიუტაში ან სალონში, ავტობუსსა და სხვ.)

**პლაცდარმ**-ი [ფრ. place d’armes] – **1.** (სამხ.) სივრცე, სადაც მზადდება და იშლება საომარი ოპერაცია.

**2.** ტერიტორია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწყის პუნქტად საომარი მოქმედებისათვის ვისიმე წინააღმდეგ.

**პლაც**-ი [გერმ. Platz] – მოედანი სამწყობრო სამეცადინოდ, დათვალიერების და პარადებისათვის.

**პლაცენტა** [ლათ. placenta კვერი, შაფართხელი] – (მედ.) ორგანო, რომელიც ვითარდება ორსული ქალის (ან მაკე ცხოველის) ორგანიზმში და უზრუნველყოფს ჩანასახის კვებასა და სუნთქვას; მომყოლი.

**პლაცკარტ**-ი [გერმ. Platzkarte] – ბილეთის დანართი სამგზავრო ვაგონში საწოლი ადგილის დასაკავებლად.

⊙ **თბილი ვაგონის პ.**

◎ **პლაცკარტიანი.**

⊙ **პ. ვაგონი.**

**პლეადა** [ბერძ. Pleias (Pleiados) შვიდი – ძველი ბერძენი პო-

ეტ-ტრაგიკოსის ჯგუფის სახელი] – (წიგნ.) ერთი ეპოქის გამოჩენილი მოღვაწეთა ჯგუფი.
⊙ **ქართველ მოჭადრაკე ქალთა პ.**
◎ **პლეადისა.**
○ **პლეიადა, პლეადასი შცდ.**

**პლებეი** [ლათ. plebeius] – **1.** ძველ რომში: დაბალი წრეების წარმომადგენელი, პირადად თავისუფალი ადამიანი, რომელსაც პირველი ხანებში არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა.
**2.** დაბალი წოდების წარმომადგენელი, მშრომელთა წრეებიდან გამოსული ადამიანი.

**პლებისციტ**-ი [ლათ. plebiscitum ხალხის გადაწყვეტილება] – საერთო-სახალხო კენჭისყრა, რომესაც აწყობენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხის გადასაწყვეტად (სინონ. **რეფერენდუმი**).
⊙ **პ.-ის მოწყობა.**
◎ **საპლებისციტო.**
⊙ **ს. საკითხი.**

**პლებს**-ი [ლათ. plebs] – (კრებ.) პლებეები.

**პლედ**-ი [ინგლ. plaid.] – დიდი და სქელი შალი, ჩვეულებრივ კუბოკრული და ფოჩებიანი; იყენებენ ლოგინის გადასაფარებლად.

**პლევრა** [ბერძ. pleura გვერდი] – (ანატ.) აპკი,. რომელიც ფარავს ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლებს.

**პლევრიტ**-ი (მედიც.) პლევრიტის ანთება.

**პლეერ**-ი [ინგლ. player < play მოძრაობაში მოყვანა] – კომპაქტური მაგნიტოფონი ჩანაწერების აღდგენისათვის.

**პლენარულ**-ი [ლათ. plenarius სრული] – რაშიც რაიმე ორგანიზაცია,არჩევითი ორგანოს ყველა წევრი მონაწილეობს.
⊙ **კონფერენციის პ. სხდომა**.

**პლენერ**-ი [ფრ. plein air სუფთა ჰაერი] – ფერწერა გარეთ, ღია ცის ქვეშ, ჰაერზე; ზუსტად გადმოსცემს ბუნებრივ გარემოებას, ჰაერის გარემოს, ბუნების რეალურ ფერებს.

**პლენუმ**-ი [ლათ. plenum სრული] – არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს პლენარული სხდომა, სადაც ყველა წევრი ესწრება.
⊙ **უმაღლესი სასამართლოს პ.**

**პლომბ**-ი [გერმ. Plombe < ლათ. plumbum, ფრ. plomb,ტყვია] – **1.** ბეჭდით ჩაჭყლეტილი ტყვიის პატარა ნაჭერი, რომელსაც ადებენ დაკეტილ კარს, შეფუთულ საქონელს და სხვ; ხელუხლებლობის ნიშანია.

**2**. ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს.

⊙ მე-2 მნიშვ.-ით ზოგჯერ ხმარობენ **ბჟენს** ან **ბრჟენს**, რაც **შცდ**.

**პლომბირ**-ი [ფრ. plombirêes საფრანგეთის ქალაქ პლომბირეს სახ. მიხედვით] – ნაღებისგან დამზადებული ნაყინი,რომელსაც ურევია რაიმე ხილი,წვენი,შოკოლადი და სხვ.

**პლურალიზმ**-ი [< ლათ. pluralis მრავლობითი] – **1**. (ფილოს.) იდეალისტური მოძღვრება, რომელიც უარყოფს სამყაროს ერთიანობას და ამტკიცებს, რომ მას საფუძვლად უდევს მთავარი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სულიერი არსი.

**2**. (პოლიტ.) სახელმწიფოს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა.

○ **პლიურალიზმი შცდ**.

**პლუს**-ი < [ლათ. plus მეტად] – შეკრების (მომატების) დადებითი ნიშანი (+) მათემატიკაში. ტემპერატურაზე მიერთებისას ნიშნავს: ნულს ზემოთ (საპირისპ. (-) **მინუსი**).

⊙ **პ. 15 (ან +15) გრადუსი**.

○ **პლიუსი შცდ**.

**პლუტოკრატია** [ბერძ. Plutokratia < plutos სიმდიდრე, და kratos ხელისუფლება, სიძლიერე] – პოლიტიკური წესწყობილება, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება აქვს გაბატონებული კლასის მდიდარ ფენას.

**პლუტონ**-ი [ბერძ. pluton] – **1**. ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის ძმა, მიწისქვეშეთის ღმერთი, საიქიოს მბრძანებელი, მიწის წიაღის მფლობელი.

**2**. (ასტრ.) მზის სისტემის მეცხრე მზიდან ყველაზე უფრო დაშორებული დიდი პლანეტა.

**პნევმატიკურ**-ი [ბერძ. pneumatikos სასუნთქი, საჰაერო] – შეკუმშული ჰაერით მოქმედი.

⊙ **პ. ტუმბო, პ. ჩაქუჩი**.

◎ **პნევმატური** დასაშვებია.

○ **პნევმატიური შცდ**.

**პნევმონია** [ბერძ. pneumonia pneumon ფილტვი] – (მედიც.) ფილტვების ანთება.

**პოდაგრა** [ბერძ. podagra] – (მედიც.) სახსრებისა და ქსოვილების დაავადება, რაც გამოწვეულია ორგანოებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად.

**პოეზია** [ბერძ. poiesis] – სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება ლექსების სახით, ლექსები.

⊙ **გ. ტაბიძის პ., ქართული**

**ხალხური პ.**

**პოდიუმი-ი** [ლათ. podium] – **1.** მოქანდაკეთა და მხატვრების სახელოსნოში: ამაღლებული ადგილი ნატურისათვის.

**2.** მაღალი ბაქანი,რომელზედაც აშენებდნენ ანტიკურ (უპირატესად რომაულ) ტაძრებს.

**3.** კედელი ანტიკური ცირკის ასპარეზის გარშემო.

**4.** ძვ. რომის ცირკში: ამაღლებული ადგილი სავარძლებით იმპერატორისათვის, სენატორებსა და სხვ. მაღალი წრის პირთათვის.

**პოემა** [ბერძ. poiema] – თხრობითი მხატვრული ნაწარმოები ლექსად.

⊙ **ვ. ფშაველას პ. „ბახტრიონი“., ნ. ბარათაშვილის პ. „ბედი ქართლისა“, ლ. ასათიანის პ. „ბასიანის ბრძოლა“.**

**პოეტ**-ი [ბერძ. poietes] – მწერალი, რომელიც ლექსებს თხზავს.

◎ **პოეტური.**

⊙ **პ. ნიჭი, პ. შემოქმედება.**

**პოზა** [ფრ. pose] – ადამიანის სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა.

**პოზიორ**-ი [ფრ. poseur] – ადამიანი,რომელიც ზრუნავს თავისი ქცევის გარეგან ეფექტზე.

**პოინტერ**-ი [ინგლ. pointer] – მოკლებალნიანი სანადირო (მეძებარი) ძაღლის ჯიში.

**პოზიტივ**-ი [ლათ. positivus დადებითი] – ფოტოგრაფიასა და კინემატოგრაფიაში: სურათი, რომელზეც (ნეგატივისაგან განსხვავებით) გადაღებული საგნის ნათელი და მუქი ადგილები სინამდვილეში არსებულის შესაბამისად არის გამოსული.

**პოზიტიურ**-ი [ლათ. positius] – **1.** (წიგნ.) დადებითი (საპირისპ. **ნეგატიური**).

⊙ **პ. მსჯელობა, საკითხის პ. გადაწყვეტა.**

**პოზიტიური ფილოსოფია** – იგივეა, რაც პოზიტივიზმი.

**2.** ცდაზე, ფაქტებზე დამყარებული.

⊙ **პ. მეცნიერებანი.**

**3.** რაც პოზიტივს წარმოადგენს.

⊙ **პ. გამოხატულება.**

**პოზიცია** [ლათ. positio] – **1.** ვისამე ან რისამე მდგომარეობა, განლაგება.

⊙ **სასურველი პ., მოწინავე პ.-ებზე ბრძოლა, საზეიმო პ.**

**2.** (სამხ.) ბრძოლის დროს ჯარების განლაგების ადგილი; სამხედრო მოქმედებათა რაიონი.

**3.** ჭადრაკში; შაშში: ფიგურების განლაგება თამაშის ამა თუ იმ მომენტისას.

**4.** გადატ. (წიგნ.) თვალსაზრისი,

აზრი რაიმე საკითხში.

⊙ **კამათში სწორი პ. ეჭირა, თავისი პ. დაიცვა.**

◎ **პოზიციური.**

⊙ **პ. უპირატესობა** (ჭადრაკში).

**პოლარული** [ლათ. polaris] – **1**. პოლუსთან (მნიშვ. **1**.) დაკავშირებული, პოლუსთან არსებული.

⊙ **პ. ექსპედიცია, პ. ღამე, პ. ყინულები.**

**2**. გადატ. (წიგნ.) სრულიად სხვაგვარი, საპირისპირო, საწინააღმდეგო.

⊙ **პ. აზრები.**

**პოლემიკა** [ფრ. polemique < ბერძ. polemikos მტრული] – კამათი რაიმე მეცნიერული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური საკითხების განხილვისას (ქართ. სინონ. **პაექრობა**).

⊙ **ლიტერატურული პ., პ.-ში მიიღო მონაწილეობა.**

**პოლი...** [ბერძ. poly ბევრი] – რთული სიტყვების თავსართი, რომელიც უჩვენებს სიმრავლეს რაიმეს რთული შემადგენლობისას.

**პოლიანდრია** [ბერძ. poly ბევრი და enēr (andros) ქმარი] – ქორწინების ფორმა, რომლის დროსაც ქალს შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ქმარი ჰყავდეს; (ქართ. სინონ. **მრავალქმრიანობა**).

**პოლიგამია** [ბერძ. poly ბევრი და gamos ქორწინება] – **1**. ქორწინების ფორმა, როდესაც თითოეულს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მეუღლე ჰყავდეს.

**2**. ერთი მამლის შეჯვარება ერთი სეზონის განმავლობაში რამდენიმე დედალთან.

**პოლიგინია** [< ბერძ. polygynēs მრავალცოლიანი] – ქორწინების ფორმა, როდესაც მამაკაცს შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავდეს. (ქართ. სინონ. **მრავალცოლიანობა**).

**პოლიგლოტ**-ი [ბერძ. polyglôttos] – ბევრი ენის მცოდნე.

**პოლიგონ**-ი [ბერძ. polygonos მრავალკუთხიანი] – სპეციალურად მოწყობილი ადგილი სხვადასხვა იარაღის, საბრძოლო ტენიკის გამოსაცდელად, სამხედრო წვრთნისათვის (ქართ. სინონ. **სასროლეთი**).

⊙ **სარაკეტო პ.**

**პოლიგრაფია** [ბერძ. polygrafia მრავალნაწერი] – ტექნიკის დარგი, მრეწველობა, რომლის საქმეა წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და მისთ. ბეჭდვა.

◎ **პოლიგრაფიული** და **საპოლიგრაფიო.**

⊙ **პ. (ს.) კომბინატი, პ. (ს.) ბაზა.**

**პოლიგრაფისტ**-ი პოლიგრაფიის სპეციალისტი.

**პოლიეთილენ**-ი – სინთეზური ნივთიერება ერთგვარი,მტკიცე და ელასტიური; ფართოდ იყენებენ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაწარმის დასამზადებლად.

⊙ ამ ნივთიერებას ხშირად **ცელოფანს** (იხ.) უწოდებენ („**ცელოფნის პარკიო**“ - ამბობენ), რაც **შცდ**.

**პოლითეიზმ**-ი [ბერძ. poly ბევრი და theos ღმერთი] – რელიგია, რომეილიც მრავალ ღმერთს აღიარებს; მრავალღმერთიანობა (საპირისპ. **მონოთეიზმი**).

**პოლიკლინიკა** [ბერძ. polis ქალაქი და klinike მკურნალობა] – სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევს მომსვლელ და შინ მწოლიარე ავადმყოფებს.

⊙ **რაიონული პ., ბავშვთა პ., სტომატოლოგიური პ.**

**პოლიკრატია** [ბერძ. kratos ხელისუფლება] – მრავალხელისუფლებიანობა, ხელისუფლების განაწილება რამდენიმე პირზე.

**პოლიომიელიტ**-ი [ბერძ. polios ნაცრისფერი და myelos ტვინი] – (მედიც.) ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების ანთება; ბავშვთა მწვავე ინფექციური დაავადება; იწვევს დამბლას.

**პოლიპ**-ი [ბერძ. polypus] – **1.** ნაწლავღრუიანი ცხოველი, რომელიც ერთი ბოლოთი მიმაგრებულია მოძრავ საგანზე, ხოლო მეორე ბოლოზე აქვს პირი.

**2.** ლორწოვანი გარსების (ცხვირის ღრუს) კეთილთვისებიანი სიმსივნე.

**პოლის**-ი[1] [ფრ. police] – სიცოცხლის, ქონების და სხვ. დაზღვევის მოწმობა.

**პოლის**-ი[2] [ბერძ. polis] – ძველ საბერძნეთში: ქალაქი სახელმწიფო.

**პოლისმენ**-ი [ინგლ. policeman police პოლიცია და man ადამიანი] – ზოგიერთ ქვეყანაში: პოლიციელი, წესრიგის დამცველი.

**პოლიტექნიკური** [ბერძ. poly ბევრი და techne ხელობა, ხელოვნება] – ტექნიკის სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული.

⊙ **პ. უნივერსიტეტი, პ. სწავლება, პ. მუზეუმი.**

**პოლიტიკა** [ბერძ.politika სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობა, სახელმწიფოს მართვის ხელოვნება] – **1.** სა-

ხელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა შიდასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

⊙ **საგარეო პ., საშინაო პ.**

**2.** (საუბ.) მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება.

◎ **პოლიტიკური.**

⊙ **პ. შეხედულებები, პ. ბრძოლა, პ. მოღვაწე.**

◎ **საპოლიტიკო.**

⊙ **ს. გაზეთი.**

**პოლიტიკან**-ი [ფრ. poliquan < ბერძ.] – ადამიანი, რომელიც პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებს ცვლის წვრილმანებით, ხშირად ანგარების მიზნით; ინტრიგანი.

**პოლიტიკოს**-ი პოლიტიკური მოღვაწე.

**პოლიტოლოგ**-ი – პოლიტოლოგიის სპეციალისტი.

**პოლიტოლოგია** [ბერძ. politika და logos მოძღვრება] – მეცნიერების განსაკუთრებული დარგი, რომელიც შეისწავლის საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას და პოლიტიკურ ცხოვრებას, საშინაო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებს.

**პოლიფონია** [ბერძ. polyphônia – მრავალხმიანობა.

◎ **პოლიფონიური.**

⊙ **პ. სიმღერები.**

**პოლიქრომია** [ბერძ. polychrômos მრავალფერა] – მრავალი ფერის გამოყენება (ხუროთმოძღვრებაში, ქანდაკებაში).

**პოლიცია** [გერმ. Polizei ბერძ. politeia ქალაქის ადმინისტრაცია] – განსაკუთრებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც ჰყავს შეიარაღებული რაზმები სახელმწიფოში წესრიგის დასამყარებლად.

◎ **პოლიციური.**

⊙ **პ. ზედამხედველობა.**

◎ **საპოლიციო.**

⊙ **ს. უბანი.**

**პოლიჰიმნია** [ლათ. polyhymnia < ბერძ. polymnia] – ბერძნულ მითოლოგიაში: ლირიკული პოეზიის მფარველი მუზა.

**პოლკ**-ი [რუს. полк] – სამხედრო ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ შედის დივიზიის ან ბრიგადის შემადგენლობაში; (სინონ. **ლეგიონი**).

⊙ **მსროლელთა პ., საავიაციო პ., პ. -ის მეთაური.**

**პოლკა** [ჩეხ. polka] – ჩქარტემპიანი საბალო ცეკვა; წარმოშობილი ხალხური ცეკვისაგან; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

**პოლკოვნიკ**-ი [რუს. полковник] – ოფიცრის წოდება ვიცე-პოლკოვნიკზე მეტი და გენერალ-მაიორზე ნაკლები; ამ წოდებულებებს (რანგის) მქონე ოფიცერი.

**პოლო** [ინგლ. polo ბერძ. < ტიბეტ.] – გუნდური სპორტული თამაში ცხენებით, ბურთითა და ყვანჯით (ქართ. სინონ. **ცხენბურთი**).

**პოლტერგეისტ**-ი [გერმ. Poltergeist ფუძის ანგელოზი, სახლის ანგელოზი, სახლის სული] – უცაბედი ხმაური, გადაადგილება, დაცემა, გაქრობა საგნებისა, რომლებიც სახლებში ხდება და ხსნიან სულების ოინებით, ფუძის ან სახლის ანგელოზებით, სახლის სულებით.

**პოლუს**-ი [ლათ. polus < ბერძ. polos ღერძი] – **1**. დედამიწის ბრუნვის წარმოსახვითი ღერძის ერთ-ერთი ორი უკიდურესი წერტილთაგანი; ამ წერტილიდან ახლოს მდებარე ადგილი.

⊙ **ჩრდილოეთის პ. სამხრეთის პ.** (იხ. აგრეთვე **პოლარული**).

**2**. ელექტრული წრედის, მაგნიტის ან ელექტრომაგნიტის ორი ბოლოდან ერთ-ერთი.

⊙ **დადებითი პ., უარყოფით პ.**

**3**. (გადატ.) უკიდურესად განსხვავებული რამ; საპირისპირო, საწინააღმდეგო რამ.

○ **პოლიუსი შცდ.**

**პომპა**[1] [ლათ. pompa საზეიმო მსვლელობა] – გათვლილი საზეიმო გარეგან ეფექტზე, რომელიმე ღონისძიების ჩატარების დროს ბრწყინვალება, დიდებულება, ფუფუნება.

**პომპა**[2] [ფრ. pompe] – წყლის ტუმბო.

⊙ **ავტომობილის პ.**

**პომპეზურ**-ი [ფრ. pompeuse] – ზარზეიმის ხასიათისა, ეფექტისათვის გამიზნული.

**პონი** [ინგლ. pony] – პატარა ცხენის ჯიში.

**პონტიფექს**-ი [ლათ. pontifex] – უზენაესი ქურუმი ძველ რომში; ქურუმთა უმაღლესი კოლეგიის წევრი.

**პონტონ**-ი[ფრ.ponton]–ბრტყელძირიანი ნავი, რომელსაც იყენებენ დროებითი ხიდის საყრდენად წყალზე; ასეთ ნავზე გამართული დროებითი ხიდი.

○ **პანტონი შცდ.**

**პოპ...** [ინგლ. pop შემოკლ. < popular პოპულარული] – თავსართი სიტყვისა მნიშვნელობით „მასიური“, „პოპულარული“.

⊙ **პოპ კულტურა, პოპ-მუსიკა, პოპ-ანსამბლი.**

**პოპ-არტ**-ი [ინგლ. pop art შე-

მოკლ. < popular art პოპულარული ხელოვნება] – პოპ ხელოვნება, მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც მასობრივი კულტურის მეთოდების, სტილისა და თემების იმიტაციას ახდენს; რეალურ საგნებს, გამოსახულებას, რეკლამას, საქონლის შეფუთვას და ა.შ. იყენებს თავისუფალი, ნებისმიერი კომბინაციის შესაქმნელად.

**პოპულარიზატორ**-ი პირი, რომელიც რისამე პოპულარიზაციას ეწევა.

○ **პოპულარიზატორი შცდ.**

**პოპულარიზაცია** [< ლათ. popularis სახალხო, ხალხური] – რისამე ფართო მასებში გავრცელება; ბევრისათვის ხელმისაწვდომად ქცევა.

⊙ **ხალხური სიმღერების პ.**

○ **პოპულიარიზაცია შცდ.**

**პოპულარულ**-ი [ლათ. popularis სახალხო, ხალხური] – **1.** მარტივად გადმოცემული, ბევრისათვის ადვილად გასაგები, ხელმისაწვდომი.

⊙ **პ. ლექცია.**

**2.** ვინც, რაც საყოველთაო პატივისცემით, მოწონებით სარგებლობს; საყოველთაოდ მოწონებული.

⊙ **პ. მსახიობი, პ. ჟურნალისტი.**

○ **პოპულიარული შცდ.**

**პოპური** [ფრ. pot-pourri] – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგენილია სხვადასხვა პოპულარული ოპერის, ოპერეტის, ხალხური სიმღერისა და მისთ. მოტივებისაგან.

**პორნოგრაფია** [ბერძ. pornos გარყვნილი და graphô ვწერ] – სქესობრივი აღვირახსნილობის და გარყვნილების გამოხატვა (ლიტერატურაში. მხატვრობაში, კინემატოგრაფიაში); უწმაწური სურათები, ლიტერატურა და სხვა.

**პორტ**-ი [ფრ. port] – ნავსადგური. **საჰაერო პორტი** – იგივეა, რაც აეროპორტი.

◎ **საპორტო.**

⊙ **ს. ქალაქი – ბათუმი, ფოთი.**

**პორტალ**-ი [ფრ. Portal კარი, ჭიშკარი < ლათ. Porta] – **1.** დიდი შენობის მთავარი შესასვლელი, არქიტექტურულად გაფორმებული; ბჭე.

**2.** (ტექ.) ლითონის მზიდი კონსტრუქცია (ბერძ. ასო ბ-ს ფორმის); წარმოადგენს ზოგი მანქანის ნაწილს.

**პორტატივ**-ი [ფრ. portatis < ლათ. porto თან დამაქვს] – პატარა, ხელით გადასატანი ორგანი; ყველაზე მეტად უფრო გავრცელებული იყო მე-15 ს-ში.

**პორტატიულ**-ი [ფრ. portatif] – პატარა ზომის, თან სატარებ-

ლად მარჯვე, ადვილად გადასატანი.

⊙ **პ. რადიომიმღები, პ. ფოტოაპარატი, პ. მაგნიტოფონი, პ. საბეჭდი მანქანა.**

○ **პორტატული, პორტატივული** შცდ.

**პორტერ**-ი [ინგლ. porter] – შავი ლუდი ერთგვარი, მაგარი და მომწარო.

**პორტვაინ**-ი [გერმ. Portwein] – მაგარი ღვინო ერთგვარი.

○ **პორთვაინი, პორთვეინი, პორტვეინი** შცდ.

**პორტიე** [ფრ. portier] – სასტუმროს მოსამსახურე, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს შესასვლელსა და ვესტიბიულში, აბარია ფოსტა, ჩასაწერი დავთარი და სხვ.

**პორტიერ**-ი [ფრ. portiere] – კარის ან ფანჯრის ფარდა სქელი, მძიმე ქსოვილის; კრესტსაზმელი.

**პორტმონე** [ფრ. porte-monnate] – საფულე ქაღალდისათვის განყოფილებებით.

**პორტრეტ**-ი [ფრ. portrait] – **1.** გარკვეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ან ფოტოგრაფიული გამოსახულება.

⊙ **ფერწერული პ., სკულპტურული პ.**

**2.** პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ლიტერატურულ ნაწარმოებში.

**3.** (გადატ.) პიროვნების დახასიათება, აღწერა.

◎ **პორტრეტული.**

⊙ **პ. ფერწერა, პ. ჩანახატი., პ. მსგავსება.**

**პორტფელ**-ი [ფრ. portefeuille] – დიდი ოთხკუთხა ჩანთა (საკეტიანი და სახელურიანი), ქაღლადების, წიგნების და მისთ. სატარებლად.

⊙ **ტყავის პ.**

○ **პორთფელი** შცდ.

**პორფირ**-ი [< ბერძ. porphyra] – წითელი ფერის გრძელი ხავერდის მოსასხამი, რომელსაც მეფეები იცვამდნენ საზეიმო შემთხვევებში (სამეფო ძალაუფლების სიმბოლო); ძოწეული.

**პორცელან**-ი [გერმ. Porzellan] – ფაიფური.

**პოსეიდონ**-ი [ბერძ. Poseidôn] – ბერძნ. მითოლოგიაში: ზღვის ღმერთი (რომაულ მითოლოგიაში შეესაბამება **ნეპტუნი**).

**პოსტ...** [ლათ. post შემდეგ] – აღნიშნავს: „რაიმეს შემდგომი“.

⊙ **პოსტიმპრესიონიზმი, პოსტინფექციური.**

**პოსტ**-ი [ფრ. poste] – **1.** საგუშაგო, სადარაჯო პუნქტი, საიდანაც

იცავენ ან უთვალთვალებენ ვისმე, რასმე.

⊙ **საკონტროლო პ., სათვალთვალო პ.**

⊙ **პ.-ზე დგას.**

**2.** საპასუხისმგებლო თანამდებობა.

⊙ **მინისტრის პ.**

**პოსტამენტ**-ი [ლათ. postamentum] – იგივეა, რაც პიედესტალი.

**პოსტიმპრესიონიზმ**-ი [ლათ. post შემდეგ და ფრ. impressionnisme < impression შთაბეჭდილება] – ფრანგული ფერწერის ძირითადი მიმართულება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში; წარმოიშვა იმპრესიონიზმის კრიზისის შედეგად.

**პოსტსკრიპტუმ**-ი [ლათ. post scriptum დაწერილის შემდეგ] – (წიგნ.) მინაწერი წერილის ბოლოს (ხელმოწერის შემდეგ), რომელსაც წინ უზის ლათინური ასოები P.S.

**პოსტულატ**-ი [ლათ. postulatum მოსათხოვნი, საჭირო] – (წიგნ.) მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.

**პოსტფაქტუმ**-ი [ლათ. post factum გაკეთებულის შემდეგ] – იმის შემდეგ, რაც უკვე რაღაც მოხდა, განხორციელდა.

**პოტენცია** [ლათ. potentia ძალა] – (წიგნ.) ფარული შესაძლებლობა, უნარი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სათანდო პირობებში.

⊙ **შემოქმედებითი პ.**

◎ **პოტენციური.**

⊙ **პ. შესაძლებლობანი, პ. ენერგია.**

○ **პოტენციალური შცდ.**

**პოტენციალ**-ი [< ლათ. potentia ძალა] – **1.** (ფიზ.) სიდიდე, რომელიც ახასიათებს სივრცის მოცემულ წერტილში არსებული სხეულის ენერგიის მარაგს.

**2.** (წიგნ.) გადატ. რისამე სიმძლავრის ხარისხი; რისამე განხორციელებისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობა.

⊙ **ქვეყნის ეკონომიკური პ., სამხედრო პ.**

**პრაგმატიზმ**-ი [< ბერძ. pragma, pragmatos – მოქმედება] – **1.** მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტებად აღიარებს იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა.

**2.** ერთგვარი მიმართულება ისტორიის მეცნიერებაში; იფარგლება ამბების გადმოცემით და არ ხსნის ისტორიული განვითარების ობიექტურ კანონებს,

**პრადო** [ესპ. Prado] – სამხატვრო მუზეუმი მადრიდში (ესპანეთში).

**პრაიდ**-ი [ინგლ. pride] – (სპეც.) ლომის, ვეფხვისა და მისთ. ოჯახი.

**პრაისკურანტ**-ი და **პრეისკურანტ**-ი [გერმ. preiskurant] – გასაყიდი საქონლის ფასების ცნობარი.

**პრაქტიკა** [ბერძ. praktikos საქმიანი,მოსაქმე] – **1.** ადამიანთა მოქმედება, რომლითაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ობიექტურ,მატერიალურ სამყაროზე და გარდაქმნიან მას.

⊙ **თეორია და პ.**

**2.** თეორიული ცოდნის გამოყენება და საქმეში განმტკიცება, როგორც სასაწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი.

⊙ **სტუდენტების საზაფხულო პ., პედაგოგიური პ., საწარმოო პ.**

**3.** გამოცდილება, დახელოვნება რაიმე საქმეში.

⊙ უცხო ენის შესასწავლად კარგი **პ.-აა** საჭირო.

◎ **პრაქტიკული.**

⊙ **პ. საქმიანობა, პ. მეცადინეობა.**

○ **პრაკტიკა, პრაკტიკული შცდ.**

**პრაქტიკანტ**-ი – პირი, რომელიც პრაქტიკას (მნიშვნ. 2) გადის.

**პრაქტიკოს**-ი – თავის სპეციალობაში პრაქტიკული გამოცდილების მქონე.

⊙ **პ. სწავლული.**

○ **პრაკტიკოსი შცდ.**

**პრეამბულა** [ფრ. preambule წინასიტყვაობა] – რაიმე საკანონმდებლო აქტის ან საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი.

⊙ **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პ.**

◎ **პრეამბულისა.**

○ **პრეამბულასი შცდ.**

ზოგჯერ იყენებენ კრების დადგენილების შესავალი ნაწილის სახელად, რაც **შცდ**.

**პრედიკატ**-ი [ლათ. praedikatum] – **1.** (ლიტ.) ის,რაც მსჯელობაში არის ნათქვამი მსჯელობის საგანზე; ლოგიკური.

**2.** (გრამ.) შემასმენელი.

**პრეზენტაცია** [ინგ. presentation] – სარეკლამო ხასიათის წვეულება, კონცერტი, ან სხვა ტელეგადაცემა რაიმე ახალი ფილმის, წიგნის, შენობის, ორგანიზაციის და მისთ. წარსადგენად ფართო საზოგადოებისათვის.

**პრეზერვატივ**-ი [< ლათ. praeservare დაცვა] – დამცავი საშუალება ვენერიული დაავადებების საწინააღმდეგოდ და ორსულობის გაფრთხილებისათვის.

**პრეზერვა́ცია** [ლათ. praeservatio] – (წიგნ.) შენახვა, დაცვა რისამე.

**პრეზი́დენტ**-ი [ლათ. praesidens (praesidentis) თავში მჯდომი, წინ მჯდომი] – **1**. რესპუბლიკური სახელმწიფოს მეთაური, არჩეული გარკვეული ვადით.

⊙ **საქართველოს პ., აშშ-ის პ.**

**2**. ზოგი დიდი სამეცნიერო დაწესებულების, საზოგადოების, ფირმის და სხვ. მეთაური.

⊙ **მეცნიერებათა აკადემიის პ., საჭადრაკო ფედერაციის პ., ფირმის პ.**

◎ **საპრეზიდენტო.**

⊙ **ს. არჩევნები.**

**პრეზიდი́უმ**-ი [ლათ. praesidium თავში ჯდომა, წინ ჯდომა] – **1**. კრების,ყრილობის და მისთ. არჩევითი ხელმძღვანელი ორგანო.

⊙ **კონფერენციის პ.**

**2**. ზოგი ორგანიზაციის, დაწესებულების არჩევითი ხელმძღვანელი ორგანო.

⊙ **მეცნიერებათა აკადემიის პ.**

○ **პრესიდიუმი შცდ.**

**პრეზუმფციაა** [ლათ. praesumptio] – **1**. (წიგნ.) ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება.

**2**. (სამართ.) რაიმე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დადასტურდება მისი მცდარობა.

**პრეისტო́რია** – საზოგადოების განვითარების უძველესი ხანა, რომლის შესახებ წერილობითი ძეგლები არ მოიპოვება (ქართ. სინონ. **წინაისტორია**).

**პრელუ́დია** [< ლათ. praeludo წინასწარ ვუკრავ, შესავალს ვუკეთებ] – **1**. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი.

⊙ **ოპერის საორკესტრო პ.**

**2**. პატარა დამოუკიდებელი მუსიკალური პიესა, უპირატესად ფორტეპიანოსათვის.

**3**. (გადატ.) რისამე დასაწყისი, შესავალი.

**პრე́მია** [ლათ. praemium ჯილდო] – ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დარგში დამსახურებისათვის, წარმატებისათვის.

⊙ **საერთაშორისო პ., პირველი პ. კონკურსში გამარჯვებისათვის.**

◎ **პრემიული** და **საპრემიო.**

○ **პ. (ს.) ფონდი, პ. (ს.) ანაზღაურება.**

○ **პრემიალური შცდ.**

**პრემი́ერ**-ი [< ფრ. premiér პირველი] – **1**. იგივეა, რაც პრემიერ-მინისტრი.

**2**. მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობი.

**პრემი́ერა** [ფრ. premiére] – პირველი წარმოდგენა თეატრალური პიესის, ოპერის, ბალეტის, კინოფილმისა და სხვა.

**პრემიერ-მინისტრი** [ფრ. premiér პირველი ministre მინისტრი] – მთავრობის მეთაური, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე.

**პრეპარატ**-ი [ლათ. praeparatus მომზადებული] – **1**. მცენარის ან ცხოველის ორგანიზმის ნაწილი, მომზადებული გამოკვლევისათვის, სასწავლო მიზნებისათვის და სხვ.
**2**. ქიმიური ანალიზისათვის მომზადებული ნივთიერება.
**3**. ქიმიური ან ფარმაცევტული პროდუქტი,დამზადებული ლაბორატორიული ან საფაბრიკო წესით.
⊙ **სამედიცინო პ., იოდოვანი პ., ვიტამინიანი პ.**

**პრერია** [ფრ. prairie და (მრ.) პრერიები] - ჩრდილეთ ამერიკაში: ზომიერი კლიმატური სარტყელის ვრცელი ველები, ტრამალები სტეპის მსგავსი, სადაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

**პრეროგატივა** [ლათ. prerogativa] – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა.

**პრესა** [ფრ. presse] – პერიოდულ გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთების) ერთობლიობა.
⊙ **საქართველოს პ., მსოფლიო პ., პ.-ის მუშაკი, პ.-ის გამოხმაურება.**

**პრესვიტერ**-ი [ბერძ. presbyteros უხუცესი] – მღვდელი.

**პრესინგ**-ი [ინგლ. pressing] – სპორტულ თამაშში: დავის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური ფორმა – მოწინააღმდეგის მოქმედების წესის დაურღვევლად, ყველა თავდამსხმელის წინააღმდეგობით მთელ მოედანზე.

**პრესკონფერენცია** [ინგლ. presskonference] – სახელმწიფო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი მოღვაწის (ან მოღვაწეთა) შეხვედრა, საუბარი პრესის წარმომადგენლებთან ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე.

**პრესტიჟ**-ი [ფრ. prestige] – (წიგნ.) ავტორიტეტი, გავლენა, პატივისცემა, ნდობა, რომლითაც სარგებლობს ვინმე, რამე.
⊙ **ხელმძღვანელის პ., პ.-ით სარგებლობა.**
◎ **პრესტიჟული** ან **საპრესტიჟო.**
⊙ **პ. (ს.) პროფესიები, პ. (ს.) ფესტივალი.**

**პრეტენდენტ**-ი [ლათ. praetendens (praetendentis)] – პირი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს რამეზე; რაიმე უფლების მა-

ძიებელი.

⊙ **პ.-თა ტურნირი** (ჭადრაკში).

**პრეტენზია** [ლათ. praetensio] – **1.** რისამე მოპოვებისაკენ სწრაფვა, რაიმე თავისი უფლების გამოცხადება; რისამე მოთხოვნა.

⊙ **დიდი პ.-ები აქვს.**

**2.** უკმაყოფილების გამოხატვა; საჩივარი; სარჩელი.

⊙ **პ. წაყენება.**

◎ **პრეტენზიული** (მნიშვ. 1-ისათვის).

⊙ **პ. ტონი.**

◎ **უპრეტენზიო** – უბრალო, სადა.

⊙ **უ. ადამიანი, უ. ნაწარმოები.**

○ **პრეტენციოზული შცდ.**

**პრეფერენცია** [ლათ. praeferentia] – ორ ან მეტ ქვეყენას შორის დადებული ხელშეკრულებით ერთმანეთისათვის მინჭებული უპირატესობა, შეღავათი (მაგ. ვაჭრობის განვითარების მიზნით).

**პრეფექტ**-ი [ლათ. praefectus უფროსი] – **1.** საფრანგეთში: თანამდებობის პირი, რომელიც დეპარტამენტის სათავეში დგას.

**2.** ზოგ ქვეყანაში: პოლიციის უფროსი.

**პრეფექტურა** [ლათ. praefectura] – **1.** ზოგ ქვეყანაში: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; მისი მმართველობის ორგანო.

**2.** პრეფექტის კანცელარია.

**პრეფიქს**-ი [ლათ. praefixsus წინიდან მიმაგრებული] – (გრამატ.) სიტყვის მარტივი ფუძის (ძირის) წინ მოთავსებული აფიქსი; თავსართი.

**პრეცედენტ**-ი [ლათ. praecedens (praecedentis) წინამავალი] – **1.** შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს ნიმუშს ან გამართლებას შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის.

⊙ **რაიმე პ. არ ყოფილა.**

**2.** (სამართ.) სასამართლოს ან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოს ადრინდელი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ნიმუშად სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტის დროს.

◎ **უპრეცედენტო.**

⊙ **უ. შემთხვევა.**

○ **პრეცენდენტი, უპრეცენდენტო შცდ.**

**პრივატიზაცია** [< ლათ. privatis კერძო] – სახელმწიფო საწარმოთა, მიწების, საცხოვრებელი სახლების, ტრანსპორტის საშუალებათა და სხვათა გადაცემა კერძო პირებისათვის.

◎ **საპრივატიზაციო.**

⊙ **ს. ობიექტები, ს. კომისია.**

**პრივილეგია** [ლათ. privilegium] – განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ვისამე სხვებისაგან განსხვავებით; უპირატესობა.

⊙ **პ.-ით სარგებლობს.**

◎ **პრივილეგიური.**

⊙ **პ. მდგომარეობა.**

**პრივილეგირებული** – იგივეა, რაც პრივილეგიური (იხ. **პრივილეგია**).

**პრიზი** [ფრ. prix] – ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

⊙ **ფესტივალის მთავარი პ.**

◎ **საპრიზო.**

⊙ **ს. ადგილი, ს. ფონდი.**

**პრიზმა** [ბერძ. prisma] – **1.** (მათემ.) მრავალწახნაგა სხეული, რომლის ორი ერთმანეთის პარალელური და ტოლი წახნაგი (ფუძე) წარმოადგენს მრავალკუთხედებს, ხოლო დანარჩენი წახნაგები (გვერდები) – პარალელოგრამებს.

**2.** (ფიზ.) ასეთი ფორმის გამჭვირვალე სხეული, ჩვეულებრივ სამწახნაგა, რომელშიც სხივები გადატყდება და იშლება შემადგენელ ფერებად; იყენებენ ოპტიკურ ხელსაწყოებში.

◎ **პრიზმული.**

⊙ **პ. კრისტალი, პ. მინა.**

○ **პრიზმი, პრიზმატული შცდ.**

**პრიმადონა** [იტ. primadonna] – ოპერაში და ოპერეტაში მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი.

**პრიმატ**-ი [ლათ. primatus] – უპირატესი მნიშვნელობა, უპირატესი მდგომარეობა, პირველობა.

**პრიმიტივ**-ი [ფრ. primitif ყველაზე ადრეული] – ყოველგვარი პირველი დაწყებითი, განუვითარებელი მოვლენა იმავე ხნის გვიან მოხდენილი, უფრო მეტად განვითარებულ მოვლენასთან შედარებით.

**პრიმიტივიზმ**-ი – **1.** სიმარტივე, უბრალობა რისამე შესრულებაში.

**2.** რთული მოვლენის, საკითხის გაუბრალოება, მეტისმეტად გამარტივება.

**პრიმიტიული** [ლათ. primitivus თავდაპირველი, პირველყოფილი] – **1.** განუვითარებელი, ჩამორჩენილი.

⊙ **პ. მეურნეობა, პ. აზროვნება.**

**2.** უბრალო, არართული, მარტივი.

⊙ **პ. ტექნიკა.**

○ **პრიმიტივული შცდ.**

**პრინტერ**-ი [ინგლ. printer] – კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ტექსტებისა და გა-

მოსახულებების ქაღალდზე დასაბეჭდად.

⊙ **ლაზერული პ., მელნის პ.**

**პრინც**-ი [გერმ. Prinz ფრ. prince < ლათ. princeps პირველი] – დასავლეთ ევროპაში: სამეფო სახლის წევრის ტიტული (ქართ. სინონ. **უფლისწული**).

**პრინცესა** [ფრ. princesse, გერმ. Prinzessin < ლათ.] – მეფის ქალიშვილის ან პრინცის მეუღლის ტიტული.

◎ **პრინცესასი.**

○ **პრინსესსა შცდ.**

**პრინციპ**-ი [ლათ. principium საწყისი, დასაწყისი] – **1.** რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი დებულება.

**2.** მოქმედების,ქცევის ძირითადი წესი; რწმენა, თვალსაზრისი.

⊙ **მტკიცე პ.-ებით** ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში.

**3.** ძირითადი თავისებურება რისამე მოწყობილობაში.

⊙ **ავტომობილის მოძრაობის პ.**

**პრინციპულ**-ი **1.** პრინციპიდან (მნიშვნ. 2.) გამომდინარე,პრინციპზე დამყარებული.

⊙ **პ. კამათი, პ. კრიტიკა, პ. საკითხი.**

**2.** პრინციპის (მნიშვნ. 2) დამცველი, განუხრელად შემსრულებელი.

⊙ **პ. ადამიანი, პ. პოლიტიკა.**

**უპრინციპო** – **1.** ვისაც არავითარი პრინციპი არა აქვს.

⊙ **უ. ადამიანი.**

**2.** რაც არავითარ პრინციპს არ ახლავს.

⊙ **უ. მსჯელობა, უ. გადაწყვეტილება.**

○ **პრინციპიალური შცდ.**

**პრინციპატ**-ი [ლათ. principatus] – ძველ რომში ძვ. წელთაღრ. I ს. მეორე ნახევარში შექმნილი სახელმწიფო წყობილება, რომლის დროსაც შენარჩუნებული იყო ზოგი რესპუბლიკური დაწესებულება,მაგრამ ხელისუფლება ფაქტობრივად ეკუთვნოდა ერთ პიროვნებას – იმპერატორს.

**პრიორიტეტ**-ი [გერმ. Prioritat ლათ. prior პირველი] – **1.** პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში, გამოკვლევაში და მისთ.

**2.** უპირატესი მნიშვნელობა, უპირატესობა.

◎ **პრიორიტეტული.**

⊙ **დარგის პ., განვითარების პ., პ. მიმართულებანი მეცნიერებაში.**

**პრო...**[ლათ.pro]–მნიშვნელობითიყო მომხრე, იმოქმედო ვინმეს ინტერესებიდან გამომდინარე.

**პრობლემა** [ბერძ. problema] – **1.** რთული თეორიული ან

პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს ახსნას, შესწავლას, გამოკვლევას, გადაწყვეტას.
⊙ **სიცოცხლის წარმოშობის პ. დედამიწაზე, სამყაროს წარმოშობის პ., აღზრდის პ.-ები.**
**2**. გადატ. (საუბ.) იტყვიან ძნელად გადასაწყვეტ, განსახორციელებელ რამეზე.
◎ **პრობლემური.**
⊙ **პ. საკითხი.**
◎ **საპრობლემო.**
⊙ **ს. საბჭო, ს. ლაბორატორია.**
◎ **უპრობლემო** – მარტივი საკითხი.
⊙ **უ. საკითხი.**
⊙ იხმარება აგრეთვე **პრობლემატური.**

**პრობსტ**-ი [გერმ. Propst] – ლუთერანული ეკლესიის უფროსი პასტორი.

**პროგნოზ**-ი [ბერძ. prognosis] – წინასწარი განჭვრეტა, წინასწარგანჭვრეტა მოვლენის, მომავალი განვითარებისა და შედეგებისა არსებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე.
⊙ **ამინდის პ.**

**პროგნოზირება** – რისამე პროგნოზის შემუშავება, შედგენა.
⊙ **მეცნიერების განვითარების პ.**

**პროგრამა** [ბერძ. programma განცხადება] – **1**. მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის შინაარსი და გეგმა.
⊙ **სამოქმედო პ., სოფლის მეურნეობის განვითარების პ.**
**2**. პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის ან ცალკე პირის მოღვაწეობის შინაარსისა და მიზნების გადმოცემა.
⊙ **კონსტიტუციურ - მონარქიული პარტიის პ.**
**3**. სასწავლო საგნის შინაარსის მოკლე გადმოცემა.
⊙ **ქართული ლიტერატურის პ. მე-12 კლასისათვის.**
**4**. თეატრალური, საცირკო წარმოდგენის, რადიო – და ტელეგადაცემათა შინაარსი; ფურცელი, რომელზეც ჩამოთვლილია შესასრულებელი ნომრები, შემსრულებელთა გვარები და სხვ.
⊙ **კონცერტის პ., თეატრალური პ., ტელეგადაცემათა პ.**
**5**. მოქმედების გეგმა-დავალება, რომელიც უნდა შეასრულოს მანქანამ, დანადგარმა.
⊙ **ელექტრონული გამომთვლელი მანქანის პ.**
◎ **საპროგრამო** (მნიშვნ. 1, 2, 3-სათვის).
⊙ **ს. დოკუმენტი, ს. განცხადება.**
◎ **პროგრამული** (მნიშვნ. 5-სათვის).
⊙ **პ. მართვა.**

**დაპროგრამება**– პროგრამის (მნიშვნ. 5-სათვის) შედგენა მანქანისათვის.
⊙ **უცხო ენის შესწავლის დ., კუბური განტოლების დ.**

**პროგრამისტ**-ი – დაპროგრამირების (იხ. **პროგრამა**) სპეციალისტი.

**პროგრეს**-ი [ლათ. progressus] – წინსვლა, აღმავლობა (საპირისპ. **რეგრესი**).
⊙ **მეცნიერების პ., ტექნიკური პ.**

**პროგრესული** – პროგრესის ხელის შემწყობი, მოწინავე.
⊙ **პ. მოღვაწე, კაცობრიობის პ. ნაწილი.**
○ **პროგრესიული შცდ.**

**პროგრესია** [ლათ. progressio წინსვლა] – (მათემ.) გარკვეული წესით ცვალებად რიცხვთა მწკრივი.
⊙ **არითმეტიკული პ., გეომეტრიული პ.**

**პროგრესიული** – რაც თანდათანობით იზრდება, ძლიერდება.
⊙ **შრომის პ. ანაზღაურება.**
○ **პროგრესული** სხვაა (იხ. **პროგრესი**).

**პროდიუსერ**-ი [ინგლ. Producer] – კინოფირმის პატრონი, კინოკომპანიის მეთაური, რომელიც ახორციელებს ფინანსურ კონტროლს და ზოგჯერ ფილმის გადამღებიც არის.
○ **პროდუსერი შცდ.**

**პროდუქტ**-ი [ლათ. productus შექმნილი] – **1.** საგანი, ნივთიერება, რომელიც მიღებულია ადამიანის შრომის შედეგად.
⊙ **რძის პ.-ები** (ყველი, კარაქი და სხვ.), **ნავთობის გამოხდის პ.-ები** (ნავთი, ბენზინი, დიზელის საწვავი და სხვ.).
**2.** მრ. **პროდუქტები** – სურსათსანოვაგე.

**პროდუქტიული** [< ლათ. productus] – მწარმოებლური, ნაყოფიერი.
⊙ **პ. შრომა, პ. მიწათმოქმედება.**
○ **პროდუქციული შცდ.**

**პროდუქცია** [ლათ. productio] – **1.** წარმოების პროდუქტების ერთობლიობა ან ნაწარმოების ცალკეული პროდუქტი.
⊙ **მაღალხარისხოვანი პ., მზა პ.**
**2.** გადატ. გონებრივი შრომის ნაყოფი.
⊙ **სამეცნიერო პ., ბეჭდვითი პ.**

**პროექტ**-ი [ლათ. projectus წინ გამოწეული] – **1.** რისამე ასაგებად, დასამზადებლად ან რეკონსტრუქციისათვის დასამუშავებელი გეგმა.
⊙ **თეატრის პ., ხიდის პ., თბილისის ცენტრის რეკონსტრუქციის პ.**
**2.** რაიმე დოკუმენტის, აქტის,

დადგენილების წინასწარი, სავარაუდო ტექსტი.
⊙ **დადგენილების პ., ხელშეკრულების პ.**
**3**. გეგმა, განზრახვა.
⊙ **ექსკურსიაზე წასვლის პ.**
◎ **საპროექტო** (მნიშვნ. 1-სათვის).
⊙ **ს. დავალება, ს. ინსტიტუტი, ს. სიმძლავრე.**

**პროექტირება** – რისამე პროექტის (მნიშვნ. 1) შედგენა.
⊙ **ავტოსაწარმოს პ.**

**პროექცია** [ლათ. projectio წინ, შორს გაწევა] – **1**. (მათემ.) სივრცითი ფიგურების გამოსახვა ბრტყელ ზედაპირზე. (ქართ. სინონ. **გეგმილი**).
**2**. (სპეც.) გამოსახულების გადაცემა ეკრანზე.
◎ **საპროექციო** (მნიშვ. 2-ისათვის).
⊙ **ს. აპარატი.**

**პროვიზორ**-ი [გერმ. Provisor < ლათ. provisor] – აფთიაქის მუშაკი, უმაღლესი განათლების მქონე ფარმაცევტი.

**პროვინცია** [ლათ. provincia] – **1**. (მოძვ.) დედაქალაქს ან მსხვილ კულტურულ ცენტრს დაშორებული ადგილი, კუთხე, პერიფერია.
**2**. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ზოგ სახელმწიფოში; ოლქი.
⊙ **პ.-ის ცენტრი.**
**3**. (ისტ.) რომაელების მიერ დაპყრობილი ტერიტორია.
◎ **პროვინციული.**
⊙ **პატარა პ. ქალაქი, პ. თეატრი.**
○ **პროვინციალური შცდ.**

**პროვინციალიზმ**-ი [< ლათ. provincialis პროვინციული] – **1**. (მოძვ.) იგივეა, რაც დიალექტიზმი.
**2**. თვალსაზრისის, ინტერესების შეზღუდულობა; ჩამორჩენილობა.

**პროვოკატორ**-ი [ლათ. provocatos გამომწვევი] – **1**. ფარული აგენტი, რომელიც შეპარულია რაიმე ორგანიზაციაში პროვოკაციის მოსაწყობად.
**2**. პირი, რომელიც ღალატის მიზნით იწვევს აკრძალულ მოქმედებას; წამქეზებელი.
◎ **პროვოკატორული.**
⊙ **პ. საქმიანობა.**
○ **პრავაკატორი, პრავაკატორული, პრავოკატორული შცდ.**

**პროვოკაცია** [ლათ. provocatio გამოწვევა] – გამცემლური საქციელი, ვისიმე (ცალკე პირის, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციის) წაქეზება ისეთი მოქმედებებისთვის, რასაც მოჰყვება მძიმე (ზოგჯერ დამღუპველი) შედეგი.
⊙ **სამხედრო პ., პ.-ზე წამოეგო.**
◎ **პროვოკაციული.**

⊙ **პ. მოწოდება.**

○ **პრავოკაცია, პროვაკაციული, პრავაკაციული შცდ.**

**ᲞᲠᲝ́ᲖᲐ** [ლათ. prosa] – თხრობითი, გაულექსავი ლიტერატურა (რომანები, მოთხრობები), პოეზიისგან განსხვავებით (სინონ. **ბელეტრისტიკა**).

◎ **პროზაული.**

⊙ **პ. ნაწარმოებები.**

**ᲞᲠᲝᲖᲐᲘ́ᲙᲝᲡ**-ი – მწერალი, რომელიც პროზაულ ნაწარმოებებს წერს (სინონ. **ბელეტრისტი**).

**ᲞᲠᲝᲖᲔ́ᲚᲘᲢ**-ი [ბერძ. prosēlytos] – **1.** ვისაც ახლად აქვს მიღებული რომელიმე სარწმუნოება.

**2.** რისამე ახალი და თავდადებული დამცველი.

**ᲞᲠᲝᲖᲔ́ᲥᲢᲣᲠᲐ** [ლათ. prōsectus გაკვეთა] – სამკურნალო დაწესებულების პათოლოგიურანატომიურ განყოფილება, სადაც გვამებს კვეთენ;

◎ **საპროზექტურო.**

**ᲞᲠᲝ́ᲗᲔᲖ**-ი [< ბერძ. prothesis მიმატება, მიერთება] – სხეულის ხელოვნური ნაწილი (ხელი, ფეხი, კბილები ...), რომელიც გაკეთებული აქვთ დაკარგული სათანადო ბუნებრივი სხეულის ნაწილად.

⊙ **პროტეზი შცდ.**

**ᲞᲠᲝᲙᲚᲐᲛᲐ́ᲪᲘᲐ** [ლათ. proclamatio მოწოდება] – სააგიტაციო ფურცელი, მოწოდება პოლიტიკური ხასიათისა (ჩვეულებრივ არალეგალური).

**ᲞᲠᲝᲙᲝ́ᲜᲡᲣᲚ**-ი [ლათ. pro-consul] – ძველ რომში: პროვინციის მმართველი.

**ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐ́ᲢᲝᲠᲘ** [ლათ. procurator] – ძველ რომში: მოხელე, რომელიც განაგებდა უმთავრესად გადასახადების აკრეფას სახელმწიოფო ხაზინასათვის.

◎ **პ. პილატე** (ბიბლია, ახალი აღთქმა).

**ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐ́ᲢᲣᲠᲐ** – სახელმწიფო ორგანო, რომელიც ზედამხედველობს კანონების შესრულებას.

**ᲞᲠᲝᲙᲣ́ᲠᲝᲠ**-ი [ფრ. procureur ლათ. procuro ვზრუნავ] – **1.** თანამდებობის პირი,რომელიც ზედამხედველობს კანონების ზუსტ შესრულებას.

⊙ **გენერალური პ.**

**2.** სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე.

◎ **საპროკურორო.**

⊙ **ს. ზედამხედველობა.**

**ᲞᲠᲝᲚᲔ́ᲢᲐᲠ**-ი [ლათ. proletarus] – **1.** დაქირავებული მუშა, რომელსაც წარმოების საშუალებანი არ გააჩნია.

**2.** ძველ რომში: მოქალაქე, დატაკთა წოდების წარმომადგე-

ნელი.

**პროლეტარიატი**-ი პროლეტართა კლასი.

**პროლოგი**-ი [ბერძ. prologos] – ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი (იხ. აგრეთვე **ეპილოგი**).

⊙ **„ვეფხისტყაოსნის“ პ.**

**პროლონგაცია** [ფრ. prolongation < ლათ. prolomgare გაგრძელება] – რაიმე მოქმედების ვადის გაგრძელება.

**პრომედოლ**-ი – ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო პრეპარატი, ნარკოტიკი.

**პრომოცია** [ლათ. promotio წინ წაწევა] – სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

**პრომულგაცია** [ლათ. promulgatio] – (სამართ.) რაიმე სახელმწიფოებრივი აქტის გამოქვეყნება.

**პროპაგანდა** [ლათ. propaganda რაც უნდა გავრცელდეს, გავრცელებული] – რაიმე შეხედულების, იდეის, მოძღვრების, ცოდნის გავრცელება მასებში სათანადო ახსნა-განმარტებით.

◎ **პროპაგანდისტი.**

⊙ **პ. მუშაობა.**

**პროპაგანდისტ**-ი – პირი, რომელიც რისამე პროპაგანდას ეწევა.

**პროპან**-ი – ორგანული ნაერთი, მიიღება ნავთობისგან, ბუტანთან ერთად იყენებენ სათბობად და შიგაწვის ძრავების საწვავად.

**პროპელერ**-ი [ინგლ. propeller] – რამდენიმე ფრთის მქონე მოწყობილობა, რომელიც ბრუნვისას წარმოქმნის წევის ძალას (ქართ. სინონ. **საჰაერო ხრახნი**).

⊙ **თვითმფრინავის პ.**

◎ **პროპელერიანი.**

⊙ **პ. ვენტილატორი, პ. ტუმბო.**

**პროპოლის**-ი [ბერძ. propolis < pro წინ და polis ქალაქი] – დინდგელი, სკის წებო.

**პროპორცია** [ლათ. proportio] – **1.** გარკვეული თანაფარდობა რისამე ნაწილებს შორის.

⊙ **პ. შენობის ნაწილებს შორის.**

**2.** (მათემ.) ორი შეფარდების ტოლობა.

**პროპორციული**[1] – **1.** ერთმანეთთან სწორედ შეფარდებული ნაწილების მქონე.

⊙ **პ. აგებულება.**

**2.** მათემატიკაში: ისეთი, რომელიც სხვა სიდიდის რამდენჯერმე გაზრდით ან შემცირებით თვითონაც იცვლება იმდენჯერვე.

⊙ **პ. სიდიდეები.**

**უკუპროპორციული: უკუპრო-**

**პორციული სიდიდეები,** რომელთაგან ერთის გადიდება იწვევს მეორის იმდენჯერვე შემცირებას და პირიქით.

○ **პროპორციონალური შცდ.**

**პროპორციული**[2] წარმომადგენლობა – არჩევნების სისტემა, რომლის დროსაც ხმის მიცემა ხდება პარტიის კანდიდატების სიის მიხედვით, ამასთან ყოველი სია იღებს ადგილების რაოდენობას მიღებულ ხმათა პროპორციულად (საპირისპ. **მაჟორიტარული წარმომადგენლობა**).

**პროექტ**-ი [project < ლათ. projectus წინ გასროლილი] – განუხორციელებელი პროექტი, განზახვა, რომელსაც რეალური საფუძველი არ გააჩნია.

**პროექტორ**-ი [ფრ. projectous < ლათ. projectus] – მძლავრი (სარკეებიანი) გასანათებელი ხელსაწყო.

○ **პროჟექტორი, პრაჟექტორი, პრაჟეკტორი შცდ.**

**პრორექტორ**-ი [ლათ. pro მაგიერ და rector მმართველი, ხელმძღვანელი] – რექტორის მოადგილე.

⊙ **უნივერსიტეტის პ. სამეცნიერო ნაწილში.**

○ **პრორეკტორი შცდ.**

**პროროგაცია** [ლათ. prorogatio განგრძობა, გახანგრძლივება] – სახელმწიფოს მეთაურის (მონარქის ან რესპუბლიკის პრეზიდენტის) უფლება – გადადოს პარლამენტის სესია (სხდომა).

**პროსპექტ**-ი[1] [ლათ. prospectus ხედი,მიმოხილვა] – **1.** ქალაქის დიდი, ჩვეულებრივ ფართო და სწორი ქუჩა.

⊙ **დავით აღმაშენებლის პ., რუსთაველის პ.** (თბილისში).

○ **პროსპეკტი შცდ.**

**პროსპექტ**-ი[2] [ლათ. prospectus ხედი, მიმოხილვა] – **1.** რაიმე გამოცემის დაწვრილებითი გეგმა, მოკლე შინაარსი. (სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს და სხვ.).

⊙ **განმარტებითი ლექსიკონის პ., ეტიმოლოგიური ლექსიკონის პ., ფრაზეოლოგიური ლექსიკონის პ.**

**2.** სარეკლამო ხასიათის საცნობარო გამოცემა, რომელშიც მოცემულია საქონლის აღწერა-შეძენის პირობები.

⊙ **მოგზაურობათა ბიუროს პ.**

○ **პროსპეკტი შცდ.**

**პროსტატა** [ბერძ. prostatēs წინ მდგომი] – (ანატ.) წინამდებარე ჯირკვალი.

**პროსტატიტ**-ი – პროსტატის ანთება.

**პროსტიტუცია** [ლათ. prostitutio შერცხვენა, წაბილწვა] –

ქალების მიერ საკუთარი სხეულით ვაჭრობა; მეძავეობა.

**პროსტრაცია** [ლათ. prostratio] – დაძაბუნება, უხალისობა, გარემოსადმი ინტერესის დაკარგვა, რაც გამოწვეულია (შედეგია) სრული ფიზიკური და ნერვიულ-ფსიქიკური ძალების დაკარგვით ავადმყოფობის შემდეგ.

**პროსფორა** – ჰოსტია – პატარა კვერი, სეფისკვერი.

**პროტეჟე** [ფრ. protege] ვინც ვისამე პროტექციით სარგებლობს.

**პროტესტ**-ი [გერმ. Protest < ლათ. protestor ვემოწმები] – **1.** რაიმე მოვლენისადმი უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა.

⊙ **პ.-ის განცხადება.**

**2.** ოფიციალური განცხადება რაიმე გადაწყვეტილების,დადგენილების წინააღმდეგ.

⊙ **პროკურორის პ.**

◎ **საპროტესტო.**

⊙ **ს. დემონსტრაცია, ს. ნოტა.**

**პროტესტანტ**-ი – პროტესტანტიზმის მიმდევარი.

**პროტესტანტიზმ**-ი – ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება (მართლმადიდებლურსა და კათოლიციზმთან ერთად); წარმოიშვა მე-16 ს.-ში რეფორმაციის დროს, როგორც პროტესტი კათოლიციზმის წინააღმდეგ.

◎ **პროტესტანტული.**

⊙ **პ. ეკლესია.**

**პროტექტორატ**-ი [ინგლ. protectorate < ლათ. protector მფარველი] – სახელმწიფოთა დამოკიდებულების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმა, რომელიც ძლიერ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს დაიმორჩილოს სუსტი.

**პროტექცია** [ლათ. protectio] – გავლენიანი პირის მიერ ვინმესთვის უკანონოდ აღმოჩენილი დახმარება, მფარველობა.

⊙ **პ. გაუწია.**

**პროტო...** [ბერძ. protos პირველი] – მნიშვნელობით – პირველდაწყებითი, პირველი, უფროსი საეკლესიო წოდებებში.

⊙ **პროტოტიპი, პროტოენა, პროტოკულტურა, პროტორენესანსი.**

**პროტოკოლ**-ი [ბერძ. protokoll; პირველი ფურცელი (რომელსაც აწებებდნენ გრაგნილს და, რომელზედაც აღნიშნული იყო თარიღი და გადამწერის სახელი)]:

**დიპლომატიური პროტოკოლი** – იმ წესების ერთობლიობა,

რომლებიც უნდა დაიცვან მთავრობებმა და მათმა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საერთაშორისო ურთიერთობებში.
◎ **საპროტოკოლო.**
⊙ **ს. განყოფილება** (საგარეო საქმეთა სამინისტროში).
○ **საოქმო შცდ.**

**პროტონი** [ბერძ. prôtos პირველი] – (ფიზ.) ნივთიერების დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი, რომელიც შედის ატომგულის შემადგენლობაში.

**პროტოპლაზმა** [ბერძ. prôtos პირველი და plasma გამონაძერწი, წარმოქმნილი] – (ბიოლ.) – ცხოველური და მცენარეული უჯრედების ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების საფუძველს.

**პროტოტიპ**-ი [ბერძ. prôtos პირველი და typos ნიშანი, კვალი] – **1.** ნამდვილი პიროვნება, რომლის მიხედვით ავტორმა შექმნა ლიტერატურული სახე, რომელიც გამოიყენა ნიმუშად სხვა ავტორმა.
⊙ **დავით კლდიაშვილის მოთხრობების გმირთა პ.-ები.**
**2.** რისამე პირველადი ნიმუში, პირველი სახე, დედანი.

**პროქტოლოგია** [ბერძ. proktos ყითა ნაწლავი და logos მოძღვრება] – კლინიკური მედიცინის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მსხვილი ნაწლავის (და მასთან ერთად სწორი ნაწლავის) დაავადებებს.

**პროფან**-ი [ლათ. profanus] – რაიმე დარგში უცოდინარი, უვიცი.

**პროფანაცია** [ლათ. profanatio] – უპატიური, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მოვლენის (მაგ.: იდეის, მოძღვრების, ხელოვნების ძეგლის და სხვ.) მიმართ; მისი დამახინჯება, შებღალვა.

**პროფესია** [ლათ. professio] – ადამიანის ძირითადი საქმიანობა, სპეციალობა.
⊙ **ექიმის პ., ინჟინრის პ., პ-ის არჩევა.**
◎ **პროფესიული.**
⊙ **პ. ინტერესები, პ. დახელოვნება.**
**პროფესიული კავშირი** (მოკლედ: **პროფკავშირი**) – ნაწარმოების რაიმე დარგის, პროფესიის მუშაკთა გაერთიანება.
○ **პროფესიონალური შცდ.**

**პროფესიონალ**-ი ადამიანი, რომელმაც რაიმე საქმიანობა გაიხადა თავის პროფესიად (განსხვავებით მოყვარულისაგან).

⊙ **პ. ინჟინერი, პ. მძღოლი.**

**პროფესორ**-ი [ფრ. professeur მასწავლებელი] – სამეცნიერო წოდებულება, რომელსაც ანიჭებენ უმაღლესი სასწავლებლების ყველაზე უფრო კვალიფიციურ მასწავლებლებს (აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას); ამ წოდების მქონე პირი.

**პროფილ**-ი [ფრ. profil] – **1**. სახის ან საგნის გამოხატულება, შესახედაობა გვერდიდან.

**2**. ტექნიკაში, მრეწველობაში: რისამე ვერტიკალური ჭრილი.

⊙ **გზის პ., ხიდის პ.**

**3**. პროფესიის, სპეციალობის, მეურნეობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა; საქმიანობის მიმართულება, ხასიათი.

**პროფილაქტიკა** [ბერძ. prophylaktikos დაცვითი] – რისამე თავიდან აცილების ღონისძიებათა ერთობლიობა (მედიცინაში, ტექნიკაში და სხვ. დარგებში).

⊙ **წითელას პ., დანაშაულობათა პ.**

◎ **პროფილაქტიკური.**

⊙ **პ. აცრა, პ. რემონტი.**

**პროფორმა** [ლათ. pro forma ფორმისათვის] – რისამე შესრულება ფორმალურად, მოსაჩვენებლად.

**პროცედურა** [ფრ. procedure] – **1**. რისამე შესასრულებლად, გასაფორმებლად საჭირო მოქმედება, ღონისძიებათა მიღებული თანმიმდევრობა.

⊙ **ხმის მიცემის პ., ხელშეკრულების ხელმოწერის პ.**

**2**. ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის, სხეულის მოვლის, გაკაჟების ცალკეული პროცესი (აბაზანა, მასაჟი, კომპრესები და სხვ.).

⊙ **წყლის პ.-ები.**

◎ **პროცედურული** (მნიშვნ. 1-ისათვის) და **საპროცედურო** (მნიშვ. 1, 2-ისათვის).

⊙ **პ-(ს.) საკითხი, პ. (ს.) წესები.**

⊙ **ს. კაბინეტი.**

**პროცენტ**-ი [ლათ. pro centum ასის მაგივრად] – **1**. რაიმე სიდიდის ან რაოდენობის მეასედი ნაწილი (აღინიშნება **%** ნიშნით).

**2**. რაოდენობა, რომელიც განიზომება რაიმე ერთეულის მეასედი ნაწილით.

**3**. შემოსავალი,როდესაც იღებენ ფულს ყოველ ას ერთეულზე (ქართ. სინონ. **სარგებელი**).

⊙ **შემნახველი ბანკი იძლევა**

**ანაბარზე ორ პ.-ს წლიურად.**

◎ **პროცენტული** (მნიშვნ. 1, 2-ისათვის).

⊙ **პ. შეფარდება, მადანში რკინის პ. შემადგენლობა.**

◎ **უპროცენტო** (მნიშვნ. 3-ისათვის).

⊙ **უ. სესხი.**

**პროცეს**-ი [ლათ. processus სვლა, მიმდინარეობა] – **1**. რისამე მოვლენათა თანმიმდევრული მონაცვლეობა, რისიმე განვითარების გზა.

⊙ **სასწავლო-აღმზრდელობითი პ., ტექნოლოგიური პ.**

**2**. დაავადების აქტიური მიმდინარეობა.

**3**. სასამართლო საქმის გარჩევა; კანონით დადგენილი წესი სასამართლო საქმის გარჩევისა.

◎ **პროცესუალური** და **საპროცესო** (მნიშვნ. 2-ისათვის).

⊙ **პ. (ს.) კოდექსი, პ. (ს.) ვადა.**

**პროცესია** [ლათ. processio მოძრაობა წინ] – მრავალრიცხოვანი ხალხის სვლა რისამე აღსანიშნავად (საზეიმო, სამგლოვიარო).

⊙ **სადღესასწაულო პ., სამგლოვიარო პ.**

**პროცესორ**-ი [ინგლ. processor] – ეგმ-ის ცენტრალური მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს თვით გამოთვლით ოპერაციებს, მართავს სრულ გამოთვლით პროცესს.

**პუბერტაცია** [გვიანდ. ლათ. pubertatio] სქესობრივი მომწიფების პერიოდი.

**პუბლიკაცია** [გერმ. Publication < ლათ. publicatio] – ცალკეულ ნაწარმოებთა, ნაშრომთა გამოქვეყნება, ბეჭდვა.

**პუბლიცისტ**-ი – მწერალი, რომელიც პუბლიცისტიკას მისდევს.

◎ **პუბლიცისტური.**

⊙ **პ. მოღვაწეობა.**

**პუბლიცისტიკა** [გერმ. Publizistik < ლათ. publicus საზოგადოებრივი] – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე.

◎ **პუბლიცისტური** და (უმჯობესია) **პუბლიცისტიკური.**

⊙ **პ. ჟანრი, პ. წერილი.**

**პუდელ**-ი [გერმ. Pudel] – ოთახის ძაღლის ჯიში.

**პუდინგ**-ი [ინგლ. pudding] – კულინარული ნაწარმი; აკეთებენ ბურღულის, ფქვილის, ხაჭოს ან სხვა მასალისგან – შაქრის, კვერცხის, რძის და მისთ. დამატებით.

**პუებლო** [ესპ. Pueblo] – აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრებ მიწათმოქმედ ინდიელთა

ტომების საერთო სახელწოდება.

**პულვერიზატორი**-ი [ლათ. pulvis (pulveris) მტვერი, ფხვნილი] – მოწყობილობა სითხის ან ფხვნილის გასაფრქვევად ჰაერის ნაკადით.

**პულსი**-ი [ლათ. pulsus ბიძგი] – **1**. არტერიების კედლების რიტმული ფეთქვა, რაც გამოწვეულია გულის მოქმედებით; ჩვეულებრივ ისინჯება მაჯაზე (ქართ. სინონ. **მაჯისცემა**).

⊙ **პ. გაუსინჯეს.**

**2**. (გადატ.) მოძრაობის, ცხოვრების რაიმე ტემპი.

**პულტი**-ი [გერმ. Pult] – **1**. მაღალ ფეხზე გამართული დახრილი ჩარჩო ან ფიცარი ნოტების დასადებად.

⊙ **დირიჟორის** (ან: **სადირიჟორო**) **პ.**

**2**. მაგიდა, სტენდი და სხვ., რომელზეც განლაგებულია ხელსაწყოები რისამე მუშაობის ავტომატური მართვისათვის.

⊙ **ელექტროსადგურების პ., სადისპეჩერო პ., მართვის პ.**

**პუმა** [ესპ. Puma < პერუელ ინდიელთა ენიდან] – მტაცებელი ცხოველი კატების ოჯახისა.

**პუნქტი**-ი [ლათ. punctum წერტილი] – **1**. რაიმესათვის განკუთვნილი, რაიმეთი მნიშვნელოვანი ადგილი.

⊙ **სტრატეგიული პ.**

**2**. ადგილი, სადგომი, რომელიც მოწყობილია, განკუთვნილია რაიმე საქმიანობისათვის.

⊙ **სათვალთვალო პ., შესაკრები პ., სამედიცინო პ.**

**დასახლებული პუნქტი** – ქალაქი, სოფელი, დაბა და მისთ.

**3**. ოფიციალური დოკუმენტის ან რაიმე ტექსტის პატარა ნაწილი, რომელიც ნომრით ან ასოთი არის გამოყოფილი.

⊙ **მესამე თავის მე-5 პუნქტი.**

**პუნქტუალური** [ფრ. punctuel] – ზედმიწევნით ზუსტი, აკურატული.

⊙ **პ. ადამიანი.**

○ **პუნკტუალური შცდ.**

**პუნქტუაცია** [გერმ. Punktuatia < ლათ. punctum წერტილი] – (გრამატ.) სასვენი ნიშნების დასმის სისტემა, წესი.

⊙ **პ.-ის წესები, მოსწავლემ პ.-ის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა.**

○ **პუნკტუაცია შცდ.**

**პუნში**-ი [ინგლ. punch < ინდ.] – მაგარი სასმელი – რომი, რომელშიც ურევია წყალი, შაქარი, ჩაი და სხვ.

**პურიზმი**-ი [ფრ. purism < ლათ. purus წმინდა] – **1**. მისწრაფება ზნეობრივი სიწმინდის დაცვისადმი (ზოგჯერ მოჩვენებითი).

**2.** ბრძოლა ენაში უცხოურ სიტყვათა ჭარბად შემოტანის წინააღმდეგ.

**პურიტანი**-ი [ინგლ. puritan < ლათ. purus წმინდა] – ადამიანი, რომელიც მკაცრად (ხშირად მოჩვენებით) იცავს ზნეობას.

**პუტჩი**-ი [გერმ. Putsch] – სახელმწიფო გადატრიალება.

## ჟ

**ჟაკანი**-ი, **იაკანი**-ი [რუს. жакан, якан ლიტვ. საკუთ. სახ. jakan] – მსხვილი ტყვია დათვზე სანადიროდ.

**ჟაკო** [ფრ. jacquot] – პატარა ნაცრისფერი თუთიყუში, რომელიც აფრიკაშია გავრცელებული.

**ჟალუზი**-ი [ფრ. jalousie] – დარაბა ან შტორი, რომელიც შედგება ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ფირფიტებისაგან; ავტომობილის რადიატორის საფარი.

**ჟანდარმი**-ი [ფრ. gendarme] – პირი, რომელიც ჟანდარმერიაში მსახურობს.

⊙ **ჟ.-თა კორპუსი.**

**ჟანდარმერია** [ფრ. gendarmerie] – ზოგ ქვეყანაში: სამხედრო წყობის პოლიცია; განსაკუთრებული პოლიციური ჯარი სამძებრო საქმიანობისათვის.

**ჟანრი**-ი [ფრ. genre] – ხელოვნების დარგის ნაწარმოებთა სახეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ესა თუ ის სიუჟეტური და სტილისტიკური ნიშან-თვისებები.

⊙ **ლირიკული ჟ., სათავგადასავლო ჟ.**

◎ **ჟანრული** და **ჟანრობრივი.**

⊙ **ჟ.ნაირსახეობანი.**

**ჟარგონი**-ი [ფრ. jargon] – თავისებური სიტყვები (ხშირად ხელოვნური), რომლებსაც ხმარობენ რაიმე პროფესიის, ჯგუფის, წრის წარმომადგენლები.

⊙ **მოწაფეთა ჟ., მეზღვაურთა ჟ., ქურდების ჟ., მძღოლების ჟ.**

◎ **ჟარგონული.**

⊙ **ჟ. სიტყვები, ჟ. გამოთქმა.**

**ჟასმინი**-ი [ფრ. jasmin] – დეკორატიული ბუჩქი; აქვს ყვითელი და თეთრი სურნელოვანი ყვავილი.

**ჟელატინი**-ი [ფრ. gelatine] – გამჭვირვალე წებოვანი ნივთიერება, რომლის ხსნარიც გაცივებისას იქცევა ლაბად (სქელ ფაფისებურ მასად); იყენებენ ტექნიკაში, მედიცინაში, კულინარიაში.

**ჟელე** [ფრ. gelee] – ტკბილი ლაბისებური საჭმელი, რომელიც მზადდება ხილის წვენით, რძით და მისთ.
⊙ **ჟელესი.**
○ **ჟელის შცდ.**

**ჟენშენ**-ი [ჩინ.] – ბალახოვანი მცენარე: იზრდება შორეულ აღმოსავლეთში; იყენებენ მედიცინაში.

**ჟესტ**-ი [ფრ. geste] – ხელის გამომხატველობითი მოძრაობა (ჩვეულებრივ, მეტყველებისას).
⊙ **ჟ.-ებით ლაპარაკი.**

**ჟეტონ**-ი [ფრ. jeton] – **1**. ლითონის პატარა ნიშანი (ან მედალი ერთგვარი), რომელსაც აძლევენ რისამე სახსოვრად ან რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.
⊙ **საიუბილეო ჟ., ბრინჯაოს ჟ.**
**2**. ლითონის პატარა მრგვალი ფირფიტა, მონეტის შემცვლელი (მაგ., ავტომატებით სარგებლობისათვის).
◎ **საჟეტონო.**
⊙ **ს. სისტემა** (მეტროპოლიტენში).

**ჟვაკა-გალს**-ი [ჰოლ.] – ღუზის ჯაჭვის ბოლო რგოლი, რომლითაც ჯაჭვი საიმედოდ არის მიმაგრებული გემის კორპუსთან.

**ჟიკლიორ**-ი [ფრ. gicleur] – ავტომობილის კარბურატორის ნახვრეტიანი დეტალი საწვავის დოზირებისათვის.

**ჟირაფ**-ი [ფრ. giraffe არაბ.] – მცოხნელი ხალებიანი ცხოველი, რომელსაც აქვს ძალიან გრძელი კისერი და გრძელი ფეხები; გავრცელებულია აფრიკაში.

**ჟირო** [ფრ. giro] – (ფინანს.) წარწერა თამასუქზე, ჩეკზე და მისთ. სხვა პირისათვის მისი გადაცემის შესახებ.

**ჟიური** [ფრ.jury] – სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ანიჭებს პრემიებს რაიმე კონკურსზე, შეჯიბრებებზე, გამოფენებზე.
⊙ **მუსიკალური კონკურსის ჟ., ჟ.-ის გადაწყვეტილება, ჟ.-ის შემადგენლობა**.
⊙ **ჟიურიმ, ჟიურის, ჟიურიში.**
○ **ჟიურმა, ჟიურს, ჟიურში შცდ.**

**ჟოკეი** [ინგლ. jockey] – მხედარი, რომელიც დოღში მონაწილეობს.

**ჟონგლიორ**-ი [ფრ. jongleur] – ცირკის მსახიობი, რომელიც მარჯვედ ისვრის ჰაერში და იჭერს რამდენიმე საგანს (ბურთებს, თეფშებს, გურზებს და სხვ.).
◎ **ჟონგლიორული** და **საჟონგლიორო.**
⊙ **ჟ. (ს.) ნომერი.**

**ჟურნალისტ**-ი – ლიტერატურული მუშაკი, რომელიც ჟურნა-

ლისტიკას მისდევს.

⊙ **ჟ. ეთიკა.**

◎ **ჟურნალისტური.**

⊙ **ჟ. მოღვაწეობა.**

**ჟურნალისტიკა** – ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა ჟურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში.

## რ

**რა** – ეგვიპტურ მითოლოგიაში: მზის ღმერთი – სამყაროს, ადამიანებისა და ღმერთების შემქმნელი.

**რაბინ**-ი [ძვ. ებრ. rabbi ჩემო მასწავლებელო] – ებრაელთა კულტის მსახური, მოძღვარი (**იესო ქრისტეს** ეძახდნენ თავისი მოციქულები).

**რაგბი** [ინგ. rugby] – სპორტული გუნდური თამაში, რომელშიც მოთამაშეები ცდილოვბენ შეაგდონ დიდი ოვალური ბურთი მოწინააღმდეგის კარში.

**მორაგბე** – რაგბის მოთამაშე.

◎ **მორაგბისა.**

○ **მორაგბესი შცდ.**, 1989 წ-მდე იხმარებოდა **რეგბი**, რაც ამჟამად **შცდ.**

**რაგბისტ**-ი იგივეა,რაც მორაგბე (იხ. რაგბი).

**რაგუ** [ფრ. ragoût] – წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისგან გაკეთებული კერძი.

**რადარ**-ი [ინგლ. radar < Radio Detecting and Ranging რადიოთი აღმოჩენა და მანძილის განსაზღვრა] – შემოკლებული სახელწოდება მოწყობილობისა რადიოტალღების საშუალებით რაიმე ობიექტის აღმოსაჩენად და ადგილმდებარეობის განსასაზღვრელად.

**რადიალური** – რადიუსის სახით, რადიუსის მიმართულებით განლაგებული (ქართ. სინონ. **სხივური, სხივისებრი**).

⊙ **რ. ქუჩები, ქალაქის რ. დაგეგმარება.**

**რადიატორ**-ი [ლათ. radio გამოსხივება] – **1.** შიგაწვის ძრავას გასაცივებელი მოწყობილობა.

⊙ **ავტომობილის რ.**

**2.** ცენტრალური გათბობის გასახურებელი ხელსაწყო.

⊙ **წყლის რ., ორთქლით გათბობის რ.**

**რადიაცია** [ლათ. radiatio] – **1.** (ფიზ.) რაიმე სხეულის რადიოაქტიური (იხ.) გამოსხივება.

**2.** რისამე გავრცელება ცენტრიდან რადიუსების მიმართულებით, სხვისებურად.

◎ **რადიაციული.**

⊙ **რ. თბოგადაცემა.**

**რადიკალ**-ი[1] [ლათ. radicalis ძირეული] – **1.** რადიკალიზმის მომხრე, რადიკალური პარტიის მომხრე.
⊙ **მემარცხენე რ-ები.**
**2.** უკიდურესი, გადამწყვეტი მოქმედების, შეხედულებების მომხრე.
⊙ **თანმიმდევრული რ.**

**რადიკალი**[2] [ლათ. radicalis ძირეული] – (მათემ.) ფესვის ამოღების ნიშანი (√‾), აგრეთვე თვითონ ფესვის ამოღების შედეგი.

**რადიკალიზმ**-ი ძირეული, გადამჭრელი ზომების მიღება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას.

**რადიკალურ**-ი [< ლათ. radicalis ძირითადი] – (წიგნ.) გადამწყვეტი, გადამჭრელი, უკიდურესი.
⊙ **რ. ცვლილებები, რ. ზომების მიღება.**

**რადიკულიტ**-ი [ლათ. radicula პატარა ძირი, პატარა ფესვი] – (მედ.) ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება.

**რადიო** [< ლათ. radiare ვასხივებ, გამოვასხივებ] – **1.** ელექტრომაგნიტური ტალღების გადაცემა და მიღება, რომლებიც სივრცეშია გავრცელებული, შორ მანძილზე სიგნალების, ბგერების, გამოსხივების და ა.შ. გადაცემის მიზნით.
**2.** მაუწყებლობის გადასაცემი მიმღები მოწყობილობა.
**3. რადიომაუწყებლობა** – მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი საშუალება – საინფორმაციო, მუსიკალური პროგრამების, თეატრალური წარმოდგენების და ა.შ. ბგერითი გადაცემა. ასეთი ხერხით ამ სახის გადაცემების სამსახური.
⊙ **რ-თი მიღება, რ-ში შესრულება.**

**რადიო**[1]... – რიგი სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს რადიოსთან კავშირს (მნიშვ. **1.**); რადიოსთან დაკავშირებული.
⊙ **რადიოაბონენტი, რადიოაპარატი, რადიოინჟინერი.**

**რადიო**[2]... – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა, რომელიც უჩვენებს ამ სიტყვების დამოკიდებულებას რადიოსთან, რადიოაქტიურობასთან, რადიაციასთან.
⊙ **რადიოიზოტოპები, რადიოელემენტები.**

**რადიოაქტიურობა** – ზოგი ქიმიური ელემენტის ატომგულის დაშლა, რასაც თან სდევს ელემტარული ნაწილაკების (ელექტრონების და სხვ.) გამოსხივება.
⊙ **ხელოვნური რ., ბუნებრივი**

**რ., ურანის რ.**
◎ **რადიოაქტიური.**
⊙ **რ. ნივთიერებანი, რ. დაშლა, რ. გამოსხივება.**

**რადიობიოლოგია** – მეცნიერება მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებზე და საერთოდ, ბიოსფეროზე მაიონიზებელ გამოსხივებათა მოქმედების შესახებ.

**რადიოგრამა** – შეტყობინება, რომელიც რადიოთი გადაიცემა.

**რადიოკომპას**-ი – რადიომიმღები მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მიღებული ელექტრომაგნიტური ტალღების მიმართულება (იხ. **რადიოპელენგი**).

**რადიოლოგია** [< ლათ. radium და ბერძ. logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მაიონიზებულ გამოსხივებათა გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით, აგრეთვე მათ ბიოლოგიურ მოქმედებას.

**რადიოლოკატორ**-ი [ლათ. radiare და locus ადგილი] – სხვანაირად **რადარი** – დანადგარი ობიექტების ადგილმდებარეობის აღმოჩენისა და განსაზღვრისათვის.

**რადიოლოკაცია** [< ლათ. radiare და locatio განლაგება] – რადიოტალღების საშუალებით ობიექტების აღმოჩენა და მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

**რადიომეტრია** – **1.** ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სხივური ენერგიის გაზომვის წესებს.
**2.** სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია რადიოაქტიურობის გაზომვაზე; იყენებენ რადიოაქტიური მადნისა და წყლის დაზვერვის დროს.

**რადიოპელენგ**-ი რადიოს მეშვეობით გემის ან თვითმფრინავის კურსის განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია რადიოსადგურის გამოსხივებულ სიგნალზე. (იხ. **რადიოპელენგატორი**).

**რადიოპელენგატორ**-ი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით,გადამცემი რადიოსადგურის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.

**რადიოპროჟექტორ**-ი **1.** რადიოსადგური მიმართული გადაცემისათვის, რომელიც მოწყობილია პროჟექტორის ხერხით; გადამცემის მიერ გამოსხივებული ელექტრო მაგ-

ნიტური ტალღები აირეკლება სპეციალურ რეფლექტორის ზედაპირიდან იმის მსგავსად, როგორც სინათლის სხივები აირეკლებიან პროჟექტორის ჩაზნექილი სარკიდან.

**2.** რადიოლოკაციური სადგურის შეერთება სინათლის პროჟექ-ტორთან, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად იქნას მოწი-ნააღმდეგის თვითმფრინავის აღმოჩენა და უცაბედად მისი განათება.

**რადიორეფლექტორ**-ი (იხ. **რა-დიოპროჟექტორი**).

**რადიოსადგურ**-ი **1.** მძლავრი რადიოგადამცემი დანადგარი ფართო გადაცემისათვის.

**2.** კომპლექსური აპარატურა, რომელიც შედგება რადიოგა-დამცემისა და მიმღებისაგან რადიომაუწყებლობის განსა-ხორციელებლად.

**რადიოსტუდია** – შესაბამისად მოწყობილი სადგური, საიდა-ნაც რადიოგადაცემები ეწყო-ბა.

**რადიოტელეგრამა** – იგივეა, რაც რადიოგრამა.

**რადიოტელეგრაფ**-ი – უმავ-თულო ტელეგრაფი,რომელიც მორზეს ანბანის ნიშნებს გა-დასცემს ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით; პირვე-ლად გამოიყენა რუსმა ფი-ზიკოსმა ა.ს. პოპოვმა (1886); მანვე გამოიგონა რადიოსიგ-ნალების სმენით მიღების ხერხი ტელეფონის ყურმილის მეშვეობით (1899).

**რადიოტექნიკა** – **1.** მეცნიე-რება, რომელიც სწავლობს მაღალი სიხშირის ელექტ-რომაგნიტურ რხევებსა და რადიოტალღებს.

**2.** ტექნიკის დარგი, რომელიც ახორციელებს მათ გამოყენე-ბას კავშირგაბმულობისათვის, რადიოლოკაციისთვის, ტელე-ვიზიისთვის, თვითმფრინავის და სხვ.

◎ **რადიოტექნიკური.**

⊙ **რ. საშუალებანი.**

○ **რადიოტეხნიკა, რადიოტეხ-ნიკური შცდ.**

**რადიოფიკაცია** და **რადიო-ფიცირება** – რადიოსადგუ-რებისა და რადიო დანადგა-რების ქსელის განვითარება; რადიოაპარატურით აღჭურვა რისამე.

⊙ **ქვეყნის რ., სოფლის რ., ქარ-ხნის რ.**

**რადიოქიმია** – ქიმიის დარგი, რომელიც შეისწავლის რადი-ოაქტიური იზოტოპებისა და ელემენტების თვისებებს, მა-თი გამოყოფისა და კონცენ-ტრირების მეთოდებს.

**რადიუმ**-ი [ლათ. radium სხივი]

– ქიმიური ელემენტი, რადიოაქტიური თვისებთა მქონე ლითონი.

**რადიუს**-ი [ლათ. radius მინა თვალში, სხივი] – **1.** (მათემ.) სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელიც აერთიანებს წრეხაზის (ან სფეროს ზედაპირის) რომელიმე წერტილს ცენტრთან; ამ მონაკვეთების სიგრძე.

**2**. (ანატ.) წინამხრის ერთ-ერთი ძვალი, სხივური ძვალი.

**3.** (გადატ.) რისამე გავრცელების ან მოქმედების არე.

⊙ **ავიაციის მოქმედების რ.**

**რაიონ**-ი [ლათ. rayon სხივი, რადიუსი] – **1.** რაიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ადგილი.

⊙ **სამრეწველო რ., სამიწათმოქმედო რ.**

**2**. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ან დიდი ქალაქის შემადგენლობაში.

⊙ **გორის რ., თელავის რ., რ-ის ცენტრი, ქ. თბილისის ვაკის რ.**

◎ **რაიონული** და **სარაიონო** (მნიშვ. 2-სათვის).

⊙ **წითელი ჯვრის რ. (ს.) კომიტეტი, რ. (ს.) გაზეთი, რ. (ს.) ცენტრი, რ. (ს.) კონფერენცია.**

**რაისშინა** [გერმ. Reischine] – დიდი სახაზავი, შიმშა, რომელსაც ცალ ბოლოზე მოკლე ლარტყა აქვს.

**რაიხსტაგ**-ი [გერმ. Reichstag] – გერმანიის პარლამენტი 1945 წლამდე; შენობა, სადაც სხდომებს მართავდა ეს პარლამენტი.

⊙ **რ.-ის აღება.**

○ **რეიხსტაგი შცდ.**

**რაკა** [ლათ. raca ყუთი, ჩასასვენებელი – კუბო; კოლოფი, კიდობანი] – ქრისტიანულ ეკლესიაში – საფლავი, რომელშიც ინახება წმინდა ნაწილები წმინდანებისა.

**რაკეტა**[1] [გერმ. Rakete] – **1.** რეაქტიული ძრავას მქონე საფრენი აპარატი.

⊙ **კოსმოსური რ., საზენიტო რ., მეტეროლოგიური რ.**

**2**. დენთით დატენილი ჰილზი, რომელიც ჰაერში გამოსცემს სხვადასხვა ფერის სინათლეს; იყენებენ ფოირვერკში, სასიგნალოდ და სხვ. (ქართ. სინონ. **შუშხუნა**).

⊙ **სარაკეტო** (მნიშვ. 1-ისათვის).

◎ **ს. ჯარები., ს. დანადგარი.**

**რაკეტა**[2] [ფრ. raquette] – ტარიანი ოვალური ჩარჩო, რომელზეც ბადეა გაჭიმული ბურთის დასარტყმელად (ჩოგბურთის, ბადმინტონის თამაშისათვის).

**მაგიდის ჩოგბურთში** – პატარა მრგვალი ხის ნიჩაბი (ქართ. სინონ. **ჩოგანი**).

**რაკურს**-ი [ფრ. raccourcis შემოკლება,შეკვეცა] – **1.** მხატვრობაში: ფიგურების, საგნების გამოსახვა პერსპექტივაში, მაყურებლებისაგან დაშორებული ნაწილების დაპატარავებით.

**2.** ფოტო- და კინოგადაღებაში: ოპერატიული ხერხი – ობიექტების გამოსახვა მხედველობის სხვადასხვა წერტილებიდან როგორც მოძრავი, ისე უძრავი კამერით.

**რალი** [ინგ. rally] – ერთგვარი სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით (ავტორალი) ან მოტოციკლეტებით (მოტორალი).

⊙ **მრავადღიანი საავტომობილო რ.**

◎ **რალიმ, რალის, რალიში.**

○ **რალმა, რალს, რალში, რალლი შცდ.**

**რამა** - ინდური ეპოქის „რამაონას" უმთავრესი გმირი, მეფე; ღმერთი ვიშნუს ავატარა.

**რამაზან**-ი [არაბ. ramadân] – მუსულმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რომლის განმავლობაშიც მორწმუნენი ინახავენ მარხვას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე; თვით ეს მარხვა.

**რამპა** [ფრ. rampe] – თეატრში: გრძელი, დაბალი ბარიერი ავანსცენის გასწვრივ, რომელიც ფარავს დარბაზის მხრიდან სცენის გასანათებელ მოწყობილობას; თვით ეს გასანათებელი მოწყობილობა.

**რამშტექს**-ი [ინგლ. rumsteaks (მრ.)] – შემწვარი ხორცი (ძროხის ბარკლის ნაჭერი).

**რანგ**-ი [ფრ. rang] – ხარისხი, თანრიგი, წოდებულება.

⊙ **პირველი რ.-ის კაპიტანი, დიპლომატიური რ.-ები.**

**რანდევუ** [ფრ. randezvous] – (მოძვ.) პაემანი, შეხვედრა.

**რანტიე** [ფრ. rentier rente რენტა] – პირი, რომელიც ცხოვრობს გასესხებული კაპიტალის სარგებლით; ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) შემოსავლით.

**რანჩო** [ესპ. rancho] – **1.** ლათინურ ამრიკაში: კარ-მიდამო, სახლკარი.

**2.** აშშ-ის დასავლეთში: მესაქონლეობის ფერმა.

**რაპირა** [ფრ. rapiere] – საჩხვლეტი იარაღი; აქვს გრძელი და მოქნილი ოთხწახნაგოვანი პირი (ამჟამად ხმარობენ მხოლოდ სასწავლო და სპორტულ ფარიკაობაში).

**რარიტეტ**-ი [გერმ. Raritat < ლათ. raritus] – ძალიან იშვიათი ნივთი (მაგ., სამუზეუმო ექსპონატი, ძველი წიგნი).

**რასა** [ფრ.] – კაცობრიობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი,რომელსაც ახასიათებს მემკვიდრეობით გადაცემული ზოგი არაერთი ნიშან-თვისება: კანისა და თმის ფერი, სახის თავისებური ნაკვთები და სხვ.

◎ **რასობრივი.**

⊙ **რ. ნიშნები, რ. განსხვავება.**

○ **რასიული შცდ.**

**რასიზმ**-ი – ანტიმეცნიერული, რეაქციული – ბურჟუაზიული თეორია და პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თითქოს არსებობენ ადამიანთა „მაღალი“ და „დაბალი“, სრულფასოვანი და არასრულფასოვანი რასები.

◎ **რასისტული.**

⊙ **ფაშიზმის რ. თეორია, რ. კანონები.**

**რატიფიკაცია** [ფრ. ratification] და **რატიფიცირება** [გერმ. ratiofizienen] – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დამტკიცება ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია მისი წარმომადგენლების მიერ, რატიფიკაცია ხელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას.

**რატუშა** [პოლანდ. ratusz] – ევროპის ზოგ ქვეყანაში: ქალაქის თვითმმართველობის შენობა.

⊙ **რატუშისა.**

○ **რატუშასი შცდ.**

**რაუნდ**-ი [ინგლ. round] – **1.** (სპ.) კრივში: დროის მონაკვეთი (ჩვეულებრივ 2-3 წუთი), რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები.

**2.**(გადატ.)ასეუწოდებენმძიმედა ხანგრძლივი საერთაშორისო მოლაპარაკებების ცალკეულ ეტაპებს.

**რაფინად**-ი [ფრ. raffinade] – გაწმენდილი ნატეხი შაქარი სხვადასხვა ფორმისა.

**რაფინირება** < [ფრ. raffiner] – **1.** (ქიმ.) გაწმენდა მინარევებისაგან.

⊙ **ნავთობის რ.**

**2.** რაფინადის დმზადება შაქრის ფხვნილისგან.

**რაფინირებულ**-ი **1.** გაწმენდილი.

⊙ **რ. ზეთი.**

**2.** გადატ. (წიგნ.) დახვეწილი, ნატიფი.

**რაფსოდ**-ი [ბერძ. rhapsôdos] – ძველ საბერძნეთში: მოხეტიალე მომღერალი, რომელიც აგროვებდა და ასრულებდა ეპიკურ სიმღერებს.

**რაფსოდია** [ბერძ. rhapsôdia] – **1**. ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია ხალხური სიმღერებისა და ცეკვების თემაზე.
**2**. ძველ საბერძნეთში: ეპიკური ნაწარმოების ნაწყვეტი, რომელსაც რაფსოდი ასრულებდა.
⊙ **ფ. ლისტის უნგრული რ.**
○ **რაპსოდია შცდ.**

**რაქიტი** [ბერძ. rhachis ხერხემალი] – ბავშვთა დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვლებისა და ნერვული სისტემის განვითარების დარღვევა; გამოწვეულია ორგანოების მინერალური მარილების ცვლის მოშლით.

**რაციონ**-ი [გერმ. Ratio] – საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისთვის.
⊙ **დღე-ღამის რ.**

**რაციონალიზაცია** < [ლათ. rationalis გონივრული] – რისამე მოწყობა გონივრულად, მიზანშეწონილად; გაუმჯობესება, სრულყოფა.
⊙ **წარმოების პროცესების რ., მიწათმოქმედების რ.**

**რაციონალიზმ**-ი [ლათ. rationalis გონივრული] – **1**. ფილოსოფიური რწმენა იმისა, რომ შემეცნებისთვის ყველაფერი მისაწვდომია; დარწმუნებულობა ადამიანის გონების უსაზღვრო ძალაში.
**2**. შემეცნების თეორიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს.

**რაციონალური** [ლათ. rationalis] – გონივრული, მიზანშეწონილი.
⊙ **რ. ტექნოლოგია, სახსრების რ. გამოყენება, რ. კვება.**

**რაციონალური რიცხვები** – (მათემ.) მთელი ან წილადის (დადებითი და უარყოფითი) რიცხვები, აგრეთვე ნოლი.

**რაჯა** [სანსკრ. raja] – ინდოეთში: ძველად მეფე; ფეოდალი, თავადი.

**რე** [იტ. re] – მუსიკალური გამის მეორე ბგერა; ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი.

**რე...** [ლათ. re...] – თავსართი, რომელიც აღნიშნავს: პირუკუ, უკან; ხელახლა, თავიდან. მაგ., რეინვესტირება, რეექსპორტი, და ა.შ.

**რეა**[1] [ბერძ. Rea] – **1**. ბერძნულ მითოლოგიაში: ურანოსისა და გეას შვილი, კრონოსის ცოლი, ზევსის, დემეტრეს და ზოგი სხვა ოლიმპოელი ღმერთის დედა.
**2**. (ასტრ.) პლანეტა სატურნის თანამგზავრი.

**რეა**[2] [ჰოლანდ. ra] – (ზღვ.) ანძებზე განივრად დამაგრებული ძელი, რომელზედაც აზამენ სწორ იალქნებს და აღმართავენ ხოლმე სიგნალებს.

**რეაბილიტაცია** [ლათ. reabilitatio] – და **რეაბილიტირება** 1. უსაფუძვლოდ შელახული ღირსების,პატიოსანი სახელის, ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენა.
2. (მედიც.) შრომისუნარიანობის აღდგენა მკურნალობის შედეგად.

**რეაგენტ**-ი [ლათ. re – წინააღმდეგ და (agentis) მოქმედი] – ქიმიურ რეაქციაში მოქმედი (მონაწილე) ნივთიერება.

**რეაგირება** [გერმ. reagieren < ლათ. re წინააღმდეგ და ago ვმოქმედებ] – რაიმე სახის გამოხმაურება, პასუხი შთაბეჭდილებაზე, გარე ზემოქმედებაზე; იგივეა, რაც რეაქცია (მნიშ. 1.)
⊙ **კრიტიკაზე რ.**

**რეალია** [ლათ. realis ნამდვილი, ჭეშმარიტი] – ნამდვილად არსებული ნივთი; მატერიალური კულტურის ყოველი საგანი.

**რეალიზაცია** [< ლათ. realis ნივთიერი] – 1. რისამე განხორციელება, ცხოვრებაში გატარება.
⊙ **გეგმების რ.**
2. რისამე გაყიდვა, ფულად ქცევა.
⊙ **საქონლის რ., ფასიანი ქაღალდების რ.**
◎ **სარეალიზაციო.**
⊙ **ს. ვადა., ს. პუნქტი.**

**რეალიზმ**-ი [ლათ. realis ნამდვილი] – ლიტერატურასა და ხელოვნებაში: მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს სინამდვილის მართალ ასახვას.
◎ **რეალისტური.**
⊙ **რ. ნაწარმოები, რ. სტილი, რ. მიმართულება მხატვრობაში.**

**რეალური** [ლათ. realis] – 1. ნამდვილად არსებული; ჭეშმარიტი, ნამდვილი.
⊙ **რ. ძალა.**
2. რაც სინამდვილეს შეეფერება, რისი განხორციელებაც შესაძლებელია.
⊙ **რ. გეგმა, რ. ამოცანა.**

**რეანიმაცია** [ლათ. re – კვლავ, ხელახლა და animo გავაცოცხლებ] – 1. (მედიც.) სხვადასხვა საშუალებებით სიცოცხლის აღდგენა, დაბრუნება (მძიმე ავადმყოფისთვის).
2. (საუბ.) სარეანიმაციო განყოფილება (საავადმყოფოში).
◎ **რეანიმაციული** და **სარეანიმაციო.**
⊙ **რ. (ს.) განყოფილება.**
○ **რიანიმაცია, სარიამინაციო** შცდ.

**რეაქტივ**-ი [ფრ. reactif] – ქიმიური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ ლაბორატორიებში სხვადასხვა სახის სამუშაოებისათვის. მაგ., სამედიცინო ანალიზებისათვის.

**რეაქტიულ**-ი – (ფიზ.) **1.** რაც უკუძალის მოქმედებით წარმოიქმნება.

⊙ **რ. მოძრაობა.**

**2.** რაც ასეთ ძალას იყენებს.

⊙ **რ. ძრავა, რ. თვითმფრინავი.**

**რეაქტორ**-ი [ფრ. reacteur, ინგლ. reactor] – აპარატი ან დანადგარი, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ-ქიმიური რეაქციების საფუძველზე.

⊙ **ატომური რ., ქიმური რ.**

**რეაქცია** [ფრ. reaction] – **1.** რაიმე მოქმდების საპასუხო მოძრაობა.

**2.** (ქიმ.) ორი ან რამდენიმე ნივთიერების ურთიერთქმედება, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ახალი ნივთიერება.

**3.** რევოლუციური და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საზოგადოებრივი პროგრესის დათრგუნვის პოლიტიკა.

◎ **რეაქციული** (მნიშვ. 3-ისათვის).

⊙ **რ. პოლიტიკა, რ. რეჟიმი, რ. გაზეთი.**

◎ **სარეაქციო** (მნიშვ. 2-ისათვის).

⊙ **ს. კოლბა.**

○ **რეაქციონული შცდ.**

**რეაქციონერ**-ი [ფრ. reactionaire] – პოლიტიკური რეაქცის მომხრე, პროგრესის მტერი.

**რებუს**-ი [ლათ. rebus „ნივთებით“, „საგნებით“, „ნივთების“, „საგნების“ დახმარებით“] – გამოცანა, რომელშიც საძიებო სიტყვა ან ფრაზა მოცემულია ნახატების, ასოებისა და სხვა ნიშნების კომბინაციით.

⊙ **რ.-ის შედგენა, რ.-ის ამოხსნა.**

**რეგალია** [ლათ. regalis სამეფო] – **1.** მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი (გვირგვინი, სკიპტრა, ტახტი და სხვ.).

**2.** შუა საუკუნეებში: მეფეების, მსხვილი ფეოდალების მონოპოლიური უფლება გარკვეულ შემოსავალზე (მაგ., ფულის მოჭრისას, მაღაროების დამუშავებისას და სხვ.).

**3.** წარჩინების ნიშანი (ორდენი და მისთ.).

**რეგატა** [იტ. regata] – დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი ან მოტორიანი ნავებით.

**რეგენერაცია** [ლათ. regeneratio აღდგენა] – **1.** (ტექ.) წარმოებაში უკვე გამოყენებული, ნამუშევარი პროდუქტების

თავდაპირველ თვისებათა აღდგენა.

⊙ **ნამუშევარი ზეთის რ.**

**2.** (ტექ.) ღუმელში შემავალი გაზისა და ჰაერის გათბობა უკვე გამოყენებული წვის პროდუქტებით.

**3.** (ბიოლ.) დაკარგული ან დაზიანებული ნაწილების (ორგანოების, ქსოვილის, უჯრედების) აღდგენა ორგანიზმის მიერ.

**რეგენტ**-ი [ლათ. regens (regentis) მმართველი] – **1.** მონარქიულ ქვეყნებში: სახელმწიფოს დროებითი მმართველი (მაგ., მეფის მცირეწლოვანების გამო).

**2.** (საეკ.) მგალობელი გუნდის ლოტბარი (დირიჟორი).

**რეგიონ**-ი [ლათ. regionis ქვეყანა, ოლქი, რაიონი] – რომელიც მოიცავს ქვეყნის რამდენიმე მსხვილ ერთეულს ან რამდენიმე ქვეყანას.

⊙ **ამიერკავკასიის რ., სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რ.**

◎ **რეგიონული** და **რეგიონალური.**

⊙ **რ. ეკონომიკა, რ. კონფერენცია.**

⊙ ქართულში მიიღო მნიშვნელობა ქვეყნის ცალკე რაიონებისა, კუთხეებისა; მაგ., იტყვიან: **„საქართველოს ამა თუ იმ რეგიონშიო“.**

**რეგისტრატორ**-ი – დაწესებულების მუშაკი, რომელიც ვისამე, რისამე რეგისტრაციას ახდენს.

**რეგისტრატურა** – დაწესებულების განყოფილება, სადაც რეგისტრაცია წარმოებს.

⊙ **პოლიკლინიკის რ.**

**რეგისტრაცია** [< ლათ. registrum სია] – სიაში, დავთარში ჩაწერა, აღრიცხვა.

⊙ **დეპუტატების რ., ქორწინების რ., მიწისქვესა ბიძგების რ.**

**რეგისტრ**-ი [ლათ. registrum] – **1.** რისამე სია, მაჩვენებელი, ჩასაწერი დავთარი.

**2.** მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის განაკვეთი.

⊙ **მაღალი რ.**

**რეგლამენტ**-ი [ფრ. reglament] – კრების, კონფერენციის, ყრილობის ჩატარების წესი.

⊙ **რ.-ის დაცვა, რ.-ის დარღვევა.**

**რეგლამენტაცია** [ფრ. reglamentation] და **რეგლამენტირება** – რისამე ზუსტად განსაზღვრა, დადგენა; გარკვეული წესებისადმი დაქვემდებარება, მოწესრიგება.

**რეგლან**-ი [ინგლ. reglan] – პალტოს ან კაბის ისეთი ფასონი, როდესაც სახელო ან მხარი

ერთი ნაჭრითაა გამოჭრილი.

**რეგოლიტ**-ი [ინგლ. regolit] – მტვრისებრი მასალა, რომლითაც დაფარულია მთვარის ზედაპირი.

**რეგრეს**-ი [ლათ. regressus] – (წიგნ.) განვითარების შეფერხება; უკუსვლა; დაქვეითება (საპირისპირო **პროგრესი**).

**რეგრესია** (ლათ. regressio უკუსვლა] – ზღვის უკან დახევა, უკუქცევა.

**რეგტაიმ**-ი [ინგლ. regtime < rag ნაწყვეტი და time დრო, ტემპი, ტაქტი] – **1**. ამერიკელ ზანგთა საცეკვაო მუსიკის ფორმა, რომელიც ჩამოყალიბდა მე-19 ს-ის მეორე ნახევარში.

⊙ **რ.** – ჯაზის ერთ-ერთი წინამორბედი.

**2**. ამერიკელი სალონური და სამეჯლისო წყვილთა ცეკვა.

**რეგულარული** [ლათ. regularis წესიერი] – თანაბრად და სწორად წარმოებული, მიმდინარე; სისტემატური.

⊙ **რ. მეცადინეობა.**

○ **რეგულიარული შცდ.**

**რეგულატორ**-ი (ტექ.) მოწყობილობა, რომელიც აწესრიგებს მექანიზმისა და მისი ნაწილების მუშაობას.

⊙ **სიჩქარის რ., ტემპერატურის რ.**

○ **რეგულიატორი შცდ.**

**რეგულირება** [ლათ. regulo ვაწესრიგებ] – გარკვეული წესით წარმართვა; მოწესრიგება.

⊙ **ძრავას რ., ქუჩაში მოძრაობის რ., წყლის დონის რ., ფასების რ.**

**რედაქტორ**-ი [ფრ. redacteur] – **1**. პირი, რომელიც რედაქციას (მნიშვ. 1) უკეთებს რაიმე ტექსტს.

⊙ **ლიტერატურული რ., ტექნიკური რ.**

**2**. პირი, რომელიც წიგნის, ჟურნალის, გაზეთის გამოცემას, რადიო და ტელეგადაცემას ხელმძღვანელობს.

⊙ **მთავარი რ., რ.-ის მოადგილე.**

◎ **სარედაქტორო.**

⊙ **ს. ჰონორარი.**

**რედაქტირება** – იგივეა, რაც რედაქცია (მნიშვ. 1).

⊙ **ხელნაწერის რ.**

**რედაქცია** [ლათ. redactio წესრიგში მოყვანა, მოწესრიგება] – **1**. გასწორება,ლიტერატურულად დამუშავება,დასაბეჭდად მომზადება (ტექსტის).

⊙ **ხელნაწერის რ.**

**2**. რაიმე ნაწარმოების ტექსტის სახესხვაობა.

⊙ **ხელნაწერის უძველესი რ., ოპერის ახალი რ.**

**3**. თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც გამოსაცემად ამ-

ზადებს წიგნს, გაზეთს და მისთ., გამომცემლობის განყოფილება, სადაც ხელნაწერებს ამზადებენ დასაბეჭდად.

⊙ **მთავარი რ., ტექნიკური რ.**

**4**. დაწესებულება, სადაც ასეთი მუშაობა წარმოებს.

⊙ **გაზეთი „ჯორჯიან თაიმსის" რ.**

◎ **რედაქტიული.**

⊙ **ხელმოწერის რ. დამუშავება.**

◎ **სარედაქციო.**

⊙ **ს. კოლეგია.**

**რედუპლიკაცია** [ლათ. reduplicatio გაორმაგება] – (ლინგვ.) სიტყვაწარმოება ფუძის გამეორებით.

⊙ **თავთავი, წამწამი.**

**რედუქცია** და **რედუცირება** [ლათ. reduco უკან ვაბრუნებ] – **1**. რთულის შეცვლა მარტივით; შემცირება, შესუსტება.

**2**. (ბიოლ.) ორგანოს აგებულების გამარტივება, მისი შემცირება ან სრული გაქრობა ფუნქციის დაკარგვის შედეგად.

**3**. (ქიმ.) ნივთიერების განთავისუფლება ჟანგბადისგან.

**4**. (ლინგვ.) ბგერის დასუსტება ან მის სრული დაკარგვა.

⊙ **მაწონი – მაწვნის, ქათამი – ქათმის.**

**რეემიგრაცია** – იმიგრანტების სამშობლოში დაბრუნება.

**რეესტრ**-ი [რუს. реестр პოლონ. rejestr ლათ. regestrum] – **1**. სია, ნუსხა, აღწერა.

**2**. საქმეების და დოკუმენტების ჩასაწერი ჟურნალი.

**რევალვაცია** [ფრ. revalvation] – (ფინანს.) ვალუტის კურსის აწევა (საპირისპ. **დევალვაცია**).

**რევანშ**-ი [ფრ. revanche] – სამაგიეროს გადახდა ბრძოლაში ან შეჯიბრებაში დამარცხებისათვის.

⊙ **რ. -ისათვის მზადება.**

**რევანშიზმ**-ი [ფრ. revanchisme] – ომში დამარცხებისათვის სამაგიეროს გადახდის საბაბით ახალი ომის მომზადების პოლიტიკა.

◎ **რევანშისტული.**

⊙ **რ. პოლიტიკა.**

**რევერანს**-ი [ფრ. reverence] – **1**. საზოგადოებაში: (ქალის მიერ) თავის დაკვრა მარჯვენა მუხლის ოდნავ ჩახრით.

**2**. (გადატ. ირონ.) პატივისცემის გადაჭარბებული გამოხატვა, ზედმეტი მოწიწება.

**რევერს**-ი [ლათ. reversus უკანა, შებრუნებული] – **1**. ლითონის ფულის ან მედალის უკანა მხარე, ზურგი (საპირისპირ. **ავერსი**).

**2**. (ეკონ.) ვალდებულება, რაც რისამე გარანტიას იძლევა.

**3**. (ტექ.) მანქანის ბრუნვის მი-

მართულების შემცვლელი მექანიზმი.

**რევერსია** [ლათ. reversio დაბრუნება] – **1.** (ბიოლ.) ორგანიზმში ისეთი ნიშან-თვისებათა გაჩენა, რომლებიც არ ჰქონიათ მის უახლოეს წინაპრებს, მაგრამ ჰქონდათ უფრო შორეულებს; **ატავიზმი**.

**2.** (სამართ.) ქონების დაბრუნება წინანდელი პატრონისთვის.

**რევიზია** [ლათ. revisio გადასინჯვა] – **1.** რომელიმე დაწესებულების, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მუშაობის გამორკვევა მოქმედების სისწორის და კანონიერების შემოწმების მიზნით.

⊙ **ბუღალტერიის რ.**

**2.** რაიმე მოძღვრების, თეორიის დებულებათა გადასინჯვა და შეცვლა.

**რევიზორ**-ი – თანამდებობის პირი, რომელიც რევიზიას ახდენს.

**რევიუ** [ფრ. revue] – საესტრადო ან თეატრალური წარმოდგენა, რომელიც შედგენილია ცალკეული სცენებისაგან, ნომრებისაგან.

**რევმატიზმ**-ი [ბერძ. reumatismos] – გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, სახსრების და კუნთების დაავადება, რომელსაც ჩვეულებრივ თან ახლავს ტკივილი, ტეხა.

◎ **რევმატული.**

⊙ **რ. ტკივილები.**

○ **რევმატიული შცდ.**

**რევოკაცია** [ლათ. revocatio გაწვევა, გამოწვევა] – **1.** (დიპლ.) ელჩის ან სხვა წარმომადგენლის გამოწვევა სხვა სახელმწიფოდან თავის ქვეყანაში.

**2.** (ვაჭრ.) წინათ გაცემული განკარგულების, ბრძანების გაუქმება.

**რევოლვერ**-ი [ინგლ. revolver] – ხელის ცეცხლსასროლი პატარა იარაღი; აქვს დოლი (მბრუნავი სავაზნე).

**რევოლუცია** [ფრ. revolution] – **1.** საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში მომხდარი ძირფესვიანი გადატრიალება.

⊙ **რ. მეცნიერებაში.**

**2.** (გადატ.) ძირფესვიანი ცვლილება, გადატრიალება ცოდნის რაიმე დარგში, ტექნიკაში, ხელოვნებაში და სხვ.

⊙ **სამეცნიერო-ტექნიკური რ., კულტურული რ.**

◎ **რევოლუციური.**

⊙ **რ. ბრძოლა, რ. მოძრაობა, რ. მთავრობა, რ. გარდაქმნები.**

○ **რევოლიუცია, რევოლიუციონური შცდ.**

**რევოლუციონერი** – რევოლუციური მოძრაობის მონაწილე.

○ **რევოლიუციონერი შცდ.**

**რეზერვ**-ი [ფრ. reserve] – **1.** რისამე მარაგი.

⊙ **სახელმწიფო სასურსათო რ.-ები.**

**2.** (სამხ.) მეთაურის განკარგულებაში დატოვებული ჯარის ნაწილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჩააბამენ ბრძოლაში.

⊙ **უმაღლესი მთავარსარდლის რ.**

◎ **სარეზერვო.**

⊙ **ს. ფონდი, ს. ბატალიონი.**

**რეზერვაცია** [ლათ. reservo ვინახავ, ვზოგავ] – **1.** რეზერვების (მარაგის) შექმნა.

**2.** უფლების დატოვება, რომ კვლავ დაუბრუნდებიან რაიმე საკითხს.

**3.** ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში: ადგილი, სადაც იძულებითი წესით არიან დასახლებული ადგილობრივი მკვიდრნი.

**რეზერვუარ**-ი [ფრ. reservoir] – სითხის ან აირის მარაგის სათავსი (შესანახი ნაგებობა).

**რეზექცია** [ლათ. resectio მოკვეთა] – (მედიც.) რაიმე დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი ამოკვეთა.

**რეზიდენტ**-ი [ფრ. resident] – **1.** დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოს გარკვეულ რაიონში.

**2.** რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად უცხო ქვეყანაში ცხოვრობს.

**რეზიდენცია** [ლათ. residentia ადგილსამყოფელი] – მთავრობის ან მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირის ადგილსამყოფელი.

⊙ **პრეზიდენტის საზაფხულო რ.**

**რეზიუმე** [ფრ. resume] – შრომის, მოხსენების, სტატიის და მისთ. მოკლე შინაარსი, დასკვნა.

⊙ **მოხსენების რ., ნაშრომს ერთვის რ. ინგლისურ ენაზე.**

◎ **რეზიუმესი.**

○ **რეზიუმისა, რეზუმე შცდ.**

**რეზოლუცია** [ლათ. Resolutio გადაწყვეტილება] – **1.** დადგენილება, რომელიც მიღებულია კრებაზე, ყრილობაზე და მისთ. რაიმე საკითხის განხილვის შედეგად.

⊙ **რ.-ის პროექტი, რ.-ის მიღება ერთხმად.**

**2.** თანამდებობის პირის განკარგულება, საქმიან ქაღალდზე წარწერილი.

⊙ **განცხადებაზე რ.-ის დადება.**

○ **რეზოლიუცია შცდ.**

**რეზონ**-ი [ფრ. raison] – (საუბ.) გონივრული საფუძველი რი-

სამე; აზრი.

**რეზონანს**-ი [ფრ. resonance] – **1**. (ფიზ.) სხეულის ბგერადობის გამოწვევა მასთან მბგერი სხეულის მიერ; თანაბგერადობა.

**2**. (სპეც.) ზოგი საგნისა და სადგომის უნარი გაადიდოს ბგერის ძალა და ხანგრძლივობა სადგომის შიგნითა ზედაპირების მიერ ბგერის არეკვლის შედეგად.

⊙ **ვიოლინოს რ.**

**3**. გადატ. (წიგნ.) გამოხმაურება, გამოძახილი.

⊙ **მეცნიერის გამოკვლევას დიდი რ. ჰქონდა.**

◎ **რეზონანსული** (მნიშვნ. 1, 2-ისათვის).

⊙ **რ. რხევები, სადგომის რ. თვისება.**

**რეზონიორ**-ი [ფრ. raisonneur] – **1**. პიესის ან რომანის მოქმედი პირი, რომელიც ავტორის პოზიციას გამოხატავს და სხვა პერსონაჟებს ასწავლის.

**2**. ადამიანი, რომელსაც უყვარს განსჯა ზნეობის შესახებ, ასწავლოს, დამოძღვროს, დაარიგოს.

**რეზულტატ**-ი [ლათ. resultatus ასახული,არეკლილი] – (წიგნ.) შედეგი.

**რეზუს-ფაქტორ**-ი – ანტიგენი, რომელსაც შეიცავს ადამიანთა 85%-ის ერითროციტები.

⊙ პირველი ჯგუფის სისხლს უარყოფითი **რ.-ით** შეიცავს ადამიანთა 15%.

**რეიდ**-ი[1] [ჰოლანდ. reede] – გემების ღუზით გასაჩერებელი მარჯვე ადგილი ნავსადგურში ან მის მახლობლად.

⊙ **რ.-ზე მდგომი კრეისერი.**

◎ **სარეიდო.**

⊙ **ს. ადგილი.**

**რეიდ**-ი[2] [ინგლ. raid] – **1**. (სამხ.) მოძრავი ჯარების შეჭრა მტრის ზურგში.

⊙ **პარტიზანთა რ.**

**2**. (გადატ.) საზოგადოებრივი აქტივისტების ჯგუფის მიერ რაიმე ობიექტის მოულოდნელი შემოწმება.

⊙ **რ. საავტომობილო გზებზე.**

◎ **სარეიდო.**

⊙ **ს. კონტინგენტი.**

**რეის**-ი [რუს. рейс გერმ. Reise მგზავრობა, მოგზაურობა] – გარკვეული მარშრუტით მავალი გემის, თვითმფრინავის, ავტობუსის და მისთ. გზა.

◎ **სარეისო.**

⊙ **ს. ავტობუსი.**

**რეიტერ**-ი – ინგლისის საინფორმაციო სააგენტო.

**რეიტინგ**-ი [ინგლ. raiting შეფასება] – ვისიმე შეფასება, შეფასება ვინმესთვის რაიმე რანგის, თანრიგის მიკუთვნება

(მაგ., პოლიტიკურ სარბიელზე, სპორტში); პოპულარობის ინდექსი.

**რეიტუზ**-ი [გერმ. Reithosen] – ვიწრო შარვალი, რომლის ტოტებიც მჭიდროდ ეკვრის ფეხებს.

⊙ **სპორტული რ., ცხენოსნის რ.**

○ **რეიტუზები შცდ.**

**რეკვიემ**-ი [ლათ. Requiem] – **1.** კათოლიკური ღვთისმსახურების ერთ-ერთი სახე – მიცვალებულის სულის მოსახსენებელი მესა (წირვა).

**2.** სამგლოვიარო მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

⊙ **მოცარტის რ.**

○ **რექვიემი შცდ.**

**რეკვიზიტ**-ი [ლათ. requisitum საჭირო, აუცილებელი] – **1.** (თეატრ.) ნივთები, რომლებიც სჭირდებათ მსახიობებს წარმოდგენის მსვლელობის დროს, ანდა წარმოადგენს დეკორატიული გაფორმების ნაწილს.

**2.** (სამართ.) სწორად შედგენილი დოკუმენტების აუცილებელი ელემენტი (მაგ. სახელწოდება, გაცემის ადგილი და თარიღი, სათანადო ხელმოწერა), ურომლისოდაც იგი კარგავს იურიდიულ ძალას.

**3.** (სპეც.) დაწესებულების მისამართის ყველა შემადგენელი ნაწილი, როგორიცაა: საფოსტო ინდექსი, ქალაქის, ქუჩის სახელწოდება, სახლის ნომერი, დაწესებულების დასახელება, ტელეფონის, ტელეფაქსის ნომერი და სხვ.

**რეკეტ**-ი [ინგლ. racket] – დანაშაულებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია შანტაჟთან, გამოძალვასთან, დაშინებასთან, ძალმომრეობასთან.

⊙ **რ.-ში მონაწილეობა.**

⊙ **რეკეტირი.**

**რეკლამა** [ფრ. reclame] – **.1** განცხადება, პლაკატი, რადიო და ტელეგადაცემა ან სხვა ღონისძიება მომხმარებელთა, მაყურებელთა და სხვ. მიზიდვის მიზნით.

⊙ **თეატრალური რ.**

**2.** ვისიმე ან რისიმე შესახებ ცნობების გავრცელება, შექება, მისთვის სახელის მოხვეჭის, მისი პოპულარიზაციის მიზნით.

◎ **სარეკლამო.**

⊙ **ს. განყოფილება, ს. ფილმი.**

**რეკლამაცია** [ლათ. reclamatio უკმაყოფილება] – **1.** უკმაყოფილების გამოხატვა, პრეტენზია, საჩივარი.

**2.** (ვაჭრ.) პრეტენზია საქონლის დაბალი ხარისხის გამო და

ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

**რეკომენდაცია** [ლათ. recomendation] – ვისიმე მუშაობის, საქმიანობის დადებითი წერილობითი (აგრეთვე სიტყვიერი) დახასიათება სამუშაოზე ან რაიმე ორგანიზაციაში მისაღებად.

◎ **სარეკომენდაციო.**

⊙ **ს. წერილი.**

**რეკონკისტა** [ესპ. Reconquista] – მე-8-15 სს.-ში: პირინეის ნახევარკუნძულის ხალხების მიერ არაბებისგან დაპყრობილი ტერიტორიების ბრძოლით უკან დაბრუნება.

**რეკონსტრუქცია** და **რეკონსტრუირება** [ლათ. re- კვლავ, ხელახლა და construo ვაშენებ] – **1.** რისამე პირვანდელი სახის წარმოსახვითი ან რეალური აღდგენა, ახლად აგება შემორჩენილი გადმონაშთების აღწერის მიხედვით.

**რეკორდ**-ი [ინგლ. record] – უმაღლესი, საუკეთესო შედეგი, რომელიც მიიღწევა სპორტულ შეჯიბრებაში ან მუშაობაში.

⊙ **მსოფლიო რ. ცურვაში, ახალი რ.-ის დამყარება.**

◎ **რეკორდული** და **სარეკორდო.**

⊙ **რ. (ს.) მოსავალი, რ. (ს.) მაჩვენებლები.**

**რეკრეაცია** [ლათ. Recreatio აღდგენა (ძალ-ღონის), დასვენება] – (სპეც.) აღდგენა ძალებისა, რომლებიც ადამიანმა დახარჯა შრომით საქმიანობაში.

◎ **რეკრეაციული** და **სარეკრეაციო.**

⊙ **რ. (ს.) დარბაზი, რ. (ს.) დრო.**

**რეკრედიტივ**-ი [გერმ. Recreditiv] – **1.** მთავრობის სიგელი დიპლომატიური წარმომადგენლის უკან გაწვევის შესახებ.

**2.** საბუთი, რომელიც აუქმებს აკრედიტივს.

**რელაცია** [ლათ. relatio ცნობა, მოხსენება] – **1.** მეთაურის ცნობა საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ.

**2.** ვისიმე საბრძოლო გმირობის წერილობითი დახასიათება ჯილდოზე წარსადგენად.

**რელე** [ფრ. relais] – ავტომატური ხელსაწყო, რომელიც რეაგირებს რაიმე დანადგარის ერთ-ერთი პარამეტრის (მაგ., ძაბვის, წნევის, ტემპერატურის) ცვალებადობაზე და მცირე სიმძლავრის საშუალებით ჩართავს ან გამორთავს დენის გაცილებით უფრო მძლავრ დამხმარე წყაროს.

⊙ **ავტომობილის რ.**

**რელიგია** [ლათ. religio] – რწმენა ბუნებრივი ძალებისა (ღმერთების, სულებისა), რომლებიც განაგებენ სამყაროს და, რომლებსაც თაყვანს სცემენ; სარწმუნოება.

⊙ **ქრისტიანული რ., მაჰმადიანური რ.**

◎ **რელიგიური.**

⊙ **რ. დღესასწაული-იესო ქრისტეს აღდგომა.**

**რელიეფ**-ი [ფრ. relief] – **1.** დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობათა (მთების, დაბლობების, ჩავარდნილი ადგილების) ერთობლიობა.

**2.** ამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე.

⊙ **მთაგორიანი რ., ზღვის ფსკერის რ.**

◎ **რელიეფური** – ზედაპირზე ამოწეული, ამობურცული.

⊙ **რ. რუკა.**

**რელიკვია** [ლათ. reliquiae] (მრ.) ნარჩენები] – **1.** რელიგიური თაყვანისცემის საგანი (ჩვეულებრივ წმინდანთა ნაშთები: წმინდა ნაწილები, ტანსაცმელი და სხვ.);

**2.** ნივთი, რომელსაც ინახავენ როგორც განსაკუთრებით ძვირფას სახსოვარს.

⊙ **ისტორიული რ., საოჯახო** (საგვარეულო) **რ.**

○ **რელიქვია შცდ.**

**რემარკა** [ფრ. remarque] – **1.** დრამატულ ნაწარმოებში: ავტორის შენიშვნა (ჩვეულებრივ, ფრჩხილებში), რომელიც შეიცავს სცენის მოწყობილობას, პერსონაჟთა გარეგნობისა და ქცევის მოკლე დახასიათებას.

**2.** შენიშვნა, მინაწერი.

**რემისია** [ლათ. remissio შემცირება, შესუსტება] – (მედიც.) ავადმყოფობის მოვლენათა დროებითი შესუსტება ან გაქრობა.

**რემონტ**-ი [ფრ. remonter შეკეთება] – შეკეთება, აღდგენა (დაზიანებულისა, გაცვეთილისა, გაფუჭებულისა...).

⊙ **ბინის რ., საათის რ.**

**კაპიტალური რემონტი** – იხ. **კაპიტალური.**

**სარემონტო** – **1.** რემონტთან დაკავშირებული.

⊙ **ს. სახელოსნო, ს. სამუშაოები.**

**2.** რასაც რემონტი უნდა გაუკეთდეს.

⊙ **ს. სახლი.**

**რენეგატ**-ი [ლათ. renego უარვყოფ] – ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა; მოღალატე, განდგომილი.

**რენესანსი**-ი [ფრ. Renaissance აღორძინება] – მე-14-16 სს.-ში ევროპის რიგ ქვეყნებში (პირველად – იტალიაში): კულტურული და იდეოლოგიური განვიტარების პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავება; აღორძინების ხანა.

**რენომე** [ფრ. renommee] – ვისიმე შესახებ შექმნილი შეხედულება; რეპუტაცია.

⊙ **პარლამენტის წევრის რ.**

**რენტა** [გერმ. Rente, ფრ. rente – ლათ. rentere – რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა ისე, რომ მათ მფლობელს არ სჭირდება მეწარმოებრივი საქმიანობა.

**რენტაბელური** [გერმ. rentabel] – რაც გაწეულ ხარჯებს ამართლებს, სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი; სარგებლიანი, მომგებიანი, შემოსავლიანი.

⊙ **მიაქციეთ ყურადღება: მოგებიანი და არა მომგებიანი.**

**რენტგენ**-ი – **1.** იგივეა, რაც რენტგენის სხივები.

**რენტგენის სხივები** – უხილავი სხივები, რომლებიც წარმოადგენენ მოკლე ელექტრომაგნიტურ ტალღებს; აქვთ გაუმჭვირ საგნებში შეღწევის უნარი.

**2.** ასეთი სხივებით გასაშუქებელი აპარატი.

◎ **რენგენული, სარენტგენო.**

⊙ **ადამიანის ორგანიზმის რ. (ს.) გაშუქება.**

**რეორგანიზაცია** და **რეორგანიზება** [გერმ. reorganisieren] – რისამე სტრუქტურის შეცვლა; გადაკეთება, გარდაქმნა.

⊙ **სამინისტრო რ.**

**რეოსტატ**-ი [ბერძ. rheo მივედინები და statos მდგომარე, უძრავი] – ხელსაწყო დენის და ძაბვის რეგულირებისათვის.

**რეპარაცია** [ლათ. reparatio] – ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც უხდის ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

**რეპატრიანტ**-ი [ლათ. repatrians (repatrian(tis)] – პირი, რომელიც ბრუნდება (ან დაბრუნდა) სამშობლოში რეპატრიაციის გზით.

**რეპატრიაცია** [ლათ. repatrians (repatrian(tis)] – ემიგრანტების, ტყვედ წაყვანილი პირების, ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში.

**რეპერტუარ**-ი [ფრ. repertoire] –

**1.** თეატრში, ესტრადაზე და მისთ. გარკვეულ პერიოდში დადგმული დრამატული მუსიკალური და სხვ. ნაწარმოებთა ერთობლიობა.
**2.** მსახიობის მიერ შესრულებული როლების ერთობლიობა.
⊙ **რ.-ის განახლება.**
◎ **სარეპერტუარო.**
⊙ **ს. გეგმა, ს. კომისია.**
**რეპეტიტორ**-ი [ლათ. repetitor ის,ვინც იმეორებს] – პირი,რომელიც ეხმარება ვინმეს სასწავლო კურსის ჩატარებაში, აითვისოს რაიმე ცოდნა, სახლის მასწავლებელი.
⊙ **რეპეტიტორობა.**
◎ **რეპეტიტორული.**
**რეპეტიცია** [ლათ. repetitio გამეორება] – დრამატული, მუსიკალური და სხვ. ნაწარმოებების წინასწარი შესრულება მაყურებელთა წინაშე გამოსვლამდე.
⊙ პიესის რ., კონცერტის რ.
**გენერალური რეპეტიცია** – იხ. გენერალური.
◎ **სარეპეტიციო.**
⊙ **ს. დარბაზი.**
○ **რეპეტეცია, სარეპეტეციო შცდ.**
**რეპლანტაცია** [ლათ. re – (თავსართი; ნიშნავს: კვლავ, ხელახლა) და (trans) plantatio (იხ. ტრანსპლანტაცია)] – (მედიც.) **1.** სხეულის მოჭრილი (მოკვეთილი) ნაწილის მიკერება და შეზრდა.
**2.** ამოღებული კბილის კვლავ ჩასმა თავის ფოსოში.
**რეპლიკა** [ფრ. replique, იტ. replica] – **1.** ორატორისთვის ადგილიდან მოცემული მოკლე შენიშვნა; წამოძახილი.
**2.** თეატრში: სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამს პერსონაჟი სხვა პერსონაჟის საპასუხოდ.
**რეპორტაჟ**-ი [ფრ. reportage] – ცნობები დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ, გამოქვეყნებული გაზეთში, გადაცემული რადიოთი, ტელევიზიით.
⊙ **ფეხბურთის მატჩის რ.**
**რეპორტიორ**-ი [ინგლ. reporter] – ჟურნალისტი, რომელიც ამზადებს რეპორტაჟს.
**რეპრეზენტანტ**-ი [ფრ. representent] – (წიგნ.) წარმომადგენელი.
**რეპრესია** [ლათ. repressio დათრგუნვა] – სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული დასასჯელი ზომა; დასჯა.
**რეპრიზ**-ი [ფრ. reprise] – **1.** მუსიკალური პიესის რომელიმე ნაწილის გამეორება; ასეთი გამეორების სანოტო ნიშანი.
**2.** მოკლე სახუმარო ნომერი,

რომელსაც ასრულებენ კლოუნები ან ცირკის და ესტრადის სხვა მსახიობები.

**რეპროდუქტორ**-ი – მოწყობილობა რადიოგადაცემათა ხმის გასაძლიერებლად; ხმამაღლა მოლაპარაკე.

**რეპროდუქცია** [ლათ. re – ხელახლა და productio, produco წარმოება, ნაწარმოები, ვაწარმოებ] – **1**. (პოლიტ. ეკონ.) საზოგადოებრივი წარმოების განმეორებითი პროცესი; კვლავწარმოება.

**2**. სხვადასხვა გამოსახულების (სურათის, ნახატის, საბეჭდი ტექსტისა და მისთ.) ხელახლა გადაღება და გამრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებით.

**3**. (ფსიქ.) მეხსიერებაში შემონახული რისამე აღდგენა, გახსენება.

**რეპტილია** [< ლათ. reptilis მხოხავი, მძრომი] – (ზოოლ.) ქვეწარმავალი.

**რეპუტაცია** [ფრ. réputation] – ვისიმე (ან რისამე) ღირსებათა და ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილი საერთო აზრი, შეხედულება.

⊙ **კარგი რ.-ით სარგებლობს, რ. შელახული აქვს.**

**რეჟიმ**-ი [ფრ. regime] – **1**. სახელმწიფოს წყობილება, მმართველობის წესი.

⊙ **დემოკრატიული რ., საპარლამენტო რ., რეაქციული რ.**

**2**. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების და სხვ. მტკიცედ დადგენილი წესი, განაწესი.

⊙ **კვების რ., რ.-ის დაცვა.**

**3**. მოქმედების, მუშაობის, არსებობის პირობები.

⊙ **მანქანის მუშაობის რ., მცენარეთა სითბური რ.**

◎ **სარეჟიმო.**

⊙ **ს. პირობები, ს. მოთხოვნები.**

**რეჟისორ**-ი [ფრ. régisseur მმართველი] – სპექტაკლის, კინოფილმის დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელი, დამდგმელი.

⊙ **თეატრის მთავარი რ.**

◎ **რეჟისორული.**

⊙ **კარგი რ. ნამუშევარი.**

◎ **სარეჟისორო.**

⊙ **ს. ფაკულტეტი.**

**რესპექტაბელურ**-ი [ფრ. respectable] – პატივსაცემი, ღირსეული, დარბაისლური.

**რესპირატორ**-ი [ლათ. respiro ვსუნთქავ] – მოწყობილობა (ფილტრიანი, ნიღაბიანი, ნახევარნიღაბიანი) სასუნთქი ორგანოების დასაცავად მავნე აირებისა და მტვრისაგან.

**რესპირაცია** [ლათ. respiratio] – სუნთქვა.

**რესპონდენტ**-ი [ლათ. respodens (respodentis) < respondeo პა-

სუხს ვაძლევ] – ვისაც შეკითხვებით მიმართავს ჟურნალისტი.

**რესპუბლიკა** [ლათ. respublica] – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ირჩევენ განსაზღვრული ვადით; ასეთი მმართველობის მქონე ქვეყანა.

⊙ **საქართველოს რ., რ.-ის პრეზიდენტი.**

◎ **რესპუბლიკური** და **სარესპუბლიკო.**

⊙ **მართვის რ. ფორმა, რ. (ს.) კონფერენცია.**

○ **რესპუბლიკანური შცდ.**

**რესტავრატორ**-ი რესტავრაციის სპეციალისტი.

**რესტავრაცია** [ლათ. restauratio და გერმ. restaurienen] – **1**. დროთა ვითარებაში დაზიანებული რისამე (არქიტექტურული ძეგლის, ხელოვნების ნაწარმოების, არქეოლოგიური ნივთებისა და სხვ.) აღდგენა პირვანდელი სახით.

⊙ **ტაძრის რ., ძველი ფრესკების რ.**

**2**. ძველი დამხობილი პოლიტიკური წყობილების აღდგენა.

◎ **სარესტავრაციო.**

⊙ **ს. სამუშაოები, ს. სახელოსნო.**

**რესტორან**-ი [ფრ. restaurant] – კარგად მოწყობილი საზოგადოებრივი სასადილო.

◎ **რესტორანისა.**

○ **რესტორნისა შცდ.**

**რესურსებ**-ი [ფრ. ressources] – **1**. რისამე მარაგი.

⊙ **ბუნებრივი რ., ქვეყნის ეკონომიკური რ.**

**2**. ფულადი სახსრები.

⊙ მხ. **რესურსი.**

⊙ შიგაწვის ძრავას მუშაობის (ნარჩენი) **რესურსი.**

**რეტორტა** [ლათ. retorta უკან მოხრილი, გადახრილი] – სითხის გამოსახდელი ლაბორატორიული ხელსაწყო (აპარატი) ერთგვარი.

**რეტრანსლატორ**-ი – (სპეც.) რეტრანსლაციისათვის საჭირო დანადგარი, მოწყობილობა.

⊙ **სატელევიზიო რ.**

○ **რეტრანსლიატორი შცდ.**

**რეტრანსლაცია** – (სპეც.) – რადიო ან ტელეგადაცემის მიღება და გადაცემა შუალედური პუნქტის (რეტრანსლატორის) საშუალებით (იხ. აგრეთვე **ტრანსლაცია**).

⊙ **რედიოსიგნალების რ., ტელეგადაცემათა რ.**

◎ **სარეტრანსლაციო.**

⊙ **ს. რადიოსადგური.**

○ **რეტრანსლიაცია, სარეტრანსლიაციო შცდ.**

**რეტრო́გრად**-ი [ლათ. retrogradus უკან მიმავალი] – პროგრესის მოწინააღმდეგე; რეაქციონერი.

**რეტროსპე́ქტივა** [ლათ. retrospicere უკან ყურება < retro უკან, უკანვე; პირიქით, პირუკუ და spectare ყურება] – ძველი (და ზოგჯერ ახალი) ფილმების ჩვენება-განხილვა გარკვეული თანმიმდევრობით. იგივეა, რაც **რეტრო**.

**რე́ტუშ**-ი [ლათ. retouche] – ფოტოგრაფიული ანაბეჭდის (პოზიტივის),ნეგატივის ან დიაპოზიტივის შესწორება ფანქრით, საღებავით და სხვ.

**რეფე́რატ**-ი [ლათ. Refero ვაუწყებ, მოვახსენებ] – სამეცნიერო ნაშრომის, წიგნის და მისთ. შინაარსის მოკლე გადმოცემა.

◎ **რეფერატული.**

⊙ **რ. ჟურნალი, მოხსენების რ. გადმოცემა.**

○ **რეფერატიული შცდ.**

**რეფერე́ნდუმ**-ი [ლათ. referendum რაც უნდა მოახსენონ, აუწყონ] – საერთო-სახალხო გამოკითხვა და კენჭისყრა დიდად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის გადასაწყვეტად.

⊙ **რ.-ის მოწყობა, რ.-ის შედეგები.**

◎ **საფერენდუმო.**

⊙ **ს. კომისია, ს. ბიულეტენი, ს. ოლქი, უბანი.**

**რეფე́რენტ**-ი [ლათ. Referens (referentis) მომხსენებელი] –

1. პირი, რომალიც რეფერატს კითხულობს.
2. თანამდებობის პირი – მომხსენებელი, კონსულტანტი გარკვეული საკითხების შესახებ.

**რე́ფერ**-ი [ინგლ. referee] სპორტული შეჯიბრების მსაჯი.

**რე́ფლექს**-ი [ლათ. reflexus ასახვა] – (ფიზიოლ.) ცოცხალი ორგანიზმის უნებლიე რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე, რაც ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით.

⊙ **პირობითი** (შეძენილი) **რ., უპირობო რ.**

◎ **რეფლექსური.**

⊙ **რ. მოძრაობა.**

○ **რეფლექსიური, რეფლექტიური, რეფლექტორული შცდ.**

**რეფლე́ქტორ**-ი [ლათ. reflecto უკან მივმართავ; ავირეკლავ] –

1. სხივების ამრეკლავი მოწყობილობა.
2. გასახურებელი ხელსაწყო, რომელიც შედგება ელექტრონული ლამპისა და ამრეკლავისაგან.
3. ტელესკოპი, რომელშიც გამოსახულება მიიღება ჩაზნექილი სარკის საშუალებით.

**რეფორმა** [ფრ. reforme] – **1.** რიმე გარდაქმნა, შეცვლა.
**2.** პოლიტიკური გარდაქმნა, რომელსაც ახდენს მმართველი კლასი, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი წყობილების შესაცვლელად.
⊙ **მართლწესრიგის რ., უმაღლესი განათლების რ.**
◎ **სარეფორმო.**
⊙ **ს. პროგრამა.**

**რეფრაქცია** [ლათ. refractio] – **1.** (ფიზ.) სინათლის სხივის გარდატეხა; შუქტეხა.
**2.** (ასტრ.) დედამიწის ატმოსფეროში მნათობთა სხივების გარდატეხა, რის შედეგად მნათობები უფრო მაღლა ჩანს ცის თაღზე, ვიდრე სინამდვილეში არიან.
**თვალის რეფრაქცია** – თვალის უნარი გარდატეხოს სინათლის სხივები.

**რეფრენ**-ი [ფრ. refrain] – **1.** (ლიტ.) ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება.
**2.** (მუს.) კუპლეტური ფორმის ვოკალური ნაწარმოების ნაწილი, რომელიც უცვლელად მეორდება; მისამღერი.

**რეფრიჟერატორ**-ი [ლათ. refrigerare გაციება, ფრ. refrigérateur] – **1.** მაცივრის ნაწილი, რომელშიც ორთქლდება სითხე და ტემპერატურა დაბლა იწევს.
**2.** სპეციალური გემი, ვაგონი, ავტომობილი და სხვ., რომელშიც დაცულია ტემპერატურის რეჟიმი; განკუთვნილია მალეფუჭებადი პროდუქტების გადასაზიდად.

**რექტიფიკაცია** [ლათ. rectificatio გასწორება] – და **რექტიფიცირება** – თხევადი ნარევების გაყოფა, შენარევებისგან გაწმენდა.

**რექტორ**-ი [ლათ. rector მმართველი, ხელმძღვანელი] – უმაღლესი საერო და სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელი.

**რექტორატ**-ი – უმაღლესი საერო და სასულიერო ადმინისტრაციულ-სასწავლო ხელმძღვანელობა რექტორის მეთაურობით.
○ **რექტორატი შცდ.**

**რეცენზენტ**-ი – რეცენზიის ავტორი.

**რეცენზია** [ლათ. recensio განხილვა, გამოკვლევა] – ლიტერატურული ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომის, წარმოდგენის, კინოსურათისა და მისთ. კრიტიკული შეფასება წერილობით.
⊙ **დადებითი** (უარყოფითი) **რ.,**

**გაზეთში გამოქვეყნებული რ.**

**რეცეპტ**-ი [ლათ. receptum აღებული] – **1.** აფთიაქში წარსადგენად ექიმის მიერ შედგენილი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია წამლის შემადგენლობა, აგრეთვე ავადმყოფის მიერ მისი მიღების წესი.

⊙ **რ.-ის გამოწერა, რ.-ის წარდგენა აფთიაქში.**

**2.** რისამე დამზადების წესი.

⊙ **ტორტის რ., შაქრის დამზადების რ.**

**რეცეპტორ**-ი [ლათ. receptor მიმღები] – (ფიზიოლ.) გრძნობადი ნერვული ბოჭკოს დაბოლოება, რომელიც იღებს გაღიზიანებას.

**რეციდივ**-ი [ლათ. recidivus რაც მეორდება] – **1.** (წიგნ.) თითქოს გამქრალი მოვლენის დაბრუნება, გამეორება.

**2.** (მედიც.) ავადმყოფის შებრუნება.

**3.** (სამართ.) დანაშაულის განმეორებით ჩადენა.

**რეციდივისტ**-ი [ლათ. recidivus რასაც იმეორებენ] – ადამანი, რომელმაც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული და ადრე უკვე იყო ნასამართლევი.

**რიბონუკლეინმჟავა (რნმ)** [ლათ. ribes ნაკადი, ჭავლი და (იხ. ნუკლეინმჟავა)] – რთული ორგანული ნაერთის, ერთ-ერთი ნუკლეინმჟავა; ორგანიზმში მონაწილეობს ცილის ბიოსინთეზში.

**რიბოსომებ**-ი [ლათ. ribes ნაკადი, ჭავლი და sôma ბერძ. სხეული] – უჯრედის შიგნითა ნაწილაკები, რომლებიც ახდენენ ცილის ბიოსინთეზს; აღმოჩენილია უკლებლივ ყველა ცოცხალ ორგანიზმში; თითოეული უჯრედი შეიცავს ათასობით ან ათიათასობით რ.-ს.

**რიგორიზმ**-ი [< ლათ. rigor სიმკაცრე, სისასტიკე] – მკაცრი, მტკიცე დაცვა რაიმე პრინციპებისა, ზნეობის წესებისა, მითითებებისა.

**რივიერა** [იტ. Riviera] – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ზოლი საფრანგეთსა და იტალიის ტერიტორიაზე; დასავლეთ ევროპის უდიდესი საკურორტო რაიონი (ნიცა, კანი, სანრემო და სხვ.).

**რიზალიტ**-ი [იტ. risalita შვერილი] – შენობის ფასადის წინ გამოწეული ნაწილი.

**რითმა** [ბერძ. rhythmos თანაზომიერება] – ერთნაირი ან მსგავსი ბგერათკომპლექსების გამეორება ლექსში, ტაეპების ბოლოს.

⊙ **გარგანი რ., შინაგანი რ.**
○ **რიტმი** სხვაა (იხ.).

**რიკოშეტ**-ი [ფრ. ricochet] – სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ.
⊙ **რ.-ით წამოსული ბურთი.**

**რიმეიკ**-ი [ინგლ. remake ხელახლა გაკეთება] – მხატვრული ფილმის ხელმეორე გადაღება და მისი ახალი ვერსიის შექმნა თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით.

**რიმესა** [იტ. rimmessa ფულის გადაცემა, გაგზავნა, ჩაბარება] – (ფინანს.) ყოველი თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული.

**რინგ**-ი [ინგლ. ring] – თოკებით შემოკავებული კვადრატული ფორმის მოედანი (ჩვეულებრივ, ფიცარნაგზე) კრივში შეჯიბრებისათვის.

**რინიტ**-ი [ბერძ. rhis (rhinos) ცხვირი] – (მედიც.) – ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება; სურდო.

**რისკ**-ი [ფრ. risqus] – მოსალოდნელი საფრთხე, საშიშროება.
**რისკის გაწევა** – ალალბედზე მოქმედება, სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა.

**რიტმ**-ი [ბერძ. rhythmos] – **1.** რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა.
⊙ **მუსიკალური რ., მოძრაობათა რ., ლექსის რ.**
**2.** (გადატ.) აწყობილი მიმდინარეობა, თანაბარზომიერება რისამე.
◎ **რიტმული.**
⊙ **რ. მოძრაობა, რ. მუშაობა, რ. ტანვარჯიში.**
იხ. **აერობიკა.**
○ **რითმი, რითმიული, რიტმიული შცდ.**
**რითმა** სხვაა (იხ.).

**რიტორიკა** [ბერძ. rhçtorikç] – მჭევრმეტყველების თეორია; მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ.

**რიტუალ**-ი [ლათ. ritualis] – (წიგნ.) წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა (სინონ. **ცერემონიალი.**).
⊙ **საქორწინო რ., ელჩის მიღების რ.**
◎ **რიტუალური** და **სარიტუალო.**
⊙ **რ. (ს.) წესები, რ. (ს.) სცენები.**

**რიფ**-ი [გერმ. Riff] – წყალქვეშა კლდე (ზოგჯერ ამოწეული ზღვის დონიდან), რომელიც სახიფათოა ნაოსნობისათვის; ბრაგა.

**რიქშა** [იაპ.] – **1.** აღმოსავლეთ

და სამხრეთ აზიის ზოგ ქვეყანაში: მსუბუქი ორთვლიანი ეტლი, რომელშიც ადამიანია შებმული.

**2.** თვით ადამიანი, ასეთ ეტლში შებმული.

◎ **რიქშისა.**

○ **რიქშასი, რიკშა შცდ.**

**რიცარ**-ი [გერმ. Ritter < ძვ. გერმ. riter მხედარი] – **1.** ფეოდალურ ევროპაში – პირი, რომელიც ეკუთვნოდა სამხედრო-თავადაზნაურულ ფენას.

**2.** მამაცი, თავგანწირული, თავდადებული, დიდსულოვანი, კეთილშობილი ადამიანი.

**რობოტ**-ი [ჩეხ. Robot < robota მონური შრომა < rob მონა] – ავტომატი, ავტომატური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ადამიანის შესაცვლელად რთული ტექნიკური ოპერაციების შესრულების დროს.

**როდეო** [ესპ. rodeo ჯოგის, ნახირის შეგროვება] – **1.** ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში: კოვბოების ოსტატობის ჩვენება (ჯირითში, ცხენების, ხარების დაჭერაში, ძროხის სწრაფად მოწველაში და სხვ.).

**2.** მოტოციკლეტებითა და მსუბუქი ავტომობილებით შეჯიბრება სხვადასხვა ექსცენტრიკული ტრიუკების ჩვენებით.

**როიალ**-ი [რუს. рояль, ფრ. royal სამეფო] – კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, ფორტეპიანოს ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც სიმები ჰორიზონტალურად არის გადაჭიმული.

⊙ **„როიალს უკრავს“, „როიალი დაუკრა“, „როალის დამკვრელი“.**

○ **„როალზე უკრავს,“... შცდ.**

**როიალისტ**-ი – როიალიზმის მიმდევარი; მეფის ხელისუფლების ერთგული.

**როკ**-ი [ინგლ. rock-and-roll ქანაობა და დარწევა, ბრუნვა შემოკლ. rock n roll – როკ-ნროლი] – **1.** იგივეა, რაც როკ-მუსიკა.

⊙ **მძიმე რ.** – როკ-მუსიკა ხმამაღალი ხმით, მკაცრი, სწრაფი რიტმით.

**2.** იგივეა, რაც **როკ-ნ-როლი**.

**როკ...** – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა, რომელიც აღნიშნავს – ეხება როკ-მუსიკას.

⊙ **როკ-ჯგუფი, როკ-ოპერა, როკ-ანსამბლი.**

**როკერ**-ი[1] [ინგლ. rocker < rock დარწევა, ქანაობა, ბრუნვა] – ახალგაზრდული ჯგუფის წევრი, რომელიც მოტოციკლით დადის ქუჩებში

მაყუჩის გარეშე, არ იცავს გზებზე მოძრაობისა და ქცევის წესებს.

**როკერ**-ი[2] [ინგლ. rocker < rock როკი] – ადამიანი, რომელიც გატაცებულია როკ-მუსიკით, როკით.

**როკოკო** [ფრ. rococo] – არქიტექტურული და დეკორატიული სტილი; წარმოიშვა მე-18 ს.-ში საფრანგეთში; დამახასიათებელია ნატიფი რთული ფორმები.

⊙ **რ.-ს სტილის ავეჯი.**

◎ **როკოკული.**

⊙ **რ. სტილი.**

**როლ**-ი [ფრ. role] – **1.** პიესის ან კინოფილმის მოქმედი პირი, რომელსაც მსახიობი განასახიერებს.

⊙ **მთავარი რ., რ.-ების განაწილება; რ.-ების შესრულება.**

**2.** მოქმედი პირის სიტყვიერი მასალა პიესაში.

⊙ **რ.-ის დასწავლა.**

**3.** (გადატ.) რამეში მონაწილების ხარისხი, მნიშვნელობა.

⊙ **პიროვნების რ. ისტორიაში.**

**რომ**-ი [ინგლ. rum] – მაგარი, სპირტიანი სასმელი,რომელსც ამზადებენ შაქრის ლერწმის დადუღებული წვენისა ან ბადაგისაგან.

**რომან**-ი [ფრ. roman] – **1.** რთული სიუჟეტების მქონე დიდი თხრობითი მხატვრული ნაწარმოები.

⊙ **ისტორიული რ., რ.-ის მთავარი გმირი.**

**2.** (გადატ.) სამიჯნურო ურთიერთობა ქალსა და ვაჟს შორის; სიყვარული, მიჯნურობა.

◎ **რომანული** (მნიშვ. 2-ისათვის).

⊙ **რ.-ული ურთიერთობა.**

○ **რომანიული შცდ.**

**რომანს**-ი [ფრ. romance] – **1.** პატარა მუსიკალური ნაწარმოები, ლირიკული სიმღერა.

⊙ **დ. არაყიშვილის რ.-ები.**

**2.** პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი.

**რომანტიზმ**-ი [ფრ. romantisme] – **1.** მე-19 ს.-ის პირველი მეოთხედის ლიტერატურასა და ხელოვნებაში: მიმართულება, რომელიც გვიხატავდა პიროვნულ გრძნობებს.

⊙ **ბაირონის რ., ნ. ბარათაშვილის რ.**

**2.** რისამე იდეალიზაცია.

◎ **რომანტიკული.**

⊙ **რ. პოეზია.**

○ **რომანტიული შცდ.**

**რომანტიკა** – (წიგნ.) ის, რაც ქმნის ემოციურ, ამაღლებულ დამოკიდებულებას რაიმესადმი.

⊙ **თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რ.**

◎ **რომანტიკული.**

⊙ **რ. ხასიათი, რ. თავგანწირვა.**

**რომა́ნულ**-ი [ლათ. romanus რომაული] – რაც წარმოშობილა ძველი რომის კულტურიდან ან დაკავშირებულია მასთან; **რომანული ენები** – ხალხური ლათინურისგან წარმოშობილი მონათესავე ენები: პორტუგალიური, ესპანური, ფრანგული, იტალიური, რუმინული, მოლდავური.

**როტა́ცია** [ლათ. notatio] – **1.** ბრუნვა, ტრიალი, წრებრუნვა. **2.** (პოლიგ.) იგივეა, რაც როტაციული მანქანა.

**როტვა́ილერ**-ი [გერმ. Rottweiler < გეოგრ. სახ.] – სასამსახურო ძაღლების ჯიში.

**რო́ქ**-ი[1] [სპარს. rokh საბრძოლო ეტლი (კოშკით)] – ჭადრაკში: მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა, რომლის დროსაც ეტლი და მეფე გადადგილდებიან ერთიმეორის გვერდით; ჭადრაკში ასეთი სვლა მხოლოდ ერთხელ ხდება.

**რო́ქ**-ი[2] (ისტ.) როქის სპა – დაქირავებული ჯარი.

**რუბა́ია** [არაბ., სპარს.] სპარსულ და ტაჯიკურ პოეზიაში: ფილოსოფიური ან სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი ლექსი; იგივე **რობაია.**

**რუბი́კონ**-ი [ლათ. Rubico (Rubiconis) გადალახვა] – ურყევი გადაწყვეტილების მიღება, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა [მდინარის სახელწოდების მიხედვით, რომელიც 49 წ. (ძვ. წელთაღრ.) იულიუს კეისარმა გადალახა თავისი ჯარით – მიუხედავად სენატის აკრძალვისა და დაიწყო სამოქალაქო ომი].

**რუ́ბრიკა** [< ლათ. rubrica < ruber წითელი – კანონის სათაური (რომელიც იწერებოდა წითელი საღებავით)] – **1.** განყოფილების სათაური (გაზეთში, ჟურნალში და მისთ.). **2.** ნაწილი, ქვეგანყოფილება, გრაფა.

**რუდი́მენტ**-ი [ლათ. rudimentum ჩანასახი, საწყისი] – (ბიოლ.) ორგანო, რომელსაც ორგანიზმის ისტორიული განვითარების პროცესში დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და სრულად არ ვითარდება.

◎ **რუდიმენტული.**

⊙ **რ. ორგანო.**

○ **რუდიმენტარული, რუდიმენტალური შცდ.**

**რუ́მბა** [ესპ. rumba] – ცეკვა მექსიკური წარმოშობისა.

**რუპორ**-ი [ჰოლანდ. roeper] – ხმის გამაძლიერებელი მილი კონუსის ფორმისა.
◎ **რუპორიანი.**
⊙ **რ. აპარატი.**

**რუტინა** [ფრ. routine] – შიში სიახლის, ცვლილების წინაშე; უძრაობა, ჩამორჩენილობა, შაბლონი.

## ს

**საბოთ**-ი [ძვ. ებრ.] – იუდაიზმში: ღმერთ იეჰოვას (იაჰვე) ერთ-ერთი ეპითეტი.

**საბვეი** [ინგლ. subway] – მეტროპოლიტენის სახელწოდება ამერიკაში.

**საბო** [ფრ. sabot] ხისგან გამოთლილი ან ხის ლანჩის მქონე ფეხსაცმელი.

**საბოტაჟ**-ი [ფრ. sabotage] – წინასწარგანზრახული ჩაშლა, ჩაფუშვა მუშაობისა მასში მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით.

**საგა** – [ძვ. სკანდინ. saga] – **1.** ძველი სკანდინავიური და ირლანდიური ხალხური საგმირო თქმულება.
**2.** (გადატ.) საერთოდ, თქმულება, ლეგენდა.
◎ **საგისა.**
○ **საგასი შცდ.**

**სადიზმ**-ი [ფრ. მწერლის მარკიზ დე სადის (de sad – 1740-1814) სახელის მიხედვით] – **1.** სქესობრივი უკულმართობა; გამოიხატება მისწრაფებით – ტკივილი მიაყენოს პარტნიორს, აწამოს თავისი სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.
**2.** (გადატ.) სხვისი წვალებით, ტანჯვით სიამოვნების მიღება.

**სადუკევეები**-ი [ბერძ. saddukaioi საკუთ. სახ.] – იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა იუდეაში (მე-2 ს. ძვ. წელთაღრ. – 1 ს. ახ. წელთაღრ).

**სავანა** [ესპ. sabana] – ტროპიკული ველი.
◎ **სავანისა,** მრ. **სავანები.**
○ **სავანასი შცდ.**

**საიტი** [ინგლ. site ადგილი] – მონაცემთა ერთობლიობა ინტერნეტში (იხ.), რომელშიც საერთო მისამართით თავმოყრილია ერთგვაროვანი ან მსგავსი ინფორმაცია; ინტერნეტის გადამცემი სადგური.

**საკე** [იაპ.] – ბრინჯის არაყი; იციან იაპონიაში.

**საკვოიაჟ**-ი [ფრ. sac ჩანთა და voyage მგზავრობა] – ხელის

სამგზავრო ჩანთა.

○ **საკვაიაჟი შცდ.**

**საკრალურ**-ი [< ლათ. sacer (sacris) წმინდა] – რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული.

**საკრამენტულ**-ი [ლათ. sacramentum კურთხევა] – **1.** რელიგიურ კულტთან დაკავშირებული; წმინდა, საღმრთო; რიტუალური.

**2.** (წიგნ.) ტრადიციით განმტკიცებული; ტრადიციული.

**სალათა** [იტ. salato მარილიანი] – **1.** ბოსტნეული მცენარე; აქვს მკრთალი მწვანე ფართო ფოთლები, რომლებიც იჭმევა უმად, სათანადოდ შეკაზმული.

**2.** კერძი, რომელსაც ამზადებენ წვრილად დაჭრილი ბოსტნეულისგან, კარტოფილისგან, ზოგჯერ ხორცისა და თევზისაგან; ჩვეულებრივ შეკაზმულია ზეთით, ძმრით და მისთ. იჭმება ცივად (სინონ. **ტაბუცუნი**).

**3.** დაჭრილი კიტრი და პომიდორი ხახვით, მწვანილით და მისთ. შეკაზმული.

◎ **სალათისა.**

○ **სალათასი, სალათი შცდ.**

**სალამანდრა** [ბერძ. salamandra] – **1.** კუდიანი წყალხმელეთა ცხოველი, რომელიც გარეგნულად ხვლიკს მიაგავს.

**2.** შუა საუკუნეებში გავრცელებული ცრუ რწმენით: ცეცხლის სული, ცეცხლის სტიქია.

**სალდო** [იტ. saldo] – (ბუხჰალტ.) სხვაობა შემოსავალისა და გასავალის (დებიტისა და კრედიტის) ჯამებს შორის.

**სალონ**-ი [ფრ. salon] – **1.** სადგომი, სადაც ეწყობა გამოფენები; მაღაზია, სადაც იყიდება მხატვრული საქონელი, ხელოვნების ნაწარმოებები.

⊙ **სამხატვრო ს., ტანსაცმლის ს.**

**2.** დასასვენებელი ოთახი გემზე, სასტუმროში და სხვ.

**3.** სტუმრის მისაღები ვრცელი ოთახი მდიდრულ სახლში.

**4.** (მოძვ.) რჩეულ პირთა წრე, რომელიც სისტემატურად იკრიბებოდა ვისიმე სახლში.

⊙ **ლიტერატურის ს., პოლიტიკური ს.**

**5.** მგზავრთათვის განკუთვნილი ადგილი (ავტობუსისა, თვითმფრინავისა და სხვ.)

◎ **სალონური** (მნიშვნ. 3,4-ისათვის).

⊙ **ს. პოეზია, ს. მუსიკა, ს. მასლაათი.**

**სალტო** [იტ. salto ხტომა, ნახტომი] – აკრობატიული ნახტომი, რომლის დროსაც ჰაერში მალაყს აკეთებენ.

**სალტომორტალე** [იტ. salto mortale სასიკვდილო ნახტომი] – **1.** ნახტომი აკრობატის მაღალი მოედნიდან (სიმაღლიდან), რომლის დროსაც მისი სხეული ჰაერში მალაყს აკეთებს.

**2.** რისკიანი, თავზე ხელაღებული ნაბიჯი; იგივეა, რაც **სალტო**.

**სალუტ**-ი [ფრ. salut] – სამხედრო მისალმება სროლით, რაკეტების გაშვებით და ქვემეხების ზალპით, ალმის აღმართვით (მაგ: გემზე და სხვა), ფეიერვერკი რაიმე საზეიმო თარიღის აღსანიშნავად.

⊙ **საარტილერიო ს.**

◎ **სასალუტე**.

⊙ **ს. – საარტილერიო ჯგუფი**.

○ **სალიუტი, სასალიუტე** შცდ.

**სამბა** [ინგლ. samba < აფრიკ.] – ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

**სამბო**[1] [რუს. Самбо (შემოკლ.) Самозащита Без Оружия თავდაცვა უიარაღოდ] – სპორტული ჭიდაობა, რომლის დროსაც დასაშვებია ძლიერ მტკივნეული ილეთები.

**სამბო**[2] [ინგლ. sambo ესპ. zambo] – ადამიანი, რომელიც წარმოშობილია ინდიელი მამაკაცისა და ზანგი ქალის შერეული ქორწინების შედეგად.

**სამიტ-ი** [ინგლ. summit მწვერვალი, პიკი] – მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრა ან თათბირი უმაღლეს დონეზე.

**სამუმ**-ი [არაბ. samûm] – მშრალი, ცხელი ქარი არაბეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოში.

**სამურაი** [იაპ.] – **1.** ფეოდალურ იაპონიაში: პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი.

**2.** იაპონიის აგრესიული სამხედრო წრეების წარმომადგენლის სახელწოდება.

**სანატორიუმ**-ი [ლათ. sanatorium] – სამკურნალო-დასასვენებელი დაწესებულება.

⊙ **ბორჯომის ს.-ები., ბავშვთა ს.**

◎ **სანატორიული.**

⊙ **ს.-ის მკურნალობა.**

**სანაცია** [ლათ. sanatio მკურნალობა, გაჯანსაღება] – **1.** (მედიც.) გამაფრთხილებელი სამკურნალო ღონისძიებები პირის ღრუს გაჯანსაღებისათვის.

**2.** ღონისძიებათა სისტემა საწარმოების, ტრესტების, ბანკებისა და ა.შ. გაკოტრების საწინააღმდეგოდ.

◎ **სანირება.**

⊙ **ბანკის ს.**

**სანგვინიკ**-ი [ლათ. sanguis (sanguinis) სისხლი; სასიცოცხლო ძალა] – მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი, რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციებს.

**სანდვიჩ**-ი [ინგლ. sandwich] – პურის ორი თხელი ნაჭერი, რომელთა შორის მოთავსებულია რაიმე საუზმეული (კარაქი, ძეხვი, ყველი და მისთ.); იგივეა რა **სენდვიჩი**.

**სანიტარ**-ი [ფრ. sanitaire] – უმცროსი სამედიცინო მუშაკი, რომელიც შველის ავადმყოფებს, დაჭრილებს, ალაგებს სამკურნალო დაწესებულების სადგომს.

**სანიტარია** [ლათ. sanitarus ჯანმრთელობა] – სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა სისტემა.

◎ **სანიტარიული**.

⊙ **ს. ექიმი, ქალაქის ს. მდგომარეობა, ს. დათვალიერება.**

○ **სანიტარული შცდ.**

**სანსარა** [სანკრ. ხეტიალი] – ინდუისტური და ბუდისტური ცნება, რომლის მიხედვითაც სანსარა ყოველი ცოცხალი არსების მარადიული მოგზაურობაა, ერთი სხეულიდან მეორეში გადასვლა.

**მიზანი** – უზენაესი მდგომარეობა, როდესაც სული ადის ღვთაების რანგში. აგრეთვე **ნირვანა** (ქანაობა, განთავისუფლება სანსარისგან).

**სანკრიტ**-ი [ინგლ. Sanscrit სანსკრ.] – ძველი ინდური სამწერლო ენა.

◎ **სანსკრიტული**.

⊙ **ს. ენა, ს. ხელნაწერი.**

**სანტ**-ი [ფრ. cent ასი] – თავსართი, რომელიც საზომი ერთეულის სახელთან მიერთებისას აღნიშნავს მის მეასედ ნაწილს: **1**. სანტიმეტრი = 0.01 მეტრს.

**სანტიმენტალიზმ**-ი [ფრ. sentimentalisme] – **1**. მე-18 ს.-ის მეორე ნახევარში: ლიტერატურული მიმართულება, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, ბუნებისადმი, სინამდვილის იდეალიზაციისა და გადაჭარბებული გრძნობიერება მის გამოხატვაში.

**2**. გადაჭარბებული გულჩვილობა, ზედმეტი გრძნობიერება.

⊙ იხმარება აგრეთვე – **სენტიმენტალიზმი**.

**სანტიმენტალური [ფრ. sentimental]** – ზედმეტად მგრძნობიარე; გადაჭარბებით გულჩვილი. იხმარება აგრეთვე

– **სენტიმენტალური.**
⊙ **ს. რომანი, ს. ადამიანი.**

**სანქცია** [ლათ. sanctio დაკანონება] – **1.** ზემდგომი ინსტანციის მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს; ნებართვა.
⊙ **პროკურორის ს.**
**2.** იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის.
**3.** საერთაშორისო სამართალში: ზემოქმედების ზომა, რომელსაც მიმართავენ ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ.
⊙ **ეკონომიური ს.-ები.**
4. მოწოდება, დადასტურება, თანხმობა.
◎ **უსანქციო** (მნიშვნ. 1-ისათვის).
⊙ **უ. მიტინგი.**

**სანქციონირება** – სანქციის (მნიშვნ. 1), ნებართვის მიცემა.
○ **სანქცირება შცდ.**

**სარაცენია** [ლათ. sarracenia] – მცენარე, მწერიჭამია მრავალწლიანი ბალახი.

**სარი** [სპარს. sârî] – აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთში და სხვ.): ქალის სამოსი – გრძელი (4-5 მ.-დე) ქსოვილი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევენ ტანზე.

**სარკაზმ**-ი [ბერძ. sarkasmos] – (წიგნ.) ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია.
◎ **სარკაზმული** და **სარკასტული.**
⊙ **ს. ღიმილი.**

**სარკომა** [ბერძ. sarkôma] – (მედიც.) ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ვითარდება შემაერთებელი ქსოვილისაგან.

**სარკოფაგ**-ი [ბერძ. sarkophagos] – ძველ ქვეყნებში (ეგვიპტეში და სხვ.): ქვის კუბო; საფლავის ქვა კუბოს ფორმისა; პატარა აკლდამა.

**სატანა** [ბერძ. satanas < ძვ. ბერძ.] – ავი სული, ეშმაკი; ღმერთის მოღალატე ანგელოზი.

**სატელიტ**-ი [ბერძ. satelles (satellitis) თანამგზავრი; თანამზრახველი] – **1.** (ასტრ.) პლანეტის თანამგზავრი.
⊙ **მთვარე დედამიწის ს.-ია.**
**2.** სახელმწიფო ან მთავრობა, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში ემორჩილება სხვა სახელმწიფოს, მის ნება-სურვილს.
⊙ **დიდი სახელმწიფოს ს. ქვეყანა.**
**3.** (ტექ.) კბილანა, რომელიც მიბმულია მეორე, წამყვან კბილანაზე.
**4.** (ფიზ.) სპექტრის სუსტი ზოლი ძლიერი ზოლის მეზობლად.
**ქალაქ-სატელიტი** – თანამედ-

როვე დიდი ქალაქის მახლობლად გარკვეული გეგმით გაშენებული პატარა ქალაქი; ქალაქი-თანამგზავრი.

**სატირა** [ლათ. satira] – ლიტერატურასა და ხელოვნებაში: სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი – უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების დაუზოგავი დაცინვა, გაკიცხვა.

◎ **სატირული.**

⊙ **ს. კუპლეტები, ს. პლაკატი, ს. ჟურნალი.**

**სატირიკოს**-ი – სატირულ ნაწარმოებათა ავტორი.

**სატურნ**-ი [ლათ. Saturnus] – **1.** რომაულ მითოლოგიაში: ხვნა-თესვის და ნაყოფიერების ღმერთი, მიწათმოქმედების მფარველი (გაიგივებული იყო ბერძნული მითოლოგიის **კრონოსთან**).

**2.** მზის სისტემის დიდი პლანეტა, რომელიც მზიდან მე-6 ადგილზეა.

**საუნა** [ფინ. sauna] – ფინური აბანო.

**საფარ**-ი [სუაჰილის ენიდან] – აფრიკაში: მონადირეთა ექსპედიცია, ნადირობა, აგრეთვე მოგზაურობა.

**საფირონ**-ი [ბერძ. sapheiros] – ლურჯი ან იისფერი ძვირფასი ქვა; ლურჯი იაგუნდი.

**საქსებ**-ი – გერმანული ტომები, რომელთა ნაწილი მე-5 – მე-6 სს.-ში კონტინენტიდან გადასახლდა ბრიტანეთში; მე-8 ს.-ის ბოლოს ისინი დაიპყრეს ფრანკებმა.

**საქსოფონ**-ი [საკუთ. სახ. ბერძ. phône ბგერა, ხმა] – სპილენძის სასულე მუსიკალური საკრავი, კლარნეტის მონათესავე.

⊙ **„საქსოფონს უკრავს“.**

○ **საქსაფონი, „საქსოფონზე უკრავს“, „საქსოფონზე დამკვრელი“ და ა.შ. შცდ.**

**სეანს**-ი [ფრ. seance] – რისამე საჯარო ჩვენება ან შესრულება განუწყვეტლივ დროის გარკვეულ მონაკვეთში.

⊙ **პირველი** (მეორე...) **ს., დღის ს.-ები** კინოში, **ჰიპნოზის ს., ჭადრაკის ერთდროული თამაშის ს.**

○ **სიანსი შცდ.**

**სეგმენტ**-ი [ლათ. Segmentum მონაკვეთი] – **1.** (მათემ.) წრის ნაწილი, რომელიც რკალითა და ქორდით არის შემოსაზღვრული; სფეროს ნაწილი, რომელიც გადამკვეთი სიბრტყით არის გამოყოფილი.

**2.** (ზოოლ.) ერთ-ერთი სიგრძივ განლაგებული ნაწევართაგანი, რომლებისგანაც შედგება ზოგიერთი ცხოველის ორგანიზმი.

**სეგრეგაცია** [ლათ. segregatio

გამოყოფა] – რასობრივი დის-კრიმინაციის ერთ-ერთი სახე – ფერადკანიანთა იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისა-გან.

**სედანი**-ი [ინგლ. sedan] – დახუ-რული მსუბუქი ავტომობი-ლის ტიპი; აქვს ორი ან სამი რიგი დასაჯდომები.

**სეზონი**-ი [ფრ. saison] – **1**. წელი-წადის ერთ-ერთი დრო ოთხი-დან.

⊙ **საზაფხულო ს., ზამთრის ს.**

**2**. წელიწადის ნაწილი, პე-რიოდი, რომელიც ყველაზე უფრო შესაფერია რაიმე საქმიანობისათვის, დასვენები-სათვის და სხვ.

⊙ **თეატრალური ს., ნავიგაციის ს.**

**3**. რისამე (მაგ., ხილეულის) მწი-ფობის, შემოსვლის დრო.

⊙ **ატმის ს., ბლის ს., ყურძნის ს.**

◎ **სეზონური.**

⊙ **ს. სამუშაო.**

**სეინერი**-ი [ინგლ. seiner] – პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი.

**სეისმოლოგია** [ბერძ. seismos მიწისძვრა და logos მოძღ-ვრება] – მეცნიერება (გეო-ფიზიკის ნაწილი), რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერ-ქის რყევებს, კერძოდ – მიწის-ძვრებს.

◎ **სეისმოლოგიური.**

⊙ **ს. მონაცემები, ს. გამოკვლე-ვები.**

**სეისმური**-ი [< ბერძ. seismos მი-წისძვრა] – მიწისძვრის მოვ-ლენებთან დაკავშირებული.

⊙ **ს. რაიონი, ს. ხელსაწყო, ს. სადგური, ს. რუკა.**

○ **სეისმიური შცდ.**

**სეიფი**-ი [ინგლ. safe] – უძრავი, ცეცხლგამძლე კარადა ან ყუ-თი, ან სპეციალური სათავსი, სადგომი – ფასიანი ქაღალ-დების, დოკუმენტების, ძვირფა-სეულობის, სამუზეუმო ექსპო-ნატების და მისთ. შესანახად.

**სეკანსი**-ი [ლათ. secans გადამკვე-თი] – (მათემ.) კუთხის ერთ-ერ-თი ტრიგონომეტრიული ფუნ-ქცია, რომელიც მართკუთხა სამკუთხედში უდრის ჰიპოტე-ნუზის შეფარდებას კუთხის კათეტთან.

**სეკვესტრი**-ი [ლათ. sequestrum] – **1**. (სამართ.) სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რაიმე კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა; ყა-დაღა.

**2**. (მედიც.) რაიმე ქსოვილის მკვდარი ნაწილი, რომელიც მოსცილდა საღ ნაწილს.

**სეკრეტი**-ი [ლათ. secretus გამო-ნაყოფი] – (ფიზიოლ.) ნივ-

თიერება, რომელსაც გამოიმუშავებენ ჯირკვლები (მაგ; ნერწყვი, კუჭის წვენი ...)

**სეკრეცია** [ლათ. secretio გამოყოფა] – (ფიზიოლ.) ორგანიზმისათვის აუცილებელ ნივთიერებათა (სეკრეცების) გამომუშავება და გამოყოფა ჯირკვლების მიერ.

**სეკულარიზაცია** [< ლათ. secularis საერო] – საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად.

**სეკუნდანტ**-ი [ლათ. secundans (secundantis დამხმარე] –
**1.** მოწმე და შუამავალი დუელის თითოეული მონაწილისა.
**2.** შუამავალი და თანაშემწე კრივის, ჭადრაკის და ზოგი სხვა შეჯიბრების მონაწილისა.

**სელენოლოგია** [ბერძ. sēlēne მთვარე და logos მოძღვრება] – ასტრონომიის დარგი,რომელიც მთვარეს სწავლობს.

**სელექტორ**-ი [ლათ. selector დამახარისხებელი] – აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება ტელეფონის მოცემული ხაზის რამდენიმე ან ყველა აბონენტის ერთდროული გამოძახება.

**სელექცია** [ლათ. selectio გადარჩევა, შერჩევა] – ცხოველთა და მცენარეთა ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანა ხელოვნური შერჩევით, შეჯვარებით.
◎ **სელექციური** და **სასელექციო**.
⊙ **ს. სადგური, ს. თესლი.**

**სელექციონერ**-ი – სელექციის სპეციალისტი.

**სემესტრ**-ი [ლათ. semestris ექვსთვიანი] – სასწავლო წლის ნახევარი უმაღლეს სასწავლებელში.
⊙ **პირველი** (მეორე) **ს.**
◎ **სასემესტრო.**
⊙ **ს. გამოცდები.**

**სემინარ**-ი [ლათ. seminarium სანერგე] – **1.** უმაღლეს სასწავლებელში: ჯგუფური პრაქტიკული მეცადინეობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით.
⊙ **ს. ფილოსოფიაში.**
**2.** ჯგუფური მეცადინეობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.
⊙ **ათდღიანი ს., მუდმივმოქმედი ს.**
◎ **სემინარული** და **სასემინარო.**
⊙ **სემინარიული** და **სასემინარიო** სხვაა (იხ. **სემინარია**).

**სემინარია** [ლათ. seminarium სანერგე] – საშუალო სასულიერო სასწავლებელი.
◎ **სემინარიული** და **სასემინარიო.**

⊙ **ს. განათლება.**
⊙ **სემინარული** და **სასემინარო** სხვაა (იხ. **სემინარი**).
○ **სემენარია, სემენარიული, სასემენარიო შცდ.**

**სემირამიდა-ს ბაღები** – მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდ საოცრებათაგანი – „დაკიდული ბაღები" ბაბილონში, რომელთა მოწყობაც მიეწერება ლეგენდარულ დედოფალს – **სემირამიდას**.

**სემიტურ**-ი – სემიტებთან დაკავშირებული. **სემიტური ენები** – მონათესავე ენები, რომლებიც გავრცელებული იყო წინა აზიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ნაწილში: არაბული, სირიული, ებრაული; ასირიული, ბაბილონური, არამეული, ფინიკიური. [ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი შვილის **სემის** სახელის მიხედვით].

**სენატ**-ი [ლათ. senatus < senex მოხუცი] – **1.** პარლამენტის ზედა (საკანონმდებლო) პალატა აშშ-ში, საფრანგეთსა და ზოგ სხვა სახელმწიფოში.
**2.** ძველ რომში: უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო.

**სენატორ**-ი – სენატის წევრი.

**სენბერნარ**-ი – ჯიშიანი, დიდი, ღონიერი ძაღლი, რომელსაც კარგი ყნოსვა აქვს. ალპებში არსებული მონასტრის Saint-Bernard-ის სახელის მიხედვით, სადაც გამოჰყავდათ ამ ჯიშის ძაღლები მთაში გზადაკარგული ადამიანების მოსანახავად.

**სენიორ**-ი [ესპ. señor] – ესპანეთში: ბატონი, სენიორი (ჩვეულებრივ, გვართან ან სახელთან ერთად) – ბატონი; ბატონო! (შდრ. იტ. **სინიორი**).

**სენიორა** [ესპ. señora] – ესპანეთში: ქალბატონი; ქალბატონო (ჩვეულებრივ გვართან ან სახელთან ერთად) (შდრ. იტ. **სინიორა**).

**სენიორიტა** [ესპ. señorita] – ესპანეთში: ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი, ქალიშვილი (შდრ. იტ. **სინიორინა**).
◎ **სენიორიტასი.**
○ **სენიორიტისა შცდ.**

**სენსაცია** [ფრ. sensatio] – **1.** ძლიერი შთაბეჭდილება, რაც რაიმე ამბავმა, შემთხვევამ მოახდინა.
**2.** თვით ეს ამბავი.
◎ **სენსაციური** და **სასენსაციო.**
⊙ **ს. ცნობა, ს. აღმოჩენა.**

**სენტიმენტალური** – იხ. **სანტიმენტალური.**

**ᲡᲔᲜᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛ**-ი [ფრ. sensualisme < ლათ. sensus შეგრძნება] – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებებს, აღქმებს მიიჩნევს.

**ᲡᲔᲜᲢᲔᲜᲪᲘᲐ** [ლათ. sententia აზრი, მსჯელობა] – მორალური ხასიათის გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება.

**ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲖᲛ**-ი [ფრ. separatisme] – **1**. სწრაფვა გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ.
**2**. მრავალეროვან ქვეყნებში: ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ.

**ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢ**-ი სეპარატიზმის მომხრე.

**ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲣᲚ**-ი [ლათ. separatus] – განკერძოებული, განცალკევებული.
⊙ **ს. თათბირი.**
**სეპარატული ზავი** – ომის დროს კოალიციაში მყოფი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგესთან დადებული ზავი თავისი სამხედრო მოკავშირეების თანხმობის გარეშე.
○ **სეპარატიული შცდ.**

**ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲐ** [ლათ. separatio] – გამოყოფა.

**ᲡᲔᲞᲢᲣᲐᲒᲘᲜᲢᲐ** [ლათ. „სამოცდაათი“] – ძვ. აღთქმის (ბიბლიის) თარგმანი, რაც იერუსალიმიდან მეფე პტოლომეოსის მიწვევით ალექსანდრიაში ჩასულ 70 განმარტოებულმა შეასრულა 70 დღეში ძვ. ებრაულიდან ბერძნულზე, იმ ებრაელთათვის, რომელნიც ეგვიპტეში ცხოვრობდნენ ან პალესტინის გარეთ იყვნენ გაფანტულნი და აღარ იცოდნენ ებრაული.

**ᲡᲔᲠᲐᲞᲘᲡ**-ი [ბერძ. Serapis] – ელინისტური ეგვიპტის მთავარი (სიცოცხლის, სიკვდილისა და განკურნების) ღვთაება.

**ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛ**-ი [ძვ. ებრ. seraphim (მრ.)] – ქრისტიანულ რელიგიაში: ექვსფრთიანი ანგელოზი უმაღლესი იერარქიისა.

**ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲓᲐ** [<ფრ. serenade, იტ. serenata] – **1**. შუა საუკუნეებში იტალიასა და ესპანეთში: სატრფოსადმი მიძღვნილი სამიჯნურო სიმღერა, რომელსაც მისი ფანჯრის წინ ასრულებდა ახალგაზრდა კაცი გიტარის ან სხვა სიმებიანი საკრავის აკომპანიმენტით.
**2**. კამერული მუსიკის ჟანრი.
◎ **სერენადისა.**
○ **სერენადასი შცდ.**

**ᲡᲔᲠᲕᲔᲠ**-ი [ინგლ. server მომსა-

ხურე] – მძლავრი კომპიუტერი, რომელიც ქსელში გადაცემის როლს ასრულებს.

**სერვიზ**-ი [ფრ. service] – სუფრის, ყავის ან ჩაის ჭურჭლის სრული კომპლექტი ადამიანთა გარკვეული რაოდენობისათვის.

⊙ **სუფრის ს., ჩაის ს., თორმეტი კაცისათვის განკუთვნილი ს.**

**სერვის**-ი [ინგლ. service] – მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

**სერია** [ლათ. series მწკრივი, რიგი] – **1**. ერთგვარი საგნების რიგი, ჯგუფი; მოვლენათა თანმიმდევრული რიგი.

⊙ **ნახატების ს.**

**2**. დიდი კინოფილმის ერთგვარად დამოუკიდებელი ნაწილი.

⊙ **ფილმის პირველი** (მეორე) **ს.**

**3**. ფასიანი ქაღალდების, დოკუმენტების თანრიგი, რაც ციფრებით ან ასოებით არის აღნიშნული.

◎ **სერიული** (მნიშვნ. 1-ისათვის).

⊙ **ავტომობილების ს. გამოშვება.**

**სერიალ**-ი [ინგლ. serial რაც მწკრივს ქმნის] – მრავალსერიიანი კინო ან ტელეფილმი.

**სერიოზული** [ფრ. serieux] – **1**. დინჯი, დაფიქრებული, დარბაისელი.

⊙ **ს. ადამიანი.**

**2**. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი თვისება.

⊙ **საქმისადმი ს. დამოკიდებულება.**

**3**. საყურადღებო, მნიშვნელოვანი.

⊙ **ს. საკითხი, ს. წიგნი.**

**4**. (საუბ.) საშიში, სახიფათო, მძიმე.

⊙ **ს. დაავადება, ს. მდგომარეობა.**

**სერპანტინ**-ი [ფრ. serpentin < serpent გველი] – **1**. ფერადი ქაღალდის გრძელი და წვრილი ლენტი, რომელსაც ისვრიან მოცეკვავეები ბალის, მასკარადის, კარნავალის დროს.

**სერპენტარიუმ**-ი [ლათ. serpens (serpentis) გველი] – შხამიანი გველების მოსაშენებელი ადგილი მათგან შხამის მისაღებად.

**სერპენტინ**-ი [ლათ. serpentinus გველის] – მიხვეულ-მოხვეული გზა მთაში.

**სერტიფიკატ**-ი [ფრ. sertificat] – **1**. ზოგი სახელმწიფო სესხის ბილეთის სახელწოდება.

**2**. საგარეო ვაჭრობაში: საბუთი, რომელიც ახლავს საქონელს და, რომელშიც აღნიშნულია საქონლის ხარისხი, ფასი და სხვ.

**3**. მოწმობა, წერილობითი ცნობა.

⊙ **ს. კომპიუტერული კურსების დამთავრების შესახებ.**

○ **სერთიფიკატი, სერტიფიკათი შცდ.**

**სერფბორდ**-ი [ინგლ. surfboard < surf (ზღვის) მოქცევა და board ფიცარი] – გრძელი და ვიწრო ფიცარი (კორპისა, ქაფპლასტისა), რომელსაც იყენებენ სერფინგში.

**სერფინგ**-ი [ინგლ. surfing ზვირთებზე სრიალი] – წყლის სპორტის სახეობა – შეჯიბრება სპეციალური ფიცრით (სერფბორდით) სრიალში ზღვის, ოკეანის ზვირთებზე.

**სესია** [ლათ. sessio სხდომა] – 1. სხდომა, რომელსაც პერიოდულად ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები და სხვ.

⊙ **პარლამენტის ს., სამეცნიერო ს.**

2. უმაღლეს სასწავლებლებში: გამოცდების ჩაბარების პერიოდი; თვით ეს გამოცდები.

⊙ **საგამოცდო ს.**

◎ **სასესიო.**

⊙ **ს. საგნები, ს. ვადები, ს. დარბაზი.**

**სეტ**-ი[1] [ინგლ. set] – (სპორტ.) პარტია ჩოგბურთის თამაშში.

**სეტ**-ი[2] – ძვ. ეგვიპტის რელიგიასა და მითოლოგიაში: უდაბნოსა და უცხო ქვეყნების ღმერთი, ოსირისის ძმა და მკვლელი.

**სეტერ**-ი [ინგლ. setter] – გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

**სექსი** [ლათ. sexus სქესი] – სქესობრივი ურთიერთობა ორ საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს შორის. მასთან დაკავშირებული ფსიქიკურ რეაქციათა,განცდათა და ქცევათა ერთობლიობა.

**სექსოლოგია** [ლათ. sexus სქესი და ბერძ. logos მოძღვრება] – სამეცნიერო კვლევისა და ცოდნის დარგი სქესობრივი ცხოვრების შესახებ.

**სექსოპათოლოგია** [ლათ.sexus სქესი და (იხ. პათოლოგია)] – კლინიკური მედიცინის ნაწილი; შეისწავლის სქესობრივ მოშლილობას – დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით.

**სექტა** [ლათ. secta მოძღვრება, სკოლა] – 1. რელიგიური თემი, რომელიც განუდგა გაბატონებულ ეკლესიას.

2. (გადატ.) განცალკევებული, კარჩაკეტილი ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც გამოირჩევა დოგმატური შეხედულებებით.

○ **სეკტა შცდ.**

**სექტანტ**-ი – სექტის წევრი.

◎ **სექტანტური.**
⊙ **ს. მოძრაობა.**
○ **სეკტანტი, სეკტანტური შცდ.**

**სექტორ**-ი [ლათ. sector] – **1.** (მათემ.) წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით.
**2.** რაიმე ფართობის ნაწილი, უბანი, შემოსაზღვრული რადიალური ხაზებით.
⊙ **სტადიონის სამხრეთი ს.-ები, თავდაცვის ს.**
**3.** დაწესებულების, ორგანიზაციის განყოფილება.
⊙ **აღიცხვის ს., კადრების ს.**
**4.** სახალხო მეურნეობის ნაწილი, რომელსაც გარკვეული ეკონომიკურ-სოციალური ნიშნები ახასიათებს.
⊙ **კერძო ს. ვაჭრობაში.**
○ **სეკტორი შცდ.**

**სექცია** [ლათ. sectio გაკვეთა] – **1.** რაიმე დაწესებულების, ორგანიზაციის ნაწილი, განყოფილება.
⊙ **სპორტული ს., ფეხსაცმლის ს. მაღაზიაში.**
**2.** რაიმე მთლიანობის (მაგ; ავტომობილის, ნაგებობის) ნაწილი.
⊙ **სახლის მარჯვენა ს., რადიატორის ს.**
**3.** ყრილობა, კონფერენციის ქვეგანყოფილება.
⊙ **ს.-ზე წაკითხული მოხსენება.**
◎ **სექციური** (მნიშვნ. 3-ისათვის).
⊙ **ს. მუშაობა.**

**სექციონერ**-ი – მაღაზიის სექციის გამგე.

**სვასტიკა** [სანსკრ. svastika] – სწორკუთხად მოხრილი ბოლოების მქონე ჯვარი – ორნამენტული მოტივი, რომელიც გვხვდება ძველი ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის და ზოგ სხვა ქვეყნების ხელოვნებაში; გერმანელმა ფაშისტებმა თავიანთ ემბლემად გამოიყენეს.

**სვინაქსარ**-ი [ბერძ. svynaxarion: სვინაქსის კრებული] – წმინდანთა ცხოვრების ან ქრისტიანულ დღესასწაულთა აღწერილობა. იყენებენ ღვთისმსახურების დროს.

**სვინგ**-ი [ინგლ. swing] (სპორტ.) კრივში: გვერდული დარტყმა შორი მანძილიდან.

**სი** [იტ. si] – მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი.

**სიბილა** [ბერძ. sibyla] – ძვ. საბერძნეთსა და რომში: წინასწარმეტყველი ქალი.

**სიგნალ**-ი [გერმ. Signal] – **1.** პირობითი ნიშანი, რომლითაც იტყობინებიან რასმე, გადასცემენ რაიმე განკარგულებას.
⊙ **ზუსტი დროის ს., საგზაო**

**ს.-ები., ს.-ის მიცემა.**
**2.** (გადატ.) გაფრთხილება რაიმე არასასურველის შესახებ.
⊙ **გაზეთში შემოსული ს.**
◎ **სასიგნალო.**
⊙ **ს. რაკეტა.**

**სიგნალიზაცია** – **1.** სიგნალების სისტემა, რომელსაც სადმე იყენებენ.
⊙ **სარკინიგზო ს.**
**2.** მოწყობილობა სიგნალების მისაცემად.
⊙ **ავტომატური ს.**
◎ **სასიგნალიზაციო.**
⊙ **ს. ალამი, ს. ხელსაწყო.**

**სიდრ**-ი [ფრ. cidre] – ვაშლის ღვინო.

**სიესტა** [ესპ. siesta] – ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში და სხვ: შუადღის დასვენება (სადილის შემდეგ, როდესაც ყველაზე ძალიან ცხელა).

**სიზიგიებ**-ი [ბერძ. syzygia შეერთება; წყვილი] – მთვარის ორი ფაზის – მისი დაბადების და გავსების – საერთო სახელწოდება, როდესაც მზე, დედამიწა და მთვარე განლაგებულია ერთ სწორ ხაზზე. ამ დროს ზღვის მოქცევა ყველაზე მაღალია.

**სილოს**-ი [ესპ. silos (მრ.)] **1.** საქონლის წვნიანი საკვები, რომელსაც ამზადებენ დაქუცმაცებული საკვები მცენარეების დამჟავებით სპეციალურ ნაგებობაში (კოშკში, ტრანშეაში, ორმოში).
⊙ **ს.-ის დამზადება.**
**2.** თვით ნაგებობა ასეთი სილოსის დასამზადებლად.
◎ **სილოსისა.**
⊙ **ს. კოშკი, ს. კულტურები, ს. მზესუმზირა, ს. სიმინდი.**
◎ **სასილოსისა.**
○ **სასილოსესი შცდ.**

**სილუეტ**-ი [ფრ. silhouette < საკუთ. სახ.] – **1.** ვისიმე ან რისამე ერთფერი კონტურული გამოსახულება, დახატული (ან გამოჭრილი და დაკრული) სხვა ფერის ფორმაზე.
**2.** საგნის, ნაგებობის, ფიგურის და სხვა დამახასიათებელი მოხაზულობა (კონტურები), რომელიც შორ მანძილზე, ბურუსში ან სიბნელეში აღიქმება.
⊙ **მთის ს., სახლების ს.-ები.**

**სიმბიოზ**-ი [< ბერძ. symbiôsis თანაცხოვრება] – (ბიოლ.) სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება, რაც სასარგებლოა თითოეული მათგანისათვის.

**სიმბიონტ**-ი [< ბერძ. symbiôn (symbiontis) ვინმესთან, რამესთან ერთად მცხოვრები] – (ბიოლ.) სიმბიოზის ერთ-ერთი მონაწილე.

**სიმბოლიზმ**-ი [ფრ. symbolisme] – ანტირეალისტური, დეკადენტური მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში მე-19 ს.-ის ბოლოს და მე-20 ს.-ის დასაწყისში; მხატვრულ ხერხად აცხადებდა სიმბოლოს როგორც საგნებისა და მოვლენების მიუღწეველი არსის გამოხატვის საშუალებას.

**სიმბოლიკა** – კრებ. სიმბოლოთა ერთობლიობა; სიმბოლოები.

⊙ **საქართველოს ს.** (დროშა, გერბი).

◎ **სიმბოლიკისა.**

○ **სიმბოლიკასი შცდ.**

**სიმბოლო** [ბერძ. symbolon] – **1.** საგანი, მოქმედება და სხვ., რომელიც რაიმე მცნების, იდეის პირობით ნიშანს წარმოადგენს.

⊙ **მტრედი მშვიდობის ს.-ა.**

**2.** რაიმე სიდიდის პირობითი აღნიშვნა, რაც მიღებულია ამა თუ იმ მეცნიერებაში.

⊙ **ალბერტ აინშტაინის ფორმულა $E=mc^2$.**

◎ **სიმბოლური.**

⊙ **ს. ნიშანი, ს. ნახატი.**

○ **სიმბოლიური შცდ.**

**სიმეტრია** [ბერძ. symmetria] – რაიმე მთელის ნაწილების თანაზომიერი, პროპორციული განლაგება ცენტრის, შუაგულის მიმართ; თანაზომიერება, პროპორციულობა რისამე განლაგებაში.

⊙ **ადამიანის სხეულის ნაწილების ს., ს.-ის დაცვა.**

◎ **სიმეტრიული.**

⊙ **ს. ფიგურა, ქუჩების ს. დაგეგმარება.**

○ **სიმეტრული შცდ.**

**სიმპათია** [ბერძ. sympathia თანაგრძნობა] – შინაგანი კეთილი განწყობილება ვინმესადმი (საპირისპ. **ანტიპათია**).

**სიმპათიური** – სიმპათიის გამომწვევი, მიმზიდველი.

⊙ **ს. ადამიანი, ს. გარეგნობა.**

◎ **უსიმპათიო.**

⊙ **უ. ადამიანი.**

○ **სიმპატია, სიმპატიური, სიმპათური, სიმპატური, უსიმპატიო შცდ.**

**სიმპოზიუმ**-ი [ლათ. simpozium < ბერძ. symposion წვეულება] – საერთაშორისო თათბირი რაიმე სამეცნიერო საკითხზე.

⊙ **საერთაშორისო ს. კოსმოსის ტორსული ველების შესახებ.**

**სიმპტომ**-ი [ბერძ. symptoma დამთხვევა; ნიშან-თვისება] – რაიმე მოვლენის (ჩვეულებრივ რაიმე დაავადების) დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი.

⊙ **კრიზისის მომასწავებელი ს.-ები.**

◎ **სიმპტომური** და **სიმპტომატური.**

⊙ **ს. მოვლენები.**

**სიმულანტ**-ი [ლათ. simulans (simulantis)] – პირი, რომელიც სიმულაციას მიმართავს

○ **სიმიულანტი შცდ.**

**სიმულაცია** [ლათ. simulatio] სიმულირება [გერმ. simulieren] – რისამე (მაგ. ავადმყოფობის) მოგონება ვისიმე მოტყუების მიზნით.

○ **სიმულიაცია შცდ.**

**სიმფონია** [ბერძ. symphonia თანაჟღერა, თანახმიანობა] – **1.** დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის, ჩვეულებრივ შედგება სამი ან ოთხი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მუსიკის ხასიათითა და ტემპით.

**2.** ბგერათა ჰარმონიული შეხამება; თანაჟღერა.

**3.** რაიმე ნაწარმოების ტექსტში ნახმარ სიტყვათა სია; კონკორდანსი.

**სინაგოგა** [< ბერძ. synagoge კრება, საკრებულო] – ებრაელთა სამლოცველო სახლი, ტაძარი.

◎ **სინაგოგისა.**

○ **სინაგოგასი, სინაღოღა შცდ.**

**სინდრომ**-ი [ბერძ. syndrome თავმოყრა] – (მედიც.) რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა.

**სინედრიონ**-ი [< ბერძ. synedrion კრება, საბჭო] – **1.** (ისტ.) იუდეაში: უხუცესთა საბჭო, უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება, სადაც შედიოდნენ რელიგიური წინამძღვრებიც.

**2.** (მოძვ. გადატ.) კრება, თათბირი, საბჭო.

**სინეკურა** [< ლათ. sine cura უზრუნველად] – შემოსავლიანი თანამდებობა, რომელიც დიდ შრომას არ მოითხოვს; თბილი ადგილი.

**სინთეზ**-ი [ბერძ. synthesis შეერთება, შეხამება] – **1.** სამეცნიერო კვლევაში: მეცნიერული კვლევის მეთოდი; ანალიზის მონაცემთა განზოგადება.

**2.** ქიმიური ნივთიერების მიღება მარტივ ნივთიერებათა ან ელემენტთა შეერთების გზით (საპირისპ. **ანალიზი**).

◎ **სინთეზური.**

⊙ **კვლევის ს. მეთოდი, ს. კაუჩუკი, ს. ბოჭკო, ს. ქსოვილები.**

○ **სინთეტიკური, სინტეტიკური შცდ.**

**სინიორ**-ი [იტ. signore] – იტალიაში: ბატონი, სინიორი (ჩვეულებრივ, გვართან ან სახელთან ერთად) – ბატონი; ბატონო!

⊙ შდრ. ესპ. **სენიორი.**

**სინიორ**-ა [იტ. signora] – იტალიაში: ქალბატონი; სინიორა (ჩვეულებრივ, გვართან ან სახელთან ერთად) – ქალბატონი; ქალბატონო!

⊙ შდრ. ესპ. **სენიორა.**

**სინიორინა** [იტ. signorina] – იტალიაში: ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი; ქალიშვილი; სინიორინა (ჩვეულებრივ, გვართან ან სახელთან ერთად) – ქალიშვილი; ქალიშვილო!

⊙ შდრ. ესპ. **სენიორიტა.**

◎ **სინიორინასი.**

○ **სინიორინისა შცდ.**

**სინოდ**-ი [ბერძ. synodos კრება] – **1.** მართლმადიდებელი ეკლესიის კოლეგიალური ორგანო.

**2.** პროტესტანტულ ეკლესიაში: სასულიერო და საერო პირთა კრება მნიშვნელოვან საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად.

**სინონიმ**-ი [ბერძ. synonimos] – სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით სხვა სიტყვას ემთხვევა ან ძალიან ახლოსაა მასთან, ბგერითი შემადგენლობით კი განსხვავდება მისგან.

მაგ; **„ჭკუა“** და **„გონება“, „ხალიჩა“** და **„ნოხი“, „ააშენებს“** და **„აგებს“** (საპირისპ. **ანტონიმი**).

◎ **სინონიმური**.

⊙ **ს. სიტყვები.**

**სინოპტიკა** – მეცნიერება ამინდის წინასწარი გამოცნობის შესახებ.

**სინოპტიკოს**-ი – მეტეოროლოგი, რომელიც დასპეციალებულია ამინდის პროგნოზირებაში.

**სინოპტიკურ**-ი [<ბერძ. synoptikos ვისაც შეუძლია ყველაფერი ერთად მიმოიხილოს] – რაც დაკავშირებულია მეტეოროლოგიურ პირობებთან, ამინდის მდგომარეობასთან.

⊙ **ს. პროცესები, ს. პირობები.**

**სინტაქს**-ი [ბერძ. syntaxis] – გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვების ერთმანეთთან შეერთებას და წინადადების აგებულებას.

◎ **სინტაქსური.**

⊙ **წინადადების ს. ანალიზი.**

**სინუს**-ი [ლათ. sinus ღუნი, სიმრუდე] – (მათემ.) კუთხის ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია მართკუთხა სამკუთხედში; უდრის მოპირდაპირე კათეტის შეფარდებას ჰიპოტენუზასთან.

**სინქრონია** [< ბერძ.] – (ლინგვ.) ენის სტატიკური მდგომარეობა (შდრ. **დიაქრონია**).

**სინქრონიზმ**-ი [< ბერძ. synchronismos] – ორი ან რამდენიმე მოვლენის, პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში, ერთდრო-

ული მიმდინარეობა.

**ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚ**-ი [< ბერძ. synchronos] – რაც რამესთან ერთდროულად ხდება.

⊙ **ს. მოქმედება, ს. თარგმანი** (მაგ; მოხსენებისა).

○ **სინხრონული შცდ.**

**ᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛ**-ი – მსოფლიოს ყველა ებრაელის გადასახლება პალესტინაში და იქ ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა.

**ᲡᲘᲠᲔᲜᲐ** [ბერძ. seirēn, ლატ. siren] – სასიგნალო საყვირი, რომელიც გამოსცემს მკვეთრ, ყმუილისებრ ხმას.

⊙ **სახანძრო ავტომობილების ს., სასწრაფო დახმარების ავტომბილის ს.**

◎ **სირენისა.**

○ **სირენასი შცდ,**

**ᲡᲘᲠᲘᲣᲡ**-ი [ბერძ. seirios მწველი] – ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.

**ᲡᲘᲠᲝᲙᲝ** [იტ. sirocco < არაბ.] – ცხელი ქარი, რომელიც იცის სამხრეთ ევროპაში (ქრის ჩრდილოეთ ამერიკის უდაბნოებიდან).

**ᲡᲘᲠᲝᲤ**-ი [ფრ. sirop] – შაქართან ერთად მოდუღებული ხილის, კენკრის სქელი წვენი (ქართ. სინონ. **ვაჟინი**).

⊙ **ალუბლის ს.**

◎ **სიროფიანი.**

⊙ **ს. წყალი.**

○ **სიროპი, სიროპიანი შცდ.**

**ᲡᲘᲠᲢᲐᲙ**-ი [ბერძ. syrtaki] – ბერძ. ჯგუფური ცეკვა ერთგვარი.

**ᲡᲘᲡᲘᲤᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ** – ითქმის დაუსრულებულ და უნაყოფო მძიმე შრომაზე [საბერძნეთის (კორინთის) მითოლოგიური მეფის სახელის მიხედვით; ღმერთების გადაწყვეტილებით მას მაღალ მთაზე უნდა აეგორებინა მძიმე ქვა (ლოდი), რომელიც მწვერვალზე ატანისთანავე უკან გორდებოდა].

**ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ** [ბერძ. systema] – **1.** თანმიმდევრულად გატარებული მეთოდი, წესები, რომელთა მიხედვითაც ხდება რამე.

⊙ **აღზრდის ს., საარჩევნო ს., მეცნიერული კვლევის ს.**

**2.** ერთობლიობა პრინციპების, რომელიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს.

⊙ **ემანუელ კანტის ფილოსოფიის ს., იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ს.**

**3.** მთლიანობა ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისა.

⊙ **მზის ს., ნერვული ს., ელემენტთა პერიოდული ს.**

4. საზოგადოებრივი წყობილება.

⊙ **კაპიტალისტური ს.**

5. ორგანიზაციულად გაერთია-

ნებულ დაწესებულებათა ერთობლიობა.

⊙ **მეცნიერებათა აკადემიის ს-ის ინსტიტუტი.**

6. ტექნიკური მოწყობილობა, კონსტრუქცია,

⊙ **ახალი ს.-ის თვითმფრინავი.**

◎ **სისტემატური** და **სისტემური.**

**1.** რაც სისტემასთან (მნიშვნ. 1) არის დაკავშირებული; სისტემაზე დაფუძნებული.

⊙ **ს. კატალოგი, ს. გადმოცემა საკითხისა.**

**2.** რაც განუწყვეტლივ მეორდება; განუწყვეტელი.

⊙ **ს. მეცადინეობა, ს. მკურნალობა. ს. დაკვირვება.**

⊙ **სისტემატიკური** სხვაა (იხ. **სისტემატიკა**).

○ **სისტემატიური შცდ.**

**სისტემიზაცია** [ფრ. systematisation] – სისტემაში მოყვანა რისამე.

⊙ **მოპოვებული მასალების ს., მეცნიერულ დაკვირვებათა ს.**

**სისტემატიკა** – ბიოლოგიური მეცნიერება, რომელიც ახდენს მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციას.

◎ **სისტემატიკური.**

⊙ **ს. ჯგუფები, ს. კატეგორიები.**

⊙ **სისტემატიური, სისტემური სხვაა (იხ. სისტემა).**

**სისტოლა** [ბერძ. systolē] – (ანატ.) გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – შეკუმშვა.

**სიტი** [ინგლ. City] – **1.** დიდ ბრიტანეთში: მნიშვნელოვანი, პრივილიგირებული ქალაქი, რომელშიც არის საეპისკოპოსო კათედრა, ან რომელსაც მიღებული აქვს სამეფო სიგელი.

**2.** აშშ-ში: ადგილობრივი თვითმმართველობის მქონე, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქალაქი.

**სიტუაცია** [ფრ. situation] – შექმნილი პირობების ერთობლიობა; გარემოება, მდგომარეობა.

**სიუიტა** [ფრ. suite] – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი, მაგრამ საერთო იდეურ-პოეტური ჩაფიქრებით დაკავშირებული ნაწილისაგან.

○ **სუიტა შცდ.**

**სიუჟეტ**-ი [ფრ. sujet] – ერთობლიობა მოქმედებათა, ამბებისა, რაც შეადგენს მხატვრული ნაწარმოების ძირითად შინაარსს.

⊙ **პიესის ს., ს.-ის განვითარება.**

◎ **სიუჟეტური.**

⊙ **ს. ქარგა, ს. მთლიანობა.**
○ **სუჟეტი, სუჟეტური შცდ.**

**სიურპრიზ**-ი [ფრ. surprise] – მოულოდნელი საჩუქარი, მოულოდნელი სასიამოვნო ამბავი.
⊙ **სასიამოვნო ს.**
○ **სურპრიზი შცდ.**

**სიურეალიზმ**-ი [ფრ. surrēalisme ზერეალიზმი] – ერთ-ერთი უკიდურესი ფორმალისტური მიმართულება, რომელიც უარყოფს გონებისა და ცდის როლს ხელოვნებაში და შემოქმედების წყაროს ეძებს ქვეცნობიერების სფეროში (სიზმრებში, ჰალუცინაციებში, ინსტიქტებში და მისთ.).

**სიფილის**-ი [< ფრ. საშ. ლათ. Siphilus < ბერძ. sys ღორი და philos მეგობარი, იტ. ექიმის ფრანკასტორის (1483-1553) მიერ სიფილისის თემაზე დაწერილი ლათინური პოემის მოქმედი პირი] – გადამდები ვენერიული დაავადება (ქართ. სინონ. **ათაშანგი**).

**სკალა** [ლათ. scala კიბე] – **1.** სხვადასხვა ხელსაწყოში: დანაყოფებიანი სახაზავი ან ციფერბლატი.
**2.** ათრიცხვა სისტემა,რომელიც მიღებულია რაიმე სიდიდეთა გასაზომად, შესაფასებლად ან განსასაზღვრავად.

**სკალპ**-ი [ინგლ. scalp] – თავის კანი თმებიანად.

**სკალპელ**-ი [ლათ. scalpellum] – პატარა ქირურგიული დანა.

**სკანდალ**-ი [ფრ. scandale] – **1.** გახმაურებული სამარცხვინო შემთხვევა.
⊙ **პოლიტიკური ს.**
**2.** აურზაური, აყალმაყალი, დებოში, ჩხუბი, ლანძღვა-გინებით.
⊙ **ქუჩაში ს. ატყდა.**
◎ **სკანდალური** და **სასკანდალო.**
⊙ **ს. (ს.) შემთხვევა.**

**სკანდირება** [< ლათ. scando ავდივარ] – მკაფიოდ, დამარცვლით წარმოთქმა.

**სკაუტიზმ**-ი [< ინგლ. scaut მზვერავი] – სკოლისგარეშე აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სისტემა; წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების მუშაობის საფუძველს; წარმოიშვა დიდ ბრიტანეთში მე-20 ს.-ის დასაწყისში.

**სკაფანდრ**-ი [ფრ. scaphandre < ბერძ. skaphē ეტლი, ნავი და anēr (andros) ადამიანი, კაცი] – ჰერმეტიული ჩაცმულობა (კოსტიუმი) მყვინთავების, კოსმონავტებისა, ასტრონავტების და სხვა.

**სკეიტბორდ**-ი [ინგლ. skateboard skate ციგურაობა და board ფიცარი] – გორგოლაჭებიანი პატარა ფიცარი, რომელზედაც ორივე ფეხით დგებიან და ისე მოძრაობენ.
○ **სკეიბორდი შცდ.**

**სკეპტიკოს**-ი – ადამიანი, რომელიც სკეპტიციზმით არის განმსჭვალული, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურბს.
○ **სკეპტიკი შცდ.**

**სკეპტიციზმ**-ი [ფრ. scepticisme < ბერძ. skepsis განხილვა, განსჯა] – **1.** იდეალისტური ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარყოფს ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობებს.
**2.** კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რისამე სისწორეში ან შესაძლებლობაში.
◎ **სკეპტიკური.**
⊙ **ს. ტონი, ს. დამოკიდებულება.**

**სკეტინგ-რინკ**-ი [ინგლ. skating-rink] – მოსფალტებული მოედანი ან ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად.

**სკეტჩ**-ი [ინგლ. sketch მონახაზი] – სახუმარო შინაარსის მქონე მცირე საესტრადო პიესა.

**სკვერ**-ი [ინგლ. square] – პატარა საზოგადოებრივი ბაღი ქალაქში.

**სკიპტრა** [ბერძ. skēptra] – სამეფო კვერთხი – მონარქიული ხელისუფლების სიმბოლო, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით და ხრახნით, მეფის ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანი.

**სკიფ**-ი [ინგლ. skiff] – გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი.

**სკლერა** [ბერძ. sklēra (მდედრ.) მაგარი] – (ანატ.) თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი.

**სკლერიტ**-ი (მედიც.) სკლერის (იხ. **სკლერა**) ანთება.

**სკლეროზ**-ი [ბერძ. sklērôsis გამაგრება] – (მედიც.) სხვადასხვა ორგანოს ავადმოყოფური გამკვრივება, რასაც იწვევს ფუნქციური ელემენტების დაღუპვა და მათი შეცვლა შემაერთებელი ქსოვილით.

**სკოტლანდ-იარდ**-ი [ინგლ. Scotland Yard] – ლონდონის პოლიციის ცენტრალური სამმართველოს სახელწოდება.

**სკოჩ**-ი [ინგლ. scotch] – შოტლანდიური ვისკი.

**სკრუპულოზურ**-ი [ლათ. scrupulosus] – **1.** ზედმოწევნით ზუსტი, დაწვრილებით.
**2.** წვრილმანური.

**სკულპტორ**-ი – [ლათ. sculptor] – ხელოვანი, რომელიც სკულპტურას (ქანდაკებას) ქმნის (ქართ. სინონ. **მოქანდაკე**).

**სკულპტურა** [ლათ. sculptura] – ხელოვნების ნაწარმოები – თიხისგან ან სხვა მასალისგან გამოძერწილი, ქვისაგან, ხისგან გამოთლილი ან ლითონისგან ჩამოსხმული ფიგურა (ქართ. სინონ. **ქანდაკება**).

◎ **სკულპტურული.**

⊙ **ს. პორტრეტი, ს. გამოსახულება.**

**სკუტერ**-ი [ინგლ. scooter] – **1.** ერთადგილიანი სპორტული ნავი, პატარა გლისერი, რომელსაც კიდული ძრავა აქვს.

**2.** ძრავის მქონე მარხილი; გავრცელებულია ჩრდილოეთის ქვეყნებში (ფინეთში და სხვ.)

**სკუფია** [ბერძ. skuphia] – **1.** წვეტიანი რბილი ქუდი (შავი ან იისფერი ხავერდისა), რომელსაც ატარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურნი.

**3.** პატარა მრგვალი უფარფლო ქუდი.

**სლაიდ**-ი [ინგლ. slide სრიალი] – **1.** სარბოლ ნავში: მოძრავი დასაჯდომი, რომელიც ნიჩბის მოსმის დროს სრიალებს წინ და უკან; საშუალებას აძლევს სპორტსმენს უკეთესად გამოიყენოს ფეხების ძალა და რაც შეიძლება შორს მოუსვას ნიჩბები.

**2.** იგივეა, რაც დიაპოზიტივი.

**სლალომ**-ი [ნორვეგ. slalom] – ზამთრის სპორტის სახეობა – მთიდან თხილამურებით სწრაფდაშვება სპეციალურად მოწყობილ რთულ ტრასაზე.

⊙ **გიგანტური ს.**

**სლაქს**-ი [ინგლ. slaks (მრ.)] – შარვალი, რომლის ტოტები ბოლოში გაფართოებულია.

**სლენგ**-ი [ინგლ. slang] – იგივეა, რაც ჟარგონი. ინგლისურ ენაში: სიტყვა ან გამონათქვამი, რომელსაც ხმარობენ გარკვეული პროფესიის, წრის ადამიანები.

⊙ **ამერიკული ს.**

**სმარაგდ**-ი [ბერძ. smaragdos] – მინერალი, ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა (ქართ. სინონ. **ზურმუხტი**).

**სმერჩ**-ი [რუს. смерч] – (გეოგრ.) ქარიშხალი, რომელიც აჩენს უზარმაზარ (800-1500 მ. სიმაღლის) მტვრის სვეტს (ხმელეთზე) ან წყლისას (ზღვაზე).

**სმით-ვესონ**-ი [< საკუთ. სახ.] ძველებური რევოლვერი ერთგვარი.

**სმოგ**-ი [ინგლ. smog < smoke კვამლი და fog სქელი ნისლი] – შავი სქელი ნისლი, რომელიც წარმოიქმნება ბოლისა და ჭვარტლისაგან დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში.

**სმოკინგ**-ი [ინგლ. smoking (jacket)] – შავი მაუდის პიჯაკი, რომელსაც ღია გული და აბრეშუმით გაწყობილი გრძელი გადანაკეცები აქვს.

**სნაიპერ**-ი [ინგლ. sniper] – მსროლელი, რომელიც კარგად არის დაუფლებული მიზანში ზუსტად სროლას.

◎ **სნაიპერული.**

⊙ **ს. სროლა.**

◎ **სასნაიპერო.**

⊙ **ს. კურსები.**

**სნობ**-ი [ინგლ. snob] – ადამიანი, რომელიც ცდილობს ზუსტად დაიცვას მოდა და ე.წ. კარგი ტონის წესები; პირი, რომელსაც დახვეწილი გემოვნების, მანერების და მისთ. პრეტენზია აქვს და ამით თავი მოაქვს, ქედმაღლობს.

**სოდომი** და **გომორა** – ითქმის დიდი გარყვნილების, არეულდარეულობის, აურზაურის შესახებ (ორი ბიბლიური ქალაქის სახელების მიხედვით, რომელთა მცხოვრებლებიც გარყვნილებით).

**სოკერ**-ი [ინგლ. soker] – ასე უწოდებენ ევროპული წარმოშობის ფეხბურთს ამერიკის კონტინენტზე.

**სოლ** [იტ. sol] – მუსიკალური გამის მეხუთე ბგერა; ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი.

**სოლარიზაცია** [< ლათ. solaris მზიანი] – მზით დასხივება (ჩვეულებრივ, სამკურნალო მიზნით).

**სოლარიუმ**-ი [ლათ. solarium < sol მზე] და **აეროსოლარიუმი** – მზის აბაზანების მისაღებად სპეციალურად მოწყობილი ადგილი.

**სოლდაფონ**-ი [რუს. солдафон] – ხეპრე, ტლანქი, უკულტურო სამხედრო პირი.

○ **სალდაფონი შცდ.**

**სოლიდარულ**-ი [ფრ. solidaire] – ვინმესთან შეთანხმებული, ერთსულოვანი, მეგობრული.

**სოლიდური** [ფრ. solide] – (წიგნ.) – საიმედო, საფუძვლიანი.

⊙ **ს. ნაშრომი, ს. განათლება, ს. მეცნიერი.**

**სოლისტ**-ი [იტ. solista] – მომღერალი, მუსიკოსი ან მოცეკვავე, რომელიც მარტო ასრულებს რაიმე პარტიას.

⊙ **ოპერის ს., გუნდის ს., ბალეტის ს.**

**სოლიტერ**-ი [ფრ. (ver) solitaire < ლათ. solitarius მარტოხელა] – ბეჭედში, ბროშში და მისთ. ჩასმული მსხვილი ბრილიანტი.

**სოლო** [ფრ. solo] – მუსიკალური ნაწარმოები ან ცალკე პარტია, რომელიც განკუთვნილია ერთი საკრავის, მომღერლის ან მოცეკვავისათვის.

**სოლტისონ**-ი – შიგნეულისაგან დამზადებული ძეხვი.

**სოლფეჯიო** [იტ. solfeggio] – **1**. სმენის განვითარებული ვოკალური ვარჯიში – ნოტების მღერა მათი სახელწოდების წარმოთქმით.

**2**. სასწავლო საგანი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლეთა სმენის განსავითარებლად.

**სომბრერო** [ესპ. sombrero] – ესპანური ფართოფარფლიანი ქუდი.

**სომნამბულა** [ლათ. somnus ძილი და ambulare დადის, დაეხეტება] – მთვარეული.

◎ **სომნაბულიზმი, სომნამბული.**

**სონატა** [იტ. sonata < ლათ. sonare ჟღერა] – მუსიკალური ნაწარმოები ერთი ან ორი საკრავისათვის; ჩვეულებრივ 4 ან 3 ნაწილისაგან შემდგარი.

**სონეტ**-ი [იტ. sonetto] – თოთხმეტტაეპიანი ლექსი, რომელიც შედგება ორი ოთხტაეპიანი და ორი სამტაეპიანი სტროფისაგან.

**სოპრანო** [იტ. soprano] – **1**. ქალის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა.

**2**. ასეთი ხმის მქონე მომღერალი ქალი.

**სოსის**-ი [ფრ. soucisse] – პატარა წვრილი ძეხვი, რომელიც მოხარშული (ან შემწვარი) იჭმება.

○ **სასისკი შცდ.**

**სოუს**-ი [ფრ. souce] – **1**. რაიმე შეჭამანდის სქელი წვენი.

⊙ **ტომატის ს.**

**2**. წვრილად დაჭრილი ხორცითა და კარტოფილით მომზადებული შეჭამანდი.

○ **სოუზი შცდ.**

**სოციალ-დემოკრატ**-ი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

**სოციალ-დემოკრატია** [ლათ. socialis ამხანაგური საზოგადოებრივი და [ბერძ. demokratia] – ერთ-ერთი პოლიტიკური მიმდინარეობა.

◎ **სოციალ-დემოკრატიული.**

⊙ **ს.-დ. პარტია.**

**სოციალიზმ**-ი [ფრ. socialisme < ლათ.socialis საზოგადოებრივი] – სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება

ერთგვარი.

◎ **სოციალისტური.**

⊙ **ს. წყობილება, ს. პარტია.**

**ᲡᲝᲪᲘᲐ́ᲚᲘᲡᲢ**-ი – **1.** სოციალიზმის მიმდევარი.

**2.** სოციალისტური პარტიის წევრი.

**ᲡᲝᲪᲘᲐ́ᲚᲣᲠᲘ** [ლათ. socialis] – რაც დაკავშირებულია ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებასთან და მათ ურთიერთობასთან (ქართ. სინონ. **საზოგადოებრივი**).

⊙ **ს. მდგომარეობა, ს. დაზღვევა, ს. ურთიერთობანი.**

**ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** [ფრ. sociologie] – მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ.

◎ **სოციოლოგიური.**

⊙ **ს. გამოკვლევა, ს. თეორია.**

**ᲡᲞᲐ́ᲒᲔᲢ**-ი [იტ. spaghetti (მრ.)] იტალიური წარმოშობის წვრილი მაკარონი ერთგვარი.

**ᲡᲞᲐ́ᲖᲛ**-ი [ბერძ. spasmos] – ყელის, საყლაპავი მილის, კუჭ-ნაწლავის და მისთ. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა.

**ᲡᲞᲐ́ᲠᲘᲜᲒ**-ი [ინგლ. sparring] – (სპ.) თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა.

**ᲡᲞᲐ́ᲠᲢᲐᲙ**-ი [ლათ. Spartacus] – მონების ფართო აჯანყების ბელადი რომის იმპერიის წინააღმდეგ (1 ს. ძვ. წელთაღრ.).

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ́ᲐᲓᲐ** – **1.** დიდი სპორტული შეჯიბრება სახელმწიფო ან საერთაშორისო მასშტაბით; დიდი ფიზკულტურული დღესასწაული.

**2.** მასობრივი შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში [ძველ რომში მონათა აჯანყების ბელადის – სპარტაკის (1 ს. ძვ. წ. აღ.) – სახელის მიხედვით].

◎ **სასპარტაკიადო.**

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐ́ᲜᲔᲚ**-ი – ითქმის ადამიანზე, რომელიც მეტისმეტად თავშეკავებულ ცხოვრებას ეწევა და კმაყოფილდება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი რამეთი, თავს იწრთობს მკაცრი ცხოვრებით (ძველი ბერძნული სახელმწიფოს – სპარტას – სახელის მიხედვით, რომლის მოქალაქეებიც ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ მკაცრ პირობებს, ამტანობას).

◎ **სპარტანული.**

⊙ **ს. ამტანობა.**

**ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲜᲢ**-ი – პირი, რომელიც სპეკულაციას ეწევა (ქართ. სინონ. **გადამყიდველი**, **ქორვაჭარი**).

◎ **სპეკულანტური.**

⊙ **ს. ფასები.**

○ **სპეკულიანტი, სპეკულიანტური შცდ.**

**სპეკულაცია** [ლათ. speculatio დაზვერვა, ფარულად დათვალიერება] – საქონლის შესყიდვა და უკანონო გაყიდვა უფრო ძვირად.

◎ **სპეკულაციური** და **სასპეკულაციო.**

⊙ **ს. ფასები, ს. საქონელი.**

○ **სპეკულიაცია, სპეკულიაციური, სასპეკულიაციო შცდ.**

**სპელეოლოგია** [ბერძ. spelaion გამოქვაბული და logos მოძღვრება] – მეცნიერება,რომელიც შეისწავლის გამოქვაბულებს, მღვიმეებს.

**სპერმატოზოიდ**-ი [ბერძ. sperma (spermatos) თესლი, zôon ცხოველი და eidos სახე) – მამრობითი სასქესო უჯრედი (ქართ. ხალხ. სინონ. **მუჭური**).

**სპექტაკლ**-ი [ფრ. spectacle] – თეატრალური წარმოდგენა.

⊙ **სადიპლომო ს.**

○ **სპექტაკლი შცდ.**

**სპექტრ**-ი [ლათ. spectrum] – (ფიზ.) რაიმე სიდიდის ყველა მნიშვნელობათა ერთობლიობა. მაგ; ოპტიკური სპექტრი, რომელიც წარმოადგენს რაიმე სინათლის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად დაშლის შედეგს ტალღის სიგრძის, ანუ ფენის მიხედვით.

⊙ **მზის ს., ს.-ის ძირითადი ფენები.**

◎ **სპექტრული.**

⊙ **ს. ხაზები, ს. ანალიზი.**

○ **სპექტრი, სპექტრული, სპექტრალური, სპექტრალური შცდ.**

**სპეციალისტ**-ი [ფრ. specialiste] – ადამიანი, რომელსაც სპეციალური ცოდნა აქვს მეცნიერების ან ტექნიკის რაიმე დარგში.

⊙ **საავტომობილო ტრანსპორტის ს.**

**სპეციალურ**-ი [ლათ. specialis] – **1.** განსაკუთრებული, საგანგებო დანიშნულებისა.

⊙ **ს. შენობა.**

**2.** მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე ცალკე დარგთან დაკავშირებული.

⊙ **ს. სასწავლებელი.**

**სპეციფიკა** [ლათ. specificus თავისებური] – საგნის, მოვლენის დამახასიათებელი თავისებურებანი, რაც მას სხვებისაგან განასხვავებს.

⊙ **სამეცნიერო მუშაობის ს., ენათმცნიერების ს., ლექსიკოგრაფიის ს.**

◎ **სპეციფიკური.**

⊙ **წამლის ს. სუნი.**

○ **სპეციფიური შცდ.**

**სპიდვეი** [ინგლ. speedway, სამოტოციკლო ტრეკი] – (სპ.) მოტოციკლებით რბოლა წიდიან ტრეკზე; აგრეთვე რბოლა ყინულზე, მიწის ან ბალახის ტრეკზე.

**სპიდომეტრ**-ი [ინგლ. speedometer] – ხელსაწყო, რომელიც გვიჩვენებს ავტომობილის, მოტოციკლის მოძრაობის სიჩქარეს, აგრეთვე მის მიერ გავლილ მანძილს.

**სპიკერ**-ი [ინგლ. speaker] – **1.** პარლამენტის თავმჯდომარე.
**2.** აშშ-ში: წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე.
**3.** (სპ.) კრივში: პირი, რომელიც მაყურებელს უცხადებს მსაჯთა გადაწყვეტილებას.

**სპინინგ**-ი [ინგლ. spining] – სპორტული სათევზაო ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ანკესს შორს ისვრიან.

**სპირალ**-ი [ლათ. spiralis < spira ღუნი, ხვეული] – **1.** (მათემ.) ბრტყელი მრუდი (უსასრულო) ხაზი, რომელიც თანდათანობით სიდიდით რიგ მზარდ ბრუნს აკეთებს წერტილის ან ღერძის გარშემო.
**2.** ჭანჭიკისებრი ხაზი.
**3.** მავთული ან ზამბარა, რომელიც ერთ-ერთ ამ ხაზის მაგვარადაა მოხრილი.

**სპირიტიზმ**-ი [ლათ. spiritus სული] – მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება.

**სპირიტუალიზმ**-ი [< ლათ. spiritualis სულიერი] – რელიგიურ-ფილოსოფიური, იდეალისტური მოძღვრება, რომელიც სულს განხილავს როგორც სინამდვილის პირველ საწყისს, განსაკუთრებულ უსხეულო სუბსტანციას, რომელიც არსებობს მატერიის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად.

**სპლინ**-ი [ინლგ. spleen ელენთა] – (წიგნ.) სევდა, ნაღველი, მოწყენილობა (ს.-ს ძველად, ხსნიდნენ ელენთის დაავადებით).

**სპონსორ**-ი [ინგლ. sponsor] – ფირმა, ორგანიზაცია (ზოგჯერ კერძო პირიც), რომელიც კისრულობს რაიმე ღონისძიების ჩატარებას, რისამე მოწყობას თავისი დაფინანსებით.

**სპონტანურ**-ი [ლათ. spontaneus თვითნებური] – გარეგანი გავლენის გარეშე, თავისთავად, შინაგანი მიზეზებით წარმოქმნილი.

**სპორა** [ბერძ. spora თესლი] – ზოგი მცენარეული ორგანიზმის (წყალმცენარეების, სოკოების,

ხავსების) მიკროსკოპული ჩანასახი, რომელიც საჭიროა მათი გამრავლებისა და გავრცელებისათვის.

**სპორა́დულ**-ი [< ბერძ. sporadikos გაფანტული] – რაც დროდადრო (აქა-იქ) იჩენს თავს; არამუდმივი, არასაყოველთაო.

**სპო́რტ**-ი [ინგლ. sport] – ფიზიკური ვარჯიში ორგანიზმის განსავითარებლად და გასაკაჟებლად; ჩვეულებრივ აქვს შეჯიბრების ხასიათი.

⊙ **საცხენოსნო ს., საავტომობილო ს.**

◎ **სპორტული** და **სასპორტო.**

⊙ **ს. კოსტიუმი, ს. ინვენტარი.**

○ **სპორტიული შცდ.**

**სპო́რტსმენ**-ი [ინგლ. sportsman] – პირი, რომელიც სისტემატიურად მისდევს სპორტს.

**სპრი́ნტ**-ი [ინგლ. sprint] – (სპ.) შეჯიბრება მოკლე დისტანციაზე (სირბილში, ციგურაობაში, ველოსპორტში და მისთ.).

**სპრი́ნტერ**-ი [ინგლ. sprinter] – სპორტსმენი, რომელიც სპრინტშია დაოსტატებული.

◎ **სპრინტერული.**

⊙ **ს. რბოლა, ს. სიჩქარე** (შდრ. **სტაიერი**).

**სტაბილიზა́ცია** [ლათ. stabilis მყარე, მდგრადი] – რისამე მყარი, უცვლელი მდგომარეობის შექმნა; რისამე განმტკიცება.

⊙ **ფასების ს., ეკონომიკის ს.**

**სტაბი́ლური** [ლათ. stabilis] – მუდმივი, უცვლელი; მტკიცე, მყარი, მდგრადი.

⊙ **ს. ფასები, ს. მდგომარეობა.**

**სტაგნა́ცია** [ლათ. stagno ვაჩერებ, უმოძრაოს ვხდი] – **1.** (ეკონ.) წარმოების, ვაჭრობის და მისთ. შენელება, შეფერხება.
**2.** (მედიც.) ვენური სისხლის შეგუბება.

**სტა́დია** [ბერძ. stadion (სიგრძის საზომი)] – საფეხური, პერიოდი რისამე განვითარებაში, განვითარების ფაზა.

⊙ **პირველი ს., ბოლო ს.**

◎ **სტადიური.**

⊙ **ს. განვითარება.**

○ **სტადიალური შცდ.**

**სტადი́ონ**-ი [ბერძ. stadion ასპარეზი, მოედანი სირბილში შეჯიბრებისათვის] – ნაგებობა სპორტული შეჯიბრებისათვის; შედგება ფეხბურთის მინდვრისა და სარბენი ბილიკებისაგან და გარშემორტყმულია მაყურებელთა ტრიბუნებით.

**სტაი́ერ**-ი [ინგლ. stayer] – (სპ.) სპორტსმენი, რომელიც დაოსტატებულია გრძელ დისტანციაზე შეჯიბრებაში (სირბილში, ციგურაობაში, ავტოსპორტში

და სხვ.). შდრ. **სპრინტერი**.

◎ **სტაიერული.**

⊙ **ს. დისტანცია.**

**სტალაგმიტ**-ი [< ბერძ. stalagmos წვეთი] – გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტებად აღმართული შვერილი, რომელიც წარმოქმნილია თაღიდან ჩამონადენი კირიანი წყლის წვეთებისაგან (შდრ. **სტალაქტიტი**).

**სტალაგნატ**-ი [< ბერძ. stalagmos] და **სტალაქტონ**-ი [ბერძ. stalaktos] – გამოქვაბულში: სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთებით წარმოქმნილი სვეტი, რომელიც გაჩენილია ჩამონაჟონი კირიანი წყლის წვეთებისაგან.

**სტალაქტიტ**-ი [ბერძ. stalaktos ჩამონაწვეთი] – გამოქვაბულის თაღიდან კონუსისებრ სვეტად ჩამოგრძელებული შვერილი, რომელიც წარმოქმნილია ჩამოჟონილ კირიანი წყლის წვეთებისგან. (შდრ. **სტალაგმიტი**).

○ **სტალაკტიტი შცდ.**

**სტანდარტ**-ი [ინგლ. standard] – **1.** ტიპობრივი ნიმუში, რასაც ზომის, ფორმის, ხარისხის და მისთ. მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს რაიმე ნაწარმი; რისამე საზომი, ნიშანი, ნორმა, საფუძველი.

⊙ **სახელმწიფო ს.**

**2.** (გადატ.) არაორიგინალური რამ; შაბლონი, ტრაფარეტი.

◎ **სტანდარტული** – **1.** სტანდარტის შესაფერისი; ტიპობრივი.

⊙ **ს. დეტალები, ს. ავეჯი.**

**2.** (გადატ.) შაბლონური, ტრაფარეტული.

⊙ **ს. თემები, ს. პასუხი.**

○ **სტანდარტიული შცდ.**

**სტანიცა** [რუს. станица] – კაზაკთა დიდი სოფელი.

**სტაპელ**-ი [ჰოლანდ. stapel] – წყლისაკენ დაქანებული ბეტონის მოედანი გემების ასაგებად და წყალში ჩასაშვებად.

**სტაჟ**-ი [ფრ. stage] – შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა.

⊙ **25 წლის ს.**

**სტარტ**-ი [ინგლ. start] – **1.** საწყისი მომენტი (სისწრაფეში) სპორტული შეჯიბრების ან საფრენი აპარატის აფრენისა.

**სტარტს აიღებს** – დაიწყებს შეჯიბრებას.

**2.** ადგილი, საიდანაც იწყება შეჯიბრება რაიმე მანძილის დასაფარავად.

⊙ **მორბენლები ს.-ზე დადგნენ.** (შდრ. **ფინიში**).

◎ **სასტარტო.**

⊙ **ს. მოედანი, ს. პისტოლეტი, ს. რაკეტა.**

**სტარტერ**-ი [ინგლ. starter] – **1.**

პირი, რომელიც სტარტის სიგნალს იძლევა.

**2.** ელექტრო აგრეგატი ავტომობილის, თვითმფრინავის და მისთ. ძრავას ასამუშავებლად.

**სტა́ტია** [რუს. Статья] – **1.** კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები.

**2.** ნაწილი, თავი, პარაგრაფი იურიდიულ დოკუმენტში, რაიმე საბუთში, სიაში, ლექსიკონში და სხვ.

**სტა́ტიკა** [ბერძ. statike] – **1.** მექანიკის ნაწილი, რომელიც სხეულის წონასწორობის კანონებს სწავლობს.

**2.** მოსვენებითი, წონასწორობის მდგომარეობა (შდრ. **დინამიკა**).

◎ **სტატიკური.**

⊙ **ს. თეორია, ს. წნევა, წყლის ს. დონე.**

○ **სტატიური შცდ.**

**სტა́ტისტ**-ი [< ბერძ. statos მდგომარე] – უსიტყვო როლების შემსრულებელი. მსახიობი, მასობრივი სცენების მონაწილე.

**სტატი́სტიკა** [ინგლ. statistic < ლათ. status მდგომარეობა] – **1.** მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებასა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

○ **სასოფლო-სამეურნეო ს.**

**2.** მასობრივ მოვლენათა აღრიცხვა ამ მეცნიერების მეთოდის გამოყენებით.

◎ **სტატისტიკური**

⊙ **ს. მონაცემები, ს. ციფრები.**

○ **სტატისტიური შცდ.**

**სტატისტი́კოს**-ი – სტატისტიკის სპეციალისტი.

**სტა́ტორ**-ი [ლათ. stator უძრავად მდგომი] – ელექტრული მანქანის (გენერატორის, ძრავას) უძრავი ნაწილი, რომლის შიგნითაც ბრუნავს როტორი.

**სტა́ტუა** [ლათ. statua] – ადამიანის ან ცხოველის ქანდაკება, რომელიც ნატურალური ზომისაა ან მასზე დიდია.

**სტატუ́ეტ**-ი [statuette] – პატარა სტატუა; ჩვეულებრივ იყენებენ ოთახის სამკაულად.

⊙ **ფაიფურის ს.**

○ **სტატუეტკა შცდ.**

**სტა́ტუს**-ი [ლათ. status მდგომარეობა, ვითარება] – საერთაშორისო სამართალში: სამართლებრივი მდგომარეობა.

⊙ **დიპლომატიური ს, პარლამენტის წევრის ს.**

⊙ **სტატუტი** სხვაა (იხ.).

**სტა́ტუს-კვო** [ლათ. status quo] –

საერთაშორისო სამართალში: რაიმე გარკვეულ მომენტში (წინათ ან ამჟამად) არსებული მდგომარეობა.
⊙ **სტატუს-ქვო შცდ.**

**სტა́ტუტ**-ი [ლათ. statut] – წესდება. დებულება რისამე.
⊙ **ორდენის ს.**
⊙ **სტატუსი** სხვაა (იხ.).

**სტაციონარ**-ი [ლათ. stationarius მდგომარე, უძრავი] – **1.** სტაციონარული (მნიშვნ. **1**) ტიპის დაწესებულება.
**2.** საწოლებით აღჭურვილი სამკურნალო დაწესებულება; საავადმყოფო (განსხვავებით პოლიკლინიკისგან).
⊙ **ს.-ში მოთავსება.**
**სტაციონარული** – **1.** მუდმივი, არამოძრავი.
⊙ **ს. ბიბლიოთეკა, ს. კინოთეატრი.**
**2.** რაც დაკავშირებულია საავადმყოფოში ხანგრძლივ ყოფნასთან (საპირისპ. **ამბულატორიული**).
⊙ **ს. მკურნალობა.**
○ **სტაციონალური შცდ.**

**სტე́ლა** [ბერძ. stele] – ქვის ფილა, რომლებზეც წარწერა ან რელიეფური გამოსახულებებია.
◎ **სტელისა.**
○ **სტელასი, სტელლა შცდ.**

**სტე́ლაჟ**-ი [გერმ. Stellage] – რამდენიმე სართულად გამართული თაროები.
⊙ **ბიბლიოთეკის ს.-ები.**

**სტე́ნდ**-ი [ინგლ. stand] – დაფა, რომელზეც გამოფენილია სხვადასხვა ექსპონატი, საგანი.
⊙ **საგამოფენო ს., წიგნების ს.**
◎ **სასტენდო: სასტენდო სროლა** – სროლა სანადირო ან სასპორტო თოფით – მფრინავი სამიზნე თეფშებისათვის.

**სტენო́გრამა** [ბერძ. stenos ვიწრო და gramma ასო] – სტენოგრაფიული ჩანაწერი.
⊙ **მოხსენების ს. ჩანაწერი.**

**სტენოგრა́ფია** [ბერძ. stenos ვიწრო graphô ვწერ] – განსაკუთრებული ნიშნებისა და შემოკლებების გამოყენებით ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერის წესი.
⊙ **ს.-ის კურსები.**
◎ **სტენოგრაფიული.**
⊙ **ს. ჩანაწერი, ს. სისტემა, ს. ანგარიში, პარლამენტის სხდომის ს. მასალები.**
○ **სტენოგრაფული შცდ.**

**სტენოგრა́ფისტ**-ი – სტენოგრაფიის სპეციალისტი.

**სტენოკა́რდია** [ბერძ. stenos ვიწრო და kardia გული] – (მედიც.) მწვავე ტკივილის შეტევა გულის არეში; გულის ანგინა.

**სტეპ**-ი [რუს. степь] – უტყეო,სწორი,ბალახით დაფარული სივრცე მშრალი ჰავის ზონაში.

**სტერეოტიპ**-ი [ბერძ. stereos მაგარი და typos ანაბეჭდი] – **1.** ლითონის მთლიანი სანაბეჭდი ფორმა, რომელიც წარმოადგენს ანაწყობის ან კლიშეს პირს, იყენებენ დიდტირაჟიან გამოცემებისათვის.

**2.** გადატ. (წიგნ.) იგივეა, რაც ტრაფარეტი.

**სტერეოტიპული** – რაც ხშირად მეორდება; უცვლელი,შაბლონური,ტრაფარეტული.

⊙ **ს. ფრაზა, ს. პასუხი.**

**სტერილიზაცია** [ფრ. sterilisation] და **სტერილიზება** – **1.** მიკროორგანიზმების მოსპობა დუღილით, გამოხარშვით, ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებით და სხვ. საშუალებით.

⊙ **ქირურგიული ინსტრუმენტების ს., რძის ს.**

**2.** ადამიანის ან ცხოველის განაყოფიერების უნარის მოსპობა.

**სტერილური** [ლათ. sterilis] – სტერილიზაციის გზით გაწმენდილი, დამუშავებული.

⊙ **ს. ბინტი, ს. ბამბა.**

**სტილ**-ი [ფრ. stile < ბერძ. stylos] – **1.** ხელოვნებაში: მხატვრულად გაფორმების დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა ერთობლიობა.

⊙ **თანამედროვე არქიტექტურული ს.**

**2.** ქცევის ან მოქმედების მანერა, თავისებურება.

⊙ **ხელმძღვანელობის ს., მუშაობის ს.**

**3.** ენობრივი ხერხების ერთობლიობა; ენობრივი თავისებურებანი.

⊙ **დავით კლდიაშვილის მწერლური ს., ვაჟას პოეტური ს.**

4. წელთაღრიცხვის სისტემა.

⊙ **ძველი ს., ახალი ს.**

◎ **სტილური.**

⊙ **ს. ნაირსახეობა, ნაწარმოების ს. თავისებურება.**

**სტილბ**-ი [ბერძ. stilbô ვკაშკაშებ, ვბრწყინავ] – სინათლის სიკაშკაშის საერთაშორისო ერთეული.

**სტილეტ**-ი [იტ. stiletto] – სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი.

**სტილიზაცია** [ფრ. stylisation] და **სტილიზება** – ხელოვნებაში: რაიმე სტილის (მნიშვნ. **1.**) ფორმების მიბაძვა.

⊙ **ძველი მინიატურების ს.**

**სტილისტ**-ი – სალიტერატურო ენის კარგი მცოდნე; პირი,რომელიც ასწორებს რაიმე ნაწარმოების სტილს (იხ. **სტი-**

**ლი**, მნიშვნ. 3.).

⊙ **გაზეთის ს.**

**სტილისტიკა** [ფრ. stylistique] – **1.** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მხატვრულ ნაწარმოებთა სტილს.

**2.** ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის გამომხატველობით საშუალებებს.

◎ **სტილისტიკური** და (დასაშვებია) **სტილისტური.**

⊙ **ს. დაკვირვება, ს. თავისებურებანი.**

○ ზოგჯერ **„სტილისტურს", „სტილისტიკურს"** ხმარობენ **„სტილურის"** (იხ. **სტილი**) **გა**გებით, რაც **შცდ.**

**სტიმულ**-ი [ლათ. stimulus] – რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; ბიძგი.

⊙ **შრომის ნაყოფიერების გაზრდის ს.**

**სტიპენდია** [ლათ. stipendium ჯამაგირი, ხელფასი] – ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევათ სტუდენტებს, ასპირანტებს.

◎ **სასტიპენდიო.**

⊙ **ს. ფონდი.**

○ **სტეპენდია შცდ.**

**სტიპენდიატ**-ი – მოსწავლე,რომელიც სტიპენდიას იღებს.

○ **სტიპენდიანტი, სტეპენდიანტი შცდ.**

**სტიპლჩეიზ**-ი [ინგლ. steplechase] – (სპ.) რბენა ან დოღი გრძელ დისტანციაზე დბრკოლებათა გადალახვით.

**სტიუარდ**-ი [ინგლ. steward] – ოფიციანტი სამგზავრო გემზე ან თვითმფრინავში; ბორტგამყოლი.

**სტიუარდესა** [ინგლ. stewardess] – სტიუარდი ქალი.

**სტიქია** [ბერძ. stoicheion ელემენტი] – **1.** ანტიკურ ფილოსოფიაში: ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი (ჰაერი, წყალი, მიწა ან ცეცხლი), რომელიც ბუნების ყველა მოვლენის საფუძვლად მიაჩნდათ.

**2.** ბუნების მძლავრი მოვლენა, დამანგრეველი ძალა (ქარიშხალი, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და მისთ.). სხვანაირად: **სტიქიონი**.

**3.** (გადატ.) ვისიმე მოქმედების, ცხოვრების, კარგად ცნობილი, საყვარელი საქმე, არე, გარემო.

**სტიქიური** – **1.** სტიქიით (სტიქიონით) გამოწვეული.

⊙ **ს. უბედურება.**

**2.** შეგნებული ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარე; არაორგანიზებული.

⊙ **ს. გამოსვლები.**

**სტოიკოს**-ი [stoikos] – **1.** სტოიციზმის მიმდევარი.

**2.** (გადატ.) გაჭირვებისა და განსაცდელის მტკიცედ ამტანი ადამიანი.

**სტოიციზმ**-ი [ათენში პორტიკის (კარიბჭე) Stoa-ს სახელწოდების მიხედვით, სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი ზენონი] – **1.** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმდინარეობა ძველ საბერძნეთში (წარმოიშვა ძვ. წელთაღრ. მე-7 ს,-ის ბოლოს).

**2.** (გადატ.) გაჭირვებისა და განსაცდელის დიდი ამტანობა.

**სტომატიტ**-ი [ბერძ. stoma (stomatos) პირი] – (მედიც.) პირის ლორწოვანი გარსის ანთება.

**სტომატოლოგია** [ბერძ. stoma (stomatos) პირი და logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის კბილების, პირის ღრუს, ყბებისა და სახის დაავადებებს.

◎ **სტომატოლოგიური.**

⊙ **ს. პოლიკლინიკა.**

**სტოპერ**-ი [ინგლ. stopper] – (სპ.) ფეხბურთში: ცენტრალური მცველი.

**სტრატეგია** [ბერძ. strategia] – **1.** ომის მომზადებისა და წარმოების, დიდი სამხედრო ობიექტების ჩატარების მეცნიერება და ხელოვნება.

**2.** (გადატ.) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელოვნება.

**3.** (სპ.) ითქმის თამაშის სისტემის შესახებ, რომლის დროსაც ცალკეული სვლები, კომბინაციები კეთდება საერთო, წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

**სტრატისფერო** [ლათ. stratum ფენა,შრე და ბერძ. sphaira ბურთი, სფერო] – დედამიწის ქერქის ზედა ნაწილი, რომელიც ნალექი ქანებისაგან შედგება.

**სტრატოსფერო** [ლათ. stratum ფენა, შრე და ბერძ. sphaira ბურთი, სფერო] – ატმოსფეროს ზედა ფენა (ზღვის დონიდან 8-12 კმ), რომელიც ტროპოსფეროს ზევითაა.

**სტრეს**-ი [ინგლ. stress დაძაბვა, დაძაბულობა] – ორგანიზმის დაძაბული მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება არახელსაყრელი მიზეზების (სიცივის, შიმშილის, ტრავმის და მისთ.) საპასუხოდ.

◎ **სტრესული.**

⊙ **ს. მდგომარეობა.**

**სტრიპტიზ**-ი [ინგლ. strip-tease] – წარმოდგენა, რომელშიც მსახიობი ქალი თანდათანობით იხდის ტანისამოსს, შიშვლდება.

**სტროპებ**-ი [ინგლ. strop (მხ.)] – სპეციალური ბოჭკოსაგან

დაგრეხილი თოკები, რომლებითაც ადამიანი (ან ტვირთი) ჩამოეკიდება გაშლილ პარაშუტს.

**სტრóფ**-ი [ბერძ. strophe] – ლექსში შინაარსობრივად და რიტმულად გაერთიანებული რამდენიმე სტრიქონი.

◎ **სტროფული.**

⊙ **ს. ლექსი, პოემის ს. აგებულება.**

**სტრუქტურა** [ლათ. structura] – რისამე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება (ქართ. სინონ. აგებულება, წყობა, აღნაგობა.

⊙ **ნიადაგის ს., ენის ს., ორგანიზაციული ს.**

◎ **სტრუქტურული.**

⊙ **ს. ცვლილებები, ს. თავისებურებანი. ს. ანალიზი.**

○ **სტრუქტურალური შცდ.**

**სტუდენტ**-ი [ლათ. studens (studentis) მეცადინე] – უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე.

◎ **სტუდენტური.**

⊙ **ს. წლები, ს. ცხოვრება.**

**სტუდია** [იტ. studio] – **1.** მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო.

**2.** სასწავლებელი, რომელიც მხატვრებს ან მსახიობებს ამზადებს.

⊙ **სათეატრო ს., ქორეოგრაფიული ს.**

**3.** ახალგაზრდა მსახიობთა ზოგი თეატრალური კოლექტივის სახელწოდება.

○ **თეატრის ს., საოპერო ს.**

4. საწარმო, რომელიც უშვებს კინოფილმებს (სხვანაირად: **კინოსტუდია**).

⊙ **დოკუმენტური ფილმების ს.**

5. სპეციალური სადგომი, სადაც წარმოებს რადიო- ან ტელეგადაცემები (რადიო-სტუდია, ტელესტუდია).

6. საწარმო, სადაც ხდება ხმის ჩაწერა გრამოფონის ფირფიტაზე ან მაგნიტოფონის ფირზე.

⊙ **ხმის ჩაწერის ს.**

**სუბიექტ**-ი [ლათ. subictum] – **1.** (ფილოს.). ადამიანი, როგორც მატერიალური სამყაროს შემცნობელი და გარდამქმნელი; პიროვნება (საპირისპ. **ობიექტი**).

**2.** (ლოგ.) მსჯელობის საგანი.

**3.** (გრამტ.). ქვემდებარე.

**სუბიექტური** – **1.** (ფილოს.). სუბიექტის დამახასიათებელი; პირადული.

⊙ **ს. ცნობიერება, ს. განცდა.**

**2.** არაობიექტური, მიკერძოებითი.

⊙ **ს. შეხედულება, ს. მიდგომა.**

○ **სუბიექტიური შცდ.**

**სუბიექტივიზმ**-ი – პირადულობა, მიკერძოება, ობიექტურობის არქონა.

**სუბკონტინენტ**-ი [ლათ. sub ქვეშ და იხ. კონტინენტი] – კონტინენტის დიდი გეოგრაფი ან პოლიტიკური ნაწილი.

⊙ **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ს.**

**სუბლიმაცია** [ლათ. sublimo ვამაღლებ] – (ქიმ., ფიზ.) მყარი ნივთიერების აირისებურ მდგომარეობაში გადასვლა (თხევადი მდგომარეობის გამოტოვებით); აქროლა.

**სუბორდინაცია** [ლათ. subordinatio] – (წიგნ.) უფროსებისადმი უმცირესობის სამსახურებრივი დაქვემდებარების მკაცრი სისტემა, სამსახურებრივი დისციპლინის დაცვა.

**სუბსიდია** [ლათ. subsidium] – ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც სახელმწიფო უწევს ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს ან სხვა სახელმწიფოებს.

⊙ **სკოლას გამოუყვეს სახელმწიფო ს.**

○ **სუფსიდია** შცდ.

**სუბსტანცია** [ლათ. substantia არსი] – რისამე საფუძველი, არსი.

**სუბსტრატ**-ი [ლათ. substratum] – **1.** (ფილოს.) რაიმე მოვლენათა საერთო საფუძველი. **2.** (ბიოლ.) საკვები გარემო (ჩვეულებრივ, მიკროორგანიზმებისათვის). **3.** (ლინგვ.) ენათა შესწავლის დროს: ენა, რომელიც გამოდევნა მეორე ენამ,მაგრამ რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე.

**სუბსტრატოსფერო** [ლათ. sub ქვეშ და სტრატოსფერო] – ატმოსფეროს ფენა, რომელიც სტრატოსფეროს გამოყოფს ტროპოსფეროსაგან.

**სუბტილურ**-ი [ფრ. subtil] – (საუბ.) ნაზი აგებულებისა (ითქმის ადამიანზე).

**სუბტიტრ**-ი [ლათ. sub ქვეშ და ფრ. titre ტიტრი] – კინოფილმის კადრის ქვეშ წარწერა, რომელიც უცხო ენის მოკლე თარგმანს წარმოადგენს.

**სუბტროპიკები** [ლათ. sub ქვეშ და ტროპიკები] – დედამიწის სფეროს ორი ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონა, რომლებიც ჩრდილოეთითა და სამხრეთით აკრავს ტროპიკებს.

◎ **სუბტროპიკული.**

⊙ **ს. ჰავა, ს. კულტურები.**

**სუვენირ**-ი [ფრ. souvenir] – სამახსოვრო ნივთი; სახსოვარი, საჩუქარი.

⊙ **ს.-ების მაღაზია.**

◎ **სუვენირული.**

⊙ **ს. ნაწარმი.**
◎ **სასუვენირო.**
⊙ **ს. მაღაზია.**

**სუვერენ**-ი [ფრ. souverain] – უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი.

**სუვერენიტეტ**-ი [გერმ. Souveränitit < ფრ. souverainite] – სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა.

**სუვერენული** – სუვერენიტეტის მქონე (სახელმწიფო).

**სუკულენტებ**-ი [< ლათ. succulentus წვნიანი] – მრავალწლოვანი გვალვაგამძლე მცენარეები (კაქტუსი, ალოე, აგავა და სხვ.), რომელთაც ახასიათებს წყლით მდიდარი ხორციანი ფოთლები ან ღეროები.

**სულთან**-ი [თურქ. sultan < არაბ.] აღმოსავლეთის ზოგი მუსლიმური ქვეყნის მონარქის ტიტული.

**სუმო** – [იაპ.] – იაპონური ეროვნული ჭიდაობა.

**სუნა** [არაბ. sunna] – მუსლიმანური „წმინდა თქმულება“; შედგება რამდენიმე ათასი მოთხრობისგან, რომლებიც მიეწერება მაჰმადს.

**სუნიზმ**-ი – ისლამის მიმართულება, რომელიც ყურანთან ერთად სუნასაც აღიარებს (შდრ. **შიიზმი**).

**სუპერ**... [ლათ. super ზევით, -ზე, ზემოთ, თავზე] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა, რომელიც აღნიშნავს:
**1**. მთავარს, მეთაურობით.
⊙ **სუპერრაზმი.**
**2**. უმაღლეს ხარისხს, უმაღლეს თვისებას ან მაღალ გაძლიერებულ მოქმედებას.
⊙ **სუპერლაინერი, სუპერმოდური.**

**სუპერმარკეტ**-ი [ინგლ. supermarket < super... ზევით, -ზე და market ბაზარი] – დიდი (ჩვეულებრივ პროდუქტების) თვითმომსახურების მაღაზია, უნივერმაღი.

**სუპერმენ**-ი [ინგლ. superman ზეადამიანი] – **1**. ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია თავის უპირატესობაში სხვა ადამიანებთან შედარებით; ზეადამიანი.
**2**. დაუმარცხებელი, მოუხელთებელი გმირი დეტექტივისა, კინომებრძოლისა და სხვ.

**სუპერყდა** – ქაღალდის ყდა, რომელიც შემოკრული აქვს წიგნს გარედან.

**სურა** [არაბ. sûra] – მუსლიმანთა წმინდა წიგნის – ყურანის ცალკეული თავი.

**სურდოკამერა** [ლათ. surdus ყრუ

და kamera] – კოსმონავტიკაში: ბგერათშეუღწეველი კედლების მქონე სადგომი, რომელშიც მომავალი კოსმონავტები იმყოფებიან ხოლმე მარტოობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში (მათი შერჩევისა და წვრთნის დროს).

**სუროგატ**-ი [ლათ. surrogatus სხვისნაცვლადმოთავსებული] – **1**. რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქტის მხოლოდ ზოგიერთი თვისება აქვს.
**2**. (გადატ.) ყალბი, ფალსიფიცირებული რამ.

**სუტრებ**-ი [სანსკრ.] – ძვ. ინდური წმინდა (საღმრთო) და იურიდიული (შემდეგ, აგრეთვე, სამედიცინო) წიგნები, ტრაქტატები.

**სუფიზმ**-ი [< არაბ.] – მაჰმადიანობისმისტიკურ-ასკეტური მიმართულება, რომელიც მე-8 საუკუნეში წარმოიშვა.

**სუფიქს**-ი [ლათ. suffixus ბოლოს მიმაგრებული] – (გრამატ.) სიტყვის ძირის შემდეგ მოთავსებული აფიქსი; ბოლოსართი.

**სუფლიორ**-ი [ფრ. souffleur] – მოკარნახე (თეატრში).

**სფერო** [ბერძ. sphaira] – **1**. დახშული ზედაპირი, რომლის ყველა წერტილი თანაბრად არის დაშორებული ცენტრიდან; ასეთი ფორმის მქონე სხეული; ბირთვი.
⊙ **ს.-ს რადიუსი, დედამიწის ს.**
**2**. (წიგნ.) რისამე მოქმედების, გავრცელების არე.
⊙ **მომსახურების ს., გავლენის ს.-ები.**
◎ **სფერული** (მნიშვნ. 1-ისათვის).
⊙ **ს. ზედაპირი, ს. სხეულები, ს. ეკრანი, ს. ლინზა.**
○ **სფერიული. შცდ.**

**სფინქს**-ი [ბერძ. sphinx] – **1**. ძვ. ეგვიპტეში: უზარმაზარი ქვის ფიგურა – ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომი (ფარაონის ძლიერების განსახიერება).
**2**. ბერძნულ მითოლოგიაში: ფრთოსანი არსება, რომელსაც ტანი ლომისა აქვს, თავი და მკერდი ქალისა.
**3**. (გადატ.) საიდუმლოებით მოცული ვინმე ან რამე.
4. ვიწროცხვირიანი მაიმუნი პავიანების სახისა.
5. ერთგვარი პეპელა.

**სქემა** [ბერძ. schema გარეგნობა, ფორმა] – **1**. ნახაზი, რომელიც გამოხატავს რისამე მოწყობილობას, ნაწილების ურთიერთკავშირს.
⊙ **ტელევიზორის ს.**
**2**. რისამე გადმოცემა, აღწერა

ზოგადად.

⊙ **ნაწარმოების ს.**

◎ **სქემური** და **სქემატური.**

⊙ **ტელეფონის აპარატის ს. ნახაზი., რომანის ს. გადმოცემა.**

○ **სქემატიური შცდ.**

**სქემატიზმ**-ი – გაუბრალოება, ტრაფარეტულობა აზროვნებაში, რისამე გადმოცემაში, გამოსახვაში.

**სქიზმა** [ბერძ. schisma] – მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში: განხეთქილება, ერთიანი ეკლესიიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა.

**სქოლასტიკა** [ბერძ. scholastikos სწავლული] – ფორმალური, ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა; უსაგნო მსჯელობა.

**სქოლიო** [ბერძ. scholion] – შენიშვნა, განმარტება, რომელიც ძირითადი ტექსტის ქვეშ, გვერდის ქვედა ნაწილში არის მოთავსებული.

**სცენა** [ლათ. scaena < ბერძ. skene კარავი] – **1.** თეატრალური წარმოდგენისათვის განკუთვნილი ამაღლებული მოედანი.

⊙ **მბრუნავი ს., კლების ს.**

**2.** პიესის ყოველი მოქმედების ცალკეული ნაწილი; გამოსვლა.

⊙ **პირველი მოქმედების ფინალური ს.**

**3.** მხატვრული ნაწარმოების (რომანის, მოთხრობის, კინოსურათის ...) ცალკეული ეპიზოდი.

⊙ **გამოთხოვების ს., დასამახსოვრებელი ს.-ები.**

4. თეატრალური მოღვაწეობა; თეატრი, ს.-ის ოსტატები.

⊙ **ს.-ის ნოვატორი კ. მარჯანიშვილი.**

◎ **სცენური** და **სასცენო** (მნიშვნ. 1,4-ისათვის).

⊙ **ს. გარეგნობა,ს. მონაცემები, ს. მეტყველება, ს. ხელოვნება.**

**სცენარ**-ი [იტ. scenario] – ლიტერატურულ-დრამატული ნაწარმოები, რომლის მიხედვითაც იდგმება კინოფილმი.

◎ **სასცენარო.**

⊙ **ს. მასალა, ს. ფაკულტეტი.**

## ტ

**ტაბელ**-ი [გერმ. Tabelle < ლათ. tabella ცხრილი]– სპეციალური დაფა მუშა-მოსამსახურეთა გამოცხადებისა და იქიდან წასვლის აღრიცხვისათვის; ამ დაფაზე დაკიდებული ჟეტონები.

**მეტაბელე** – საწარმოს, დაწესებულების მუშაკი, რომელიც ტაბულით აღრიცხავს სამუშაოზე გამოცხადებას და იქი-

დან წასვლას.
◎ **მეტაბელისა.**
○ **მეტაბელესი შცდ.**
**ტაბლდოტ**-ი [ფრ. table d'hôte] – სასტუმროში, რესტორანში, პანსიონში: საერთო სუფრა, სადაც საუზმე, სადილი და სხვ. მოაქვთ გარკვეულ დროს და საერთო მენიუს მიხედვით ყველასათვის.
**ტაბლო** [ფრ. tableau სურათი; დაფა] – სპეციალური ფარი ან ეკრანი, რომელზედაც ქვეყნდება სხვადასხვა შუქური ინფორმაცია.
⊙ **სტადიონის ტ., ვაგზლის ტ.**
**ტაბუ** [პოლინეზ. tabu] – **1.** პირველყოფილ ხალხებში: რაიმე სიტყვის, მოქმედების, საგნის აკრძალვა, რომლის დარღვევა ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენის მიხედვით თითქოს გამოიწვევს უბედურებას, ზებუნებრივი ძალებისაგან მოვლენილ სასჯელს.
**2.** საერთოდ რაიმეს მკაცრი აკრძალვა.
⊙ **ტ. დაადო, ყველასათვის ეს იყო ტ.**
**ტაბურეტ**-ი [ფრ. tabouret] – ხის უბრალო უზურგო სკამი.
○ **ტაბურეტკა შცდ.**
**ტავერნა** [იტ. taverna] – იტალიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში: სამიკიტნო, ტრაქტირი.
**ტავტოგრამა** [ბერძ. tauto იგივე და gramma ჩაწერა] – ლექსი, რომლის ყველა სიტყვა ერთი და იმავე ასოთი იწყება.
**ტავტოლოგია** [ფრ. tautologie < ბერძ. tauto იგივე და logos სიტყვა] – **1.** იმავის გამეორება სხვა სიტყვებით.
**2.** ლოგიკაში – მსჯელობა, რომელშიც ქვემდებარე იგივეობითია შემასმენლისა.
◎ **ტავტოლოგიური.**
⊙ **ტ. ეპითეთი.**
**ტაიგა** [თურქ., იაკუტ.] – ხშირი, ძირითადად წიწვოვანი ტყე ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში, რუსეთში.
⊙ **ციმბირის ტ.**
**ტაიფუნ**-ი [ინგლ. typhoon < ჩინ.] – გამანადგურებელი ქარიშხალი, გრიგალი, რომელიც იცის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში (იაპონიაში, ჩინეთში და სხვაგან).
**ტაკელაჟ**-ი [გერმ. Takelage < ჰოლანდ.] – **1.** გემის ყველა გემსართავი აფრების მართვის მოწყობილობა.
**2.** გემის ხელსაწყოების (გემსართავების, ტროსების) ერთობლიობა ტვირთის აწევისა და გადაადგილებისათვის.

**ტალანტ**-ი [ბერძ. talanto] – **1.** განსაკუთრებული ნიჭი.
**2.** ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ფულის ყველაზე დიდი ერთეული.

**ტალიონ**-ი [ლათ. talio (talionis) შურისძიება, თავისი ძალით დანაშაულის ფარდი] – გვაროვნული და მონათმფლობელური საზოგადოების სამართალში: სასჯელის ზომა, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა მიყენებულ ზიანს („თვალი თვალისა წილ, კბილი კბილის წილ"); განსაკუთრებით მკვეთრად იყო გამოხატული ხამურაბის კანონებში.

**ტალონ**-ი [ფრ. talon] – პატარა ბარათი, რაც რისამე მიღების უფლებას იძლევა.
⊙ **ბენზინის ტ.**

**ტამბურ**-ი [ფრ. tambour] – **1.** რკინიგზის სამგზავრო ვაგონის დახურული ბაქანი.
**2.** სათავსი – შენობის შესასვლელ კართან; იცავს სადგომს გარედან ჰაერის შეღწევისგან.
**3.** (არქიტ.) შენობის ცილინდრული ან მრავალწახნაგა ნაწილი, რომელსაც ეყრდნობა გუმბათი.

**ტამპონ**-ი [ფრ. tampon] – სტერილიზებული მასალა, რომელსაც დებენ ჭრილობაში,ღრუში სისხლდენის შესაჩერებლად ან ჩირქის შესაწოვად.

**ტანგენს**-ი [ლათ. tangens შემხები] – (მათემ.) მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქცია, რომელიც მართკუთხა სამკუთხედში უდრის მოცემული კუთხის პირდაპირ მდებარე კათეტის შეფარდებას მეორე კათეტთან.
○ **ტანგესი შცდ.**

**ტანგო** [ესპ. tango] – სალონური ნელტემპიანი ცეკვა ქალ-ვაჟისა; მუსიკა ცეკვისათვის.

**ტანდემ**-ი [ინგლ. tandem] – **1.** ორადგილიანი ველოსიპედი.
**2.** (გადატ.) წყვილად.
⊙ **ტ.-ში გამოსვლა.**

**ტანკერ**-ი [ინგლ. tanker] – თხევადი ტვირთის (უპირატესად ნავთობპროდუქტების) გადასაზიდი გემი.

**ტანკ**-ი [ინგლ. tank] – მუხლუხებიანი საბრძოლო თვითმავალი მანქანა,რომელიც ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით არის აღჭურვილი.
⊙ **მძიმე ტ., მსუბუქი ტ.**
◎ **სატანკო.**
⊙ **ს. დივიზია, ს. შეტევა.**

**ტანკისტ**-ი – სამხედრო პირი, რომელიც სატანკო ჯარში მსახურობს.

**ტანტა́ლოს**-ი [ბერძ. Tantalos] – ბერძნულ მითოლოგიაში: ლიდიის მეფე, რომელსაც ღმერთებმა მიუსაჯეს საუკუნო ტანჯვა-იდგა ყელამდე წყალში, მწიფენაყოფიან ხეხილის ქვეშ, მაგრამ ვერც ხილს ჭამდა და ვერც წყალს სვამდა.

**ტანტალოსის ტანჯვა** – იტყვიან აუტანელ ტანჯვაზე, როდესაც ვინმე ახლოს არის სასურველი მიზანთან, მაგრამ ვერ აღწევს მას.

**ტა́რა** [იტ. tara] – საქონლის შესაფუთავი მასალა (ყუთები, ტომრები, კასრები და მისთ.).

⊙ **მინის ტ., ქაღალდის ტ., ტ.-ის საწყობი**.

**ტა́რან**-ი რუს. таран < ბერძ. tarantô დამანგრეველი] – **1**. კედლის სანგრევი საბრძოლო იარაღი (იცოდნენ ძველად).

**2**. (სამხ.) სამხედრო გემის წინ გამოშვერილი წყალქვეშა ნაწილი; ძველად იყენებდნენ მტრის გემზე დარტყმისათვის.

**ტარა́ნტელა** [იტ. taran-tella] – **1**. იტალიური ხალხური სწრაფტემპიანი ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

**2**. ამ ცეკვის ტემპის მქონე მუსიკალური ნაწარმოები.

**ტარა́ნტულ**-ი [იტ. tarantola] – დიდი შხამიანი ობობა; ცხოვრობს მიწაში.

**ტა́რიფ**-ი [ფრ. tarif < არაბ.] – რაიმე სახის გადასახადის (ან საზღაურის) განაკვეთი (ქართ. სინონ. **ნიხრი**).

**ტაქიკა́რდია** [ბერძ. tachys სწრაფი და kardia გული] – (მედიც.) გულის აჩქარება. (შდრ. **ბრადიკარდია**).

**ტაქო́მეტრ**-ი [ბერძ. tachos სიჩქარე და metreô ვზომავ] – ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო.

**ტატა́მ**-ი [იაპ.] – იატაკზე დასაფენი ჭილობი, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს იაპონიის ყოფაში; ტ.-ზე იმართება ჭიდაობა ძიუდო.

**ტა́ქსა**[1] [რუს. такса გერმ. Dachshund] – პატარა ძაღლი, რომელსაც გრძელი ტანი და მოკლე ფეხები აქვს.

**ტა́ქსა**[2] [ფრ. taxe] – ნიხრი.

**ტა́ქსი** [ფრ. taxi] – დასაქირავებელი ავტომობილი; აქვს მრიცხველი, რომელიც უჩვენებს გავლილი მანძილის საფასურს.

⊙ **მსუბუქი ტ., სატვირთო ტ. სამარშრუტო ტაქსი** – ისეთი ტაქსი, რომელსაც მგზავრები გადაჰყავს ერთი, ზუსტად დადგენილი მარშრუტით.

◎ **ტაქსით, ტაქსის („ტაქსის გა-**

**მოუძახეს“), ტაქსიში.**
მაგრამ საყოველთაოდ ვრცელდება: **ტაქსმა, ტაქსს, ტაქსში.**

**ტაქსიდერმია** [ბერძ. taxis მოწყობილობა და derma კანი, ტყავი] – ცხოველთა ფიტულების დამზადება.

**ტაქსომოტორ**-ი – იგივეა, რაც ტაქსი.
◎ **სატაქსომოტორო.**
⊙ **ს. პარკი.**
○ **ტაქსამოტორი შცდ.**

**ტაქტ**-ი[1] [გერმ. Takt < ლათ. tactus შეხება] – **1.** მეტრული მუსიკალური ერთეული.
⊙ **ორნაწილიანი ტ., უვერტიურის დასკვნითი ტ.-ები.**
**2.** ერთმანეთის მომდევნო თანაზომიერი მოძრაობა, დარტყმები.
**3.** რაიმე მექანიზმის სამუშაო ციკლის ნაწილი.
⊙ **შიგაწვის ძრავას დგუშის ტ.**
◎ **ტაქტიანი.**
⊙ **ოთხტაქტიანი ძრავა.**
○ **ტაკტი, ტაკტიანი შცდ.**

**ტაქტ**-ი[2] [ფრ. takt და tactus შეხება] – ზომიერების გრძნობა, თავის დაჭერის უნარი, თავაზიანი მოქცევა ვისიმე მიმართ.
◎ **ტაქტიანი.**
⊙ **ტ. ადამიანი, ტ. საქციელი, ტ. შენიშვნა.**

**ტაქტიკა** [ბერძ. Taktike] – **1.** (სამხ.) ბრძოლის ნაწარმოების თეორია და პრაქტიკა.
⊙ **საზღვაო ბრძოლის ტ.**
◎ **ტაქტიკური.**
⊙ **ტ. ამოცანა, ჯარების ტ. მომზადება.**
○ **ტაკტიკა შცდ.**

**ტაუერ**-ი [ინგლ. Tower] – ლონდონში: მე-16-17 სს.-მდე – მეფის ციხე-დარბაზი; შემდეგ, მე-19 ს-მდე – სახელმწიფო საპატიმრო, რომელშიც ამწყვდევდნენ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს; ამჟამად ისტორიული მუზეუმი.

**ტელე**... [ბერძ. tēle შორს] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა მნიშვნელობით: **1.** შორ მანძილზე ან განხორციელებადი მანძილზე.
⊙ **ტელესკოპი, ტელეგრაფი.**
**2.** სიტყვის „სატელევიზიო“-ს შესაბამისი.
⊙ **ტელეკამერა, ტელესტუდია.**

**ტელეგრამა** [ბერძ. tēle შორს და gramma ასო] – (მოძვ.). იგივეა, რაც დეპეშა.

**ტელეგრაფ**-ი [ბერძ. tēle შორს და grafo ვწერ.] – **1.** კავშირგაბმულობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სადენებით ცნობების მიღებას და

სწრაფ გადაცემას შორ მანძილზე ელექტრული სიგნალების საშუალებით (მორსეს კოდი).
⊙ **ტ.-ის აპარატი.**
**2**. კავშირგაბმულობის საწარმო, რომელიც ახორციელებს დეპეშების მიღებასა და გადაცემას.
⊙ **ტ.-ის შენობა.**
◎ **სატელევიზიო.**
⊙ **ს. კავშირი, ს. კაბელი.**

**ტელევიზია** [ინგლ. television < ბერძ. tele შორს და ლათ. visio ხედვა] – უძრავ და მოძრავ გამოსახულებათა ბგერითი გადაცემა შორ მანძილზე და ეკრანზე მიღება ელექტრო- და რადიოკავშირების საშუალებით.
⊙ **ფერადი ტ., ტ.-ის სისტემა, ტ.-ის პროგრამა.**
◎ **სატელევიზიო.**
○ **ს. ანტენა, ს. ფილმი, ს. გადაცემა.**
⊙ 50-60 წლებში იხმარებოდა აგრეთვე – **ტელეხედვა**, რამაც გავრცელება ვერ ჰპოვა.

**ტელევიზორ**-ი [ინგლ. televisor ბერძ. tēle შორს და ლათ. visio ხედვა] – აპარატი სატელევიზიო გადაცემათა და მათი ბგერითი თანხლების მისაღებად.
⊙ **ტ.-ის ეკრანი, ფერადი ტ.**
◎ **სატელევიზიო.**
⊙ **ს. სახელოსნო.**

**ტელემექანიკა** – **1**. საწარმოო პროცესების მართვა შორი მანძილიდან კავშირგაბმულობის საშუალებათა გამოყენებით.
**2**. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც ასეთი მართვის საშუალებებსა და მეთოდებს სწავლობს.

**ტელეპათია** [ბერძ. tēle შორს და pathos გრძნობა] – მოვლენა, რომელიც გამოიხატება ერთი პირის ნევრულ-ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემაში მეორე პირისათვის შორ მანძილზე.

**ტელესკოპ**-ი [ბერძ. tēle შორს და skopeô ვუყურებ] – ასტრონომიული ოპტიკური ხელსაწყო ცის მნათობებზე დაკვირვების საწრმოებლად.
◎ **ტელესკოპური.**
⊙ **ტ. პლანეტები, მარსის ტ. დაკვირვებები.**
◎ **სატელესკოპო.**
⊙ **ს. ლინზები.**

**ტელეტაიპ**-ი [ინგლ. teletype] – ტელეგრაფის ასოსაბეჭდი აპარატი, რომელსაც აქვს საბეჭდი მანქანის ტიპის კლავიატურა.
⊙ **ტ.-ის ლენტი.**

◎ **სატელეტაიპო.**
⊙ **ს. დარბაზი, ს. აპარატურა.**
**ტელექს**-ი [ინგლ. telex] – სააბონენტო ტელეგრაფირების საერთაშორისო ქსელი; საერთაშორისო უბნებზე იყენებენ სიხშირისეულ ტელეგრაფის არხებსა და რადიოარხებს.
**ტელეფაქს**-ი [ინგლ. telefax tēle (graph) ტელეგრაფი და facs (imile) გააკეთე მსგავსი, სხვაგვარად ფაქსი] – **1**. ფაქსიმილური კავშირი ნაბეჭდი ინფორმაციის გადასაცემად.
**2**. ასეთი კავშირის განხორციელებისათვის საჭირო აპარატი, რომელიც მიერთებულია სიგნალის მიცემისათვის ტელეფონთან.
**3**. ასეთი კავშირის აბონენტის ნომერი.
4. თვით ინფორმაცია, რომელიც გადაცემულია ასეთი კავშირით.
⊙ **ფ.-ის მიღება, ფ.-ის გადაცემა.**
**ტელეფონ**-ი [ბერძ. tēle შორს და phone ბგერა] – ტექნიკურ მოწყობილობათა სისტემა ლაპარაკის სადენებით გადასაცემად შორ მანძილზე ელექტრული ენერგიის საშუალებით.
⊙ **საქალაქთაშორისო ტ., ტ.-ის აპარატი, ტ.-მა დარეკა, ტ.-ით დაურეკეს.**
◎ **სატელეფონო.**
⊙ **ს. სადგური, ს. ქსელი.**
○ **ელსმენი შცდ.**
**ტემბრ**-ი [ფრ. timbre] – აკუსტიკური თავისებურება (ხმის, მუსიკალური საკრავისა).
⊙ **სასიამოვნო ტ.-ის ხმა.**
**ტემპ**-ი [იტ. tempo < ლათ. temtus დრო] – **1**. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფის ხარისხი.
⊙ **სწრაფი ტ.-ის უვერტიურა.**
**2**. რისამე მიმდინარეობის განხორციელების სისწრაფის ხარისხი.
⊙ **მრეწველობის განვითარების ტ.-ები.**
**ტემპერამენტ**-ი [ლათ. temperamenuntum თანაზომიერი ნარევი] – ფსიქიკური წყობის თავისებურებანი, რომლებიც ვლინდება გარესამყაროსთან ადამიანთა ურთიერთობაში, მის ქცევაში.
⊙ **მგზნებარე ტ.**
**ტემპერამენტიანი** – ცხოველი ტემპერამენტის მქონე; მგზნებარე, ენერგიული.
⊙ **ტ. მსახიობი, ტ. ცეკვები.**
**ტემპერატურა** [ლათ. temperatura სწორი შეფარდება, ნორმალური მდგომარეობა] – **1**. რაიმე სხეულის, ნივთიერების სითბოს ხარისხი, დონე.

⊙ **წყლის ტ., ჰაერის საშუალო ტ., წყლის დუღილის ტ.**
**2**. ადამიანის სხეულის სითბოს ხარისხი, დონე, როგორც ჯანმრთელობის მაჩვენებელი.
⊙ **ნორმალური ტ., აწეული ტ.**
**3**. (საუბ.) ავადმყოფობის დროს: სხეულის სითბოს მაღალი დონე (ქართ. სინონ. **სიცხე**).
◎ **ტემპერატურული.**
⊙ **ტ. ცვლილებანი, შიგაწვის ძრავის ტ. რეჟიმი.**

**ტენდერ**-ი [ინგლ. tender < tend მომსახურება] – **1**. განსაკუთრებული ტიპის ვაგონი წყლისა და საწვავის შესანახად, რომელიც უშუალოდ ებმის ორთქლმავალს.
**2**. ღია კონკურსი რაიმეს ყიდვის ან რომელიმე საქმის შესრულებაზე უფლების მოსაპოვებლად.

**ტენდენცია** [გერ. Tendenz ლათ. tendo მივისწრაფი] – **1**. რისამე განვითარების მიმართულება, მიდრეკილება, მისწრაფება.
⊙ **ზრდის ტ., პროგრესული ტ.**
**2**. წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მკითხველს, მსმენელს.
◎ **ტენდენციური** (მნიშვნ. 2-ისათვის).
⊙ **ტ. კრიტიკა.**
○ **ტენდენციოზური** შცდ.

**ტენო** [იაპ.] – იაპონიის იმპერატორის ტიტული (მისი უფრო ცნობილი ტიტულია **მიკადო**).

**ტენორ**-ი [იტ. tenore] – **1**. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა.
**2**. ასეთი ხმის მქონე მომღერალი.

**ტენტ**-ი [ინგლ. tent] – ტილოს ფარდული, ჩარდახი მზისა და წვიმისაგან დასაცავად.

**ტერასა** [ფრ. terasse] – **1**. საცხოვრებელი სახლის მიშენებული ღია აივანი, რომელსაც აქვს ბოძებზე დაყრდნობილი სახურავი.
**2**. ჩვეულებრივ მრ. **ტერასები** – ფერდობზე კიბე-კიბე გაჩენილი ან გაკეთებული ჰორიზონტალური ან ოდნავ დაქანებული ბაქნები. ტ.-ებაზე გაშენებული ხეხილი.
⊙ **ტერასი** შცდ.

**ტერიტორია** [ლათ. territorium] – გარკვეული საზღვრებით შემოფარგლული მიწის სივრცე (ნაკვეთი).
⊙ **საქართველოს ერთიანი (გაუნყოფელი) ტ., სახელმწიფოს ტ., ქალქის ტ., ქარხნის ტ.**
◎ **ტერიტორიული.**
⊙ **საქართველოს ტ. საზღვრები.**
○ **ტერიტორიალური** შცდ.

**ტერმინ**-ი [ლათ. terminus საზ-

ღვარი] – სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს ცოდნის რაიმე დარგის ცნებებს.

⊙ **ფილოსოფიური ტ., მათემატიკური ტ.**

○ **თერმინი შცდ.**

**ტერმინალ-ი** [ლათ. terminalis საბოლოო] – **1.** მოწყობილობა გამოთვლითი სისტემის შემადგენლობაში; განკუთვნილია სისტემაში ინფორმაციის შესატანად და იქიდან გამოსატანად.

**2.** ბოლო სადგური (რკინიგზის, მეტროპლიტენის).

**საკონტეინერო ტერმინალი** – საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურებში: სათანადო მექანიზმებით აღჭურვილი ადგილი, სადაც ხდება გემებზე დასატვირთი და გადმოსატვირთი კონტეინერების დამუშავება.

**ტერმინალურ-ი** [ლათ. terminalis დასასრულის მომასწავებელი] – (წიგნ.) ბოლო, საბოლოო.

**ტერმინალური მდგომარეობა** – (მედიც.) სიცოცხლის უკანასკნელი სტადია, სასაზღვრო მდგომარეობა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის.

**ტერმინატორ-ი** < [ლათ. termino საზღვარს ვავლებ, ვყოფ] – (ასტრ.) სინათლის (დღის) და სიბნელის (ღამის) საზღვარი პლანეტის ან მისი თანამგზავრის ზედაპირზე.

**ტერმინოლოგია** [ლათ. terminus საზღვარი და logos მოძღვრება] – ცოდნის გარკვეული დარგის ტერმინების ერთობლიობა.

⊙ **ტექნიკური ტ., ავტო-სატრაქტორო ტ.**

◎ **ტერმინოლოგიური.**

⊙ **ტ. ლექსიკონი.**

◎ **სატერმინოლოგიო.**

⊙ **ს. კომისია.**

○ **თერმინოლოგია, თერმინოლოგიური. სათერმინოლოგიო შცდ.**

**ტერორ-ი** [terror შიში, საშინელება] – პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება ძალადობით (მოკვლითაც კი).

⊙ **ფაშისტური ტ., ტ.-ის მსხვერპლი.**

◎ **ტერორისტული.**

⊙ **ტ. აქტი.**

**ტერორიზმ-ი** – ტერორის პოლიტიკა და ტაქტიკა.

**ტერორისტ-ი** – ინდივიდუალური ტერორისტული აქტის მომხრე და მონაწილე.

◎ **ტერორისტული.**

⊙ **ტ. ორგანიზაცია.**

**ტერპენთინ-ი** [ბერძ. teretenthinos] – ფისოვანი წვენი, რომელიც წიწვოვან ხეს სდის ჭრილობიდან; ძირითადი ნედლეულია სკიპიდარისა და

კოლოფინის მისაღებად; იყენებენ მედიცინაში, ტექნიკაში (ლაქ-საღებავების დასამზადებლად).

**ტერპსიქორა** [ბერძ. Terpsichora] – ბერძნულ მითოლოგიაში: მუზა ცეკვისა და გუნდური გალობისა; წარმოდგენილი ჰყავდათ ქალად, რომელსაც ხელში ლირა უჭირავს.

**ტერცეტ**-ი [იტ. terzetto] – **1.** (მუს.) იგივეა, რაც ტრიო.
**2.** (ლიტ.) სამსტრიქონიანი სტროფი სონეტში.

**ტერცია** [ლათ. tercia მესამე] – **1.** მუსიკალური გამის მესამე საფეხური; ინტერვალი პირველსა და მესამე საფეხურებს შორის.
**2.** (პოლიგრ.) სასათაურო შრიფტი ერთგვარი.

**ტესტ**-ი [ინგლ. test] – მოკლე ამოცანა, რომელსაც აძლევენ გამოსაცდელ პირს მისი გონებრივი განვითარების, მიდრეკილებისა და შესაძლებლობათა გამოსაცდელად.
◎ **ტესტური.**
⊙ **ტ. გამოცდები.**

**ტესტერ**-ი [ინგლ. tester] – ხელსაწყო რისამე (მაგ. ელექტრონათურების ვარგისიანობის) შესამოწმებლად.

**ტექნიკა** [ბერძ. techno ოსტატობა, ხელოვნება] – **1.** შრომის იმ იარაღებისა და საშუალებებათა ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება მატერიალურ ფასეულობათა შესაქმნელად.
⊙ **მოწინავე ტ., ტ.-ის განვითარება.**
**2.** მანქანების, მექანიკურ მოწყობილობათა და იარაღების ერთობლიობა.
⊙ **სასოფლო-სამეურნეო ტ., სამშენებლო ტ., ავტო-სატრაქტორო ტ., სამხედრო ტ.**
**3.** ერთობლიობა პროფესიული ხერხებისა, რომლებსაც იყენებენ რაიმე საქმეში.
⊙ **უსაფრთხოების ტ., ჭადრაკის თამაშის ტ., ვიოლინოს დაკვრის ტ.**

**ტექნიკური** – **1.** ტექნიკასთან, მის გამოყენებასთან დაკავშირებული.
⊙ **ტ. პროგრესი, ტ. ჩამორჩენილობა.**
**2.** მანქანების და მექანიზმების მუშაობასთან, წარმოების პროცესთან დაკავშირებული.
⊙ **ტ. ინტელეგენცია, ტ. დოკუმენტაცია.**
○ **ტეხნიკა, ტეხნიკური შცდ.**

**ტექნიკოს**-ი **1.** საშუალო ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი.
⊙ **სამთო ტ., ინჟინრები** და **ტ.-ები.**

**2**. ტექნიკის დარგში მომუშავე პირი.

⊙ **ნორჩი ტ.-ები.**

○ **ტეხნიკი, ტეხნიკოსი შცდ.**

**ტექნოლოგ**-ი – წარმოების რომელიმე დარგის ტექნოლოგიის სპეციალისტი.

⊙ **ინჟინერ-ტ., ტ.-მექნიკოსი.**

○ **ტეხნოლოგი შცდ.**

**ტექნოლოგია** [ბერძ. techno ოსტატობა, ხელოვნება და logos მოძღვრება] – საწარმოო პროცესების ერთობლიობა წარმოების გარკვეულ დარგში; წარმოების ხერხების მეცნიერული აღწერა.

⊙ **ჩაის ტ., შედუღების ტ., ახალი ტ.-ის დანერგვა; ავტომობილის აწყობის ტ.**

◎ **ტექნოლოგიური.**

⊙ **ტ. პროცესი.**

○ **ტეხნოლოგია, ტეხნოლოგიური შცდ.**

**ტექსტ**-ი [ლათ. textum კავშირი, შეერთება] – დაწერილი რაიმე (ლიტერატურული ნაწარმოები, თხზულება, საბუთი და მისთ.).

⊙ **„ვეფხისტყაოსნის“ ტ., სიმღერის ტ., დეპეშის ტ.**

**ტექსტოლოგია** [ლათ. textum და ბერძ. logos მოძღვრება] – ფილოსოფიის დარგი, რომელიც კრიტიკულად სწავლობს ლიტერატურის ძეგლებს და ისტორიულ დოკუმენტების ტექსტებს მათი მეცნიერულად გამოცემის მიზნით.

**ტექტონიკა** [ბერძ. tektoniko მშენებლობის ხელოვნება] – **1**. გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობასა და დეფორმაციებს და მათთან დაკავშირებულ თვისებებს.

**2**. (არქიტ.) შენობის ნაწილების ურთიერთგანლაგებისა და მისი ფორმების, პროპორციების შეფარდების თავისებურებანი.

**ტვისტ**-ი [ინგლ. twist] – ცეკვა ერთგვარი.

**ტიარა** [ბერძ. tiara] – **1**. ძველ აღმოსავლეთში: მეფეების, ქურუმების თავსაბურავი (როგორც ძალაუფლების სიმბოლო).

**2**. რომის პაპის გვირგვინი.

**ტიგელ**-ი [გერმ. tiegel] – ცეცხლგამძლე ჭურჭელი, რომელშიც ადნობენ ან ახურებენ სხვადასხვა მასალას, ნივთიერებას.

◎ **ტიგელისა.**

○ **ტიგლისა შცდ.**

**ტიპ**-ი [ლათ. typus ანაბეჭდი, ფორმა, ნიმუში] – **1**. საგნების, მოვლენების გარკვეული ჯგუფის ნიმუში, სახე, ფორმა.

⊙ **თვითფრინავის ახალი ტ.,**

**ავტომობილის ახალი ტ.**
**2.** მხატვრული სახე, რომელშიც განზოგადებულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის თვისებები.
⊙ **ქართველი ქალის ტ. მხატვრულ ლიტერატურაში.**
◎ **ტიპური** და **ტიპობრივი** (მნიშვნ. 1-ისათვის).
⊙ **ტ. პროექტი, ტ. მაგალითი, ტ. მოვლენა.**
⊙ **ტიპიური შცდ.**
**ტიპიკონ**-ი [ბერძ. typicon] – საეკლესიო წესების კრებული.
**ტიპოლოგია** [ბერძ. typos ანაბეჭდი და logos მოძღვრება] – საგნების ან მოვლენების კლასიფიკაცია მათი საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით.
**ტირადა** [ფრ. tirade] – პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, რეპლიკა, მონოლოგი.
**ტირან**-ი [ბერძ. tyrannos] – სასტიკი მმართველი, რომელიც მოქმედებს თვითნებურად და ძალადობით (სინონ. **დესპოტი**).
◎ **ტირანული.**
⊙ **ტ. ხელისუფლება.**
**ტირანია** [ბერძ. tirannia] – თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა (სინონ. **დესპოტიზმი**).
**ტირაჟ**-ი [ფრ. tirage] – **1.** სესხის ან ლატარიის მოგებათა გათამაშება.
⊙ **სახელმწიფო სესხის მორიგი ტ.**
**2.** ბეჭდვითი გამოცემის ეგზემპლართა რაოდენობა.
⊙ **დიდი ტ. გამოცემული წიგნი.**
**ტიტან**-ი [ბერძ. Titan] – **1.** ტიტანები – ბერძნულ მითოლოგიაში: უკვდავი არსებები, გიგანტები, რომლებიც შეებრძოლნენ ოლიმპიელ ღმერთებს.
**2.** იტყვიან ძალიან დიდ მოაზროვნეზე, გენიოსზე.
**3.** ქიმიური ელემენტი, ფოლადისფერი მაგარი ლითონი.
**ტიტანურ**-ი – (წიგნ.) უზარმაზარი [ბერძ. მითოლოგიის უკვდავი უზარმაზარი არსების Titan-ის სახელის მიხედვით].
⊙ **ტ. ძალა, ტ. შრომა.**
○ **ტიტანიური შცდ.**
**ტიტრ**-ი [ფრ. titre] – წარწერა კინოფილმის კადრზე.
**ტიტულ**-ი [ლატ. titulus] – **1.** ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებში: საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდებულება.
⊙ **გრაფის ტ.**
**2.** საერთოდ რაიმე საპატიო წოდებულება.
⊙ **ჩემპიონის ტ.**
**3.** წიგნის პირველი გვერდი, რომელზედაც მოცემულია სათა-

ური, ავტორის გვარი, გამოცემის ადგილი, წელი და სხვ.

◎ **სატიტულო: სატიტულო ფურცელი** – იგივეა, რაც **ტიტული** (მნიშვნ. 3).

**ტიფ**-ი [ბერძ. typhos გონების დაბნელება, გაშეშება] – რამდენიმე მწვავე ინფექციური დაავადების საერთო სახელწოდება.

**ტიფლოპედაგოგიკა** [ბერძ. typhlos უსინათლო და paidagôgiks] – პედაგოგიკის დარგი, რომელიც ამუშავებს უსინათლოთა და ცუდად მხედველთა სწავლა-აღზრდის საკითხებს (მეთოდებს).

**ტიფოზი** [იტ. tifosi (მრ.) „ტიფიანები“] – ასე უწოდებენ იტალიაში ფეხბურთის გულშემატკივრებს.

**ტოგა** [ლათ. toga] – ძვ. რომის სრულუფლებიან მოქალაქეთა ზედა ტანსაცმელი – გრძელი წამოსასხამი.

◎ **ტოგისა.**

○ **ტოგასი შცდ.**

**ტოკაი** [< გეოგრ. სახ.] – უნგრული თეთრი სადესერტო ღვინო.

**ტოლერანტობა** [< ლათ. tolerans (tolerantis)] – (წიგნ.) სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა.

**ტომაჰავკ**-ი [ინგლ. tomahawk ინდიელთა ერთ-ერთი ენიდან ალგონკ.] – ჩრდილოეთ ამერიკელ ინდიელთა საბრძოლო იარაღი – მსუბუქი ნაჯახი,რომელსაც შორიდან სასროლად იყენებდნენ.

**ტონ**-ი [ბერძ. tonos ხმის ამაღლება] – **1.** (მუს.) განსაზღვრული სიდიდის შუალედი ორ მეზობელ ბგერას შორის.

⊙ **დაბალი ტ., მაღალი ტ.-ები.**

**2.** მხატვრობაში: ფერის ესა თუ ის შესამჩნევი სხვაობა (ქართ. სინონ. **ელფერი**).

⊙ **ნათელი ტ.-ები, მუქი ტ.-ები.**

**3.** საუბრის ესა თუ ის იერი (ქართ. სინონ. **კილო**).

⊙ **მედიდური ტ.**

◎ **ტონალური.**

⊙ **ტ. გადასვლები.**

**ნახევარტონი** – მუსიკალური ინტერვალების საზომი ერთეული – სიმაღლის მიხედვით უმცირესი მანძილი ბგერებს შორის.

**ტონა** [ფრ. tonne] – წონის ერთეული ზომათა მეტრულ სისტემაში: უდრის 1000 კგ-ს.

**ტონაჟ**-ი [ფრ. tonnage] – **1.** გემის (გემების) წყალწყვა ან ტვირთმზიდაობა.

**2.** სატრანსპორტო საშუალებათა, ტრანსპორტის ტვირთმზიდაობა.

**3.** რაიმე საქონლის გამოშვება წონით.

**ტო́ნგა** [ინდ.] – ინდოეთში: ვე-ლორიქშა.

**ტო́ნიკ**-ი [ინგლ. tonic] – უალკოჰოლო გაზიანი სასმელი, რომელსაც იყენებენ არაყისა და მისთ.-ის გასაზავებლად.

**ტონსტუდია** – კინოწარმოებაში: ხმის ჩასაწერი სტუდია.

**ტო́ნუს**-ი [ლათ. tonus < ბერძ. tonos დაძაბვა] – (ფიზიოლ.) ნერვული ცენტრებისა და კუნთოვანი ქსოვილის აღგზნება დაღლილობის გარეშე.

**ტოპიარია** [ლათ. topiaria მებაღეობა] – საბაღო დეკორატიული ხელოვნება და ბუჩქებისათვის სხვადასხვა ცხოველის, პირამიდებისა და მისთ. ფორმის მიცემა.

**ტოპოგრაფია** [ბერძ. topos ადგილი და graphô ვწერ] – გეოდეზიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირს, მისი გაზომვის და გეგმაზე ან რუკაზე გამოსახვის ხერხებს.

◎ **ტოპოგრაფიული.**

⊙ **ტ. რუკა, ტ. კოლეჯი.**

**ტოპო́ნიმ**-ი – რაიმე გეოგრაფიული ადგილის (სოფლის, მთის, ტყის, მინდვრის და ა.შ.) სახელწოდება.

**ტოპონი́მიკა** [ბერძ. topos ადგილი და onyma სახელი] – **1.** რომელიმე ადგილის გეოგრაფიულ სახელთა ერთობლიობა.

**2.** ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ სახელებს.

**ტორეადორ**-ი [ესპ. toreados < toro ხარი] – ესპანეთში: ხარებთან ბრძოლის მონაწილე.

⊙ **ტორიადორი შცდ.**

**ტო́რპედო** [ლათ. torpedo ელექტრული სკაროსი (თევზია ერთგვარი)] – თვითმოძრავი და თვითმართული წყალქვეშა ჭურვი სიგარის ფორმისა.

**ტო́რს**-ი [იტ. torso] – ადამიანის ტანი ფერწერაში. ადამიანის გამოსახულება თაბაშირით ქანდაკებაში, ტორსი.

**ტო́რფ**-ი [გერმ. Torf] – ჭაობის მცენარეთა ხრწნის შედეგად წარმოშობილი მკვრივი მასა; იყენებენ საწვავად, სასუქად.

**ტო́სტ**-ი [ინგლ. toast] – **1.** სადღეგრძელო.

**2.** ცეცხლზე გახუხული დამკრახული ან გამომშრალი პურის თხელი ნაჭერი, ტოსტი.

**ტოტალიზატორ**-ი [ფრ. totalisteur] – **1.** დოღზე მოწყობილი მექანიკური მრიცხველი, რომელიც აჩვენებს – რომელი ცხე-

ნით რა სანაძლეოა დადებული; ბიურო, რომელიც იღებს სანაძლეოს და გამარჯვებულს უხდის სათანადო თანხას.

**2.** დოღზე ან სხვა სპორტულ სანახაობაზე გამართული თამაში ფულზე.

**ᲢᲝᲢᲐᲚᲘᲢᲐ́ᲠᲣᲚ**-ი [ფრ. totalitaire] – სადაც, რის დროსაც აშკარა ტერორისტული დიქტატურაა;

⊙ **ტ. რეჟიმი, ტ. სახელმწიფო;** იგივე **ტოტალიტარიზმი.**

**ᲢᲝᲢᲐ́ᲚᲣᲠ**-ი [ფრ. totall] – (წიგნ.) ყოვლისმომცველი, საყოველთაო.

⊙ **ტ. ომი, ტ. მობილიზაცია.**

**ᲢᲝᲥᲡᲘᲙᲝᲚᲝ́ᲒᲘᲐ** [< ბერძ. toxikon შხამი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს შხამების თვისებებს და მათ მოქმედებას ორგანიზმზე.

**ᲢᲝᲥᲡᲘ́ᲙᲣᲠ**-ი [< ბერძ. toxikon შხამი] – შხამიანი მომწამვლელი.

⊙ **ტ. ნივთიერებანი.**

○ **ტოქსიური** შცდ.

**ᲢᲝᲥᲡᲘ́Ნ**-ი [ბერძ. toxikon შხამი] – შხამიანი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს ზოგი მიკროორგანიზმი, აგრეთვე ზოგი ცხოველი და მცენარე.

**ᲢᲠᲐᲒᲔ́ᲓᲘᲐ** [ბერძ. tragedia] – **1.** დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ასახულია მძაფრი კონფლიქტი, ძლიერი ხასიათებისა და ღრმა განცდების შეჯახება, რაც ჩვეულებრივ გმირის დაღუპვით თავდება.

⊙ **შექსპირის ტ.-ები.**

**2.** (გადატ.) საშინელი ამბავი, უბედური შემთხვევა; მძიმე განცდა, ტანჯვა.

⊙ **ტ. დატრიალდა, ოჯახური ტ.**

◎ **ტრაგედიული** (მნიშვ. 1-ისათვის).

⊙ **ტ. ჟანრი, ტ. მსახიობი.**

◎ **ტრაგიკული** (მნიშვ. 2-ისათვის).

⊙ **ტ. შემთხვევა, ტ. დაღუპვა.**

◎ **სატრაგედიო** (მნიშვ. 5-ისათვის).

⊙ **ს. აქ არაფერია!**

○ **ტრაღედია, ტრაღედიური, ტრაღიკული, სატრაღედიო** შცდ.

**ᲢᲠᲐᲒᲘ́ᲙᲝᲡᲘ** – ტრაგედიული როლების შემსრულებელი მსახიობი.

○ **ტრაღიკოსი** შცდ.

**ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲝᲛᲔ́ᲓᲘᲐ** – **1.** დრამატული ნაწარმოები, რომელშიც შეხამებულია ტრაგედიისა და კომედიის ელემენტები.

**2.** სამწუხარო და, ამავე დროს, სასაცილო მდგომარეობა ან ამბავი.

**ᲢᲠᲐᲓᲘ́ᲪᲘᲐ** [ლათ. traditio გადა-

ცემა, თხრობა] – ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, ყოფაქცევის ნორმები.

⊙ **ეროვნული ტ.-ები.**

◎ **ტრადიციული.**

⊙ **ტ. დღესასწაული.**

**ტრაექტორია** [ლათ. trajectorius გადაადგილებასთან დაკავშირებული] – სივრცეში მოძრავი რაიმე წერტილის ან სხეულის გზა.

⊙ **ჭურვის ტ., კოსმოსური აპარატის ტ.**

○ **ტრაეკტორია** შცდ.

**ტრავერზ**-ი [ფრ. traverse] – გემის, თვითმფრინავის კურსის პერპენდიკულარული მიმართულება.

**ტრავერს**-ი[1] [ფრ. traversée გადასვლა] – ალპინისტების გადასვლა მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილის თხემზე და მოიცავს რამდენიმე მწვერვალს.

**ტრავერს**-ი[2] [ფრ. traverse] – განივი ძელი, რომელიც ეყრდნობა ვერტიკალურ კოლონებს; კადონი.

**ტრავმა** [ბერძ. trauma] – ორგანიზმის დაშავება, რაც გამოწვეულია გარეგანი ზემოქმედებით (დაჭრით, დაჟეჟვით, დაწვით და მისთ.).

⊙ **ხელის ტ.**

◎ **ტრავმული** და **ტრავმატული.**

⊙ **ტ. დაშავება.**

**ტრავმატოლოგია** [ბერძ. trauma (traumatos) ჭრილობა, დაზიანება და ლოგოს მოძღვრება] – მედიცნის ნაწილი, რომელიც სწავლობს ტრავმულ დაზიანებასა და მისი მკურნალობის მეთოდებს.

**ტრალერ**-ი [ინგლ. trawler] – **1.** ტრალებით აღჭურვილი თევზსაჭერი გემი.

**2.** სამხედრო გემი, რომელიც აღჭურვილია ტრალით და განკუთვნილია წყალქვეშა ნაღმების მოსასპობად.

**ტრალ**-ი [ინგლ. trawl] – **1.** ტომრისებური დიდი ბადე გემიდან ზღვაში თევზის საჭერად.

**2.** მოწყობილობა ზღვის ფსკერის გამოსაკვლევად, იქიდან მცენარეებისა და ცხოველების ამოსაზიდად.

**3.** მოწყობილობა წყალქვეშა ნაღმების აღმოსაჩენად და მოსასპოვებლად.

**ტრამბლერ**-ი [ფრ. trembleur] – კარბურატორში შიგაწვის ძრავის ანთების სისტემის ხელსაწყო; განკუთვნილია მაღალი ძაბვის ელექტროდენის მისაწოდებლად ანთების სანთლებისათვის.

**ტრა́მპლინ**-ი [ფრ. tremplin] – **1.** ასახლეტი ნაგებობა ან მოწყობილობა ხტომის სიგრძისა და სიმაღლის გასადიდებლად.
⊙ **სათხილამურო ტ., წყალში ხტომა ტ.-იდან.**
**2.** (გადატ.) საყრდენი, ამოსავალი პუნქტი რაიმე მოქმედებისათვის.

**ტრანზი́სტორ**-ი [ინგლ. transistor] – **1.** ნახევრადგამტარებიანი ხელსაწყო ელექტროსიგნალების გასაძლიერებლად და გარდასაქმნელად.
**2.** პორტატული რადიომიმღები, რომელსაც ასეთი ხელსაწყო აქვს.
◎ **ტრანზისტორული.**
⊙ **ტ. რადიომიმღები.**

**ტრა́ნზიტ**-ი [ლათ. transitus გასვლა, გადასვლა] – ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ტრანსპორტის რაიმე სახეობით ერთი პუნქტიდან მეორეში გზად მდებარე შუალედური პუნქტის გავლით ან ერთი სახელმწიფოდან მეორეში მესამე სახელმწიფოს გავლით.
◎ **ტრანზიტული** და **სატრანზიტო.**
⊙ **ტ. (ს.) მიმოსვლა.**
◎ **ტ.** (ს.) **მატარებელი, ს. ვაჭრობა, ს. ვიზა.**

**ტრანს...** [ლათ. trans -ზე, -ში; შემდეგ, იქით; გამჭოლი] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვების, რომელიც აღნიშნავს:
**1.** სივრცეში მოძრაობას, მის გადაკვეთას.
⊙ **ტრანსკონტინენტალური** (ტრანსკონტინენტური).
**2.** რაიმეს განლაგება იქით, იქითა მხარეს.
⊙ **ტრანსალპური.**
**3.** გადაცემა რაიმეს მეშვეობით.
⊙ **ტრანსკრიფცია.**

**ტრა́ნს**-ი [ფრ. transe] – ფსიქიკის აშლილობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ადამიანს ცნობიერება დაბნელებული აქვს და იგი ავტომატურად ასრულებს რთულ მოძრაობას.

**ტრანსგრე́სია** [ლათ. transgressio გადასვლა, გადაადგილება] – ხმელეთზე ზღვის გადმოსვლის პროცესი; გამოწვეულია ხმელეთის დაწევით (ან, იშვიათად, ოკეანის დონის აწევით). (საპირისპ. **რეგრესია**).

**ტრანსკრი́ფცია** [ლათ. transcriptio გადაწერა] – (ენათმ.) რომელიმე ენის ბგერათა ზუსტი გადაცემა პირობითი ასოებით და არა ამ ენის წერის სისტემის საშუალებით.
⊙ **ლათინური ტ., საერთაშორი-**

**სო ტ., ფონეტიკური ტ., ინგლისური ტ.**

◎ **ტრანსკრიფციული** და **სატრანსკრიფციო.**

⊙ **ტ. (ს.) ნიშნები.**

○ **ტრანსკრიპცია, ტრანსკრიპციული.**

**სატრანსკრიპციო შცდ.**

**ტრანსლაცია** [ლათ. translatio გადაცემა, გადმოცემა] – მეტყველების, მუსიკის, გამოსახულების და მისთ. შორ მანძილზე გადაცემა რადიოს, ტელევიზიის საშუალებით.

⊙ **კონცერტის ტ. სტადიონიდან.**

◎ **სატრანსლიაციო.**

⊙ **ტრანსლიაცია, სატრანსლიაციო, ტრანსილიაცია, სატრანსილიაციო შცდ.**

**ტრანსლიტერაცია** [ლათ. trans -ით, გავლით და littera ასო] – (ენათმ.] ერთი დამწერლობის ასოების გადაცემა სხვა დამწერლობის ასოებით.

**ტრანსმისია** [ლათ. transmissio გადაცემა] – მოწყობილობა ძრავადან მანქანების,ჩარხების, მექანიზმების მოძრაობის გადასაცემად.

◎ **სატრანსმისო.**

⊙ **ს. ლილვი, ს. ღვედი.**

**ტრანსპარანტ**-ი [ფრ. transparent] – **1.** ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც მსხვილი შავი ხაზებია გავლებული; უხაზო საწერ ქაღალდს უდებენ ქვეშ, რომ წერის დროს სტრიქონები სწორი გამოვიდეს.

**2.** ჩარჩოზე გამოჭრილი გამჭვირვალე ქსოვილი ან ქაღალდი, რომელზედაც რაიმე გამოსახულება ან ტექსტია.

**ტრანსპლანტაცია** [ლათ. transplantatio] – (მედიც.) ქსოვილის ან ორგანოს გადანერგვა მკურნალობის მიზნით.

**ტრანსპორტ**-ი [< ლათ. transporto გადამაქვს] – **1.** სახალხო მეურნეობის დარგი, რომლის დანიშნულებაა ადამიანების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა; გადასაზიდ და გადასაყვან საშუალებათა ესა თუ ის სახეობა.

⊙ **საქალაქო** (ქალაქის) **ტ., საავტომობილო ტ., საზღვაო ტ., სარკინიგზო** (რკინიგზის) **ტ., საჰაერო ტ.**

**2.** სამხედრო ფლოტის დამხმარე გემი ჯარის გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად.

⊙ **სადესანტო ტ.**

◎ **სატრანსპორტო.**

⊙ **ს. საშუალებანი, ს. მაგისტრალი.**

**ტრანსპორტიორ**-ი [ფრ. transporteur] – იგივეა, რაც კონვეიერი.

**ტრანსპორტირ**-ი [< ლათ. tran-

sporto გადამაქვს] – ნახაზებზე კუთხეების ასაგები და გასაზომი ხელსაწყო; შედგება სახაზავის და გრადუსებად დაყოფილი ნახევარწრისაგან.

**ტრა́ნსფერტ**-ი და **ტრა́ნსფერ**-ი [ფრ. tranfert] – (ფინანს.) **1.** უცხოურ ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში.

**2.** სახელობით ფასიან ქაღალდებზე უფლების გადაცემა ერთი პირის მიერ მეორესათვის.

**3.** სახელმწიფოთა შორის მოსახლეობის გაცვლა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა.

4. სპორტსმენების (მაგ. ფეხბურთელების) ყიდვა-გაყიდვა.

**ტრანსფე́რტულ**-ი (ფინანს.) – გადასაგზავნი.

**ტრანსფორმა́ტორ**-ი [< ლათ. transformo გარდავქმნი] – აპარატი, რომელიც ელექტრული დენის **ძაბვას** გარდაქმნის (ზრდის ან ამცირებს).

◎ **სატრანსფორმატორო.**

⊙ **ს. ჯიხური.**

**ტრანსფორმა́ცია** [ლათ. tranformatio] და **ტრანსფორმი́რება** [გერმ. tranforieren] – (წიგნ.) გარდაქმნა, სახეცვლილება.

◎ **სატრანსფორმაციო.**

⊙ **ს. აპარატურა.**

**ტრანსფუზია** [ლათ. tranfusio] – (მედიც.) (სისხლის) გადასხმა.

**ტრანსცენდენტა́ლურ**-ი [ლათ. transcendens (transcendentis) რაც საზღვარს სცილდება] – **1.** იდეალისტურ ფილოსოფიაში: ცდის გარეშე არსებული განყენებული – ლოგიკური.

**2.** იმანუელ კანტის იდეალისტურ ფილოსოფიაში: რაც დაფუძნებულია შემეცნების აპრიორული, ცდისაგან დამოუკიდებელი ფორმების აღიარებაზე.

**ტრანსცენდე́ნტურ**-ი [ლათ. transcendens (transcendentis) რაც საზღვარს სცილდება] – **1.** იდეალისტურ ფილოსოფიაში: ცდის გარეთ არსებული, შემეცნებისათვის მიუწვდომელი.

**2.** (მათემ.) რასაც ალგებრულად ვერ გამოიანგარიშებენ, რაც ალგებრულად არ გამოისახება.

**ტრა́ნშეა** [ფრ. tranchēe] – **1.** (სამხ.) ვიწრო ღრმა თხრილი, რომელიც მთლიან ხაზად აერთებს თავდაცვითი პოზიციების ყველა საცეცხლე წერტს.

**2.** ღრმად და გრძლად გაჭრილი თხრილი.

⊙ **სანგრების შემაერთებელი**

**ტ., სასილოსე ტ.**
◎ **ტრანშეისა.**
○ **ტრანშეასი, ტრანშეია შცდ.**
**ტრაპეცია** [< ბერძ. trapezion მაგიდა] – **1.** ოთხკუთხედი მაგიდა, რომლის მხოლოდ ორი გვერდია პარალელური.
⊙ **ავაგოთ ტ.**
**2.** სატანვარჯიშო იარაღი – წყვილი თოკით ჩამოკიდებული ჰორიზონტალური ღერძი.
⊙ **ტ.-ზე ვარჯიში.**
**ტრაპ**-ი [ჰოლანდ. trap] – კიბე (გემისა, თვითმფრინავისა; თეატრში – სცენის ქვეშ ჩასასვლელი).
**ტრაპეზ**-ი [ბერძ. trapeza] – **1.** ეკლესიაში: საკურთხევლის ტახტი; თვით საკურთხეველი.
**2.** მაგიდა, სუფრა.
**3.** სადილი, ნადიმი, წვეულება.
**ტრასა** [გერმ. Trasse, ფრ. trace] – **1.** თხრილის, კავშირგაბმულობის ხაზის,მილსადენის და მისთ. ხაზის, აგრეთვე თვითმფრინავის, გემის მოძრაობის მიმართულება.
⊙ **გაზსადენის ტ., საჰაერო ტ., საზღვაო ტ.-ები, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის ტ.**
**2.** გზა (ჩვეულებრივ მთავარი, კარგად ნაკეთები).
⊙ **საავტომობილო ტ., უწყვეტი მოძრაობის ტ.**
**ტრასოლოგია** [ფრ. trace კვალი და ბერძ. logos მოძღვრება] – კრიმინალისტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს დამნაშავის მიერ დანაშაულის ადგილზე დატოვებულ კვალს.
**ტრაულერ**-ი [ინგლ. trawler] – ზღვის თევზსაჭერი გემი ტრალებით აღჭურვილი.
**ტრაურ**-ი [გერმ. Trauer] – **1.** მწუხარება გარდაცვლილის ან რაიმე საზოგადოებრივი უბედურების გამო.
**2.** შავი ტანსაცმელი ან შავი დეტალები ტანსაცმელზე.
**ტრაფარეტ**-ი [იტ. traforetto გახვრეტილი] – **1.** თხელი ფირფიტა, რომელშიც ამოჭრილია რაიმე სახე ან ასოები; იყენებენ კედლის, ფირნიშის და სხვათა მოსახატავად, წარწერების გასაკეთებლად (დაადებენ რაიმე ზედაპირს და ზევიდან წაუსვამენ საღებავს).
**2.** (გადატ.) ერთხელ და სამუდამოდ მიღებული, გაცვეთილი ფორმა, მზა ნიმუში (სინონ. **შაბლონი, შტამპი**).
◎ **ტრაფარეტული** (მნიშვ. 2-ისათვის).
⊙ **ტ. ფრაზები, ტ. ხერხი.**
**ტრაქეა** [ბერძ. tracheia] – (ანატ.) სასუნთქი მილი; სასულე.
**ტრაქტ**-ი [გერმ. Trakt] – (მოძვ.) დიდი, ფართო გზა.
⊙ **საფოსტო ტ.**

○ **ტრაკტი შცდ.**

**ტრაქტატი**-ი [ლეთ. tractatus განხილვა] – **1.** მეცნიერული შრომა, რომელშიც განხილულია ცალკეული საკითხი.

⊙ **ისტორიული ტ.**

**2.** საერთაშორისო ხელშეკრულება.

⊙ **სამშვიდობო ტ.**

○ **ტრაკტატი შცდ.**

**ტრეილერ**-ი [ინგლ. trailer] – **1.** ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მძიმე ტვირთისათვის; იგივეა, რაც **ტრაილერი**.

**2.** აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყანაში: საცხოვრებლად მოწყობილი ავტომისაბმელი; იყენებენ მოგზაურობაში.

**ტრეკ**-ი [ინგლ. track] – **1.** იგივეა, რაც ველოდრომი.

**2.** (ფიზ.) ელემენტარული ნაწილაკების ხილული კვალი რაიმე გამზომ ხელსაწყოში.

◎ **სატრეკო.**

⊙ **ს. ველორბოლა.**

**ტრელ**-ი [იტ. trillo] – მორაკრაკე, მთრთოლავი ხმა – სწრაფი მრავალჯერადი ცვლა ორი სხვადასხვა ხმისა.

**ტრენაჟ**-ი [ინგლ. train წვრთნა] – წვრთნა, ვარჯიშობა.

**ტრენინგ**-ი [ინგლ. training] – წვრთნა, წვრთნის რეჟიმი.

**ტრესტ**-ი [ინგლ. trust] – ერთი ტიპის რამდენიმე საწარმოს გაერთიანება.

⊙ **სამშენებლო ტ., საავტომობილო ტ.**

**ტრიადა** [ბერძ. trias (triados) სამება] – **1.** ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაში: იდეის სამსაფეხურიანი განვითარება, რომელიც განსაზღვრავს მოვლენათა განვითარების სამ სტადიას.

**2.** (გადატ.) სამება, სამეული.

⊙ **ჭეშმარიტება, სიკეთე, სილამაზე** – აი სამება;

**მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმიდა** – აი სამება.

**ტრიბუნა** [ფრ. tribune] – **1.** ამაღლებული ადგილი ორატორისათვის.

**2.** ნაგებობა, რომელსაც აქვს საფეხურებად ამაღლებული რიგები მაყურებელთა დასასხდომად.

⊙ **სტადიონის ტ.**

**ტრიბუნალ**-ი [ლათ. tribunal სამსჯავრო] – საგანგებო სასამართლო.

⊙ **სამხედრო ტ., საერთაშორისო ტ.**

**ტრიბუნ**-ი [ლათ. tribunus] – **1.** ძველ რომში: სხვადასხვა თანამდებობის პირის სახელწოდება.

**2.** იტყვიან გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეზე,რომელიც კარგ

ორატორად და პუბლიცისტად ითვლება.

⊙ **სახალხო ტ.**

**ტრიგონომეტრია** [ბერძ. trigonon სამკუთხედი და metreo ვზომავ] – მათემატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სამკუთხედის გვერდებისა და კუთხეების შეფარდებას.

◎ **ტრიგონომეტრიული.**

⊙ **ტ. ტაბულები.**

○ **ტრიგონომეტრული შცდ.**

**ტრიენალე** [ფრ. triennale (მდედრ.)] – საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება.

**ტრივიალურ**-ი [ფრ. trivial] – **1.** სიახლეს,ორიგინალობას მოკლებული; გაცვეთილი.

**2.** უხამსი, ვულგარული.

**ტრიკონ**-ი – ალპინისტის ფეხსაცმელი; ასეთი ფეხსაცმლის ძირზე დამაგრებული ფოლადის წრიაპები.

**ტრიკოტაჟ**-ი [ფრ. tricotage] – **1.** მანქანით უქსლოდ, წინდურად დამზადებული ქსოვილი.

⊙ **ტ.-ის თეთრეული.**

**2.** ასეთი ნაქსოვისაგან დამზადებული ტანსაცმელი ან თეთრეული.

⊙ **ტ.-ის სექცია** (მაღაზიაში).

◎ **სატრიკოტაჟო.**

⊙ **ს. ფაბრიკა.**

**ტრილიონ**-ი [ფრ. trillion] – ათასი მილიარდი (1 000 000 000 000).

**ტრილოგია** [ბერძ. trilogia] – ერთი ავტორის სამი თხზულება, რომელიც საერთო ჩანაფიქრით არის გაერთიანებული.

⊙ **კ. გამსახურდიას ტ. „მთვარის მოტაცება“.**

**ტრიმურტ**-ი [სანსკრ.] – ინდუიზმის სამება: ბრაჰმა, შივა და ვიშნუ.

**ტრიო** [იტ. trio] – **1.** სამი მომღერლისა ან სამი დამკვრელისაგან შემდგარი ანსამბლი.

⊙ **მედუდუკეთა ტ.**

**2.** მუსიკალური ნაწარმოები სამი საკრავისა და სამი მომღერლისათვის.

**ტრიოლეტ**-ი [ფრ. triolet] – (ლიტ.) რვა სტრიქონური ლექსი, რომლის მეოთხე და მეშვიდე სტრიქონი იმეორებს პირველს, ხოლო მერვე – მეორეს.

**ტრიპტიქ**-ი [ბერძ. triptychos სამმაგი] – **1.** ჩანაფიქრით გაერთიანებული სამი სურათი.

**2.** სამად მოსაკეცი ხატი (ქართ. სინონ. **სამკარედი** ან მოკლედ **კარედი**.

○ **ტრიპტიხი შცდ.**

**ტრი́უკ**-ი [ფრ. truc] – მარჯვე, ეფექტური ილეთი, ხერხი.
⊙ **აკრობატული ტ.**

**ტრიუმვი́რატ**-ი [ლათ. triumviratus < tres (trium) სამი და vir კაცი, მამაკაცი, მოღვაწე] – **1.** ძველ რომში I ს.-ში (ძვ. წელთაღრ.): სამი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის კავშირი, რომლის მიზანი იყო უმაღლესი ძალაუფლების ხელში ჩაგდება.
**2.**(გადატ.) სამი პირის შეთანხმება რაიმე მიზნით ერთობლივი მოღვაწეობისათვის.

**ტრი́უმ**-ი [ჰოლანდ. trium] – გემის შიგნითა სათავსი ქვედა გემბანისა და ფსკერს შორის; განკუთვნილია მექანიზმებისა და ტვირთისათვის.
○ **ტრუმი შცდ.**

**ტრი́უმო** [ფრ. trumeau] – კედლის მაღალი სარკე.

**ტრი́უმფ**-ი [ლათ. triumphus] – დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება; ამ წარმატებით გამოწვეული ზეიმი.
◎ **ტრიუმფული** და **სატრიუმფო.**
⊙ **ტ. (ს.) მსვლელობა.**
**ტრიუმფული** (**სატრიუმფო**) ჭიშკარი (ან **თაღი**) – რაიმე დიდი გამარჯვების აღსანიშნავად აგებული ჭიშკრის მსგავსი თაღიანი ნაგებობა.
⊙ იხმარება აგრეთვე **ტრიუმფალური**.

**ტრიუ́ფელ**-ი [გერმ. Truffel] – **1.** თირკმელა, სოკო.
**2.** სახელწოდება შოკოლადის კანფეტისა.

**ტრი́ცეფს**-ი [ლათ. triceps სამთავა] – (ანატ.) სამთავა კუნთი (მხრის, წვივისა).

**ტრო́ნ**-ი [ბერძ. thronos] – მდიდრულად მორთული სავარძელი ამაღლებული, განკუთვნილი მეფისათვის; ტახტი.
⊙ **ტ. ასვლა** (ტრონზე აღსაყდრება).

**ტრო́პარ**-ი [გვიანდ. ბერძ. troparion] – მართლმადიდებლურ ეკლესიაში: სალოცავი ლექსები ან გალობა რაიმე დღესასწაულის ან წმინდანის პატივსაცემად.

**ტრო́პიკ**-ი [ბერძ. tropikos (kyklos) მოსაბრუნებელი (წრე)] – **1.** ეკვატორიდან ჩრდილოეთით ან სამხრეთით 23°27'-ით დაშორებული. წარმოსახვითი წრე დედამიწის ზედაპირზე.
**2.** ამ წრეებს შორის მოქცეული ადგილი – დედამიწის ყველაზე უფრო ცხელი სარტყელი.
◎ **ტროპიკული.**
⊙ **ტ. ქვეყნები, ტ. ტყეები, ტ. სიცხე.**

**ტროპოსფერო** [ბერძ. tropos მობრუნება და sphaira ბურთი, სფერო] – დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი.

**ტროფეი** [ფრ. trophée] – **1.** ომის დროს გამარჯვებულის მიერ ხელთ ჩაგდებული საჭურველი და სხვა სამხედრო ქონება; ნადავლი.

**2.** ორნამენტული სამკაული, რომელიც გამოხატავს საჭურველს, აბჯარ-აბგარს.

**ტრუბადურ**-ი [ფრ. troubadour] – მე-11-13 სს.-ში: პროვანსელი (პროვანსი – ისტ. ოლქი სამხრეთ საფრანგეთში) პოეტი, რომელიც უმღერდა რაინდობას და სიყვარულს.

**ტრუიზმ**-ი [ინგლ. truism] – საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება; ბანალურობა.

**ტრუპა** [გერმ. Truppe] – თეატრის ან ცირკის მსახიობთა კოლექტივი.

⊙ **საბალეტო ტ.**

**ტუალეტ**-ი [ფრ. toilette] – **1.** ჩაცმულობა, მორთულობა (უპირატესად ქალისა).

⊙ **მოდური ტ., საგზაო ტ.**

**2.** სარკიანი მაგიდა, რომელთანაც იცვამენ, ირთვებიან.

⊙ **კაკლის ხის ტ.**

**3.** საპირფარეშო, საჭირო ოთახი.

**ტუბერ**-ი [ლათ. tuber კორძი, ხორცმეტი] – ზოგი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

⊙ **კარტოფილის ტ.**

**ტუბერკულოზ**-ი [ლათ. tuberculum კორძი, ხორცმეტი] – **1.** სასუნთქი სისტემის მიდრეკილება ინფექციისაკენ.

**2.** გადამდები დაავადება, რომელიც აზიანებს ფილტვებს, აგრეთვე ძვლებს, სახსრებს და სხვ. (ქართ. სინონ. **ჭლექი**).

⊙ **ტ.-ის დისპანსერი.**

○ **ტუბერკულიოზი შცდ.**

**ტუმბა** [< ბერძ.] – **1.** პატარა კარადა, რომელსაც საწოლთან დგამენ.

**2.** ორი დაბალი კარადა, რომლებიც გამოყენებულია საწერი მაგიდის საყრდენად.

**3.** მრგვალი ნაგებობა აფიშების და განცხადებების გასაკრავად.

○ **ტუმბოჩკა შცდ.**

**ტუნგ**-ი (ჩინ.) – ტროპიკული ხე, რომლის თესლისგანაც იღებენ მაღალი ხარისხის ტექნიკურ ზეთს.

○ **ტუნგო შცდ.**

**ტუნდრა** [< ფინ. tunturi] – დედამიწის არქტიკული სარტყელის სამხრეთი ზონა – უტყეო სივრცე, სადაც მუდამ სიცივეა.

**ტუნელ**-ი [ინგლ. tunnel] – მიწისქვეშა, წყალქვეშა ან სამთო ნაგებობა რკინიგზის, საავტომობილო გზების გასაყვანად და სხვ. მიზნებისათვის.

**ტუნიკა** [ლათ. tunica] – უსახელო ან მოკლესახელოებიანი პერანგი, რომელსაც ძვ. რომაელები იცვამდნენ ტოგის (იხ. ტოგა) ქვეშ.

**ტურ**-ი [ფრ. tour] – რაიმე შეჯიბრების, კონკურსის ნაწილი, რომელშიც მისი ყოველი მონაწილე ერთხელ გამოდის.
⊙ **საჭადრაკო ტურნირის პირველი ტ., ფეხბურთის ჩემპიონატის ბოლო ტ., პიანისტთა კონკურსის შესარჩევი ტ.**

**ტურბინა** [ფრ. tourbine < ლათ. turbineus გრიგალისებრი] – ძრავა, რომელიც ორთქლის, აირის ან წყლის ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის.
⊙ **წყლის ტ., ორთქლის ტ.**
○ **ტურბინი შცდ.**

**ტურიზმ**-ი [ფრ. tourisme] – **1.** მოგზაურობა ამა თუ იმ მხარის, ქვეყნის გაცნობისა და დასვენების მიზნით.
⊙ **საერთაშორისო ტ.**
**2.** სპორტის სახეობა – ჯგუფური ლაშქრობა ორგანიზმის გაკაჟების მიზნით.
⊙ **სამთო ტ., სათხილამურო ტ.**
◎ **ტურისტული.**
⊙ **ტ. მარშრუტი, ტ. საგზური, ტ. სეზონი.**

**ტურისტ**-ი [ფრ. touriste] – პირი, რომელიც ტურიზმს მისდევს, ტურისტულ მოგზაურობაში მონაწილეობს.

**ტურნე** [ფრ. tournēe] – **1.** მოგზაურობა წრიული მარშრუტით.
⊙ **ტ. ევროპის გარშემო.**
**2.** მსახიობთა ან სპორტსმენთა საგასტროლო მოგზაურობა გარკვეული მარშრუტით.
⊙ **ქართველ მსახიობთა ტ. ამერიკაში.**
◎ **ტურნესი.**
○ **ტურნისა შცდ.**

**ტურნირ**-ი [გერმ. turnier] – სპორტული შეჯიბრება, რომელშიც ყველა მონაწილე ერთმანეთს თითოჯერ ხვდება.
⊙ **საჭადრაკო ტ.**
◎ **სატურნირო.**
⊙ **ს. ცხრილი.**

**ტუფ**-ი [გერმ. Tuff < ლათ. tofus] – ვულკანური წარმოშობის ან დანალექი ფოროვანი ქანი; იყენებენ საშენ მასალად.
⊙ **ერევნის ტ.**

**ტუშე** [ფრ. touchē < toucher შეხება] – **1.** (მუს.) თითოეული პიანისტისთვის კლავიშზე თითის დაკვრის და-

მახასიათებელი მანერა, რაც გამოცემულ ბგერას აძლევს განსაკუთრებულ ელფერს.
**2**. (სპორტ.) კლასიკურ ჭიდაობაში: მოჭიდავის ორივე ბეჭით ერთდროულად ხალიჩაზე შეხება (და გადაგორება), რაც დამარცხების ნიშანია.

**ტუშ**-ი[1] [გერმ. Tusche] – სპეციალური წყლის საღებავი, შავი ან ფერადი; იყენებენ სახაზავად, სახატავად და საწერად.
⊙ **წითელი ტ., ტ.-ით ხაზვა.**

**ტუშ**-ი[2] [გერმ. Tusch] – მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც უპირატესად სასულე ორკესტრი ასრულებს.
⊙ **ტ. დაუკრეს.**

## უ

**უვერტიურა** [ფრ. ouverture] – ოპერის, სხვა თეატრალური წარმოდგენის მუსიკალური შესავალი.
⊙ **„დაისი"-ს უ.**
◎ **უვერტიურისა.**
○ **უვერტიურასი შცდ.**

**უვრაჟ**-ი [ფრ. ouvrage სამუშაო; ნაწარმოები] – დიდი ფორმატის მდიდრული, უხვად დასურათებული გამოცემა.

**უზურპატორ**-ი [ლათ. usurpator] – ის, ვინც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება ან მიითვისა რაიმე.
⊙ **უ. ხელისუფლება.**

**უზურპაცია** [ლათ. usurpatio] – უკანონოდ ხელში ჩაგდება (ძალაუფლებისა), მითვისება (სხვისი უფლებებისა).

**უზუს**-ი [ლათ. usus] – **1**. ჩვევა, ჩვეულება.
**2**. ხმარება, გამოყენება.

**უიკენდ**-ი [ინგლ. week-end < week კვირა და end ბოლო] – „კვირის ბოლო"; დასვენების დღე პარასკევ საღამოდან ორშაბათ დილამდე (რომელსაც ჩვეულებრივ ატარებენ ქალაქგარეთ).

**ულტიმატუმ**-ი [გვიანდ. ლათ. ultimatum] – კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც შეუსრულებლობის შემთხვევაში მოჰყვება დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და ძალის გამოყენება.
⊙ **უ. წამოუყენეს.**
◎ **ულტიმატუმური.**
⊙ **უ. მოთხოვნა.**
○ **ულტუმატური შცდ.**

**ულტრა**... [ლათ. ultra იქით, გადაღმა] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს რისამე ფარგლებს

გარეთ მყოფს, უკიდურესს.
⊙ **ულტრაიისფერი, ულტრამოკლე** (ტალღები).

**ულტრაბგერა** [ლათ. ultra იქით, გადაღმა] – ბგერა, რომელსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს; წარმოადგენს ძალიან მაღალი სიხშირის დრეკად რხევებს.

**ულტრაიისფერ**-ი [ლათ. ultra იქით, გადაღმა]:
**ულტრაიისფერი სხივები** – მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევები ოპტიკურ და რენტგენის სხივებს შორის. თვალით არ აღიქმება.

**ულტრამოკლე** [ლათ. ultra იქითგადაღმა]– ულტრამოკლე ტალღები – რადიოტალღები, რომელთა სიგრძე 10 მეტრზე ნაკლებია.
◎ **ულტრამოკლისა.**
○ **ულტრამოკლესი შცდ.**

**უნივერსალურ**-ი [ლათ. universalis საყოველთაო] – **1.** რაც ბევრ რასმე მოიცავს; მრავალმხრივი.
⊙ **უ. ცოდნა.**
**2.** რასაც მრავამხრივი დანიშნულება, გამოყენება აქვს.
⊙ **უ. საშუალება, უ. სახარატო ჩონჩხი, უ. მაღაზია (**მოკლედ: **უნივერმაღი).**

**უნივერსიადა** [უნივერსი(ტეტი) და (ოლიმპი)ადა] – სტუდენტთა საერთაშორისო სპორტული შეჯიბრება.
◎ **უნივერსიადისა.**
○ **უნივერსიადასი შცდ.**

**უნივერსიტეტ**-ი [ლათ. universitas (universitatis) ერთობლიობა] – **1.** უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო-მათემატიკური და ჰუმანიტარული განყოფილება (ფაკულტეტი).
⊙ **თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უ., ოქსფორდის უ.**
**2.** სახელწოდება დაწესებულებისა, რომელიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად.
⊙ **კულტურის სახალხო უ.**
◎ **საუნივერსიტეტო.**
⊙ **ს. სახელმძღვანელო.**

**უნივერსუმ**-ი [ლათ. universum] (ფილოს.) მთლიანი სამყარო; ყველა არსებული.

**უნიკალურ**-ი [ლათ. unicum ერთადერთი] – რაც უნიკუმს წარმოადგენს; ძალიან იშვიათს.
⊙ **უ. ექსპონატი, უ. ექსპერიმენტი.**

**უნიკუმ**-ი [ლათ. unicum ერთადერთი] – ძალიან იშვიათი რამ.

**უნიტარულ**-ი [ფრ. unitaire – მთლიანი, ერთიანი, გაერთიანებული] – უნიტარული სახელმწიფო – ისე-

თი სახელმწიფო, რომელიც არ არის დაყოფილი ფედერაციულ ელემენტებად (შტატებად, მხარეებად და სხვ.).

**უნიფიკაცია** და **უნიფიცირება** [ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ] – საერთო ნორმაზე გადაყვანა; გაერთიანება.

⊙ **ტერმინების უ.**

**ურანია** [ბერძ. Urania] – ბერძნულ მითოლოგიაში: **1.** ასტრონომიის მფარველი მუზა; წარმოდგენილი ჰყავდათ ქალად, რომელსაც ხელში გლობუსი უჭირავს.

**2.** აფროდიტეს ერთ-ერთი ეპითეტი.

**ურბანიზაცია** [ფრ. urbanisation – < ლათ. urbanus ქალაქისა] – **1.** მოსახლეობის, ეკონომიკისა და კულტურის თავმოყრა დიდ ქალაქში.

**2.** ქალაქის ცხოვრების თავისებურებების გავრცელება.

⊙ **სოფლის უ.**

**ურბანისტიკა** – ხუროთმოძღვრების დარგი, რომლის საქმეა თანამედროვე დიდი ქალაქების დაპროექტება და მშენებლობა.

**ურანოგრაფია** [ბერძ. uranos ცა, ზეცა და graphô ვწერ] – (ასტრ.) თანავასკვლავედებისა და შეუიარაღებელი თვალით ხილული ვარსკვლევების აღწერა.

**ურანოს**-ი [ბერძ. Uranos] – **1.** ბერძნულ მითოლოგიაში: ცის ღმერთი, გეას (დედამიწის) შვილი; ტახტიდან ჩამოაგდო თავისმა შვილმა კრონოსმა.

**2.** (ასტრ.) მზიდან რიგით მეშვიდე პლანეტა დიდი მზის სისტემისა.

**ურნა** [ლათ. urna] – **1.** სპეციალური ყუთი, რომელსაც აქვს ჭრილი ბიულეტენების ჩასაყრელად ფარული კენჭისყრის დროს.

**2.** ჭურჭელი ან ყუთი, რომელიც დგას ქუჩებში პაპიროსის ნამწვავების, რისამე ნარჩენების ჩასაყრელად.

**3.** ჭურჭელი, რომელშიც ინახავენ მიცვალებულის კრემაციის (დაწვის) შედეგად დარჩენილ ფერფლს.

**უტილ**-ი [ლათ. utilis სასარგებლო] – ნარჩენები (ჯართი, ჩვრები, ქაღალდი და სხვ.), რომლებიც გამოუსადეგარია, მაგრამ ვარგა გადასამუშავებლად, როგორც ნედლეული.

⊙ **უ.-ის შეგროვება, უ.-ის ჩაბარება.**

**უტილიზაცია** [ლათ. utilis გამოყენება] – გამოყენება რისამე.

**უტილიტარიზმ**-ი [< ლათ. uti-

litas სარგებლობა] – **1.** იდეალისტური ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალის საფუძვლად ითვლება სარგებლობის პრინციპი.
**2.** მისწრაფება იმისაკენ, რომ ყველაფერში ნახონ სარგებლობა, გამორჩნენ რასმე.

**უტოპია** [ხელოვნ. utopia და ბერძ. u არ და topis ადგილი (ე.ი. არარსებული ადგილი] – **1.** (წიგნ.) ფანტასტიკური რამ, განუხორციელებელი ოცნება.
◎ **უტოპიური.**
⊙ **უ. გეგმები.**
**2.** განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია.
**უტოპიური სოციალიზმი** – მოძღვრება საზოგადოების ძირფესვიანი სოციალისტური გარდაქმნისა და იდეალური საზოგადოების შექმნის შესახებ, რაც არ ემყარებოდა საზოგადოების ევოლუციური განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას.

**უტრირება** [< გერმ. utrieren] – (წიგნ.) მეტისმეტად გახაზვა რისამე, გაზვიადება; უკიდურესობამდე მიყვანა და მათი დამახინჯება.

**უფოლოგია** [ინგლ. UFO ანდა ufo (მრ. ufos) Unidentified Flying Object გამოუცნობი მფრინავი ობიექტი (გმო) – მეცნიერება „გამოუცნობი მფრინავი ობიექტების“ (ე.წ. „მფრინავი თეფშების“) შესახებ.

**უშუ** [ჩინ. სიტყ. სამხედრო ხელოვნება] – ჩინეთის სამხედრო ხელოვნება, რომელიც შეიცავს სპეციფიკურ ვარჯიშებს, ბრძოლის ილეთებს სხვადასხვა სახის იარაღთან და მის გარეშე, რომელიც ხელს უწყობს ხელოვნების სრულყოფას, სპორტის სახე.
⊙ **ფლობდე უ. ილეთებს.**

## ფ

**ფა** [იტ. fa] – მუსიკალური გამის მეოთხე ბგერა; ამ ბგერის აღმნიშვნელი ნოტი.

**ფაბრიკა** [ლათ. fabrica სახელოსნო] – სამრეწველო საწარმო, რომელიც უშვებს უპირატესად მსუბუქი და კვების მრეწველობის საქონელს.
⊙ **ქაღალდის ფ., ფეხსაცმლის ფ., მაკარონის ფ.**
◎ **ფაბრიკული** და **საფაბრიკო.**
⊙ **ფ. (ს.) წარმოება, ს. კომიტეტი.**
**მეფაბრიკე** – იგივეა, რაც **ფაბრიკანტი**.
◎ **მეფაბრიკისა.**
○ **მეფაბრიკესი** შცდ.

**ფაბრიკანტ**-ი – ფაბრიკის პატრონი.

**ფაბრიკატ**-ი [ლათ. fabricatus დამზადებული] – მზა საფაბრიკო ნაწარმი, წარმოების საბოლოოდ დამუშავებული პროდუქტი.

**ნახევრად ფაბრიკატი** – ნაწილობრივ დამუშავებული პროდუქტი, რომელიც შემდეგ საბოლოოდ უნდა დამუშავდეს.

○ **ნახევარფაბრიკატი შცდ.**

**ფაბულა** [ლათ. fabula] – მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, მასში ასახული ამბები, თხრობა, ისტორია.

⊙ **რომანის ფ.**

◎ **ფაბულური, ფაბულისა.**

⊙ **ფ. დამთხვევები.**

○ **ფაბულასი შცდ.**

**ფავორიტ**-ი [ფრ. favorite (მდედრ.) < ლათ. favor კეთილგანწყობილება] – **1.** ადამიანი, რომელიც სარგებლობს გავლენიანი პირის კეთილგანწყობილებით.

**2.** რაიმე შეჯიბრებაში: სპორტსმენი (დოღში – ცხენი), რომელსაც მეტი შანსი აქვს პირველი ადგილის დაკავებისა.

**ფაზა** [ფრ. phase < ბერძ. phasis გამოვლენა] – (წიგნ.) ცალკეული სტადია, მიზეზი რაიმე მოვლენის ან პროცესის განვითარებაში.

⊙ **მოლაპარაკება გარკვეულ ფ.-ში შევიდა.**

**ფაზანებ**-ი [ბერძ. phasianos (ornis) ფაზისის (ფრინველი) < Phasis ახლანდელი მდ. რიონი საქართველოში] – ფრინველი (ხოხობი) ქათმის ოჯახისა; ძვირფასი გარეული ფრინველი, ნანადირევი.

**ფაიანს**-ი [ფრ. faience] – **1.** თიხის მასა, რომელშიც შერეულია თაბაშირი და სხვა ნივთიერებანი; იყენებენ კერამიკულ ნაკეთობათა დასამზადებლად.

**2.** ამ მასის ნაკეთობანი გამომწვარი და მოჭიქული (ქართ. სინონ. **ქაშანური**).

⊙ **ფ.-ის ჭურჭელი.**

**ფაილ**-ი [ინგლ. file] – **1.** თხელი პლასტიკის ყდა ან პარკი ქაღალდების შესანახად.

**2.** კომპიუტერულ მეხსიერებაში გარკვეული წესით ჩაწერილ მონაცემთა განუყოფელი ერთობლიობა, რომლის წაკითხვა ერთდროულად ხდება.

**ფაკელ**-ი [< ბერძ. phakelos კონა, შეკვრა] – ლამპარი, სანათი, რომელიც კაშკაშა ალით იწვის, შედგება ჯოხისაგან, რომელსაც ერთი მხრიდან შემოხვეული აქვს ძენძი (ჩვრა) გაჟღენთილი საწვავი სითხით.

**ფაკელცუგ**-ი [გერმ. Fakelzug < Fakel ჩირაღდანი და Zug სვლა,

პროცესი] – ჩირაღდნებიანი სვლა.

**ფაკირ**-ი [არაბ. faqir ღარიბი] – **1**. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; დავრიში. **2**. ინდოეთში: მოხეტიალე ბერი, რომელიც ფოკუსებს აკეთებს, გაწვრთნილ ცხოველებს აჩვენებს და სხვ.

**ფაკულტეტ**-ი [< გერმ. Fakultat < ლათ. facultatis უნარიანობა, შესაძლებლობა] – უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება, სადაც ასწავლიან გარკვეულ მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს.

⊙ **უნივერსიტეტის სხვადასხვა ფ., სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფ., ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომექანიკური ფ.**

**ფაკულტატურ**-ი [ფრ. facultattif < ლათ. facultas (facultatis); უნარიანობა, შესაძლებლობა] – შესაძლებელი, არასავალდებულო; წარმოდგენილი ასარჩევად; მოქმედი დრო და დრო.

⊙ **ისტორიის ფ. კურსი.**

**ფალანგა** [ბერძ. phalanx (phalangos)] – **1**. ძველ საბერძნეთში: ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა – ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივები; ფლეში (ფლეშები).

⊙ **ბაგრატიონის ფ. (ფლეშები).**

**2**. ფალანგები – თითების მოკლე ლულოვანი ძვლები.

**ფალოს**-ი [ბერძ. phallos] – მამაკაცის სასქესო ორგანო, როგორც ბუნების მწარმოებელი ძალის სიმბოლოს გამოხატულება; თაყვანს სცემდნენ ძველი ხალხები („ფალოსის კულტი“).

**ფალსიფიკატორ**-ი – ფალსიფიკაციის ჩამდენი, გამყალბებელი.

**ფალსიფიკაცია** [ლათ. falsifico ვაყალბებ] და **ფალსიფიცირება** [გერმ. falsifizieren] – **1**. რისამე გაყალბება.

⊙ **ისტორიული ფაქტების ფ.**

**2**. რისამე ხარისხის გაუარესება.

⊙ **ღვინის ფ., ჩაის ფ.**

**ფალცეტ**-ი [იტ. falseto] – **1**. მომღერლის ხმის განსაკუთრებით მაღალი რეგისტრის ბგერა.

**2**. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა.

**ფამილიარული** [ლათ. familiaris ოჯახური, საოჯახო] – მეტისმეტად შინაურული, მოურიდებელი (ქცევა, ურთიერთობა და სხვ.).

⊙ **ფ. ტონი, ფ. მიმართვა ვინმესადმი.**

⊙ **ფამილარული შცდ.**

**ფანაბერია** [პოლონ. fanaberia] – ქედმაღლობა, მედიდურობა, გულზვიადობა; ამპარტავნობა, ბღენძიაობა, ყოყოჩობა, კუდაბზიკობა.

**ფანატიზმ**-ი [ფრ. fanatisme] – **1**. რელიგიური რწმენით უკიდურესი გატაცება; ბრმადმორწმუნეობა.
**2**. (გადატ.) რაიმე საქმით ან იდეით უკიდურესი გატაცება.
◎ **ფანატიკური.**
⊙ **ფ. რწმენა.**
○ **ფანატიური შცდ.**

**ფანატიკოს**-ი [ლათ. fanaticus გაშმაგებული] – ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანი; ბრმადმორწმუნე.

**ფანტაზია** [ბერძ. phantasia წარმოსახვა] – **1**. შემოქმედებითი წარმოსახვის, წარმოდგენის უნარი.
⊙ **მდიდარი ფ.**
**2**. წარმოსახვის პროდუქტი, ოცნება.

**ფანტასმაგორია** [ბერძ. phantasma მოჩვენება და ვლაპარაკობ] – ფანტასტიკური წარმოდგენა რისამე შესახებ; ბოდვითი ჩვენებანი; არარეალური, მოჩვენებითი რამ.

**ფანტასტ**-ი – მწერალი – ფანტასტიკური ნაწარმოებების ავტორი.

**ფანტასტიკა** – **1**. ფანტაზიასთან დაკავშირებული, გამოგონილი, ზღაპრული, არარეალური რამ.
**2**. ლიტერატურული ნაწარმოები, რომლებშიც აღწერილია გამოგონილი, ზებუნებრივი ამბები.
**ფანტასტიკური**– ფანტასტიკით (მნიშვ. 2) გამსჭვალული, ფანტასტიკაზე დამყარებული.
⊙ **ფ. რომანი, ფ. კინოფილმი.**
○ **ფანტასტიური, ფანტასტური შცდ.**

**ფანტომ**-ი [ფრ. fantône ბერძ. phantasma მოჩვენება] – **1**. ძალაზე უცნაური, ფანტასტიკური მოვლენა; მოჩვენება.
**2**. სხეულის ან მისი ნაწილის მოდელი ნატურალური სიდიდისა; იყენებენ თვალსაჩინოებისათვის სამედიცინო სასწავლებელში და სხვ.

**ფანტომურ**-ი – ტკივილი (მედიც.) – ტკივილის გრძნობა ამპუტაციის შემდეგ არაარსებულ კიდურებში.

**ფარაონ**-ი [ფრ. pharaôch < ეგვიპტ.] – ძველი ეგვიპტის მეფეთა ტიტული.

**ფანფარონ**-ი [ფრ. fanfaron] – მკვეხარა ბაქია, ტრაბახა.
⊙ **ნამდვილი ფ.-ია.**

**ფარვატერ**-ი [ჰოლანდ. varater]

– (ზღვ.) სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე, ვისიმე ფარვატერში სვლა (ყოფნა და სხვ.) – ვისამე პოზიციაზე, ვისამე გავლენის ქვეშ ყოფნა.

**ფარენჰაიტ**-ის თერმომეტრი – თერმომეტრი,რომლის სკალაზეც ყინულის დნობის წერტილია აღნიშნული +32°-ით, ხოლო წყლის დუღილის წერტილი +212°-ით.

**ფარ**-ი [ფრ. phare კუნძული ფაროსის სახელის მიხედვით ალექსანდრიის (ეგვიპტე) ახლოს, რომელიც განთქმული იყო ძველად თავისი შუქურით] – ელექტრული ფარი ავტომობილზე, მოტოციკლზე და ა.შ. გზის გასანათებლად.

⊙ **ავტომობილის ფ.**

**ფარისევლ**-ი [ძვ. ებრ. ფერუშიმ – გამოყოფილი, კენტი] – ძვ. ებრაელთა პოლიტ.-რელიგიური სექტის წევრი. ეს სექტა არსებობდა სადუკეველთა გვერდით ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. II ს-მდე. ქადაგებდა წესების მკაცრად დაცვას,საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვას, ებრძოდა ელინისტურ კულტურას, ჭეშმარიტებად აცხადებდა საკუთარ შეხედულებებს. მხილებულ იქნენ საღვთო წესების, მხოლოდ გარეგნულ აღსრულებაში **იესო ქრისტეს** მიერ,რომელსაც დევნიდნენ და კრიჭაში ედგნენ მას. სასტიკად დასაჯეს კიდეც ის ჯვარზე გაკვრით.

**ფარმაკოლოგია** [ბერძ. pharmakos წამალი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამკურნალო ნივთიერებათა მოქმედებას ორგანიზმზე (ქართ. სინონ. **წამალთმცოდნეობა**).

◎ **ფარმაკოლოგიური** და **საფარმაკოლოგიო.**

⊙ **ფ. (ს.) გამოკვლევა.**

**ფარმაცევტ**-ი – აფთიაქის მუშაკი, რომელსაც ფარმაცევტული განათლება აქვს.

**ფარმაცევტიკა** [ბერძ. pharmakeutike] – იგივეა, რაც ფარმაცია.

◎ **ფარმაცევტიკული** და **ფარმაცევტული.**

⊙ **ფ. კოლეჯი, ფ. განათლება, ფ. ცნობარი.**

○ **ფარმაცევტიული შცდ.**

**ფარმაცია** [ბერძ. pharmakeia წამალი] – მეცნიერება,რომელიც შეისწავლის სამკურნალო წამლით საშუალებათა მოპოვებას, დამზადებას, შენახვისა და გაცემის წესებს.

**ფარს**-ი [ფრ. farse] – **1.** სახალხო თეატრის სახეობა, რომელიც

ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში.
**2.** მსუბუქი კომედია, ვოდევილი ერთგვარი უხამსო შინაარსისა.
**3.** (გადატ.) ცინიკური ხუმრობა, მასხრობა.

**ფარშ**-ი [რუს. фарш < ფრ. farce] – დაკეპილი და შეზავებული ხორცი ან სხვა რამ პროდუქტი საჭმლის მოსამზადებლად: სატენი.

**ფას**-ი [ფრ. face] – წინამხარე, წინა ხედი.

**ფასად**-ი [ფრ. facade] – შენობის გარეთა მხარე.
⊙ **წინა ფ., გვერდითი ფ., უკანა ფ.**

**ფასონ**-ი [ფრ. fason] – **1.** ფორმა, მოდელი, რომლის მიხედვითაც არის შეკერილი რაიმე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი).
**2.** რაიმე ნაკეთობის გარეგნული შესახედაობა, ფორმა.
**3.** (საუბრ.) რაიმე გარკვეული ხერხი, მანერა.

**ფატალიზმ**-ი [< ლათ. fatalis საბედისწერო] – (წიგნ.) ბედისწერის (ფატუმის) არსებობის, წინასწარ განსაზღვრული ბედის გარდაუვლობის რწმენა.

**ფატალურ**-ი [ლათ. fatalis] – (წიგნ.) თითქოს განგებით გარდაუვალი; საბედისწერო.
⊙ **ფ. შემთხვევა.**

**ფატა-მორგანა** [იტ. fata morgana] – მირაჟის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ჰორიზონტზე ჩნდება შორეული კუნძულების, მთების, ქალაქების და სხვ. ობიექტების სწრაფად ცვალებადი და დამახინჯებული გამოსახულებანი.

**ფატუმ**-ი [ლათ. fatum] – (წიგნ.) გარდაუვალი ბედი, ბედისწერა.

**ფაუნა** [ლათ. fauna] – ცხოველთა სამყარო (შდრ. **ფლორა**).
⊙ **საქართველოს ფლორა** და **ფ., ზღვის ფ., ტროპიკული ფ.**
◎ **ფაუნისა.**
○ **ფაუნასი შცდ.**

**ფაქს**-ი [ინგლ. fax < ლათ. fax simile შექმენი მსგავსი] – მოწყობილობა ბრტყელ გამოსახულებათა ციფრული სახით გარდასაქმნელად და სატელეფონო ხაზით მათ გადასაცემად. ამ გზით მიღებული შეტყობინება.

**ფაქსიმილე** [ლათ. faxsimile გააკეთე მსგავსი] – ხელნაწერის, საბუთის, ვისიმე ხელმოწერის ზუსტი პირი.

**ფაქტ**-ი [ლათ. factum გაკეთებული] – ნამვილად მომხდარი ამბავი, მოვლენა, შემთხვევა.

⊙ **ისტორიული ფ., ფ.-ების განზოგადება.**
◎ **ფაქტობრივი.**
⊙ **ფ. მონაცემები, ფ. მასალა, ფ. ვითარება.**
○ **ფაქტიური შცდ.**

**ფაქტორ**-ი [ლათ. factor მკეთებელი, მწარმოებელი] – (წიგნ.) რაიმე პროცესის, მოვლენის მიზეზი.
⊙ **მნიშვნელოვანი ფ.**

**ფაქტურა** [ლთ. factura დამუშავება, აგებულება] – **1.** მხატვრული ნაკეთობის ზედაპირის თავისებურება.
⊙ **ნახატის ფ.**
**2.** გასაყიდად გაგზავნილი საქონლის დართული სია, რომელშიც აღნიშნულია საქონლის სახელწოდება,რაოდენობა, გასაყიდი ფასი და სხვ.
◎ **ფაქტურისა.**
○ **ფაქტურასი შცდ.**

**ფაშა** [თურქ. pasa] – უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდებულება ძველ ოსმალეთში (თურქეთში), ეგვიპტეში და ზოგ. სხვ. მუსლიმანურ ქვეყანაში.
◎ **ფაშისა.**
○ **ფაშასი შცდ.**

**ფაშიზმ**-ი [იტ. fascismo] – ყველაზე უფრო აგრესიული პოლიტიკური მიმდინარეობა და აშკარა დიქტატურის ფორმა, ახორციელებს შოვინიზმისა და რასიზმის პოლიტიკას.
◎ **ფაშისტური,**
⊙ **ფ. რეჟიმი.**

**ფაშისტ**-ი – ფაშიზმის მომხრე; ფაშისტური ორგანიზაციის წევრი.
◎ **ფაშისტური.**
⊙ **ფ. პარტია.**

**ფედერალიზმ**-ი [ფრ. féderalisme < foedus კავშირი] – **1.** სახელმწიფო წყობილების ფედერალური სისტემა; რისამე სტრუქტურა, დამყარებული ფედერაციის პრინციპზე.
**2.** პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს ასეთი სისტემის შექმნას.

**ფედერაცია** [ფრ. federation < ლათ. foederare კავშირი] – **1.** სახელმწიფო შეკვრა, წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოსგან შექმნილია ერთი მთლიანი სახელმწიფო.
**2.** ცალკეულ ორგანიზაციათა, საზოგადოებათა კავშირი.
⊙ **ფეხბურთის ფ., საჭადრაკო ფ.**
◎ **ფედერაციული.**
⊙ **ფ. სახელმწიფო.**

**ფეერია** [ფრ. féerie < fée ფერია] – **1.** თეატრალური ან საცირკო სანახაობა ზღაპრული შინა-

არსისა, დადგმული სხვადასხვა სცენური ეფექტის გამოყენებით.
**2**. (გადატ.) მომხიბლავი, მომაჯადოებელი სანახაობა.
**ფეერიულ**-ი – ფეერიის ხასიათისა; მომხიბლავი, მომაჯადოებელი.
⊙ **ფ. წარმოდგენა.**

**ფეიხოა** [ესპ. Feijoa] – სუბტროპიკული ხე; იკეთებს მწვანე წვნიან მომჟავო-ტკბილ ნაყოფს; ამ ხის ნაყოფი.
⊙ **ფეიხოისა.**
○ **ფეიხოასი, ფეიხოია შცდ.**

**ფეკალია** [ლათ. faex (faecis) ნალექი) – ადამიანის შარდისა და განავლის ნარევი.

**ფელეტონ**-ი [ფრ. feuilleton] – იუმორისტული ან სატირული ნაწარმოები საჭირბოროტო საკითხებზე (ჩვეულებრივ საგაზეთო სტატია).
◎ **ფელეტონური** და **საფელეტონო.**
⊙ **ფ. (ს.) სტილი, წერის ფ. (ს.) მანერა, ფ. თემა.**

**ფელეტონისტ**-ი – გაზეთის მუშაკი, რომელიც ფელეტონებს წერს.

**ფენიქს**-ი [ბერძ. phoinix (phoinikos] – ზოგი ძველი ხალხის მითოლოგიაში: ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოებისას თითქოს თავს იწვავს და კვლავ აღდგება თავისი ფერფლიდან, ცოცხლდება (იხმარება, როგორც მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლო).

**ფენოლოგია** [ბერძ. phaino ვუჩვენებ და logos მოძღვრება] – ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლის პერიოდულ მოვლენებს (მაგ., მცენარეთა აყვავებას, ფრინველთა გადაფრენას), რაც განპირობებულია წელიწადის დროთა მონაცვლეობით.

**ფენომენ**-ი [ბერძ. phainimen მოვლენილი] – (წიგნ.) რაიმე თვალსაზრისით განსაკუთრებული, იშვიათი, არაჩვეულებრივი მოვლენა.
◎ **ფენომენური** და **ფენომენალური.**
⊙ **ფ. ცოდნა, ფ. მეხსიერება, ფ. ძალა.**

**ფეოდალ**-ი [ლათ. feodalis] – ფეოდალიზმის დროს ფეოდის – მეფის ან უფროსი ფეოდალის მიერ მინიჭებული მიწის-მფობელი სხვადასხვა (ჩვეულებრივ სამხედრო) სამსახურის ფასად.
◎ **ფეოდალური.**
⊙ **ფ. არისტოკრატია.**

**ფეოდალიზმ**-ი [ფრ. feodalisme < ლათ.] – საზოგადოებრივი

წყობილება, რომელიც წინ უსწრებს კაპიტალიზმს და, რომლის დროსაც ფეოდალს მთლიანად ეკუთვნის წარმოების საშუალებანი და არასრულად ეკუთვნიან მიწათმოქმედი ყმა გლეხები.

◎ **ფეოდალური.**

⊙ **ფ. წყობილება, ფ. სახელმწიფო.**

**ფერია** [ფრ. fée<ლათ. fatum ბედი]
**1.** კელტების და რომენული ხალხების რწმენით – მდედრობითი სქესის იდუმალი არსება, რომელიც ზეცაში ან მიწის ქვეშ ბინადრობს და, რომელიც ადამიანებთან შედის კონტაქტში, აფრქვევს მათ სიკეთეს ან ბოროტებას თესავს.
**2.** ჯადოქარი, სულის ჩამდგმელი.

⊙ **კეთილი ფ., ბოროტი ფ.**

**ფერმა** [ფრ. ferme] – **1.** კერძო მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწაზე.
**2.** ცალკე მეურნეობა, რომელიც მისდევს მეცხოველეობის რაიმე დარგს.

⊙ **მეფრინველეობის ფ., მერძევეობის ფ.**

**ფერმენტ**-ი [ლათ. fermentum] – ორგანული ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნა ცოცხალ უჯრედში და ხელს უწყობს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური რეაქციების დაჩქარებას.

**ფერმენტაცია** [< ლათ. fermento ვიწვევ გაფუებას, გაღვივებას] – გაფუების, გაღვივების პროცესი.

**ფერმერ**-ი [ინგლ. farmer < ფრ.] – ფერმის (მნიშვ. 1) პატრონი ან მოიჯარე.

◎ **ფერმერული** და **საფერმერო.**

⊙ **ფ. (ს.) მეურნეობა**

**ფერტილურობა** [ლათ. fertilis ნაყოფიერი] – ორგანიზმის უნარი, წარმოქმნას შთამომავლობა.

**ფეშენებელური** [ინგლ. fashionable] – დიდი გემოვნებით მოწყობილი; მოდური.

⊙ **ფ. სასტუმრო.**

○ **ფეშენებლური შცდ.**

**ფესტივალ**-ი [ფრ. festival] – ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიღწევათა ჩვენება, დათვალიერება საზეიმო ვითარებაში.

⊙ **თეატრალური ფ., მუსიკალური ფ., ქართული კინოფილმების ფესტივალი.**

◎ **საფესტივალო.**

⊙ **ს. პროგრამა, ს. აფიშა.**

**ფეტიშ**-ი [ფრ. fétiche < პორტ. fetiso ჯადოსნობა] – **1.** უსულო

ავგაროზი, ამულეტი, საგანი, რომელსაც პირველყოფილი ტომები მიაწერდნენ ზებუნებრივ, მაგიურ ძალას და თაყვანს სცემდნენ.

**2.** (გადატ.) ისეთი რამ,რაც ბრმად სწამთ, რასაც ეთაყვანებიან, აღმერთებენ.

**ფეტიშიზმ**-ი [ფრ. fétichisme პორტ.] – **1**. ფეტიშების თაყვანისცემა, უსულო საგნების კულტი.

**2.** (გადატ.) ბრმად თაყვანისცემა რისამე.

**ფთიზიატრია** [ბერძ. phthisis ჭლექი და iatereia მკურნალობა] – მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ფილტვების ტუბერკულოზს და მისი მკურნალობის მეთოდებს.

**ფთორ-ი** [ბერძ. phtora დაღუპვა, მოსპობა] – ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე უფერო აირი.

**ფიასკო** [იტ. fiasco] – (წიგნ.) სრული მარცხი; კრახი.

⊙ **ახალმა წამოწყებამ ფ. განიცადა.**

**ფიბრილაცია** [< ლათ. fibra ბოჭკო]: **გულის ფიბრილაცია** – (მედიც.) გულის კუნთის ცალკეული ბოჭკოების დაქსაქსული – ერთმანეთს დაშორებული შეკუმშვა; გულის თრთოლა, გულის ციმციმი.

**ფიბრომა** [< ლათ. fibre ბოჭკო] – ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილისა.

**ფიგარო** [საკუთ. სახ.] – ქალის მოკლე და ფართო, უსახელო ჩასაცმელი.

**ფიგურა** [ლათ. ფიგურა, სახე, ხელი] – **1**. სიბრტყის ან სივრცის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია დახშული ხაზით; გარკვეული წესით განლაგებულია წერტილების, ხაზების, ზედაპირების ან სხეულების ერთობლიობა.

⊙ **გეომეტრიული ფ.-ები (**სამკუთხედი, პირამიდა, კონუსი და სხვ.**).**

**2**. ადამიანის სხეულის მოყვანილობა, მისი გარეგნული მოხაზულობა.

⊙ **მოხდენილი ფ.**

**3**. ადამიანის ან ცხოველის სკულპტურული ან გრაფიკული გამოსახულება.

⊙ **სანთლის ფ.-ები.**

**4**. მდგომარეობა, პოზიცია, რაიმე მოძრაობისას (მაგ., ცეკვის, ციგურაობის დროს, თვითმფრინავისა – ფრენაში).

⊙ **უმაღლესი პილოტაჟის ფ.**

**5**. ჭადრაკში: საერთო სახელწოდება მეფისა, ლაზიერისა, ეტლისა, კუსი და მხედრისა (პაიკებისგან განსხვავებით);

ფართო გაგებით: სახელწოდება ჭადრაკის კომპლექტის თითოეული ქვისა, კოჭისა.

**ფიგურული** – **1.** რთული მოხაზულობის მქონე.

⊙ **ფ. ნამცხვარი, ფ. შოკოლადი.**

**2.** რაც სრულდება ფიგურებით (მნიშვ. **4**).

⊙ **ფ. სრიალი ყინულზე.**

**ფიგურალური** – ხატოვანი (თქმა, გამოთქმა); იგავური, ქარაგმული, გადაკრული (ლაპარაკი).

**ფიდეიზმ**-ი [ფრ. fidéisme < ლათ. fides რწმენა] – იდეალისტური მოძღვრება, რომელიც რელიგიას, რწმენას ანიჭებს უპირატესობას მეცნიერულ ცოდნასთან შედარებით.

**ფიესტა** [ესპ. fiesta] – ესპანეთის და სხვა ესპანურენოვან ქვეყნებში: დღესასწაული, ზეიმი.

**ფიზიკა** [ბერძ. physyke] – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბუნების მოვლენათა ზოგად კანონზომიერებას, მატერიის თვისებებსა და აგებულებას და მისი მოძრაობის კანონებს.

⊙ **თეორიული ფ., ბირთვული ფ., ფ.-ის კურსი, ფ.-ის გაკვეთილი.**

**ფიზიკური** – **1.** ფიზიკასთან დაკავშირებული.

⊙ **ფ. მოვლენა, ფ. ცდები.**

**2.** ადამიანის ორგანიზმთან დაკავშირებული (საპირისპ. სულიერი).

⊙ **ფ. ნაკლი, ფ. დასჯა.**

**3.** კუნთების მოქმედებასთან დაკავშირებული (საპირისპ. **გონებრივი**).

⊙ **ფ. შრომა, ფ. ვარჯიში.**

**ფიზიკური კულტურა** – ადამიანის სხეულის ყოველმხრივი სრულყოფა და გამაგრება ფიზიკური ვარჯიშების საშუალებით.

**ფიზიოთერაპია** [ბერძ. physis ბუნება და therapeia მკურნალობა] – ფიზიკური, ბუნებრივი საშუალებებით (ჰაერით, წყლით, ელექტრობით და სხვ.) მკურნალობა.

**ფიზიოლოგია** [ბერძ. physis ბუნება და logos მოძღვრება] – **1.** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმისა და მისი ფუნქციების სასიცოცხლო ნაწილების მოქმედებას.

**2.** ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები:

⊙ **ადამიანის ფ., მცენარეთა ფ.**

◎ **ფიზიოლოგიური.**

⊙ **ფ. პროცესები, ცხოველთა ფ. თვისებები.**

**ფიზიონომია** [ფრ. physionomie < ბერძ. phisis ბუნება და

gn̄omon̄ მცოდნე] – **1**. ადამიანის პირისახე: სახის გამომეტყველება, ხასიათი, სახე რისამე.

**2**. განსაკუთრებული თვისებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის პიროვნებას.

**ფიკუს**-ი [ლათ. ficus] – ოთახის დეკორატიული ხე; აქვს სქელი ტყავისებური ფოთოლი.

**ფილ..., ...ფილ** [ბერძ. philos მეგობარი, მოსიყვარულე, phileô მიყვარს] – **1**. რთული სიტყვების დასაწყისსა და ბოლოში,რომელიც აღნიშნავს მოქმედ პირს და ითარგმნება როგორც „მოსიყვარულე", „მოყვარული", „მეგობარი".

⊙ **ფილატელისტი, ბიბლიოფილი.**

**2**. განყენებული სიტყვების დასაწყისში აღნიშნავს უმთავრესად „სიყვარულს".

⊙ **ფილატელია.**

**ფილანთროპ**-ი [ბერძ. philanthropos < phileo მიყვარს და anthropos ადამიანი] – (წიგნ.) ქველმოქმედი, მოწყალე, კაცთმოყვარე.

○ **ფილანტროპი შცდ.**

**ფილანთროპია** [ბერძ.philanthropia] – (წიგნ.) ქველმოქმედება, კაცთმოყვარეობა.

◎ **ფილანთროპიული.**

⊙ **ფ. საზოგადოება.**

○ **ფილანტროპია, ფილანთროპული, ფილანტროპიული შცდ.**

**ფილარმონია** [ბერძ. phileo მიყვარს და harmonia ჰარმონია] – საზოგადოება ან დაწესებულება, რომელიც აწყობს კონცერტებს და ეწევა მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდას.

**ფილატელია** და **ფილატელიზმი** [ბერძ. phileo მიყვარს და ateleia გადასახადისგან განთავისუფლება] – საფოსტო მარკების შეგროვება, მათი კოლექცების შედგენა.

**ფილე** [ფრ. filet] – **1**. ფრინველის ხორცის ან თევზის ნაჭერი, რომელსაც ძვლები აქვს გაცლილი.

**2**. სუკი.

**ფილიალ**-ი [ლათ. filialis ვაჟიშვილისა] – რაიმე დაწესებულების ერთგვარად დამოუკიდებელი განყოფილება, რომელიც სხვაგან არის განთავსებული (მოთავსებული).

⊙ **ბანკის ფ., მუზეუმის ფ.**

**ფილიაცია** [ფრ. filiation] – (წიგნ.) რისამე განვითარება თანმიმდევრულად, ევოლუციურად.

⊙ **იდეათა ფ.**

**ფილიგრან**-ი [იტ. filigrana <

ლათ. filum ძაფი და granum მარცვალი] – **1.** საიუველირო ნაკეთობა, რომელიც მოგვაგონებს დაწნულ ნაწარმს, დაწნულ მაქმანს, არშიას წვრილი ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და სხვ. მავთულს. **2.** წყლის ნიშანი ქაღალდზე. **3.** ქაღალდი გამჭირვალე სახით, მოხატულობით, ნახჭით.

◎ **ფილიგრანული.**

⊙ **ფ. ქაღალდი, ფ. ბროში, ფ. ბეჭედი.**

**ფილიპიკა** – მკაცრი მამხილებელი სიტყვა, ვისიმე წინააღმდეგ [ძვ. ბერძენი ორატორის – დემოსთენეს – სიტყვების philippikaს-ს მიხედვით, რომლებიც მიმართული იყო მეფე ფილპე მაკედონელის წინააღმდეგ].

**ფილისტერ**-ი [გერმ. Philister] – შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი, რომლის ინტერსები შემოფარგლულია ყოველდღიური წვრილმანებით; მეშჩანი, ობივატელი.

**ფილმ**-ი [ინგლ. film] – იგივეა, რაც კინოფილმი.

**ფილოლოგია** [ბერძ. phileô მიყვარს და logos სიტყვა] – იმ მეცნიერებათა ერთობლიობა, რომლებიც შეისწავლიან ენასა და ლიტერატურას.

⊙ **ქართული ფ., ინგლისური ფ., ესპანური ფ.**

◎ **ფილოლოგიური** და **საფილოლოგიო.**

⊙ **ფ. (ს.) ჟურნალი, ფ. გამოკვლევა.**

**ფილოსოფია** [ბერძ. philosophia < phileô მიყვარს და sophia სიბრძნე] – მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზრების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ.

⊙ **ანტიკური ფ., კანტის ფ.**

◎ **ფილოსოფიური** და **საფილოსოფიო.**

◎ **ფ. (ს.) დისციპლინა, ფ. (ს.) სისტემა.**

**ფილოფონია** [ბერძ. phileô მიყვარს phônç ბგერა] – კოლექციონერობის სახეობა – მუსიკალური ფირფიტების შეგროვება.

**ფილოქსერა** [ბერძ. phyllon ფოთოლი და xeros გამხმარი] – ვაზის მავნებელი მწერი.

**ფილტრ**-ი [ფრ. filtre < საშ. ლათ. filtrum ქეჩა, ნაბადი] – ხელსაწყო ან ნივთიერება სითხეების, აირების გასაწმენდად მინარევებისგან.

⊙ **მექანიკური ფ., ფირფიტოვანი ფ., ბადიანი ფ., შიგაწვის ძრავას ზეთის ფ.**

**ფილტრატ**-ი [ფრ. filtrat] – **1.** ფილტრში გატარებული სითხე.

**2.** მდინარიდან მიწის ქვეშ გასული და გაფილტრული, დასალევად ვარგისი წყალი, ფშა, ფშანი.

**ფილტრაცია** [ზრ. filtration] – **1.** ფილტრში გატარებით გაწმენდა (სითხის, გაზისა).

**2.** სითხის გაჟონვა ფოროვან გარემოში.

**ფიმიამ**-ი [ბერძ. fhimima] – **1.** კეთილშობილური ნივთიერება მოსაწევად, საკმეველი, ასევე არომატიული ბოლი (კვამლი), რომელიც ამ ნივთიერების წვის შედეგად წარმოიქმნება.

**2.** (გადატ.) აღტაცებული (აღფრთოვანებული) ქება (შემახება), პირფერობა, მლიქვნელობა.

⊙ **ფ. ვინმესთვის მოწევა.**

**ფინალ**-ი [იტ. finale] – **1.** რისამე ბოლო, დასკვნითი ნაწილი; დაბოლოება.

⊙ **პიესის ფ., ოპერის ფ.**

**2.** სპორტული შეჯიბრების ბოლო ნაწილი.

⊙ **საქართველოს თასის გათამაშების ფ. ფეხბურთში.**

◎ **ფინალური** და **საფინალო.**

⊙ **ფ. (ს.) სცენა, ფ. (ს.) შეჯიბრება.**

**ფინალისტ**-ი – (სპ.) ფინალის (მნიშვ. **1.**) მონაწილე.

**ფინანსები** [ფრ. finance] – ფული, როგორც სამეურნეო ბრუნვის ელემენტი.

⊙ **სახელმწიფო ფ.-ები, ფ. სამინისტრო.**

◎ **ფინანსური** და **საფინანსო.**

⊙ **ფ. (ს.) ოპერაცია, ს. ორგანოები, საწარმოს ფ. (ს.) მდგომარეობა.**

⊙ მხ. **ფინანსი** არ იხმარება.

○ **ფინანსიური შცდ.**

**ფინანსისტ**-ი – **1.** საფინანსო საქმეების სპეციალისტი.

**2.** კაპიტალისტი, რომელიც მსხვილი საფინანსო ოპერაციებს აწარმოებს.

**ფინიკ**-ი [ბერძ. phoinix phoinikos] – ფინიკის პალმის ნაყოფი; ინდისხურმა.

**ფინიკის პალმა** – პალმა, რომელსაც აქვს დიდი ფრთისებრი ფოთლები; ისხამს უწვნო ტკბილ, ყუათიან ნაყოფს.

**ფინიშ**-ი [ინგლ. finish დამთავრება, დაბოლოება] – **1.** სისწრაფეში სპორტული შეჯიბრების ბოლო ნაწილი.

⊙ **100 მეტრზე რბენის ფ.**

**2.** ასეთი შეჯიბრების ბოლო პუნქტი.

⊙ **ფ.-თან ახალბედა მორბენალი მიიჭრა პირველი.**

◎ **საფინიშო.**

⊙ **ს. ბოძი, ს. ლენტი, ს. ხაზი.**

**ფიორდ**-ი [ნორვეგ. fjiord] – ზღვის ვიწრო ყურე, რომელიც ხმელეთში ღრმად არის შეჭრილი, ჩვეულებრივ აქვს მა-

ღალი, ციცაბო, კლდოვანი ნაპირები.

**ფირმა** [იტ. firma ხელმოწერა] – სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო; საწარმოო გაერთიანება.

⊙ **უცხოური ფ.-ები, საავტომობილო ფ.**

**საფირმო** – რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ სამრეწველო დარგთან ან საწარმოსთან.

⊙ **ს. მაღაზია, ს. ნიშანი.**

**ფირმან**-ი [სპარს. firman] – ირანის შაჰის, თურქეთის (ოსმალეთის) სულთნის და ზოგი სხვა მაჰმადიანური ქვეყნის მმართველის ბრძანებულება.

**ფირნ**-ი [გერ. firn] – მსხვილმარცვლოვანი მკვრივი თოვლი, რომელიც გროვდება მთიანი რაიონების ჩავარდნილ ადგილებში (თოვლის მიჯნის ზევით) და პოლარულ ქვეყნებში; წარმოადგენს გარდამავალ სტადიას თოვლის და ყინულს შორის.

**ფისკ**-ი [ლათ. fiscus] – (წიგნ.) სახელმწიფო ხაზინა.

**ფისტულა** [ლათ. fistula] – (მედიც.), რომელიმე შინაგანი ორგანოდან გარეთ გამომავალი მილი (ბუნებრივი ან ხელოვნური).

**ფისჰარმონია** [გერ. Fisharmonium] – კლავიშებიანი და საბერველი მომცრო საკრავი.

○ **ფისგარმონია, ფიზგარმონია შცდ.**

**ფიუზელაჟ**-ი [ფრ. fuselage] – თვითმფრინავის კორპუსი.

**ფიქს**-ი [ლათ. fixus მტკიცე,უძრავი, უცვლელი] – **1.** საქონლის დადგენილი ფასი.

**2.** ზუსტად გასაზღვრული თანხა რაიმე სახის სამუშაოს ანაზღაურებისა, გასამრჯელოსი.

**ფიქსაცია** [ფრ. fixation] დაფიქსირება [გერმ. fixieren] – (წიგნ.) – რისამე აღნიშვნა (ჩაწერა, ჩახატვა, ჩახზვა) ან დახსომება.

⊙ **მიწისძვრის ფ.**

**ფიუჩერულ**-ი [ინგლ. futures transactions] – ბირჟაზე სწრაფი გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია ნედლეულის, ოქროსი, ვალუტის, ფინანსურ და საკრედიტო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვასთან გარიგების მომენტში დაფიქსირებულ ფასებში,დროის გარკვეული შუალედის შემდეგ ოპერაციის შესრულებისა (2-3 წლამდე).

⊙ **ფ. ოპერაციები.**

**ფიქცია** [ლათ. fictio] – განზრახ შეთხზული,გამოგონილი,არა-

ნამდვილი რამ, რასაც ჩვეულებრივ იყენებენ გარკვეული მიზნით.

◎ **ფიქციური.**

⊙ **ფ. ანგარიში, ფ. თამასუქები.**

○ **ფიქტიური შცდ.**

**ფლაგმან-**ი [ჰოლანდ. vlagman] – **1.** სამხედრო ხომალდების მსხვილი შენაერთის სარდალი.

**2.** დიდი სამხედრო ხომალდი, რომელზედაც იმყოფება რაიმე შენაერთის სარდალი და რომელზედაც აღმართულია მისი ალამი.

**3.** ფლოტის ყველაზე დიდი ან საუკეთესო გემი რომელიმე ზღვაში, ნაოსნობაში.

◎ **საფლაგმანო.**

⊙ **ს. ხომალდი (გემი)** – იგივეა, რაც **ფლაგმანი** (მნიშვ. 2, 3).

**ფლაგშტოკ-**ი [ჰოლანდ. vlaggonstok] – ალამის აღსამართავი ლატანი (გემზე, შენობაზე და სხვ.).

**ფლაიერ-**ი [ინგლ. flier ჩორთმავალი ცხენი] – სადოღე ცხენი, რომელიც დიდ სიმარდეს იჩენს მოკლე დისტანციაზე.

**ფლამინგო** [პორტუგ. flamingo] – წყლის დიდი ფრინველი, რომელსაც აქვს მოვარდისფერო თეთრი ბუმბული, გრძელი კისერი და ფეხები; გავრცელებულია ტროპიკებში და სუბტროპიკებში.

**ფლანგ-**ი [ფრ. flank, გერმ. Flanke] – მარცხენა ან მარჯვენა მხარე მწკრივისა, მწყობრისა, ფრონტისა, ჯარების განლაგებისა (აგრეთვე სპორტული მოედნისა, ჭადრაკის დაფისა); (ქართ. სინონ. **ფრთა**).

⊙ **ფრონტის მარჯვენა** (მარცხენა) **ფ., ფ.-ებიდან შემოვლა, მეფის** (ლაზიერის) **ფ.**

**ფლეგმა** [ბერძ. phlegma] – **1.** მეტისმეტი გულგრილობა, აუღელვებლობა.

**2.** (საუბ.) იტყვიან ფლეგმატურ ადამიანზე.

**ფლეგმატიკოს-**ი [ბერძ. phlegmartikos] – ადამიანი, რომელსაც ნელი ათვისების უნარი აქვს და სუსტი აქტიურობისა, ძნელად გამაღიზიანებელი, მომთმენი და გულგრილია.

**ფლეშები** [ფრ. fléche ისარი] – (ისტ. სამხ.) საბრძოლო მწყობრი ბლაგვი კუთხის მაგვარი; საველე სიმაგრე ცოცხალი ძალისა.

⊙ **ბაგრატიონის ფ. ბოროდინოს ბრძოლაში 1812 წ.**

**ფლიგელ-**ი [გერმ. Flügel ფრთა] – მთავარი შენობის გვერდით მიშენებული ან დიდი შენობის ეზოში მდგარი პატარა სა-

ცხოვრებელი სახლი.

**ფლირტ**-ი [ინგლ. flirt] – მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა.

**ფლიუგერ**-ი [გერმ. Flügel ფრთა] – ხელსაწყო (თავისუფლად მოძრავი ალამი, ფირფიტა ან ისარი) ქარის სიჩქარის და მიმართულების გასაზომად.

⊙ **ფლუგერი შცდ.**

**ფლიუოროგრაფია** [ლათ. flouor მხედველობა, დინება და graphô ვწერ] – რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდი ადამიანის სხეულის ორგანოებისა – გაშუქებული ეკრანიდან გამოსახულების ფოტოფირზე გადატანის მიზნით.

⊙ **ფლიუოროგრაფი.**

◎ **ფლიუოროგრაფიული.**

⊙ **ფ. კვლევა.**

**ფლომასტერ**-ი [ინგლ. flowmaster] – ფანქრის სახეობა, ავტოკალმის მსგავსი; საწერად (სახატავად...) აქვს ფოროვანი ღერი, რომელიც გაჟღენთილია სპეციალური საღებავით.

**ფლორა** [ლათ. Flora] – მცენარეთა სამყარო (ყვავილთა, გაზაფხულის და სიყმაწვილის რომაული ქალღმერთის – Flora-ს სახელის მიხედვით). შდრ. **ფაუნა.**

⊙ **საქართველოს ფ.** და **ფაუნა.**

⊙ **ტროპიკული ფ.**

**ფლორინ**-ი [იტ. Florino] – ჰოლანდიის ფულის ერთეული – გულდენის – მეორე სახელი.

**ფლოტ**-ი [ჰოლანდ. Floot] – ქვეყნის სამხედრო ან სავაჭრო გემების ერთობლიობა

⊙ **სამხედრო ფ., სავაჭრო ფ., შავი ზღვის ფ.**

**საჰაერო ფლოტი** – თვითმფრინავების ერთობლიობა (სინონ. **ავიაცია, აეროფლოტი**).

**ფლოტილია** [ესპ. flotilia] – **1.** ამა თუ იმ მდინარის, ტბის, დახურული ზღვის სამხედრო გემების შენაერთი.

⊙ **კასპიის ფ.**

**2.** სპეციალური დანიშნულების გემების რაზმი.

⊙ **სანაღმო ფ.**

**ფოიე** [ფრ. foyer კერა] – თეატრში, კინოში და მისთ: დარბაზი, სადაც იმყოფებიან მაყურებლები სანახაობის დაწყებამდე და ანტრაქტის დროს.

◎ **ფოიესი.**

○ **ფოიისა შცდ.**

**ფოიერვერკ**-ი [გერმ. Feuerwerk] – ფერად-ფერადი შუშხუნების გაშვება ჰაერში (რაიმე ზეიმის დროს).

⊙ **ფეიერვერკი შცდ.**

**ფოკუს**-ი[1] [გერმ. Fokus < ლათ. focus კერა] – **1.** (ფიზ.) გარდატეხილი ან არეკლილი სხი-

ვების გადაკვეთის წერტილი.
⊙ **გამადიდებელი მინის ფ.**
**2.** წერტილი, რომელშიც ფოტო ან კინოგადაღების დროს საგნის გამოსახულება სურათზე მაქსიმალურად მკაფიოდ გამოდის.

**ფოკუს**-ი² [< გერმ. Hokus pokus] – მარჯვე ილეთი, ტრიუკი, რაც თვალს ატყუებს და მაყურებლების განცვიფრებას იწვევს მოჩვენებითი ზებუნებრიობით; დამყარებულია ხელის სიმარდეზე, მოქნილობაზე, რაიმე კანონზომიერების ცოდნაზე.
⊙ **ფ.-ების კეთება, ფ.-ების ჩვენება.**
**მეფოკუსე** – მსახიობი, რომელიც ფოკუსებს აკეთებს (სინონ. **ილუზიონისტი**).
◎ **მეფოკუსისა.**
⊙ **მეფოკუსესი შცდ.**

**ფოლიანტ**-ი [გერმ. Foliant] – დიდი ფორმატის წიგნი, ჩვეულებრივ ძველებური.

**ფოლკლორ**-ი [ინგლ. folk-lore] – ხალხური ზეპირი შემოქმედება (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები და სხვ.). (ქართ. სინონ. **ზეპირსიტყვიერება**).
○ **ფოლკლიორი შცდ.**

**ფოლგა** [ჰოლანდ. folga < ლათ. folium ფურცელი] – ლითონის სიფრიფანა ფურცელი, რომელსაც იყენებენ საკვები პროდუქტების შესაფუთავად, საამკინძო საქმეში, სარკის წარმოებაში და სხვ.

**ფონაცია** [ფრ. Phonation < ბერძ. Phônos ბგერა] – სამეტყველო ბგერების წარმოთქმა.

**ფონენდოსკოპ**-ი [ბერძ. phônç ბგერა, endon შიგნით და skopeç ვუყურებ, ვაკვირდები] – სამედიცინო ხელსაწყო გულისა და ფილტვების მოსასმენად.

**ფონეტიკა** [ბერძ. phonetikos ბგერისა] – ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ენის ბგერით შემადგენლობას შეისწავლის.
◎ **ფონეტიკური.**
⊙ **ფ. ტრანსკრიფცია, ფ. გამოკვლევა.**

**ფონ**-ი [ფრ. fond] – **1.** ძირითადი ფერი, რომელზედაც რაიმეა გამოხატული.
⊙ **წითელი ფ.**
**2.** რისამე (მაგ., შენობის, ქანდაკების) უკან არსებული სივრცე.
⊙ **ცის ფ.**
**3.** გადატ. (წიგნ.) გარემოცვა, სადაც რამე ხდება; გარემომცველი პირობები.
⊙ **რომანის ისტორიული ფ.**

**ფონდ**-ი [ფრ. fonds] – **1.** რაიმე მიზნისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები.

⊙ **ხელფასის ფ.**

**2.** რისამე მარაგი.

⊙ **წიგნების ფ., მუზეუმის ფ.-ები, საბინაო ფ.**

◎ **საფონდო.**

⊙ **ს. ქაღალდი, ს. სამშენებლო მასალები.**

**ფონო..., ფონ**-ი [< ბერძ. phonç ხმა,ბგერა,ხმაური,მეტყველება, სიტყვა] – რთული სიტყვების დასაწყისში და ბოლოს აღნიშნავს ამ სიტყვების დამოკიდებულებას ხმასთან, ბგერასთან.

⊙ **ფონომეტრი, ტელეფონი**.

**ფონოგრამა** [ბერძ. phônç ბგერა და gramma ჩანაწერი] – ხმის,ბგერის ჩანაწერი ფირზე, ფირფიტაზე და მისთ.

**ფორა** [იტ. fora წინასწარ] – **1.** ზოგიერთ სპორტულ შეჯიბრებებში,თამაშებში: წინასწარ განპირობებული უპირატესობა, რომელსაც ძლიერი მოთამაშე აძლევს სუსტს.

**2.** (გადატ.) უპირატესობა რაიმეში, რომელსაც თავისი ნებით აძლევს ერთ-ერთი პარტნიორი მეორეს.

⊙ **ფ-ას მიცემა.**

**ფორები** [ბერძ. poros (მხ.)] – **1.** საოფლე ჯირკვლების წვრილი ნასვრეტები კანის ზედაპირზე.

**2.** ნივთიერების ნაწილაკებს შორის არსებული სიცარიელე (ქართ. სინონ. **სვრეტი**).

◎ **ფორებიანი** და **ფოროვანი.**

⊙ **ფ. თუჯი, ფ. მიწა.**

⊙ მხ. **ფორი.**

○ **პორები, პორი, პორებიანი, პოროვანი შცდ.**

**ფორელ**-ი [გერმ. Forello < შვედ.] – კალმახი.

**ფორვარდ**-ი [ინგლ. forward] – ფეხბურთის, ჰოკეის გუნდის წევრი,რომელიც თავდასხმაში თამაშობს.

**ფორზაც**-ი [გერმ. vorzatz] – ფურცელი, რომლის ერთი ნახევარი წიგნის ყდაზეა შიგნიდან გამოკრული; ყდას აკავშირებს აკინძულ ფურცლებთან.

**ფორინ-ოფის**-ი [ინგლ. Foreign Office] – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელწოდება.

**ფორმა** [ლათ. forma] – **1.** საგნის გარეგნული სახე, მოხაზულობა (ქართ. სინონ. **მოყვანილობა**).

⊙ **ლამაზი ფ.-ის ლარნაკი.**

**2.** შინაარსი გარეგნული გამოხატულება, გარეგნული მხარე.

⊙ **ფ.-ის** და **შინაარსის ერთიანობა.**

**3.** რისამე ორგანიზაციის სახე, ტიპი, სისტემა, რომელიც გან-

პირობებულია გარკვეული შინაარსით.

⊙ **სახელმწიფო მმართველობის ფ.**

4. რისამე სახესხვაობა, ნაირსახეობა.

⊙ **გრიპის მსუბუქი ფ.**

5. რისამე დადგენილი ნიმუში.

⊙ **საარჩევნო ბიულეტენის ფ., სამედიცინო ფ. №1., ფ.-ის მიხედვით შედგენილი დოკუმენტი.**

6. მოწყობილობა რაიმესათვის გარკვეული მოხაზულობის მისაცემად (სინონ. **ყალიბი**).

⊙ **ტორტის ფ.**

7. სხვადასხვა კატეგორიის პირთათვის დადგენილი ნიმუშის ტანსაცმელი.

⊙ **სამხედრო ფ., მოსწავლის ფ.**

**ფორმალური** – რაც მხოლოდ ფორმას (მნიშვ. 2) იცავს და ანგარიშს არ უწევს საქმის ნამდვილ ვითარებას.

⊙ **საქმისადმი ფ. მიდგომა.**

**ფორმალიზმ**-ი – **1.** გარეგნული ფორმის დაცვა რამეში საქმის არსებითი მხარის საზიანოდ; ფორმალური დამოკიდებულება რამესადმი.

⊙ **ბიუროკრატიული ფ.**

**2.** ხელოვნებისა და ლიტერატურათმცოდნეობაში: მიმართულება, რომელიც მხოლოდ ფორმას ანიჭებს მნიშვნელობას.

◎ **ფორმალისტური.**

⊙ **საქმისადმი ფ. დამოკიდებულება, ფ. ნაწარმოები.**

**ფორმატ**-ი [გერმ. Format] – წიგნის, ქაღალდის ფურცლის, ბარათის და მისთ. ზომა.

⊙ **დიდი ფ.-ის წიგნი.**

**ფორმაცია** [ლათ. formatio წარმოება; სახე] – (წიგნ.) ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფეხური, რომელსაც ახასიათებს საწარმოო ურთიერთობათა გარკვეული სისტემა.

⊙ **ფეოდალური ფ., საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფ.-ები.**

**ფორმირება** [ლათ. Formare] – ჩამოყალიბება; შედგენა, დაკომპლექტება.

**ფორმულა** [ლათ. Formula] – **1.** მოკლე და ზუსტი სიტყვიერი განსაზღვრა რისამე.

**„გათიშე და იბატონე“** – ძველი რომაელების პოლიტიკური ფორმულა.

**2.** რაიმე სიდიდეების, ელემენტების, რისამე შემადგენლობისა და მისთ. გამოხატულება (რიცხვებით, ასოებით, სპეციალური ნიშნებით.).

⊙ **მათემატიკური ფ., ქიმიური ფ., ძმარმჟავას ფ., გოგირდმჟავას ფ.**

**ფორმულარ**-ი [გერმ. Formular] – ბიბლიოგრაფიის სააღრიცხვო ბარათი.

⊙ **ფორმულიარი შცდ.**

**ფორპოსტ**-ი [გერმ. Vorposter] – (სამხ.) მოწინავე პოსტი, მოწინავე პოზიცია, ავანპოსტი.

**ფორსაჟ**-ი [ფრ. forcage] – აჩქარება, გაძლიერება (რაიმე პრინციპისა).

⊙ **მყინვარის დნობის ფ.**

**ფორსინგ**-ი [ინგლ. forcing] (სპ.) კრივში: განუწყვეტელი შეტევა.

**ფორსირება** [ფრ. forcer გაძლიერება] – **1.** რისამე დაჩქარება; რისამე ტემპის გაძლიერება.

**2.** (სამხ.) რაიმე ბუნებრივი დაბრკოლების (მაგ., მდინარის) ბრძოლით გადალახვა.

**ფორს-მაჟორ**-ი [ფრ. force majeure] – (წიგნ.) ვითარება, რომლის განსაზღვრა და თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაულახავი დაბრკოლება.

**ფორტ**-ი [ფრ. fort] – (სამხ.) ცალკეული ციხესიმაგრე საბრძოლო გამაგრებათა სისტემაში.

**ფორტე** [იტ. forte] – (მუს.) ძლიერ, ხმამაღლა (მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შესახებ). (საპირისპ. **პიანო**).

**ფორტეპიანო** [იტ. pianoforte] – კლავიშებიანი სიმებიანი მუსიკალური საკრავი (პიანინო, როიალი).

◎ **საფორტეპიანო.**

⊙ **ს. პიესა., ს. კლასი** (კონსერვატორიაში).

**საფორტეპიანო კონცერტი** – სიმფონიური ნაწარმოები, რომელშიც მთავარი პარტია განკუთვნილია ფორტეპიანოსათვის (როიალისათვის); ასეთი ნაწარმოების შესრულება.

○ **„ფორტეპიანოზე უკრავს“... შცდ.**

⊙ უნდა: **„ფორტეპიანოს უკრავს“...**

**ფორტიფიკაცია** [ლათ. fortificatio] – სამხედრო-საინჟინრო ნაგებობანი.

⊙ **საველე ფ.**

◎ **საფორტიფიკაციო.**

⊙ **ს. სამუშაოები, ს. ნაგებობანი.**

**ფორტუნა** [ლათ. Fortuna] – **1.** რომაულ მითოლოგიაში: ბედიღბლის ღვთაება.

**2.** ბედნიერი შემთხვევა, იღბალი.

**ფორუმ**-ი [ლათ. forum] – (წიგნ.) ფართო წარმომადგენლობითი კრება, შეკრება.

⊙ **ახალგაზრდათა საერთაშორისო ფ.**

**ფოსტამტ**-ი [გერმ. Postamt] – ქალაქის მთავარი საფოსტო

დაწესებულება.

**ფოსფორ**-ი [ბერძ. Phosphoros სინათლის გამომცემი] – ქიმიური ელემენტი, ადვილად აალებადი და სიბნელეში მანათობელი ნივთიერება; მოიპოვება ზოგ მინერალში,ცხოველთა ძვლებში, ცხოველისა და მცენარის ქსოვილებში.

⊙ **თეთრი ფ., წითელი ფ.**

◎ **ფოსფოროვანი.**

⊙ **ფ. მჟავა, ფ. მადანი, ფ. მარილები.**

◎ **ფოსფორული.**

⊙ **ფ. შუქი, ნათება.**

**ფოტოგენურ**-ი [photography < ბერძ. genos გვარი] – ვინც, რაც კარგად გამოდის ფოტოსურათზე, კინოფირზე; გამომეტყველი.

⊙ **ფ. სახე, ფ. გარეგნობა.**

○ **ფოტოგენიური შცდ.**

**ფოტოგრაფ**-ი – პირი, რომლის სპეციალობაც სურათების გადაღებაა. (იხ. **ფოტოგრაფია**).

**ფოტოგრაფია** [ინგლ. photography < ბერძ. phos (photos) შუქი, სინათლე და graphô ვწერ] – **1**. სპეციალური ოპტიკური აპარატის (ფოტოაპარატის) საშუალებით შუქმგრძნობიარე მასალაზე გამოსახულების მიღება.

**2**. ამ გზით მიღებული სურათი (ფოტოსურათი).

⊙ **ფერადი ფ., შავ-თეთრი ფ.**

**3**. სახელოსნო ასეთი სურათების მისაღებად.

◎ **ფოტოგრაფიული.**

⊙ **ფ. აპარატი, ფ. სურათი.**

**ფოტოფობია** [ბერძ. phôs (phôtos) სინათლე და phobos შიში] – (მედიც.) სინათლის შიში.

**ფოქსტროტ**-ი [ინგლ. foxtrot] – სწრაფტემპიანი ცეკვა ქალვაჟისა.

**ფრაგმენტ**-ი [ლათ. fragmentum] – **1**. ტექსტის ან რაიმე ნაწარმოების ნაწყვეტი.

⊙ **ხელნაწერის ფ., ბალეტის ფ.-ები, კინოსურათის ფ.-ები.**

**2**. არქიტექტურის ან ქანდაკების ძველი ნაწარმოების ნატეხი, ნარჩენი.

◎ **ფრაგმენტული.**

⊙ **ფ. ხელნაწერი.**

○ **ფრაგმენტალური შცდ.**

**ფრაზა** [ბერძ. Phrasis გამოთქმა] – დასრულებული გამოთქმა.

⊙ **მოკლე** (გრძელ-გრძელი) **ფ.-ები.**

**ფრაზეოლოგია** [ბერძ. Phrasis გამოთქმა] – ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, სიტყვათა თავისებური შეერთებანი.

⊙ **ქართული ენის ფ.**

◎ **ფრაზეოლოგიური.**

⊙ **ფ. ლექსიკონი.**

**ფრაკ**-ი [ფრ. frac] – გულამოჭრილი სურთუკი, რომელსაც უკან გრძელი და ვიწრო კალთები აქვს (იცვამენ უპირატესად საზეიმო შემთხვევებში, ოფიციალურ მიღებაზე და სხვ.).

**ფრანტ**-ი [ჰოლანდ. Frant < გერმ.] – ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მამაკაცი.

**ფრაქცია** [ფრ. fraction] – **1.** დაჯგუფება პარტიის შიგნით, რომელიც პარტიის ძირითად ხაზს არ იზიარებს.
**2.** პარლამენტში: ერთი პარტიის წევრ დეპუტატთა დაჯგუფება თავისი პარტიის პოლიტკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით.
◎ **ფრაქციული.**
⊙ **ფ. ბრძოლა, ფ. დაჯგუფება.**
○ **ფრაქციონული შცდ.**

**ფრახტ**-ი [გერმ. Fracht] – **1.** გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა, საფასური.
**2.** დაქირავებული (დაფრახტული) გემით გადაზიდული ტვირთი.

**ფრეგატ**-ი [ფრ. Frégate] – **1.** საყარაულო და წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მებრძოლი გემი (ძველად: სამანძიანი იალქნიანი სამხედრო გემი).
**2.** ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი.

**ფრეილეინ**-ი [გერმ. Fräulein] – გერმანული ქალიშვილისადმი მიმართვა; აგრეთვე გამოიყენება სახელთან ან გვართან ერთად.

**ფრეილინა** [რუს. фрейлина გერმ. Fräūlein] – მეფის კარზე დედოფლის ან პრინცესას მხლებელი გაუთხოვარი ქალი თავად-აზნაურთა წრიდან.

**ფრესკა** [იტ. rfesco] – წყლის საღებავებით დახატული სურათი ახლად შელესილ (ჯერ კიდევ სველ) კედელზე, ჭერზე.
◎ **ფრესკული.**
⊙ **ფ. მხატვრობა.**

**ფრი** [ფრ. frit შემწვარი] – ბევრ ცხიმში შემწვარი, შებრაწული.
⊙ **კარტოფილი ფ., თევზი ფ.**

**ფრიგ**-ი [გერმ. Frigg] – გერმანულ მითოლოგიაში: ქორწინების, სიყვარულისა და ოჯახური კერის ქალღმერთი; ვოდანის ცოლი.

**ფრიგიდულობა** [< ლათ. frigidus ცივი] – ქალის სქესობრივი გულგრილობა.

**ფრივოლურ**-ი [ფრ. frivole] – ურიგო, უხამსი; არასერიოზული, ფუქსავატური.

**ფრიქციულ**-ი [< ლათ. fractio ხახუნი] – ხახუნის ძალით

მბრუნავი.
**ფროიდიზმ**-ი – ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ადამიანის ქცევის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს ბიოლოგიურ ინსტინქტებს, არაცნობიერ (უმთავრესად სექსუალურ) სწრაფვას [ავსტრიელი ექიმისა და ფსიქოლოგის ზიგმუნდ ფროიდის (Freud, 1856-1939 წწ.) გვარის მიხედვით].
⊙ მისი კონცეფცია **უტოპიური** აღმოჩნდა, როგორც **მარქსიზმ-ლენინიზმი**.
**ფრონტ**-ი [ფრ. front] – **1.** საომარი მოქმედების არე, ბრძოლის ველი.
⊙ **დასავლეთის ფ., ფ.-ზე მოხალისედ წასული ახალგაზრდები.**
**2.** ყველაზე მსხვილი სამხედრო შენაერთი ომიანობის დროს.
⊙ **ფ.-ის შტაბი, ფ.-ის სარდალი.**
◎ **ფრონტული.**
⊙ **ფ. სიმღერები.**
◎ **საფრონტო.**
⊙ **ს. ნაწილები.**
**ფსალმუნ**-ი [< ბერძ. psalmos სახოტბო საგალობელი] – რელიგიური საგალობელი; ფსალმუნებისაგან შედგება დავითიანი (ბიბლიის ნაწილი).
**ფსევდონიმ**-ი [ბერძ. pseudônymos] – გამოგონილი სახელი ან გვარი, რომელსაც ზოგჯერ ირქმევენ მწერლები, მსახიობები, მხატვრები, პოლიტიკური მოღვაწეები და სხვ.
⊙ **ვაჟა-ფშაველა** – ლუკა რაზიკაშვილის ფ., **მ. ჯავახიშვილი** – მ. ადამაშვილის ფ., **როლანდ ქართველი** – რ. კლდიაშვილის ფ. და სხვ.
**ფსიქიატრ**-ი – ექიმი-ფსიქიატრი.
**ფსიქიატრია** [ბერძ. psychç სული და iatreia მკურნალობა] – მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ფსიქიკურ დაავადებებს და მათი მკურნალობის მეთოდებს.
**ფსიქიკა** [< ბერძ. psychikos სულიერი] – ტვინის განსაკუთრებული თვისება, რაც გამოიხატება გარე სამყაროს ასახვაში; ადამიანის სულიერ ძალათა, შესაძლებლობათა ერთობლიობა.
◎ **ფსიქიკური.**
⊙ **ფ. პროცესი, ფ. თავისებურებანი.**
○ **ფსიქიური, ფსიხიკა, ფსიხიკური შცდ.**
**ფსიქოანალიზ**-ი ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის მიმართულება, რომელიც ცდილობს ადამიანის ახსნას სქესობრივი ინსტინქტების

ქვეცნობიერი გავლენით; ემყარება ფროიდიზმს.

**ფსიქოზ**-ი [ბერძ. psychç სული] – 1. ავადმყოფური მდგომარეობა, რაც გამოწვეულია თავის ტვინის დაზიანებით.
2. რაიმე არანორმალურობა, უცნაურობა, ადამიანის ფსიქიკაში.

**ფსიქოთერაპია** – მკურნალობა ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდით; (მაგ., **ჰიპნოზით**).
⊙ **ჰიპნოზური ფ.**

**ფსიქოლოგია** [ბერძ. psychç სული და logos მოძღვრება] – 1. მეცნიერება ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებისა და ფორმების შესახებ.
⊙ **ფ.-ის კურსი.**
2. ფსიქიკური თავისებურებანი, სულიერი სამყარო.
⊙ **ბავშვთა ფ.**
◎ **ფსიქოლოგიური.**
⊙ **ფ. მოთხრობა.**
○ **ფსიხოლოგია, ფსიხოლოგიური შცდ.**

**ფსიქოპათია** [ბერძ. psychç სული და pathos ტანჯვა] – ფსიქიკის არანორმალურობა, სულიერი აშლილობა.

**ფსიქოპათოლოგია** – საერთო მოძღვრება ფსიქიკურ დაავადებათა შესახებ.

**ფუეტე** ფრ. fouetté < fouetter ცემა (მათრახის, წკეპლისა და მისთ. ქნევით)] – კლასიკური ცეკვის პათა ჯგუფი; დამახასიათებელია ფეხის ქნევით მოძრაობა, რომელიც ეხმარება მოცეკვავეს ბრუნვაში ან მოძრაობის შეცვლაში.

**ფუნდამენტურ**-ი [ლათ. fundamentum საძირკველი, საფუძველი] – (წიგნ.) 1. ღრმაშინაარსიანი, საფუძვლიანი, დიდი მოცულობისა.
⊙ **ფ. გამოკვლევა.**
2. ძირითადი, მთავარი.
⊙ **უნივერსიტეტის ფ. ბიბლიოთეკა.**
⊙ **ფუნდამენტალური** – დასაშვებია.

**ფუნიკულიორ**-ი [ფრ. funiculaire] – მთის ციცაბო ფერდობზე მოწყობილი რკინიგზის ხაზი, რომელზეც ვაგონები მოძრაობენ საბაგირო წევით.
⊙ **თბილისის ფ.**
○ **ფუნიკულორი შცდ.**

**ფუნქცია** [ლათ. functio შესრულება] – 1. (წიგნი) როლი, მნიშვნელობა, დანიშნულება, მოვალეობა.
⊙ **ფ.-ების განაწილება.**
2. (ბიოლ.) ორგანიზმის ან სხეულის რომელიმე ორგანოს მოქმედება: სხეულის ამა თუ იმ ორგანოს დანიშნულება.
⊙ **გულის ფ., სანერწყვე ჯირკ-**

**ვლების ფ.**

**3.** (მათემ.) დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე.

⊙ **ალგებრული ფ., ტრიგონომეტრიული ფ.-ები.**

◎ **ფუნქციური** (მნიშ. 3-ისათვის).

⊙ **ფ. დამოკიდებულება, ფ. ანალიზი.**

○ **ფუნქციონალური შცდ.**

**ფუჟერ**-ი [ფრ. fougere] – მაღალფეხიანი მოზრდილი ჭიქა, ბოკალი ლიმონათის, ღვინის და მისთ. დასალევად.

**ფურაჟ**-ი [ფრ. fourage] – ცხენის, საქონლისა და ფრინველის საკვები (მარცვლეული, თივა და სხვ.).

◎ **საფურაჟე, საფურაჟისა.**

⊙ **ს. ბაზა, ს. ვაგონი.**

○ **საფურაჟესი შცდ.**

**ფურია** [ლათ. Furia მძვინვარება] – ძველ რომაულ მითოლოგიაში: შურისძიების ერთ-ერთი ღმერთი; ბოროტი, ჭირვეული, ანჩხლი, კაპასი ქალი.

**ფურორ**-ი [ლათ. furor მძვინვარება] – საჯარო წარმატება, რომელიც საზოგადოებაში დიდ აღტაცებას იწვევს.

**ფურუნკულ**-ი [ლათ. furunculus] – კანის საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების ჩირქოვანი ანთება; ძირმაგარა.

**ფუტლარ**-ი [რუს. футляр < გერმ. Futteral] – რაიმე ნივთის შესანახი კოლოფი ან შალითა (ქართ. სინონ. **ბუდე**).

⊙ **სათვალის ფ., ვიოლინოს ფ., გიტარის ფ.**

○ **ფუტლიარი შცდ.**

**ფუტურიზმ**-ი [< ლათ. futurum მყოფადი, მომავალი] – მე-20 ს. ლიტერატურასა და ხელოვნებაში: ფორმალისტური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფდა რეალიზმს, მთელ ტრადიციულ ხელოვნებას და მის ხერხებს და ცდილობდა შეექმნა ახალი, თითქოსდა თანამედროვეობისათვის შესაფერი სტილი.

**ფუტუროლოგია** [ლათ. futurum მომავალი და ბერძ. logos მოძღვრება] – სოციოლოგიის დარგი, რომელიც კაცობრიობის მომავალს სწავლობს (სხვანაირად: სოციალური პროგნოსტიკა).

**ფუქს**-ი [გერმ. Fuchs მელია] – ბილიარდში: შემთხვევვით მოგებული (დუზაში ჩაგდებული) ბურთი.

## ქ

**ქამელეონ**-ი [ბერძ. chamaileon] – ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შეცვლის შედეგად.
○ **ხამელეონი შცდ.**

**ქამიტურ**-ი – ენები – აფრიკაში გავრცელებული ერთი ჯგუფის ენები: ბერბერული, ძვ. ეგვიპტური, კოპტური და სხვ.; ენათესავებიან სემიტურ ენებს [ბიბლიური ნოეს მეორე შვილის – ქამის სახელის მიხედვით].

**ქანთრ**-ი [ინგლ. country სიტყვ. სოფლისა] – **1**. მუსიკა, რომელიც სტილიზებულია ამერიკულ ხალხურ მელოდიებზე და სტილზე.
⊙ **შესრულება ქ. სტილზე**.
**2**. ამერიკული ხალხური სიმღერა.

**ქაოს**-ი[1] [ბერძ. chaos ნაპრალი, ნაბზარი, ნახეთქი] – ბერძნულ მითოლგიაში: უსასრულო სივრცე, ბნელით მოცული უფსკრული, სამყაროს მატერიალური ელემენტების გროვა, რომლისგანაც წარმოიშვა ყველაფერი არსებული.

**ქაოს**-ი[2] – სრული უწესრიგობა, არეულ-დარეულობა; უსისტემობა.
◎ **ქაოსური.**
⊙ **ქ. მოძრაობა, ქ. ხმაური.**
○ **ხაოსი, ხაოსური, ქაოტიური, ხაოტური – შცდ.**

**ქარონ**-ი [ბერძ. Charôn] – ბერძნულ მითოლოგიაში: მენავე, რომელიც მიწისქვეშა სამეფოს მდინარეებზე გადაჰყავდა გარდაცვლილთა სულები.

**ქარტია** [ბერძ. chartçs ლათ. charta) ქაღალდი] – **1**. ძვ. საბერძნეთსა და რომში: პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილი (ხელნაწერები).
**2**. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგი დოკუმენტაციის სახელწოდება.

**ქილიაზმ**-ი [ბერძ. chiliasmos < chilias ათასი] – რელიგიური მოძღვრება, რომლის თანახმადაც ქვეყნის დასასრულის წინ დედამიწაზე იქნება ათასწლიანი მშვიდობა, ღვთის სუფევა. იგივეა, რაც ხილიაზმი.

**ქიმერა** [ბერძ. Chimaira] – **1**. ბერძნულ მითოლოგიაში: ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული, რომელსაც აქვს ლომის თავი, თხის ტანი და გველის თავით დასრულებული კუდი; მოკლა **ბელეროფონტმა**.
**2**. შუა საუკუნეების ევროპის ხელოვნებაში: ფანტასტიკური

არსების (ურჩხულის) სკულპტურული გამოსახულება (მაგ., პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე).

**3.** (გადატ.) განუხორციელებელი ოცნება; ფანტაზია.

4. (ზოოლოგ.) ზღვის ხრტილოვანი თევზი ერთგვარი.

**ქიმერულ**-ი – განუხორციელებელი, ფანტასტიკური.

**ქიმია** [ბერძ. chemeia] – ბუნებისმეტყველობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი – მეცნიერება, რომელიც იკვლევს ნივთიერებათა შედგენილობას, აგებულებას, თვისებებსა და ურთიერთგარდაქმნას.

⊙ **ორგანული ქ., არაორგანული ქ., თეორიული ქ.**

**ქიმიათერაპია** [ქიმია და ბერძ. therapia მკურნალობა] – ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა ქიმური ნივთიერებებით.

**ქიმიური** – **1.** ქიმიასთან დაკავშირებული.

⊙ **ქ. ფორმულები, ქ. ელემენტები, ქ. რეაქცია.**

**2.** რაც დაკავშირებულია ქიმიის მეთოდების გამოყენებასთან და ამ მეთოდებით პროექტების დამზადებასთან.

⊙ **ქ. ნაერთი, ქ. მრეწველობა, ტანსაცმლის ქ. წმენდა.**

**ქირომანტია** [ბერძ. cheir ხელი და manteia მკითხაობა, წინასწარმეტყველება] – მკითხაობა ხელისგულის ხაზების მიხედვით.

**ქირურგ**-ი ქირურგიის სპეციალისტი ექიმი [სინონ. **დასტაქარი** (წიგნ.) და **დოსტაქარი** (მოძვ.)].

○ **ხირურგი შცდ.**

**ქირურგია** [ბერძ. cheirurgia < cheis ხელი და ergon მუშაობა] – მედიცინის ნაწილი, რომეიც შეისწავლის დაავადებათა ოპერაციული გზით მკურნალობის მეთოდებს; მკურნალობა ძირითადად ოპერაციული მეთოდებით [სინონ. **დასტაქარობა** (წიგნ.) და **დოსტაქრობა** (მოძვ.)].

◎ **ქირურგიული** და **საქირურგიო.**

⊙ **ქ. (ს.) კლინიკა, ქ. (ს.) მაკრატელი.**

○ **ხირურგია, ხირურგიული, სახირურგიო შცდ.**

**ქლორ-ი** [ბერძ. chloros მწვანე] – ქიმიური ელემენტი, მომწვანო-მოყვითალო მახრჩობელა აირი; იყენებენ ტექნიკაში, სანიტარიაში და სხვ. როგორც დეზინფექციის საშუალებას, აგრეთვე სამხედრო საქმეში – ზოგი მომწამვლელი ნივთიერების დასამზადებლად.

◎ **ქლორიანი** და **ქლოროვანი.**

⊙ **ქ. კალციუმი, ქ. კირი, ქ. წყალი.**

**ქლორიზმ**-ი [< ბერძ. chlôros მწვანე] – **1.** (მედიც.) სისხლნაკლებობა – ჰემოგლობინის მნიშვნელოვანი დაქვეითება სისხლის წითელ ბურთულებში; სიმწვანის სენი. **2.** (ბოტან.) მცენარის დაავადება, რომლის დროსაც ფოთლები და ყლორტები კარგავენ მწვანე შეფერილობას.

**ქლოროფილ**-ი [ბერძ. chlôros მწვანე და phyllon ფოთოლი] – საღებავი ნივთიერება (პიგმენტი),რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებსა და სხვა ნაწილებს.

**ქლოროფორმ**-ი [ქლორი და ლათ. (acidum form, icum) ჭიანჭველმჟავა] – ქლორის შემცველი თავისებური სუნის მქონე აქროლადი სითხე; მედიცინაში იყენებენ დასაძინებელ საშუალებად.

**ქლოროცეტოფენონ**-ი – ძლიერი ცრემლმდენი მომწამვლელი ნივთიერება.

**ქნესეთ**-ი [ებრ. Kneset] – ისრაელის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

**ქოლერა** [ბერძ. cholera] – კუჭნაწლავის მწვავე გადამდები დაავადება, სიცოცხლისათვის საშიში.

⊙ **ხოლერა შცდ.**

**ქოლერიკ**-ი [ლათ. cholericus < ბერძ. chole ნაღველი] – ქოლერიკული ტემპერამენტის მქონე, ფიცხი ადამიანი.

**ქოლესტერინ**-ი [ბერძ. chole ნაღველი და stereos მაგარი] – ორგანული ნივთიერება, ერთატომიანი სპირტი სტერინების ჯგუფისა; მოიპოვება ცხოველურ ორგანიზმებში.

**ქორალ**-ი [< ლათ. (canfus) Choralis გუნდური (საგალობელი)] – მრავალხმოვანი საგუნდო ნაწარმოები, რომელშიც ყველა ხმას ერთი და იგივე რიტმი აქვს; კათოლიკეთა და პროტესტანტთა რელიგიური საგალობელი;

⊙ **ბახის ქ.-ები.**

○ **ხორალი შცდ.**

**ქორდა** [ბერძ. chorde სიმი] – **1.** (მათემ.) სწორი ხაზი (წრფე), რომელიც აერთებს მრუდი ხაზის (მაგ., რკალის, წრეხაზის) ორ წერტილს. **2.** ზოგი ცხოველის(აგრეთვეადამიანის ჩანასახის) ხერხემლის დრეკადი ელასტიკური ღერო (ე.წ. ხერხემლის სიმი).

**ქორეოგრაფია** [ბერძ. choreia ცეკვა და graphô ვწერ] – ცეკვების, საბალეტო სპექტაკლე-

ბის დადგმის ხელოვნება.
⊙ **ქართული ქ., კლასიკური ქ.**
◎ **ქორეოგრაფიული** და **საქორეოგრაფიო.**
⊙ **ქ. (ს.) სასწავლებელი, ქ. (ს.) ხელოვნება.**

**ქორეპისკოპოს**-ი [ბერძ. clora ქვეყანა და episkopos ეპისკოპოსი] – **1.** მთავარეპისკოპოსის თანაშემწე.
**2.** უმრევლო ეპისკოპოსი.

**ქორმაისტერ**-ი [ბერძ. choros გუნდი და გერმ. Meister ოსტატი, ხელმძღვანელი] – მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი (ქართ. სინონ. **ლოტბარი**).
○ **ქორმეისტერი, ხორმაისტერი, ხორმეისტერი შცდ.**

**ქორო** [ბერძ. choros] – მომღერალთა ფუნდი.
○ **ხორო შცდ.**

**ქოქოს**-ი [ესპ. cocos (მრ.)] – **1.** პალმა ერთგვარი; ისხამს მსხვილ გემრიელ ყუათიან ნაყოფს მაგარი ნაჭუჭით.
**2.** ამ პალმის ნაყოფი.
⊙ **ქ. კაკალი, ინდის კაკალი.**
○ **კოკოსი შცდ.**

**ქრესტომათია** [ბერძ. chresto – matheia] – სახელმძღვანელო – რჩეული ნაწარმოებათა ან მათი ნაწყვეტების კრებული.
⊙ **სასკოლო ქ., ქართული ლიტერატურის ქ.**
◎ **საქრესტომათიო.**
⊙ **ს. მასალა.**
**ქრესტომათიული** – ისეთი, როგორც ქრესტომათიაშია; მარტივი, ნათელი.
⊙ **ქ. ჭეშმარიტება, ქ. მაგალითი.**
○ **ქრესტომატია, ქრესთომატია, საქრესტომატიო, ქრესთომატიული შცდ.**

**ქრიზანთემა** [ბერძ. chrisanthemon] – დეკორატიული მცენარე, რომელიც იკეთებს კალათებად შეკრებილ სხვადასხვა შეფერილობის ყვავილებს.

**ქრისტიან**-ი [ლათ. christianus] – ქრისტიანობის მიმდევარი.

**ქრისტიანობა** [ლათ. christianismus < ბერძ. Christos – სიტყ., ცხებული, მირონცხებული] – რელიგია,რომელიც წარმოიშვა ახ. წელთაღრიცხვის I ს.-ში და მიეცა მისი დამაარსებლის – **იესო ქრისტეს**, სახელი – ღმერთკაცისა, რომელიც ზეციდან დაეშვა დედამიწაზე ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდლად და ჯვარზე გააკრეს, შემდეგ კი აღსდგა და ამაღლდა ზეცაში (ბიბლია).
◎ **ქრისტიანული.**
⊙ **ქ. სარწმუნოება.**

**ქრომოსომა** [ბერძ. chrôma ფერი, საღებავი და soma სხეული] –

(ბიოლ.) უჯრედის ბირთვის ის ნაწილი,რომელიც ილებება და ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს უჯრედის გაყოფის დროს.

**ქრÓნიკა** [ბერძ. chronikos დროსთან დაკავშირებული] – **1**. საზოგადოებრივი მოვლენების ჩაწერა ქრონოლოგიური წესით (ქართ. სინონ. **მატიანე**).

**2**. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი ან საოჯახო ამბების თანმიმდევრულ გადმოცემას.

⊙ **რომანი-ქ.**

**3**. ახალი ამბების განყოფილება (გაზეთში).

⊙ **ქ.-ის განყოფილება.**

4. დოკუმენტური კინოფილმი (ჩვეულებრივ მოკლემეტრაჟიანი), რომელშიც ასახულია მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, ამბები.

⊙ **მხატვრულ ფილმს წინ უსწრებდა ქ.**

◎ **ქრონიკალური** (მნიშვ. 4-ისათვის).

⊙ **ქ. ფილმი.**

**ქრონÍკული** – ხანგრძლივი, მუდმივი (ჩვეულებრივ ითქმის დაავადების შესახებ.).

⊙ **ქ. დაავადება, ქ. რევმატიზმი.**

**ქრონოლÓგია** [ბერძ. chronos დრო და logos მოძღვრება] – ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობა დროის მიხედვით.

◎ **ქრონოლოგიური.**

⊙ **სახელმძღვანელოში მოვლენები გადმოცემულია ქ. პრინციპით.**

**ქსÁნთიპე** [ბერძ. Xanthippç] – ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს (469-399 ძვ. წელთაღრ.) ცოლი,რომლის სახელი დარჩა ავი,კაპასი დედაკაცის აღმნიშვნელად.

**ქსენოფÍლია** [ბერძ. xenos უცხო, უცხოელი და philia სიყვარული] – უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიყვარული.

**ქსენოფÓბია** [ბერძ. xenos უცხო, უცხოელი და phobos შიში] – უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი.

**ქსÉნძ**-ი [პოლონ.] – პოლონეთში: კათოლიკეთა მღვდელი.

**ქსეროგრÁფია** [ინგლ. xerography < ბერძ. xçros მშრალი და graphôs ვწერ] – ნაწერის, ნახაზის, ნაბეჭდის ტიპოგრაფიული წესით მშრალად გამრავლების პროცესი.

**ქსÉროქს**-ი [ინგლ. xerox < ბერძ.] – აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება ქსეროგრაფიკული გადაცემა.

**ქსილოგრაფია** [ბერძ. xylon ხე და graphô ვწერ] – **1.** ხის მასალაზე ამოჭრა, გრავირება.
**2.** ხეზე გაკეთებული გრავიურა; ასეთი გრავიურის ანაბეჭდი.

**ქსიფოპაგებ**-ი [ბერძ. xipos ხმალი, მახვილი და phagos დამაგრებული,შებოჭილი]– ნაყოფის განვითარების ერთ-ერთი მანკი,რომლის დროსაც ორმაგი ნაყოფი (ტყუპები) შეხორცებულია ერთმანეთთან გულმკერდის ან მისი ხმლისებური გამონაზრდის არეში (აქიდან – სახელწოდება).

**ქტიტორ**-ი [ბერძ. ktitôs] – (ეკლ.) მნათე.

**ღ**

**ღაზავათ**-ი [არაბ. Yazāwa(t)] – რეაქციული „წმინდა ომი“,რომელიც, ყურანის მოთხოვნით, უნდა აწარმოონ სხვა სარწმუნოების მიმდევარ ხალხებთან მუსლიანებმა ისლამის გავრცელების მიზნით; იგივა, რაც **ჯიხადი**.

**ღერბ**-ი – იხ. **გერბი**.

**ყ**

**ყად**-ი [არაბ. qâdi] – აღმოსავლეთის ქვეყნებში: მუსლიმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.

**ყალამ**-ი [არაბ. qalam < ბერძ. Kalamos ლერწამი] – **1.** ლერწმის კალამი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ანბანის მქონე ხალხებს შორის.
**2.** მხატვრის ფუნჯი.

**ყალიმ**-ი [თურქ. Kalim] – აღმოსავლეთის ქვეყნების ზოგიერთ ხალხში: საფასური, რომელსაც უხდის სასიძო ქალის მშობლებს; ურგადი.

**ყაზარმა** [იტ. caserma] – სამხედრო ნაწილების საცხოვრებელი შენობა.
◎ **ყაზარმული, საყაზარმო.**
⊙ **ყ. ცხოვრება, ყ. ტიპის შენობა, ს. ნაგებობანი, შენობები.**
○ **კაზარმა, კაზარმული, საკაზარმო შცდ.**

**ყარაკულ-ი** [უზბეკ. qarukül შავი ვარდი; შავი ტბა] – მოკლე და ხუჭუჭბეწვიანი ტყავი გარკვეული ჯიშის ახლად მოგებული ბატკნისა.
◎ **ყარაკულისა.**
⊙ **ყ. პალტო.**
○ **კარაკული, კარაკულის შცდ.**

**ყიზილბაშ**-ი [თურქ. Kizil-bas წითელი თავი, წითელქუდა] – ასე ეძახდნენ სპარსელ დამპყრობლებს საქართველოში მე-16-17 სს-ში.

**ყიშლად**-ი [თურქ. kislak საზამთრო საძოვარი, საზამთრო სადგომი] – სოფელი შუა აზიაში.

○ **კიშლაკი შცდ.**

**ყული** [ინდ. ჩინ.] – აზიის ზოგ ქვეყანაში: მტვირთავი, მებარგული; შავი მუშა.

◎ **ყულიმ.**

○ **კული, ყულმა შცდ.**

**ყურან**-ი [არაბ. Al-qur'ân] – წიგნი, რომელიც შეიცავს მუსლიმანური რელიგიის დოგმებსა და დებულებებს,მითებსა და სამართლის ნორმებს.

## შ

**შაბლი** [ფრ. chablis < გეოგრ. სახ.] – ფრანგული თეთრი ღვინო, რომელსაც აყენებენ პინოს ჯიშის ყურძნისაგან.

**შაბლონ**-ი [გერმ. Schablone < ფრ. échantilon ჭაშნიკი, ნიმუში] – **1.** ნიმუში,ფორმა რაიმე ერთგვარ ნაკეთობათა დასამზადებლად (ქართ. სინონ. **თარგი**).

**2.** გადატ. (წიგნ.) გაცვეთილი ნიმუში, რომელსაც ბრმად ბაძავენ (სინონ. **ტრაფარეტი, შტამპი**).

◎ **შაბლონური** (მნიშვნ. 2-ისათვის).

⊙ **შ. ფრაზები, შ. პასუხი.**

**შაგრენ**-ი [ფრ. chagrin < იტ. zigrino] – საგანგებოდ გამოყვანილი რბილი ხორკლიანი ტყავი.

**შაიტან**-ი [არაბ. saitan] – მუსლიმანურ რელიგიაში: ბოროტი სული, ეშმაკი, სატანა.

**შამან**-ი [ტუნგუს. – მანჯურ.] – ზოგ ხალხში: კულტის მსახური, ჯადოქარი, ექიმბაში (იხ. **შამანიზმი**).

**შამანიზმ**-ი და **შამანობა** – ჩრდილოეთ და შუა აზიის, ამერიკის, აფრიკისა და სხვა ქვეყნების ხალხში: რელიგიის ფორმა,ავი და კეთილი სულების კულტი.

**შამბერიერ**-ი [ფრ. chambriére] – გრძელი მათრახი, შოლტი, რომელსაც იყენებენ ცირკში, მანეჟზე.

**შამპანურ**-ი – მშხეფარე ღვინო, რომელიც გკეთებულია ნახშირმჟავა აირით (საფრ. პროვინცია Champagne-ს სახ. მიხედვით).

○ **შამპანიური შცდ.**

**შამპინიონ**-ი [ფრ. champighon სოკო] – ქამასოკო.

**შამპუნ**-ი [ინგლ. champooing დაბანა (თავის)] – სურნელოვანი თხევადი ან ფხვიერი თავსაბანი საპონი.

**შანს**-ი [ფრ. chance] – რისამე განხორციელების, რამეში წარმატების შესაძლებლობა.

⊙ **გამარჯვების კარგი შ. აქვს.**

**შანსონეტ**-ი [ფრ. chansonette პატარა სიმღერა] – **1**. პატარა სიმღერა, ხშირად უხამსი შინაარსისა, რომელსაც ასრულებენ კაფეშანტანებში.

**2**. ასეთი სიმღერის შემსრულებელი ქალი.

○ **შანსონეტკა შცდ.**

**შანსონიე** [ფრ. chansonnier] – საფრანგეთში: ესტრადის მომღერალი (კაცი),რომელიც ამავე დროს ხშირად სიმღერის ავტორიცაა.

◎ **შანსონიესი.**

○ **შანსონიისა, შანსონე შცდ.**

**შანტაჟ**-ი [ფრ. chantage] – სახელის გამტეხი ფაქტების (ნამდვილის თუ მოგონილის) გამომჟღავნების მუქარა (რაიმე სარგებლობის მიღების მიზნით).

**შაპიტო** [ფრ. chapiteau] – დიდი ბრეზენტის კარავი, რომელშიც საცირკო წარმოდგენები იმართება; მოძრავი ცირკი,რომელიც წარმოდგენებს ასეთ კარავში მართავს.

**შარადა** [ფრ. charade] – თამაში-გამოცანა ერთგვარი; ასახსნელი სიტყვა გამოიცნობა მისი ცალკეული ნაწილების გამოცნობით.

◎ **შარადისა;**

⊙ **შარადასი შცდ.**

**შარიათ**-ი [არაბ. ðari'at] – ზოგიერთ მუსლიმანურ სახელმწიფოში: მუსლიმანური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა.

**შარიაჟ**-ი [ფრ. charriage] – (გეოლ.) დედამიწის ტექტონიკური საფარველი.

**შარიფ**-ი [არაბ. ðarif] – მუსლიმანურ ქვეყნებში: მაჰმადის შთამომავალთა საპატიო წოდება.

**შარლატან**-ი [ფრ. charlatán] – უხეში მატყუარა; გაიძვერა; უვიცი, მცოდნედ, სპეციალისტად თავის გამსაღებელი.

**შარჟ**-ი [ფრ. charge] – ვისიმე ან რისამე სატირული ან იუმორისტული გამოსახულება, რომელშიც დაცულია გარეგნული მსგავსება და კარიკატურულად არის შეცვლილი და ხაზგასმული ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები,თვისებები.

**შარტრეზ**-ი [ფრ. chartreuse გეოგრ. სახ.] – ერთგვარი ლიქიორი.

**შასი**-ი [ფრ. chassis] – **1.** ავტომობილის ძირითადი ნაწილი, რომელზედაც დამაგრებულია ძარა, ძრავა, ყველა მექანიზმი და დეტალი.
**2.** თვითმფრინავის ნაწილი, ბორბლები, რომელიც საჭიროა აეროდრომზე მოძრაობისათვის, ასაფრენად და დასაჯდომად.
⊙ **თვითმფრინავმა შ. გამოუშვა** (აიკრიფა).
◎ **შასიმ, შასის.**
○ **შასმა, შასს შცდ.**

**შაჰ**-ი [სპარს. ðâh] – აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში მეფის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

**შაჰინშაჰ**-ი – ირანში: მონარქის ტიტული.

**შაჰსეი-ვაჰსეი** [სპარს.] მუსლიმანების (შიიტების) რელიგიური ცერემონია – თვითგვემა; ცერემონიის მონაწილენი თავსა და ტანზე იცემენ ხმალს ან ლახტს და იძახიან: „შაჰ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ!“ (ამით გამოხატავენ ერთ-ერთი ხალიფის შვილის ჰუსეინის წამებას).

**შედევრ**-ი [ფრ. chef-d'oeuvre] – სანიმუშო ნაწარმოები – ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა.
⊙ **ქართული ლიტერატურის შ.-ები, ხალხური მუსიკის შ.**

**შევალიე** [ფრ. chevalier რაინდი, კავალერი] – ფეოდალურ საფრანგეთში: ერთ-ერთი თავადაზნაურული წოდება.

**შევრო** [ფრ. chereau თიკანი] – თიკნის ტყავი, გარკვეული წესით გამოყვანილი, რბილი და მაღალხარისხოვანი; იყენებენ ფეხსაცმლის საპირედ.

**შეზლონგ**-ი [ფრ. chaise longue] – დაქანებული ზურგის მქონე სავარძელი, რომელშიც ნახევრად წამოწოლა შეიძლება.

**შეიკ**-ი [< ინგლ. shake რხევა, ტოკა] – თანამედროვე ცეკვა ერთგვარი; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

**შეიკერ**-ი [ინგლ. shaker] – კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი.

**შეიხ**-ი [არაბ. ðeih] – არაბულ ქვეყნებში: **1.** გვარის მეთაური; სოფლის მამასახლისი.
**2.** მუსლიმანთა უმაღლესი სასულიერო პირი, ღვთისმეტყველი და სამართალმცოდნე.

**შერიფ**-ი [ინგლ. sheriff] – ინგლისსა და აშშ-ში: თანამდებობის პირი, რომელიც ასრუ-

ლებს ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს.

**შერი-ბრენდი** [ინგლ. cherry-brandy < cherry ალუბალი და (იხ. **ბრენდი**)] – ალუბლის ნაყენი; ალუბლის ლიქიორი.

**შეფ**-ი [ფრ. chef] – **1.** ორგანიზაცია ან პირი, რომელიც სისტემატურ დახმარებას უწევს რაიმე კოლექტივს.

⊙ **საბავშვო სახლის შ.-ები.**

**2.** მეთაური, უფროსი.

⊙ **პოლიციის შ.**

**შეფ-მზარეული** – მთავარი მზარეული (დიდ სასადილოში, რესტორანში).

**საშეფო** – **1.** შეფობისთვის განკუთვნილი, შეფობის ხასიათისა.

⊙ **ს. მუშაობა, ს. დახმარება, ს. კონცერტი.**

**2.** რასაც შეფობას უწევენ.

⊙ **ს. სკოლა.**

**შვეიცარ**-ი [გერმ. Schweizer] – სასტუმროს, რესტორნის, ზოგი სხვა დაწესებულებისა და საცხოვრებელი სახლის მეკარე.

◎ **შვეიცარისა.**

○ **შვეიცრისა შცდ.**

**შივა** [სანსკრ.] – ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება.

**შიზოფრენია** [ბერძ. schizô ვხლეჩ, ვჩეხავ და phrçh გონება, აზრი] – ერთ-ერთი მძიმე ფსიქიკური დაავადება.

**შიიზმ**-ი – ისლამის მიმართულება, რომელიც აღიარებს მხოლოდ ყურანს და უარყოფს სუნას (შდრ. **სუნიზმი**).

**შიკ**-ი [ფრ. chic] – (საუბ.). მოჩვენებითი, გარეგნული ბრწყინვალება.

**შიმპანზე** – [ფრ. chimpanze აფრ.] – ადამიანის მსგავსი მაიმუნი; ბინადრობს ეკვატორული აფრიკის ტყეებში.

◎ **შიმპანზესი.**

○ **შიმპანზისა შცდ.**

**შირმა** [გერ. Shcirm] – გადასატანი, დასაკეცი ტიხარი; წარმოადგენს ანჯამებით ერთმანეთზე გადაბმულ ქსოვილიან ქაღალდგადაკრულ რამდენიმე ჩარჩოს (ქართ. სინონ. **თეჯირი**).

⊙ **შ.-ით გაყოფილი ოთახი.**

**შიფრ**-ი [ფრ. chiffre] – **1.** პირობით ნიშანთა სისტემა საიდუმლო წერისათვის.

**2.** სარეგისტრაციო პირობითი ნიშანი (წიგნებზე, ხელმოწერებზე, დოკუმენტებზე).

⊙ **ინდივიდუალური შ., ჯგუფური შ.**

◎ **შიფრიანი** (მნიშვ. 2-ისათვის).

⊙ **შ. წერილი.**

**დაშიფრვა** – შიფრით (მნიშვ. 1) – დაწერა რისამე.

⊙ **დიპლომატიური წერილის დ. შიფრით გაშიფრვა** და **ამოშიფვრა** – შიგნით (ან უცნობ ენაზე) დაწერილის ამოკითხვა.

**შკვალ**-ი [ინგლ. squall] – ხანმოკლე ქარიშხალი.

**შლაგბაუმ**-ი [გერმ. Schlag baum] – გზის გადასაკეტი მოწყობილობა რკინიგზის გადასასვლელთან ან საკონტროლო გასაშვებ პუნქტებთან.

**შლაგერ**-ი [გერმ. Schlager] – სეზონის მშვენება; მოდური, პოპულარული საესტრადო სიმღერა, მელოდია.

○ **შლიაგერი შცდ.**

**შლეიფ**-ი [გერმ. Schleife] – ქალის კაბის ძალიან გრძელი უკანა კალთა, რომელიც ძირს ეთრევა.

**შნაფს**-ი [გერმ. Schnaps] – არაყის სახელწოდება გერმანიაში.

**შოვინიზმ**-ი [ფრ. chauvinisme] – რეაქციული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული სიძულვილისა და შუღლის გაღვივება.

⊙ **ველიკორუსული შ.**

**შოვინისტ**-ი – შოვინიზმის მიმდევარი.

◎ **შოვინისტური.**

⊙ **შ. პროპაგანდა, შ. ლოზუნგები, შ. შეხედულებანი, შ. პოზიცია.**

**შოკ**-ი [ფრ. choc] – (მედიც.) ორგანიზმის ფუნქციების საერთო მძიმე მოშლილობა, რასაც იწვევს ძლიერი ფიზიკური დაზიანება, ან ფსიქიკური შერყევა.

**შორტ**-ი [ინგლ. shorts (მრ.)] – მოკლე შარვალი ერთგვარი.

○ **შორტები შცდ.**

**შოსე** [ფრ. chaussée] – (მოძვ.) გზატკეცილი, შარაგზა.

**შოუ** [ინგლ. show] – წარმოდგენა, სპექტაკლი.

**შოუბიზნეს**-ი [ინგლ. show სანახაობა, business საქმიანობა] – კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საესტრადო სანახაოების მოწყობასთან.

**შოუმენ**-ი [ინგლ. show ჩვენება და man კაცი, ადამიანი] – ის, ვინც შოუს ორგანიზაციას აწყობს.

**შოფერ**-ი [ფრ. chauffeur] – ავტომობილის წამყვანი, მძღოლი.

**შპაგა** [იტ. spada] – დიდი, ბასრი მჩხვლეტავი იარაღი; მჭრელი მახვილი.

**შპალები** [ჰოლანდ. Spalk (მრ.) საყრდენი] – რკინიგზის ვაკისზე დაგებული ხის ან რკინაბეტონის ძელები, რომლებზედაც გარდიგარდმო ამაგრებენ რელსებს.

⊙ იხ. **შპალი.**

**შპალერ**-ი [გერმ. spalier] – ნახატებიანი ქაღალდის ფართო ზოლები, რომლებსაც აკრავენ სადგომს (ოთახის, დარბაზის ...) კედლებზე.

○ **შპალიერი შცდ.**

**შპილ**-ი [გერმ. Spill] – კონუსური ან პირამიდული სვეტი შენობის თავზე.

**შპრიც**-ი [გერმ. Spritze] – ღრუ ნემსის მქონე დგუშიანი ცილინდრი წამლის შესაყვანად ორგანიზმში.

⊙ **ერთჯერადი ხმარების შ.**

**შპროტ**-ი [გერმ. Sprottte] – **1.** ზღვის წვრილი თევზი, ქარასლა.

**2.** ამ თევზის (აგრეთვე ზოგი სხვა წვრილი თევზის) კონსერვი.

**შრიფტ-ი** [გერმ. Schrift] – სასტამბო ასოები და სხვა ნიშნები გარკვეული ზომისა და მოხაზულობის რისამე, რაიმე ტექსტის ასაწყობად; მათი ანაბეჭდი.

⊙ **ქართული შ., მსხვილი შ., წვრილი შ., მუქი შ., ნათელი შ.**

◎ **საშრიფტო.**

⊙ **სტამბის ს. მეურნეობა.**

**შტაბ**-ი [გერმ. Stab] – **1.** ჯარების მართვის ორგანო.

⊙ **დივიზიის შ., შ.-ის უფროსი.**

**2.** (გადატ.) საერთოდ, რისამე ხელმძღვანელი ორგანო.

⊙ **სტიქიასთან ბრძოლის შ. გენერალური შტაბი** – იხ. **გენერალური.**

**შტამბ**-ი [გერმ. Stamm] – ხის ტანი (ფესვიდან ვარჯამდე).

**შტამპ**-ი [გერმ. Stampfe იტ. Stampa ბეჭდვა] – (შტემპელი); მისი ანაბეჭდი. **1.** დაწესებულების ოთხკუთხა ბეჭედი.

⊙ **პასპორტში ჩარტყმული შ.**

**2.** გადატ. (წიგნ.) მზა ნიმუში, რომელსაც ბრმად ჰბაძავენ (სინონ. **ტრაფარეტი, შაბლონი**).

⊙ **რეჟისორული შ.-ები, შ.-ებით აზროვნება.**

◎ **შტამპიანი** (მნიშვ. **1.**-ისათვის).

⊙ **შ. ქაღალდი.**

**შტანგა** [გერმ. Stange] – **1.** სპორტული იარაღი (სიმძიმეების აწევაში) – ლითონის კეტი, რომლის ბოლოებზეც წამოცმულია ლითონისავე მძიმე დისკოები.

**2.** ფეხბურთის კარის ბოძი.

⊙ **ბურთი შ.-ს მოხვდა.**

**3.** ტროლეიბუსის თავზე გამართული დენმიმღები, რომლის ბოლოები ეხება საკონტაქტო სადენს.

○ მე-3 მნიშვ.-ით **ბუგელი** ან **ბიუგელი შცდ.** (ტრამვაის დენ-

მიმღებებს ეწოდება).

**შტანდარტ**-ი [გერმ. Standarte] – **1.** ძველი რუსეთისა და ზოგი უცხო ქვეყნის არმიაში: კავალერული ნაწილის დროშა.

**2.** სახელმწიფოს მეთაურის (იმპერატორის, პრეზიდენტის ...) ალამი,რომელსაც აღმართავენ ხოლმე სასახლეზე, სამხედრო ხომალდზე და სხვ. მისი იქ ყოფნის დროს.

**შტატ**-ი[1] [გერმ. Stat] – დაწესებულების თანამშრომელთა მუდმივი შემადგენლობა.

⊙ **შ.-ში ჩარიცხეს, შ.-ების შემცირება.**

◎ **საშტატო.**

⊙ **ს. ერთეული, ს. თანამდებობა.**

**შტატ**-ი[2] [გერმ. Stat სახელმწიფო] – ზოგ ქვეყანაში: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს თვითმმართველობა.

⊙ **ნიუიორკის შ., ჯორჯიას შ.** (აშშ-ში); **პინჯაბის შ.** (ინდოეთში); **ავსტრალიის შ.-ები.**

**შტემპელ**-ი [გერმ. Stempel] – ხელსაწყო, რომელზეც რაიმე ნახატის ან წარწერის უკუღმა გამოსახულება ამოზურცულია; იყენებენ ანაბეჭდის მისაღებად; თვით მისი ანაბეჭდი.

**შტეფსელ**-ი [გერმ. Stopsel] – **1.** ლითონის ჩანგალი ან ღერი, რომლის საშუალებითაც მასთან შეერთებული ელექტროხელსაწყოს (მაგ., ლამპას, უთოს) რთავენ ქსელში.

**2.** (საუბ.) იგივეა, რაც როზეტი.

○ **შტეპსელი შცდ.**

**შტილ**-ი [ჰოლანდ. stil] – წყნარი, უქარო ამინდი.

**შტორ**-ი [გერმ. store] – ფანჯრის ფარდა ერთგვარი.

**შტორმ**-ი [ჰოლანდ. Storm] – ქარიშხალი ზღვაზე.

◎ **შტორმული, საშტორმო.**

⊙ **შ. ქარი.**

⊙ **ს. ღრუბელი, ს. იალქანი, ს. ღუზა.**

**შტრაიკბრეხერ**-ი [გერმ. Streikbrecher] – (მოძვ.) პირი, რომელიც გაფიცვის დროს მუშაობს საწარმოში და ამით გაფიცულთა ინტერესებს ღალატობს.

○ **შტრეიკბრეხერი შცდ.**

**შტრიხ**-ი [გერმ. Strich] – **1.** წვრილი ხაზი.

⊙ **შ.-ების გავლება.**

**2.** გადატ. (წიგნ.) რისამე დამახასიათებელი თვისება, მომენტი, მხარე, ცალკეული წვრილმანი.

⊙ **ნახატში საინტერესო შ.-ებს მიაქციეს ყურადღება.**

**შტურვალ**-ი [ჰოლანდ. stuurwiel]

– საჭის ბორბალი გემზე, თვითმფრინავზე, ტრაქტორზე, კომბაინზე და სხვ.

**შტურმ**-ი [გერმ. Sturm] – გადამწყვეტი იერიში მოწინააღმდეგის გამაგრებული ადგილის ასარებად.

**შტურმან**-ი [ჰოლანდ. Stuurman] – გემის, წყალქვეშა ნავის, საფრენი აპარატის გზისკვლევის სპეციალისტი.

⊙ **შორეული ნაოსნობის შ., კოსმოსური ხომალდის შ.**

**შხერ**-ი [შვედ. skär] – პატარა კლდოვანი კუნძული.

**შხუნა** [ინგლ. scooner] – იალქნიანი გემი, უპირატესად ორ- ან სამანძიანი; სანდალი.

## ჩ

**ჩადრ**-ი [თურქ. candyr კარავი] – მუსულმანი ქალების მსუბუქი სახვევი, საფარი, რომელიც სახეს და ტანს უფარავს მათ და მხოლოდ თვალებს უტოვებს გამოსახედს.

**ჩაინვორდ**-ი [ინგლ. chain ჯაჭვი და word სიტყვა] – კროსვორდის ნაირსახეობა.

**ჩაინტაუნ**-ი [ინგლ. Chinatown < China ჩინური და town ქალაქი] – სხვადასხვა ქვეყნის (უპირატესად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის) ქალაქებში: ჩინელებით დასახლებული კვარტალი.

**ჩალმა** [თურქ.] – ქსოვილის გრძელი ნაჭერი, რომელსაც მუსლიმანი მამაკაცები იხვევენ თავზე გარკვეული წესით.

**ჩარლსტონ**-ი [ინგლ. Charleston < გეოგრ. სახ.] – ამერიკული სამეჯლისო ცეკვა ერთგვარი.

**ჩარტერ**-ი [ინგლ. charter] – გემთმფლობელსა (ან ავიაკომპანიასა) და დამქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულება მთელი გემის (თვითმფრინავის) ან მისი ნაწილის იჯარით აღების შესახებ გარკვეული ვადით (ან გარკვეულ რეისზე).

**ჩატურანგა** [სანსკრ.] – ძველი ინდური თამაში, ჭადრაკის წინამორბედი (წარმოიშვა მე-5 ს.-ში ძვ. წელთაღრ.); თამაშობდნენ ოთხნი.

**ჩეკ**-ი [ინგლ. cheque < check გასინჯვა, გაკონტროლება] – **1.** ფასიანი ქაღალდი, სპეციალური დოკუმენტი (საბუთი), რომელიც შეიცავს წერილობით განკარგულებას ბანკის მიმართ გადაუხადოს ჩეკის მფლობელს მასში ნაჩვენები ფულის რაოდენობა (სუმა).

**საპრივატიზაციო ჩეკი**, სხვაგვარად **ვაუჩერი** – **1**. ფასიანი სახელმწიფო ქაღალდი მინიმალური ღირებულებით, რომელიც გაიცემა მოქალაქეებზე სახელმწიფო საკუთრების **პრივატიზაციის** პროცესში რეალიზაციისათვის.

**2**. საკასო ტალონი ფულის რაოდენობის ჩვენებით, რომელიც გადახდილ იქნა საქონლის შეძენის დროს, აგრეთვე ქვითარი სალაროში ფულის რაოდენობის ჩვენებით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს.

⊙ **ჩ.-ის** სალაროში გახვრეტა.

◎ **საჩეკო, ჩეკისა.**

**ჩელესტა** [იტ. celesta < ლათ. caelestis ციური] – საორკესტრო კლავიშიანი საკრავი; გამოსცემს ნაზ, ზანზალაკისებრ ხმებს.

**ჩელო** – იგივეა, რაც ვიოლინო.

**ჩემპიონ**-ი [ინგლ. champion < ფრ. champion მებრძოლი] – სპორტსმენი ან სპორტული გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში სპორტის რაიმე სახეობაში.

⊙ **მსოფლიოს ჩ. ჭადრაკში.**

**ჩემპიონატ**-ი – შეჯიბრება ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

⊙ **საჭადრაკო ჩ., საფეხბურთო ჩ.**

**ჩი პენდეილ**-ი [ინგლ. Chippendale < საკუთ. სახ.] – ინგლისური ავეჯის სტილი; წარმოადგენს როკოკოს, გოტიკური და ჩინური ხელოვნების მოტივთა კომბინაციას; დიდად იყო განვითარებული მე-18-19 სს.-ში.

**ჩიპი** [ინგლ.chip]– ელექტრონული, კომპიუტერული ტექნიკის უმნიშვნელოვანესი დეტალი; ინტეგრალური მიკროსქემა.

**ჩიჩერონე** [იტ. cicerone] – იტალიაში (უპირატესად): პირი, რომელიც ტურისტებს აძლევს ახსნა-განმარტებას ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებისას (სინონ. **გიდი**, **ექსკურსიამძღოლი**).

⊙ **ჩიჩერონესი**

⊙ **ჩიჩერონისა – შცდ.**

**ჩიფს**-ი [ინგლ. chips (მრ.)] – თხლად დაჭრილი და შემწვარი, შებრაწული კარტოფილი.

## ც

**ცაიტლუპა** [გერმ. Zeitlupe] – სპეციალური კინოგადასაღები აპარატი, რომელსაც იყენებენ ჩქარი გადაღების დროს.

**ცაიტნოტ**-ი [გერმ. Zeitnot > Zeit დრო და Not საჭიროება] – **1**. ჭადრაკისა და შაშის თამაშ-

ში: მდგომარეობა, როდესაც მოთამაშეს არ ჰყოფნის დრო სვლების მოსაფიქრებლად (ჩვეულებრივ, ოფიციალურ შეჯიბრებაში, როდესაც სპეციალურ საჭადრაკო საათებზე თამაშობენ).

⊙ **ც.-ში ყოფნა,; ც.-ში ჩავარდნა.**

**2.** (გადატ.) დროის უკმარისობა, არქონა.

⊙ **ც.-ში მოხვედრა.**

○ **ცეიტნოტი შცდ.**

**ცე́დენტ**-ი [< ლათ. cedo ვუთმობ] – სამოქალაქო სამართალში: პირი, რომელიც თავის კუთვნილ უფლებას გადასცემს სხვა პირს.

**ცე́დრა** [< იტ. cedro ლიმონი] – **1.** ციტრუსების (ლიმონის, ფორთოხლის და მისთ.) კანის ზედა, შეფერილი ფენა.

**2.** ფორთოხლის ან ლიმონის გამხმარი კანი: იყენებენ როგორც სანელებელს (საკონდიტრო და სხვ. ნაწარმში).

**ცე́ზურა** [< ლათ. caesura გახლეჩა] – **1.** (ლიტ.) პაუზა ლექსის სტრიქონში.

**2.** (მუს.) პაუზა მუსიკალურ მელოდიაში.

**ცელი́ბატ**-ი [ლათ. caelibatus < caelebs უქორწინობა] – სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა.

**ცელო́ფან**-ი [cellulose ლათ. < cellula უჯრედი და ბერძ. phanos ნათელი] – თხელი გამჭვირვალე წყალგაუვალი მასალა, რომელიც მიიღება ცელულოიდის დამუშავებით; იყენებენ საკვები პროდუქტების, წამლების და სხვათა შესაფუთავად.

○ **პოლიეთილენის** (იხ.) – სახელად (**„ცელოფანის პარკიო"** – ამბობენ), რაც **შცდ.**

**ცელსი́უს**-ის **თერმო́მეტრი** [შვედი ასტრონომისა და ფიზიკოსის Celsius-ის (1701-1744) გვარის მიხედვით] – თერმომეტრი, რომელსაც ყინულის დნობისა და წყლის დუღილის წერტილებს შორის 100-გრადუსიანი სკალა აქვს.

**ცელულოზა** [ფრ. cellulose ლათ. cellula უჯრედი] – **1.** ნივთიერება, რომლისგანაც შედგება მცენარის უჯრედის გარსი; იყენებენ ნედლეულად სხვადასხვა სამრეწველო ნაკეთობათა დამზადებისას; უჯრედისი.

**2.** ნივთიერება, რომელიც მიიღება ზოგი მცენარის ქიმიურად დამუშავებული მერქნისა და ღეროებისაგან, იყენებენ ქაღალდის, ხელოვნური აბრეშუმის, ასაფეთქებელ ნივთიერებათა და სხვ. დასამზადებლად.

⊙ **ცელულოზისა.**

⊙ **ცელულოზასი შცდ.**

**ცელულოიდ**-ი [ლათ. cellula უჯრედი და ბერძ. eidos სახე] – მაგარი, ადვილად აალებადი ნივთიერება; მისგან ამზადებენ ფოტო და კინოფირებს, საგალენტერიო ნაწარმს, სათამაშოებს და სხვ.

**ცემენტ**-ი [გერმ. Zement] – მინერალური ნივთიერება – ფხვნილი, რომლისგანაც (წყალში არევით) მიიღება ქვისებრი შემკვრელი მასა; იყენებენ სამშენებლო საქმეში.

⊙ **ც.-ის ქარხანა, ც.-ის იატაკი, ც.-ის ნარევი.**

**ცენზ**-ი [ლათ. census] – პირობა, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას ისარგებლოს ამა თუ იმ პოლიტიკური (მაგ., საარჩევნო) უფლებით.

⊙ **ასაკობრივი ც., ქონებრივი ც., განათლების ც.**

**ცენზორ**-ი [ლათ. censor] – თანამდებობის პირი, რომელიც ცენზურას ახორციელებს.

**ცენზურა** [ლათ. censura] – ბეჭდვით სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე (რადიოზე, ტელევიზიაზე) სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა.

⊙ **სამხედრო ც., პოლიტიკური ც.**

**უცენზურო** – საზოგადოებაში მიუღებელი, უწმაწური, უხამსი.

⊙ **უ. სიტყვები, უ. ანეკდოტი.**

**ცენტ**-ი [ინგლ. cent] – აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყნებში: ხურდა ფული (მოცემული ქვეყნის ფულის ერთეულის მეასედი ნაწილი).

**ცენტნერ**-ი [გერმ. Zentner] – ზომათა მეტრული სისტემის წონის ერთეული; უდრის 100 კილოგრამს.

**ცენტრ**-ი [ლათ. centrum < ბერძ. kentron წვერი (ცირკულისა), შუაგული, ცენტრი] – **1.** რაიმე ღერძის, ხაზების გადაკვეთის წერტილი ფიგურაში.

⊙ **წრეხაზის ც., ლინზის ც.**

**2.** რისამე შუა ნაწილი, შუა ადგილი (ქართ. სინონ. **შუაგული**).

⊙ **ქალაქის ც., მოედნის ც.**

**3.** ქალაქი, დიდი დასახლებული პუნქტი, რომელსაც აქვს რაიმე ადგილისათვის, ქვეყნისათვის, ადმინისტრაციული, სამრეწველო, კულტურული და სხვა მნიშვნელობა.

⊙ **რაიონული ც., ადმინისტრაციული ც., სამრეწველო ც.**

4. ზოგი ისეთი დაწესებულების ან განყოფილების სახელწოდების შემადგენელი ნაწილი, რომელიც რასმე განაგებს.

⊙ **სატელევიზიო ც., გამოთვლითი ც., სავაჭრო ც., კომპიუტერული ც.**

**ცენტრალურ**-ი **1.** ცენტრთან (მნიშვ. 1) დაკავშირებული.

⊙ **ც. წერტილი.**

**2.** ცენტრში (მნიშვ. 2) არსებული.

⊙ **ც. რაიონი, ქალაქის ც. მოედანი.**

**3.** მთავარი, უმთავრესი, ხელმძღვანელი.

⊙ **ც. ხელისუფლება, ც. საარჩევნო კომისია.**

4. რაც მთელ სისტემას ამოქმედებს, მთელ სისტემას ემსახურება.

⊙ **ც. გათბობა.**

**ცენტრალური ნერვული სისტემა** – (ანატ.) ნერვული სისტემის ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგება თავის ტვინისა და ზურგის ტვინისაგან.

**ცენტრალიზაცია** და **ცენტრალიზება** – ერთ ცენტრში თავმოყრა, გაერთიანება.

⊙ **სახელმწიფოს ც., ხელმძღვანელობის ც., მმართველობის ც.**

○ **ცენტრალიზირება შცდ.**

**ცენტრალიზმ**-ი – მმართველობის ან ორგანიზაციის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ადგილობრივი ორგანოები ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ცენტრს.

**ცენტრიფუგა** [გერმ. Zentrifuge] – მანქანა, რომელიც ცენტრიდანული ძალების მოქმედებით მექანიკურად ყოფს ნარევს შემადგენელ ნაწილებად; იყენებენ სხვადასხვა ხელსაწყოს გამოსაცდელად და მფრინავების, კოსმონავტების ვარჯიშისათვის.

**ცენტურია** [ლათ. centuria < centum ასი] – ძველ რომში: **1.** ლეგიონის ნაწილი, სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც პირველ ხანებში 100 კაცისგან შედგებოდა (შდრ. ქართ. **ასეული**).

**2.** მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც იქმნებოდა მოსახლეობის დაყოფისას ქონებრივი ცენზის მიხედვით.

⊙ **ნოსტრადამუსის ც.-ები.**

**ცეპელინ**-ი [კრებ.] – დირიჟაბლის ტიპი.

**ცერბერ**-ი [ლათ. Cerberus < ბერძ. Kerberos საკუთ. სახ.] – **1.** ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში: ავი ძაღლი, რომელიც მიწისქვეშეთის სამეფოს შესასვლელს იცავს.

**2.** (გადატ.) მძვინვარე, მრისხანე და ფხიზელი ყარაული; ის, ვინც მკაცრ კონტროლს აწესებს ვინმეს მიმართ.

⊙ **საგადამხდელო** (საგადასახადო) **ც.**

**ცერემონია** [ლათ. caeremonia მოწიწება, თაყვანის ცემა] – **1.** ოფიციალური ხასიათის ზეიმი, რომელიც გარკვეული წესებით, წინასწარ შედგენილი გეგმით ტარდება.
**2.** მოქმედების წესი, რომელიც მიღებულია ან დადგენილია საზეიმო შემთხვევებისათვის.
**3.** ცერემონიები – (საუბ.) გადაჭარბებული პირობითობის დაცვა ქცევაში.
◎ **ცერემონიული.**
⊙ **ც. სალამი.**
**უცერემონიო** – მოურიდებელი, უზრდელი.
⊙ **უ. ჩარევა** სხვის საქმეში.

**ცერემონიალ**-ი [ლათ. ceremonialis] – ოფიციალურად მიღებული წესი ცერემონიის ჩატარებისა (სინონ. **რიტუალი**).
⊙ **სადღესასწაულო ც.**
◎ **ცერემონიალური.**
⊙ **ც. შეხვედრა.**

**ცერერა** [ლათ. Ceros (cereris)] – რომაულ მითოლოგიაში: მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება **დემეტრა**).

**ცეცე** [ბანტუ-ენიდან, აფრ.] – ცოცხალმშობში სისხლის მწოველი ბუზი; გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ აფრიკაში: საღათას, ძილის და ზოგი სხვა დაავადებების გავრცელების გადამტანი.

**ციან**-ი [ბერძ. Kyanos მუქი ლურჯი, ლაჟვარდოვანი] – მწვავე სუნის მქონე უფერო მომწამლავი (შხამიანი) გაზი.

**ცივილიზაცია** [ფრ. civilisation < ლათ. civilis სამოქალაქო] – **1.** საზოგადოებრივი და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ.
⊙ **ანტიკური ც., თანამედროვე ც.**
**2.** მსოფლიოს მოწინავე, ქვეყნების თანამედროვე კულტურა, განათლება.
**ცივილიზებული** – ვინც, რამაც კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.
⊙ **ც. ქვეყნები, ც. საზოგადოება.**

**ცივილისტიკა** [ლათ. civilis სამოქალაქო] – სამოქალაქო სამართალი.

**ცივილურ**-ი [ლათ. civilis სამოქალაქო] – (წიგნ.) სამოქალაქო, არა სამხედრო.

**ციკლ**-ი [ბერძ. Kyklos წრე, წრეხაზი] – **1.** რაიმე მოვლენათა, პროცესთა, სამუშაოთა ერთობ-

ლიობა, რომელიც ქმნის რისამე მოქმედების, განვითარების დასრულებულ წრეს.
⊙ **გეოლოგიური ც., საწარმოო ც., შიგაწვის ძრავას ც.**
**2.** საერთო ნიშნით (მიზნით, თემით) გაერთიანებულ ნაწარმოებთა, შესასრულებელი, გადმოსაცემი რისამე წყება.
⊙ **კონცერტების ც., ლექციების ც.**
◎ **ციკლური** (მნიშვ. 1-ისათვის).
⊙ **ც. განვითარება.**

**ციკლონ**-ი [ბერძ. Kyklon მბრუნავი] – ატმოსფერული გრიგალი, რომელსაც თან ახლავს უხვი ნალექები და ძლიერი ღრუბლიანობა.
⊙ **ც.-მა გადაიარა.**
◎ **ციკლონური.**
⊙ **ც. გრიგალი.**

**ცილინდრ**-ი [ბერძ. Kylindros < Kylindô ვაგორებ, ვაბრუნებ] – **1.** გეომეტრიული სხეული, რომელიც წარმოქმნილია მართკუთხედის ბრუნვით მისი ერთ-ერთი გვრდის გარშემო.
**2.** ასეთი ფორმის მქონე დეტალი ან მოწყობილობა.
○ **ძრავას ც., ავტომობილის ც.-ები.**
⊙ **ც.-ის დგუში.**
**3.** მამაკაცის ქუდი ცილინდრის (მნიშვ. 1) ფორმისა, მაღალი და ვიწრო ფარფლებიანი.
◎ **ცილინდრული** (მნიშვ. 1-ისათვის).
⊙ **ც. ღუმელი, ც. ჭურჭელი.**
**ცილინდრიანი** (მნიშვ. 2-ისათვის).
⊙ **ც. მანქანები.**
**ცილინდრიანი** და **ცილინდროსანი** (მნიშვ. 3-ისათვის).
⊙ **ც. კაცი.**

**ცინიზმ**-ი [ბერძ. Kynismos] – თავხედური გულახდილობა.
◎ **ცინიკური.**
⊙ **ც. შეკითხვა, ც. პასუხი.**

**ცინიკოს**-ი [ბერძ. Kyrikos] – ადამიანი, რომელსაც ცინიზმი ახასიათებს.
◎ **ცინიკური.**
⊙ **ც. გულახდილობა.**
○ **ცინიკი შცდ.**

**ცირკ**-ი [ლათ. circus] – **1.** თეატრალური ხელოვნების სახეობა, რომელშიც გაერთიანებული არიან აკრობატები, ტანმოვარჯიშეები, კლოუნები, ცხოველების მწვრთნელები და სხვ.
⊙ **მოხეტიალე ც.** (ძველად).
**2.** მრგვალი შენობა, რომლის არენაზეც იმართება ასეთი სანახაობა.
◎ **საცირკო.**
⊙ **ს. წარმოდგენა, ს. ნომრები, ს. პროგრამა.**

**ცირკულარ**-ი [გერმ. Zirkular

ლათ. circularis წრიული] – წერილობითი, სადირექტივო განკარგულება, რომელიც ეგზავნებათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს ან ხელქვეით თანამდებობის პირებს.

○ **ცირკულიარი შცდ.**

**ცირკულაცია** და **ცირკულირება** [ლათ. circulatio და zirkulieren] – წრიული მოძრაობა.

⊙ **ჰაერის ც., სისხლის ც.**

◎ **საცირკულაციო.**

⊙ **ს. მილები.**

○ **ცირკულიაცია, საცირკულიაციო შცდ.**

**ციროზ**-ი [ბერძ. kirros ლიმონისფერი, ყვითელი] – (მედიც.) რაიმე ორგანოს შემაერთებელი ქსოვილის გაზრდა, რაც ამ ორგანოს ფუნქციის დარღვევას იწვევს.

⊙ **ღვიძლის ც., ფილტვების ც.**

○ **ცეროზი შცდ.**

**ცისტერნა** [ლათ. cisterna წყალსაცავი] – **1.** დიდი რეზერვუარი წყლის, ნავთობის და სხვა სითხეების შესანახად.

⊙ **ბენზინის ც.**

**2.** ვაგონი ან ავტომობილი, რომლის ძარა წარმოადგენს ცილინდრულ რეზერვუარს სითხეების გადასაზიდად.

⊙ **რკინიგზის ც.-ები, რძის ც.**

○ **ცისტერნი შცდ.**

**ცისტიტ**-ი [ბერძ. Kystis საშარდე ბუშტი] – (მედიც.) საშარდე ბუშტის ანთება.

**ციტადელ**-ი [ფრ. citadelle < იტ. cittadella < citta ქალაქი] – **1.** ძველად: ქალაქის შიგნითა ციხესიმაგრე (ქართ. სინონ. **შიდაციხე**).

**2.** გადატ. (წიგნ.) რისამე მთავარი დასაყრდენი პუნქტი (ქართ. სინონ. **ბურჯი**).

**ციტატა** [გერმ. Zitat] – რაიმე ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი.

○ **ციტატი შცდ.**

**ციტრუსები** [ლათ. citrus (მხ.)] – ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის და მისთ. საერთო სახელი.

⊙ **ც.-ების გაშენება, ც.-ების პლანტაციები.**

◎ **ციტრუსოვანი.**

⊙ **ც. კულტურები.**

**ციფერბლატ**-ი [გერმ. Zifferblatt] – საათის ან სხვა რაიმე ხელსაწყოს დანაყოფებიანი ფირფიტა, რომელზედაც ისრები (ან ისარი) მოძრაობს.

**ციფრ**-ი [პოლონ. cifra < არაბ.] – **1.** რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი.

⊙ **არაბული ც.-ები** (1, 2, 3, 4 და სხვ.), **რომაული ც.-ები** (I, II, III, IV და სხვ.)..

**2**. მრ. ციფრები – რისამე მაჩვენებელი, რიცხვებით გამოხატული.

⊙ **საკონტროლო ც.-ები. ასტრონომიული ციფრები** – (იხ. **ასტრონომია**).

**ცოკოლ**-ი [იტ. zoccolo] – **1**. შენობის გარეთა კედლის ქვედა ნაწილი, რომელიც საძირკველს ეყრდნობა და ცოტათი გამოწეულია კედელთან შედარებით (ქართ. სინონ. **საძირკველი**).

**2**. ელექტრონათურის ლითონის ნაწილი, რომლითაც ის იხრახნება ვაზნაში.

**ცუგცვანგ**-ი [გერმ. Zugzwang] – ჭადრაკში: ფიგურების განლაგება, რომლის დროსაც აუცილებელია ისეთი მორიგი სვლის გაკეთება, რომელსაც მოსდევს მდგომარეობის გაუარესება და პარტიის წაგებაც კი.

**ცუკატ**-ი [პოლონ. Cukata < cukier შაქარი] – დაშაქრული ხილი ან კანი, ქერქი ციტრუსისა, საზამთროსი, ნესვისა.

**ცუნამ**-ი [იაპ.] – გიგანტური (15-20 მ სიმაღლის) ტალღები, რომლებიც ჩნდება ოკეანეში წყალქვეშა მიწისძვრების შედეგად; სანაპიროზე იწვევს დიდ ნგრევას; ხშირად იცის წყნარ ოკეანეში.

## ძ

**ძაბუტონ**-ი [იაპ.] – იაპონიაში: იატაკზე დასაჯდომი ბრტყელი ბალიში.

**ძიუდო** [იაპ.] – იაპონური ჭიდაობა თავისუფალი სტილისა.

## ხ

**ხაკი** [ჰინდი ენის Khāki მიწისფერი, ტალახისფერი < სპარს. Khāk მიწა, ჭუჭყი] – **1**. მოყავისფრო მწვანე.

**2**. მოყავისფრო-მწვანე მკვრივი ქსოვილი ერთგვარი; ამ ქსოვილის ტანსაცმელი (უპირატესად სამხედრო ფორმა).

**ხაკისფერი** – მოყავისფრო-მწვანე.

⊙ **ხ. ხალათ-შარვალი.**

◎ **ხაკიმ, ხაკის.**

○ **ხაკმა, ხაკს შცდ.**

**ხალიფა** [არაბ. chalifa ნაცვალი, მოადგილე] – (ისტ.) უმაღლესი ტიტული ზოგი ქვეყნის მუსლიმანთა მმართველისა.

⊙ **ეგვიპტის ხ.**

**სახალიფო** – ქვეყანა, რომელსაც ხალიფა მართავდა.

◎ **ხალიფისა.**

○ **ხალიფასი – შცდ.**

**ხალიფატ**-ი (ისტ.) – **1**. ფეოდა-

ლურ მუსლიმანურ ქვეყნებში: სახელმწიფო წყობილების სისტემა, სადაც თეოკრატიული ხელისუფლება იყო.

**2.** არაბების დაპყრობათა შედეგად შექმნილი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის სათავეშიც ხალიფა იდგა; სახალიფო.

**ხან**-ი [თურქ. han] – (ისტ.) აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში შუა საუკუნეებში: მთავართა ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

**სახანო** – ქვეყნის ნაწილი, რომელსაც ხანი მართავდა.

**ხაჯი** [არაბ.] – მუსულმანი, რომელმაც რელიგიური მოგზაურობა ჩაატარა მექაში.

**ხერემ**-ი [ძვ. ებრ.] – ძვ. ებრაელურ რელიგიურ ყოფაში – განკვეთა, ანათემა.

**ხოტა** [ესპ. jota] – ესპანური სახალხო ცეკვა.

**ხოჯა** [არაბ. haggi] – მუსულმანის საპატიო ტიტული, რომელმაც ხაჯი გააკეთა.

**ხუნტა** [ესპ. junta] – **1.** ესპანური და ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში: სხვადასხვა გაერთიანების, კავშირის სახელწოდება.

**2.** ზოგიერთ ლათინური ამერიკის ქვეყნებში: აღმასრულებელი სამთავრობო ხელისუფლების ორგანო;

**3.** ლათინური ამრიკის ზოგ ქვეყნებში: სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შექმნილი სამხედრო მთავრობის სახელწოდება.

◎ **ხუნტისა.**

○ **ხუნტასი – შცდ.**

**ხურმა** [სპარს.] – სახელწოდება რამდენიმე სახის ხისა, აბანოზის (აკალმეხის) ოჯახიდან.

⊙ **იაპონური ხ.** – ნაყოფისმომცემი ხე, რომელიც ჩინეთიდან და სამხრეთ იაპონიიდან მომდინარეობს; აგრეთვე გავრცელებულია შავი ზღვის პირას – კავკასიაში.

## ჯ

**ჯადო** [სპ.] – **1.** ისეთი რამ (ნივთი, წამალი), რაც ვითომდა ავნებს, შებოჭავს ადამიანს (ვისაც გაუკეთებენ, ვის სახელზეც გააკეთებენ) – თილისმა.

⊙ **ჯ. გაკეთება.**

**2.** გადატ. (საუბ.) იგივეა, რაც ჯადოსნური.

⊙ **ჯ. ღამე.**

**3.** გადატ. (საუბ.) იტყვიან მახინჯ ადამიანზე.

**ჯადობაზი** [სპ.] – იგივეა, რაც ჯადოქარი.

**ჯადოობა** (ძვ.) – ჯადოს გაკეთება.

**ჯადოსან**-ი – იგივეა, რაც ჯადოქარი.

◎ **ჯადოსნისა.**

**ჯადოსნობა** – იგივეა, რაც ჯადოქრობა.

**ჯადოსნურ**-ი **1.** (ძვ.) რასაც ჯადოს ძალა აქვს – სასწაულებრივი.

⊙ **ჯ. წამალი.**

**2.** (გადატ.) მომხიბლავი, წარმტაცი.

⊙ **ჯ. ღიმილი, ჯ. ჰანგი.**

**ჯადოსნურად** – მომაჯადოებლად, წარმტაცად.

**ჯადოქარ**-ი [სპ.] – ადამიანი, რომელსაც ვითომდა ჯადოთი შეკვრა შეუძლია – ჯადოსანი, გრძნეული.

⊙ **ცეკვის ჯ.**

**ჯადოქრობა** – ჯადოქრის თვისება.

**ჯამე** [არაბ. Pame'] – საკრებულო მეჩეთი.

**ჯეზვე** [თურქ. Cezve ყავადანი] – ყავის ასადუღებელი პატარა ტანიანი ჭურჭელი.

**ჯეირან**-ი [თურქ.] – გაზელის ოჯახის გარეული ცხოველი, რომელიც გავრცელებულია კავკასიაში და შუა აზიაში (შდრ – **ჯიხვი**).

**ჯაზ**-ი [ინგლ. jazz] – **1.** პროფესიული სტილი, რომელიც XIX ს.-ის ბოლოს წარმოიქმნა აშშ-ში აფრიკული და ავროპული მუსიკის სინთეზის გზით.

**2.** ამგვარი მუსიკის შემსრულებელი ორკესტრი.

◎ **ჯაზური** და **საჯაზო.**

⊙ **ჯ. (ს.) მუსიკა.**

**ჯემ**-ი [ინგლ. jam] – ხილის სქელი მურაბა, რომელიც წარმოადგენს მთლიან მასას.

⊙ **ხენდროს ჯ.**

**ჯემპრ**-ი და (მოძვ.) **ჯემპერ**-ი [ინგლ. jumper] – ნაქსოვი ზედატანი, რომელსაც არა აქვს საყელო და შესაკრავები; იცვამენ თავზე ჩამოცმით.

○ **ჯემპრე შცდ.**

**ჯენტლმენ**-ი [ინგლ. gentlman] – **1.** ინგლისში: მამაკაცი, რომელიც ზუსტად იცავს საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესებს და ნორმებს; ვაჟკაცი, სიტყვის პატრონი.

**2.** ითქმის თავაზიან მამაკაცზე, აგრეთვე იმაზე, ვინც გამოირჩევა დახვეწილი მანერებითა და ჩაცმა-დახურვით (ზოგჯერ ირონიით).

◎ **ჯენტლმენური.**

⊙ **ჯ. ქცევა.**

**ჯენტლმენური შეთანხმება** – საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც დებენ დაუწერლად, ზეპირად.

○ **ჯენტლემენი, ჯენტლემენური, ჯენტლემენტი, ჯენტლემენტური შცდ.**

**ჯინგოიზმ**-ი [ინგლ. jingoism] – ინგლისური უკიდურესი შოვინიზმი.

**ჯინ**-ი[1] [არაბ. jinn] – არაბულ და სპარსულ მითოლოგიაში: გონიერი ფანტასტიკური არსება, რომელიც შედგება ცეცხლისა და ჰაერისაგან და, რომელსაც აქვს უნარი გადაიქცეს ადამიანად ან ცხოველად; ბოროტი სული, დემონი.

**ჯინ**-ი[2] [ინგლ. gin] – ინგლისური არაყი.

**ჯინს**-ი [ინგლ. jeans (მრ.)] – ვიწრო სპორტული შარვალი სპეციალური ქსოვილისა.

○ **ჯინსები შცდ.**

**ჯიპ**-ი [ინგლ. jeep] – ყველგანმავალი მსუბუქი ავტომობილი.

**ჯიუ-ჯიცუ** [იაპ.] – უიარაღოდ თავდაცვის (აგრეთვე შეტევის) თავისებური ილეთების სისტემა.

**ჯოისტიკ**-ი – კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა, სპეციალური ბერკეტი ვიდეოთამაშების სამართავად.

**ჯუნგლ**-ი [ინგლ. jungle სანსკრ.] – ტროპიკული და სუბტროპიკული უღრანი ტყე (უპირატესად ინდოეთში).

**ჯუნგლის კანონი** – იტყვიან აშკარა ძალადობასა და თვითნებობაზე.

○ **ჯუნგლები შცდ.**

**ჯუს**-ი [ინგლ. juice წვენი] – ხილის წვენი (სასმელად მომზადებული).

**ჯიხად**-ი [< არაბ. džihad ომი რწმენისათვის] – ყურანის თანახმად „წმინდა ომი“, „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, აგრეთვე მუსლიმანურ ქვეყნებში მოწოდება ბრძოლისაკენ სამშობლოს დასაცავად.

## ჰ

**ჰაბიტუს**-ი [ლათ. habitus] – (წიგნ.) გარეგნული შესახედაობა ცხოველისა, მცენარისა, აგრეთვე ადამიანისა.

**ჰაგიოგრაფია** [ბერძ. hagios წმინდა და graphô ვწერ] – ქრისტიანული ლიტერატურის დარგი – წმინდანთა ცხოვრების აღწერა.

◎ **ჰაგიოგრაფიული.**

⊙ **ჰ. მწერლობა, ჰ. თხზულება.**

○ **აგიოგრაფია, აგიოგრაფიული შცდ.**

**ჰადესი** [ბერძ. hadçs] – ბერძნულ მითოლოგიაში: **1.** მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებელი.

**2**. მიწისქვეშა სამეფო; ჯოჯოხეთი.

**ჰა́ფბეკ**-ი [ინგლ. half-back] – (მოძვ.) ფეხბურთის ან ჰოკეის გუნდში: ნახევარმცველი.

**ჰა́ლვა** [არაბ. ჰალვა] – აღმოსავლური ტკბილეული, წარმოადგენს მაგარ მასას, რომელიც დამზადებულია ზოგი ზეთოვანი გახეხილი ან დანაყილი თესლისგან ან ნიგვზისაგან.

⊙ **არაქისის ჰ., ნიგვზის ჰ.**

○ **ხალვა შცდ.**

**ჰა́ლსტუხ**-ი [გერმ. Halstuch] – ქსოვილის გრძელი ნაჭერი, რომელსაც იკეთებენ ყელზე, პერანგის საყელოს ქვეშ და წინ იკრავენ ნასკვად (ქართ. სინონ. ყელსახვევი).

○ **გალსტუკი შცდ.**

**ჰალუცინა́ცია** [ლათ. halucinatio მოტყუება,შეცდომა] – მცდარი მხედველობითი,სმენითი,ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა, რომელიც გამოწვეულია ტვინის მოქმედების დარღვევით (ეჩვენებათ არარსებული საგნები, ხმები და სხვ.)

**ჰამა́კ**-ი [ფრ. hamac] – ბადისებურად მოქსოვილი ჩამოსაკიდებელი საწოლი.

⊙ **ხეებზე გაბმული ჰ.**

○ **გამაკი შცდ.**

**ჰამბუ́რგერ**-ი [ინგლ. hamburger < Hamburg steak ჰამბურგის ბიფშტექსი] – დაკეპილი ბიფშტექსით შემწვარი ფუნთუშა.

**ჰანდი́კაპ**-ი [ინგლ. handikap] – **1**. რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში (მაგ. რბენაში). შედარებით სუსტი მონაწილისათვის მიცემული უპირატესობა.

**2**. დოღი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის ცხენები მონაწილეობენ.

**ჰანტე́ლ**-ი [გერმ. Hantel] – სატანვარჯიშო იარაღი – თუჯის ორი ბირთვი, რომლებიც ერთმანეთთან მოკლე მრგვალი ტარით არის შეერთებული.

⊙ **ჰ.-ებით ვარჯიში.**

○ **განტელი შეცდ.**

**ჰარაკი́რ**-ი [harakiri < hara მუცელი და kiri გაჭრა] – იაპონიაში სამურაების თვითმკვლელობის ხერხი – მუცელში ხანჯლის გამოსმით (გამოფატვრით, გამოფუშვით).

**ჰარა́მხანა** [არაბ. harâmchâne აკრძალული სახლი] – მდიდარი მუსლიმანის სასახლეში მისი ცოლებისთვის გამოყოფილი სახლი,ბინა.

**ჰარმო́ნია** (ბერძ. harmonia თანაზომიერება] – **1**. რისამე მწყობრი შეთანხმება,შეხამება.

**2**. ერთსულოვნება.
⊙ **ბგერათა ჰ., ფერთა ჰ,**
◎ **ჰარმონიული,**
⊙ **ჰ. ბგერები, ჰ. ფერები.**
○ **გარმონია, გარმონული, ჰარმონული, გარმონიული შცდ.**

**ჰარპუნ**-ი (ჰოლანდ. harpeon] – სატყორცნი იარაღი (ბარჯი), რომელსაც იყენებენ ვეშაპებსა და დიდ თევზებზე სანადიროდ.

**ჰასი** [იაპ.] – იაპონიაში: ჩხირები, რომლებსაც საჭმლის ასაღებად და პირში ჩასადებად ხმარობენ (შდრ. **ჩანგალი**).

**ჰაუპტვახტ**-ი [გერმ. Hauptwache] – დაპატიმრებულ სამხედრო მოსამსახურეთა სადგომი.
⊙ **ჰ.-ში ჩასვეს.**
○ **გაუპტვახტი, გაუპტვახტა შცდ.**

**ჰაშიშ**-ი [არაბ. haðið] – ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც იღებენ ინდური კანაფისაგან.

**ჰაჯ**-ი [არაბ. hagg] – მესაში ლოცვა მუსლიმანთა „წმინდა ადგილში" ქანაანში ან მედინაში მუჰამედის აკლდამასთან (კუბოსთან), რომელიც მუსლიმანთა რიგებში ღვთისმოსაობის გმირობად ითვლება; საპატიო ტიტული მუსლიმანისა, რომელმაც მესა მოილოცა, ამ ტიტულის მქონე პირი.

**ჰებე** [ბერძ. Hçbe] – ბერძნულ მითოლოგიაში: სიჭაბუკის ქალღმერთი, ზევსისა და ჰერას შვილი; ოლიმპზე ღმერთებს ნექტარსა და ამბროზიას მიართმევდა ხოლმე.

**ჰეგელიანელობა** – მოძღვრება გერმანული ფილოსოფოსისა ჰეგელისა (1770–1831 წ.წ.), რომელმაც დაამუშავა იდეალისტური დიალექტიკის თეორია.

**ჰეგემონია** [ბერძ. hegemonia] – (წიგნ.) ხელმძღვანელობა, ბელადობა, ბატონობა.
◎ **ჰეგემონიური.**
⊙ **ჰ. როლი, ჰ. მდგომარეობა.**
○ **გეგემონია, გეგემონიული შცდ.**

**ჰედონიზმ**-ი [< ბერძ. hçdons სიამოვნება] – ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

**ჰელიო**... [ბერძ. helios მზე] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი მნიშვნელობით „მზეს ეხება".
⊙ **ჰელიოფიზიკა, ჰელიოტროპი**

**ჰელიოთერაპია** [ბერძ. hçlios მზე და herapeia მკურნალობა] –

მზის სხივებით მკურნალობა.

**ჰელიოს**-ი [ბერძ. Hçlios] – ბერძნულ მითოლოგიაში: მზის ღმერთი.

**ჰელიოფილურ**-ი [ბერძ. hçlios მზე და phileô მიყვარს] – ჰელიოფილური მცენარეები – (ბოტან.) სინათლის მოყვარული მცენარეები.

**ჰელიოფობურ**-ი [ბერძ. hçlios მზე და phobos შიში] – ჰელიოფობური მცენარეები – (ბოტან.) ჩრდილის მოყვარული მცენარეები.

**ჰელიოტექნიკა** – ტექნიკის დარგი, რომელიც ეხება მზის ენერგიის გამოყენებას სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

**ჰელიოცენტრულ**-ი [ბერძ. hçlios მზე და ლათ. centrum ცენტრი] – სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემა – მზის სისტემის შესახებ კოპერნიკის (1473-1543 წ.წ.) მოძღვრება, რომლის მიხედვითაც მზე წარმოადგენს ცენტრს და მის გარშემო მოძრაობენ პლანეტები.

**ჰელიუმ**-ი [ბერძ. hçlios მზე] – ქიმიური ელემენტი, წყალბადის შემდეგ ყველაზე მსუბუქი ინერტული, უფერო და უსუნო გაზი (აირი).

**ჰემისფერო** [ბერძ. hcmisphairion] – **1.** დედამიწის ან ცის ნახევარსფერო.
**2.** (ანატ.) თავის ტვინის ნახევარსფერო.

**ჰემოგლობინ**-ი [ბერძ. haima სისხლი და ლათ. globus ბირთვი] – სისხლის წითელი ნაწილაკების (ერითროციტების) შემადგენელი ნაწილი (საღებავი ნივთიერება), რომელსაც გადააქვს ჟანგბადი და ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სუნთქვისათვის.

**ჰემოთერაპია** [ბერძ. haima სისხლი და therapia მკურნალობა] – (მედიც.) სისხლის გადასხმით მკურნალობა.

**ჰემორაგია** [ბერძ. haimorrahagia] – (მედიც.) სისხლდენა.

**ჰემორროი** [ბერძ. haimorrhoia სისხლდენა] – ბუასილი.

**ჰემოსტაზ**-ი [ბერძ. haima სისხლი და stasis შეჩერება] – სისხლდენის შეჩერება.

**ჰემოფილია** [ბერძ.haima სისხლი და philia მიდრეკილება] – (მედიც.) სისხლის შედედების უნარის დაკარგვა, რაც იწვევს სისხლის დენას მცირე დაზიანების დროსაც.

**ჰემატოლოგია** [ბერძ. haima (haimatos] სისხლი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რო-

მელიც სწავლობს სისხლის შემადგენლობასა და თვისებებს, აგრეთვე სისხლის დაავადებებს.

**ჰეპარინ**-ი [< ბერძ. hçpar ღვიძლი] – ნივთიერება,რომელიც ხელს უშლის სისხლის შედედებას.

**ჰეპი-ენდ**-ი [ინგლ. happy end] – „კეთილი ბოლო“. მხატვრული ნაწარმოების (კინოფილმის, რომანის) კეთილი დასასრული.

**ჰერა** [ბერძ. Hçra] – ბერძ. მითოლოგიაში: ქალღმერთი, ზევსის მეუღლე, ქორწინების მფარველი.

**ჰერაკლე** [ბერძ. Hçraklçs] – ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის შვილი, ნახევრად ადამიანი – ნახევრად ღმერთი, ერთ-ერთი ყველაზე უფარო პოპულარული, არაჩვეულებრივად ღონიერი გმირი [ლათ. Herkules].

**ჰერალდიკა** [ლათ.heraldus მაცნე] – დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც გერბებს სწავლობს, გერბთმცოდნეობა.

**ჰერბარიუმ**-ი [< ლათ. herba ბალახი] – სპეციალურად შეგროვილი და გამხმარი მცენარეების კოლექცია.

**ჰერმაფროდიტ**-ი – ცხოველი ან ადამიანი,რომელსაც ორივე სქესის ნიშნები აქვს.

**ჰერმეს**-ი [ფრ. Hermes] – ბერძნულ მითოლოგიაში: საძოვრებისა და ჯოგების, გზებისა და ვაჭრობის ღმერთი, ღმერთების შიკრიკი.

**ჰერმეტული** [ფრ. hermetique < ლათ. hermticus] – რაც ისე მჭიდროდ არის დახურული, დაგმანული, რომ ჰაერს სრულიად არ ატარებს.

⊙ **ჰ. კამერა.**

○ **ჰერმეტიული, გერმეტული, გერმეტიული შცდ.**

**ჰეროიკა** [< ფრ. heroiuque გმირული] – (წიგნ.) გმირული შინაარსი, გმირული მხარე რისმე.

⊙ **შრომის ჰ., ბრძოლის ჰ.**

**ჰეროინ**-ი [ლათ. heroinum] – ნარკოტიკული საშუალება (მორფინზე ძლიერი).

**ჰეროსტრატე**-ს **სახელი** – საძრახისი საქმით, უღირსი საქციელით განთქმული სახელი [ბერძ. Hçrostratos-ის სახელის მიხედვით, რომელმაც სახელის უკვდავყოფის მიზნით 356 წ. (ძვ. წელთაღრ.) დაწვა არტემიდა ეფესელის შესანიშნავი ტაძარი].

**ჰერპეტოლოგია** [ბერძ. herpeton ქვეწარმავალი და logos მოძღვრება] – ზოოლოგიის დარგი, რომელიც

ქვეწარმავლებს სწავლობს.
**ჰერცოგ**-ი [გერმ. Herzog] – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავად-აზნაურთა ერთ-ერთი უმაღლესი ტიტული.
○ **გერცოგი შცდ.**
**ჰერცოგინია** [გერმ. Herzogin] – ჰერცოგის ცოლი ან ქალიშვილი.
⊙ **ჰერცოგინიასი.**
○ **გერცოგინია, გერცოგინიისა შცდ.**
**ჰეტერა** [ბერძ. hetairon] – ძველ საბერძნეთში: განათლებული გაუთხოვარი ქალი, რომელიც თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა.
**ჰეტეროსექსუალიზმ**-ი [ბერძ. heteros სხვა და ლათ. sexsualis სქესობრივი] – **1.** სქესობრივი ლტოლვა საპირისპირო სქესის ინდივიდისადმი.
**2.** საპირისპირო სქესის დამახასიათებელი ნიშნების გაჩენა.
**ჰეფესტოს**-ი [ბერძ. Hęphaistos] – ბერძნულ მითოლოგიაში: ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი.
**ჰექტარ**-ი [ფრ. hectare] – მიწის ფართობის საზომი ერთეული (მეტრული სისტემისა); უდრის 100 არს ანუ 10000 კვ.მ.
◎ **ჰექტარისა.**
○ **ჰექტარი, ჰექტრისა, გექტარი, გეკტარი, ექტარი, ეკტარი შცდ.**
**ჰექტო**... – თავსართი, რომელიც საზომი ერთეულის სახელთან მიერთებისას აღნიშნავს მის ასჯერ გაზრდას.
**ჰექტოლიტრ**-ი [ბერძ. hekaton ასი და ფრ. litre ლიტრი] – სითხის ან ფხვიერი ნივთიერების საზომი (მეტრული სისტემის); 1 ჰექტოლიტრი = 100 ლიტრს.
**ჰიბრიდ**-ი [ლათ. hibrida ნარევი, ნაჯვარი] – მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა სახეობის შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმი.
◎ **ჰიბრიდული.**
⊙ **ჰ. თესლი, ჰ. სამყურა.**
○ **გიბრიდი, გიბრიდული შცდ.**
**ჰიბრიდიზაცია** – მცენარეების ან ცხოველების სხვადასხვა სახეობის შეჯვარება გაუმჯობესებული ჯიშის, სახეობის მისაღებად.
**ჰიგიენა** [ბერძ. hygiaino ჯანმრთელი ვარ] – მედიცინის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ჯანმრთელობის შენარჩუნების პირობებს. იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ითვალისწინებენ სისუფთავის, ჯანმრთელობის დაცვას.
⊙ **ჰ.-ის წესები, შრომის ჰ., პირადი ჰ.**

◎ **ჰიგიენური.**

⊙ **ჰ. პირობები, ჰ. აბაზანა, ჰ. ტანვარჯიში.**

○ **გიგიენა, გიგიენური შცდ.**

**ჰიგროფილური** [ბერძ. hygros ტენიანი და phileô მიყვარს] – (ბოტან.) წყლის მოყვარული (მცენარე).

**ჰიდრავლიკა** [< ბერძ. hidraulikos წყლისა] – მეცნიერება სითხეების წონასწორობისა და მოძრაობის კანონთა და მათი პრაქტიკული გამოყენების საშუალებათა შესახებ.

◎ **ჰიდრავლიკური** – რაც სითხის წნევის ძალით მოძრაობს.

⊙ **ჰ. ძრავა, ჰ. წნეხი, ავტომობილის ჰ. მუხრუჭები.**

○ **ჰიდრავლიური, ჰიდრავლური, გიდრავლიკა, გიდრავლიური, გიდრავლური, გიდრავლიკური შცდ.**

**ჰიდრო...** [< ბერძ. hydôr წყალი] – რთული სიტყვების პირველი ნაწილი მნიშვნელობით „წყალს ეხება“.

⊙ **ჰიდრობიოლოგია, ჰიდროლიზი, ჰიდროენერგეტიკა.**

**ჰიდრობიოლოგია** – ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს წყლის ცხოველებსა და მცენარეებს.

**ჰიდროგეოლოგია** – გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს მიწისქვეშა წყლების წარმოშობას, მოძრაობასა და თვისებებს.

**ჰიდროგრაფია** [ბერძ. hydôr წყალი და graphô ვწერ] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს და აღწერს დედამიწის ზედაპირის წყლებს.

**ჰიდროლოგია** [< ბერძ. hydôr წყალი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს და აღწერს დედამიწის ზედაპირის წყლებში.

**ჰიდროენერგეტიკა** – მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომლის მიზანია წყლის ენერგიის გამოყენება ელექტრული ენერგიის საწარმოებლად.

**ჰიდროლიზ**-ი [ბერძ. hydôr წყალი და lysis დაშლა] – (ქიმ.) რთული ნივთიერების დაშლა წყლის ზემოქმედების შედეგად.

**ჰიდრომეტეორებ**-ი [ბერძ. hydôr წყალი და meteôrôs ჰაერში მოლივლივე] – ატმოსფეროში წყლის ორთქლის პროდუქტები, ნისლი, ცვარი, თრთვილი და სხვა.

**ჰიდროსფერო** – წყლის გარსი, რომელიც აკრავს დედამიწას (ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები...).

**ჰიდროტექნიკა** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს წყლის რესურსების გამოყენებას სამეურნეო საჭიროებისათვის, აგრეთვე წყლის სტიქიის მავნებელ მოქმედებას; ტექნიკის დარგი, რომელიც განახორციელებს ამ ამოცანებს სათანადო (ჰიდროტექნიკურ) ნაგებობათა საშუალებით.

**ჰიდროფიტებ**-ი [ბერძ. hydôr წყალი და phyton მცენარე] – (ბოტან.) წყალში მცხოვრები მცენარეები.

**ჰიდროფობია** [ბერძ. hydôr წყალი და phobos შიში] – (მედიც.) წყლის შიში, ცოფი (დაავადება).

**ჰილზ**-ი [გერმ. Hulse] – **1.** ცეცხლსასროლ იარაღში: პატარა ცილინდრული მილი, რომელშიც თავსდება ფეთქებადი ნივთიერება.

**2.** პაპიროსის ქაღალდის მასრა, რომელსაც თამბაქოთი ტენიან.

○ **გილზი, გილზა შცდ.**

**ჰიმნ**-ი [ბერძ. hymnos] – საზეიმო სიმღერა,რომელიც მიღებულია როგორც სახელმწიფოებრივი ან სოციალური ერთიანობის სიმბოლო.

○ **გიმნი შცდ.**

**ჰიმნოლოგია** – სასულიერო პოეზია.

**ჰიპერ**... [ბერძ. hyper -ზე ზევით, იმ მხარეს] – თავსართი, მნიშვნელობით „ნორმის გადამეტება“ (საპ. **ჰიპო**).

⊙ **ჰიპერბოლა, ჰიპერინფლიაცია, ჰიპერტონია**.

**ჰიპერბოლა** [ბერძ. hyperbolc გაზვიადება] – **1.** მხატვრული ხერხი – მეტისმეტი გაზვიადება შთაბეჭდილებების გაძლიერების მიზნით.

**2.** (მათემ.) ორტოტიანი მრუდი, რომელიც მიიღება სიბრტყის საშუალებით კონუსის გადაკვეთისას.

**ჰიპერმეტროპია** [ბერძ. hyper -ზე მეტისმეტად, metron ზომა და ôps (ôpos) მხედველობა] – (მედიც.) შორსმხედველობა.

**ჰიპერტონია** [ბერძ. hyper -ზე, ზევიდან და tonos დაძაბვა] – (მედიც.) სისხლის წნევის აწევა, რაც ჰიპერტონიული დაავადების ძირითადი მიზეზია.

**ჰიპერტროფია** [ბერძ. hyper -ზე, მეტისმეტად და trophç კვება] – **1.** რაიმე ორგანოს მეტისმეტი გადიდება ავადმყოფობის დიდი დატვირთვის ან სხვა მიზეზების გამო.

**2.** (გადატ.) რისამე არანორმალური განვითარება.

**ჰᲘᲞ**-ი [ინგლ. hippie, hippy < hip სლენგი (ჟარგონი) – პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს მუსიკის, მოდის სიახლეებს] – ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდა დაჯგუფებებს განეკუთვნებიან და უარყოფენ საერთოდ მიღებულ ქცევის წესებს და უპირატესობას აძლევენ მაწანწალურ (მომთაბარე) ცხოვრების წესს, ტანსაცმლის სისადავეს (უბრალოებას).

**ᲰᲘᲞᲜᲝᲖ**-ი [ბერძ. hypnos ძილი] – **1**. ძილთან მიახლოებული მდგომარეობა.

**2**. ზემოქმედება ვინმეზე ასეთ მდგომარეობაში მოსაქცევად.

⊙ **ჰ.-ის სეანსი, ჰ.-ით მკურნალობა.**

◎ **ჰიპნოზური.**

⊙ **ჰ. მდგომარეობა, ჰ. ძილი.**

○ **გიპნოზი, გიპნოზური შცდ.**

**ᲰᲘᲞᲜᲝᲖᲘᲝᲠ**-ი [ფრ. hypnotiseur < ბერძ.] – ჰიპნოზის სპეციალისტი.

○ **გიპნოტიზიორი შცდ.**

**ᲰᲘᲞᲝ**... [< ბერძ. hypo ქვევით] – თავსართი,რომელიც უჩვენებს ნორმის ქვევით დაწევას.

⊙ **ჰიპოფუნქცია (საპ. ჰიპერ...).**

**ᲰᲘᲞᲝᲑᲘᲐ** [ბერძ. hypo ქვეშ და gç დედამიწა] – სიცოცხლე, რომელიც მიმდინარეობს მიწისქვეშეთში, გამოქვაბულებში, ნაპრალებში.

**ᲰᲘᲞᲝᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ** [ბერძ. hypo ქვევით, დაბლა და dynamis ძალა, ძლიერება] – მოძრაობის უნარის დაქვეითება.

**ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ** [ბერძ. hypothesis ვარაუდი] – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის დამტკიცებული.

⊙ **დედამიწის წარმოშობის ჰ.**

◎ **ჰიპოთეზური.**

⊙ **ჰ. მსჯელობა.**

○ **ჰიპოტეზა, ჰიპოტეტიური, გიპოტეტიური, გიპოტეზა შცდ.**

**ᲰᲘᲞᲘᲚᲝᲒᲘᲐ** [ბერძ. hipos ცხენი და logos მოძღვრება] – მეცნიერება ცხენების შესახებ.

**ᲰᲘᲞᲝᲞᲝᲢᲐᲛ**-ი [ბერძ. hyppotamos] – იგივეა რაც ბეჰემოთი.

○ **გიპოპოტამი შცდ.**

**ᲰᲘᲞᲝᲢᲔᲜᲣᲖᲐ** [ბერძ. hypoteinusa] – (მათემ.) მართკუთხა სამკუთხედის გვერდი, რომელიც მდებარეობს სწორი კუთხის პირდაპირ.

**ᲰᲘᲞᲝᲢᲝᲜᲘᲐ** [ბერძ. hypo ქვეშ და tonos დაძაბვა] – (მედიც.). სისხლის წნევის დაქვეითება.

**ᲰᲘᲞᲝᲥᲡᲘᲐ** [ბერძ. hypo ქვევით და გვიანდელი, ლათ. oxi (genium)

ჟანგბადი] – ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში.

**ჰირუდინ**-ი [< ლათ. hiruodinis წურბელა] – ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს სამედიცინო წურბელის სანერწყვე ჯირკვლები, აფერხებს სისხლის შედედებას.

**ჰიტ**-ი [ინგლ. heat] – **1**. საცხენოსნო სპორტში: ცხენის გარბენა მოკლე მანძილზე.
**2**. ველო- და მოტოსპორტში: შეჯიბრება, რომლის მონაწილეებიც გარკვეულ მანძილს სათითაოდ გადიან.
○ **გიტი შცდ**.

**ჰიჯრა** [არაბ. hidžra(t) გაქცევა] – მუსლიმანურ ქვეყნებში გავრცელებული წელთაღრიცხვა (კალენდარი); ჰ.-ის დასაბამიდან ითვლება 622 წელი (ჩვ. წელთაღრ.), როდესაც მაჰმადი და პირველი მუსლიმანები მექადან მედინაში გადასახლდნენ (გაიქცნენ).

**ჰობი** (ინგლ. hobby] – რამეთი გატაცება, აჩემებული საქმიანობა, რომელსაც მისდევენ თავისუფალ დროს.
○ **ხობი შცდ**.

**ჰობოი** [გერმ. Hoboe] – ხის მუსიკალური ჩასაბერი საკრავი ერთგვარი.
○ **გობოი შცდ**.

**ჰოკეი** [ინგლ. hockey] – ყინულზე ბურთის თამაში ერთგვარი.
○ **ხოკეი შცდ**.

**ჰოლ**-ი (ინგლ. hall] – დიდი სადგომი, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივ შენობებში, (მაგ.) სასტუმროში, თეატრში) დასასვენებლად, მოსაცდელად.
○ **ხოლი შცდ**.

**ჰოლოგრაფია** [ბერძ. holos მთელი, სრული და (ფოტო) გრაფია] – მოცულობითი ლაზერული ფოტოგრაფია.
○ **გოლოგრაფია შცდ**.

**ჰოლდინგ**-ი [ინგლ. holding ჩაბღუჯვა] – **1**. (სპორტ.). წესის დარღვევა კრივში – ერთ-ერთი მონაწილის მიერ მეორის ხელების ან ტანის დაჭერა.
**2**. სამფლობელო, ადგილ-მამული.
**ჰოლდერ**ი – მფლობელი, ბატონი.

**ჰომოპლასტიკა** [ბერძ. homos მსგავსი] – (მედიც.) ერთი ადამიანის რაიმე ორგანოს ან ქსოვილს (მაგ. კანის, თირკმლის) გადანერგვა მეორისადმი.

**ჰომოსექსუალიზმ**-ი [ბერძ. homos მსგავსი და ლათ. sexsualis სქესობრივი] – არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა თავისივე სქესის პირისადმი.

**ჰონორარ**-ი [ლათ. honorarium საპატიო ჯილდო] – ფულადი გასამრჯელო, რომელსაც აძლევენ (ხელშეკრულების საფუძველზე) ლიტერატორებს, მხატვრებს და სხვა.
◎ **საჰონორარო,**
⊙ **ს. ფონდი.**
○ **გონორარი, საგონორარო შცდ.**

**ჰონორი** [ლათ. honor ღირსება, პატივი] – გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ ღირსებებზე, ყოყოჩობა, მედიდურობა, ქედმაღლობა.

**ჰორ**-ი [ეგვიპტ.] – ეგვიპტურ მითოლოგიაში: მზის ღმერთი, რომელიც ითვლებიდა ფარაონის ხელისუფლების მფარველად, მიაჩნდათ ოსირისისა და ისიდას შვილად, წარმოდგენილი ჰყავდათ შევარდნის (შევარდნისთავიანი ადამიანის) ანდა ფრთოსანი მზის დისკის სახით.

**ჰორელიეფი** [ფრ. haut-relief] – სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ამობურცულია ბრტყელ ზედაპირზე თავისი სავარაუდო მოცულობის ნახევარზე მეტად (შდრ. **ბარელიეფი**)

**ჰორიზონტ**-ი [ბერძ. horizôn (horizôntos] – **1.** დედამიწის ზედაპირის ნაწილი, რომელსაც გაშლილ ადგილზე ხედავს დამკვირვებლის თვალი; ხაზი, რომლის გაყოლებაზეც ცა თითქოს დედამიწას ეხება; ცის დასალიერი.
⊙ **ჰ.-ზე გემი გამოჩნდა.**
○ **გორიზონტი შცდ.**

**ჰორიზონტალურ**-ი [გერმ. Horizontale] – **1.** ჰორიზონტალური ხაზი (საპირისპ. **ვერტიკალური**).
**2.** გეოდეზიაში: მრუდი, რომელიც რუკაზე ან გეგმაზე აერთებს ერთი სიმაღლის მქონე ადგილების წერტილებს (სინონ. **იზოჰიფსი**).
**2.** თვალთახედვა.
**3.** წყლის სიმაღლე (დონე) (მდინარეში, ტბაში, ზღვაში).
⊙ **ჰ. ხაზები, ჰ. სიბრტყე.**
○ **გორიზონტალური შცდ.**

**ჰორმონ**-ი [ბერძ. hormos მამოძრავებელი] – (ფიზიოლ.) ნივთიერება, რომელსაც გამოყოფენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. მონაწილეობს ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციების რეგულირებაში.
◎ **ჰორმონული.**
⊙ **ჰ. პრეპარატი.**
⊙ იხმარება აგრეთვე **ჰორმონალური.**

**ჰოროსკოპ**-ი [ბერძ. hôra დრო და skopeô ვუყურებ] – ვარსკვ-

ლავთა განლაგების ცხრილი, რომელსაც ასტროლოგები ადგენენ შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველოდ.

**ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚ**-ი [გერმ. Hospital] – საავადმყოფო, უპირატესად სამხედრო.

◎ **ჰოსპიტლისა.**

○ **ჰოსპიტალისა, გოსპიტალი შცდ.**

**ჰოსპიტალიზაცია** – საავადმყოფოში დაწვენა (ავადმყოფისა).

○ **გოსპიტალიზაცია შცდ.**

**ᲰᲝᲣᲛᲘᲜᲒ**-ი [ინგლ. homing შინ დაბრუნება] – მოვლენა, როდესაც სახლიდან შორს წაყვანილი ცხოველი (ძაღლი, კატა, ცხენი, მტრედი) თავისით იგნებს გზას და შინ ბრუნდება.

**ᲰᲣᲒᲔᲜᲝᲢᲔᲑ**-ი[ფრ.hyguenots]–მე-16-17 ს.ს.-ებში საფრანგეთში: **პროტესტანტები (კალვინისტები)**, რომელთაც სდევნიდა კათოლიკური ეკლესია და მთავრობა; ჰუგენოტების ხოცვა-ჟლეტა მოეწყო 1572 წ. „ბართლომეს ღამეს“.

**ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛ**-ი [ფრ. humanisme < ლათ. humanus ადამიანური] – მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, მისი ღირსების პატივისცემით; კაცთმოყვარეობა, სათნოება.

◎ **ჰუმანური.**

⊙ **ჰ. ადამიანი, ჰ. საქციელი.**

○ **ჰუმანიური, გუმანიზმი, გუმანიური შცდ.**

**ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ** [ფრ. humanitaire] – რაც დაკავშირებულია ხალხის კულტურისა და ისტორიის შესწავლასთან (საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათაგან განსხვავებით).

⊙ **ჰ. მეცნიერებანი, ჰ. განათლება, ჰ. დახმარება** – განვითარებული, მდიდარი ქვეყნების მიერ გაღატაკებული ქვეყნებისათვის გაწეული დახმარება სურსათით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით და სხვ.

○ **გუმანიტარული შცდ.**

**ᲰᲣᲛᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ** (ლათ. hymus ნიადაგი და facio ვაკეთებ] – ნიადაგში ცხოველური და მცენარეული ნარჩენების გახრწნა მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგად.

**ᲰᲣᲠᲘᲔᲑᲘ** (სპარს. Hûri არაბ.) – ყურანის მიხედვით, მუსლიმანურ სამოთხეში მცხოვრები მარად ნორჩი ლამაზი ქალები.

# დანართი

# ლათინური სიტყვები და გამონათქვამები

| | |
|---|---|
| ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის. | HÓMO SUM, HUMÁNI, NIHIL A ME ALIÉNUM PÚTO |
| ადამიანი, როგორც გონიერი არსება | HÓMO SÁPIENS |
| ადგილზე | IN LÓCO |
| აი კაცი! | ÉCCE HÓMO! |
| ალიბი – სხვა ადგილზე | ÁLIBI |
| ამა წლის | ÁNNI CURRÉNTIES (A.C.) |
| არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ (არაფერი არ არის საკვირველი) | NIL ADMIRÁRI |
| არა ორჯერ ერთი და იგივესათვის (არ შეიძლება ორჯერ პასუხისგება ერთი და იგივე დარღვევისათვის) | NON BIS IN ÍDEM |
| არარაისგან – არაფერი | EX NÍHILO NÍHIL |
| არასასურველი პირი | PERSÓNA NON GRÁTA |
| არ შეგვიძლია – კატეგორიული უარი | NON PÓSSUMUS |
| არის ზომიერება საგნებში - ყველაფერში ზომიერება, ყველაფერს აქვს საზღვარი. | ÉST MÓDUS ÍN REBÚS |

| | |
|---|---|
| არსებული მდგომარეობა | STÁTUS QUO |
| ასე! | SIC! |
| ასე ქრება მიწიერი დიდება. | SIC TRÁNSIT GLÓRIA MÚNDI |
| ასევე | ÍTEM |
| აუცილებელი პირობა | CONDÍTIO SINE QUA NON |
| აქაც როდოსია, აქაც გადახტი – აქ გამოიჩირე თავი (ეზოპეს იგავის მიხედვით). | HIC RHODÚS, HIC SÁLTA |
| ახალი ადამიანი (მეტიჩარა) | HÓMO NÓVUS |
| ბოლოს | IN FÍNE |
| გამარჯობა! | SÁLVE! |
| გამარჯობა, ცეზარ, ბრძოლის წინ გესალმებით შენ. (რომაელი გლადიატორების მიმართვა იმპერატორისადმი ბრძოლის წინ). | ÁVE CÁESAR, MORITÚRI TE SALÚTANT |
| გამგები გაიგებს | SAPIÉNTI SAT |
| გამეორება ცოდნის დედაა. | REPETÍTIO EST MÁTER STUDIÓRUM |
| გამომდინარეობს შენიშვნა | AD NOTÁNDA |
| გაუგებარია | NON LÍQUET |
| გაშლილია – ნათელია | EXPLÍCITE |
| გაძლევ, რათა შენც მომცე | DO UT DES |

| | |
|---|---|
| გახსოვდეს სიკვდილი | MEMÉNTO MÓRI |
| გემოვნებაზე არ დაობენ/კაცია და გუნება (გემოვნება არ არის საკამათო საგანი). | DE GÚSTIBUS NON (EST) DISPUTÁNDUM |
| და სხვა | ET CÁETERA (ETC.) |
| დასასრული | FÍNIS |
| დაყავი და იბატონე! | DÍVIDE ET ÍMPERA |
| დედის საშოდან - დასაბამიდან | AB ÓVO |
| დე-იურე - იურიდიულად, სამართლით, ფორმალურად | DE JÚRE |
| დე-ფაქტო – ფაქტიურად | DE FÁCTO |
| და იყოს სინათლე! | FÍAT LÚX! |
| დე მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მიწა! | SÍT TÍBI TÉRRA LEVÍS! |
| დრონი იცვლებიან და მასთან ერთად ჩვენც ვიცვლებით | TÉMPORA MUTÁNTUR, ET NOS MUTÁMUR IN ÍLLIS |
| დღეიდან | A DÍE |
| ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ! | PER ÁSPERA AD ÁSTRA |
| ერთგული და გულადი | FÍDELIS ET FÓRTIS |
| ერთი და იგივე | ÚNUM ET ÍDEM |
| ესე იგი, ე.ი. | ID EST |

| | |
|---|---|
| ვაზროვნებ, ამდენად, ვარსებობ - ფრანგი ფილოსოფოსის დეკარტის სიტყვები (1596-1650) | CÓGITO, ÉRGO SUM |
| ვთქვი, და ამით გულზე მომეშვა | DÉXI, ET ÁNIMAM LEVÁVI |
| ვიდრე ვსუნთქავ, ვიმედოვნებ | DUM SPÍRO, SPÉRO |
| ვინც სწრაფად გასცემს, ორმაგად აძლევს | BIS DAT, QUI CÍTO DAT |
| ვისთვისაა ხელსაყრელი? | CÚI PRÓDEST? |
| ვკძალავ | VÉTO |
| ზოგადად, მიახლოებით | GRÓSSO MÓDO |
| თავისუფლება | LIBÉRTAS |
| თვალნათლივ, როგორც თვითმხილველი | DE VÍSU |
| თუ მშვიდობა გინდა, ომისთვის ემზადე | SI VIS PÁCEM, PÁRA BÉLLUM |
| იჩქარე ნელა | FESTÍNA LÉNTE |
| კათედრიდან - განსაკუთრებული ავტორიტეტით, უკამათოდ (ირონიულად) | EX CÁTHEDRA |
| კანონი | LEX |
| კანონის ძალით | ÍPSO JÚRE |
| კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია | DÚRA LEX, SED LEX |

| | |
|---|---|
| კეთილი რწმენით – ნდობით, სრულიად გულწრფელად, განუზრახველად | BÓNA FÍDE |
| კეთილი სურვილები | PIA DESÍDERIA |
| კონსულებო ფხიზლად! –რომის სენატის მითითება კონსულებისადმი – ფრთხილად, მზად იყავით დასაცავად | CÁVEANT CÓNSULES! |
| პირადად, კერძოდ – საიდუმლოდ | PRIVATÍSSIME |
| მანკიერი წრე, ჯადოსნური წრე – გამოუვალი მდგომარეობა | CÍRCULUS VITIÓSUS |
| მარილის მარცვლით ნამცეცით - გონებით; ირონიით, გესლიანად | CUM GRÁNO SÁLIS |
| მასწავლებელმა ასე თქვა | MAGÍSTER DÍXIT |
| მაშასადამე | ÉRGO |
| მგდომარეობა, რომელიც იყო განსაზღვრულ მომენტამდე | STÁTUS QUO ÁNTE |
| მგდომარეობა, რომელიც იყო ომამდე | STÁTUS QUO ÁNTE BÉLLUM |
| მე | ÉGO |
| მე რაც შევძელი ის გავაკეთე; ვისაც შეუძლია უკეთ გააკეთოს | FÉCI QUOD POTUÍ, FACIÁNT MELLÓRA POTÉNTES |
| მესამე გზა არ არის - ან ... ან; ორიდან – ერთი | TÉRTIUM NON DÁTUR |

| | |
|---|---|
| მესამე მოხარულია | TÉRTIUS GÁUDENS |
| მივედი, ვნახე, გავიმარჯვე – იულიუს ცეზარის სიტყვები | VÉNI, VÍDI, VÍCI |
| მინაწერი | POST SCRÍPTUM (P.S.) |
| მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი | DE MÓRTUIS ÁUT BÉNE, ÁUT NÍHIL |
| მოვილხინოთ – სტუდენტების ძველი ლათინური სიმღერის და-საწყისი | GAUDEÁMUS |
| მომხრე და მოწინააღმდეგე | PRO ET CÓNTRA |
| (მომხდარი) ფაქტის მერე, შემ-დეგ | POST FÁCTUM |
| მოწყვიტე დღე – ე.ი. გამოიყენე ყოველი დღე, არ გქონდეს მო-მავლის იმედი | CÁRPE DÍEM |
| მსგავსი | AD MÓDUM |
| მშობელი დედა – უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა გამონათქვამი | ÁLMA MÁTER |
| ო დრიებავ, ო ზნე – ჩვეულებავ | O TÉMPORA, O MÓRES |
| ორჯერ – მეორედ | BIS |
| ოქროს შუაგული | ÁUREA MEDIÓCRITAS |
| პატივის გულისათვის, დამსახუ-რებისათვის | HONÓRIS CÁUSA |

| | |
|---|---|
| პლატონი ჩემი ამხანაგია, ჭეშმარიტება კი - მეგობარი – არისტოტელე | AMÍCUS PLÁTO, SED MÁGIS AMÍCA (EST) VÉRITAS - ARISTÓTELES |
| რაც იუპიტერს ეპატიება, ის არ ეპატიება ხარს | QUOD LÍCET JÓVI, NON LÍCET BÓVI |
| რაც კალმით დაწერილია, ნაჯახით ვერ გადაშლი | LÍTTERA SCRÍPTA MÁNET |
| რაც მაქვს თან ვატარებ – ბერძენი ბრძენის ბიანტის გამონათქვამი – ადამიანის ჭეშმარიტი სიმდიდრე მისი შინაგანი ღირსებაა | ÓMNIA MÉA MÉCUM PÓRTO |
| რჯული, რწმენა, მრწამსი | CRÉDO |
| სამართალმა უნდა იზეიმოს, რომც დაინგრეს ქვეყანა | PÉREAT MÚNDUS, FÍAT JUSTÍTIA |
| სამნი შეადგენენ კოლეგიას | TRES FÁCTIUNT COLLÉGIUM |
| სასურველი | DESIDERÁTA |
| სასურველი პირი | PERSÓNA GRÁTA |
| საუკეთესო ფორმაში – ყველა წესით | IN ÓPTIMA FÓRMA |
| საქმეს ბოლო აგვირგვინებს | FÍNIS CORÓNAT ÓPUS |
| საქმის შუაგულში – საქმის არსში | IN MÉDIAS RES |
| საშიშროება დაყოვნებაშია | PERÍCULUM IN MÓRA |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო – სახელმწიფოში | STÁTUS IN STÁTU |
| სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის | EX ORIÉNTE LUX |
| სრული შემადგენლობით | IN CÓRPORE |
| სწავლებით ვსწავლობ | DOCÉNDO DÍSCIMUS |
| სხვა მე – ახლო მეგობარი და თანამოაზრე | ÁLTER ÉGO |
| უკუნითი უკუნისამდე | IN SÁECULA SAECULÓRUM |
| უნდა მოვუსმინოთ მეორე მხარესაც – კამათში და ა.შ. | AUDIÁTUR ET ÁLTERA PARS |
| უფროსი | SÉNIOR |
| უცნობი მიწა – შეუსწავლელი, გამოუკვლევი დარგი | TÉRRA INCÓGNITA |
| ფაქტის ძალით | ÍPSO FÁCTO |
| ქრისტეშობამდე | ÁNTE CHRÍSTUM (A.C.) |
| ღიად, საყოველთაოდ, ხალხის წინ | CÓRAM PÓPULO, CÓRAM PÚBLICO |
| ყველა სიმართლითა და უსამართლობით – კანონიერი / ნებადართული და არაკანონიერი გზებით | PER FAS ET NÉFAS |
| ყველას თავისი | SÚUM CUIQUE |
| ყველა ომი ყველას წინააღმდეგ – ინგლისელი ფილოსოფოსის ჰობსის აფორიზმი (1588-1679) | BÉLLUM ÓMNIUM CÓNTRA ÓMNES |

| | |
|---|---|
| “შეიცან თავი შენი!” - მარკუს იულიუს ციცერონის გამონათქვამი | NÓSCE TE ÍPSUM! |
| შენზე ზღაპრებს ყვებიან, შენზე ლაპარაკობენ | DE TE FÁBULA NARRÁTUR |
| შენიშვნა | AD NOTÁTA |
| შენც, ბრუტ! – იულიუს ცეზარის სიტყვები, როდესაც თავის მკვლელებს შორის დაინახა მისი მეგობარი ბრუტი | TU QUÓQUE, BRUTE! |
| შეცდომები | ERRÁTA |
| შეცდომა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი | ERRÁRE HUMÁNUM EST |
| ჩასახვის მდგომარეობაში – აღმოცენების მომენტში | IN STÁTU NASCÉNDI |
| ჩიტი ფრთითა, ქალი თმითა – ლომი ბრჭყალებით იცნობა | EX ÚNGUE LEÓNEM |
| ცეცხლითა და მახვილით | ÍGNI ET FÉRRO |
| ცნობისათვის | AD NÓTAM |
| ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, მარად უკვდავი | ÉXEGI MONUMÉNTUM |
| წვეთი ქვას ხვრეტს – ოვიდიუსი | GÚTTA CAVÁT LAPIDÉM |
| წიგნებსაც აქვთ თავიანთი ბედი | HABÉNT SUA FÁTA LIBÉLLI |
| წილი ნაყარია – არჩევანი მოხდა – იულიუს ცეზარი | ÁLEA JÁCTA EST |

| | |
|---|---|
| წინააღმდეგ | CÓNTRA |
| წინანდელი მდგომარეობა | IN STÁTU QUO ÁNTE |
| ხელოვნება მუდმივია / ხანგ-ძლივია, ცხოვრება (ადამიანისა) – მოკლე | ART LÓNGA, VÍTA BRÉVIS |
| ხელი ხელს ბანს | MÁNUS MÁNUM LÁVAT |
| ჯანსაღ სხეულში – ჯანსაღი სული | MENS SÁNA, IN CÓRPORE SÁNO |

# ლექსიკოგრაფიული წყაროები


1. **ბაგალიშვილი გ., კიკალიშვილი რ.**
2001. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, ორტომეული, თბილისი, შპს „კენარი“.

2. **ჭაბაშვილი მ.**
1983. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, III გამოცემა, თბილისი, „განათლება“.

3. **ჭაბაშვილი მ.**
1999. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, სასკოლო გამოცემა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

4. **ჩიქობავა არნ.** (მთ. რედაქტორი), **ჭაბაშვილი მ.** (რედაქტორი).
1986. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, გამომცემლობა ქართული ენციკლოპედია.

5. **Кудрявцев Т. С., Пухаева Л.С.** и др.
2001. “Русский словарь иностранных слов” (Словарь для школьников), Москва, “ЮНВЕС”.

6. **Лёхин И.В., Петрова Д.И.**
1949. “Словарь иностранных слов”, Москва, “Госиздат” иностранных и национальных словарей.

6. **Одинцов В.В., Смолницкая Р.П.** и др.
1985. “Словарь иностранных слов”, 12-е издание, Москва, “Просвещение”.

# სარჩევი


წინასიტყვაობა ........ 3
ლექსიკონის აგებულება ........ 2
შემოკლებათა სია ........ 7
ლათინური ანბანი ........ 8
საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი ........ 9

დანართი
ლათინური სიბრძნე ........ 589
ლექსიკოგრაფიული წყაროები ........ 699

# შენიშვნები

# შენიშვნები

# შენიშვნები

NINO KLDIASHVILI (YOUNGER)
LEVAN KLDIASHVILI
ROLAND KARTVELI (KLDIASHVILI)

# AN EXPLANATORY DICTIONARY OF INTERNATIONAL WORDS

**სარედაქციო კოლეგია:**

| | |
|---|---|
| მთ. რედაქტორი | **იანა როზე** |
| რედაქტორი | **ირმა ქობულაშვილი** |
| სტილისტ-კორექტორი | **როლანდ ქართველი** |
| ტექნიკური რედაქტორი | **ოთარ ჩხაიძე** |
| მხატვრული რედაქტორი | **გია დვალიშვილი** |

შეკვეთა № ტირაჟი 200

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

ტელეფონები:

ავტორები: 8(57) 26-34-95; 8(97) 07-66-90; 8(95) 91-97-92
გამომცემელი: 8(99) 50-92-66

პს „იმედი“
მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის გამზ., 70.
ტელ. 8(93) 79-90-69